

F 749
1999

F



საქართველოს
რეპუბლიკის
ქვეყნული ბიბლიოთეკა

საფუძვლები



5-6

1999

საშუალო

1999/5-6

საშუალო

დასაწყისი



(111)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შინაარსი

პროზა და პოეზია

პირმან კახა. ავგუსტუსი, გერმანულიდან თარგმნა კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ	3
რომან ბარი. თეთრი ძაღვი, თარგმნა ლლი მჭედლიშვილმა	18
ავღანეთის სპარსული პოეზია. სპარსულიდან თარგმნა მედეა შონიამ	89
ერნესტ აემიგუაი. ბერიკატი და ზღვა, ინგლისურიდან თარგმნა ნანა ღამბაშიძემ	93
რუსული პოეზია. თარგმნეს სტეფანე მხარგრძელმა და ლლა მეტრეველმა	152
აზიზ ნესინი. მოხარული ვარ მვენი გაცნობისა, თარგმნა მარტენ ავჭაღელმა	159
რეზინა უხარა. უხიდავი ცეცხლი, თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ, დასაწყისი.	168

წერილები

ანდო ღიაჯი. იმპერიის დასასრული, თარგმნა ნანა ახობაძემ	247
გივი ლომიძე. მთარგმნელიც უნდა შეაჩიროს...	253
მ. დორონავოვი. ბავშვთა ალტერა-განათლება ბიზნისსა და წმინდა მამების სწავლებით, დასაწყისი, თარგმნა ვასილ ბურკაძემ	266
გიორგი ბურკაძე. „ადამიანთა ცხოვრების მიუკერძოებელი, ობიექტური კრიტიკა“, თარგმნა ლაშა დადიანმა	294

**საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური უწყნაღი**

1999, № 5—6

თბილისი
ბიზლინტეკა

მთავარი რედაქტორი

ნანა დარჩია-გოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი

ნანა ასობაძე

მანანა ამისულაშვილი

ჯემალ აჯიაშვილი

ნანა ბართაია (კ. შ. მღვიანი)

გურამ გოგიაშვილი

ნანა გოგოლაშვილი

თამარ ერისთავი

რუსუდან ქაბულაძე

დალი ფანჯიკია

ბივი შაქნაზარი

ბივი ქნულაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-73-41, პასუხისმგებელი მდივანი, განყოფილებათა გამგეები — 99-73-41.

გად. წარმ. 26. 08. 99 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 10. 99 წ., ქელაღდის ზომა 70X108¹/₁₆, სააღრ. თ. 20. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფ. ტირ 300. შუკ. 566.

ფასი 3 ლარი

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.

თბილისი, მ. კოსტავას 14.

პერმანულიდან

თარგმნა კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ



წინამდებარე ზღაპარში, ასე რომ მოგვაგონებს ოსკარ უაილდის „ვარსკვლავ-ბიჭუნას“, ჩვეულებრივი, ყოფითი გარემოს მახლობლად ფიგურირებს ბატონი ბინსვანგერის ჯადოსნური სამყარო სავსე მგალობელი არსებებით, მშვენიერებით და იღუმალეებით მოსილი. სწორედ ამ ორი სიბრტყის ბუნებრივი თანაარსებობა, რომელიც თხრობას ბოლომდე გასდევს, განაპირობებს ზღაპრის მომხიბვლელობას. იგი მიგვანიშნებს, რომ სულის საუფლო არ არსებობს „სადღაც“ განყენებულად, ღრუბლებს მიღმა, არამედ აქვე, ცხოვრებაშია საძიებელი და შესაძლოა ისეთ სინამდვილედ იქცეს გამოღვიძებული სულიერი აღქმისათვის, როგორც ფიზიკური თვალისთვის — ნებისმიერი ხილული საგანი ან მოვლენა. ავგუსტუსის უკუქცევა თავისი ნათლის, ბინსვანგერის სახლისაკენ და ხელმეორე განცდა ნეტარი სიყრმისა შესაძლოა გააზრებულ იქნას, როგორც ადამიანის და საზოგადოდ კაცობრიობის ანამაზისი სულიერებისაკენ.

20-იან წლებში პესე თავის მეგობარს სწერდა: „ზნეობა აღარ ფასობს ჩვენში, ეს კარგად ჩანს იმ ზღაპრებში, რომელიც გამოგიგზავნეთ. პირველი მათგანი და უაღრესი, „ავგუსტუსი“ აღსავსეა ზნეობით და საბოლოოდ გვიჩაბრებს ბედნიერებას. რომელზეც მე ბევრი მიფიქრია და მინატრია, მაგრამ არასოდეს განმიცდია“.

მთარგმნელი

მოსტაკერშტრასეზე ერთი ახალგაზრდა ქალი ცხოვრობდა. უბედური შემთხვევის გამო ქმარი ქორწინების შემდგომ მალევე დაჰკარგოდა. შოდა, იჯდა ახლა თავის პატარა ოთახში, უბედური და მიუსაფარი და ელოდა ბავშვს, რომელსაც აღარ ეყოლებოდა მამა. მარტოდმარტო დარჩენილი ქალის ფიქრები შვილს დასტრიალებდა თავს და არ არსებობდა ქვეყნად რაიმე მშვენიერი, დიდებული და საოცნებო, მისთვის რომ არ ჩაეთქვა, არ ესურვებინა ან არ დასიზმრებოდა; ის ოცნებობდა, თავის შვილს ჰქონოდა მრგვალი სარკეებით მორთული, შადრევნებიანი ბალით გარსშემორტყმული ქვის სასახლე, ამასთან, სულ მცირე, დიდი სწავლული ან მეფე უნდა გამხდარიყო.

საბრალო ელიზაბეტის მახლობლად ერთი მოხუცი ცხოვრობდა. გარეთ გამოსულს იშვიათად თუ ნახავდა ვინმე. ჩია, თმათეთრი ბერიკაცი იყო, ფარფლებიანი ქუდი ეხურა ხოლმე და ეჭირა ძველებური, ვეშაპის უღვაშისაგან ნაკეთები მწვანე ქოლგა. ბავშვებს ძალიან ეშინოდათ მისი, უფროსებს კი მიაჩნდათ, რომ მოხუცს ჰქონდა საბაბი ეგზომი განმარტოებისა. ზოგჯერ დიდი ხნით გაუჩინარდებოდა ხოლმე, მისი ძველი ქონიდან კი მწუხრისას უმშვენიერესი მუსიკა მოისმოდა, რომელსაც თითქოსდა მრავალი პატარა სიფრიფანა საკრავი გამოსცემდა. ბავშვები შინ თავიანთ დედებს ეკითხებოდნენ — ანგელოზები ხომ არ გალობენ იმ სახლში, ან ბლები ხომ არ მღერიანო? მაგრამ დედებმა არაფერი იცოდნენ და ამასლა პასუხობდნენ: არა, ეგ ალბათ მუსიკალური ზარდახშა იქნებოდაო.

ამ ჩია კაცს, მეზობლები ბატონ ბინსვანგერად რომ იცნობდნენ, ელიზაბეტთან განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა. მათ არასოდეს უსაუბრიათ ერთმანეთთან, მაგრამ როცა კი ბატონი ბინსვანგერი თავისი მეზობლის ფანჯარას ჩაუვლიდა და მეგობრულად მიესალმებოდა, ქალი მადლიერად უკრავდა თავს. ამ დროს ორივე ფიქრობდა, ძალიან როცა გამიჭირდება, მაშინ კი უთუოდ მივაკითხავო მეზობელს.

შებინდებისას, როცა ელიზაბეტი ეულად იჯდა ხოლომე საჩუკმელთან, სწუხდა საყვარელი ადამიანის დაკარგვას, ანდა ბავშვის მომავალზე ოცნებობდა, ბატონი ბინსვანგერი უხმაუროდ გააღებდა ფანჯარას და მისი ჩაბნელებული ოთახიდან ისე ნელა იღვრებოდა ნუგეშისმცემელი მუსიკა, როგორც მთვარის შუქი ღრუბლებიდან. მეორე ფანჯრის რაფაზე ნემსინვერები გაზრდილიყვნენ. მათი მორწყვა სულ ავინყდებოდა მოხუცს, თუმცა ისინი მაინც მუდამ ჰყვოდნენ და ერთი ხმელი ფოთოლიც კი არ ებათ, ვინაიდან ელიზაბეტი უვლიდა მათ, ყოველ დილას წყალს უსხამდა.

შემოდგომამ მოაწია და ერთ ცივ, ქარწვიმიან საღამოს, როცა მოსტაკერშტრასეზე ადამიანი არ ჭაჭანებდა, საბრალო ქალმა იგრძნო მშობიარობის მოახლოება და შიშმა აიტანა — აკი სრულიად მარტო იყო. მოულოდნელად, შებინდებისას სახლში ვიღაც დედაბერი შემოვიდა ჭრაქით ხელში, წყალი აადულა, მიტკალი დააფინა და ყოველივე იღონა, რაც ჩვეულებრივ სჭირდება ადამიანის ამქვეყნად მოვლინებას. ელიზაბეტმა უსიტყვოდ აცალა მას და როდესაც ყრმა იშვა და ახალ, ლამაზ სახვევში გახვეული პირველ ამქვეყნიურ ძილს მიეცა, დედაბერს ჰკითხა, საიდან მოხვედიო.

„მე ბატონმა ბინსვანგერმა გამომგზავნა“, — მიუგო დედაბერმა. შემდეგ დაღლილ ქალს ჩაეძინა და როდესაც გამოეღვიძა, ნახა, რომ რძე აედუღებინათ და იქვე დაედგათ, ოთახიც სუფთად მიელაგებინათ, მის გვერდით ბავშვი იწვა და მოშიებული ტიროდა. დედამ სიხარულისგან მკერდზე მიიკრა პატარა. გაახსენდა მისი გარდაცვლილი მამა, რომელიც ველარასოდეს ნახავდა შვილს და ცრემლით აევსო თვალები. დედამ მიუაღერსა ჩვილს და ღიმმორეულს მასთან ერთად ისევ მიეძინა. როცა ხელახლა გამოეღვიძა, რძე და საჭმელი ისევ გამზადებული დაუხვდა, ხოლო ბავშვი — ახალ სახვევებში შეხვეული.

დედამ მალე მოიკეთა და ძალა მოიკრიბა. უკვე თავადვე შეეძლო საკუთარი თავისა და ავგუსტუსის მოვლა. ისიც აფიქრებდა, ბავშვი რომ მოსანათლი იყო, მაგრამ ნათლიად კი არავინ ეგულებოდა. ერთ საღამოს ქალი ბატონი ბინსვანგერის სახლისკენ გაემართა. იქიდან, როგორც ყოველთვის უმშვენიერესი მუსიკა მოისმოდა. მან მოკრძალებით დააკაკუნა მუქ კარზე. „მობრძანდით“, თავაზიანად გამოსძახა მასპინძელმა და კარისკენ გამოემართა. მუსიკა უმალ შეწყდა. ძველ მაგიდაზე, წიგნის გვერდით, ნათურა იდგა, სხვა მხრივ კი ოთახი არაფრით გამოირჩეოდა.

„მადლობა მინდა მოგახსენოთ, რომ ასეთი კეთილი ქალბატონი გამომიგზავნეთ, — უთხრა მოხუცს ელიზაბეტმა, — სულით და გულით ვეცდები, ვალში არ დაგრჩეთ, როცა საქმეს მოვკიდებ ხელს და ცოტას ამოვისუნთქავ. მაგრამ ახლა ყველაზე მეტად მანუხებს ის, რომ ბავშვი მოსანათლია. მინდა ავგუსტუსი დავარქვა, მამის სახელი“.

„ღიახ, ამაზე მეც მიფიქრია, — უპასუხა მეზობელმა და თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა. — კარგი იქნებოდა, ბავშვს კეთილი და მდიდარი ნა-

თლია ჰყოლოდა, რომელიც გაჭირვების ფამს ხელს გაგიმართავდათ. მე კი ერთი მარტოხელა მოხუცი ვარ, მეგობარიც ცოტა მყავს. ასე რომ, თუ მე არ მიკადრებთ ნათლიად, სხვას ვერავის გირჩევთ“.

საბრალო დედას გულს მოეშვა, მაღლი მოახსენა ბერიკაცს და ნათლობაზე მორიგდნენ. შემდგომ კვირადღეს ტაძარში მიიყვანეს პატარა და მონათლეს. იქ ისევ გაჩნდა ნაცნობი დედაბერი და ბავშვს ერთი ტალერი აჩუქა. დედამ რომ იუარა, უთხრა: „აიღეთ, მე მოხუცი ვარ და ყველაფერი მაქვს, რაც მჭირდება. ვინ იცის, ამ ტალერმა იქნებ ბედნიერება მოუტანოს. მაშინ კი ბატონ ბინსვანგერს გავუწიე სამსახური, ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ“.

მერე ყველანი ელიზაბეტთან წავიდნენ. დიასახლისმა სტუმრებს ყავა მოუდუნა, ნათლიამ ნამცხვარი მოიტანა, ასე რომ, ნამდვილი ნათლობის სერობა გაიმართა. როდესაც ყავა დალიეს, დანაყრდნენ და ბავშვმაც დაიძინა, ბატონმა ბინსვანგერმა ხმამაღლა განაცხადა: „დღეიდან მე პატარა ავგუსტუსის ნათლია ვარ, სიხარულით ვაჩუქებდი ჩემს ნათლულს მეფურ სასახლეს ანდა ოქროს ზოდებით სავსე ტომარას, მაგრამ არც ერთი გამაჩნია და არც მეორე. შემიძლია კიდევ ერთი ტალერი დავუმატო ქალბატონის ნაჩუქარს. და კიდევ, რასაც ინატრებთ მისთვის, შესრულდება. ელიზაბეტ, რამდენი მშვენიერი და კარგი რამ გისურვებიათ თქვენი ბავშვისთვის; თუ გაიხსენებთ, რა იყო მათ შორის ყველაზე უკეთესი, იმას შეგისრულებთ. ამოირჩიეთ ერთი სურვილი თქვენი შვილისთვის, მხოლოდ ერთი, კარგად მოიფიქრეთ და როდესაც დღეს, მწუხრისას, ჩემი საკრავის ხმას გაიგონებთ, თქვენი სურვილი უჩურჩულეთ პატარას და იგი ასრულდება“.

ამ სიტყვებზე მოხუცი წავიდა, დედაბერიც მას მიჰყვა. ელიზაბეტი მარტო დარჩა, უზომოდ განცვიფრებული. ორი ტალერი რომ არ ყოფილიყო აკვანში და ნამცხვარი მაგიდაზე, ყოველივე სიზმარი ეგონებოდა. იგი ჩამოჯდა აკვანთან, არწევდა და თან ფიქრობდა, რა იქნებოდა ყველაზე კარგი, ახლა რომ ენატრა. ჯერ მოინდომა, მისი შვილი მდიდარი ყოფილიყო, ან ლამაზი, ან ძლიერი, მერე გამჭრიახი და გონიერი, მაგრამ ყოველ სურვილზე ყოყმანობდა: აბა, ამას ხომ ვერ ვკადრებო მოხუცს.

უკვე დაღამდა და დედას აკვანთან ჩამოეძინა ამდენი ჯაფითა და ფიქრით მოქანცულს. ამ დროს მეზობელი სახლიდან მოისმა წყნარი, ამოდსასმენი მუსიკა, ისეთი ნაზი და მშვენიერი, ჯერ არც ერთ საკრავს რომ არ გამოუცია ამქვეყნად. ამ ჰანგებმა გამოაფხიზლეს ელიზაბეტი და საბოლოოდ ჩანჩუნა ბატონი ბინსვანგერისა და მისი ნათლობის საჩუქრისა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა და ცდილობდა რაიმე ჩაეთქვა შვილისთვის, მით უფრო ერეოდა გონებაში ყოველივე და ველარაფერი გადაეწყვიტა. დანადვლიანდა, ცრემლით აევსო თვალები. აი, კიდევ უფრო ჩუმად და სუსტად გაისმა მუსიკა და ქალმა გაიფიქრა: ამწამსვე თუ არ ვინატრე რაიმე, მერე გვიან იქნება და ყოველივე დაიკარგებაო.

დედამ ამოიოხრა, დაიხარა ბავშვისკენ და მარცხენა ყურში ჩასჩურჩულა: „ჩემო შვილო, გისურვებ... გისურვებ... „და როდესაც მუსიკა სავსებით უნდა მიმწყდარიყო, შეშინდა და სწრაფად მიაყოლა: „გისურვებ, ყველას უყვარდე“.

ჰანგები მიწყდა. ბნელ ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, ქალი ღკობიქცა აკვნიდან, იტირა შიშითა და ძრწოლით აღვსილმა და შესძახა: „მე ახლა ყველაზე უკეთესი რამ გისურვებ, რაც კი ვიცოდი, და ვინ უწყის,

იქნებ არც იყო სწორი! როდესაც ყველა, ყველა შეგიყვარებს, მაინც ვერავის ვყვარები ისე ძლიერ, როგორც დედაშენს!“

ავგუსტუსი ისევე იზრდებოდა, როგორც ყველა ბავშვი. ის იყო ქერათმიანი ყმაწვილი, გამოირჩეოდა ნათელი, მამაცური მზერით. დედა ანებივრებდა და სხვებიც თავს ევლებოდნენ. ელიზაბეტმა მალევე შეამჩნია, რომ ნათლობის დღეს ჩათქმული სურვილი ჯერ კიდევ მძიმედ ასრულდა, როცა პატარამ ის-ის იყო ფეხი აიდგა. ყველას თვალში გამოიჩინებოდა სხვა ბავშვებისგან თავისი სილამაზით, გულადობით და გონიერებით. ყველა ეფერებოდა, თვალეში შესციცინებდა და ყოველნაირად აგრძნობინებდა თავის კეთილგანწყობას. ახალგაზრდა დედები უღიმოდნენ, მოხუცი ქალები ვაშლებს ჩუქნიდნენ და თუკი რაიმე შეუფერებელს ჩაიდენდა, არავინ იჯერებდა. მაშინაც კი, როცა მისი დანაშაული მეტისმეტად აშკარა იყო, მხრებს იჩქინდნენ და ამბობდნენ: ყოვლად შეუძლებელია ასეთმა საყვარელმა ბიჭუნამ რაიმე დააშაოსო.

ისინი, ვისაც ლამაზი ბიჭუნა შემჩნეული ჰყავდათ, არჩევდნენ დედამისთან მიეტანათ საკერავი. თუ აქამდე ელიზაბეტს თითქმის არავინ იცნობდა და მცირეოდენ სამუშაოს ძლივს შოულობდა, ახლა სახელი გაითქვა, როგორც ავგუსტუსის დედამ და გაცილებით მეტი კეთილისმყოფელი გამოუჩნდა, ვიდრე წარმოიდგენდა. ისიცა და ბავშვიც ნამდვილად ბედნიერები იყვნენ, როცა სახლიდან გამოსულთ მეზობლები შეჰხაროდნენ, ესალმებოდნენ და მზერით მიაცილებდნენ.

თვით ავგუსტუსს ყველაზე მშვენიერი რამ იქვე, ნათლიასთან ეგულეობდა. საღამოობით, როცა მას ესტუმრებოდა ხოლმე, ქოხში ბნელოდა, მხოლოდ გამჭვარტლულ ბუხარში ენთო სუსტი, მონითალო ცეცხლი. ჩია ბერიკაცი ბავშვს იატაკზე დაგებულ ტყავზე დასვამდა და ერთად შეჰყურებდნენ ნელ ცეცხლს. მოხუცი გრძელ-გრძელ ამბებს უყვებოდა ბავშვს. ხანდახან, როცა ერთ-ერთი ასეთი ამბავი მთავრდებოდა, პატარას რული ერეოდა და მინაბული თვალეებით აჩერდებოდა ცეცხლს, სიბნელიდან ტკბილი, მრავალხმიანი მუსიკა გადმოიღვრებოდა და ორივენი გარინდებულნი დიდხანს უგდებდნენ ყურს. ხშირად მთელი ოთახი პატარა, მოციმციმე ბავშვებით ივსებოდა, ისინი ოქროსავით მბრწყინავი ფრთებით დაფრინავდნენ, მიუწვდომელი ხელოვნებით ხაზავდნენ ჰაერში ათასგვარ წრეებს — როგორც ყველაზე ლამაზ ცეკვებშია ხოლმე, ხან ყველა ერთად, ხანაც წყვილ-წყვილად — თან გალობდნენ. გარშემო ყველაფერი ხარობდა და იშვებდა გაათასკეცებული სიხარულითა და სილამაზით. ეს იყო ყველაზე მშვენიერი რამ, რაც კი ოდესმე ავგუსტუსს მოესმინა ან ენახა. შემდგომში, როდესაც ის თავის სიყმაწვილეზე დაფიქრდებოდა ხოლმე, მაშინვე ამოუტივტივდებოდა მეხსიერებაში მოხუცი ნათლიის მყუდრო, ჩაბნელებული ოთახი, ბუხარში დანთებული ცეცხლი, ანგელოზურ არსებათა ჯადოსნური ფრენა, და სევდა შემოაწვებოდა.

რაც უფრო იზრდებოდა ყმაწვილი, მით უფრო ხშირად აგონდებოდა დედას ნათლობის ღამე და შემფოთება ეუფლებოდა. ავგუსტუსი ღალად ღანავარდნებდა მეზობელ ქუჩებში და ყველგან სასურველი სტუმარი იყო. საჩუქრად იღებდა კაკლებს და მსხლებს, ნამცხვრებს და სათამაშოებს. მას ატყეფდნენ და ასმევდნენ, მუხლებზე ისვამდნენ, ათამაშებდნენ, ნებას რთავდნენ ყვავილები ეკრიფა ბაღში. საღამოობით ხშირად იგვიანებდა შინ და დედის გამზადებულ ვახშამს უგულოდ გასწევდა ხოლმე განზე. ამის შემ-

ხედვარე დედა წუხდა და ტიროდა. ავგუსტუსს ასეთი რამ თავს აბეზრებდა და მოლუშული მიდიოდა სანოლისაკენ. და ერთხელაც, როცა დედამ დასაჯა, ხმამაღლა მოჰყვა ჩივილს: ავგუსტუსი ყველას უყვარს, ყველას, გარდა დედისაო. ამის შემდეგ ქალი ხშირად წუხდა და ნალვლიობდა შვილის გამო, მაგრამ საკმარისი იყო მოლიცლიცე სანთლის შუქზე მისი მშვიდად მძინარე, უმანკო ბავშვური სახისთვის შეეწლო თვალი, რომ უმაღლესი ყოველგვარი წყრომა ეხსნებოდა გულიდან და რომ გარდაცემებინა, ფრთხილად კოცნიდა ხოლმე პატარას. აკი მხოლოდ თვითონ იყო დამნაშავე, ასე რომ უყვარდა ყველას ავგუსტუსი და ხან ნალვლიანად, ხანაც შიშით ფიქრობდა: ალბათ აჯობებდა ასეთი ნატვრა არც ჩამეთქვაო.

ერთხელ, როცა დედა ბატონი ბინსვანგერის ფანჯარასთან იდგა და ნემსინვერას პატარა მაკრატლით გამხმარ ყვავილებს აჭრიდა, ეზოდან შვილის ხმა მოესმა. ქალმა იქითკენ გადაინაცვლა და დაინახა, რომ ავგუსტუსი მედიდურად მიყრდნობოდა კედელს, წინ კი ოდნავ უფროსი გოგონა ედგა და ეხვეწებოდა:

— რა საყვარელი ხარ! მაკოცე რა!

— არ შემიძლია, — უპასუხა ჯიბეში ხელებჩაწყობილმა ავგუსტუსმა.

— ოჰ, ძალიან გთხოვ, — ისევ შეევედრა გოგონა. — იცი, მე შენთვის რა ლამაზი საჩუქარი მაქვს?

— მაინც რა? — ჰკითხა ყმანვილმა.

— ორი ვაშლი, — მორიდებით მიუგო გოგონამ.

ავგუსტუსი შეტრიალდა და სახე დამანჭა.

— რად მინდა შენი ვაშლი, — უთხრა ზიზლით და გაქცევა დააპირა, მაგრამ გოგონამ მაგრად მოუჭირა ხელი და მიეყვავილა:

— ერთი ლამაზი ბეჭედიც მაქვს.

— აბა, მაჩვენე, — უთხრა ავგუსტუსმა.

გოგონამ უჩვენა თავისი ბეჭედი. ყმანვილმა კარგად შეათვალიერა, მერე წააძრო, თითზე წამოიცვა, სინათლეზე გახედა და აშკარად მოეწონა.

— კარგი, გეკუთვნის ერთი კოცნა, — უთხრა ქედმაღლურად და სწრაფად შეეხო მის ბაგეებს.

— ახლა მეთამაშები? — ნალვლიანად ჰკითხა გოგონამ და მკლავზე დაეყრდნო, მაგრამ ავგუსტუსმა თავიდან მოიშორა გოგონა და უკმეხად დაუყვირა:

— თავი დამანებე, ბოლოს და ბოლოს! სხვა ბავშვებთანაც კარგად ვითამაშები!

როდესაც გოგონა ტირილით გავიდა ეზოდან, ყმანვილს მოწყენილობა და გაღიზიანება დაეტყო სახეზე. ფეხის წვერებზე შემოტრიალდა, გახედა მიმავალ გოგონას და სტვენა-სტვენით ნელ-ნელა გაეცალა იქაურობას.

დედა კი იდგა სასხლავით ხელში, გაოგნებული იმ უხეშობით და ზიზლით, როგორითაც მისმა შვილმა სიყვარულს უპასუხა. გაასწორა ყვავილი და დიდხანს იდგა ასე, თავს აქნევდა და თავისთვის იმეორებდა: „რა სისასტიკეა, რა უგულობაა!“

როცა დედამ შინ დაბრუნებული ავგუსტუსი გაკიცხა, ყმანვილმა დამცინავად შეხედა. მის ცისფერ თვალებში აშკარად ჩანდა, რომ სრულიადაც

არ გრძნობდა თავს დამნაშავედ. ცოტა ხანში სიმღერაც წამოიწყო, დედას მიეაღერსა და ამ დროს ისეთი სასაცილო, საყვარელი და ნაზი იყო, რომ ქალს გაეცინა და მიხვდა — ბავშვების ურთიერთობაში ყველაფერი სერიოზულად არ უნდა მიეღო.

თუმცა ყმანვილის უზნეობა ყოველთვის როდი რჩებოდა დაუსჯელი. ნათლია ბინსვანგერი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისდამეძინებოდაც ბიჭს ჯერ კიდევ შერჩენოდა. სალამოობით, შეადგამდა თუ ~~საქმის~~ ~~საქმის~~ ~~საქმის~~ ოთახში, ნათლია ეტყოდა: „დღეს აღარ ანთია ცეცხლი ბუხარში, არც მუსიკა ისმის, პატარა ანგელოზები სწუხან, ასე ცუდად რომ იქცეოდი დღეს“. ავგუსტუსი ხმაამოუღებელივ მიდიოდა შინ, სანოლზე ემხობოდა და ტიროდა, მომდევნო დღეებში კი ყოველნაირად ცდილობდა, კეთილი და მოსიყვარულე ყოფილიყო.

მიუხედავად ამისა, ცეცხლი სულ უფრო იშვიათად ინთებოდა ბუხარში. ნათლიას კი ცრემლითა და აღერსით ვერ გადაიბირებდი. როდესაც ავგუსტუსი თორმეტი წლისა შეიქნა, ანგელოზთა ჯადოსნური ფრენა ნათლიას ოთახში უკვე შორეულ ზმანებად იქცა. ერთხელ ყმანვილს ესიზმრა ყოველივე ეს. მეორე დღეს კიდევ უფრო უკმეხად იქცეოდა, ბავშვებს უყვიროდა, ეზოში სარდალივით მბრძანებლობდა.

დედაც თანდათან დაღალა შვილის ქება-დიდებას მოსმენამ — რა სათნოა ავგუსტუსი, რა გულიანიო — განა ცოტა საზრუნავი ჰქონდა?! ერთ დღეს მასწავლებელი ეწვია და უთხრა, ვილაც კეთილისმყოფელს სურს ყმანვილი სხვა სკოლაში გაგზავნოსო სასწავლებლად. დედა მოელაპარაკა ნათლიას და აი, გაზაფხულის ერთ დილას ეტლმა ჩამოიარა. დედაქალაქში მიმავალი ახალ, ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი ავგუსტუსი ზედ ავიდა, დაემშვიდობა დედას, ნათლიას და მეზობლებს. დედამ უკანასკნელად შეუსწორა ქერა თმა და დალოცა. ცხენები დაიძრნენ და ავგუსტუსი უცხო მხარეს გააქროლეს.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ავგუსტუსი უკვე წითელქუდიანი, უღვაშანკეპილი სტუდენტი იყო, მას სამშობლოში მოუწია დაბრუნებამ, ვინაიდან ნათლიას მიეწერა — დედა ისეა ავად, აღარ უწერიაო დიდხანს სიცოცხლე. ჭაბუკმა შინ სალამოყამსლა მიაღწია. ხალხი გაკვირვებული უმზერდა, როგორ გადმოვიდა იგი ეტლიდან და როგორ შეიტანა მეეტლემ სახლში დიდი ტყავის ჩემოდანი. მომაკვდავი დედა ძველ, დაბალჭერიან ოთახში იწვა. როდესაც წარმოსადგემა სტუდენტმა ბალიშზე მისვენებული დედის თეთრი, დამჭკნარი სახე დაინახა, მხოლოდ მშვიდი თვალებითლა რომ ესალმებოდა შვილს, დაიხარა და ცრემლი წასკდა. მთელი ღამე მიუხლმოყრილი იდგა დედის სარეცელთან და მანამდე უკოცნიდა გრილ ხელებს, ვიდრე მთლად არ გაუცივდა და თვალებიც სრულიად არ ჩაეფერფლა.

დაკრძალვის შემდეგ ნათლია ბინსვანგერმა ხელმკლავი გამოსდო ავგუსტუსს და თავის სახლში გადაიყვანა. ჭაბუკს ნათლიის ოთახი კიდევ უფრო პატარა და ბნელი ეჩვენა. ისინი დიდხანს ისხდნენ ჩუმად, სარკმლებილა ელავდნენ ბინდბუნდში მკრთალად. მერე მოხუცმა გამხდარი თითები თეთრ წვერზე ჩამოისვა და უთხრა ავგუსტუსს: „მოდე, ბუხარში დავანთებ ცეცხლს, ნათურა აღარ დაგვჭირდება. ვიცი, დილით აქედან გამგზავრებას აპირებ და რადგანაც დედა აღარა გყავს, ალბათ დიდხანს ველარ გნახავ“.

ესა თქვა და ცეცხლი დაანთო ბუხარში. მათ სავარძლები იქით მიაჩოჩეს და დიდხანს უმზერდნენ მბუუტავ ალს. ბოლოს, როცა უკვე ნაპერწკლებიც აღარ ცვიოდა, მოხუცმა გულთბილად უთხრა: „იდლეგრძელე, ავგუსტუს, ყოველივე კარგს გისურვებ, შესანიშნავი დედა გყავდა. ვერც კი წარმოიდგენ, რამხელა ამაგი აქვს შენზე. მე სიხარულით გამოვიხმობდი კიდევ ერთხელ ჩვენს ჰანგებს და გიჩვენებდი პატარა ანგელოზებს, მაგრამ იცი, რომ ეს არ მოხდება. დავინწყებით კი, არ ეგების შენგან მათი დავინწყება... იცოდე, ეს არსებანი ისევ გალობენ და ოდესმე კვლავ შესძლებ მათ მოსმენას, როცა სიმარტოვითა და სევდით გულგასენილი დაბრუნდები მათთან. ახლა კი ხელი მომეცი, ჩემო ბიჭო, დამემშვიდობე. მე მოვხუცდი და უკვე მეძინება“.

ავგუსტუსმა ხმაამოუღებლივ გაუნოდა მოხუცს ხელი და დამნუხრებული დაბრუნდა თავის დაცარიელებულ სახლში, რათა უკანასკნელად გაეთია ღამე ძველ სამყოფელში. სანამ ჩაეძინებოდა, სადღაც შორიდან ბავშვობის უტკბილესი ჰანგები მოესმა თითქოს. დილით გაემგზავრა და დიდხანს არაფერი ისმოდა მის შესახებ.

ავგუსტუსს მალე გადაავინწყდა ნათლია ბინსვანგერი თავისი ანგელოზებითურთ. ირგვლივ მდიდრული ცხოვრება დულდა და თავის ტალღებში ითრევდა მას. არავის შეეძლო ავგუსტუსივით ეჭენებინა ცხენი ხმაურიან ქუჩებში, დამცინავი მზერა შეეველო მისი შემყურე გოგონებისთვის, არავის შეეძლო ეცეკვა მისებრ მსუბუქად და მოხდენილად, მისებრ მარჯვედ ემართა ეტლი და მოელხინა ბაღში ზაფხულის ღამეს. მდიდარი ქვრივი, რომლის საყვარელიც ის გამხდარიყო, აძლევდა ფულს, ტანსაცმელს, ცხენებს და ყველაფერს, რაც სჭირდებოდა ან სურდა ჰქონოდა; მასთან ერთად მოგზაურობდა პარიზსა და რომში და მისსავე აბრეშუმის ლოგინში ეძინა. ავგუსტუსის გული კი ამ დროს ეკუთვნოდა ბიურგერის ნაზ, ქერათმიან ასულს, ვისაც მამის შიშით ბაღში მალულად ხვდებოდა ხოლმე ღამლამობით და სამოგზაუროდ წასული გრძელ-გრძელ, მხურვალე წერილებს სწერდა.

მაგრამ ერთხელაც ერთი ასეთი მოგზაურობიდან ავგუსტუსი აღარ დაბრუნებულა. ახალი მეგობრები გაიჩინა პარიზში, მდიდარი საყვარელი მობეზრდა, სწავლაზეც რა ხანია გული აცრუებოდა. უცხო ქვეყანაში დარჩა და დიდკაცურად იწყო ცხოვრება. ჰყავდა ცხენები, ძაღლები, ფულს ჯერ გაფლანგავდა, მერე ისევ იხვეჭდა ოქროს მთელს ზოდებს. მრავალნი სდევდნენ უკან, საკუთარ თავსა და სამსახურს სთავაზობდნენ, ის კი ისეთივე ღიმილით ღებულობდა ყველაფერს, როგორც ერთხელ მიიღო ბეჭედი პატარა გოგონასაგან. ჯადო-ხიბლს დაებუდებინა ჭაბუკის თვალებსა და პაგეზე, ქალები ეხვეოდნენ, მეგობრები აღტაცებულნი იყვნენ და ვერავინ ხედავდა, უპირველეს ყოვლისა კი თვითონ, თუ რა სიცარიელე და სიხარბე დაუფლებოდა მის გულს, რა სწეული და ტანჯული ქმნილიყო მისი სული. დროდადრო თაყვანისმცემლებიც ბეზრდებოდა და მანანწალად გადაცმული მარტო დაეხეტებოდა უცხო ქალაქებში. და მაინც, ყველგან აწყდებოდა მის გამო ღამის გონდაკარგულ ადამიანებს. ყოველივეს ადვილად აღწევდა, ყველგან სიყვარული უღიმოდა, გამალებით რომ სდევდა თან და მისგან სულ მცირედსაც ჯერდებოდა. ხშირად ზიზღი ეუფლებოდა იმ ქალებისა და მამაკაცების მიმართ, ოდნავი სიამაყეც რომ არ გააჩნდათ. მთელ დღეებს ხან თავის ძაღლებთან ატარებდა, ხანაც მთებში, უმშვენიე-

რეს სანადირო ადგილებში. მიპარვით მოკლული ირემი უფრო ახარებდა, ვიდრე ლამაზი, ნებიერი ქალის შეცდენა.

ერთხელ, გემით მოგზაურობისას, ავგუსტუსმა რომელიღაც ელჩის მეუღლეს მოჰკრა თვალი. ეს იყო მკაცრი, მაღალი ქალი, ჩრდილოელი დიდგვაროვანთაგანი, რომელიც ერთობ გამოირჩეოდა ნარჩინებულ ბანოვანთა და მაღალი წრის ადამიანთა შორის. იდგა ამაყად — მდუმარე, თითქოს არავინ იყო მასთან ყოფნის ღირსი. როდესაც ავგუსტუსი დააკვირდა და მის მზერაში გულგრილობა შეამჩნია, ისე შეიქნა, თითქოს პირველად განიცადა სიყვარული. და დაიწყო ზრუნვა ამ ქალის გულის მოსანადირებლად. ამიერიდან ავგუსტუსი მთელ დღეებს უცნობის სიახლოვეს ატარებდა, თუმცა თვითონვე იყო გარშემორტყმული თაყვანისმცემლებით, რომელთაც მასთან დაახლოება სწადიათ. იმრიგად იდგა მკაცრი ლამაზმანის წინაშე, როგორც მეფე თავის დედოფალთან. თვით ქერათმანის ქმარსაც კი შეენიშნა ავგუსტუსი და ყოველნაირად ცდილობდა თავი მოეწონებინა.

უცნობთან მარტო დარჩენის შესაძლებლობა ავგუსტუსს მანამ არ მიეცა, ვიდრე სამხრეთის ერთ ნავსადგურში მოგზაურები გემიდან არ ჩამოვიდნენ, რათა ორიოდ საათით გაეწლოთ უცხო ქალაქში და ცოტა ხნით მაინც ეგრძნოთ ფეხქვეშ ხმელეთი. აქ ავგუსტუსი აედევნა თავის სატრფოს, ბოლოს დრო იხელთა, გააჩერა და ბაზრის ორომტრიალში გამოელაპარაკა. აურაცხელი პატარა, ბნელი ქუჩა გადიოდა ბაზრის მოედნიდან. ავგუსტუსმა ერთი ასეთი ქუჩით სცადა წაეყვანა მას მინდობილი ქალი, მაგრამ ქალმა მარტო რომ იგრძნო თავი და თავისიანთაგან ვერავის მოჰკრა თვალი, შეშინდა, უცებ ვაჟი მთრთოლვარე ხელში სწვდა და თხოვა, ხმელეთზე დავრჩეთ და ერთად გავიქცეთო აქედან.

უცნობი გაფითრდა და თვალები დახარა: „ოჰ, ეს არ არის რაინდის საკადრისი საქციელი, — ჩუმად თქვა მან, — ნება მომეცით დავივიწყო, რაც ახლა მითხარით“.

„მე არა ვარ რაინდი! — შესძახა ავგუსტუსმა. — მე მიჯნური ვარ, ხოლო მიჯნურმა სხვა არავინ იცის, თუ არა სატრფო, და სხვა ფიქრი არა აქვს, თუ არა მასთან ერთად ყოფნა. ნამოდი ჩემთან, ლამაზო, ერთად ბედნიერები ვიქნებით“.

ქალმა ცისფერი თვალები შეავლო, მკაცრმა და მწყრალმა:

„საიდან იცით თქვენ, — ნაირურჩულა ატირებულმა, — რომ მიყვარხართ? არ მოგატყუებთ: მიყვარდით და ხშირად მინატრია თქვენი მეუღლე გავმხდარიყავი. ოჰ, რა ბრმაა სიყვარული! არასოდეს მიფიქრია, რომ ისეთი კაცის სიყვარულსაც შევძლებდი, რომელიც არ აღმოჩნდებოდა წმინდა და ქველი. და მე ვამჯობინებ დავრჩე ათასგზის ერთგული ჩემი ქმრისა, რომელიც, თუმცა ნაკლებად მიყვარს, მაგრამ ის რაინდია, თქვენგან განსხვავებით ღირსებითა და კეთილშობილებით აღსავსე. ერთი სიტყვაც აღარ მითხრათ და ახლავე უკან, გემზე მიმიყვანეთ, თორემ ვინმეს მოვუხმობ საშველად“.

ავგუსტუსი ხან ემუდარა, ხან დაემუქრა ელჩის მეუღლეს, მაგრამ ქალი მოცილდა და წავიდა გემისკენ. ვაჟი უხმოდ ამოუდგა მხარში და გემამდე მიაცილა. შემდეგ ავგუსტუსმა თავისი ბარგი ხმელეთზე ისე გადმოატანინა, არავის გამომშვიდობებია.

მას აქეთ ყველასთვის საყვარელი ადამიანისგან ბედნიერებამ პირი იბრუნა. სიქველე და სათნოება კიდევ უფრო შეიძულა მან და ფეხქვეშ თელავდა. სიამოვნებად გაიხადა ქველ დიაცთა შეცდენა, რისთვისაც თავისი მომნუსხველობის ყველა ხერხს იშველიებდა. უბოროტო ძამაკაცებს, უნინ რომ ემეგობრებოდა, ახლა ჯერ იყენებდა, მერე მასხრად იგდებდა და იცილებდა თავიდან. აუბედურებდა ქალებსა და გრგონებს და მერე თავს ანებებდა; ეძებდა ახალგაზრდა, კეთილშობილ რჯანისშვილებს და გზას აცდენდა, ლუპავდა. არ არსებობდა სიამე, რომლისთვისაც არ მიეგნო და ბოლომდე არ ეგემნა, უხამსობა, რომელიც ჯერ არ შეესისხლხორცებინა და მერე არ უკუეგდო. ავგუსტუსის გულს ამით შვება მაინც არ ეფინებოდა და არც ყოველი მხრიდან მოძალებულ სიყვარულს პასუხობდა მისი სული.

უხიაგი და უყმური ავგუსტუსი ზღვის სანაპიროზე კობტა სახლში ცხოვრობდა. იქ ჩასულ ქალებსა და მეგობრებს უსაზმნო ჭირვეულობით ტანჯავდა. ცდილობდა, დაემცირებინა ადამიანები, ყოფილიყო გულგრილი. მოყირჭებული და მობეზრებული ჰქონდა სიყვარული, რომელიც არასოდეს უნატრია, არ უთხოვია და არ დაუმსახურებია. ავგუსტუსი გრძნობდა თავისი განიავებული ცხოვრების ამაოებას, მთელი ამ ხნის მანძილზე ხომ არაფერი გაუღია, მხოლოდ იხვეჭდა. ხანდახან ხანგრძლივად შიმშილობდა კიდევ, რათა ერთხელ მაინც ეგრძნო ნამდვილი სურვილი და აღძრული მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. მეგობრებში ხმა გაავრცელა, თითქოს ავად იყო და მოსვენება და სიმარტოვე ესაჭიროებოდა. მიღებულ წერილებს არც კითხულობდა და შეშფოთებული ადამიანები მსახურებს ეკითხებოდნენ მისი ჯანმრთელობის ამბავს თავად კი, დიდ სიმძიმის ში ჩავარდნილი, იჯდა თავის ზღვისპირა დარბაზში და თვალწინ გადაშლოდა განვლილი ცხოვრება, ცარიელი, მწირი და უნაყოფო, რომელშიც სიყვარულის ნატამალიც კი არ ერია, ისევე როგორც მღელვარე ზღვის მლაშე წყალში. საზარელი სანახავი იყო მაღალ ფანჯარასთან ფეხმორთხმული ავგუსტუსი, საკუთარ თავს როცა განიკითხავდა. თეთრი თოლიები დაფრინავდნენ ქარში, ისიც აყოლებდა მათ უაზრო მზერას და ამ მზერიდან გამქრალიყო ყოველგვარი სიხარული და სასოება. როდესაც ფიქრი დაასრულა და ზარით მოუხმო მსახურს, ბაგენილა უღიმოდა ცივად და ბოროტად. მსახურს უბრძანა, დათქმულ დღეს მეჯლისზე ყველა მისი მეგობარი მოეწვია. განზრახული ჰქონდა, სიცოცხლე სანამლავით მოესწრაფა და უკვე წარმოედგინა, როგორ დაფრთხებოდნენ და გამასხრდებოდნენ სტუმრები, დაცარიელებული სახლი და მისი გვამი რომ შერჩებოდათ ხელში.

სალამო ჟამს, დათქმული მეჯლისის წინ მსახურები დაითხოვა სახლიდან. დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა. იგი შევიდა საძინებელ ოთახში, ძლიერი სანამლავი გაურია ერთ ჭიქა კვიპროსულ ღვინოს და პირთან მიიტანა. ის იყო, უნდა შეესვა, რომ კარზე დააკაკუნეს. პასუხი რომ არ გასცა, კარი გაიღო და ჩია ბერიკაცი შემოვიდა. იგი ავგუსტუსთან მივიდა, მზრუნველად გამოართვა სავსე ჭიქა და კარგად ნაცნობი ხმით უთხრა: „სალამო მშვიდობისა, ავგუსტუს, როგორ გიკითხო?“

განცვიფრებულ, გაღიზიანებულ და თან დარცხვენულ ავგუსტუსს ჩაეცინა და მიუგო: „ბატონო ბინსვანგერ, კიდევ ცოცხალი ხართ? ჩვენი ბოლო შეხვედრიდან კარგა ხანი გავიდა, თქვენ კი როგორც ვხედავ, ხანი

არ მოგმატებიათ. მაგრამ ახლა ხელს მიშლით, საყვარელო ადამიანო, მე დალლილი ვარ და ბანგის შესმას ვაპირებ“.

„ვხედავ, — მშვიდად უპასუხა ნათლიამ. — შენ გინდა ბანგის შესმა და მართალიც ხარ. ეს ის ღვინოა, რომელსაც კიდეც ერთხელ შეუძლია გიხსნას. მაგრამ მანამდე ცოტა გავისაუბროთ, ჩემო ბიჭო, მე დიდი გზა გამოვიარე და თუ არ გენყინება, ერთი ყლუპით ყელს გავისველებ“.

მოხუცმა აიღო ჭიქა, პირთან მიიტანა და ვიდრე ავგუსტუსი რაიმეს ილონებდა, ერთბაშად გამოსცალა.

ავგუსტუსი მიცვალებულივით გაფითრდა, მივარდა ნათლიას, შეანჯღრია და ხმამაღლა დაუყვირა: „ბერიკაცო, იცი, რა დალიე შენ?“

ბატონმა ბინსვანგერმა ჭკვიანი, თმათეთრი თავი დაუქნია და გაიღიმა: „ეს კვიპროსული ღვინოა და ვფიქრობ, საკმაოდ რიგიანიც. ჩანს, კარგად ცხოვრობ. მაგრამ მე ცოტა დრო მაქვს და თუკი მომისმენ, დიდი ხნით არ შეგანყენ თავს“.

დაბნეული ავგუსტუსი თვალებში შიშჩამდგარი შეჰყურებდა ნათლიას და ყოველ წამს მოელოდა მის ნაქცევას.

ნათლია კი ხალისიანად ჩამოჯდა სკამზე და ახალგაზრდა მეგობარს კეთილგანწყობით დაუქნია თავი: „გგონია, ერთი ყლუპი ღვინო რამეს დამაკლებს? ფიქრი ნუ გაქვს. მოხარული ვარ, ასე რომ ზრუნავ ჩემზე, მე ხომ შენში არც არასოდეს შემპარვია ეჭვი. ახლა მოდი, კიდეც ერთხელ ვისაუბროთ ძველებურად! ვხედავ, როგორ დანაყრებულხარ იოლი ცხოვრებით. მე კარგად მესმის შენი და როცა ნავალ, შეგიძლია ისევ შეავსო ეგ ჭიქა და დალიო. მანამდე კი რალაც მინდა გიამბო“.

ავგუსტუსი კედელს მიეყრდნო და ყური მიუგდო მოხუცის თბილ, სასიამოვნო ხმას, ბავშვობის დროიდან ასე ნაცნობს, ახლა წარსულის ლანდებს რომ აღვიძებდა მის სულში. დიდი სირცხვილი და სიმძიმე დაეუფლა, რადგანაც თავის უმანკო სიყმაწვილეს პირდაპირ გაუსწორა თვალი.

„შენი საწამლავი მე დავლიე, — განაგრძობდა მოხუცი, — ვინაიდან მე ვარ მიზეზი შენი უბედურებისა. დედაშენმა ნათლობის დღეს ერთი სურვილი ჩაგიტევა, თუმცა უსაზმნო, მაგრამ მე მაინც შევასრულე. შენ ეს არ იცი, მხოლოდ გუმანით გრძნობ, რომ რალაც წყევლასავით დაგყვება თან. ვწუხვარ, ასე რომ მოხდა და რარიგ გავიხარებდი, ერთხელ კიდეც მენახე ჩემს ბუხართან ჩამომჯდარი და ანგელოზთა გალობას მიყურადებუი. ეს იოლი არ არის და ახლა არც კი მჯერა, რომ შენი გული ოდესმე ისევ ჯანსაღი, წმინდა და სათუთი გახდება. მაგრამ იცოდე, ეს ასე იქნება, თუკი მოინდომებ. საბრალო დედაშენის სურვილი ცუდად მოგიბრუნდა, ავგუსტუსს! რა იქნება, ნება მომცე, რაიმე სურვილი აგისრულო? შენ ხომ ფულსა და ქონებას აღარ ინატრებ, აღარც ძალაუფლებასა და ქალებს დახარბდები. ეს ყოველივე თავსაყრელად გქონდა. დაფიქრდი, და თუ მიიჩნევ, რომ იცი ჯადო, რომელიც დალუპულ ცხოვრებას კვლავ გაგიღამაზებს და თუნდაც ერთხელ განგაცდევინებს ნამდვილ სიხარულს, ისურვე!“.

ღრმად ჩაფიქრებული იჯდა ავგუსტუსი, დუმდა. დალლილმა და სასომიხდილმა ცოტა ხნის შემდეგ მიუგო: „მადლობელი ვარ, ნათლია ბინსვანგერ, მაგრამ მგონი, ველარაფერი გამოასწორებს ჩემს აწეწილ ცხოვრ-“

რებან. აჯობებს ის მოვიმოქმედო, რასაც შენს მოსვლამდე ვაპირებდი. მაღლობელი კი ვარ მონახულებისთვის“.

„ჰო, — თქვა მოხუცმა ჩაფიქრებით. — როგორც ვხედავ, მეტი სმეტად მძიმე დღეში ჩავარდნილხარ. მაგრამ კიდევ ერთხელ დაფიქრდი, ავგუსტუს, იქნებ გაიხსენო, რა გაგხარებია ყველაზე მეტად ამ ბოლო ხანს, ან ეგებ ძველი დრო მოიგონო, როცა დედაშენი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მწუხრისას ჩემთან შემოდის ხოლმე, განა არ იყავი მაშინ ნამდვილად ბედნიერი?“

„დიახ, ეს იყო ოდესღაც... — დაეთანხმა ავგუსტუსი და თავისი ნათლითმოსილი სიყმანვილე ძალზე შორეული და მკრთალი ეჩვენა, მსგავსი ბუნდოვანი ანარეკლის, ძველისძველ სარკეში, — მაგრამ ეს ხომ აღარ განმეორდება. მე არ შემძლია ვინატრო ისევე ბავშვად ვიქცე, ოჰ, მაშინ ხომ ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა!“

„ჰო, მართალი ხარ, ეს უაზრობა იქნებოდა, მაგრამ აბა, კიდევ ერთხელ გაიხსენე ის დრო, როცა ერთად ვიყავით, ანდა ის საბრალო გოგონა, სტუდენტობისას მამისეულ ბაღში რომ ხვდებოდი ლამლამობით. გაიხსენე ქერა ლამაზმანი, რომელთან ერთადაც გემით იმოგზაურე, გაიხსენე ყოველი ბედნიერი წუთი, როდესაც ცხოვრება შენთვის კარგი და ფასეული იყო. იქნებ გამოიცნო, რა განიჭებდა მაშინ ბედნიერებას და სწორედ ეს სურვო. ინატრე ნათლიის ხატრით მაინც, ჩემო ბიჭო!“

ავგუსტუსმა თვალები დახუჭა და გადახედა განვლილ ცხოვრებას ისე, როგორც ბნელი გვირაბიდან გახედავენ ხოლმე უკან დარჩენილ იმ შორეულ სინათლეს, გზის დასაწყისში რომ ანათებს. მან დაინახა, რა გასხივოსნებული და მშვენიერი იყო ოდესღაც მისი გარემო და მერე ნელ-ნელა როგორ შემოალამდა. ახლა ის იდგა სრულ წყვილიადში და აღარაფერი ახარებდა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო მშვენიერი, საყვარელი და სასურველი ეჩვენებოდა შორეული სინათლე. ბოლოს ყველაფერს მიხვდა და ცრემლი გადმოედინა თვალთაგან.

„კეთილი, მე ვცდი, — უთხრა ნათლიას, — ამხსენი ძველი ჯადო, რომელიც ვერ დამეხმარა და მომეცი ახალი, ისეთი, ადამიანთა სიყვარულს რომ შემადლებინებს“.

ატირებული ავგუსტუსი მუხლებზე დაეცა ძველი მეგობრის წინ და იგრძნო, რომ ამ მოხუცისადმი სიყვარულს უკვე გაეთბო მისი გული; მოხუცისადმი, ვინც სრულიად მივიწყებული სიტყვები და სახეები დაუბრუნა. ნათლიამ ნაზად მოჰკიდა ხელი მკლავზე, საწოლთან მიიყვანა, დაანვინა, მოეფერა თმასა და გახურებულ შუბლზე.

„კარგია, — ჩასჩურჩულა მან, — კარგია, ჩემო ბიჭო, ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნება“.

ავგუსტუსმა საშინელი დაღლილობა იგრძნო, თითქოს ერთბაშად დაბერებულმა თავი მისცა ღრმა ძილს, მოხუცი კი ჩუმად წავიდა ცარიელი სახლიდან.

ავგუსტუსი ველურმა ღრიანცელმა გამოაღვიძა, მის უზარმაზარ სახლში რომ ამტყდარიყო, როცა წამოდგა და კარი შეაღო, დაინახა, რომ დარბაზებსა და ოთახებში ტევა აღარ იყო მის ძველ მეგობართაგან. წვეულებაზე დაპატიჟებულთ ცარიელი სახლი რომ დახვედრიათ, იმედგაცრუებულნი საშინლად განრისხებულიყვნენ. ავგუსტუსი გამოვიდა და ღიმი-

ლითა და სახუმარო სიტყვებით შეეცადა ისევ დაებრუნებინა მათი კეთილგანწყობა, მაგრამ უეცრად იგრძნო, რომ ეს უნარი წართმეოდა. ის იყო თვალი მოჰკრეს, ყველა ერთხმად აყვირდა და როდესაც მასპინძელმა უმწეოდ გაიღიმა და თავდასაცავად გაშალა ხელები, გაცხარებით შემოუტიეს. „გაიძვერავ! — უყვიროდა ერთი, — სად არის ჩემი ვალი?“ შემდეგ მეორე: „ჩემი ცხენები?“ შემდეგ ერთი ლამაზი, განრისხებული ქალი: „მთელ ქვეყანას მოსდუ ჩემი საიდუმლოებანი! ოჰ, როგორ მძულს ჩემი ურჩხულო!“ ხოლო ერთმა ჭაბუკმა ცარიელი თვალები და დარდისაგან დაღრეჯილი სახე რომ ჰქონდა, უყვირა: „ეს რა დღეში ჩამაგდე, შე სატანა, ახალგაზრდების დამღუპველო!“

ასე გრძელდებოდა, ყველა სათითაოდ ლანძღავდა და აგინებდა ავგუსტუსს და ყველა მართალი იყო. ერთი-ორმა სცემა კიდევ, წასვლისას სარკეები დალენეს და თან უამრავი ძვირფასეულობა წაიღეს. ნაგვემი და შეურაცხყოფილი ავგუსტუსი იატაკიდან წამოდგა, საძინებელ ოთახში შევიდა და სარკეში ჩაიხედა; სარკიდან მას სახედამჭკნარი, თვალებდანიშნული, აცრემლებული და შუბლდასისხლიანებული კაცი შემოაცქერდა.

„ესეც სამაგიერო, — ჩაილაპარაკა და სისხლი ჩამოიბანა სახიდან. ჯერ კიდევ არ იყო გონს მოსული, რომ სახლში ისევ ატყდა ხმაური და ისევ მოაწყდა ხალხი კიბეებს: აქ იყო მევალე, რომელსაც მისი სახლი დაეგირავებინა, აქ იყო კაცი, ვისი შვილებიც მისი წყალობით გარყვნილებასა და უბედურებაში ჩაცვენილიყვნენ, აგრეთვე დათხოვნილი მსახურები და მოახლეები, პოლიციელები და ვექილები. ერთ საათში ბორკილდადებული ავგუსტუსი ეტლით მიიყვანეს ციხეში. გზის აქეთ-იქით თავშეყრილი ხალხი დრტვინავდა და დამცინავ სიმღერებს მღეროდა. ვიღაც ქუჩის ბიჭმა ტალახის გუნდაც კი ესროლა სახეში.

თურმე მთელი ქალაქი წაელეკა ამ ყველასათვის საყვარელი და მახლობელი ადამიანის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს. ყველა დანაშაულს მას მიაწერდნენ ბრალად. არც ის ცდილობდა დიდად თავის მართლებას. მოსამართლეთა წინაშე იდგნენ ავგუსტუსისგან დიდი ხნის წინ მივიწყებული ადამიანები, რომლებიც ოდინდელ საქმეებს უხსენებდნენ; ყოფილი მსახურებიც — ბატონისგან ხშირ წყალობას ჩვეულთ მაინც რომ ვერ მოეშალათ ქურდობა — მის გარყვნილებას ამხელდნენ. ყოველ მათგანს სახეზე ზიზღი და სიძულვილი აღბეჭდვოდა. არავინ იყო ისეთი, ვინც ერთ კეთილ სიტყვას შეაწევდა ავგუსტუსს, გაამართლებდა და რაიმე სიკეთეს მაინც გაუხსენებდა.

ავგუსტუსი მინებდა მოვლენათა მსვლელობას, ითმინა საკნიდან საკანში თრევა, მოსამართლეები, მოწმეები. გაკვირვებული და ნალვლიანი შეჰყურებდა გაავებულ, შეშლილ და მტრულად განწყობილ სახეებს და თითოეული სახის მიღმა ავგუსტუსი ხედავდა, როგორ შთაენტქა ყოველივე მშვენიერი და ნათელი ზიზღსა და სიძულვილს, ეს ადამიანები დაფარულად რომ ატარებდნენ გულის სიღრმეში. განა ისინი არ იყვნენ, ოდესღაც რომ უყვარდათ ავგუსტუსი, თვითონ — არასოდეს, არავინ. ამჯერად იგი დიდსულოვნად მიუტევებდა ყველას ყველაფერს და ცდილობდა, მხოლოდ კარგი რაიმე მოეგონებინა.

საბოლოოდ ციხეში ამოაყოფინეს თავი და აღარავის ჰქონდა მისი ნახვის უფლება. სიცხიან მანებებში ის ხან დედას ელაპარაკებოდა, ხან

პირველ სატრფოს, ხან ნათლია ბინსვანგერსა თუ ჩრდილოელ ქალს. ერთ დღეს, გაღვიძებისას, ეულმა და მიუსაფარმა მთელი სისრულით იგრძნო ტანჯვა, დარდი და სიმარტოვე. არასოდეს მონატრებია ესოდენ მძაფრად ადამიანის დანახვა, არც რაიმე სიამე უნატრია ასე და არც რაიმეს შეძენა.

როცა ავგუსტუსი ციხიდან გამოვიდა, ავადმყოფი და დაბერებული, უკვე ველარავინ ცნობდა. ცხოვრება თავისი გზით მიედინებოდა. ქუჩები ძველებურად სავსე იყო ხალხით, ვინ ცხენს მიაჭენებდა, ვინ ფეხით სეირნობდა, გასაყიდად გამოეფინათ ხილი და ყვავილები, სათამაშოები და გაზეთები. ავგუსტუსს არავინ გამოცნაურებია. სწორედ ის ლამაზმანები, ერთ დროს შამპანურითა და მუსიკით რომ ხიბლავდა და გულში იკრავდა, ახლა ეტლებით ჩაუქროლებდნენ და მათგან ადენილი მტვერიღა ეყრებოდა ავგუსტუსს.

სამაგიეროდ, შემზარავი სიცარიელე და მარტოობა, გამუდმებით რომ სდევდა მთელი მისი ბრწყინვალე ცხოვრების მანძილზე, ახლა სრულიად გასცლოდა. სადმე ჭიშკარში რომ შევიდოდა და მცირე ხნით ჩრდილს შეეფარებოდა, ანდა ეზოში ჭიქა წყალს მოითხოვდა, უკვირდა — რა უყმურად და მტრულად ექცეოდნენ ადამიანები, რომლებიც ადრე მის ქედმაღლურ, უსიყვარულო სიტყვებზე მაღლიერნი და თვალებგაბრწყინებულნი პასუხობდნენ. ახლა მას ახარებდა და გულში წვდებოდა ყოველი ადამიანის შემოხედვა; უყვარდა ეზოში მოთამაშე ან სკოლაში მიმავალი ბავშვების ცქერა. უყვარდა მოხუცები, თავიანთი სახლების წინ ჩამომსხდარნი, მზეზე რომ ითბობდნენ დამჭკნარ ხელებს. აკვირდებოდა ჭაბუკს, სევდიან მზერას რომ აყოლებდა გამვლელ გოგონას; მუშას, რომელიც სალამოს შინ დაბრუნებული გულში იკრავდა შვილებს; თავის ავადმყოფებზე ზრუნვით აღსავსე ლამაზ, საზრიან ექიმს, უხმაუროდ და სწრაფად რომ ჩაიქროლებდა ეტლით, ან ღარიბ, ცუდად ჩაცმულ მეძავს, რომელიც სალამოყამს გარეუბანში ფარანთან იცდიდა და თვით მას, ყველასგან მოძულეებულსაც კი, სთავაზობდა სიყვარულს — ახლა ყველანი მის დებად და ძმებად ქცეულიყვნენ, ყოველი მათგანი გულში ატარებდა მოგონებას საყვარელ დედაზე ანდა ოცნებას უკეთეს მერმისზე, ან რაღაც მშვენიერი და მარადიული დანიშნულების იდუმალ ბეჭედს. ყოველი მათგანი საყვარელი და ძვირფასი იყო ავგუსტუსისთვის და თანდათან რწმუნდებოდა, რომ მასზე უღირსი ადამიანი არ დადიოდა ამ ქვეყანაზე.

ავგუსტუსმა გადაწყვიტა ემოგზაურა და ეპოვა ადგილი, სადაც შესაძლებლობა მიეცემოდა, რაიმეში გამოსდგომოდა ადამიანებს და თავისი სიყვარული საქმით დაემტკიცებინა მათთვის. რა ხანია შეგუებულყო იმ აზრს, რომ თავისი გარეგნობით ამიერიდან ველარავის მოხიბლავდა. სახე დაუჭკნა, სამოსი და ფეხსაცმელი გლახაკისას დაემსგავსა, აღარც ხმა და სიარული უგავდა იმ კაცისას, ვინც ოდესღაც ქვეყნიერებას ალაფროთოვანებდა და აჯადოებდა. ბავშვებს ეშინოდათ მისი ჭალარისა და გრძელი, აჩეჩილი წვერისა. კარგად ჩაცმულნი მასთან სიახლოვეს უკადრისობდნენ — სწული და ჭუჭყიანი ეგონათ. თვით გლახაკიც კი უნდობლობით ეკიდებოდნენ უცნობს, ეჭვობდნენ, ვაითუ ჩვენს კუთვნილ ორიოდ გროშს შეგვეცილოსო. ავგუსტუსს კი სურდა ვინმეს რამეში გამოსდგომოდა, იგი სწავლობდა და ეჩვეოდა იმას, რომ არაფერი წყენოდა, დახმარებოდა თუნდაც იმ ბავშვს, ამოდ რომ იკდილობდა, შეწვდენოდა საფუნთუშეს კა-

რის ურდულს. ზოგჯერ ნაანყდებოდა მასზე უფრო საცოდავს, ბრმას ან დავრდომილს, რომლისთვისაც შეეძლო დახმარება გაეწია და სიხარულით გასცემდა იმ მცირედს, რაც გააჩნდა: ნათელ, კეთილ მზერას და ძმურ სალამს, ურთიერთგაგებითა და თანაგრძნობით სავსე გამომეტყველებას. თანდათანობით სწავლობდა ადამიანის ცნობას — ვინ რას მოელოდა, ვის რა ახარებდა. ერთს — ომახიანი, მხურვალე სალაპი, მეორეს უხმოდ გვერდის ავლა. ავგუსტუსს სულ უფრო მეტად აოცებდა მისი უხედავად ამდენი გასაჭირისა, მაინც რა ბედნიერია ადამიანი, რაოდენ ემატება მას სასიცოცხლო ძალა და ხალისი, როდესაც ხედავს მხიარულ სიცილს ქმუნვის გვერდით, გონებამახვილობას, ნუგეშსა და ღიმილს ჭირისა და ვალების ჟამს.

ეს წუთისოფელი ავგუსტუსს საუცხოოდ მოწყობილი ეჩვენებოდა. როდესაც ქუჩის კუთხეში შეუხვევდა და მისკენ ხტუნვა-ხტუნვით გამოქანდებოდნენ სკოლის ბავშვები, იმდენი გამბედაობა, ცხოვრების ხალისი და ბავშვური სილაზათე კრთოდა მათი თვალებიდან, რომ აღარ წყინდა, თუკი ისინი ცოტას კიდევ გამოაჯავრებდნენ, ანდა გაანვალებდნენ. განა თვითონ არ იცოდა, რა სასაცილოდ გამოიყურებოდა! მეტადრე როცა ვიტრინაში, ან წყლის დაღვევისას ჭაში მოჰკრავდა თვალს საკუთარ ანარეკლს — ჩაჩანაკსა და მწირს. არა, მისთვის აღარ იყო მთავარი ადამიანებს მოსწონებოდათ ანდა შთაბეჭდილება მოეხდინა მათზე. ეს ყველაფერი ხომ მოყირჭებული ჰქონდა, ამჯერად ავგუსტუსისთვის საინტერესო იყო მათი ხილვა, ვინაც მის მიერ უკვე განვლილ გზას დასდგომოდა. რაოდენ დიდი ძალისხმევით, მგზნებარებით, სიამაყითა და სიხარულით მიისწრაფოდნენ ყველანი თავიანთი მიზნებისაკენ — ეს იყო ნამდვილად დიდებული სარახაობა.

ამასობაში დაზამთრდა, მერე ისევ გამოზაფხულდა. ავგუსტუსი დიდხანს იწვა უსახლკაროთა თავშესაფარში. მშვიდი და მადლიერი, აქ ის განიცდიდა ბედნიერებას უპოვარი, დავრდომილი კაცისა, რომელიც გაასმაგებული ძალითა და სურვილით ეჭიდება სიცოცხლეს და ბოლოს საკუთარი თვალით ხედავს სიკვდილის დათრგუნვას. საოცარი სანახავე იყო მძიმე ავადმყოფთა მოთმინება, სიცოცხლის კრთომა უკვე სიჯანსაღისკენ მობრუნებულთა თვალებში. მშვენიერი იყო მიცვალებულთა წყნარი, ღირსეული სახეები და კიდევ უფრო მშვენიერი — სიყვარული და სასოება ლამაზი, სისუფთავისმოყვარე მომვლელებისა, მაგრამ ავგუსტუსის აქ ყოფნის დროც მიიწურა.

შემოდგომის ქარი ქროდა და ისიც განაგრძობდა მოგზაურობას. უჩვეულოდ მოუთმენელი ხდებოდა, როცა ხედავდა, რა უსაშველოდ ნელა მიიწევდა წინ. აკი ავგუსტუსს სურდა ყველგან შეეველო და მრავალი მოეკითხა. თმა შეევერცხლა, დანითლებულ, სნეულ ქუთუთოებიდან მომზირალ თვალებში ღიმილი უკრთოდა, მეხსიერება თანდათან დაებინდა, ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ქვეყნიერებას პირველად ხედავდა. ყველაფრით ემაყოფილი იყო, სამყაროც მისთვის მშვენიერი და სიყვარულის ღირსი გამხდარიყო.

ასე ჩავიდა ზამთრის პირს ერთ ქალაქში. ჩაბნელებულ ქუჩებში წყნარად ბარდნიდა. გარეთ მოთამაშე ბიჭებმა თოვლის გუნდები დაუშინეს მოგზაურს. მწუხრის სიმშვიდე ეფინა ყოველივეს. ავგუსტუსი ძალზე დაქანცულიყო. ჯერ ერთ ვიწრო ქუჩას შეუყვა, რომელიც ნაცნობი ეჩვენა,

შემდეგ მეორეს და უეცრად ცივ ნამქერში ჩაფლული დედისეული სახლი და ნათლია ბინსვანგერის პატარა, ძველი ქოხი დაინახა. ქოხის ერთი განათებული სარკმელი მშვიდად ციმციმებდა ზამთრის ღამეში.

ავგუსტუსი მივიდა და კარზე დააკაკუნა. ჩია ბერივაცი გამოვიდა და უსიტყვოდ შეუძღვა ოთახში. აქ სიტბო და სიმყუდროვე სუფევდა, ბუხარში ნელი ცეცხლი ენთო.

„მშიერი ხარ?“ — ჰკითხა ნათლიამ. ავგუსტუსს არ შიოდა, გაიღიმა და თავი გააქნია.

„დაიღალე არა?“ — კვლავ შეეკითხა ნათლია და ძველი ტყავი დააფინა ძირს. მოხუცები ფეხმორთხმით ჩამოსხდნენ გვერდიგვერდ და ცეცხლს მიაჩერდნენ.

„შენ დიდი გზა გამოიარე, ავგუსტუს“.

„ოჰ, ეს მართლაც მშვენიერი გზა იყო. ერთი კია, დავიღალე. თუ ნებას მომცემ, ცოტას წავუძინებ და დილით გზას განვაგრძობ“. „როგორც გენებოს. არ გინდა ისევ ნახო ანგელოზთა ცეკვა?“ „ანგელოზები? ოჰ, ცხადია მინდა, ოღონდ როცა ისევ ბავშვად ვიქცევი“. „რა ხანია, ერთმანეთი აღარ გვინახავს, — დაიწყო ნათლიამ. — შენ ისევ ლამაზი ხარ, ისეთივე კეთილი და თვინიერია შენი თვალები როგორც უნინ, როცა დედაშენი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მოხარული ვარ, რომ გხედავ“.

ჩამოძონძილი მოგზაური მეგობრის გვერდით ჩამომჯდარიყო. არასოდეს უგრძენია ასეთი დალლა. საამურ სიტბოს და ცეცხლის ტკრციალს ისე გაებრუებინა, ვეღარ გაერჩია აწმყო წარსულისაგან.

„ნათლია ბინსვანგერ, — თქვა მან, — უნესოდ მოვიქეცი და დედამ ამის გამო იტირა. უთხარით დედას, რომ ამიერიდან ისევ კეთილი გავხდები“. „კარგი, — მიუგო ნათლიამ, — ოღონდ დამშვიდდი, დედას შენ მაინც უყვარხარ“.

ცეცხლი მიინავლა და ავგუსტუსმა ძილნასვამი თვალები მიაპყრო სუსტ ათინათს, როგორც ოდესღაც ჩვეოდა შორეულ სიყრმეში, თავს ნათლიას კალთაში რომ ჩაუდებდა ხოლმე. მშვენიერი, სიხარულით სავსე მუსიკა გაისმა ბნელ ოთახში, ნაზი და ნეტარების მომგვრელი. ათასობით სულიერი გაჩნდა საიდანღაც, ჰაერში წრეებს ხაზავდნენ მხიარულად და მიუწვდომელი ხელოვნებით — ხან ყველა ერთად, ხანაც წყვილ-წყვილად. შეჰყურებდა ავგუსტუსი მათ, ყურს უგდებდა გალობას და ყოველი უნაზესი ბავშვური განცდა სულ ახალ და ახალ სამოთხეებს უხსნიდა.

უცბად მოეჩვენა, რომ დედამ დაუძახა, მაგრამ ავგუსტუსი ისეთი დაღლილი იყო... თანაც ნათლია შეჰპირდა, დედაშენს თვითონვე მოველაპარაკებო, და როდესაც მიიძინა, ნათლიამ ხელები დაუკრიფა მკერდზე და მანამდე ედო ყური მის დადუმებულ გულზე, სანამ ოთახში სრულიად არ ჩამოღამდა.



თეთრი ძაღლი



თარგმნა დიდი მკვლევარმა

ნაცრისფერი ძაღლი იყო, დრუნჩის მარჯვენა მხარეს ხალივით მეჭეჭი აჯდა, ცხვირის ირგვლივ მწითური ბალანი ჰქონდა მოდებული იმ თავგამოდებული მწველივით, ჩემი ბავშვობის დროინდელ ნიცაში რომ მინახავს ერთ ბარში, რომელსაც აბრაზე „მწველი ქოფაკი“ ეწერა.

იდგა ოდნავ თავგადახრილი, თვალმოუცილებლად მიყურებდა და მის დაძაბულ, დაჟინებულ მზერაში ის გაუსაძლისი, მტანჯველი იმედი გამოსჭვიოდა, რომლითაც დაკარგული ძაღლები გამვლელებს მისჩერებიან. ნამდვილი მოჭიდავის მკერდი ჰქონდა. შემდეგში, როცა ჩემი ბებერი სენდი არ ასვენებდა და საჩხუბრად იწვევდა, რამდენჯერ მინახავს, ბულდოზურივით მკერდით როგორ მოუშორებია აბეზარი.

ჩემს ცხოვრებაში იგი 1968 წლის 17 თებერვალს გაჩნდა ბევრლიპილში, სადაც ჩემს მეუღლესთან — ჯინ სიბერგთან ვიყავი ჩასული, იქ მას ფილმში იღებდნენ. იმ დღეს ლოს-ანჯელესში თავსხმა წვიმა წამოვიდა, გაბმული და გადაუღებელი. სულ რამდენიმე წუთში წყალი ისე ტბასავით ჩადგა, დაპატარავებული „კადილაკები“ შიგ უმწეოდ დაფართხუნებდნენ. ქალაქმა კი ისეთი შეუსაბამო იერი მიიღო, როგორც იმ საგნებს აქვს, არადანიშნულებისამებრ რომ იყენებენ და როგორსაც სიურეალისტებმა დიდი ხანია მიგვაჩვიეს. ვიჯექი და ჩემს ძაღლზე — სენდიზე ვფიქრობდი. იგი გუშინ საბედოს საძებნად სანსეტ-სტრიპისაკენ წავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულიყო. ჩვენს ოჯახში გამეფებული მაღალი ზნეობის წყალობით ოთხ წლამდე სენდიმ თავი უმანკოდ შეინახა, მაგრამ ვილაც დოპენი დრაიველმა ძუკნამ გონება ისე აურიო, თავი დააკარგვინა და მალე მისი ბურჭუაზიული აღზრდისა და სამაგალითო ჩვევებისაგან ნასახიც აღარ დარჩა, რამეთუ უეშმაკო, მიმნდობი და მიამიტი სენდი ჯერ მზად არ იყო პოლივუდის კინემატოგრაფიულ წრეებში მოსახვედრად.

მე და ჩემმა ცოლმა პარიზიდან მთელი ჩემი სამხეცე ჩამოვაბრძანეთ. რა აღარ გვყავდა სამხეცეში — ბირმული კატა ბრუნო თუ მისი სიამელი დობილი მაი, რომელიც, მართალია, ბიჭი იყო, მაგრამ წარმოდგენა არა მაქვს, გოგოდ რატომ მოვნათლეთ. აღბათ იმ ნაზი ალერსის გამო, რითაც ასე უხვად გვაჯილდოებდა. გვყავდა კიდევ ერთი ბებერი კატა ბიპო, ისეთი ველური და კაცთმოძულე, საკმარისია ოდნავ მოჰფერებოდი, ბრჭყალებს გამოუშვებდა და გჩხაპნიდა. აგრეთვე კოლუმბიიდან წამოყვანილი ტუკანი ბილი-ბილი და დიდებული შვიდმეტრიანი პითონი, ზედმეტ სახელად პითი-მახრჩობელა, რომელსაც ტუკანთან ერთად კოლუმბიის ჯუნგლე-

ბში გადავეყარე და რომელიც ამას წინათ სან-ფერნანდოს ველზე ჯექ კარუტერსის კერძო ზოოპარკს გადავეცი, რა უნდა მექნა, თუკი ჩემმა მეგობრებმა უარი განაცხადეს პითის მოვლაზე, მე კი რალაც უჩვეულოსათუ, არ ვიცი, რის საძებრად კონტინენტიდან კონტინენტზე ნეტარად დავინყე, ვინაიდან ადამიანისათვის ჩვეულმა იმ სენმა შემომიტირა, რომლის დროსაც კაცი საკუთარ კანში ვერ ეტევა და კლაუსტროფობიამდე მიდის. ვფიქრობ, აჯობებს ახლავე მოგახსენოთ, რომ მთელს ჩემს მემკვიდრეობა-ძიების მანძილზე რაიმე სხვა ანუ უჩვეულო ვერაფერი ვიპოვე, მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმ საოცარ მადრასულ სიგარებს, რომელიც ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე დიდსა და სასიამოვნო სიზრპრებს წარმოადგენს.

დროდადრო იმ ჩემს პითონსაც მოვინახულებდი, შევიდოდი ჯექ კარუტერსის მიერ მწერლებისადმი პატივისცემის ნიშნად პითისათვის საგანგებოდ გამოყოფილ გალიაში და ფეხი ფეხზე გადადებული მოვიკალათებდი პითის წინ. მერე დიდხანს შევყურებდით გახვევებულები და უზომოდ განცვიფრებულები ერთმანეთს — არც ერთსა და არც მეორეს ძალა არ შეგვწევდა აგვეხსნა, რა მოხდა ჩვენს თავს, არ შეგვეძლო გაგების თუნდაც ის იოტისოდენა მარცვალი გაგვეზიარებინა ერთურთისათვის, ძველი გამოცდილებით რომ დაგვიგროვდა. პითონის ან ადამიანის ტყავში მოხვედრა ჭეშმარიტად საოცრება გახლდათ და ერთად განცდილი ეს ამბავი მართლაც რომ ძმებად გვხდიდა.

იმის გამო, რომ პითონები გორგლად არასოდეს ეხვევიან, პითი ხანდახან სამკუთხედად მოიგრაგნებოდა და ამ დროს ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს რალაცას მანიშნებდა და უნდა გამომეცნო. მაგრამ შემდეგ ამიხსნეს, სამკუთხედ დაგრაგნა მისი თავდაცვითი პოზიციაა, ასე მაშინ იხვევა, როცა რამე საფრთხეს ელისო. ასე და ამგვარად გავიგე, რომ ჩემსა და პით-მახრჩობელას შორის არსებობდა რალაც საერთო და ეს საერთო ადამიანებთან დამოკიდებულებაში განსაკუთრებული სიფრთხილე გახლდათ.

შუადღისას გადაუღებელი წვიმისაგან ქუჩებში წყალი ნიაღვრებად რომ მოედინებოდა, უცებ ლამაზი, ჩემთვის კარგად ნაცნობი ძაღლის ბოხი ყეფა შემომესმა და კარის გასაღებად გავწიე. სენდის, უშველებელ ლომისფერ ნაგაზს, ალბათ რომელიღაც დანიური დოგის შორეულ შთამომავალს, თავსხმა წვიმაში გალუმპულსა და ამოზუნზლულს აზელილი შოკოლადის ფერი დასდებოდა. იდგა კარწინ კუდამოძუებული — დარცხვენილი და მონანიე უძლები შვილის ჭეშმარიტად ფარისევლური განსახიერება. არც კი ვიცი, რამდენჯერ ვუთხარი, ლამლამობით წანწალს მოშვებოდა. თითი დავუქნიე და დავემუქრე, შე „Bag dog“-მეთქი, მეთასედე გავუმეორე და ის იყო მოვემზადე ძალაუფლების მქონე პატრონის როლით დავმტკბარიყავი, რომ ჩემმა სენდიმ თავი დელიკატურად მიაბრუნა და მანიშნა, მარტო არა ვარო. თურმე სენდის თან თავისი ახლად შეძენილი ნაცნობი მოეყვანა. ეს იყო ნაცრისფერი გერმანული ნაგაზი, შვიდირვა წლის ლამაზი ხვადი, რომელიც გონიერი და ძლიერი პირუტყვის შთაბეჭდილებას ტოვებდა. საყელური არ ეკეთა, რაც ყოვლად უჩვეულო გახლავთ ჯიშიანი ძაღლისათვის.

ჩემი მანანწალა ბედოვლათი ოთახში შემოვუშვი, ნაცრისფერი ნაგაზი კი იდგა და ადგილიდან არ იძვროდა. თავსხმა წვიმაში დასველებულს

ბალანი ტანზე ისე მისლექოდა, სელაპი გეგონებოდა. იდგა ყურებდაცქვეტილი და კუდს აქიცინებდა. წკრიალა, ცოცხალი თვალებით ისე დაჟინებული მომჩერებოდა, როგორც ეს შეჩვეული ყესტის ან ბრძანების მოლოდინის დროს სჩვევიათ. იგი შეპატიჟებასა და თაფშესაფარს იმავე წესითა და უფლებით ითხოვდა, რაც უხსოვარი დროიდან ადამიანებს შორისაა მიღებული და რაც უბედურებაში მყოფი ნათესავებსა და შობის დახმარებას გულისხმობს. რა უნდა მექნა, ავდექი და შემოვიყვანე.

ძალღის ხასიათის გაგება, — გარდა დობერმანებისა, რომელთა რეაქციაც ყოველთვის მოულოდნელი და გამოუცნობი მეჩვენებოდა, — დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ნაცარამ უმაღლესი გამოაცა თავისი კეთილმოსურნეობით. ვისაც ძაღლებს შორის უცხოვრია, იცის, თუ ერთი ძაღლი გულითადობას იჩენს მეორის მიმართ, შეგიძლია ენდო მის აზრს. ჩემი სენდი საოცრად თვინიერი ხასიათის გახლდათ და ის სიმპათია, წვიმის დროს ჩვენთან შეფარებულმა უზარმაზარმა ნაგაზმა რომ აღუძრა, ჩემთვის ყველაზე საუკეთესო რეკომენდაცია იყო. მაშინვე ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში დავრეკე და, მანანწალა გერმანული ნაგაზი შევიფარემეთქი, შევატყობინე, ხოლო პატრონი თუ გამოუჩნდებოდა, ჩემი ტელეფონის ნომერიც ჩავაწერინე. გულზე მომეშვა, როცა შევამჩნიე, რომ ჩემი შვილობილი კატებს ძაღზე მონინებით ექცეოდა, მოკლედ, ჩინებულად იყო აღზრდილი.

იმ დღეებში დიდი სტუმრიანობა და მისვლა-მოსვლა გვექონდა. ჩვენს ნაცარას, რომელსაც სახელად ბატკა დავარქვი (რაც რუსულად მამილოს ნიშნავდა), ძაღზე დიდი წარმატება ჰქონდა ჩემს მეგობრებში, თუმცა თავიდან, მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს, შიშის გრძნობასაც იწვევდა. მაშ რა იქნებოდა, როცა მოჭიდავის უზარმაზარი მკერდისა და შავი უშველებელი ყბების გარდა იმ მომცრო ხარების რქათა მაგვარი ეშვებიც ჰქონდა, მექსიკაში მაჩოსებს რომ ეძახიან. არადა, საოცრად თბილი გულისა იყო — სტუმრებს ჯერ დაყნოსავდა, რათა კარგად დაეხსომებინა და პირველსავე მოფერებაზე — shook hands, თათს ისე უწვდიდა, თითქოს უნდოდა ეთქვა — მართალია, გარეგნულად ყველას შიშს ვგვრი, მაგრამ, მერწმუნეთ, კარგი ბიჭი ვარო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მესმოდა მისი გულმოდგინება — სტუმრები არ შეეშინებინა, თუმცა რომანისტი, მოგეხსენებათ, სხვებზე გაცილებით იოლად ტყუვდება ცოცხალი არსებებისა თუ საგნების მიმართ, რამეთუ იგი მათ იგონებს. დიახ, მე მუდამ ვიგონებდი ყველა იმათ, ვისაც კი შევხვედრივარ ცხოვრებაში ან ვისაც ჩემ გვერდით უცხოვრია. პროფესიონალისათვის ასე გაცილებით ადვილია წარმოსახვა, ეს მას ათავისუფლებს ტვინის ჭყლეტისაგან. დროს არ კარგავს, რათა გაუგოს თავის მახლობლებს. სულაც არ სჭირდება, მთელი თავის ყურადღება მათზე ჰქონდეს მიპყრობილი, ვინაიდან ის მათ იგონებს. მერე კი, როცა მოულოდნელად აღმოჩნდება, რომ შეცდა, ძალიან ბრაზობს, ჰგონია რომ მოატყუეს, რომ მისი ნიჭისა და ტალანტის ღირსნი არ აღმოჩნდნენ.

რახან ბატკას მომკითხველი არავინ გამოუჩნდა, მე იგი მალე ჩვენი ოჯახის კანონიერ წევრად ჩავთვალე.

ჩემს სახლში, არდენში, რა თქმა უნდა, აუზიც იყო, ამიტომაც აუზის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი კომპანია საფილტრი მონყობილობის შიშით აღმოჩნდა, რომ თვეში ორჯერ თავის თანამშრომელს აგზავ-

ნიდა. ერთხელაც, როცა ნასადილევს ვიჯექი და ვწერდი, აუზის მხრიდან უცებ ძალღის გაავებული ყეფა მომესმა, სწორედ ისეთი, უცხო ს დანახვისას რომ სჩვევიათ და ამავე დროს მომხვდურზე თავის დაუყოვნებელი თავდასხმისათვის მზადყოფნასაც გვამცნობენ. ხშირად ეს მხოლოდ ჩვენი „დამიჭი, არ გამიშვა, თორემ არ ვიცი, რა უბედურებას ჩავიდნის“ ძალღური ექვივალენცია, თუმცა კარგად განვრთნილი ყარაუღღე ქაღღები ამგვარ სისულელეს არასოდეს სჩადიან. მრისხანების ამ უცაბედ დაფეთქებაზე თავზარდამცემი არაფერია. ძალღის მიზანი ხომ ამ დროს შენი პარალიზებაა, შენი ადგილზე გაქვაება, ისიც მხოლოდ დასაწყისში, მერე კი... მაშინვე გარეთ გავვარდი.

მესერს იქით აუზის ფილტრის შესამონმებლად მოსული კომპანიის შავკანიანი თანამშრომელი იდგა, დრუნჩზე ქაფმომდგარი ბატკა კი მესერს ისეთი სიძულვილით აწყდებოდა, ბურქის ქვეშ შემძვრალი ჩემი საყვარელი სენდი მიწას ფარდაგივით გაჰკვროდა და წკაწკავებდა.

შიშისაგან დამბლადაცემული შავკანიანი გახევებული იდგა — ცხაღია, ჰქონდა კიდევ ამის მიზეზი, ვინაიდან, უწყინარი, სტუმრების მიმართ მუდამ ალერსიანი ძალღი გამძვინვარებულ ფურიად ქცეულიყო და ხახიდან იმ დამშეული ნადირის ღრიალი ამოსდიოდა, ხორცი რომ დაინახა, მაგრამ ვერა და ვერ მისწვდომია.

ძალღზე გულსატკენი და დამთრგუნველია იმის დანახვა, როგორ გარდაიქმნება შენტვის კარგად ნაცნობი კეთილი და შინაური პირუტყვი უცებ პირსისხლიან, მძვინვარე არსებად, როგორ ეცვლება ბუნება, თითქოს რაღაც სხვა განზომილებაში ხვდება. ეს ერთ-ერთ იმ მტანჯველ მომენტთაგანია, როცა მთელი შენი დამშვიდების სისტემებისაგან, შენტვის ჩვეული კატეგორიებისაგან აღარაფერი რჩება. ურყევ ჭეშმარიტებათა მოყვარულს ეს ყველაფერი თავგზას უბნევს. უცებ ბუნების წიაღში დაფარული პირველყოფილი სისასტიკის მოწმე ხდები, თუმცა კი ორ მომაკვდინებელ გამოვლინებას შორის არსებული შუალედისას ამას ხალისით ივინწყებ. ჰუმანიზმი, როგორც ძველ დროში ეძახდნენ, ამ დიღემის, ანუ ერთი მხრივ მხეცებისადმი სიყვარულსა, ხოლო მეორე მხრივ სიმხეცით გამონვეულ თავზარდამცემ შიშს შორის მერყეობს.

შევეცადე ძალღი იქაურობისათვის მომეცილებინა, როგორმე შინ შემომეყვანა, მაგრამ იმ არამზადას, ეტყობა, მართლაც ჰქონდა რაღაც მოვალეობის გრძნობა. მართალია, არ მკებნდა, მაგრამ ხელიდან რომ მისხლტებოდა და ეშვებდალრჭენილი ჭიშკრისაკენ მიიწევდა, მთელი თითები დამიდობლა.

შავკანიანი ჭიშკრის მეორე მხარეს იდგა, ხელში რაღაც იარაღები ეჭირა. სულ ახალგაზრდა კაცი იყო, მისი გამომეტყველება ახლაც კი მახსოვს — ზანგი მაშინ პირველად ვნახე ცხოველური სიძულვილის პირისპირ. დაღონებული მზერა ჰქონდა, ისეთი, ზოგიერთ ადამიანს შიშისას რომ სჩვევია. ომის დროს ასეთი რამ ხშირად შემიმჩნევია ჩემი ესკადრიღელი ამხანაგების სახეებზე. მახსოვს, ერთ-ერთი განსაკუთრებულად საშიში ოპერაციის წინ (მაშინ ჩვენ მცელავი ფრენა უნდა შეგვესრულებინა) — დაღვრემილი სახე გაქვთო, გარი, — მითხრა პოლკოვნიკმა ფურკემ. მაშინ მართლა ძალიან მეშინოდა.

ახალგაზრდა შავკანიანი უკან გავაბრუნე, გადავწყვიტე, ამ კვირას აუზი აღარ გამეწმენდინებინა.

მაგრამ მეორე დილასაც ზუსტად იგივე ამბავი გამეორდა, ამჯერად ვესტერნ-იუნაიონის თანამშრომლის მიმართ, რომელმაც ტელეგრამა მომიტანა.

ნასადილევს მეგობრები გვეწვივნენ. ჩემი შიშის მიუხედავად, ბატკა მათ — თეთრკანიანებს — დიდი თავაზითა და ალერსით შეეგება.

და აი უცებ გამახსენდა, რომ ვესტერნ-იუნაიონის თანამშრომელიც შავკანიანი იყო.

სიზღიპოთქა



თანდათან მეძალებოდა მღელვარება, რომელიც კარგად არის ცნობილი იმ ადამიანისთვის, ვისაც უგრძნია, მის ირგვლივ როგორ იზრდება და სულ უფრო აშკარა ხდება ის უსიამოვნო რეალობა, რომლის დაჯერებაც არ უნდა. ეს მხოლოდ დამთხვევაა, ფანტაზიის ნაყოფია, უბრალოდ, შეპყრობილი ვარ ამ პრობლემით-მეთქი, თავს ვეუბნებოდი.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ბატკამ ლამის შეჭამა სუპერმარკეტიდან გამოგზავნილი ფოსტალიონი, განგაშმა ამიტანა. კარს რომ ვაღებდი, ბატკა შუა ოთახში იწვა. უცებ ერთი მზაკვრული ნახტომით კაცს შიგ ყანყრატოში ეცა. წამიც და, ყველაფერი დამთავრებული იქნებოდა, მაგრამ მოვასწარი, კარს მუხლი მივარტყი და მივხურე.

ფოსტალიონი შავკანიანი იყო.

იმავე დღეს ბატკა მანქანაში ჩავსვი, სან-ფერნანდოს ველზე ჯექ კარუტერსის „ნოეს კიდობანში“ წავიყვანე. ჯექს კარგად ვიცნობდი, ეკრანის ყოფილი კოვბოი უკვე მერამდენე წელია კინოსთვის ცხოველებს წვრთნიდა. გარდა სხვა ყველაფრისა, მისი დაწესებულება სერპანტერიუმითაც ამაყობდა, თქვენ იქ შეგეძლოთ ყველაზე ტიპიური ამერიკული შხამიანი გველები გენახათ, რომლებსაც ჯექი და მისი თანამშრომლები სამკურნალო შრატისათვის შხამს აცლიდნენ. გველების ორმო ის ადგილი იყო, რანჩოში მისვლისას გვერდს დიდი გულმოდგინებით რომ ვუვლიდი. უყურებ ორმოში მოფუთფუთე ქვეწარმავლებს და ასე გგონია, იუნგის ცნობილ კოლექტიურ შეუცნობლობას ჩასცქერი, აი, იმას, სადაც, დავიბადებით თუ არა, მაშინვე ვეშვებით.

თავის განუყრელ ბეისბოლისტის კეპსა და ლურჯ კომბინეზონში გამოწყობილი ჯექი სამუშაო მაგიდასთან იჯდა, ჩუმად მისმენდა და ერთერთ იმ საზიზღარ სიგარათაგანს ეწეოდა, რაზედაც ამერიკამ თავი მას შემდეგ გაწირა, რაც ჰავანასთან ურთიერთობა შეწყვიტა.

— კი მაგრამ, რა გნებავთ, რომ გავაკეთო?

— ეს ძალღი და განკურნოთ...

ნოი ჯექ კარუტერსი, როგორც იტყვიან, მშვიდი კაცია, თუმცა მის ამ რამდენადმე ირონიულ სიმშვიდეში იმ ადამიანის შინაგანი ძალა იგრძნობა, მეტისმეტად რომ არის საკუთარ თავში დარწმუნებული, რათა მკაცრ ჩვევათა დემონსტრირება მოახდინოს. მხოლოდ მისი ბრგე, ჩადგმული სხეულის უცნაური, თითქოს განზრახი უმოძრაობა თუ გაფიქრებინებს ძალადობის მიმართ მის, ასე ვთქვათ, მოთოკილ აგრესიულობას. კაცმა რომ თქვას, ჩემი მხრივ ეს იმ ადამიანის მსჯელობაა, მიჩვეული რომაა თავი მუდამ ლაგამამოდებული პყავდეს. დიახ, მე ერთხელ და სამუდამოდ მორჩილად ვაღიარე, რომ ძალა არ შემწევს მთლიანად ცივილიზებული-

ყყო ჩემში ფარულად არსებული ის ცხოველი, საკუთარ არსებაში რომ დავატარებ. ასეა თუ ისე, მიუხედავად მისი გულცივობისა, ჯეკი პოლი-ვუდში ყველას უყვარს, ვინაიდან ამ კაცს მშვენივრად ესმის, რომ კანარის ჩიტის, რომელიც მას მიანდეთ, არ შეიძლება სხვა კანარის ჩიტით შეგიც-ვალთ, რომ ის ბატონი, რომელმაც თავისი მახრჩობელა გველი/დიდი რუდუნებით ჩააბარა, თავის საყვარელ არსებას დასცილდეს, და საყვარელი კი იმ ბატონისათვის იქნებ სწორედ იმიტომაც იყო, რომ წაკლებულ კვა-და.

— განგიკურნოთ?

თქვა ჯეკმა და თავისი ცივი ღია ცისფერი თვალებით შემათვალიერა.

— რისგან უნდა განვიკურნო?

— ძალღი, როგორც ჩანს, საგანგებოდ ზანგებზეა დაგეშილი. ვფი-ცავ, ეს ჩემი ფანტაზია არ არის. ყოველთვის, როცა კი კარს ზანგი უახ-ლოვდება, გიჟდება და ცოფებს ყრის. თეთრკანიანებთან კი ვითომც არა-ფერი, აბრეშუმისფერია, კუდს უქიცინებს და თათს უწვდის.

— მერედა, მე რა ვქნა?

— როგორ თუ რა ქნათ? ვითომ მართლა არ შეგიძლიათ მისი გან-კურნება?

— არა, თქვენი ძალღი საამისოდ ბებერია. — ჯეკ კარუტერსს თვა-ლებში დამცინავი ნაპერწკალი გაუკრთა. — ეს უკვე დაღუპული, ხელი-დან წასული თაობაა და ეს უნდა გცოდნოდათ.

— ჯეკ, ყველასათვის ცნობილია, ეგრეთ წოდებულ ხელიდან წასულ პირუტყვებზე სასწაულებს რომ ახდენთ.

— გააჩნია, რა ხნისაა. ჩვევები უკვე ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი... ვერაფერს გავხდები. ესეც რომ არა, მოგეხსენებათ, ყველა „ნამხდარი“ და „ხელიდან წასული“ პირუტყვი ვილაციისგან არის ნამხდარი და ხე-ლიდან წასული, წლების მანძილზე სისტემატური წვრთნით შეგნებულად დამახინჯებული. მოკლედ, თქვენი ძალღი უკვე ძალიან ბებერია.

— მთავარი მოთმინებაა...

— გეუბნებით, გვიანია-მეთქი. სულ ცოტა, ალბათ, შვიდი წლისა მა-ინც არის, ზნეს ველარ შეუცვლი, ეს ჩვევა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, ამას პროფესიულ დეფორმაციას ეძახიან.

— კი მაგრამ, ასე ხომ არ დავტოვებ.

— სხვა რა გზაა, უნდა დააძინოთ. თქვენ ადგილას ნემსს გავუკე-თებდი.

— ნემსი ამას კი არა, იმ არამზადებს უნდა გაუკეთო, ვინც ეს განვრთნა...

ჯეკი იცინის. იგი იმ ბედნიერთაგანია, ერთი „ჰა-ჰა-ჰა“-თი მთელი ქვეყნიერების მოგერიება რომ შეუძლია.

— ისიც არ ვიცი, შევძლებ თუ არა თქვენი ძალღის დატოვებას. ორი-ვე ჩემი თანაშემწე შავკანიანია, არა მგონია, მოენონოთ... თუმცა, კარ-გი, დავიტოვებ, ვნახოთ, რა გამოვა.

ბატკას დავემშვიდობე. იგი დაძაბული, ყურებდაცქვეტილი და ოდ-ნავ თავგადახრილი მომჩერებია. მე ისევ მოვბრუნდი, მის გვერდით მი-ნაზე დავჯექი და ნაცრისფერ თავზე დიდხანს, დიდხანს ვეფერე. „ნახვამ-დის, მამილო! აბა შენ იცი! დარწმუნებული იყავი, გავიმარჯვებთ“.

კოლდოუტერ-კენიონზე მივაბიჯებ და გული ისე მაქვს დამძიმებული, მკერდში თითქოს გული კი არა, ლოდი მედოს. ფართო, უტროტუარო, პალმებჩაყოლებულ ავინიონზე კაცის ჭაჭანება არ არის, მხოლოდ მანქანები მიმოქრიან წინ და უკან. ირგვლივ ვუვლი მოტორიზებულ უდაბნოს და ბულვარ უილშირთან ვბრუნდები, სადაც ტროტუარებია და ნამდვილ ოაზისს წარმოადგენს. რადიო დეტროიტში მომხდარი შემთხვევის შემთხვევის ამბავს გადმოსცემს: „მოკლულია ორი. უოტსის აჯანყების შემდეგ, სადაც ოცდათორმეტი ადამიანი დაიღუპა, ქვეყანა შეშფოთებულია, ვინაიდან არასოდეს მომხდარა, მსგავსი ამბების შეჩერება ამერიკას ასე თუ ისე მოკლე დროში არ შესძლებოდა“.

როცა საქმე ადამიანებს ეხება, თავი შეიძლება შექსპირით, ან მედიცინის წარმატებებითა თუ მთვარეზე დატოვებული ჩვენი ნაფეხურებით დაიმშვიდო. რაც შეეხება ძაღლებს, აქ არავითარი ალიბი არ გიშველის. ყოველთვის, როცა კი ბატკას სანახავად მივდივარ, მის თვალეში ამ კითხვას ვაწყდები: ისეთი რა ჩავიდინე, ამ გალიაში რომ ჩამსვი, რატომ აღარ გინდივარო? აბა მითხარით, რა ვუთხრა, რა ვუპასუხო ამ საბრალო, უდანაშაულო ქმნილებას? მხოლოდ მოფერებით თუ დაამშვიდე. ბატკადან დაბრუნებულს საკუთარი თავი მეზიზღება, მაგრამ ვიქტორ ჰიუგოს ცნობილ ფრაზას თუ გამოვიყენებთ — „როცა ვამბობ მე-მეთქი, თქვენ ყველას გგულისხმობთ, უბედურებო!“

ძაღლსაშენში ყოველდღე მივდივარ.

ხომ უნდა ვნახო, რა გავაკეთეთ და რას მივალწიეთ.

დილის შვიდი საათია. ცხოველებისა და ლამის ყარაულის გარდა „ნოეს კიდობანში“ არავინ არის. ნიავით ათრთოლებულ ფოთლებსა და ყვავილებზე ცისკრის ვარსკვლავებივით ნამის მსხვილი წვეთები ციმციმებს.

დოქტორ დულიტლის ჟირაფი მძიმე წამწამებიდან ისეთი ქალური თვალეებით შემომყურებს, ელიზაბეტ არდენის ლამაზებსაც კი შეშურდებათ. ჩემს მისვლას ბატკა შორიდანვე გრძნობს, უკანა თათებზე დგება და წინა თათებს მესერს აბჯენს. მე ლოყით რკინის ბადურს ვეკვრი და მისი ცივი დრუნჩისა და ცხელი ენის შეხებას ვგრძნობ. ძაღლის გამოხედვაში ძნელი არ არის სიყვარულის დანახვა. ეს ძაღლური ერთგულება და სიყვარული კი ყოველთვის დედაჩემს მაგონებს, თუმცა დედას მწვანე თვალეები ჰქონდა...

გალიის გასაღები არა მაქვს, ამიტომაც გალიის წინ ჩაცუცქული ვჯდები. ბატკა მესერის მეორე მხარეს წვება, დრუნჩს გამოწვდილ თათებზე იდებს და თვალს არ მაცილებს. დილაა. კალიფორნიის ლურჯი, ახლად ამონვერილი მზით გაცისკროვნებული ზეცა კამკამებს. გზაზე ჯერ არ გამოსულა მილიონობით მანქანა, არ ამუშავებულა ქარხნები, რომლის ჭუჭყით გაჯერებული ოხშივარი ქალაქის თავზე მყრალი ნისლივით წვება.

მინდა შეუმჩნევლად წავიდე — არავისთვის ხმის გაცემა არ მსურს, თუმცა არც სათქმელი მაქვს არაფერი. დროსა და დროის მსვლელობაზე ყოველგვარი წარმოდგენა დავკარგე, როგორც ეს ხშირად ხდება, როცა წუთები სიმშვიდითაა აღსავსე, როცა სინათლესთან, ხეებთან, ჰაერის სიტკბოებასთან შენივთებულ შენს სიცოცხლეს, ასე ვთქვათ, საკუთარი „მეს“ გარეშე აღიქვამ.

ათი საათი იქნებოდა, შავკანიანი ზედამხედველი რომ შევამჩნიე. ისე,

როგორც ყველა დანარჩენი ზოოპანსიონში, მეც მას კიზის¹ სახელით ვიცნობდი, „გასაღებების მთავარი შემნახველის“ ეს ზედმეტი სახელი ლომების ყველა გალიის, გველების ორმოების, ნიანგის საცხოვრებელი აუზების, მაიმუნების პატარა სახლებისა თუ ჯეკ კარუტერსის „ნოეს ცაღობნის“ სხვა მრავალი კუთხე-კუნჭულის გასაღებების იმ აცმის გამო შეარქვეს, მუდამ ქამარზე ჩამოკიდებულს რომ ატარებს. კიზი ჩვენგან დაახლოებით ათი მეტრის მანძილზე იქნებოდა, როცა ბატკამ ანაზდად ყურებით ცქციტა, დაიღრინა, ერთი ნახტომით მესერს ეცა და მთელი სახე დამიდორბლა. შეჩვეული სამყაროს ამ მოულოდნელი შერყევით, კეთილმოსურნე არსების გამძვინვარებულ მხეცად ამ მყისიერი გარდასახვით ერთხელ კიდევ შემფოთებულ ჩემს ცნობიერებაში უმალ გაქცეულ მონათა მატერიალიზებული სახეები და ბამბის ის პლანტაციები წამოტივტივდა, რომლებიდანაც ამერიკა ჯერაც ისევ ტრაგიკულ მოსავალს იღებს...

კიზმა გალიას ისე ჩაუარა, ძაღლისთვის ზედაც არ შეუხედავს. მოკლესახელოიან ხალათში გამოწყობილ, მალალ, ტანწვრილ, ზედა ტუჩებზე პატარა, პეპელასულვაშიან ჭაბუკს მზით განათებულ სახეზე ღიმილი აღზეჭდვოდა. ახლა იგი რატომღაც მალკოლმ იქსს² მივამსგავსე, ვინაიდან, კაცმა რომ თქვას, ყველა ზანგური სახე რალაციით იმ მებრძოლის სახეს მაგონებს.

— Hello, — გამომძახა კიზმა, — მშვენიერი ამინდია!

— Hello!

მინაზე ვზივარ და კიზის მზერას თვალს ვარიდებ. სიბრაზისაგან სუნთქვაშეკრული ბატკა მესერს კვლავ გაცეცხლებული აწყდება, უცებ ჩუმდება, კბილებდაღრჭენილი კიზს ერთს ცერად გახედავს და სისხლმონყურებული მწვერის ღრენა-ფრენით კვლავ მესერს ეცემა. შავკანიანი კი ისევ ისე დგას და არხეინად იღიმის.

— No progress,³ — ვუბნები კიზის.

კიზმა ძაღლს შეხედა, ბამბის შარვლის ჯიბიდან „ჩესტერფილდის“ კოლოფი ამოიღო, წკიპურტის წაკვრით სიგარეტი ამოაგდო, მოუკიდა და ბატკას თვალი ერთხელ კიდევ მშვიდად შეავლო.

— White Dog, თეთრი ძაღლია, — ამბობს კიზი.

მახსოვს, როგორ გავბრაზდი — ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— კმარა, — ვუბნები კიზს, — სასაცილო არაფერია.

კიზმა ერთი დაკვირვებით შემომხედა და გაიმეორა:

— ეს თეთრი ძაღლი... იცით...

მისი თვალები ისე დაჟინებით მომჩერებოდნენ, თითქოს ჯიბეში ორისამი საუკუნის ისტორია მქონდა დამალული.

— არა, რა თქმა უნდა, არ იცით. ეს თეთრი ძაღლია, სამხრეთელი. იქ ასე იმ ძაღლებს ეძახიან, რომლებსაც საგანგებოდ შავკანიანებზე წვრთნიან პოლიციისათვის.

მინდოდა მინა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე, რადგან ეს ჩემი ნა-

1. Keys — გასაღებები.

2. მალკოლმ იქსი (1925—1965) — „შავი მუსულმანების“ ლიდერი, სამოციან წლებში, გააკრიტიკა მოძრაობის იდეოლოგიის ელია მუჰამედის ექსტრემისტული დოქტრინა და მოკლული იქნა ყოფილი თანამოაზრეების მიერ.

3. გამოსწორება არ ეტყობა (ინაღ.).

მოქმედარიც იყო, რადგან ვიქტორ ჰიუგოს ის ცნობილი ფრაზა ასეც შეიძლება შებრუნებულიყო — „თქვენ-მეთქი, როცა ვამბობ, ჩემს თავსაც ვგულისხმობ“. არის ერთი ასეთი კარგი სიმღერა: „Lea for two and two for tea“, რომლის ამგვარი გადაკეთებაც სულ ადვილად შეიძლება: „მე — თქვენ ხართ, ხოლო თქვენ — მე ვარ“. სხვაგვარად ამას „ერთობა“ ჰქვია. თავს ვერაფრით დაიძვრენ, სათადარიგო გასასვლელი არაა.

— ძველად ძაღლებს გაქცეულ მონებზე სანადიროდ წაჟავდნენ, ახლა დემონსტრანტებზე გეშავენ...

ძალღი ყმუოდა, მეც ჩუმად ვყმუოდი გუნებაში.

— თანაც ამ ძლიერი ყარაული ძაღლის გვერდით თქვენს მეუღლეს შეუძლია მშვიდად იყოს, თქვენი შინ არყოფნისას ნამუსს ვერავინ ახდის.

სიგარეტის ბოლებით კიზი ისევ ბატკასკენ მიბრუნდა. იდგა და ერთხანს მცოდნე კაცის თვალთ ზომავდა.

— მშვენიერი ძაღლია, — თქვა და თავი გადააქნია, — მაგრამ ბებერია, ალბათ შვიდი-რვა წლის იქნება. ამ ასაკში მათ ველარაფერს მოუხერხებ, ზნეს ვეღარ შეუცვლი...

მერე კარგა ხანს იდგა და ბატკას თვალს არ აცილებდა, რალაცაზე ფიქრობდა. ჩემი აზრით, კიზს სწორედ მაშინ დაებადა ის იდეა, რალაცაზე ჩაფიქრებულმა სწორედ მაშინ შეადგინა თავისი მოქმედების ის გეგმა.

— ჯერჯერობით, — დამემშვიდობა კიზი და ქამარზე ჩამოკიდებული ვასალებების ჟღარუნით აუჩქარებლად გამშორდა.

ბატკა მაშინვე დამშვიდდა.

კანტორაში ჯეკთან წავედი, მაგრამ ტელევიზიაში იგი თავისი იმ ვარსკვლავი-მიმპანზეს სანახავად წასული დამხვდა, რომელსაც „რომეო და ჯულიეტას“ მაიმუნებისათვის გადაკეთებულ ვერსიაში იღებდნენ.

კანტორიდან პირდაპირ შინ დავბრუნდი. ჩემი ცოლი „ურბან-ლიგის“ კრებაზე წასულიყო. ლიგა ზანგებს სამუშაოზე მონყობაში ეხმარება. თუმცა შავკანიანებში ნამდვილი უმუშევარი შედარებით ცოტაა, უბრალოდ, სამუშაოც არ იღებენ, ყველა კარი ბანდიტურმა პროფკავშირებმა გადაუკეტეს.

იმ დღიბერალთა კრება, რომლებიც მოქალაქეთა უფლებების დამცველთა მოძრაობაში მონაწილეობენ, ნასადილევს აქტიორული ხელოვნების ერთ-ერთი მასწავლებლის სახლში იმართება. კრებას კი დავესწარი, თავი შეცნებულად შევიკავე. ავუხსენი, თუ რა დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რათა ვიეტნამსა და ბიაფრს, ამაზონკაზე ინდიელების განადგურებას, ბრაზილიელების მოზღვაებასა და დენილ საბჭოთა ინტელიგენტებს დავლნეოდი (ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შევჩერებულიყავი!). არ ვიცი, იცით თუ არა კანის ისეთი დაავადება, რომელსაც ელეგანტიაზისს ეძახიან? ამ დაავადების დროს კაცს თურმე სხვისი ტკივილის გამო კანის ანთება ეწყება. კმარა, მე უარს ვამბობ ამერიკულ ტანჯვაზე-მეთქი, — განვუცხადე. გარდა ამისა, უნდა ვაღიარო, რომ საოცარ ანტიპათიას ვგრძნობ იმ „პროფესორის“ მიმართ, ვის სახლშიც შავკანიანთა უფლებებისათვის მებრძოლთა სოლიდარობის აქცია იმართება. ჩემი აზრით, იგი ტიპიური კალიფორნიული phony-ა, რაც თარგმანში დაახლოებით ვიგინდარასა და

1. ჩაი ორისათვის, ორნი ჩაიზე (ინგ.).

მადლობა ღმერთს, შეკრებაზე არ წავედი, თორემ ვილაცას ნამდვილად ვუკებენდი.

ანგარიშის გაცნობის შემდეგ მთელი საათი ბევრლი-პილზე წინ და უკან დავრბოდი. ჩემს მეგობრებს ჰგონიათ, ამას ფორმის შესანარჩუნებლად ვჩადი. ეს სპორტული სირბილი კი არა, გაქცევის მცდელობა იყო.

შინ სასიამოვნოდ დაღლილი და გათავისუფლებული ვბრუნდები. მაგრამ ცხოვრება მალე უსიამოვნო ამბებით მამძიმებს. ათ საათზე ტელეფონი რეკავს და ყურმილში ჯიკ კარუტერსის ხმა მესმის:

— შეგიძლიათ ახლავე წამოხვიდეთ?

— რატომ? მოხდა რამე?

— ახლავე წამოდით.

ამბობს ჯეკი და ყურმილს ჰკიდებს.

მე მაშინვე მანქანაში ვჯდები.

ჯეკი თავის მაგიდას უზის. ცხვირჩაჭეჭყილს და ზღარბივით თმაგაბურძენულს თავზე მრგვლად მოშიშვლებულ ადგილას ფოლადის ფირფიტის საკერებელი ადევს. იგი ძველი კასკადორია, ცხენიდან არანაკლებ ორი ათასჯერ მაინც გადმოვარდნილა. ამას ოფიციალურად ტომ მიქსისა და რინტინტინის სურათებს შორის კედელზე ჩამოკიდებული, ჩარჩოში ჩასმული დიპლომიც ადასტურებს. ჯეკი სიგარეტს სიგარეტზე უკიდებს და მაშინვე იქვე საფერფლეში აქრობს, თუმცა რომ ჰკითხო, არ ეწევა. გამარჯობაც არ უთქვამს, ეგრევე მეუბნება:

— მაშ ასე. ნება მომეცით, ნემსი გავუკეთო და დავაძინო.

— კი მაგრამ, რა მოხდა ასე უცებ?

— წამოდით და გაჩვენებთ...

ბებერი ძალღივი გვერდზე წევს, გასისხლიანებული პირი დაულია და მძიმედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავს. ჩემ დანახვაზე თავსაც არ სწევს, მხოლოდ კუდს აქიციანებს, ისე, უხალისოდ.

მე და ჯეკი გალიაში შევდივართ. ჯეკი იხრება, ბატკას ფერდს უსინჯავს, ძალღივი გამწარებული ფართხალებს.

— ამ ძალღივის გამო ჩემი საუკეთესო თანაშემწე დავკარგე, — მეუბნება ჯეკი.

— ვინ, კიზი?

— ჰო. დღეში ოცჯერ მაინც ჩაუვლიდა გალიას და ყოველ მის დანახვაზე ძალღივი ცოფებს ყრიდა. ჩანს, შესანიშნავად განვრთნეს. ჩინებული, ჯიშისანი ძალღივი. კიზი თითქოსდა ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ, მგონი, განგებ დაყიალობდა გალიასთან... უნდოდა რაც შეიძლება კარგად დაეხსომებინა ეს გააფებული ყეფა, ასე ვთქვათ, „მისი პატრონის ხმა“... ხომ გესმით?... ყოველ დილა ასე აღვიძებდა იგი თავის გულში სიძულვილს.

ძალღივი ხელებს მილოკავს და ზედ სისხლის კვალს ტოვებს. ვიცი, თავის ჯილდოს ელის: — ხედავ, ისე მოვიქეცი, როგორც მასწავლიდნენო... მე კი ვყოყმანობ, მოფერებას ვერ ვბედავ...

მხოლოდ ხელს ვუსვამ ერთგულ ძალღივს.

— ამ დილას კიზმა თავის დამცავი კომბინეზონი ჩაიცვა და ძალღივთან ურთიერთობის გასარკვევად გალიაში შევიდა. მესმოდა, როგორ უღრენდნენ იქ ერთმანეთს და, ვფიცავ, ვერც კი გეტყვით, რომელი უფრო ხმა-

მაღლა და გაავებით იღრინებოდა — ადამიანი თუ ძაღლი. ლამის მოკ-
ლა... მგონი, ახსნაც არ ღირს — ძაღლს კი არა, იმ ადამიანებს უღრენდა,
ვინც ძაღლი ასე განვრთნა. მაგრამ ისინი, ის ადამიანები ხომ იმ წუთას
იქ არ იყვნენ! ამიტომაც...

— რა ამიტომაც?

ნოი ჯექ კარუტერსი იცინის და მეუბნება:

— მე მთხლიშა შიგ ცხვირ-პირში. უფრო სწორად, შეეცადა. როცა მი-
ვებმარე და წამოვაყენე, ქამრიდან გასაღებების აცმა მოიხსნა, მაგიდა-
ზე დააგდო და წავიდა.

— ძალიან ვნუხვარ, ჯექ.

— მეც. ამ ქვეყანაში ძაღლზე მილიონობით ადამიანი წუხს, მაგრამ
ამით არაფერი იცვლება. თქვენ ამ ძაღლს თავიდან ვერ განვრთნით, ამას
წყალი არ გაუვა. ყველაზე კარგი, რაც მისთვის შეგიძლიათ გააკეთოთ (და
არა მარტო მისთვის), ისაა, რომ დააძინოთ. მაგას აღარაფერი ეშველება.
მგონი გესმით, რის თქმაც მინდა...

თქვა ჯექმა და ბატკას დახედა:

— არა, ვის ჰქონდა უფლება ძაღლს ასე მოქცეოდა.

— ნეტავი კი ხელში ჩამაგდებინა ის ტიპი, ვინც...

— ვფიქრობ, ვერც მის აღზრდას შესძლებდით თავიდან... რას იზამ,
ასეთია ეს თაობა. ესეც თავისით წავა, მშვიდად და უომრად. თაობა იმი-
ტომაც მოდის, რომ მერე წავიდეს.

ჯექი თავისი ცისფერი თვალებით მომაჩერდა და მკითხა:

— ნემსზე რას იტყვით, ჰო თუ არა?

— არა...

ჯექმა თავი დამიქნია:

— კარგი, ოღონდ თქვენი ძაღლის წაყვანა მოგიწევთ, ვერ დავი-
ტოვებ.

იგი თვალებს ქუტავს და უპეებს ნაოჭები უფარავს. მის ბაგეზე რა-
ღაც უცნაური, თითქოს დაუმთავრებელი, შუაში განწყვეტილი ღიმილი
დავიჭირე.

— იცი, ერთი ძაღლსაშენი ვიცი, სადაც შავკანიანები არ მუშაობენ —
უბრალოდ, არ იღებენ. ზუსტად თქვენი ძაღლის შესაფერისი ადგილია —
მისამართს მოგცემთ.

— მომწყდით თავიდან.

თანხმობის ნიშნად ჯექმა ერთხელ კიდევ დამიქნია თავი, ეს წუთია
მოკიდებული სიგარეტი საფერფლეზე დააგდო და წავიდა.

მე ისევ გალიაში დავრჩი და თეთრი ძაღლის გვერდით მიწაზე დავ-
ჯექი. ფეხს განგებ ვითრევ, მინდა დრო მოვიგო, ერთი საათი, ორი... ვი-
ნაიდან, გადაწყვეტილება უკვე მიღებული მაქვს და ჩემი გადაწყვეტილე-
ბის გარდუვალობის შეგნება უფლებას მაძლევს, აღსრულება იქითა და
იქით გადავწიო.

ძაღლის საბმელისათვის მანქანისკენ წავედი და რევოლვერის სათხოვ-
ნელად მერე ჩაკ ბელდენს დავურეკე.

შემდეგ ისევ ბატკასთან მოვბრუნდი. ენაგადმოგდებული ძაღლი უკან
კოჭლობ-კოჭლობით მომდევდა, მაგრამ მანქანაში ამოხტომა გაუჭირდა,
ეტყობა, ნეკნი ჰქონდა ჩატეხილი. ბატკა მანქანაში ამოვიყვანე. ჯერ
ვენტურის ბულვარით ვიარე და მერე ლორენ-კენიონისკენ შევუხვიე. შუ-

ქნიშანთან ხალხი ჩემ გვერდით მშვიდად მჯდომ სიმპათიურ ძაღლს უღი-
ნოდა, რომელიც მორჩილად იჯდა და გზას დინჯად გასცქეროდა. ვან —
ნისთან წითელ შუქზე სწრაფად გავიარე, რათა იმ სატვირთო მანქანის
გვერდით არ გავჩერებულყავი, რომლის საჭესაც ზანგი უჯდა/..

ბატკა გარაჟში დავამწყვდიე.

დღის ოთხი საათისათვის ჩაკმა თავისი არმიულს-კოლტის მომიტანა.
ჭიქაში ვისკის ვისხამ, მაგრამ დაღევას არ ვჩქარობ. ვიცო, ჩემს თავს
იმის უფლებას ვერ მივცემ, ვისკი დავლიო და დატენილი პისტოლეტით
ქალაქის ქუჩებში ვიყილო, რადგანაც სასმელი მუდამ თავგზას მიბნევს.

სასმელი ბეგონიის ბუჩქებზე გადავასხი და საჭესთან დავჯექი. ბა-
ტკას უყვარს მანქანით სეირნობა. მანქანის ყველა ფანჯარა დავკეტიე, პო-
ლიფუდს ჩავუარე და გეზი გრიფიტ-პარკისაკენ ავიღე.

ადრე ამ ტყით შემოსილ ბორცვებზე შეყვარებულებსა და ბუნების
ტრფიალებს უყვარდათ სეირნობა, დღეს კი აქ, ამ დაცარიელებულ ადგი-
ლას, იშვიათად გააჩერებს ვინმე მანქანას, ვინაიდან ამერიკის დიდ ქა-
ლაქებში დანაშაულთა რიცხვი ყოველწლიურად სამოცი პროცენტით იზ-
რდება. მართალია, იმის შანსი, ვინმემ მუცელში დანა გაგიყაროს, ათა-
სიდან ერთია, მაგრამ რახან არავინ იცის, ბედი ამ მხრივ ვის მიმართ გა-
მოიჩენს ინტერესს, ყველას ეშინია, ვაითუ სწორედ ის იყოს ბედის
რჩეული.

მანქანა „მომლოცველის ჯვართან“ გავაჩერე და ძაღლი მანქანიდან
გადმოვიყვანე. რევოლვერი ავიღე.

ბატკა სახეში მომჩერებია.

ეტყობა, რაღაც იგრძნო და თავი მორჩილად დახარა.

რევოლვერი ყურის ძირში დავუმიზნე.

თეთრი ძაღლი დგას და იცდის.

ბედი მიკანკალებს. ვტირი. ცრემლი თვალებს მიბინდავს. ვისვრი.

„მაგრამ... ვერ ვახვედრებ.“

ძაღლი არ იძვრის, ზედაც არ მიყურებს.

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემს თავს ვესროლე და ავიცდინე.
თეთრმა ძაღლმა ერთი შემომხედა, მერე თავი მიაბრუნა და გაყურდა, ლა-
მის ვალებინე.

— კი მაგრამ, მესიე, ღირს განა ძაღლის გამო ძარღვების ასე წყვე-
ტა?.. მერედა, ბიაფრა?

— თქვენ რა, დამცინით? ბიაფრაო! თუ ბიაფრასათვის არაფერს აკე-
თებთ, მაშასადამე, შეგიძლიათ მიაფურთხოთ საკუთარ ძაღლს?

მაშასადამე, დღეს ახალი კაზუისტიკა გაჩნდა და უფლებას გაძლევთ
ბიაფრის, „მესამე სამყაროს“ სილატაკის და კიდევ, ღმერთმა უწყის, რის
გამო, მშვიდად ჩაუაროთ უსინათლოს, რომელიც ქუჩაზე გადაყვანას
გთხოვთ?

კოლტი ოფლით დაცვარული ხელიდან მივარდება.

— თეთრო ძაღლო, მოდი... მოდი ჩემთან.

ძაღლი რის გაჭირვებით დგება, ჩემკენ ნაბიჯს ადგამს და რევოლ-
ვერის ლულას ყნოსავს.

ეშმაკმა დალახვროს! არა, ამას არასოდეს ჩავიდენ.,

რაში მეკითხება, თეთრია თუ შავი! ადამიანი ადამიანია. მე რასისტი
არა ვარ.

საბრალო ძაღლს შუბლში ტყვია სთხლიშო — იცი, რა ეწოდება ამას, რომენ გარი? არა, მტრის წინაშე კაპიტულაცია ჩემი საქმე არ არის. ბორცვებზე წელა ეშვება იისფერი ნისლი და ტყის მკაცრ პეიზაჟს არბილებს.

ჰავანურ სიგარას ვაბოლებ. იგი იმ ფასად დამიჯდა, ინდიელთა ოჯახს ათი დღე საჭმელადაც რომ ეყოფა და სასმელადაც. თავს ოდნავ უკეთ ვგრძნობ.

ეროვნული
ზიზლიქოქეა

ბატკას ნიდაოზე ხელს ვუტყაპუნებ:

— ბატკა, ჩვენ გავიმარჯვებთ.

ენაგადმოგდებული ძაღლი კუდს აქიცინებს.

თათს მიწვდის.

სამწუხაროდ, ახლომახლო ერთი სუფთა კედელიც არ არის, რათა ზედ ჩემი ჰუმანისტური ლოზუნგი ამოვჩხაპნო.

ადამიანი მაინც ადამიანად დარჩება!

იმედს არ ვკარგავ, ხავსს ვეჭიდები, მე ამის დიდი ოსტატი ვარ — ამაში მე ვერავინ შემედრება.

ნამდვილი ჩემპიონი გახლავართ.

ადამიანი გაიმარჯვებს, ადამიანი ძლიერია!

მოკლედ, რამდენადაც შემიძლია ვთაღლითობ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მოგებუღია ბრძოლა. ბატკას საყელურში ხელს ვკიდებ და მანქანის კარს ვაღებ. ძაღლი მანქანაში ხტება. პატარა ფსიქოდრამა დამთავრებულია.

მერე შვაბთან შევჩერდი და „ნოეს კიდობანში“ დავრეკე, მაგრამ არავინ მიპასუხა. ტელეფონების ცნობარში ჯეკის სახლის ტელეფონის ნომერი მოვძებნე და ყველაფერში გამოვუტყდი.

— კაცმა რომ თქვას, ამას მე რატომ მიყვებით?

— ჯეკ, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებიდან წავალ, გთხოვთ, დაიტოვოთ ძაღლი. წასვლისას ბატკასაც თან წავიყვან.

— ჯანდაბაში წასულხართ. ხომ გითხარით, იმ საძაღლეში წაიყვანეთ, სადაც ზანგები არ არიან, ეს დაწესებულება სანტა-მონიკაშია, ნამდვილი ლუქსია, მასზე უკეთესს თვით იორტის მერიც¹ ვერ ააშენებდა.

— მაშინ კიზის ტელეფონის ნომერი მომეცით.

— კიზისგან რალა გინდათ?

— უნდა მოველაპარაკო.

— მომისმინეთ, კიზი შავკანიანი მუსულმანია. დიდი-დიდი, მექაში წასასვლელი ბილეთის შოვნაში დაეხმაროთ. ძმები მუსულმანები კი ამ დახმარებას მხოლოდ მაშინ მიიღებენ, ეღია მუჰამედს ხუთ ქერა სკალპს ან ხუთ წყვილ ვარდისფერ ყურს თუ მიართმევთ.

— კიზი სამუშაოდ რომ დაბრუნდეს, დაიტოვებთ ძაღლს?

— კარგი, დავიტოვებ. აბა წარმოიდგინეთ, ორასამდე შხამით გატენილი გველი მყავს, შხამის ამომცლელი კი არავინ მეგულება, მაშინ როცა კიზი ამის ნამდვილი დიდოსტატია. სამწუხაროდ, მისი ტელეფონის ნომერი თან არა მაქვს, ხვალ კანტორაში დამირეკეთ.

იმ ღამეს ბატკას წინ მეფური საჭმელი დავუდგი და გარაჟში დავამ-

1. ლოს-ანჯელესის უხეირო მერი, ანტიზანგური რასისტული საარჩევნო კომპანიის შემდეგ გადარჩეული (ავტ. შენიშვნა).

წყვდიე. ჯინს სიტყვასაც არ ვეუბნები, წარმოდგენაც არა აქვს, ბატკა აქვე გვერდით თუა.

ჩვენს სასტუმრო ოთახში ზანგი აქტივისტების მორიგი თავყრილობა იმართება.

ჯინ სიბერგი თოთხმეტი წლიდან ყველა იმ ორგანიზაციის წევრია, თანასწორუფლებიანობისათვის რომ იბრძვის, რაც ჩვენს სურთიერთობაში სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ცოლზე ოცდაოთხი წლით უფროსი ვარ და ჩვიდმეტი წლიდან ოცდაათ წლამდე ყველა ის აკრობატული ტრიუკი მაქვს შესრულებული, რომლისკენაც ძმური ალტყინება მიბიძგებდა, დისტანციაც მასზე ადრე დავფარე, ახლა კი, იმ აგონიის კიდევ ერთხელ განცდაზე, რის გამოც, ვინ იცის, რამდენჯერ წავიმტვრიე კისერი, უარს ვამბობ. არავითარი სურვილი არა მაქვს, მისი დამარცხების მოწმე გავხდე.

სასტუმრო ოთახში ჩემს შესვლაზე ყველა გაჩუმდა და სწორადაც მოიქცნენ, ვინაიდან ყველაფერი სახეზე მანერია. საკმარისია ვინმემ შემომხედოს, რომ თვალში უმალ ჩემი გულგრილი განწყობა ეცეს. ეს იმიტომ, რომ ვიცი, „სამართლიანობისთვის ამ მებრძოლებს“ შორის ნაკლები თაღლითი და სპეკულანტი როდია, ვიდრე მოპირდაპირე ბანაკში.

რაც შეეხება ზემოხსენებულ თავყრილობას, შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა მალე დაადასტურა, რა მართალიც ვიყავი. არ გაუვლია რამდენიმე კვირას და ვითარების შესაბამისად თავის შავ კანს ამოფარებული იქ დამსწრე თაღლითი შეეცადა gaming whitey-ს კეთილშობილური საბაბით შანტაჟი მოეწყო ჯინისათვის.

— მის სიბერგ, ჩვენ გვაქვს თქვენი მაკომპრომეტირებული წერილი, სადაც აფრიკელ სტუდენტებს პარიზში ძმური რევოლუციური წერილის გადაცემას ჰპირდებით... წერილში „შავი პანტერების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის სახელიც არის მოხსენიებული... ჩვენ თუ ამას გამოვაქვეყნებთ, ამერიკაში თქვენი, როგორც კინოვარსკვლავის კარიერა...

— კი ბატონო, გამოაქვეყნეთ... — უპასუხა ჯინმა.

მერე კი ცოტა წამოიტირა. ჯინ სიბერგი იმ ასაკშია, როცა ჯერ კიდევ შესაძლებელია იმედების გაცრუება.

მეორე დილას კიზის ტელეფონის ნომერი გავიგე. რომ დავრეკე, ყურმილი გოგომ აიღო და მითხრა, მამა შინ არ არისო.

— ხომ არ იცით, როგორ დავუკავშირდე?

გოგონა შეშფოთდა:

— ცხოველების გამო ხომ არ კითხულობო?

— დიახ, ძალზე მნიშვნელოვანი საქმე მაქვს.

— მამა ფერფაკსშია, „პანკეის სტადიონზე“.

კიზი სწორედ იქ ვიპოვე. იჯდა და წინ ნეკერჩხლის სიროფმოსხმული ბლითების გორა ედგა. თავზე ეხურა მუსულმანური მრგვალი ქუდი, რომელიც საფარდაგე ნაჭრის ხელჩანთიდან გამოჭრილი გეგონებოდა. თავაზიანად მომესალმა და დანის წვერით სკამისკენ მიმითითა. წვერილი, ძალზე ქათქათა წვეტიანი კბილები აქვს. პირი გავაღე, რათა ჩემი ადვოკატური სიტყვა დამეწყო, მაგრამ კიზმა შემანწყვეტინა:

— ვიცი, ვიცი... იმ დღეს ცოტა გავცხარდი... უბრალოდ, ყურებმა მიმტყუნეს...

— ყურებმა... — ისე გავიმეორე, თითქოს გამეგებოდეს რაიმე.

— ძალზე მგრძნობიარე ყურები მაქვს. ის ყეფა და ყმუილი ველარ

ავიტანე, და ვცემე. მოგეხსენებათ, ზოგჯერ ახრიალებულ რადიომიმღებ-
საც კი ამტვრევენ...

კიზი ზის, რაღაცას ფიქრობს და მის თვალეში ერთხელ კიდეც იმ
გამომეტყველებას ვიჭერ, რასაც ყველაზე უკეთ სიტყვა schamig-ი გა-
მობატავს. ეს იმ ადამიანის გამომეტყველებაა, სულ იმას რომ ფიქრობს,
რა უსიამოვნება მოგაყენოს და რა გითაღლითოს.

— შეგიძლიათ მიიყვანოთ „კიდობანში“, ძალღს მე შეხვედრას
არცთუ ცოტა დრო დასჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავს გა-
ვართმევ, — ამბობს კიზი და ქარვისფერი სიროფით გაყლენთილ ბლიტს
ოთხ ნაწილად ჭრის: — ჩემსას ყოველთვის ვაღწევ.

— გინდათ წინასწარ გავაფრთხილო ჯეკი?

— არა, საჭირო არ არის, მოვრჩები ამ ბლიტებს და მაშინვე სამუშა-
ოზე წავალ. ძალღს დაახლოებით თორმეტი საათისათვის მოიყვანეთ.
მართლაც რომ ჩინებული მადა აქვს.

— დიდებული ძალღსა, მისი დაღუპვა ცოდვაა.

კიზმა გამიღიმა და თავისი წვეტიანი კბილები გამოაჩინა:

— ის თუ იცით, უოტსის შემდეგ ყარაული ძალღს კარგად განვრთ-
ნაში თეთრები ექვსას დოლარამდე რომ იძლევიან?

ამაზე არაფერი მიპასუხია, ავდექი და წამოვედი. იმ ძალღსვილს,
მგონი, თეთრი კაცი ვგონივარ.

ბატკა ძალღსაშენში მივიყვანე, კარუტერსს კი ვუთხარი, რომ საყვა-
რელი თანამშრომელი უბრუნდება, რომ კაცობრიობის სასიკეთოდ გვე-
ლებს შეუძლიათ გათავისუფლდნენ თავიანთი შხამისაგან. ჯეკი მაიმუნების
განყოფილებაში ტიხარის წნულს მიყრდნობია და ყავას შეექცევა. მის
მხარზე შემომჯდარი პატარა შავი ფუმფულა მაიმუნი კი ყავაში თითის
ჩაყოფას ცდილობს. დროდადრო ჯეკი მაიმუნს თავის ბუტერბროდს სთა-
ვაზობს, მაიმუნი ცოტას მოლრღნის და დანარჩენს ისევ ჯეკი მიირთმევს.

— კენგურუს გამო დიდი უსიამოვნება მაქვს, — მითხრა კარუტერს-
მა, — ოჯახის დედამ ოჯახის მამა გალახა, ოჯახური დავა აქვთ... კენ-
გურუების ფსიქოლოგია ზოგჯერ სრულიად გაუგებარია ჩემთვის. ამ-
ბობენ, ავსტრალიელები ამერიკელებს ჰგვანანო... კენგურუზე კი ამას
ნამდვილად ვერ იტყვი. ვერ გავიგე, რა უნდა ამ კახპას? ამ ჩემს ვაჟბა-
ტონს სხვა ქალი, ვიცი, ნამდვილად არა ჰყავს, მაშინ რა უნდა, რას ერ-
ჩის? ძალიან შეწუხებული ვარ, კორეელი ობლების დასახმარებლად დღეს
ამათ წარმოდგენა უნდა გაემართათ, ბოქსის სეანსი ეჩვენებინათ. ეს ბე-
რიკაცი კი ბრძოლის ხასიათზე არ ბრძანდება, შეშინებულია. იცით, ყვე-
ლა კენგურუ ცოტა არ იყოს, დარტყმულია. ამ რამდენიმე წლის წინ ერთი
კენგურუ მყავდა, მძუნვარობის დროს დედალთან რომ მივიყვანდი, სრუ-
ლი ამ სიტყვის მნიშვნელობით, გონებას კარგავდა — დასუნავდა, კურ-
დღელივით ჰაერს ჩაყლაპავდა და გულწასული გაიშხლართებოდა. გაბრა-
ზებული დედალი მერე თვითონ ახტებოდა ზევიდან. ფსიქოლოგია, ჩემო
მეგობარო, ძალზე უამური რამ გახლავს... ყავას ხომ არ დალევთ? მა-
შასადამე, კიზი დაბრუნდება და თვითონ მიხედავს ამ თქვენს საყვარელ
ძალღს?

— ჰო, შესანიშნავი ყმანვილია.

ნოი ჯექ კარუტერსმა ერთი ყლუპი ყავა მოსვა. სახე დაფიქრებული აქვს.

— აბა რა, — ამბობს ისე, სხვათა შორის.

მერე თავისი გამოხუნებული თვალებით ერთი ამხედ-დამხედა და ყავის სმა განაგრძო.

პატარა მაიმუნმა ხელიდან ბუტერბროდის ნარჩენი გამოხსტაცა.

— გველებსაც ძალიან უყვართ კიზი, ნამდვილი ჯადოქარი, — თქვა ჯექმა თითქმის პატივისცემით და ფინჯანში ჩარჩენილი ყავა გაზონზე გადაღვარა: — ასეთი ტიპი ჯერ არსად შემხვედრია, ჩემს მტერს, თუ გაბრაზდა. მართალი გითხრა, სასიამოვნო საყურებელიც კია. კარგი, ნავალ, იმ ჩემს ვაჟბატონ კენგურუს ცოტა გუნებაზე მოვიყვან.

მერე ერთი გეზად გადმომხედა და მეუბნება:

— ამას რის გულისათვის სჩადით?

— რაზე ამბობთ?

— რაზე და, ძალზე.

— შინდა გადავარჩინო, ეს არის და ეს...

— მაინც რის დამტკიცებას სცდილობთ?

— კაცმა რომ თქვას, არაფრის.

— გეყოფა, ძმაო, არ ვიცნობ ინტელექტუალებს თუ რა? ეს სიმბოლოა, ხომ ასეა? გინდათ დაამტკიცოთ, რომ განკურნება, საერთოდ, შესაძლებელია?

— დიახ, შესაძლებელია.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს აკვნიდან უნდა დაიწყოს. ამას ცხრა-ათი წელიწადი მაინც დასჭირდება. კიზი კი...

— რა კიზი?

— გველის შხამითაა გაყლენთილი. ისე რომ, საიმედო ხელში ხართ. ნახვამდის, — თქვა ეს და გავიდა.

მესერს ჩაბლაუჭებულმა პატარა მაიმუნმა თათი წკავენკავით გამომიწოდა.



სალამოს ექვსი საათია.

ჯინი მონტესორის სკოლისთვის ფულის შესაგროვებლად არის წასული. ამ სასწავლო დანესებულებას იგი მთელი წელია ეხმარება. სკოლის ერთადერთ მიზანს ზანგი ბავშვების „სიძულვილის გარეშე“ აღზრდა წარმოადგენს. პროსპექტში ზუსტად ასედაც არის ნათქვამი — „აღზრდა სიძულვილის გარეშე“. ეს კი სევდიან ფიქრებს აღძრავს, ვინაიდან სკოლა, რომელიც ამით განსხვავდება სხვა სკოლებისაგან... ეჰ, ჩემი ღრმა რწმენით, იქ, სადაც სიძულვილია, აღზრდას ადგილი ვერ ექნება, ეს მხოლოდ წვრთნაა და მეტი არაფერი.

და აი ჩემს თავს ვუთხარი — შავკანიანთა პრობლემა შეერთებულ შტატებში იმას ეფუძნება, რაც მას პრაქტიკულად გადაუჭრელს ხდის, ანუ უგუნურებას-მეთქი. მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე გონებამ ერთხელაც ვერ მოახერხა იმ პრობლემის გადაჭრა, რომლის სიღრმისეული არსი უგუნურებასთან არის წილნაყარი. საკითხის მოგვარებას მხოლოდ გვერდის ავლით ან ეშმაკობით თუ ახერხებდნენ, მაგრამ ათიდან ცხრა შემთხვევაში მისი წაღობა უგუნურება მთელი თავისი სიძლიერით

სწორედ მაშინ ამოყოფდა თავს, როცა საკუთარ გამარჯვებაში გონებას უკვე ეჭვიც აღარ ეპარებოდა...

ჩემს სევდასა და ხანში შესული კაცის იმ განწყობას — არაფერში ჩავერულიყავი, წმინდა პირადული, საკმაოდ სასაცილო გაღიზიანებაც ერთვოდა. მას შემდეგ, რაც ჰოლივუდში ჩამოვედი, ჩემი სახლი, უფრო სწორად, ჩემი ცოლის სახლი, ლიბერალური თეთრი ამერიკული მშენებლობისაა. ლიბერალები (ამ სიტყვის ამერიკული მნიშვნელობა — ლიბერალიზმის გულ „ჰუმანისტს“, უფრო კი ალტრუისტს შეესაბამება) ოცდაოთხიდან თერამეტ საათს ჩვენ სახლში ატარებენ მაშინაც კი, როცა ჯინი სტუდიამია წასული. ასე ვთქვათ, ეს გახლდათ კეთილშობილ გულთა მუდმივი მორიგეობა — მათ, ვისაც მიაჩნია, რომ ამ სიტყვებს დაცინვის ელფერი დაჰკრავს, ვურჩევ, წიგნი დაუყოვნებლივ დახუროს და რაც შეიძლება შორს გაისეირნოს. აი უკვე ორმოცი წელია, დედამინაზე ჩემს ჯერ კიდევ არდაღუპულ ილუზიებს დავატარებ და, მიუხედავად მთელი ჩემი ძალისხმევისა, ვერა და ვერ ვთავისუფლდები მათგან, ერთხელ და სამუდამოდ ვერ გადამინურავს იმედი, თავიდან ვერ მომიშორებია ის აზრი, რომ ამის უნარი, უბრალოდ, ფიზიოლოგიურად მაკლია. სწორედ ამიტომაც ვექცევი ასე აგრესიულად ყველა ამ „კეთილშობილ გულს“. მათში ჩემს თავს ვხედავ — ეს ის „გადატანის“ ფსიქოლოგიური მექანიზმია, რომელიც კარგად არის ცნობილი მორიელების, ებრაელ-ანტისემიტებისა და იმ ზანგებიანთავის, რომელთაც თავისი ხვედრისადმი სიძულვილი სხვა შავკანიანებზე გადააქვთ. ასევე უნდა ვალიარო, რომ ჩემს ნერვებზე სულ უფრო მეტად და მეტად მოქმედებს იმ პარაზიტების მზარდი რაოდენობა, ჯინის გარშემო რომ ტრიალებენ. ყოველდღიურად მოქალაქეთა უფლებების დამცველთა გვერდით ჩნდება პატარ-პატარა ჯგუფები, რომელთა მოღვაწეობასაც მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზანი გააჩნია — ეკონომიურად უზრუნველყონ მათი „ხელმძღვანელი კომიტეტების“ არსებობა. მათ ყველას ლოდინის პოზიცია უკავია. ისინი ყოველ წუთს მზად არიან იმ ციური მანანის მოსაკრეფად, რომელიც ფედერალური და კერძო ფუნდებიდან უნდა წამოვიდეს. მართალი გითხრათ, ცხვირი არასოდეს ჩამიყვია ჯინ სიბერგის ფინანსურ საქმეებში. თუმცა ჩამოსვლის დღიდან ვაკვირდები ამ ნაბევარ დუჟინ თაღლითსა და მარადიულ პიკარობებს, ისინი თამაშობენ და იგებენ კიდევაც ჯინის „დამნაშავეობის“ გაორკეცებული შეგრძნების წყალობით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვარსკვლავია (ერთ-ერთი ყველაზე არად ჩასაგდები არსება, თუმცა მთელი დედამინის ზურგზე ისე არავისი შურთ, როგორც კინოვარსკვლავისა), მეორეც იმიტომ, რომ ლუთერანია და პირველი ცოდვის შეგრძნება ფრიად გამახვილებული აქვს.

სამწუხაროდ, პირადად მე არ ვცნობ ბატონობის იმ უფლებას, ადრე ქმრებს ნაპოლეონის კოდექსი რომ ანიჭებდა, თუმცა კი გულში სულ იმას ვოცნებობ — ნეტავი ის რამდენიმე შავი გაიძვერა, ვინც ამ დანაშაულის შეგრძნებისთვის ჩემს თეთრ მეუღლეს ბეგარას ახდევინებს, გარეთ პანდურის კვრით გამასმევიანა-მეთქი.

უკვე მერამდენედ ვრწმუნდები, რომ ამერიკაშიც თავს ისე უგემურად ვგრძნობ, როგორც საფრანგეთში, თუმცა კი ძალიან მიყვარს და საკმაოდ დიდხანსაც ვცხოვრობ ხოლმე ამ ქვეყანაში, რათა თავი აქ გარეშედ არ ვიგრძნო.

ჰოდა, რაც შეიძლება ვაგულიანებ საკუთარ თავს — მინდა ამერიკის

შეერთებული შტატებიდან წასვლის აუცილებლობაში დავირწმუნო და სადღაც გავიქცე, გავერიდო, ოღონდაც ყელში ამოსული ეს სიტყვები აღარ გავიგონო: „კი, თქმა არ უნდა, არამზადაა ეს შავკანიანი, მაგრამ ნუ დაგვიწყდებათ, რომ იგი სწორედ თეთრებმა აქციეს ასეთად...“

მაი მუხლებზე მიზის. სიამის ეს კატა, რომელიც გვერდიდან არასოდეს მცილდება, როგორც წესი, მუდამ ჩემს მუხლებზე მუჯდებათებული და თავის მრავალფეროვანი, მრავლის გამომხატველი ხმით მრავალად გაუგებარ ამბებს მიყვება. იქნებ ამ წუთას იგი ერთხელ კიდევ მანდობს კატათა სამყაროს საიდუმლოებებს, მე კი მთელი ამ ამბებიდან ერთი სიტყვის გაგებაც არ ძალმიძს. ვინ იცის, იქნებ ის საოცარი ფოლკლორი, რომლის ლექსად გადმოტანაც მხოლოდ პუშკინმა შეძლო, კატების მთელი ეს ფილოსოფია მისხლტება ხელიდან, რაც ნამდვილი ფილოლოგიური კატასტროფა გახლავთ. იქნებ ბოლოსა და ბოლოს, როგორც იქნა, ალაპარაკდა სფინქსი, იქნებ ყველაფერს მიყვება, მაგრამ უცხო ენის არცოდნა უდიდეს აღმოჩენათა კარიბჭესთან მაჩერებს?

ჯინი შინ დაბრუნდა, ერთხანს გარშემო მიტრიალა, მაგრამ მე კლდესავით ვდუმდი. ჩემგან მას საპატიებელი არაფერი აქვს, თუმცა კი გულნატკენი გახლავართ. და ეს იმ ქმრის უმნიშვნელო, სასაცილო წყენაა, ვისი ცოლიც ქვეყნის უბედურებებზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე საკუთარ ოჯახზე.

ვიდაცამ დარეკა. კარი გავაღე. ზღურბლზე ტიპიური ამერიკელი ბავშვები -- შვიდი-რვა წლის ქერათმიანი მომხიბვლელი გოგონა და მასზე უმცროსი პატარა ბიჭუნა იდგნენ, ისეთი კარგები, გეგონება, თეთრკანიანთა ჯადოსნური ზღაპრის ფურცლებიდან გადმოსულანო.

— უკაცრავად, სერ, ფილო აქ არის?

— ფილო? ანა, ფილო აქ არ არის.

მაშინვე მაცივრისკენ გავიქეცი და უკან შოკოლადის Brownies-ებით ხელდამშვენებული დავბრუნდი. მართალია, შოკოლადს დიეტის გამო ვერ გვახლებით, მაგრამ ყიდვით ყოველთვის ვყიდულობ, რათა ცქერით მაინც დავტკბე.

— არა, სერ, გმადლობთ.

გახარებული შოკოლადს სიამოვნებით შევექცევი.

ბავშვებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს და მერე მე მომაჩერდნენ მკაცრად.

— იცით, ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში გვითხრეს, რომ ფილო თქვენთან არის.

უცებ ვხვდები, ფილო ვინცაა. ამ დროს ჩვენი სახლის წინ „შევროლედან“ ხმელ-ხმელი, ჭაღარაქოჩრიანი ბერიკაცი, ბაბუა კრუშინი გადმოდის. მე იგი ორმოცი წლის წინ მესერზე გაკრულ იმ რეკლამებიდან მახსოვს, „კრუშინის მარილი გაზაფხულია“ რომ ეწერა. მსიამოვნებს დღემდე ცოცხალი რომაა, საღსალამათი და ჩინებულ ფორმაში. ბაბუა კრუშინმა გაზონი მხნე ნაბიჯით გადმოიარა. ნაოჭებით დაღარული, თუმცა ნათელი, ხალისით სავსე, მზით გარუჯული სახის დანახვაზე, ალბათ სამოცზე კარგა მეტისაცაა-მეთქი, — გავიფიქრე, მთელ მის გარეგნობას ხანგრძლივი ბედნიერი ცხოვრების დაღი აზის. კარგი პენსია, კარგი დანაზოგი, გადახდილი სესხები, უძრავ ქონებაზე „ბლიუ კროსს“ სადაზღვევო პოლისი, ანკესით თევზის ჭერა, იხვებზე ნადირობა... ეს ყველაფერი

კი წითელ კუბოკრულ „პენდლიტონის“ პერანგშია გახვეული. იგი ბავშვებს შორის დგება და მხრებზე ხელს ხვევს.

— გამარჯობათ, სერ... ცხოველთა დაცვის ორგანიზაციაში გგეთხრეს, რომ ორი კვირის წინ ძაღლი თქვენ წამოიყვანეთ. გერმანული ნაგაზია, დრუნჩზე მწითურბალნიანი მეჭეჭი აზის. გარდენიაში სეირნობისას ჩვენს მისაბმელ ფურგონს ცეცხლი რომ გაუჩნდა, ძაღლმა გაქცევილ უშველა თავს, ასე ვთქვათ, ბუნების ნიაღში გაისეირნა... *გაქცევილ უშველა თავს*

— იცით, ფიდო ჰქვია, — თქვა ბიჭმა.

ზურგს უკან ჩემი ცოლის ნაბიჯების ხმა მომესმა. უკან არ მიმიხედავს, ვიცი ჯინს ტყუილის თქმა არ შეუძლია.

— შემოდით, რაღას უყურებთ, შემოდით...

შემოვიდნენ. ბავშვები თვალს არ მაცილებენ. ალბათ რამდენი ცრემლი ღვარეს, როცა კეთილი ფიდოს დაკარგვის ამბავი შეიტყვეს.

ბავშვებს თავაზიანად გავუღიმე, მართალი და გულუბრყვილო თვალებით შევაცქერდი, ვინაიდან დიდი ხანია უკვე ამ შეხვედრისათვის ვემზადები.

— თქვენს ძაღლს საყელური თუ ეკეთა?

ბაბუამ თავი გადააქნია.

— არა, ფიდო ძალიან გასუქდა და იძულებული გავხდით, მოგვეხსნა, ყელში უჭერდა და იმიტომ, განსაკუთრებით როცა ვბანდით. ეს-ესაა ახლის ყიდვას ვაპირებდით, მაგრამ...

მე ხელი ავნიე.

— მნიშვნელობა არა აქვს. დარწმუნებული ვარ სწორედ იმ ძაღლზეა ლაპარაკი. მეჭეჭი და დრუნჩზე მოურჯულებელი მწველის მწითური ბალანი, არა? ჰა-ჰა-ჰა!..

ქერათმიან ანგელოზებს სახე უნათდებათ.

— ჰო, სწორედ ეგ არის, — ამბობს მამილო კრუშინი.

— ვწუხვარ, მაგრამ თქვენი ძაღლი ჩვენთან აღარაა. მაშინვე ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში დავრეკე, ის კი არა, „იკზემინერში“ განცხადებაც გამოვაქვეყნე, თუმცა არავინ გამომეხმაურა.

— შვებულება აქ გავატარე, — ამბობს მოხუცი, — ჩემი ვაჟი თავის ცოლთან ერთად ლოს-ანჯელესში ჩამოვიდა, უნდოდათ აქაურობა დაეთვალე რებინათ და თუ მოეწონებოდათ, საყიდლად შეერჩიათ. მერე ჩემი ვაჟი, ვიდრე აქ საბოლოოდ დამკვიდრდებოდა, საქმეების მოსაგვარებლად ალაბამაში დაბრუნდა.

— ლამაზი ადგილია ალაბამა, — ვთქვი თავაზიანად.

ბაბუა ისე იღიმის, მთელი ოთახი სინათლით ივსება.

— ჰო, ძალიან ლამაზია, — ამბობს იგი.

არც კალიფორნიაა ურიგო-მეთქი, — დავსძინე.

მოხუცი მეთანხმება:

— დიახ, თუმცა საინტერესო საქმიანობისათვის შესაძლებლობა აქ მეტია. პოლიციაში ოცი წლის მუშაობის შემდეგ ჩემი ვაჟი პენსიაზე გავიდა, უნდა საკუთარი საქმე წამოიწყოს, ძაღლსაშენი გახსნას. ჯერ მხოლოდ ორმოცდაშვიდი წლისაა, შტატის პოლიციაში მუშაობდა. მე შერიფი გახლდით...

— ეტყობა, მემკვიდრეობით მოგდგამთ, — ვეუბნები ღიმილით.

— ჰო, მამაჩემიც შერიფი იყო...

ისეთი გრძნობა მაქვს, სადაცაა ჯიბიდან ფოტოსურათებს ამოიღებ-
მეთქი.

ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ჩემი ცოლის აკანკალებული ხმა გა-
ისმა.

— ამ ძაღლს თუ მისცემ, სახლიდან წავალ, — მეუბნება ფრანგუ-
ლად.

— მოკვტე, — ვბასუხობ დათაფლული ხმით ~~ბაბუა კრუშინის~~ ფარ-
თოდ ვიღიმები, — ხომ ხედავ, თავს სულელად ვაჩვენებ.

ბაბუა კრუშინი აღტაცებულია:

— ფრანგი ხართ?

— დიახ, ვერდენში დავიბადე, აი „მარნეს სასწაულს“ რომ ეძახიან.

— საფრანგეთში ათას ცხრაას ჩვიდმეტ წელს ვიყავი, — ამბობს ბე-
რიკაცი, — მოხალისედ წავედი. მადლონი... მარშალი ფოში... ეჰ, წლები,
წლები!

— ეგ ბესრეკი ერთ კლიშესაც არ ტოვებს, — ამბობს ჯინი.

როცა ჯინი თავისი ამერიკული აქცენტით ჟარგონულ სიტყვებს წარ-
მოთქვამს, მართლაც რომ ერთ რამედ ღირს!

— ვწუხვარ, მაგრამ თქვენი ძაღლი ჩემთან აღარ არის, — ვთქვი და
ყოფილ შერიფს შევხედე. — ისე კი, შესანიშნავად არის განვრთნილი!..

სულაც არ გამხსენებია, რომ ამ ბერიკაციისათვის ეს ჩვეულებრივი
ამბავი იყო... ჩემი გესლიანი ნართაული აინუნშიც არ ჩაუგდია, მგონი,
ვერც კი მიხვდა.

— პოლიციის ძაღლია, — ამიხსნა ბერიკაციმა, — ერთ-ერთი საუკეთე-
სო. ჩემმა ვაჟმა თვითონ განვრთნა. პოლიციაში სწორედ ძაღლების განვრ-
თნაზე მუშაობდა. ცხოველები ძალიან უყვარს, ფიდოს მშობლებიც მისი
განვრთნილია. ეს ძაღლი პოლიციის ძაღლების მესამე თაობაა. მხოლოდ
რვა წელს ამუშავებენ. მათზე დიდი მოთხოვნილებაა. ჩემ შვილს ეს
ძაღლი ისე უყვარდა, რომ ადგა და გამოისყიდა. სახლში უკეთეს დარაჯს
ვერც ინატრებ.

ჯინს მოულოდნელი ასოციაციით ბელმონდოსთან თავისი დიალოგი
გაახსენდა „უკანასკნელი ამოსუნთქვიდან“.

— იჭიკჭიკე, იჭიკჭიკე, ჩიტუნია! — ამბობს დამცინავად.

— აპატიეთ, ჯინმა ერთი სიტყვაც არ იცის ინგლისურად... — რამეს
ხომ არ დაღვეთო? — გადავუთარგმნე ბერიკაცს.

— შენ რა, ყურსაც არ აპარტყუნებ? — მკითხა ჯინმა.

ეს ჩვენი საკვანძო ფრაზაა. ამ ფრაზას მარიო დავიდს უნდა ვუმად-
ლოდე. ერთხელ მას მადრიდის აეროპორტის ბუფეტში შევხვდი და მე-
გობრული გრძნობებით აღტყინებული რომ ვეცი, ღვინით სავსე ბოთლს
ხელი წამოვკარი. ბოთლს რომ ვიჭერდი, ოფიციანტს ფეხზე ფეხი დავად-
გი და შემობრუნებისას უნებურად მარიოს თვალში იდაყვი ვკარი. ვიდ-
რე ამის გამო ბოდიშებად ვიღვრებოდი, კბილებს შორის ხიდიდან ოქროს
გვირგვინს ამომვარდა და წვნიანში ჩაეცა. მარიომ ერთხანს დაკვირვებით
მიცქირა და ბოლოს მითხრა: „რომენ, თქვენ რა, ყურსაც არ აპარტ-
ყუნებთ?“

— სკოტჩს ხომ არ იწებებთ? — ვკითხე ბაბუა კრუშინს.

— არა, გმადლობთ... ჰო, მართლა, ვინმეს ხომ არ აჩუქეთ?

— ერთ ჩემს ამხანაგს ძალიან მოეწონა, ჰოდა... რადგან არავინ მოაკითხა...

— მისამართს არ მომცემთ?

მე ვითომ შევყოყმანდი.

ჩემმა შერიფმა ახლა უკვე მშრალად, ოფიციალური ხმით მკითხა:

— ჰქენით სიკეთე და თქვენი მეგობრის მისამართი მომცემთ...

— იცით რა, — ვუთხარი ბერიკაცს, — აბა დაფიქრდეთ... თქვენს ძაღლსა და ჩემს მეგობარს შორის ისეთი ინსტიქტური, თითქმის ცხოველური სიყვარული წარმოიშვა, პირდაპირ გაცეცხული ვიყავი... უნდა გითხრათ, რომ ჩემი მეგობარი აფრიკელია... შავკანიანი.

ბაბუა კრუშინი გაშეშდა, სახეზე ღიმილი გაუქრა და გაცეცხისაგან თვალგაფართოებულმა შემომხედა. მრავალი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ, ზოგჯერ ცოლი ან ქმარი ზუსტად მეორის ენით იწყებს ლაპარაკს. და აი, ოთახის სიღრმიდან უცებ ის გამოთქმა მესმის, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინ რომელიღაც უცხოურ ლეგიონში რომ შევიძინე და ჩემი თანამეცხედრის მშვენიერ ბაგეთაგან არასოდეს, დიახ, არასოდეს მსმენია!

— მაგარი ხარ, ჯიგარო! — თქვა არათუ მოწინებით, აღტაცებითაც კი. მისი მხარდაჭერით გამხნეებული ფრთებს ვშლი.

— ჩემი მეგობარი ახალგაზრდა აფრიკელი სტუდენტია, კალიფორნიის უნივერსიტეტის სტიპენდიანტი. ძალღი დაინახა თუ არა, მაშინვე მოიხიბლა... ასე ვთქვათ, ერთი ნახვით შეუყვარდა. აი, რომ იტყვიან, ერთმანეთისთვის არიან გაჩენილებიო. თქვენ შეიძლება არც კი დაიჯეროთ, მაგრამ, მათი დაცვილება, მერწმუნეთ, შეუძლებელი იყო...

ბაბუა კრუშინმა ნელ-ნელა ამოყვინთა, თუმცა არ ვიცი, რამდენად ღრმად იყო ჩაყვინთული, მაგრამ ამ ყბამაგარი ყმანვილის ბეჭებზე დაგდება არც ისე იოლი გახლდათ. იგი იმ პირველმოსულთა ნაშეირია, ვინც ამერიკა ააშენა.

— თქვენმა მეგობარმა ძალღი აფრიკაში წაიყვანა? — მკითხა ოდნავ ხმაჩახლეჩიღმა.

— დიახ, ბილეთი მე თვითონ შევუძინე, არ მინდოდა, მეგობრები დამეცილებინა, არის რაღაც, რის გაკეთებაც დაუშვებელია.

გოგომ თავისი პატარა მუჭებით თვალეღი მოისრისა და ატირდა.

— ფიღო მინდა, ჩემი ფიღო მინდა. — ამბობს წვრიღი, შესაბრალისი ხმით და მის ტირიღზე გული მეფღიღითება.

მინდა ვთქვა, რომ ეს მხოლოდ სტიღისტიური გამოთქმაა.

გოგონას ცრემღებმა გული ისე ამიჩვიღა, როგორც ჩინგიზ ყაენს „სოფის უბედურებამ“.

— საბრალღო პატარა, — თქვა ჯინ სიბერგმა. არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მისი ხმა სრულიად გულწრფელად ჟღერდა.

მინდა გითხრათ, მას შემდეგ, რაც საკუთარი მეყოღა, ბავშვები შემიყვარდა. და თუ ამ მომხიბვლელი პანანების მიმართ, დაკარგული ძალღის გამო ასე ცრემღებად რომ იღვრებიან, გულგრიღი დავრჩები, ამის მიზეზი სწორედ ჩემი ეს სიყვარული გახლავთ, ვინაიღან, როცა ამ ყოფიღლ შერიფს ვუყურებ, ჩემს თავს ვეკითხები, გეტოში რასობრივი მღელღვარებისას პოღიციის მიერ მოკღულთა საშუალო ასაკი თოთხმეტიღან თვრამეტ წღებს შორის რატომ მერყეობს-მეთქი?

კარგა ხანს ყველანი გაჩუმებულები ვართ. ოთახში ყრუ, დაძაბული მდუმარება ისადგურებს.

ჩემი შერიფი თანდათან რალაცას ხვდება — ჩვენ უკვე გვესმის ერთმანეთის.

— უფლება არ გქონდათ ძალს თქვენს ნებაზე მოქცეოდით, — ამბობს იგი.

ამაზე მე დაყვავებით ვპასუხობ:

— იცით, აფრიკაში ნერილს მივწერ, დარწმუნებული ვარ თქვენს ძალს ისე ექცევიან, როგორც პატარა უფლისწულს. ყოველ შემთხვევაში, იქ მას არაფერი გაუჭირდება — აფრიკაში ორასი მილიონი შავკანიანი ცხოვრობს, ასე რომ...

შერიფი ადგა, თავისი დიდრონი ხორკლიანი ტორები ბავშვებს პატარა, ქერა თავებზე ნაზად, ალერსიანად დაადო. ეს არამზადა, ეტყობა, მართლაც დიდებული ბაბუა ბრძანდება.

ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ იგი არამზადა სულაც არ გახლდათ, ირიქით, კარგი ადამიანი ჩანდა.

— ადვოკატი უნდა ვნახო, — თქვა შერიფმა.

— რა თქმა უნდა, ოღონდაც, მერე თქმა არ დაგავინყდეთ, როგორ გამოიყურება?

ჩემმა ცოლმა სტუმრები კარამდე მიაცილა. რას იზამ, ასეთია ამერიკული სტუმართმოყვარეობა! მერე ჩემთან მოვიდა, კისერზე ხელი მომხვია და ლოყაზე ლოყა მომადო. დიდხანს, დიდხანს ვისხედით ასე გაყუჩებულები, მაგრამ ჩემი სიბერისა თუ დაღლილობის გამო ყველაფერი გააფუჭე:

— ჯინ, თავი გაანებე. იმ ხალხს, ვისაც ნამდვილად სჭირდება, ვერაფრით დაეხმარები. ისინი მილიონები არიან, ვერ გასწვდები. დანარჩენები კი... დანარჩენები, სამწუხაროდ, ფსევდონი არიან, პირფერები, სხვათა ტანჯვის პროფესიონალები... ზოგიერთი ბარიერი ისევე გადაულახავია, როგორც ადამიანის კანის ფერი — ამას შენს პროფესიაზე ვამბობ... როცა კინოვარსკვლავი, დაე, თუნდაც ყველაზე გულწრფელი, ყველაზე თავგამოდებული და პატიოსანი, ნამდვილ იარას, სოციალურ გასაჭირს ეხება, იცი, რა გამოდის? იგივე კინოვარსკვლავობა. თქვენა ირგვლივ მუდამ ფოტოგრაფები იწყებენ ფუსფუსს, რეკლამას ხომ თვლა არა აქვს. ბრბო თქვენს საზოგადოებრივ მოღვაწეობაში კეთილ საქმეს კი არა, რეკლამასა და ფოტოგრაფების წინ პოზირების სურვილს ხედავს... არადა, უნდა მიატოვო კინო, სადღაც, ქვედა ფენებში, ყველასათვის შეუმჩნეველად იმუშაო... ოღონდ, გახსოვდეს, რომ ის ადამიანები, ახლა ასე გარს რომ გახვევია, მაშინ ზედაც აღარ შეგხედავენ, ვინაიდან მათ მხოლოდ კინოვარსკვლავი აინტერესებდათ...

— ვიცი და მიმიფურთხებია... მაგრამ არის კიდევ სკოლა... ოცდაათი ბავშვი, რომელიც არ შეიძლება მიატოვო... მარშალტაუნიდან ბილ ფიშერმა კიდევ ხუთი ათასი დოლარის ჩეკი და...

ვგრძნობ, მისი ცრემლები კისერზე როგორ მაცვივა.

— მომისმინე, ჯინ, მოდი ორიოდ სიტყვა ამ სკოლაზეც ვთქვათ, რომელსაც „სიძულვილის გარეშე“ ეწოდება... თუ ეს უბედური ბავშვები მათთვის შექმნილ საგანგებო სკოლაში მართლა სიძულვილის გარეშე გა-

იზრდებიან, სხვა ადამიანების გვერდით ისინი სრულიად დაუცველნი, ცხოვრებისადმი სრულიად შეუგუებელნი და უსუსურნი აღმოჩნდებიან...

— მე მინდა დავეხმარო მათ. ვიცი, რა უბედურ დღეშია კინოვარსკვლავი. მორჩა, აღარ გადავიღებ.

— შენ თუ კინოდან წამოხვალ, თუ ჯინ სიბერგი კინოვარსკვლავი აღარ იქნება, ვარსკვლავობით გამოწვეულ ცოდვებს ვერასოდეს გამოისყიდის და მაშინ იქნებ აღარც კი მოგიხდეს იმ ბავშვების დახმარება...

— იმიტომ რომ მხოლოდ ეს მამოძრავებს?

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მე უკვე მეყოფა, კმარა, — ვთქვი და ფეხზე ავდექი, — მივდივარ, ვორთქლდები. მეტი აღარ შემიძლია. ჩვიდმეტი მილიონი ზანგი სახლში — ეს უკვე მეტისმეტია, მეტისმეტია თვით პროფესიონალი მწერლისათვისაც კი! ერთადერთი, რაც შემიძლია, კიდევ ერთი წიგნის დაწერაა... მე ხომ უკვე ვუკარი თავი ლიტერატურაში ომს, ოკუპაციას, ჩემს დედას, აფრიკის განთავისუფლებას, ბომბებს, მაგრამ ახლა უკვე ვაცხადებ შავკანიან ამერიკელებზე წიგნის დაწერასა და ლიტერატურის შექმნაზე. იცი ჩემი ხასიათი, იცი, როგორ ვარ მოწყობილი — როცა რაღაც ისეთს ვაწყდები, რის შეცვლა, გამოსწორება და გაუმჯობესება არ შემიძლია, თავიდან ვიშორებ, წიგნში ვათავსებ და მაშინ თავსაც უკეთესად ვგრძნობ, უკეთესადაც მძინავს. ახლა კი ხელები დამიბანია, არ შემიძლია... არა, არ შემიძლია... არ შემიძლია შავი რომანის დაწერა!

— დარწმუნებული ვარ, მაინც დაწერ, — თქვა ჯინმა.

— კარგი რა, ჯინ, ათი წელია საკუთარი სახლი აღარ გახსოვს, სულ გარე-გარე დადიხარ. ბოლოს და ბოლოს ჩემი ცოლი ხარ და, მაშასადამე, ფრანგი.

— ფრანგი? არა, სანამ პირში სული მიდგას, ამერიკელად დავრჩები.

— ძალიან კარგი... მე კი აღარ მინდა კისერზე ამერიკაჩამოკიდებულმა ვიცხოვრო...

ვიღაცამ დარეკა. კარი გავაღე. ზღურბლთან ხუთი ადამიანი იდგა — ტომობრივ სამოსში გამოწყობილი ქალბატონები და ბატონები. „ო, არა! — ვყვირი ფრანგულად, — ეშმაკმა დალახვროს, კმარა, საკმარისია!“ — ამ სიტყვებით კარს ცხვირწინ ვუკეტავ და ჯინთან დაბრუნებული, მკონი, ვბრდღვინავ, თუმცა კი ვერ დავიჟინებ.

— აი მობრძანდნენ კიდევაც, პირდაპირ ძალაზე არიან, არამზადები! კარგი, ჩახან ასე დაჟინებით მოითხოვენ, დავწერ! მე მათ შავკანიანების ტანჯვაზე დახერხილ წიგნში ჩავტენი, იმ წიგნში, რომელიც ჯადოსნური ჯოხივით, ერთის დარტყმით ბოლოს მოუღებს შავკანიანების ტანჯვას, როგორც „ომმა და მშვიდობამ“, „დასავლეთის ფრონტი უცვლელიამ“ მოუღო ომს ბოლო. აკი წიგნებს, სამყარო რომ შეცვალებს, თვლა არა აქვს? მაგრამ ერთს თუ დამისახელებ, ფეხებს დაგიკოცნი... მოკლედ ან შენ გამათავისუფლებ ჩემს სახლში ზანგების გაუთავებელი პრობლემებისაგან ან მე თვითონ გავთავისუფლდები მისგან...

ჯინი კართან მივიდა და ოდნავ გამოაღო:

— თუ შეიძლება, ერთ წუთს მოითმინეთ, ჩემი ქმარი იცვამს.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონია, მე მივდივარ...

— მიდიხარ და წადი, — თქვა ჯინმა.

მანქანა გარაჟიდან გამოვიყვანე და საჭესთან დავჯექი.

პრუსტის ცნობილ ანკეტას — რომელი საბრძოლო გმირობა აღგაფრთოვანებთო, გაქცევა-მეთქი, — ვუპასუხე.

ჩემი სიცოცხლის მანძილზე არც თუ ისე ცოტა მიბრძოლია, მორჩა, მე უკვე მოვიხადე ჩემი ვალი.

ერთადერთი, რასაც ახლა ვითხოვ, მინდა, რამდენიმე სიგარა მაინც მომანევიონ მშვიდად.

თუმცა არა, ვტყუი. ჩემთვის ყველაზე დიდი უბედურებე სასოწარკვეთის უნარის არქონაა.

მაშასადამე, უნდა გავიქცე.

სანსეტის ბულვარზე მანქანა ოკეანისაკენ ნავიყვანე, მაგრამ რაღაც მახსენდება და უკან ვბრუნდები, გეზს „ნოეს კიდობნისაკენ“ ვიღებ, მალე რანჩოს უკან ვიტოვებ და ძაღლსაშენში შევდივარ. ბატკა გახარებული მახტება, სახეს მილოკავს, მეც გულში ვიკრავ და ვეფერები:

— მშვიდობით, მამილო!..

მერე კი, არ გაიგონ-მეთქი, რუსულად ვეუბნები:

— კარგად მომისმინე, ძმობილო, იმას როდი ვამბობ, შავკანიანებს არ უკბინო, მაგრამ მხოლოდ შავკანიანებს რატომ უნდა კბენდე?

მე მგონი, გამიგო, ძაღლები ხომ ყნოსვით უგებენ ღვიძლ ძმებს.

ჯაგრისი ვიყიდე და პირველსავე თვითმფრინავით გონოლულში გავფრინდი. იქიდან ხან მანილაში ამოვყავი თავი, ხან პონკონგში, ხან კალკუტასა და ხანაც თეირანში... ხან საით მივფრინავ, ხან საით. მინდა „ეგზოტიკას“ ვეზიარო, „ადგილობრივ კოლორიტს“, მინდა მშვენიერებით დავტკბე, კალაპოტიდან ამოვვარდე... ერთ დღეს აქა ვარ, მერე დღეს — იქ, ზოგან საერთოდ არ ვჩერდები, ღრმად არაფერში ვიხედები; არ მინდა მივხვდე, რომ ყველა ამ ნილაბქვეშ ჩვენი დასაბამიერი უხამსობა იმალება, არ მინდა ისევ საკუთარი თავის პირისპირ აღმოვჩნდე.

ამ სტრიქონებს გუამში, ჩემი ძმა ოკეანის ნაპირას ვწერ. ვსუნთქავ, ვისრუტავ, ვისმენ მის გუგუნს, რომელიც მამშვიდებს და მათავისუფლებს. ვგრძნობ ესმის ჩემი, ვგრძნობ, თქმა და გამოხატვა შეუძლია. მხოლოდ ოკეანეს, მხოლოდ მის ხმას, მხოლოდ მას ძაღუძს ადამიანივით ლაპარაკი.



ჯერ ისევ ღამე იყო, როცა ჩემი თვითმფრინავი კხმერის ქალაქებისა და ბრინჯის მინდვრების თავზე მიფრინავდა. ლოს-ანჯელესში კი საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, ჯინის ფეხებთან მოკალათებულმა სენდიმ ყურები რომ ცქვიტა, წამოდგა, კართან ნელა მივიდა, წამით იატაკი დაყნოსა და სასურველი სტუმრის მობრძანების ნიშნად კუდი ააქიციანა.

სტუმარი ძაღლსაშენიდან გამოპარული ბატკა გახლდათ, რომელმაც მთელი სანფერნანდოს ველი და ბევრლის გორაკები გადმოირბინა, რათა თავისიანებთან მოსულიყო.

ჯინმა თქვა, ბებერი ძაღლის თვალებში იმაზე გაცილებით მეტი სიყვარული დავინახე, ვიდრე ამის გაძლება შემეძლო. ამ სიტყვებზე ჯინი აქვითინდა, აქვითინდა იმიტომ, რომ ძაღლის სახლში დატოვებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგანაც ჩვენი შავკანიანი მეგობრების თვალში იგი მათი საუკუნოვანი მონობის განსახიერებას წარმოადგენდა და თავისი აქ ყოფნით ამ ამბავს ყოველ წუთს გაახსენებდათ. „საშინელი ღამე

გავატარე, — თქვა შემდეგ ჯინმა, — ვცდილობდი შეუგუებელს შევგუებოდი, რაც თავისთავად მორალურ სიბარიტობასა და მიუტევებელ დილეტანტობაზე მეტყველებდა. თვით ყოყმანიც კი დაუშვებელი იყო“.

დილით ჯინმა კარუტერსს დაურეკა, რათა ეს ამბავი ეცნობებინა.

— მაშასადამე, მოაგნო სახლს. შესანიშნავია. მართალი გითხრათ, გულს მომეშვა.

თუმცა კარუტერსის ხმაში მხოლოდ შვება როდი იგრძნობოდა — იგი აშკარად გახარებული იყო.

— დიახ, ჯეკ, ნამდვილად იმ ადამიანის სახელს ვერ დაგარქმევთ, რომელსაც სამყაროს შეცვლა სურს.

— ჯინ, აი რას ნიშნავს მწერლის გვერდით ცხოვრება. მაშ ძალღს იტოვებთ და მისგან სამყაროს იქმნით?.. იცით, რა მოხდა აქ ამ დღეებში? ერთმა ჩვენმა შავკანიანმა თქვენს პოლიციელ ძალღს მოწამვლა მოუნდომა. საჭმელში იმდენი დარიშხანი ჩაუყარა, ერთს კი არა, ათასს გააფშკინებდა ფეხებს, მაგრამ ძალღმა პირიც არ დააკარა. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ვინც საჭმელი მიუტანა, ზანგი იყო...

— ჯეკ, ეს შეუძლებელია.

— რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ იმის ნახევარზე მეტი რაც ამქვეყნად ხდება, შეუძლებელია. დარიშხანის თაობაზე წარმოდგენაც არ მქონდა. მე ხომ პატრონი ვარ, გამოდის, რომ პატრონს არაფერს ეუბნებიან. მეორე დღეს ტური — აი ის თვრამეტი წლის ბიჭი... ეჰ, ახალგაზრდობა ხომ ასეთი მშვენიერი რამ არის! — ყარაულ ტატუმთან მივიდა. ძალღს სწორედ ბილ ტატუმი აჭმევდა, ვინაიდან ტატუმი ისეთი თეთრია, თქვენი პოლიციელის მანჭვა-გრეხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ათას მილზეც კი იგრძნობა მისი სუნი. თქვენ, რა თქმა უნდა, უკვე იცით, ჯინ, რომ ჩვენ, თეთრებს ისეთი სასიამოვნო სუნი გვაქვს, რომ იტყვიან, ერთი სიამოვნებაა მისი ყნოსვა. ამის დასტურად შემოიძლია ძალღს მაგალითიც დაგისახელოთ. ბიჭმა ბილს სთხოვა, თქვენი რასისტი მოეწამლა, რაზედაც ტატუმი უპასუხა, სამოცდაათი წლის კაცი ვარ, არც არავის მოწამვლა მინდა, არც არავის მოკვლა, საამისოდ აღარც წელი მომდევს, აღარც სურვილი მაქვს, აღარც თავდაჯერებაო. ამ ინტრიგის ამბავი კი, რომელიც ჩემს ზურგს უკან იქნა დაგეგმილი, მხოლოდ ტერისა და კიზს შორის გამართული ცემა-ტყეპის შემდეგ გავიგე. ბიჭს მაშინ კაი მაგრად მოხვდა კიზისაგან. ოღონდ არა მკითხოთ, რატომა და რა მიზეზით...

— განა უაზრობა არ არის, საცოდავ პირუტყვს ანგარიშის სწორება დაუნყო?.. კიზი საკმაოდ ჭკვიანია, რათა ამას ვერ მიხვდეს.

— ცდებით, ჯინ, კიზი ბევრად უფრო ჭკვიანია. ისეთი ჭკვიანია, ზოგჯერ ასე გგონია, კი არ ფიქრობს, წინასწარ აქვს გათვლილი. ასეა თუ ისე, ბიჭი კაი გემრიელად მიბეგვა. პროგრამის დაგვირგვინება კი გუშინ-წინდელი დღე გახლდათ. გასახდელიდან გმინვა შემომესმა. ნავალ, ვნახავ, რა ხდება-მეთქი. მართლაც მივედი და ვხედავ, ტერი სრულიად დედიშობილაა, მის წინ კი კიზი დგას და ხელში რევოლვერი უჭირავს. რევოლვერი მაშინვე ვიცანი — ჩემი რევოლვერი იყო, ტერიმ, ეტყობა, ჩუმად ამოიღო ჩემი მაგიდის უჯრიდან. ჩანს, თქვენი პოლიციის მოსაკლავად უნდოდა. აი სადამდე მივედით ამ ქვეყანაში. ხომ წარმოგიდგენიათ, შიგნით რამდენი ბოღმა და ბალღამია დაგროვილი. ეს ყველაფერი პოლიტიკა ან რასობრივი პრობლემები კი არა, სიგიჟე და ფსიქიური აშლილობა

უფროა. ერთი სიტყვით, ალბათ ადვილად მიხვდებით, როგორ გამიხარდებოდა, თქვენი ძალის გაქცევა რომ გავიგე.

— ცოტა თქვენც ხომ არ დაეხმარეთ ამაში?

— არა, მე არა... შეიძლება ბილ ტატუმი ან სხვა რომელიმე თეთრკანიანი დაეხმარა.

იმ დროს პარიზში რომ ვყოფილიყავი, შეიძლება დეპუტატ მიმელო — ორლიში ჩამობრძანდით, ამერიკიდან გამოგზავნილი თქვენი ძალის წაიყვანეთო: მაგრამ მე მაშინ ჰონკონგში ვიყავი.

პრობლემა კი სრულიად მოულოდნელად გადაიჭრა. ჯინს ვერ ვუსაყვედურებ, ხაფანგში რატომ გაები-მეთქი. ეჭვიც არ შეპარება, მეც ასევე ამოვყოფდი თავს დაგებულ მახეში.

დაახლოებით საღამოს რვა საათი იქნებოდა. ჯინს იმ დროს „აერო-პორტში“ იღებდნენ და მეტრო გოლდენ მაიერის სტუდიაში ლამის გადაღებისათვის ემზადებოდა. გვარიანად დანაყრებული ბატკა და სენდი ნავახშმევს შუა სასტუმრო ოთახში გაშხლართულიყვნენ, ამ დროს სახლის წინ მანქანა გაჩერდა და ბატკამაც დაუყოვნებლივ გვაუწყა, რა ფერისა იყო ვიზიტორი. იგი თვალის დახამხამებაში წამოხტა, კბილებდალრჭენილი კარს უხმაუროდ ეცა და უცებ ისე გამძვინვარებულმა დაიღრინა, მისი ხმა თითქოს სადღაც საუკუნეების სიღრმიდან მოედინებოდა.

ჯინმა მოახლოებული ნაბიჯის ხმა გაიგო, მაგრამ ხარი ჯერ დარეკილი არ იყო, რომ ბატკას რაღაც უჩვეულო დაემართა, კუდი ამოიძუა და უკან-უკან დაიხია.

ყუფით კი ყუფდა, მაგრამ რაღაც სხვანაირად. ყოველ დაყუფას შორის შიში და უღონობა იგრძნობოდა მის საბრალო, კვნესის მაგვარ წკავწკავში.

ჯინმა კარი ოდნავ გამოაღო — კართან ღიმილით სახეგადაბადრული კიზი იდგა. ახლაც ცხადად მიდგას თვალწინ — ლალი, მოქნილი სხეული და წვრილ-წვრილად მიჯრილი თეთრი, ქათქათა კბილებით განათებული სახე...

— სალამი.

— სალამი. ერთ წუთს მოითმინეთ, ძალღს გარაყში დავამწყვდევე.

კიზს სახე კიდევ უფრო გაებადრა.

— არა, საჭირო არ არის, ახლოსაც არ გამეკარება.

— გამიგონეთ...

— მის სიბერგ, კარგად ვიცნობ ცხოველებს. გეუბნებით, არ გამეკარება-მეთქი. მართალია, ჯერ არ დავმეგობრებულვართ, მაგრამ რაღაც შეიცვალა, რაღაც პროგრესი მაინც არის. ერთ წუთს თუ გცალიათ...

ჯინი ჯერ შეყოყმანდა და მერე ძენკვით ჩაკეტილი კარი ოდნავ მოაღო — ხომ მოგეხსენებათ, სტუმართმოყვარეობა რა არის!

— დარწმუნებული ხართ?

კიზმა კარს ხელი ჰკრა და სახლში შემოვიდა. მართალია, ბატკა იღრინებოდა და ანჩხლობდა, მაგრამ ჯინი, რომელსაც არაერთხელ უნახავს, შავკანიანის დანახვაზე რეფლექსს დამორჩილებული ძალღი თვალის დახამხამებაში „მტერს“ როგორ ეცემოდა ხოლმე, მისმა ამ ფერისცვალებამ შეძრა.

კიზი უკვე შუა სასტუმრო ოთახში იდგა, თეთრი ძალღი ღრენა-ღრენით გარშემო უვლიდა, ძალღონეს იკრებდა, საცაა უნდა სცემოდა, მაგრამ თითქოს რაღაც ბარიერს აწყდებოდა, ისევ ჩერდებოდა. მისი საქცი-

ელი ყოველივე იმას ეწინააღმდეგებოდა, რაც აქამდე ესწავლა და აეთვისებინა. მის განრისხებულ ყეფაში ალბათ ამიტომაც ისმოდა ასეთი გულწრფელი სასონარკვეთილება.

თავი მოღალატედ მიაჩნდა. ჯინი ყურთამდე გაფრიალებულ კარს მოსცილდა, ცდილობდა მორეოდა შიშს. შუა ოთახში გამოჭიმულმა კიზმა კი ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, წკიპურტის დასრტყმის შემდეგ სის ღერი ამოაგდო, პირში გაირჭო და მოუკიდა.

— ხედავთ, — თქვა კიზმა, — რალაც შეიცვალა, ახლა მათ ეშინიათ. არა, მე არაფერს ვიგონებ. ჯინს ეჭვიც არ ეპარება, რომ სწორედ ეს სიტყვები მოისმინა — ახლა მათ ეშინიათო. თუ ეს თითქმის გიჟური ფრაზა თვალებს არ აგიხელთ, თუ არ დაგანახვებთ, საუკუნეების მანძილზე რა ბოღმაა დაგროვილი ზანგის გულში, მაშასადამე, არა მხოლოდ ზანგების მიმართ ხართ გულგრილი, არამედ საკუთარი სულის მიმართაც.

ისეთ პოლიციელ ძაღლებს, როგორც ბატკაა, სპეციალისტები მეომარ ძაღლებს ეძახიან. მათი შთამომავლობა, როგორც წესი, თავდასხმაზე საგანგებოდ განვრთნილი ძაღლების რამდენიმე თაობას ითვლის და სწორედ ამ მემკვიდრეობითობის გამოა მათი წვრთნა ადვილი. და აი, ბატკაც ახლა ამ მემკვიდრეობითობას — თავის ძაღლურ ბუნებას ებრძოდა.

იგი სიძულვილით იყო სავსე, მაგრამ რომ სცემოდა და შეეცია, შიში უშლიდა ხელს. ბალანი ყალყზე ედგა. მის ყმუილსა და საბრალობელ ღრენაში სულიერი გაორება, სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევაში დამნაშავე ერთგული ძაღლის სასონარკვეთა იგრძნობოდა.

თეთრმა ძაღლმა იცოდა, რომ თავისიანებს ლალატობდა...

კიზმა სიგარეტს მოუკიდა.

შემდეგ ჯინმა მითხრა — ეს ყოველივე ნამდვილი უხამსობა იყო, განსაკუთრებით კიზის — გამარჯვებული კაცის სიცილი... არსებობს ტრიუმფის ათასგვარი სახე, ეს კი ისეთივე აუტანელი და ამაზრზენი იყო, როგორც ყოველგვარი ტერორის გამარჯვება. კაცს უმაღლესი ერთი კითხვა გებადება — როგორ მიაღწია კიზმა ამას? ცემითა და წვალეებით? შეუძლებელია გულდამშვიდებულად გეცქერა ამ გახელეებულ, თავგზააბნეული ძაღლისათვის, რომელიც უკვე ვეღარ ემორჩილებოდა საკუთარ რეფლექსებს, ადამიანებისგან ამ დამფრთხალი, გონებაარეული, მოტყუებული პირუტყვისათვის — ისტორიის ამ მსხვერპლისათვის. ეს აუტანელი და გულისამრევი იყო. იმ წუთას თითქმის მძულდა კიზი, მაგრამ არა პიროვნულად, არამედ ზოგადად, როგორც შეიძლება მთლიანობაში გძულდეს ეს ყოველივე. ხომ არ შეიძლება ყოველთვის და ყოველგვარი სისაძაგლე საზოგადოებას დააბრალო? ზოგჯერ ეს ხომ შენი პირადი დამსახურებაა, რაც შეეხება ძაღლის „გადარჩენასა“ და „განკურნებას“, ამ ამბავთან ძაღლს საერთო არაფერი ჰქონდა — ეს ადამიანებს შორის ბრძოლა უფრო იყო...

ჯინმა მშრალად უთხრა:

— გატყობთ, წარუხოცველი შთაბეჭდილება დატოვეთ.

— მე მხოლოდ თავს ვიცავდი, — თქვა კიზმა, — მხოლოდ ერთხელ ვცემე როგორც ჯერ არს, მხოლოდ ერთხელ დავკარგე თავი, ერთხელ გამოვედი წყობიდან. უბრალოდ, შემეჩვია, ეგ არის და ეგ. ზოგჯერ ჩავიცვამ ჩემს დამცავ კომბინეზონს, სამ-ოთხ საათს მის გაღიაში ვატარებ და ისიც სწავლობს თვინიერებასა და მორჩილებას... უკვე მიხვდა, რომ ვერაფერს

დამიშაყებს, თავიდან ვერ მომიშორებს... გრძნობს, რომ უკვე აღარ მეშინია მისი, მიხვდა, რომ წააგო...

შემდეგში, როცა ამას მოვლენათა შემდგომი განვითარება მოჰყვა, ხშირად ვეკითხებოდი მეგობრებს, როგორ მოიქცეოდნენ ჩემს ადგილას? ეს ამბავი მაშინვე გახმაურდა, ვინ აღარ ურეკავდა ჯინს, ზოგი კეთილი და ზოგიც საუჭუო განზრახვით — ძალს სიამოვნებით წაჭყუანთო, — სთავაზობდნენ, მაგრამ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი გახლდათ, ვინაიდან ყველა ეს წინადადება (გთხოვთ კალამბურად ნუ ჩამითვლით), მეტისმეტად თეთრი ძაფით იყო ნაბლანდი. მეგობრების უმეტესობამ, ვისაც კი ვკითხე, ყველამ ასე მიპასუხა — შენს ადგილას ძალს ნემსს გავუკეთებდი, „გრძნობიერებასაც“ საზღვარი აქვსო. მე კი არ ვიზიარებდი მათ აზრს. პირიქით, სინამდვილე გვიმტკიცებს, რომ გრძნობიერება მინიმუმამდე დავიყვანეთ. პირადად მე უარს ვამბობ თანამედროვე უგრძნობლობის ესკალაციის წინაშე პოზიციის დათმობაზე.

ჯინი ყოყმანობდა. მე კი კარგად მესმის ყოველი სულგრძელი ადამიანის მოთხოვნილება, სჯეროდეს იმ ადამიანებისა, რომლებიც მზად არიან, შანსი მისცენ. თუმცა მრავალნი და მრავალნი ამას სისუსტედ თვლიან. მე თვითონ, მართალი გითხრათ, სრულიადაც არა ვარ სულგრძელი, ვინაიდან არასოდეს არაფერს ვპატიობ, მით უმეტეს, არაფერს ვივიწყებ. და აი ერთხელ სწორედ იმიტომ, მივეცი ნება ვილაც თაღლითს გავეჭურდე, რომ საზიზღარი სიფათი ჰქონდა. ჩემი ქვეშეცნეული ანტიპათიის გამოსყიდვა მინდოდა, კონტრაქტიც ამიტომ დავდე.

— რა თქმა უნდა, თუ ძალის გაყიდვა გინდათ, — მითხრა კიზმა, — რვაას დოლარზე ნაკლებს არ აიღებთ. ეს ხომ მხოლოდ ყარაული კი არა, ნამდვილი მეომარი ძალლია, მათზე დიდი მოთხოვნილებაა.

— გეყოფათ, კიზ, პროვოკაციები საჭირო არ არის, ჩემი დამოკიდებულება კარგად იცით.

კიზმა მოკრძალებული იერი მიიღო, ირონიის ნატამალიც არ ეტყობოდა.

— დიახ, ვიცი, ისეთი ადამიანები, როგორიც თქვენ, ბერტ ლანკასტერი, პოლ ნიუმენი და მარლონ ბრანდოა, ძალიან გვეხმარებით... დიახ, ვიცი.

გულში კი ალბათ სიცილით კვდებოდა და, ცხადია, თავისაზე იდგა. სიძულვილსა და ბოღმას გასაოცარი ძალა გააჩნია, მთების დაძვრაც კი შეუძლია ადგილიდან. ამ საფუძველზე ხომ მრავალი მშვენიერი ქვეყანა აშენდა, და საიმედოდაც.

ჯინმა გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ ეცადა. რას იზამ, ასეთია ჯინ სიბერგი, მას ვერავინ შეცვლის.

— კარგი, ძალს რანჩოში წავიყვან, თქვენ ხომ სწორედ ამისთვის მოხვედით? ოღონდ, ჯეკი თუ დათანხმდა.

— დათანხმდება. ჩვენს დროში ძნელად თუ იპოვი გამოცდილ სპეციალისტს. გველებისთვის კი — ნამდვილად ვერავის. იმუნიტეტი რომ გამოიმუშაო, წლებია საჭირო, აი, ისეთი, როგორიც მე მაქვს — გველმა რომც მიკბინოს, ვითომც არაფერი. ასეა თუ ისე, მთელ კალიფორნიაში ორ კაცს თუ იპოვი მარჯნისფერი ასპიტი ხელში შეაჩეჩო და გულწასულმა ძირს ბრაგვანი არ მოადინოს.

— ასე ძალიან რატომ ცდილობთ ამის მიღწევას?

კიზმა გაიცინა და თავი გააქნია.

— ოო, აქ კი გამომიჭირეთ. ცხოველები ბავშვობიდანვე მიყვარდა, ეს პროფესიაც ამიტომ ავირჩიე. მალე საკუთარ ძალსაშენს გავხსნი, საკუთარ საქმეს გავიჩენ. მე ხომ ნამდვილი სპეციალისტი ვარ. ხოლო თქვენს ძალს თუ ვაჯობე, შეგიძლიათ ყველაზე უკეთესადაც ჩამთვალათ. დიახ, მემ, ყველაზე უკეთესადაც.

და ეს ყველაფერი სურნელოვანი ვარდების ფონზე წდებოდა. ეტყობა, ჩემი შინ არყოფნა განსაკუთრებულ სიცარიელეს ქმნიდა, ამიტომაც მისი შევსება, სავიზიტო ბარათებთან ერთად, ვარდების ათობით თაიგულით უწევდათ. ძალზე სასიამოვნოა იმის შეგნება, მოშორდები თუ არა შენს მომხიბლავ მეუღლეს, ინდივიდთა საკმაოდ დიდი მასა ყვავილების მაღაზიებში გარბის, რათა სცადოს და აორთქლებული სურნელი ახალი სურნელით შეცვალოს.

— აი, კიდევ რა, კიზ. ვიცი, ერთმა თქვენმა კოლეგამ ძალის მოკვლა სცადა. დარწმუნებული ხართ, რომ კიდევ არ ეცდება?

— ტერი? არა, უკვე ყველაფერს მიხვდა. რაც საჭიროა, ყველაფერი ავუხსენი, პო, მართლა, აქ არის, მანქანაში ზის. სახლში მიმყავს. გინდათ დაელაპარაკოთ?

ასე, თვრამეტიოდე წლის ბიჭი მართლაც მანქანას მიყრდნობოდა და ყვავებს ითვლიდა. რას იზამ. მომავალი თაობა მოდის.

— ნუ ლელავთ, მის სიბერგ. სისულელე გავაკეთე. გპირდებით, ასეთი რამ აღარასოდეს გამეორდება. პატიოსნებას გეფიცებით... შეგიძლიათ მენდოთ.

ეს იყო და ეს. მეორე დღეს ჯინმა ბატკა რანჩოში წაიყვანა. მის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი. ჯინთან ურთიერთობისას ზოგჯერ კვლავაც გულუბრყვილო ვხდები, რაც აუცილებელია, რათა დათმო და ამ დათმობით მოგებული დარჩე. ამით იმის თქმა მინდა, რომ ადამიანს უნდა გჯეროდეს ადამიანებისა, ვინაიდან, ჯობია მოტყუებული, ნალალატევი, აბუჩად აგდებული იყო, ვიდრე არავისი გჯეროდეს და არავის ენდობოდე, დიახ, ჯობია ნება დართო ღვარძლით სავსე პირუტყვებს კიდევ მრავალი საუკუნე ითბონ ხელები ამ წმინდა ცეცხლზე, ვიდრე მისი ჩაქრობის საშუალება მისცე. რაც არ უნდა დაკარგო, ყველაზე უფრო საშიში მაინც საკუთარი თავის დაკარგვაა.

პარიზში ჩემი დაბრუნების ორი კვირის თავზე „ფრანს-სუარის“ კორესპონდენტმა ჯინის ძმის ავტოკატასტროფაში დაღუპვის ამბავი შემატყობინა. სულ რაღაც თვრამეტი წლის ბიჭი იყო. დაუყოვნებლივ მარშალტაუნში სიბერგებთან გავფრინდი, აიოვაში, შუა დასავლეთის გულში. ამერიკაში იგი დღესაც „ძველებური ყაიდის“ ქალაქად ითვლება. სამძიმარზე მოსულთა აღლუმისას მესმის, ეს ჩინებული ადამიანები როგორ ყვებიან იმ სამწუხარო „მეორე დრამაზე“, რაც ამ პატარა ქალაქში მოხდა, ქალაქში, სადაც ოცი ათასი კაცი თუ ცხოვრობს. პატიოსანი, ყოვლად წესიერი ქალაქი, რომლის მშობლებიც აქ საყოველთაო პატივისცემით სარგებლობენ, თურმე ვიღაც ზანგ ბიჭს გაჰყოლია. ამ ამბის გამო მამა თურმე სიკვდილის პირასაა, დედა კი ლამის ჭკუაზეა შეშლილი; იმ აზრს, შერეული ქორწინება შეიძლება ისოლივი ავზარ... ცემ უბედურებად იქ-

ნას აღქმული, როგორც ახალგაზრდა ყმანვილის ტრაგიკული სიკვდილია-მეთქი, წონასწორობიდან გამოვყავარ. ვცდილობ თავი შევიკავო, მაგრამ დუმილი ხომ თანასწორობის ნიშანიცაა! როგორ ვიჯდე ასე მგლოვიარე და უსიტყვოდ კვერი როგორ ვუკრა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი მეტ-ნაკლებად თეთრი კანით კარგად ვარ შენიღბული? პროვოკაცია, თუ ამას თავდაცვის აუცილებლობა მოითხოვს, ჩემი გაყვარებული ხერხია. ჰოდა, ჩემს მოსაუბრეებს ვუთხარი, რომ მე ეს „ტრაგედია“ ყველაზე უკეთესად მესმის, ვინაიდან ჩემი პირველი მეუღლე, ვისზედაც ათას ცხრაას ორმოცდაერთ წელს ვიქორწინე, აფრიკელი შავკანიანი იყო და სრულიად შიშველი დადიოდა-მეთქი (ეს თითქმის სიმართლედ გახლდათ, იმასაც თუ ჩავთვლით, რომ ომის დროს ასეთი ქორწინება შარში ტომობრივი წესებით ხდებოდა — საპატარძლოს მამამ ქალიშვილი სანადირო თოფსა, ოც პეტრ ქსოვილსა და ხუთ ქილა მდოგვეში გამიცვალა). ოჯახის მეგობრები შეძრწუნებულები დუმდნენ — მათ ხომ ეგონათ, რომ ჯინ სიბერგი რიგიან ადამიანს გაჰყვა ცოლად. ჰოდა, ნაცვლად იმისა, დროზე დავმუხრუჭებულყავი, სულ უფრო ღრმად და ღრმად შევტოპე: — ჩემი ზანგი ცოლისაგან ოცდაექვსი წლის ვაჟიშვილი მყავს, საფრანგეთის კომუნისტური. პარტიის წევრია-მეთქი. ამის გამო ზოგიერთი ჩემი მსმენელი მზადაა თავს გაქცევით უშველოს, მე კი მათ შესაჩერებლად ჯადოსნურ სახელს — დე გოლს ვიშველიებ. ის იყო, უნდა განმეცხადებინა, დე გოლსაც ზანგური სისხლი ურევია-მეთქი, მაგრამ ვჩერდები — რაც უნდა იყოს, უფლება არა მაქვს, „გავაებრაელო“ საფრანგეთი (მე მგონი, გესმით, რის თქმაც მინდა) და მხოლოდ იმის თქმით ვკმაყოფილდები, ბანგში რომ ვიქორწინე, დე გოლი ჩემი ხელისმომკიდე იყო, სწორედ ის არის ჩემი ზანგ-ფრანგ-კომუნისტი ვაჟიშვილის ნათლია-მეთქი. ოთახში მძიმე, ასე ვთქვათ, თეთრმა დუმილმა დაისადგურა, რის შემდეგაც თანაგრძნობა, რომელსაც ეს კარგი ადამიანები ჩემი ცოლის მიმართ იჩენდნენ, კიდევ უფრო ღრმა და გულწრფელი ხდება.

ვფიქრობ, არ უნდა გავბრაზებულყავი — მათ ზურგს უკან ხომ საუკუნოვანი მონობა იდგა! ამას შავკანიანებზე კი არა, თეთრებზე მოგახსენებთ. აი უკვე ორი საუკუნეა ეს ხალხი დამკვიდრებული იდეისა და მამიდან შვილზე დიდი რუდუნებით გადაცემული წმიდათაწმიდა ცრურწმენის მონები არიან, ორი საუკუნეა მორჩილად მისდევენ დიდის ამბით გამოცხადებულ დაკანონებულ იდეებს... იდეებს, რომელსაც ისევე ჰყავს მათი ცნობიერება მარწუხებში გამომწყვდეული, როგორც იმ კალაპოტს, რომელიც ძველად პატარაობიდანვე ფეხის ფორმას უმახინჯებდა ჩინელ ქალებს. როცა ერთხელ კიდევ მიხსნიან — თქვენ ამას ვერ გაიგებთ, თქვენთან საფრანგეთში ჩვიდმეტი მილიონი ზანგი არა ცხოვრობსო, ვცდილობ თავი შევიკავო. მართალია ასეა, მაგრამ სამაგიეროდ ორმოცდაათი მილიონი ფრანგი ცხოვრობს და არც ესაა მაინცდამაინც დიდი საჩუქარი. „გაიგეთ, ლაპარაკი აქ ზანგების შევიწროებაზე როდია, ჩვენ მომხრენი ვართ ყველამ თავისი უფლებებით ისარგებლოს. აი რასების აღრევას კი კარგი არაფერი მოსდევს“...

ლამით ჩემი ახალგაზრდა ცოლი ჩემს მკლავებში ქვითინებს და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მისი ეს მწუხარება პირადად ჩემდამი გამოხატული საყვედურია. ეს გრძნობა კარგად ნაცნობი გახლავთ ყველა იმ ადამიანისათვის, ვისთვისაც ვაჟკაცობა, უპირველეს ყოვლისა, სხვის დაც-

ვას, დახმარებასა და დამშვიდებაში მდგომარეობს. ალბათ უძღურების ნუთებში ჩემი მამაკაცური არსი ასე ამოდ, ასე გაცოფებით ჯერ არასოდეს შემუდარებია იმ უხამს ძალას, რომელსაც უფრო შესაფერისი სიტყვის უქონლობის გამო განგების ძალას ვუნოდებთ — ეს იყო ნაგებული ომი, სადაც თვით ბრძოლის უფლებაც კი ნართმეული გაქვს. მომდევნო დღეებში ვილაც კიდევ იწყებს იმ „მეორე დრამაზე“ საუბარს და ხდება ის, რაც გარდაუვალი იყო — უკვე ნონასნორობიდან სრულწინა გამოსული სახლის პატრონს ეგრევე პირში ვახლი: შენი ამ გამოცდილებული ცხვირ-პირის, ფიცარივით სიფათის პატრონმა, იმ საბჭოთა ხელმძღვანელებს რომ მიგიგავს, რომელთაც პასტერნაკმა „დრუნჩიანი დებილები“ უწოდა, საშველად სხვა მრავალი თეთრკანიანივით შავკანიანებს უნდა მიმართო, რათა შენი შთამომავლების სახეები ცოტაოდენ მაინც შეაფეროვნოს-მეთქი. ამ სიტყვებით დავტოვე სცენა, სადაც ისეთი დუმილი გამეფდა, თეფშების მტვრევის შემდეგ რომ ისადგურებს და ქუჩაში გავედი. მანქანით მივუყვებოდი სიმინდის მინდვრებს და ვცდილობდი საკუთარი თავი დამეჯერებინა, დროა ორმოცდაათობმეტი წლის კაცმა ყველა ის ნაირევი, ჩემს კანსა და ჩემს მშვენიერ სულს რომ ატყვია, გავითვალისწინო და მორჩილება ვისწავლო-მეთქი. მაგრამ ეთავსება კია მორჩილება ნორმალურ სექსუალურ ცხოვრებას? ჩანს, ისევე როგორც სიბრძნე, ადამიანს იგი მხოლოდ შემდგომ ესტუმრება ხოლმე...

●

ჯინი სასწრაფოდ ფილმის გადაღებაზე ვაშინგტონში უნდა წასულიყო. დასაფლავების მესამე დღეს სწორედ ამ მიზნით მარშალტაუნი დავტოვეთ, მაგრამ ტრაგიკულად დაღუპული ძმა კიდევ დიდხანს არ გვშორდება გონებიდან. მე ამას ჯინის თვალთაგან უცებ წამსკდარი ცრემლებით ვხვდები, რომლის დანახვაზედაც, ისე როგორც ყოველთვის, როცა რაღაც გადაულახავ სიძნელეს ვაწყდები, სიმწრისაგან მუშტებს ვკუმშავ. დაჩაგრული ბავშვების ნუგეშის მიმცემი, ყველას დამცველი, სამართლიანობისათვის მებრძოლი რაინდი, ჩემს არსებაში რომ იმალება, ზოგჯერ შინაგანი რისხვის, გაღიზიანებისა და საკუთარი თავის მიმართ სიძულვილის ისეთი გრძნობით ივსება, როგორც ყოველ მემამბოხეს მაშინ ეუფლება, როცა იძულებულია ჩაიბუტბუტოს — რას იზამ, აქ უკვე ველარაფერს გახდებო. ჯინს ხელი მოვკიდე (რა დიდებული მხარდაჭერაა, არა?), და ჩვენს სამხეცეში ახალი რა არის-მეთქი, ვკითხე. თურმე ჩვენი ვაჟიშვილი, რომელიც ჯერ ექვსი წლისაც არ არის და უკვე თვითნაალიზისაკენ მიდრეკილებას ამჟღავნებს, რა თქმა უნდა, მამის მიხედულობით, ან იქნებ სოკრატეს რჩევითაც — შეიცან თავი შენიო, შეეცადა თავისი შესაძლებლობები გაეზომა და სანტიმეტრი ჩაყლაპა, რის გამოც იძულებულნი გახდნენ საავადმყოფოში გაექციათ. რაც შეეხება კატებს, კატები ჯანმრთელად ბრძანდებიან.

— ბატკა როგორღაა?

ჯინს სახე მოედრუბლა. ღიმილიდან სევდაზე უცაბედი გადასვლის უშუალო რეაქცია და განცდების დაფარვის უუნარობა, როგორც ბავშვობის უკანასკნელი ნიშან-კვალი ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვს...

— არ მინდა ამაზე ლაპარაკი...

მე მთელი სხეულით ვიძაბები.

— კიზმა მოკლა?

— არა.

ჯინი მთის მორუხო-მონითალო ფერდობებს გასცქერის და დუმს.

— მომისმინე, ჯინ...

— ჯერ შიმშილით ხდიდა სულს, უფრო სწორად, ბატკა თვითონ არ ეკარებოდა საჭმელს იმის გამო, რომ იგი შავკანიანს ეჭვობდა. მალე სულ ჩონჩხად იქცა. როცა ჯექმა მოინდომა ძაღლისთვის, თვითონ შიმშიტანა საჭმელი, ჯექ კარუტერსმა და კიზმა საშინლად იჩხუბეს. ან ჩემი ხელიდან ზუჭამს, ან არადა, შიმშილით ამოსძვრება სულით, — განაცხადა თურმე კიზმა. კარუტერსმა რომ დამირეკა, ისე ღრიალებდა და მაგიდას მუშტის ისე ურტყამდა, ყურმილში მესმოდა... არადა, მასზე აკი ამბობენ, რა არ ნახა, რა არ გადაიტანა, მაგრამ, მოთმინებიდან არასოდეს გამოდისო. ჰოდა, სწორედ ეგ ჯექ კარუტერსი ღრიალებდა ყურმილში, ის ურტყამდა მუშტებს მაგიდას — ბრაგ! ბრაგ! ბრაგ! — მომაშორეთ ეგ ოხერი პირუტყვი, თორემ დღესვე ნემსს გავურჭობ, გესმით, ჯინ, გამათავისუფლეთ ამ უბედურებისაგანო...

დიახ, მომაშორეთ, გამათავისუფლეთ ამ უბედურებისაგანო...

წარმოდგენა არა მაქვს, ვინ უნდა შეძლოს ჩვიდმეტი მილიონი ზანგის აფრიკაში მიბრძანება!

— მერე? მერე რა მოხდა? — ვეკითხები ჩემს მეუღლეს.

— კარგი-მეთქი. დავჯექი მანქანაში და ძაღლსაშენში წავედი, მაგრამ კიზი უარს ამბობს ძაღლის წამოყვანაზე.

— თუ იცი, რას მეუბნები?

— ჰო, ძაღლის გამოტანებაზე უარს ამბობს. რომ მივედი, ზუსტად კიზიც შემოვიდა ჯექის კაბინეტში, ისეთი ამბავი ატეხეს, მეგონა, ერთი-ცა და მეორეც ჭკუიდან შეიშალა. კლდესავით ჯექ კარუტერსი ლამის ისტერიკაში იყო ჩავარდნილი. შეგეძლია ეს წარმოიდგინო? არა? მე კი ეს ჩემი თვალით ვნახე. არც კიზს ეჭირა თავი უკეთესად. ჯექი ღრიალებდა, ნახევრად პარალიზებული სახე მოღრეცოდა, მოკლედ, საზარელი სანახავი იყო! კიზიც გააღებდა პირს რალაციის სათქმელად, მაგრამ სიტყვას ვერ ამბობდა. ბოლოს როცა მოახერხა და სიტყვა ამოღერლა, ისეთი დანყლრეული ხმა ჰქონდა, თითქოს ნამსხვრევეებით შეუკონინებიათო. „რა უფლება გაქვს, შიმშილით მოკლა ეს პირუტყვი, — ღრიალებდა კარუტერსი, — ყოველ შემთხვევაში, აქ არა, ჩემთან არა! წვრთნის ასეთი მეთოდი ჩემთვის მიუღებელია!..“ „მაინც წვრთნის როგორი მეთოდია თქვენთვის მისაღები? — ყვიროდა კიზიც, — ის ხომ არა, სამხრეთში ამ ძაღლის გასაწვრთნელად რომ გამოიყენეს?“. გუნებაში გავიფიქრე, ნოი ჯექს წამდვილად სისხლი ჩაექცევა-მეთქი. დაბებკილი სახე ისე დაეძაბა, შემეშინდა ნაკერებზე არ დასკდომოდა. მაგრამ თავი შეიკავა, ხმა სადღაც გულში ჩაიგუბა, ხომ იცი, ეს როგორც ხდება, როცა გამწარებული ადამიანი თავს ძაღლს ატანს და ცდილობს როგორმე თავი შეიკავოს. ხოლო როცა ხმა ამოიღო, ასე გეგონებოდა, მისი ხმა სადღაც ქვესკნელიდან ამოდისო: „მომისმინეთ, კიზ, თუ გინდათ თქვით, რომ მე რასისტი ვარ, დიახ, ასეა, რასისტი გახლავართ (კიზმა გაოცებისაგან მხოლოდ პირი დააღო), მაგრამ არა როგორც შავი ან თეთრკანიანი. რასისტი ვარ იმიტომ, რომ დიდი ხანია ყელში ამომივიდა ადამიანთა მურდალი მოდგმა, გინდ ყვითელი იყოს, გინდ მწვანე და გინდაც ნაცრისფერ-ყოლოსფერი. მე მათ ოცდაათი წელია

ცხოველები ვარჩიე“. მერე ორივენი ოდნავ დამშვიდდნენ. „არა, ამ ძალლს არ გავუშვებთ, — ეუბნება კიზი, — ჯერ უნდა განიკურნოს“. „კიზ, ეს უკვე ნამხდარი, ხელიდან წასული, დაღუპული ძალლია! თქვენ ეს შესანიშნავად იცით. გაიგეთ, მისი გამოსწორება შეუძლებელია“. „ნება მომეცით, მე მოვკიდო ხელი!“ „თქვენ მას შიმშილით და წყურვილით კლავთ, ეს კი სხვა არაფერია, თუ არა სადიზმი. მისი პატრონებისაა — მთელ თქვენს სიძულვილს ამ ძალლს ანთხევთ თავზე...“ სიბრძნისაგან კიზს სახეზე მკვდრისფერი დაედო: „ო, არა, შურისძიება თუ მომინდა, ამ ძალლზე არ დავხურდავდები... თავად იმათაც მშვენივრად მივწვდები. რევოლვერი დამეხმარება“. შევეცადე ჩავრეულიყავი, მაგრამ ჯეკმა თითი ჩემკენ მოაშვირა — „მე მინდა ძალლი ამან წაიყვანოს, თუ არ უნდა შიმშილით ამოსძვრეს სული. ხომ წარმოგიდგენია, ქვეყანა აყაყანდება, ჯერ კარუტერსი წვრთნის დროს ცხოველებს სულს ხდისო. ცხოველთა დაცვის საზოგადოებასთან უსიამოვნება მომიხდება. მათმა ინსპექტორმა უკვე დამკითხა, მე კი იძულებული ვიყავი მეცრუა — ძალლი ავად იყო, არ ჭამდა-მეთქი. ეშმაკმა დალახვროს, ასე ხომ სამუდამოდ დავღუპე ჩემი რეპუტაცია...“ ეს არგუმენტი — *ist bod for business* — ბიზნესისათვის მავნებელიაო, კიზმაც, ეტყობა, გაიგო და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: „ვიცი, ოლონდორი კვირა მადროვეთ, სხვას მე არაფერს გთხოვთ. ძალლს არაფერი მოუვა, არ მოკვდება, საოცრად ძლიერი პირუტყვია“. შემდეგ კი მართლაც განსაცვიფრებელი რამ თქვა — შესანიშნავი ძალლიაო, თან ისე გულწრფელად, ჯეკი აშკარად დაიბნა. არ იცოდა, რა პასუხი გაეცა. „კარგი“, — მიუგო ბოლოს ცალყბად. ამის შემდეგ კიზი წავიდა. „თუ გესმით რამე? — ახლა მე მომიბრუნდა ჯეკი, — ეტყობა, მართლა არ უნდა ამ ძალლის ხელიდან გაშვება. საინტერესოა რატომ? ამ ძალლის განკურნებას ასე რატომ ცდილობს? კიზი შავი მუსულმანია. რამდენადაც ვიცი, მათში ასეა მიღებული: ხუთი თეთრკანიანის სკალპს თუ მიუტან, მექაში წასასვლელ ფულს გიხდიან. ეს ხომ წმინდანყლის სიძულვილია! აქ უკვე ყველაფერი აშკარაა. მაინც რას ესწრაფის, ამ ძალლით რის დამტკიცება უნდა? იმის, რომ შეუძლია სიძულვილისგან განკურნოს? რომ ეს მხოლოდ წვრთნის შედეგია და ამის გამოსწორება შეუძლია? კარგი, ვთქვათ ასეა, მაშინ რატომ თავისი თავით არ იწყებს?“ არ ვიცი, მგონი, ვუთხარი, სიტყვა „სიძულვილი“ მხოლოდ კლინიკურ სიმპტომებს მიესადაგება, თუმცა ყველა ვითარებაში ეს უმძიმესი ნევროზია, თანაც გადამდები-მეთქი... მოკლედ, ხომ გესმის, რასაც ვამბობ... მაგრამ ჯეკი არ მისმენდა. მხოლოდ ეს თქვა — ამ ძალლის გამო ყველანი ჭკუაზე შეიშალნენო.

მე კიზის მხარეს ვიჭერ:

— დარწმუნებული ვარ, ამ ძალლის გამოსწორება შეიძლება.

ვფიქრობ, ასე იშვიათად შევმცდარვარ ადამიანში. კიზს ჩემს იდეალისტურ ფართხალს, ნოსტალგიურ ოხვრას ვაწერდი, გულის ამაჩვილებელ, ცრემლნარევ ფიორიტურას თემაზე — „გიყვარდეთ ერთმანეთი“, ძალლით დაწყებული და მაისის ხოჭოთი დამთავრებული (რომელიც ზურგზე თუ დაეცა, პირაღმა უნდა ამოაბრუნო), ამ მარადიულ „ალილუიას“ თანაგრძნობის, ძმობისა და სიკეთისა...

როგორც კი გავიფიქრებ, ამ მოთხრობას გამოვაქვეყნებ, ჩემი კალმიდან გამოსულ ამ სანტიმენტალურ სიტყვებს წაიკითხავენ-მეთქი, უკვე ყურებში ჩამესმის, როგორ დამცინიან ყოველგვარ სინაზესა და ჰუმანურ

ზიზილ-პიპილებს მოკლებული, კლდესავით მოუდრეკელი რაციონალისტები, ისინი, ვინც ჩვენი ეს სამყარო ააშენა, რამეთუ, ნუ დაგვაფიქსდება, რომ ეს სამყარო სწორედ ძლიერმა ადამიანებმა ააშენეს. ამიტომ ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი სამყაროს გადარჩენა მხოლოდ ქალურობას შეუძლია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩიკაგოში დავეშვით, ზანგების კვარტალის ბოლოში „ბონ-მარშეს“ ტიპის ორი დიდი მაღაზია ბრიალებდა — იწოდა. მოსაცდელ დარბაზში რამდენიმე თეთრკანიანი და რამდენიმე შავკანიანი მგზავრი იჯდა და ტელევიზორში ბოლქვ-ბოლქვად წამოსულ კვამლს შეჰყურებდა. კანტორის იქით მდგარი ახალგაზრდა სტიუარდესა ცრემლმორეული იძახდა:

— ამას როდის უნდა მოეღოს ბოლო? მთელი ჩვენი კულტურა ინგრევა...

სიტყვა „კულტურას“ აქ „ცივილიზაციის“ მნიშვნელობით ხმარობენ. პირველად ყურადღებას მხოლოდ საქმის დადებით ასპექტზე ვამახვილებ: გალატაკებული ავიახაზის კანტორის იქით მდგარი ახალგაზრდა შუადასავლეთამერიკელი ქალი „კულტურაზე“ მელაპარაკება და მშვენივრად იცის, თუ რას ელის საფრთხე.

ეკრანზე ვუყურებ, სახლები როგორ ბდღვრიალებს. ცხელ-ცხელი რეპორტაჟია, დილანდელი, მე იგი გუნებას მიკეთებს. მიხარია იმიტომ, რომ მიყვარს ამერიკა. მიხარია, რომ იგი ამოძრავდა, რომ რაღაც აწუხებს, რაღაც სტკივა, რომ შეიძლება გაიღვიძოს... „ვიეტნამი“ ეს ის ყველაზე ცუდი რამ იყო, რაც შეიძლება ვიეტნამს დამართნოდა, მაგრამ, ყველაზე უკეთესი, რაც შეიძლება ამერიკას მოსვლოდა, რამეთუ ეს თავდაჯერებულობის დასასრული, საკუთარ თავში დაეჭვების, რაღაცის შეცვლის მოთხოვნის დასაწყისია. არ ვიცი, როგორი იქნება ახალი ამერიკა, მაგრამ ის კი ვიცი, ზანგების აფეთქება ცოცხლად გახრწნილ სტრუქტურებს დამყარების საშუალებას არ მისცემს. ამერიკას ზანგების გამონვევა გადარჩენს, ტოინბის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ის challeng-ია, რომლის მიღების შემდეგაც ცივილიზაციები ან ტრანსფორმირებას განიცდიან ან იღუპებიან.

ახალგაზრდა ქალი ცრემლებს იწმენდს, იგი ისეთი ნდობით შემომყურებს, როგორც აქ საუკუნოვანი სიბრძნის დამცველ ევროპელებს ეპყრობიან. მომინდა ხელში ამეღო ჩემი, ანუ ფრანგის ეს გვირგვინი და ხელი ოდნავ გამესვ-გამომესვა, რათა კიდევ უფრო ძალუმად აბღღვრიალებულიყო.

— როგორ ფიქრობთ, მოგვარდება საქმე?

მე, ცოტა არ იყოს, მაფრთხობს ყველაფერი ის, რაც „მოგვარებას“ შეეხება, ვინაიდან ნაცვლად ერთისა მაშინ, ორი დამარცხებული ჩნდება.

— მომისმინეთ, — ვეუბნები ქალიშვილს, — შეგიძლიათ სრულიად დამშვიდებული იყოთ — იგი არ მოგვარდება, ამერიკის საბედნიეროდ, არც სამოქალაქო ომის ამბავი მოგვარებულა... ზანგთა უმცირესობა ცდილობს მონობისაგან გაათავისუფლოს თეთრი უმრავლესობა, თუმცა არც ისე იოლია იმ მარწუხების დამსხვრევა, რომელშიც ორ საუკუნეზე მეტია გონება მოქცეული. ორიდან ერთი: ან ზანგები მიაღწევენ თავისას და შე-

იცვლება ამერიკა, ანდა დამარცხდებიან და ამ შემთხვევაშიც შეიცვლება იგი. ისე რომ, არც ასე ნააგებთ და არც ისე.

მოსაცდელ დარბაზში ექვსიოდე შავკანიანი და თხუთმეტამდე თეთრკანიანი იჯდა და ტელევიზორის ეკრანზე შეჰყურებდა, სახლი როგორ გიზგიზებდა. ყველანი გაჩუმებულები იყვნენ. არის ერთი გარემოება, რომლის შესახებაც არაფერს ამბობენ გაზეთები: შეერთებულ შტატებში იხდება ის, რასაც ფრანგები ჟურნალისტურ ენაზე „საბრძოლველ-მოქმედებაში გარდამავალ კამათს“ უწოდებენ. ძალადობის ყოველგვარი აფეთქების პირველ მიზეზს პოლიციური დასჯა, ანგარიშსწორება, გაუგებრობა, ცრუ ხმები ანდა პროვოკაცია წარმოადგენს, კამათი კი — არასოდეს.

— სიამოვნებით ნავიდოდი ევროპაში, — თქვა ქალიშვილმა.

ჩემმა ცოლმა მაშინვე ჩვენი პარიზული მისამართი ჩააწერინა. შევკრთი. ის ხომ ჩვენი სახლის მისამართს ყველა დარტყმულ ამერიკელ ახალგაზრდას აძლევს. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, ერთ მშვენიერ დღესაც ბაკის ქუჩაზე, ჩვენს ბინაში ექვს საძილე ტომარაში გახვეულ ბიტნიკს რომ წავანყდი. ერთ-ერთ მათგანს ოთხი წელია თურმე ჩვენი მისამართი აქვს და დანარჩენებისთვისაც იმას უბოძებია.

დღის ბოლოს მე და ჯინი უკვე ვაშინგტონში ვართ, იგი აყვავებული ალუბლის ხეებით გვეგებება. იმავე საღამოს ტაქსში, რომელსაც სადილად მივყავდით, რადიოთი მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობის ამბავი გავიგეთ. ჩვენი ტაქსის მძღოლი ზანგია და ერთბაშად მეტისმეტად გადაფითრებული ჯინის ფონზე მე იგი კიდევ უფრო შავი მეჩვენება. საჭეს ჩაფრენილმა მძღოლმა მთხოვა, გავუმეორო რესტორნის მისამართი და მეც ვუმეორებ. მძღოლი ტაქსს გიჟივით მიაქროლებს და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ხმაჩახლეჩით მეკითხება:

— რა თქვით, რა მისამართიაო?

პასუხს აზრი არა აქვს, ვუცდი, ვიდრე გონზე მოვა. პროექტორებით განათებულ აყვავებულ ალუბლის ხეებს გარშემო ვუვლი და ასე მგონია, ფანტასტიკურ სანახაობას — გაქვავებულ ბალეტს ვუცქერ.

— რა, თეთრკანიანმა მოკლა? — იკითხა ჯინმა. მალკოლმ იქსი თავისივე „შავი მუსულმანის“ მიერ იქნა მოკლული — იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც სათავეში ბებერი თაქსირი — ელია ედგა, კაცი, რომელმაც, აღარც კი ვიცი, რამდენი თავისი „მომდევარი ქალი“ დააფებმძიმა. მას მალკოლმის ესდენ დიდი პოპულარობა აშინებდა. ამბობენ, ნავთობის მეფე №-მა, თეთრი რასის განსახიერებამ და ამერიკაში ამ რასის ინტერესების დამცველმა, უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებების მილიარდერმა, „შავ მუსულმანებს“ დიდძალი თანხა გადაუხადა იმ იმედით, რომ შავ რასისტთა გაერთიანებების გამოჩენა თეთრებს „გამოალვიძებდა“.

— ეს თეთრმა ჩაიდინა? — იკითხა ისევ ჯინმა.

მძღოლს ხმა არ ამოუღია. ვგრძნობ, მისი მოხრილი ზურგიდან სიძულვილი როგორ მოჩქეფს და ვთხოვ უკან, სასტუმროში წავიყვანოს, თუმცა მისი სიძულვილი პირადად ჩვენ არ გვეხება, ჩვენ, უბრალოდ, შემთხვევით აღმოვჩნდით ამ წუთას მის გვერდით. პროექტორების შუქში გახვეული მშვენიერი ალუბლის ხეები იმ ადამიანებს მაგონებდნენ, დღე რომ შეეშალათ და მეორე დღისათვის დანიშნულ ზეიმზე სამეფლისო საწოლში მორთულ-მოკაზმულები წინა დღით გამოცხადდნენ. მძღოლმა სასტუმროსთან მიგვიყვანა, მინდოდა იმაზე გაცილებით მეტი მიმეცა, რაც

ეკუთვნოდა, მაგრამ თავი მხოლოდ იმიტომ შევიკავე, რომ ზანგია. კიდევ იმიტომ, რომ მარტინ ლუთერ კინგი მოკლეს.

— ამას აფეთქება მოჰყვება, — თქვა ჯინმა.

ამ ამბავმა მართლაც მეორე დღესვე „იფეთქა“. დღის ორი საათისათვის ქალაქში შეიდასამდე ხანძარი ბრიალებდა, სხვათა შორის, ბევრი თეთრი სახლიდან სულ რაღაც ორიოდ ნაბიჯზე. რუსთაველის, ახალგაზრდა მუხომბოხეები ცეცხლს პირველ რიგში ახსენებდნენ უკიდებდნენ, ისე რომ, თეთრების კუთვნილ თვითეულ დუქანზე ხუთი უსახლკაროდ დარჩენილი შავკანიანთა ოჯახი იყო. ტელევიზორის ეკრანზე გაქურდული მალაზიის ქალარანვერიანი ებრაელი ანტიკვარი აჩვენეს.

— არ ვბრაზობ, მათაც უნდა გაუგო... — ამბობდა ანტიკვარი.

თეთრეულის სავაჭრო დუქნის ჩამტვრეული ვიტრინის ფონზე გაურკვეველი ეროვნების კიდევ ერთი თეთრკანიანი და წყვილი ქვედა საცვალის აჩვენეს. საცვალის ისე ეგდო, გეგონება, განგებ გიშვერდა უკანალს. „რატომ არ ესროლა პოლიციამ? ვაი სირცხვილო! მანქანიდან მაშინაც არ გადმოსულან, მათ ცხვირწინ ჩემს მალაზიას რომ ქურდავდნენ“, — ამბობდა ჯინსურის ის თეთრკანიანი მეპატრონე. ალბათ მისი რამდენიმე წყვილი საცვლისათვის უნდოდა ის თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭები ამოეხოცათ... ვითომ ოქროს საცვლები ჰქონოდას!..

ვაშინგტონის მერმა, შავკანიანმა, გვარადაც ვაშინგტონმა, თუ საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს არ შეეხებოდა, პოლიციას სროლის უფლება არ მისცა. ეკრანზე ახლა შავკანიან რეპორტიორთა მიერ გადაღებულ ძარცვა-გლეჯას აჩვენებდნენ. „ჰილტონი“, სადაც ჩვენ გავჩერდით, მართვადაკარგულ დიდებულ ლაინერს წააგავს. მთელი მოსამსახურე პერსონალი შავკანიანია. სამსახურში ვერ მოვიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი კვარტლის გადმოკვეთა ვერ გაბედეს. პროდუქტების უქონლობის გამო რესტორნები დაკეტილია, თვალსა და ხელს შუა მატულობს და იზრდება ნაგვის გროვები, რაც მოშლილი ცივილიზაციის პირველ და უტყუარ ნიშანს წარმოადგენს. კვამლში ის კვარტალებიც გახვეულა, რომელთაც სინამდვილეში არავითარი საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ სადაც კი ხმა დაირბა, უკვე მოდიანო, ქუჩებში ერთი არეულდარეულობა და ორომტრიალი ატყდა. ყველა, ვისაც მანქანა ჰყავს, ცდილობს გაიქცეს ქალაქიდან, სადაც ორმოცდაშვიდი პროცენტი თეთრკანიანი მთლიანად „შავი“ სარტყლით არის გარშემორტყმული...

„ჰილტონის“ ჰოლი ალუბლის ყვავილობის დღესასწაულზე ჩამოსული ტურისტებიცაა საგსე. სხედან თავ-თავიანთ ჩემოდნებზე და აეროპორტში წასასვლელად ავტობუსს ელოდებიან. ავიარების რიცხვი სამჯერ-ოთხჯერ გაზარდეს. სახე ყველას შენუხებული აქვს, თუმცა სინამდვილეში არავითარი საფრთხე არ არსებობს... საბედნიეროდ, მიტოვებულ ალუბლის ხეივანში სეირნობისას ერთ მომხიბვლელ ამერიკელ ცოლ-ქმარს ვხვდები. — იმ ამერიკელებთანგანს, მე რომ მომწონს. ორივე ერთად ალბათ ას ორმოცდაათი წლისა მაინცაა. ხანში შესული მანდილოსანი ყველაზე მშვენიერ, თეთრად გადაფეთქილ ალუბლებს ხეს უღებს სურათს. გეფიცებით, ხეს ისეთი შესახედაობა აქვს, გეგონება, აპარატის წინ საგანგებოდ იპრანტებაო. ქმარი თვითონაც იმ ბებერ, ქერქდალარულ გამხმარ ხეს ჰგავს, რომელსაც ველარავითარი გაზაფხული ველარ ააყვავებს. თავისი ცისფერი

თვალებით ეშმაკურად შემომყურებს და მაგრძნობინებს, რომ მშვენივრად ესმის ჩემი.

— იცით, ირგვლივ ისეთი ალიაქოთი და აურზაურია... აქ კი ისეთი სიმშვიდეა... მთელი პარკი ჩვენს განკარგულებაშია.

— I love you, — ვამბობ და მოხუცებს აყვავებულ ალუბლის ხესთან ვტოვებ.

სალამო ხანს მდგომარეობა იმდენად უარესდება (თუმცა, რეალური გითხრათ, არც კი ვიცი, ეს რაში გამოიხატება), რომ დედაქალაქისაკენ ფედერალური არმიის თორმეტი ათას ჯარისკაცს აგზავნიან. ცხადდება კომენდანტის საათი. ამ ამბავამდე რამდენიმე წუთით ადრე თეთრ სახლს რომ ჩავუარე, იმ ისტორიული სურათის მოწმე გავხდი, რომელსაც ვერც მე და ვერც, რომელიც გნებავთ სხვა მოწმე ვერ დაივიწყებს — პრეზიდენტის სახლის კიბეზე ტყვიამფრქვევი იდგა და ლულა პირდაპირ ქუჩაზე პქონდა მიშვერილი. თუმცა, რამდენიმე საათის შემდეგ ტყვიამფრქვევს იქიდან პირადად ჯონსონის განკარგულებით მოაშორებენ. ისე კი, დანახვით ნამდვილად დავინახე. ძნელი წარმოსადგენია უძღურების უფრო აშკარა გამოვლინება, ვიდრე ეს საცოდავი, ქუჩისკენ მომიზნებული ტყვიამფრქვევი გახლდათ ყველაზე დიდი, ყველაზე ძლიერი დემოკრატიის სასიცოცხლო ცენტრის შესასვლელში. ბოლოსა და ბოლოს ამერიკაც ხდება ისეთი ქვეყანა, სადაც შეიძლება რალაც ახალი მოხდეს.

ავედი ჩემს ნომერში და ათიოდე წუთის შემდეგ იძულებული გავხდი, მთელი ჩემი ნებისყოფა მომეშველებინა, რათა ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კერპის, საკუთარი დიდების მითით გაყოყნებული ერთი იმ სუპერმენისათვის, რომელსაც მხოლოდ იმის შიში აქვს, ქვეყანამ მისი არსებობა არ დაივიწყოს, ცხვირ-პირი არ დამეფეფა. ჩემი მეუღლის ფილმის გადადება შეწყდა, ვინაიდან მეორე ფილმში, რომლის გადაღებაში მეც უნდა მიმეღო მონაწილეობა, მის მომავალ პარტნიორს, ახალგაზრდა — ახალგაზრდა კი არა, კაი ორმოცდა ორი წლის გმირ საყვარელს მერამდენე დღეა იერიში იერიშზე მოაქვს ჩემს ცოლზე. — აქაოდა სპერსონატის შესახებ უნდა გესაუბროო. ლაპარაკია იმ სამსახიობო სტუდიის ერთ-ერთ წარმოდგენელ სუბპროდუქტზე, სადაც ვითომდა მსახიობის ჩამოყალიბების მიზნით, მისმა თამაშმა დამაჯერებელი სახე რომ მიიღოს, მსახიობს ფსიქოდრამისა და ფსიქონალიზის შეზავებით ფსიქიკას უნგრევენ. თუმცა მრავალრიცხოვან მსხვერპლზე დაკვირვების მიხედვით აშკარაა, რომ ამ „მეთოდის“ შედეგად მსახიობები სრულიად კარგავენ ყოველგვარ წარმოდგენას, როგორც რეალობაზე, ისე ხელოვნებაზედაც. ფილმის „ახალგაზრდა“ გმირი კი უკვე მერამდენე დღეა გვიმტკიცებს, რომ მას ძალიან ადელვებს სასიყვარულო სცენა და დიდი სურვილი აქვს ჯინთან ამ კადრის წინასწარი რეპეტიციის ჩატარების ანუ მასთან „ცხოვრებისა“. და აი, სწორედ ეს ვაჟბატონი მხვდება ჩემს ნომერში ღვინისაგან გატრეტილი.

ტელეეკრანზე მარტინ ლუთერ კინგის თავახდილი კუბოს გვერდით მეგობართა და თანამოაზრეთა მთელი არმია მიედინება. მაგრამ სუპერმენს თავისი საზრუნავი აქვს. უნდა იმ სცენის რეპეტიცია მოწმის გარეშე ჩაატაროს. ვერ გაუგია, ჯინ სიბერგი რეპეტიციაზე რეჟისორის დას-

წრებას რატომ ითხოვს. მას რომ ჰკითხო, ეს მეტად ინტიმური ეპიზოდია, ამიტომაც არავითარი რეჟისორი აქ საჭირო არ არის. ირწმუნება, სამსახიობო სტუდიის უწმინდესი მეთოდის თანახმად, აუცილებელია წინასწარ „რეალურად“ გაიარონ ეს სცენა, რათა გადაღების დროს მთელი გულითა და გონებით გაითამაშონ იგი. მთხოვა, იქნებ მე მოვლაპარაკებოდი ჯინს, მეც ხომ „შემოქმედი“ ვიყავი! იქნებ დამერწმუნებოდა, მაშინ ნომერში ცალკე ჩაეტარებინა რეპეტიცია.

გინს ლიქოთეკა

მოკლედ, ეს მათხოვარი ვირისთავი მთხოვს, ზეგავლენა მოვახდინო და ჩემი ცოლი როგორმე მასთან დანოლაზე დავითანხმო.

ეკრანზე მარტინ ლუთერ კინგის სახეს აჩვენებენ. მაგრამ თავისი ამ აკვიატებული იდეით შეპყრობილი სუპერმენი შეხედვის ღირსადაც არ თვლის, მას მხოლოდ სექსუალური აქტის შიში და საკუთარი თავის დამშვიდების სურვილი აწუხებს. ერთი სული მაქვს, ვისკით სავსე ბოთლს ხელი წამოვავლო და ამ ფსიქოპატს შიგ გოგრაში ვთხლიშო. ეს ყოველივე სასაცილო იქნებოდა, ეკრანზე მიცვალებულის სახეს რომ არ აჩვენებდნენ — ძალადობის უარყოფელი შავი მოციქულის სახეს. ამ ნაგავ სუპერმენს კი, რომელიც სხვათა შორის „პროგრესულ“ ადამიანს თამაშობს, ზანგებიცა და მათი პრობლემებიც ფეხებზე ჰკიდია, ვისკს კიდევ ისხამს და კორექტისა და მარტინ ლუთერ კინგის სახეებს ზედაც არ უყურებს, მხოლოდ იმას მიხსნის, ჩემმა ცოლმა ამ სცენის რეპეტიცია მასთან ერთად ლოგინში მოწმეების გარეშე რატომ უნდა ჩაატაროს და მიმტკიცებს, რომ ეს მხოლოდ ხელოვნებისთვის არის საჭირო. სხვა რა გზა მაქვს, ვცდილობ, თავი შევიკავო...

თუმცა ხელისგულები მექავება და ბრაზი მახრჩობს. ბოლოსა და ბოლოს მთელი ჩემი არსებით ვხვდები, რა რეაქცია აქვთ ზანგებს, როცა დამცირებას ძალადობით პასუხობენ. პასტორო მარტინ ლუთერ კინგ, გქონდა კი მთელი სიგრძე-სიგანით გაცნობიერებული, რა შემზარავ პირუტყვულ ძალას გამოუცხადე ეგ შენი მშვიდობიანი ომი? მე კომპრომისზეც თანახმა ვარ.

პანლური — არსებითად ძალადობა კი არა, ყოვლად უწყინარი უესტია, სიფათზე წამოპირქვავებული ყინულით სავსე სათლი კი — სასიამოვნო გაგრილება.

ვცდილობ თივი რაც შეიძლება ღირსეულად დავიჭირო.

სუპერმენს წამოდგომაშიც კი ვშველი.

მაგრამ ჩემს ფილმს კი ჯვარი დაესვა. ეჭვი არ არის, მსოფლიოში ეს ყველაზე ძვირად ღირებული პანლური იყო, რამეთუ ფილმის ბიუჯეტი სამი მილიონი დოლარი გახლდათ.

ტელევიზორი გამოვრთე. ასე მგონია, მიცვალებულის თვალებმა ყველაფერი დაინახეს...

მეორე დღეს ლოს-ანჯელესში ვბრუნდები და აეროდრომიდან პირდაპირ „ნოეს კიდობანში“ მივდივარ.

ვალთარებ, აზრმა ბატკას განკურნების შესახებ ჩემს ცნობიერებაში სიმბოლური მნიშვნელობა მიიღო. თქვენ შეიძლება მხრები დამცინავად აიჩიოთ, მე კი მხოლოდ ის გამიგებს, ვისაც ადამიანის, ასე ვთქვათ, არისტოკრატიული იდეალისა სწამს. მე იმ დემოკრატია რიცხვს ვეკუთვნი, ვინც

დემოკრატიის მიზანს ყველას გაკეთილშობილებაში ხედავს. ამერიკა ხომ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც დემოკრატია დაიწყო.

რკინის ნერვების რეპუტაციის მქონე ჩემი ნერვული სისტემა/თანდათან ფარ-ხმალს ყრის.

იყო ლამეები, როცა — ვაითუ ჩემს აქ არყოფნაში კიზმა და ნოი ჯეკ კარუტერსმა სიბრაღულის გამო, აქაოდა, მისი გამოსწორებულ ნერვულ მდგომარეობაში, თეთრ ძაღლს ნემსი გაუკეთეს-მეთქი, თავზარდებულს მშვენიერებოდა და იმ გერმანელს ვიხსენებდი, ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტ წელს შვეციიდან მომავალმა მატარებლის კუპეში რომ გავიცანი. მერნშუნეთ, ებრაელები დამნაშავეები არ არიან, ისინი, უბრალოდ, ჩვენ ვაქციეთ ასეთებად — მთელი ორი ათასი წელიწადი თავზე ლაფს ვასხამდით და ვამცირებდით, ახლა კი უკვე ხელიდან წასულეები, მოშხამულეები არიან. ახლა მათ აღარაფერი ეშველება, მათი განკურნება შეუძლებელია. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვეცოდება, ამიტომაც კარგი იქნება, ისე ამოვწყვიტოთ, ტკივილი არ იგრძნონ, ეს მათთვისვე იქნება უკეთესიო. მახსოვს, ლუდით სავსე ბოთლი გერმანელს შიგ სახეში ვთხლიშე, რისთვისაც მთელი ხუთი დღე დიუსელდორფის ციხეში მაყურყუტეს.

კარუტერსს ყოველდღე ვურეკავდი, თავიც კი მოვაბეზრე. ის კი ყოველ დარეკვაზე მხოლოდ ამ პასუხს მაძლევდა — თქვენს ძაღლს ახლა კიზი უვლის, მე აღარაფერი მესაქმებაო.

კიზი... მთელ ჩემს ცხოვრებაში იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ჩემთვის, არ ვიცი, როგორ ვთქვა — ესოდენ სიმეტრიული იქნებოდა.

კვირა დღეს რანჩოში არავინაა.

ყოფილი საჰაერო გიმნასტი ბილ ტატუმი — ყარაული, რომელიც ახლა სამოცდაათს არის გადაცილებული, მამშვიდებს, ძაღლი თავს კარგად გრძნობს, ძალიან კარგადაც კი, კიზი მას ძველებურად უვლისო... მოხუცს თითქოს კიდევ რალაციის თქმა უნდა, მაგრამ შეცბუნებული ჩუმდება. მხოლოდ სმოგზე ჩაიბურღუნებს ერთი-ორ სიტყვას — გაზაფხულს აფუჭებსო, და, გასაღებს მაძლევს.

ბატკამ მაშინვე მიცნო. გულს მეშვება — ძაღლი მშვენივრად გამოიყურება, სიფათიც მაძლარი აქვს და ბენვიც უბზინავს. ჩემს დანახვაზე სიხარულისაგან გადარეული ცოტა რომ მშვიდდება, თავის თასმასთან მიდის, მიყურებს და ყეფს — ესე იგი, გასეირნებას მთხოვს. მართლაც, გრიფიტს-პარკში მიმყავს, სადაც მთელი ერთი საათი წინ და უკან დარბის, ანცობს, დანავარდობს, ველური ბუნების გემრიელი სურნელით თვრება. უკან დაბრუნებისას ძველ ჰიუზ-მარკეტში სურსათის საყიდლად შევდივარ, ბატკას მანქანაში ვტოვებ.

საყიდლებზე დაახლოებით თხუთმეტობოდე წუთს ვყოვნებდი. სურსათით ხელედატვირთული მანქანის სადგომზე რომ ვბრუნდები, ბატკა მანქანაში აღარ მხვდება, ეტყობა, ფანჯრის მინა, არ დაიხრჩოს-მეთქი, ოდნავ ღია რომ დავტოვე, დრუნჩით ჩამოწია და მანქანიდან გადმოძვრა. საყიდლებზე მოსულ უამრავ დედათაგან, თავიანთი ჭრელი შარვლებით ხან იქ რომ გაიღვებდნენ და ხან აქ, ერთ-ერთს საბავშვო ეტლი კედლის ძირას მიუდგამს. ბატკას კედლის ძირას მიტოვებულ ეტლის კიდებზე წინა თათები ჩამოუწყვია და ინტერესით ჩასცქერის. სახეგაღიმებული რამდენიმე ნაბიჯს ეტლისაკენ ვდგამ და...

მგონი, მთელ ჩემს სიცოცხლეში ასეთი შიში არასოდეს მიგრძენია... და მაინც...

პარკებით დატვირთული, ძარღვებში სისხლგაყინული ადგილზე ვშემდები.

ეტლში მწოლარე პატარა — შავკანიანია. ბატკა დგას და ბავშვს თვალმოუცილებლად დასცქერის. მისი დრუნჩი ბავშვის სუსხესთუნულ რაღაც ათიოდე სანტიმეტრითაა დაცილებული.

მერე კი...

მერე ბატკამ თითქოსდა ეშმაკურად შემომხედა, ისევ ბავშვისაკენ შებრუნდა და კუდის ქიციანი დაიწყო.

გულს მომეშვა, მაღლიერებისაგან ცრემლი ყელში მომეზჟინა.

ბატკასთან მივედი და საყელურში ხელი ფრთხილად წავავლე, ის კი ყურებდაცქვეტილი ისევ კუდს აქიცინებს და ბავშვს ისევ ხალისითა და ინტერესით დასცქერის.

ბავშვი ფეხებს აფხლაკუნებს, იცინის.

ბატკა სუნავს და სახეზე ასალოკად ეტანება.

ძალლი მანქანასთან ფრთხილად მივიყვანე, კარი მივხურე და საჭეზე უღონოდ მისვენებული დიდხანს გაუნძრევლად ვიჯექი.

ბოლოს ძალ-ღონე მოვიკრიბე და მანქანა ადგილიდან დავძარი. მანქანას მალე უკვე სან-ფერნანდოს მინდვრისაკენ მივაქროლე, დროდადრო ჩემ გვერდით მშვიდად მოკალათებულ ძალღს ხელს ვუსვამ და ვეფერები. მერე ამ სასწაულებრივ ამბავს მოხუც ტატუმს დაწვრილებით ვუყვები, მაგრამ პერიკაცი აინუნშიაც არ აგდებს და ძალღს მხოლოდ ერთი უცნაურად გადახედავს, ჩანს, მაინცდამაინც არ ენდობა, ის კი არა, ცოტა ეშინია კიდევაც.

— პირუტყვია, — ამბობს სხვათა შორის, — ჰო, ვიცი... მაგას რა ჭკუაზედაც გინდა, იმ ჭკუაზე დააყენებ...

თეთრი ძალღი გამოსწორების გზას ადგას-მეთქი, — ეს ამბავი რომ შევატყობინო, ჯინის დაბრუნებას შინ მოუთმენლად ველი. ცხადია, ეტლში მხოლოდ ჩვილი ყრმა იწვა და არა ზრდასრული შავკანიანი, მიუხედავად ამისა, ასეა თუ ისე, პროგრესი სახეზეა... მაგრამ ჯინი ჩემს ენთუზიამს არ იზიარებს. ერთხანს ისე, უგულისყუროდ მისმენს, თან ფეხსაცმელს იხდის და მერე ოდნავ გაღიზიანებული მეუბნება:

— ასეთი ტემპით თუ წავიდა, სამოცდაათი წელიც არ ეყოფა, ამდენს ვინ დაუცდის?

ჩემდა გასაოცრად, მეორე დილას ნოი ჯექმაც თითქმის იგივე გამომეორა:

— თუ სულ ასე თავიდან დავიწყეთ, მე და თქვენ კიდევ დიდხანს გვიტარებია დრო.

ზოოსავადმყოფოში ჩემს დანახვაზე ჯეკი ბოის სახე ეღრიცება. ცხვირ-პირზე ეგრევე აწერია: „ოო, დალახვროს ეშმაკმა, ისევ მოეთრა!“ ეტყობა, ჩემი დანახვა მისთვის ისეთივე სასიამოვნოა, როგორც ძმრის ყლუპ-ყლუპით სმა, მით უმეტეს, შესანიშნავ საზოგადოებაშია — მის წინ მაგიდაზე ჩიხუახუას ბუდობა ფუთფუთებს, რომელთა ნამცეცა, თავვის წრუნუნაზე ოდნავ მოზრდილი სხეულები ვარდისფერი ყელატინი გეგონება. ჯეკი მათ პიპეტით კვებავს. დარბაზის სიღრმეში ვეტერინარი და მისი თანაშემწე მის ბოს — ცნობილ ქალბატონ შიმპანზეს დასტრიალებენ. ყოველ

სალამოს შიმპანზე ტელეეკრანიდან საკუთარი მაგალითით მოგვიწოდებს, კბილები ახალი პასტით გავიხეხოთ, ხოლო ეს პასტა, ცხადია, ენზიმამია და, ცხადია, ყველაზე საუკეთესოა. მის ბოს მთელი ერთი ტუბი გადაუყლაპავს და ახლა კუჭი უნდა გაუნმინდონ.

— იცით რას გეტყვით, გერი...

ჩემს სუფთა რუსულ გვარს («Гари» ეს «гореть» ზმნის ბრძანებითი კილოა) ამერიკელები მუდამ ასე წარმოთქვამენ და ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ამერიკულ სახელს ამსგავსებენ. ასეთ დროს თავს ისე უხერხულად ვგრძნობ, თითქოს უსახოდ მტოვებენ.

— არ გიყვართ ცხოველები?

— ეგ ჩემს მეგობრებს ჰკითხეთ.

— ეს ძალღი თქვენთვის აბსტრაქციად იქცა. ეს მე თავიდანვე შევამჩნიე... კიზისთვისაც. თქვენ, ინტელექტუალები, გადამდები სენივით ხართ.

— თავი დამანებეთ მაგ თქვენი ინტელექტუალებით, კარუტერს. ინტელექტუალები ასე თუ გეჯავრებათ, ლოს-ანჯელესის მერად იყარეთ კენჭი, აუცილებლად აგირჩევენ.

კარუტერსი ლამის აღტაცებულიც კი ამბობს:

— ეგ შობელძალღი ყველაფრისთვის მზად არის, ოღონდაც ეს აკვიატებული აზრი აისრულოს. ექვსი კვირაა თავის სამი წლის ბიჭს ყოველდღე ძალღის გაღიაში ტოვებს.

— რას ბოდავთ!

— პირველად რომ დავინახე, კინალამ გული გამისკდა...

კარუტერსი რანჩოს „მაგნოლიის ბულვარის“ მხრიდან უახლოვდება. მიუხედავად იმისა, ამ მხრიდან ქარაბაკს ვარდისფერი და თეთრი დაფნის ბუჩქები ფარავს, ძალღსაშენი მაინც შესანიშნავად ჩანს. წინ ბატკას დიდი გაღიაა წამოჭიმული. ამ ადგილიდან მარტოხელა ჟირაფ ვალსინგ მატინდასა (არავინაა ჟირაფზე უფრო ეული და მარტოხელა, როცა მხოლოდ მისი სილუეტია ჰორიზონტზე ასახული) და სერპანტერიუმის დანახვაც შეიძლება, რომელსაც დიდი წითელი ასოებით ასეთი ირონიული წარწერა აქვს: „ჩვენ შხამიანი გველების ბანდა ვართ — ნუ შემოხვალთ...“ მაიმუნების სადგომი ოდნავ მოშორებით, მარჯვნივაა და მხეცების ამ პატარა საცხოვრებელი ზონის სხვა ნაწილებთან შედარებით უფრო მდიდრულია. ბევრ შიმპანზეს ჯეკ კარუტერსის მიერ ხელმოწერილი კონტრაქტით ფილმებში იღებენ. ისინი მცირე ეკრანის ყველაზე ცნობილ ვარსკვლავთა რიცხვს განეკუთვნებიან. ჰოდა, ჯეკიც რიგიანი საცხოვრებელი პირობებით მაიმუნების უზრუნველყოფას თავის მოვალეობად მიიჩნევს.

რანჩოს შესახვევთან რომ მივიდა, ჯეკმა გაღიას შეხედა და კინალამ სახანძრო ონკანს დაეჯახა — შუა გაღიაში ძალღის წინ პატარა შავკანიანი ბიჭუნა მარტოდმარტო იდგა. ჯეკმა მანქანის დამუხრუჭება და პირიდან გადმოვარდნილი სიგარის დაჭერა ძლივს მოასწრო, მანქანა მოატრიალა და რანჩოსაკენ თავპირისმტვრევით დაეშვა. ორი წუთის შემდეგ იგი უკვე გაღიაში იყო. ახლალა მიხვდა, რომ ბავშვი გაღიაში შემთხვევით არ შესულა, როგორც ეს თავიდან ეგონა, როგორც ჩანს, ვილაცამ განგებ შეიყვანა. ძალღს ჯაჭვი არ უშვებდა, ბავშვი კი თასმით ება მესერზე, ერთი სიტყვით, საშიში არაფერი იყო. ჯეკი კიზის ოჯახს არ იცნობდა, ამიტომაც წარმოდგენა არ ჰქონდა, ეს პანია მისი საყვარელი თანამშრომლის ვაჟიშვილი თუ იყო. და მთელი ხმით აღრიალდა, ხოლო ის თუ გაცოფდა,

ჩემს მტერს ახლომახლო ვინც კი მისი ყვირილი გაიგონა, გიყვებით მოცვივდნენ. პირველმა კიზმა მოირბინა. იმდენად სწრაფი იყო მისი რეაქცია, რომ გველი, რომელსაც შხამს აცლიდა, ისევ ხელზე ჰყავდა დახვეული, ორმოში ჩასმაც ვერ მოესწრო. ჯეკის წინ იგი კისერში მუჭნაჭერილი, ნესტარგადმოგდებული გველით ხელში იდგა. ჯეკმა მხოლოდ შემდეგ გაიგო, რომ კვირაზე მეტია კიზი თავის პატარა ვაჭრის თეთრი ძაღლის გალიაში ტოვებდა.

უნდა ითქვას, როცა კიზი ამ ამბავს ჰყვებოდა, პირველი ახსნა ან უფრო სწორად, ეჭვი, რაც თავში მომივიდა, ჯეკის იმ აზრს დაემთხვა, რამაც მაშინვე გონებაში გაუელვა და რაც არც მე მმატებდა ღირსებას და არც იმას: რომელიღაც წამს ორივემ გავიფიქრეთ, კიზი ძაღლს კი არა, საკუთარ შვილს წვრთნისო. გააფთრებისას ბატკა მართლაც თავზარდამცემი იყო, მე კი იმ წარმოსახვით აბერაციას დამორჩილებულმა, რომელთანაც ყველა იმ მოვლენის არასწორ ინტერპრეტაციას მივყავართ, სადაც ჩვენი ბოდივითი ლოგიკა ფრთებს ისხამს, ჩემს თავს ვუთხარი: კიზს თავისი შვილის განწრთნა უნდა, უნდა ასწავლოს, რა არის სიძულვილი, რათა ბავშვმა ეს აითვისოს და გამოიყენოს-მეთქი. ნუ დამადანაშაულებთ, თითქოს მე, როგორც მწერალი, ადვილად ვექცეოდი ჩემივე გადაჭარბებული ფანტაზიის მარწუხებში, ვინაიდან ჯეკსაც სწორედ ეს აზრი გაუჩნდა და მისი ის განრისხებაც სწორედ ამით აიხსნებოდა. სინამდვილეში საქმე სრულიად სხვაგვარად იყო. კიზი შესანიშნავად იცნობდა ცხოველებს, იცოდა მათი მფარველური, „მამობრივი“ დამოკიდებულება ყოველი პატარა არსების მიმართ, ცხოველის ნაშიერი იქნებოდა ეს თუ ადამიანისა. იცოდა, ბავშვს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ისინი ერთმანეთისაგან მოშორებით დააბა.

— პატარა თავდაპირველად გალიის გარეთ დავაყენე, — გვიხსნიდა კიზი, — ბავშვისადმი ძაღლმა მაშინვე კეთილი განწყობა გამოამჟღავნა. ასე მყავდნენ რამდენიმე დღე, რათა საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი, მერე კი ჩაკმა ძაღლთან თამაში მოისურვა.

— ასე რატომ მოიქეციით?

კიზმა ღიმილით შეხედა ჯეკს თვალებში.

„არა, — დააზუსტა ჯეკმა, — კი არ შემომხვდა, უფრო ნიშანში ამომიღო“.

— რატომ სჩადით ამას?

— მინდა ძაღლი ჩვენს სუნს შევაჩვიო...

„ერთი სული მქონდა, ვცემოდი და ცხვირ-პირი დამენაცა, — მითხრა შემდეგ ჯეკმა, — ასე მეგონა, პირადად მე მომაყენა შეურაცხყოფა, ისე კი, უნდა ვაღიარო, სუნის ამბავმა ისეთი საძაგელი როლი ითამაშა სეგრეგაციაში, ხმა ვეღარ ამოვიღე“.

— ახლა ყველაფერი რიგზეა, — დაასკვნა კიზმა, — თუ გნებავთ, შედით გალიაში და ორივე ახსენით — ძაღლსაც გაუხარდება და პატარასაც. რისკის ნატამალიც არ არსებობს, მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ.

— რახან ასე ჭკუაზე შეიშაღეთ, მიდით და თვითონ აუშვით.

კიზმა ჯეკს გველი გაუწოდა:

— გამომართვით.

ჯეკმა გველს ხელი კისერში სტაცა: „ასეთ დროს სწრაფად უნდა იმო-

ქმედო, ხელი ზუსტად იმ ადგილას მოჰკიდო, სადაც საჭიროა, — მიხსნიდა ჯეკი, — დარწმუნებული ვარ, ოდნავ რომ შევეყოყმანებულებიყავი, ეგრევე ზედ მომაგდებდა. მთელი ჩემი ყურადღება გველზე გადავიტანე, იმის თავი სადღა მქონდა, ეს ქაჯი შემეჩერებინა, კაცი, ვისაც თვეში რვაას დოლარს ვუხდი. ვიდექი გველით ხელში და ვუყურებდი, კიზი გალიაში როგორ შედიოდა. ეს ოთხი თუ ხუთი ადამიანი ქანდაკებებით გაშეშებული ვიდექით. ის, რომ თეთრ ძალს კიზი უკვე დაუძეგლობდა, აზრადაც არავის მოგვსვლია. ეს ამბავი, ეტყობა, მხოლოდ იმ ბიჭმა, ტერმა იცოდა, ამიტომაც ბრძანდებოდა მხიარულ გუნებაზე. კიზი გალიაში შევიდა, ბავშვიცა და ძალღიჯ ახსნა და ვითომც არაფერი! მოკლედ, გამარჯვა კაცმა! ის თქვენი პოლიცაი ბავშვთან მოვიდა და სახე სიყვარულით აულოკა. პატარა ლანირაკი იცინოდა, კიზი კი ძალღს გავაზე ხელს უტყაპუნებდა, მოკლედ, სამივენი ბედნიერები და კმაყოფილები იყვნენ. რაღა უნდა მეთქვა? აშკარა იყო, რომ შევცდი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ამ ბებერ პოლიციელ ძალღს ვინმე თავიდან თუ განვრთნიდა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რომ ძალღს ეს უკვე ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი. და აი აღმოჩნდა, რომ მართალი არ ვიყავი. დილით რანჩოში მისვლისას როცა ვნახე, ბავშვი და ძალღიჯ როგორ ეალერსებოდნენ ერთმანეთს, ვიგრძენი, რომ ჩემი, როგორც მწვრთნელის დრო წასული იყო, და რომ ახლანდელები გაცილებით უკეთესად მუშაობენ. ახლა გალიაში ნამდვილი იდილია სუფევს... მხოლოდ გველები არ იღებენ ამ თამაშში მონაწილეობას. ისინი არავის ენდობიან... არც მე“.

ისეთი აღელვებული ვიყავი, თითქოს დედამინაზე სიყვარული და სიკეთე გამეფებულიყო, ზეციდან თითქოს ანგელოზთა გალობა ისმოდა.

— ეგ თქვენი კიზი მართლაც გასაოცარი ყმანვილია.

რა თქმა უნდა, იმის მტკიცებას ვერ დავინყებ, შემოძლია თვალეში ამოვიკითხო, კაცი რას ფიქრობს და რა აზრისაა-მეთქი, მაგრამ ჯეკის მზერა აშკარად მეტყველებდა, კაცი კი არა, გარენარიაო.

დარბაზის სიღრმეში მის ბო მშობიარესავით აკივლდა.

— კიზი და თქვენი ძალღიჯ ახლა ძმაკაცები არიან, მიბრძანდით და დატკბით, მე კი სამუშაო მაქვს.

თქვა კიზმა და ზურგი მაქცია.

არა, უნდა შეძლო და სულში იმ ადამიანის წარუშლელი კვალი ატარო, როგორიც იმ უზარმაზარ მარცხამდე იყავი, რასაც მონიფულობა მქვია, არ უნდა დაკარგო ის დიდებული აღტაცების უნარი, გალიაში მინაზე მჯდარი კიზის დანახვაზე რომ განვიცადე, როცა იგი ბუნების წიაღში ბატკას გუშინდელი სეირნობის დროს შეძენილ ტკიპებს აცლიდა. ძალღიჯ ფეხებაშვერილი იწვა ზურგზე და ნეტარებდა.

— გამარჯობათ! — მომესალმა კიზი და ისევ ძალღს მიუტრიალდა.

ნამდვილი ურთიერთანხმობისა და მეგობრობის იდილიაა. მზე ანათებს. ევკალიპტები შრიალებენ. ირგვლივ გამეფებული მყუდროება გათბობს და გამშვიდებს. გალიის ირგვლივ თეთრი ქათმები კრიახობენ. თეთრები. არა, ამ ქვეყანაში კაცი შეიძლება შეიშალოს.

ბატკა ისევ ზურგზე წევს და სრულ ექსტაზშია. კიზს ხელში სამურველი უჭირავს, მუცელზე უსვამს, ძალღიჯ ცალ თვალს ახელს და კუდის თავაზიანი ქიციანით მესალმება...

მიღიმის... მთელ ჩემს სიცოცხლეში ორი ან სამი ძალღიჯ თუ მინახავს,

ლიმილი რომ შეეძლო. ბატკაც სწორედ მათ რიცხვშია. იმისათვის, რათა ძალღმა გაიღიმოს, ლაშები ოდნავ უნდა განიოს და კბილები გამოაჩინოს, ანუ როგორც ამას რუსები იტყვიან, დაკრიჭოს.

— მაშ მიაღწიეთ თქვენსას?

კიზი მუცელზე სამურველის სმას განაგრძობს.

— ჯერ არა, — მპასუხობს იგი.

— აკი რაც შეიძლებოდა ყველაფერი გააკეთეთ?

— არა, ყველაფერი — არა.

კიზი ძალღს მცოდნე კაცის თვალთ ზომავს:

— მეტი მიაღწევა შეიძლება, ოღონდ დრო სჭირდება.

... ახლაც ვხედავ, როგორ დგას იგი შუა გალიაში და, მართალია, მას შემდეგ მთელმა ერთმა წელიწადმა გაიარა, უამრავი რამ მოხდა, მაგრამ დღესაც ცოცხლად მიდგას თვალწინ... ის კი არა, თანდათან იზრდება და დროდადრო თითქმის მითოლოგიურ სახესაც კი ღებულობს.

... შემიძლია ვთქვა, რომ იგი არასოდეს დამავინყდება.

თედოებვიწრო... აშოლტილი... იმ ამერიკელთა ჯიშისა, აქაური ნიადაგის რაღაც ამოუცნობელი ღირსების წყალობით სიმალღეში სულ მალღა და მალღა რომ მიიწვევენ. ვიწრო ტუჩებს ზემოთ პატარა შავი უღღვაში აქვს, შორეულ რომანულ წინაპართაგან ნარგუნები. იმ კაცის თვალღებით გიყურებს, რომელიღ არღ შენგან ეღის, არღ თავად გთავაზობს რაიმეს — არღ ნღობას, არღ სიმპათიას, არღ ღვარღღს... რომელიღ ყვეღღაფერს მალღავს და კონტაქტში თითქმის არღ შემოღღის. სახის მკაცრი ზღზღები ნაკვთების სინატიღღეს თრგუნავს. ყოველღღვარ გამომეტყვეღღებას განზრახ მოკღღებული სახე გრანიტიღღით უმოღღრაო ჩანს. აფრიკელ მეომღღრღებზე საუბრისას ამღღვარ სახეღღებს „მღღვინვარღღს“ არღქმეღღვენ, ხანის კონღღღოტიერღღებზე საუბრისას კი — „მეღღალზე ამოკვეთიღღღს“.

ხეღღები გვეღღის ნაკბენღღებითა აქვს დაშრამული. ტატუმს რომ ჰკითხო, ეს უღღცნაური კაცი თითქმის მაღღიურ იმუნიტეტს ფღღობს — ამერიკაში არსებული ვერღღცერთნაირი გვეღღის შხამი ვერაფერს აკღღებს... „იქნებ რაღღაც ბალახებს იყენებს, ან იქნებ რაღღაც საიდღღუმლო იღღის, — დასღღინა მოხუღღცმა და თვალღი ჩამიკრა, — რომელღღსაც მამიღღდან შეღღიღღს გაღღასღღემენ, აბა რა ვიღღი...“ სინამღღვიღღეში კი ეს მხოლოღღ შეღღძენიღღი იმუნიტეტიღღა, აცრეღღბითა თუ შხამის შეღღხაპუნღღებით გამომღღუშავღღებული. ჩემი თვალღით ვნახე, მოფუთფუთე უხსენებღღებს შორის როგორ იღღგა და შიშვეღღი ხეღღებით მუჭში ჩაბღღღუღღულ გვეღღგესღღას შხამს როგორ აცღღიღღა. ეჰ, რა კარღღი იქნებოღღდა აღღამიანსაც ასე აღღვიღღად აცღღიღღე შხამს...

იღღგა გვეღღებს შორის წელში გაღღართული, სრულიად გულღღრიღღი და აულღღელღღებელი. იღღგა როგორღღც მღღღღეღღელი და არღ შეიღღძღღება არღ გეღღგრღღძნო, რომ ამ შავკანიან ამერიკელს თავს ვერ მოაღღრეკინებღღდი.

ძალღღისაკენ დახრიღღი კიზი ბატკას მუცელზე ეფერღღება და ისიც სიამოვნებისაგან თვალღებს ხუჭავს.

ტუჩებს ვიქტორიანელიღღვით დაშაქრული ღღიმიღღი მიწღღელავს.

— ამ ძალღღზე ჯერ კიღღევ ბევრი მუშაობა მომინღღევს, — მეუბნეღღება კიზი, — თუმღღცა ახღღა უკვე აღღარ მერჩის, ვაჭმეღღვ, ვასეირნეღღვ, ვუღღვღღი, ვემსახურეღღბი და ისიც ცდიღღობს, თავაზიანობა გამოიჩინოს... მე ხომ მისი house nigeri-ი ვარ.

ტუჩებზე ღღიმიღღის აღღღი-კვაღღიც აღღღარ მრჩეღღბა.

ამ არამზადას ვერაფერი განკურნავს, ვინაიდან ისტორიული ხსოვნა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი.

გახსოვთ კი, ვის ეძახდნენ house nigeri-ს, ანუ შინაურ ზანგს? ეს ის შავკანიანი მსახური იყო, პატრონებს სულ გარშემო რომ უჭრიალებდა ერთთავად, თავდადებით ემსახურებოდა, მათ შვილებს თავზე ევლებოდა, რის გამოც ბატონები განსაკუთრებით სწყალობდნენ. სხვა მონებისაგან განსხვავებით ყოველგვარი სიკეთით ავსებდნენ.

დღეს კი ზანგთა მოძრაობის აქტივისტები ასე იმ შავკანიანებს ეძახიან, რომლებმაც „თეთრ“ საზოგადოებაში წარმატებას მიაღწიეს და ისტებლიშმენტში გზა გაიკვლიეს...

— დიახ, მე მისი house nigeri-ი ვარ...

კიზი გალიიდან გამოვიდა, სიგარეტს მოუკიდა, პირიდან კვამლი გამოუშვა და ასანთი შორს მოისროლა...

— ხომ არ დამითმობდით? — ისე მეუბნება, ზედაც არ მიყურებს.

აშკარად ვგრძნობ, აქ რაღაც იმალება...

— ასე დაჟინებით რატომ მთხოვთ?

კიზი შეტრიალდა და ზურგი მაქცია.

— ძაღლს ხომ უპატრონოდ არ მივატოვებთ. — მეუბნება ძლივს გასაგონად.

— ვნახოთ, ცოლს მოვეთათბირები, — ვაპარებ მეც ფრთხილად.

გორაკები გადავიარე, ევკალიპტებიდან კოლდუოტერზე პალმებისაკენ დავეშვი და ასე მგონია, მთელი გზა კიზის ის შეუვალი მზერა მომდევს, რითაც ასე საიმედოდ ფარავს თავის აზრებს.

კმარა, თავს ნებას არ მივცემ, სიძულვილის იმ ჰიპნოზს დავმორჩილდე, რომელსაც ასე მწვავედ ვგრძნობ და რომელიც თითქოს ფეხდაფეხ მომყვება.

ძაღლსაშენში მისვლისას თავს ახლა მუდამ ზედმეტად ვგრძნობ. ჩემ თვალწინ შესანიშნავი მეგობრობა იბადება. გამოჩნდება თუ არა გალიაში მისი trainer-ი ბატკა მაშინვე წამოხტება და ცდილობს სახე აულოკოს შავკანიანს, მაგრამ კიზმა თუ სახე მოარიდა, ძაღლი ალერსიანი წკმუტუნით ფეხებზე ეგლისება. სიყვარულის ამ გადმონთხევას გრძნობამორეული ღიმილით შევყურებ და გულს იმით ვიმშვიდებ, რომ საბოლოო წაგებულად კაცმა არაფერი არ უნდა მიიჩნიო. მართალი გითხრათ, ვამაყობ კიდევაც საკუთარი თავით, ვინაიდან მიმაჩნია, რომ კეთილი საქმე ჩავიდინე. როცა აქ ვზივარ. ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ამ სიკეთისა და სათნოებისათვის ჯილდოს და პრემიას ვღებულობ.

როცა გალიაში სამნი ვართ, ბატკას თავი ძაღზე ტაქტიანად უჭირავს. დამინახავს თუ არა, ჩემ შესახვედრად მორბის, კბილებს კრიჭავს, თბილად მიღიმის და კუდს მიქიცინებს. მერე თავის საყვარელ თამაშს იწყებს: წვერზე ისე ფრთხილად მკბენს, თითქოს რწყილებს ეძებს. ახლა კიზთან მიდის, ფეხებზე ელამუნება, ისევ ჩემთან ბრუნდება და დარბის ასე წინ და უკან. რომანისტიის წარმოსახვით დაჯილდოებული კაცი ალბათ

იტყოდა, ძმობისაკენ მოგვიწოდებს, უნდა ერთმანეთს ხელი ჩამოვართვათ, მეგობრობის ხელშეკრულება დავდოთ.

— ვფიქრობ, ძალი უკვე განკურნებულია, — ვეუბნები კიზს ერთ-ერთი ჩემი ვიზიტის დროს, — შეუძლია ძალსაშენი მიატოვოს, საზოგადოებას დაუბრუნდეს.

— მისგან ჯერ კიდევ ბევრი უსიამოვნება შეგხვედებათ, მე დიდი ხანია არ მერჩის, რომ შემეჩვია და პირადად მცნობს, მაგრამ საკმარისია გალიას ტერი ან ვინმე სხვა შავკანიანი მიუახლოვდეს, რომ ისევ ძველებურად ცოფდება. ხომ გეუბნებით, მე მისი trainer-ი ვარ.

და კიზი დიდხანს იცინის უხმოდ, მხოლოდ კბილებს აჩენს.

— ახლა მისთვის „კარგი ზანგები“ და „ცუდი ზანგები“ არიან.

— მართლაცდა ხომ არ შეიძლება ძალს მოსთხოვო, უცხოთა და შინაურს ერთმანეთისაგან ნუ გაარჩევო. მისი ეს საქციელი ნორმალურია.

— დიახ, ნორმალურია. არანორმალური კი მხოლოდ ის არის, რომ თეთრების სუნზე სულაც არ რეაგირებს, შავკანიანების სუნზე კი...

— იცით, რას გეტყვით, მეგობარო...

კიზი ჩაცუცქული იჯდა. ბატკას ხელი ერთხელ კიდევ მოუთათუნა და დასძინა:

— როგორც სპეციალისტი, ამ ფაქტს, უბრალოდ, კონსტატირებას ვუკეთებ. ძალის წვრთნისას, განსაკუთრებით პოლიციელი ძალებისა, მთავარი ყნოსვაა. ეს რომ არა, ძალს თავისიანების ცნობას ვერ შევასწავლიდით...

მის ხმაში გამოწვევა კი არა, თითქოს და მიღმიერი სიმშვიდე იგრძნობა. შავკანიანის „სიფიცხეზე“ ხომ უამრავი რამ არის დაწერილი. ამიტომაც ყველაზე დიდ გაოცებას ჩემში სწორედ ზანგთა მოძრაობის აქტივისტთა ცივი თავდაჭერა იწვევდა. ზოგჯერ თავი ისე ეჭირათ, თითქოს კაი ხნის მიცვალებულები იყვნენ.

— მაინც რა გინდათ, ჩემგან რას მოითხოვთ?

— ვფიქრობ, აქ იშვიათად უნდა მოხვიდეთ. ძალს წესიერად ვერ გაუგია, როგორ მოიქცეს, ეს ალბათ თქვენთვისაც აშკარაა. იქნებ მითხრათ, რა გაქვთ გადაწყვეტილი? იქნებ ევროპაში გინდათ წაიყვანოთ? გულწრფელად გეტყვით, ეგ ძალი უამრავ დროს მართმევს, რაც შემიძლია თავს არ ვზოგავ.

— ვიცი.

— თუ ეს ყველაფერი იმისთვისაა, ერთ მშვენიერ დღესაც მოჰკიდოთ ძალს ხელი და წაიყვანოთ, დიდად მადლობელი გახლავართ, კარგად ბრძანდებოდეთ...

ბატკა ჩვენ შორის ზის და კუდით სილას ხვეტს. ხან მე მომჩერებია, ხან კიზის, თითქოს ხვდება, მის მომავალ ბედზე რომ ვსაუბრობთ. ვყოყმანობ. ასე მგონია, მოძღვარი ვარ, ბატკას სულის გადარჩენაზე პასუხისმგებელი. ძალი წაიყვანო და ჩემთან ერთად სხვადასხვა ქვეყანაში ვათრიო, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ, შენი იყოს-მეთქი, ავდგე და კიზს ვაჩუქო, ეს უკვე ლალატი იქნება.

— რას იტყვით, მიტოვებთ ძალს?

მე ხმას არ ვიღებ. თავისი ამ მოურიდებელი მოთხოვნით კიზს წარმოდგენაც არა აქვს, ჩემს ყველაზე მტკივნეულ ადგილს რომ შეეხო, რაც ჩემს აღმოსავლურ სისუსტედ მიმაჩნია: მძულს მტკიცე, საბოლოო, გა-

უტყუელი სიტყვის წარმოთქმა. ყველაფერ ამას კლანისა თუ ბანდის მეთაურის, კონდოტიერისა თუ აღმოსავლელი სატრაპის ფსიქოლოგიაც ემატება, რომლის მიხედვითაც კაცს უფლება არა აქვს ის მიატოვოს, ვინც მასზეა დამოკიდებული, ვინც მის მფარველობას საჭიროებს. ეს ის უცნაური ატავიზმია, რაც იმ უძველესი დროიდან მომყვება, როცა ჩემს შორეულზე შორეულ აზიელ-ტრამალელ წინაპრებს იმქვეყნად, თან თქვენი საყვარელი ცხენი, მიმინო, ხოლო ზოგჯერ საყვარელ უფროსს მიჰყავდათ...

— ჰო, რას იტყვით?

— ყოველ შემთხვევაში, ძალი აშერიკაში დარჩება. თუ თქვენ ის მართლაც ასე ძვირად გიღირთ...

— დიახ, ასე.

— მაშინ კიდევ მოვილაპარაკებთ ამაზე.

კრება ბელ-ერეში, ერთ-ერთი პროდიუსერის ბინაში ტარდებოდა. კრებას კორეტა მარტინ ლუთერ კინგი და კინგის საქმის გამგრძელებელი — მღვდელი აბერნატი თავმჯდომარეობდნენ. კრებას მთელი პოლივუდი ესწრებოდა.

შეკრებილნი ვაშინგტონზე „ლარიბთა დიდი ლაშქრობის“ ფონდის შექმნის თაობაზე საუბრობდნენ. გადანყვეტილი ჰქონდათ შეგროვილი თანხით ფედერალურ დედაქალაქში მილიონობით უსახლკარო გაეგზავნათ, ზანგი იქნებოდა, მექსიკელი, პუერტორიკოელი თუ ინდიელი და თეთრი სახლიდან ორიოდე კილომეტრით მოშორებულ „ლარიბთა“ სოფელში“ ჩაესახლებინათ.

ეს გეგმა, რომელშიც მოგვებისა და მარიამ ღვთისმშობლის ვირით მოგზაურობის შორეული გამოძახილი იკითხებოდა, აბერნატის მიერ იყო ჩაფიქრებული და მოძველებული ბიბლიური პროვინციალიზმის ბეჭედი ესვა.

დანყებულნი პატრონესა ქალბატონის ფრაზეოლოგიიდან ნასესხები სიტყვებით — „საბრალო ღარიბი ადამიანები“, ყველაფერი იმ განზრახვაზე მეტყველებდა, ბრძოლას არც პოლიტიკური ხასიათი მისცემოდა და არც იდეოლოგიური.

წარმოიდგინეთ დიდებული სახლი კალიფორნიის ყველაზე მდიდარ და დიდ რაიონ ბელ-ერეში, სამასი ყველაზე სახელოვანი და მდიდარი პოლივუდელი ვარსკვლავი, ხიზილალთა და შამპანურით გამოტენილი ბუფეტი და ყოველად საამური აბერნატი, რომელიც თავის მრევლს მოუწოდებს გამოიჩინონ ხელგაშლილობა და „ლარიბ ადამიანებს“ ვაშინგტონზე ლაშქრობაში დაეხმარონ. მხოლოდ ღირსმა მამამ, „ახალი ტალღის“ პასტორმა ჯეს ჯექსონმა გაბედა და ეს ფრაზა თქვა: შეუძლებელია ოცი მილიონი ნავკანიანის პრობლემა ისე გადანყვიტო. მთელი ამერიკული საზოგადოება არ შეცვალო. პასტორი აბერნატი დაწვრილებით აგვიწერდა თავდასხმამდე მოტელის იმ ოთახში გატარებულ ბოლო წუთებს, სადაც თვითონ და მარტინ ლუთერ კინგი ცხოვრობდნენ. პათეტურმა სურვილმა, ეს წუთები ბიბლიური უკვდავებისა რ სინაიდის შარაგანდით შეემოსა, მკვლელობის

უხეში რეალობა ჯვარცმის მეორეხარისხოვან ასლს დაამსგავსა, რომელსაც აშკარად აკლდა მოციქულთა აღმსახველობის ნიჭი.

გაჩუმდით, დოქტორო აბერნატი. ნუ გვიხსნით, რა მარკისა იყო ის მაღამო, მარტინ ლუთერ კინგი სიკვდილამდე რამდენიმე წუთის წინ პირის პარსვისას რომ იყენებდა. ნუ გვიყვებით, რომ ტუბი შემდეგ თქვენ მოგცათ მოსახმარად, ვინაიდან საკუთარის წამოღება და გონწყობდათ. ვიცი, ეს კრემი რელიქვიად იქცევა და სინმიდის სურნელს შეიძენს. მაგრამ დაგავინყდათ, რომ ბიბლიაში თავისუფალი ადგილი აღარ არის, დიდი ხანია იგი აღარავის იღებს. გეფიცებით, უფალი არ გამოცხადდება თავისი ზანგების რანდევუზე, მას მრავალი სხვაც გამოუტოვებია.

პასტორის საუბრის პაუზისას ჩემ გვერდით მჯდომმა დრო იხელთა და წამჩურჩულა:

— ნახეთ ის დარბაზი? სანახაობა ოცდაათ დოლარამდე აქაჩავს.

მართლაც ასეა. ისინი ყველანი აქ არიან — ბელაფონტეთი დაწყებული და ბარბარა სტრეიზანდით დამთავრებული, ყველანი პასტორ აბერნატის უსმენენ. იგი ღარიბთა ლაშქრობისა და იმ კრემის ამბავს ჰყვება, რელიქვიად რომ იქცა. პირველ რიგში თავის ტაიტელ მეუღლესთან ერთად მარლენ ბრანდო ზის — მოწითალო ტყავის ქურთუკი, ლომის ფაფარი... მაღალსაყვლოიანი სვიტერი ლამაზად შემოსდგომია ნიკაპზე... ბრანდომ ერთ-ერთმა პირველმა გამოიჩინა ხელგაშლილობა.

იგი მიკროფონთან მივიდა და დარბაზს თვალი მრისხანედ მოავლო.

— ვინც დღეს აქ არ მობრძანებულა, კარგია რაღაც საპატიო მიზეზი თუ ექნება.

მუქარა უხერხული მეჩვენა, ცოტა არ იყოს, ყალბიც. მაგრამ მერე და მერე სულ უფრო უარესი და უარესი მოჰყვა... იმ ბავშვებზე ნათქვამი რამდენიმე სიტყვის შემდეგ, რომელთაც შიმშილი დეგენერატივად აქცევს (ბრანდო არაფერს ზოგავს იუნესკოს ძალისხმევის მხარდასაჭერად), იგი იმ ხელმძღვანელ კომიტეტში შემსვლელ მოხალისეებს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აქ წამოწყებული ძალისხმევის უწყვეტობა, სთხოვს, ხელი ასწიონ. სამასი დამსწრედან ხელი მხოლოდ ოცდაათმა ასწია. ეს აშკარად საკმარისზე მეტიც იყო. სამასივე კაცს ხელმძღვანელ კომიტეტში შესვლის სურვილი რომ გამოეთქვა, ცხადია, იძულებულნი იქნებოდნენ თავიდან შეექმნათ ხელმძღვანელი კომიტეტის კომიტეტი.

და აი, მარლონ ბრანდო რამდენიმე სიტყვით უცებ უფრო მეტ სიმართლეს გვეუბნება საკუთარ თავსა და ზოგიერთი ზანგი მეგობრის საკუთარ „მესთან“ ურთიერთდამოკიდებულებაზე, ვიდრე, რომელიც გნებავთ, ფსიქოლოგიური გამოკვლევა. იგი დაჟინებით გასცქერის დარბაზს, ათვალიერებს ოცდაათ ანეულ ხელს და მხრებს ოდნავ იჩეჩავს — იგი თამაშობს. ვამბობ — თამაშობს-მეთქი, ვინაიდან ის რისხვა, რაც უცებ მის ხმაში გაიფლერებს და, რის გამოც სახე ეშლება, ხელოვნურია, განგებ შეფიცხებული. და თუ მასში გულწრფელობის თუნდ ერთი წვეთი მაინც არის, ეს მხოლოდ დიდი ბავშვის გულწრფელობა გახლავთ.

— ვინც ხელს არ სწევთ, აქედან ნოშორდით, ჯანდაბამდე გზა გქონიათ.

ყოველთვის, როცა ჩემი თანდასწრებით ვიღაც უგვანოდ იქცევა, ისეთი გრძნობა მქონდება, თითქოს პირადად მე შემერცხვინოს თავი.

მშვენივრად მესმის, რომ მარლონ ბრანდო ცდილობს, „სასიკვდილოდ თავგადადებულ „შავ ჯიქებს“ წაბადოს.

მაგრამ როცა ასე მილიონერი იქცევა, ვისთვისაც ეს არავითარ რისკს არ წარმოადგენს, უბრალო პანლურის ამოკვრასაც კი, ჩვენ წინაშე უკვე „თეთრი ჯიქი“ კი არა, ის პუდელია, სასტუმრო ოთახში ხალიჩაზე რომ შარდავს.

ერქუნული

„აქედან მოშორდით, ჯანდაბამდე გზა გძონიათ“

დავივინყოთ, დავანებოთ თავი მარლონ ბრანდოსა და „შავი ჯიქის“ მის წარუმატებელ ნომერს, მაგრამ ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას: თეთრკანიანებს შორის არიან ფსიქოლოგიურად არაადაპტირებული პიროვნებანი, რომლებიც მხოლოდ იმისათვის იყენებენ აფროამერიკელთა ტრაგედიასა და მოთხოვნებს, რათა თავისი პირადი ფსიქოზი ფსიქიკის სფეროდან სოციალურ სფეროში გადაიტანონ, სადაც მათი ფსიქოზი გამართლებას ჰპოვებს.

შავკანიანებმა მშვენივრად იციან, რომ ზოგიერთი თეთრკანიანი მათ „ეხმარება“ და ექსტრემიზმისაკენ უბიძგებს რალაც პირადი ინტიმური მიზეზების გამო, რომელსაც ხშირად ამერიკულ რასობრივ ტრაგედიასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ერთ-ერთმა შავკანიანმა აქტივისტთაგანმა დარბაზიდან გასულ ერთ-ერთ ცნობილ პოლივუდელს თვალი ღიმილით გააყოლა და მითხრა: „ამ კაცს ჩვენ ძალიან დავეხმარეთ“.

იყო კომედიური ინტერმედიებიც.

პირობის თანახმად, თანხა, რომლის შეტანასაც ესა თუ ის პიროვნება მოისურვებდა, ფურცელზე უნდა დაეწერა, კონვერტში ჩუმად ჩაედო და ისე წარედგინა.

ეს კი იმას ნიშნავდა, დაგევიწყებინა, შოუ-ბიზნესის დედაქალაქში რომ იმყოფებოდი. მრავალი იქ მყოფთაგანი ვერა და ვერ შერიგებოდა იმ აზრს, ოცი ათასი დოლარი შეეწირა და ამის შესახებ არავის არაფერი გაეგო. მე არ დავასახელებ იმ ვარსკვლავს, ინიციატივა რომ გამოიჩინა და, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ იმ სიმპათიურმა კომედიანტმა ქალაქი კონვერტში მხოლოდ მას შემდეგ ჩადო, რაც განაცხადა:

— ვწირავ ჩემი მომავალი ფილმის მთელ შონორარს...

ამის მერე კი დაიწყო და რა დაიწყო! ყველანი უკან თავპირისმტვრევით მიჰყვნენ, ერთმანეთს არ აცდიდნენ, ციფრები დარბაზის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოსაკენ მიფრინავდა, ტაშს გრიალი გაჰქონდა, თვალებში ცრემლი უბრწყინავდათ. ერთ-ერთის სიტყვით გამოსვლისას ესტრადაზე ჩათვლემილმა პასტორმა აბერნატიმაც კი სახეგაბრწყინებულმა გაიღვიძა.

აი მაშინ ისროლა ერთ-ერთმა რეჟისორმა, ცნობილი კინოვარსკვლავის მეუღლემ ეს დიდებული ფრაზა:

— მხოლოდ ფულის მიცემა საკმარისი არ არის. ჩვენ უნდა მივიდეთ ზანგების ოჯახებში და ვისწავლოთ მათი გაგება...

დიახ, დიახ, მეგობრებო, ეს ათას ცხრაას სამოცდარვა წელს იყო! არ ვიცი, წარმოგიდგენიათ თუ არა ის საოცარი შედეგები, რომელიც სულის ამ ტრაგიკომიკურ კვილს მოჰყვა, ვინაიდან ძველი ყაიდის ამერიკამ კი არ გაიღვიძა ანაზდად, არამედ მისი ავტორი ოცდაჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა კაცი გახლდათ.

ესტრადის ირგვლივ თავმოყრილი შავკანიანები — ბელაფონტე, იანგი

ვამბობ და ცრემლს ვინმენდ.

— ახლავე გეტყვით. თქვენ სამივე აღმოსავლეთევროპელი ებრაელები ხართ... და თუ ერთ-ერთმა თქვენგანმა მოასწრო და დროზე ჩამოვიდა, რათა შეერთებულ შტატებში დაბადებულიყო, თქვენი მამები და პაპები ჯერ ისევ გეტოში ლპებოდნენ, მაშინ როცა შეერთებულ შტატებში მონების ხსენებაც აღარ იყო. ჩვენ ამერიკელები მონათმფლობელები ვართ, — ამბობთ და დიდად გსიამოვნებთ ამის თქმა, ვინაიდან ამერიკელებად გრძნობთ თავს... არა, იმას როდი ვამტკიცებ, ფეხებზე გკიდიათ-მეთქი ზანგები...

— გმადლობთ! — დასჭექა კატცენლენბოჰენმა.

— ... პირიქით, ეს იმის დავიწყების ნებას გაძლევთ, რომ ეროვნული უმცირესობა ბრძანდებით. გეხმარებათ, რათა თვალი დახუჭოთ საკუთარ გაუცხოებაზე. იცით, მუცელიც კი მენვის თქვენი mea ouqla-საგან...

— მთვრალია! — დიდის ამბით აცხადებს სენ-რობერი და თითქმის მართალიც არის, თუმცა სიცოცხლეში არც სპირტიან სასმელს მივკარებივარ, არც მარიხუანას და არც სხვა რაიმე ამის მსგავსს. თუმცა აღშფოთება კი ხშირად მათრობს და ადამიანს სწორედ ეს ხდის მწერლად.

ატმოსფერო იმდენად გრილდება, რომ გადავწყვიტეთ სასადილოდ ბისტროში შევსულიყავით ურთიერთობის შესახებლადად. ჩვენი საუბარი პოლიუდის ამ მეტად პრესტიჟულ ადგილას ძალზე მაღალ დონეზე მიდიოდა, ოთხასი ათას დოლარზე ქვემოთ ერთხელაც არ ჩამოსულა. ამის შემდეგ სენ-რობერი — როგორც გვართაც მიხვდებით — ებრაელი, ჰარლემში ანტისემიტიზმის ახალი გამოვლინების თაობაზე გაცოფებული ლაპარაკობს, ვინაიდან მას აქეთ, რაც ზანგთა ავანგარდებმა ებრაელებს არა როგორც თეთრებს, არამედ როგორც ებრაელებს შეუტია, ეს უკანასკნელნიც თავის მხრივ რასისტები გახდნენ. ეს ცნობილი baklshs-ია, საბასუხო დარტყმა. კაცი შეიძლება ატირდე, როგორც ამას დედაჩემი იტყოდა, თუმცა თვითონ არასოდეს უტირია.

პირველ ზანგ ანტისემიტისტს სწორედ ლოიდ კატცენლენბოჰენთან შევხვდი. ეს დიახაც მშვენიერი რამ გახლდათ. ჩემი მეგობარი ლოიდი ნაცადი ლიბერალია, მას ყველაფერი ესმის, ხოლო როცა გესმის, პატივბაც შეგიძლია. ჩემი მახსოვრობის მიხედვით ჩანერილი დიალოგი (თავის შესაკავებლად ორჯერ ოთახიდან გასვლაც მომიწია) დაახლოებით ასე ჟღერდა:

ზანგთა მოძრაობის აქტივისტი. მთელი გეტო ხელთ ებრაელებმა ჩაიგდეთ. ყველა სახლი და ყველა მაღაზია თქვენ გეკუთვნით, ყველა უბადრუკ საქონელში ათი პროცენტით იმაზე მეტს იღებთ, რასაც თეთრების კვარტალში იღებენ. ეტყობა, თქვენთვის ყურის აწევა მოგვიწევს.

კატცენლენბოჰენი. კიდევ გადაიღეთ წინილა.

აქტივისტი (ხორცს ბლომად იღებს თეფშზე). გმადლობთ. თქვენ ჩვენ სამმაგ ტყავს გვაძრობთ.

მე (ფრანგულად). ეგ თქვენი ვაჟბატონი უკვე ნერვებს მიშლის.

კატცენლენბოჰენი (ფრანგულად). შენ ამას ვერ გაიგებ, ჩვენ მათ მთელი ორი საუკუნე ვჩაგრავდით. მაგათ თვითდამკვიდრება უნდათ, მოკაბთა.

აქტივისტი. ცხადია, ეს თქვენ პირადად არ გეხებათ... ვიცი, ლოიდ, თქვენ აქ არაფერ შუაში ხართ.

მე. დიახ, დიახ, ლოიდ, თქვენ პარბი ებრაელი ბრძანდებით. აქტივისტი. ავილოთ თუნდაც soul stations, ეს ცნობილი რადიოსადგურები შავკანიანებისათვის... ყველა ებრაელის ხელშია.

მე. ანტისემიტისტი ხართ?

აქტივისტი. თქვენ ამერიკელი არა ხართ, ამას ვერ გაიგებთ.

მე. მაშასადამე, თავი უკვე ამერიკელად მიგაჩნით?

კატცენლენბოჰენი. შენ რა, რასისტი გახდი? უკვე უკვე უკვე

მე. სხვათა შორის, ზანგის ანტისემიტისტობა ჩემთვის მეტად სასიამოვნო ამბავი გახლავთ. მიხარია, რომ ზანგებსაც თურმე ისევე სჭირდებათ ებრაელები, როგორც ყველას.

— თქვენი ძალღირობა როგორაა? — მეკითხება სენ-რობერი.

— როგორ უნდა იყოს?

— ისევე ისეთი რასისტია?

მე ხმას არ ვიღებ. მართალია, სხვებმა ამის შესახებ არაფერი იციან, მაგრამ სენ-რობერი ისეთი გულისტკივილით ყვება, თითქოს ჩემი უახლოესი ნათესავი ესესელი აღმოჩენილიყოს. მე ცხვირჩამოშვებული ვზივარ და, როგორც ყოველთვის, როცა გულდამძიმებული ვარ, ხუთი კაცის უღუფას ვნთქავ...

კატცენლენბოჰენი ხმას არ იღებს, თუმცა კი, ეტყობა, დააინტერესა ამ ამბავმა.

მეორე დღეს დამირეკა და თავისი ღია „ტანდერბენდით“ ოც წუთში უკვე ჩემს სახლში გაჩნდა. დავსვი და „სისხლისფერი მერიტ“ გავუმასპინძლდი.

— თქვენს ძალღირობა სალაპარაკოდ მოვედი, — მეუბნება კატცენლენბოჰენი, — მე და ჩემმა ცოლმა წუხელ ყველაფერი ავწონ-დავწონეთ. ვფიქრობ, შევძლებთ და დაგეხმარებით.

— მართლა? მაინც როგორ?

— არ შეიძლება ძალღირობა მთელი სიცოცხლე გალიაში გაატაროს, თქვენ კი ძალიან ბევრს მოგზაურობთ და მოსაფლელად არ გცალიათ.

მაშინვე ვიგრძენი, რაც უნდა მოჰყოლოდა ამას. ძალღირობა რომ ვყოფილიყავი, ბალანი ალბათ ყალყზე დამიდგებოდა.

ეს იყო მეტიმეტად ელუგანტური მამაკაცი — ლურჯი ბლემიერი, მოოქროვილი ღილები, საუცხოო საცვლები...

— უბრალოდ, მინდოდა შემომეთავაზებინა, მე წავიყვან-მეთქი, — როგორც იქნა ამოღერდა ლოიდმა, — მე და ჩემს ცოლს ბელ-ერში ცალკე სახლი გვაქვს, ამიტომაც...

ისეთი გულწრფელი სახე ჰქონდა, ისეთი კეთილმოსურნე ჩანდა, თანაც იმდენ კარგ მწერალთან ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა, მუცელში რაღაც რადარის მაგვარი რომ არ მქონოდა, რომელიც ახლომახლო ვინმე მამაძაღლის გაჭაჭანებაზე მაშინვე სიგნალს მაძლევს ხოლმე, ადვილი შესაძლებელია, გავეცურებინე კიდევაც...

— ძალიან მწყინს, მოხუცო, მაგრამ ძალღირობა უკვე იორტის მერს შევპირდი, — ვუთხარი ლოიდს, — ხოლო ბატკას პატარა თეთრი ძალღირობა თუ ეყოლა, პირობას გაძლევთ, უსათუოდ გაგიხსენებთ.

ლოიდი დამდულრულივით გავარდა კარისაკენ — ისეთი გაცეცხლებული ნაბიჯებით მიდიოდა, წყნარი ბუნების ადამიანებს ლანძღვა-გინებისა თუ კიდევ უარესის მაგივრობას რომ უწევს.

იმ ღამეს არ მეძინა.

იმაზე ვფიქრობდი, თურმე რა მკაცრი რეალისტი იყო დონ-კიხოტი, როცა ბანალური გარეგნობის მიღმა დრაკონებს ჭვრეტდა, სანჩო-პანსა კი გამოუსწორებელი რომანტიკოსი და მეოცნებე, ერთ-ერთი ამ ბრმათაგანი, მთელი ოცდაათი წელიწადი რომ სჯეროდათ, სტალინი „ხალხთა ბრძენი მამა“, ხალხის ბედნიერებაზე მზრუნველი, ხოლო „წმენდის ნაწილები“ — მხოლოდ და მხოლოდ „კომუნისტური პროპაგანდა“.

დონ-კიხოტმა იცოდა. თავისი საოცარი გამჭრიახობის წყალობით ნათლად ხედავდა იმ ეშმაკებსა და ურჩხულებს, პირველი შესაძლებლობის-თანავე ჩვენი გველური გენეტიკური ორმოდან თავიანთ უგვანო სიფათებს რომ აჩენენ.

სინათლე ავანთე, კლივერის ავტობიოგრაფია ავიღე და უმაღლესი ლეროი ჯონსის¹ ამ ციტატას წავაწყდი: „აღსდექ, შავო უგნურო, ნიჰილიზმო, გა-აუპატიურე თეთრი ქალიშვილები, ძალა იხმარე მამებზე, ყელი გამოსჭერი დედებს“.

რა ნაგავია!

სახლიდან გავდივარ.

ჩემი „ოლდსმობილით“ ისე უმიზნოდ დავბოდილობ ნისლით მოცულ ქალაქში, როგორც ფიქრები ჩემს თავში. მალიბუმდე მივედი, მინდა ჩემი ძმის — ოკეანის ხმას ვუსმინო, მაგრამ დუმს ოკეანე.

ოკეანეს სძინავს.

რანჩოში წავედი. პიტ-მახრჩობელას გალიაში რომ შევედი, იგი ჯერ თავაზიანად გასწორდა და მალე ისევ სამკუთხად დაიგრაგნა.

ერთმანეთს შევყურებთ.

როცა პითონი თავისი მრგვალი თვალებით ასე დაყინებით მოგჩერება, ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს ამგვარი რამ მთელ თავის სიცოცხლეში გველს არაფერი ენახოს.

ჩვენ დიდხანს ვათვალიერებდით ერთმანეთს დაკავშირებულნი უსაზღვრო გაოცებითა და კიდევ იმით, რომ არაფერი გვესმის ერთმანეთის. ზოგჯერ თითქოს შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ. ეს ყოველივე კი შეიძლება მხოლოდ ერთი სიტყვით გამოიხატოს — საოცრებაა...

ბატკასთან გალიაში შევდივარ. იგი გულმხურვალედ მესაღმება, რაც ძალზე ართობს და ამხიარულებს იმ რვა წლის ბიჭუნას, ჯერ ისევ ჩემს სულში რომ ზის. თეთრი ძაღლი თავს მუხლებზე მადებს და ვიდრე რუსულ ყაიდაზე დამყავებულ კიტრსა და ჰიუზ-მარკეტში ნაყიდ შავ პურს შევექცევი, ბატკა თვალებში სიყვარულით შემომცქერის. კაცმა რომ თქვას, დღეს მხოლოდ ძაღლის გამოხედვაში თუ იგრძნობ ამქვეყნად ნამდვილადამიანობას.

უცებ კიზი წამოგვადგა თავს:

— ყველაფერი რიგზეა?

— რიგზეა.

ისიც გალიაში შემოდის და ძაღლთან საჭმელი შემოაქვს. ძაღლი ელ-აქუცება, კუდს უქიციანებს და ხელებს ულოკავს.

1. ლეროი ჯონსი (დაიბ. 1934 წ.) — ამერიკელი პოეტი და დრამატურგი, ზანგების კულტურული და პოლიტიკური ავტონომიის მხარდამჭერი.

კიზის წამიერ მზერას ვიჭერ.

— ჰო-ჰოო, — ვამბობ ქათინაურის მაგიერ.

— დიახ, საქმე წინ სწრაფად მიიწევს.

მერე წელში გასწორდა, სიგარეტს მოუკიდა და უცნაურად შე-
მომხედა.

... არამზადა, არასოდეს ვაპატიებ.



ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელსაც მსგავს ინფორმაციებზე ხელი მიუწვდებოდა, გამაფრთხილა, თქვენს სატელეფონო საუბრებს უსმენენ, უდავოა სახლში მიკროფონია დადგმულიო. რატომაც არა! რახან ასეთი სამუშაო აქვთ...

არდენში ისეთს არავინ არაფერს ამბობს, გაზეთები არ წერდნენ. უბრალოდ, გაუთავებლად ლაყბობენ, როგორც ყოველთვის, როცა მოქმედების შესაძლებლობაა შეზღუდული.

ამერიკული ზანგომანიით ყელამდე ვარ სავსე. საბედნიეროდ, როგორც იქნა, ამიძრავდა საფრანგეთი, რაც ჩემთვის ერთი ყლუპი სუფთა ჰაერივითაა. ტელევიზია რეპორტაჟებს გაუთავებლად გადმოსცემს: სორბონის აღება, ათასობით სტუდენტი ბარეკადებზე, მუქარა საყოველთაო გაფიცვის შესახებ, ა. შ. და ა. შ... როგორც იქნა, შვებით ამოვისუნთქე. ვზივარ ჩემს კაბინეტში გამოკეტილი და ტელევიზორს მივჩერებივარ, მაშინ როცა სასტუმრო ოთახში ახალი ორგანიზაციის — „მწვანე ხელისუფლების“ ანუ დოლარის კრება მიდის. ორგანიზაციის მიზანს ზანგთა ბანკების, ზანგთა წარმოებისა თუ ზანგური ვაჭრობის მეშვეობით ახალი „შავი“ კაპიტალიზმის საფუძვლის ჩაყრა წარმოადგენს. სასტუმრო ოთახში რომ შევედი, საღაც ჯინი ამ დროს სწორედ ჩეკს აწერდა ხელს, ახალგაზრდა კაცი დავინახე. იისფერი ტოგა ეცვა, გულზე ჯვარი ეკიდა, თავზე რაბინის მრგვალი ჩაჩი ეხურა, ბიბილოში ოქროს რგოლი გაერჭო და ისეთ საოცარ სიჩყვას ამბობდა, უმალ ჩემს კაბინეტში დავბრუნდი, სადაც ტელეეკრანზე საფრანგეთის წესრიგის დამცველთა სიფათებს წავაწყდი, რომელთა: საჩქებმა, ხელკეტებმა და ფარებმა მრგვალი მაგიდის ლოთი-ფოთი რაგანდები მომაგონა, ეგ არის, ჟუანვილი, წმინდა ლუდოვიკო და გოდფრუა ბულონელიდა აკლდათ. მერე სასწრაფოდ ქალაქი და ფანქარი ავიღე და კართან მივედი, რათა საიდ მაქბუტის ბაგეთაგან მოწყვეტილი არც ერთი მარგალიტი არ გამომრჩენოდა, კაცისა, ჯერ კიდევ ამ სამი თვის წინ პიტერ სტიუარტის სახელით რომ იყო ჩემთვის ცნობილი.

ჩვენ სულაც არ ვაპირებთ ამერიკული კაპიტალიზმის დამხობას, პირიქით ჩვენ მხოლოდ დანაკარგის ანაზღაურებას გვსურს. დიახ, უნდა აგვინაზღაურონ ჩვენი იმ შრომისა და ოფლისათვის... აგვინაზღაურონ ის, რაც ასეული წლების მანძილზე ექსპლოატაციისა და გაჭირვების გამო დააკარგეთ, თანაც აგვინაზღაურონ პროცენტებით. ეს ქვეყანა სანახევროდ ჩვენი ხელებით არის აშენებული. ახლა კი, მართალია, თეთრები მზად

1. ჟან დე ჟუანვილი (1224—1317) — ფრანგი ეპითაღმწერელი, „წმიდა ლუდოვიკოს ცხოვრების“ ავტორი და ჯვაროსნული ლაშქრობების აღმწერი, სადაც ჟუანვილი მეფეს ახლდა თან.

არიან კომუნისტებიც კი გახდნენ, ოღონდაც როგორმე თავი დაიძვრინონ და ვალი არ გადაიხადონ, მაგრამ ჩვენ ანგარიშის გასწორებას ვითხოვთ.

პიტერ სტიუარტ საიდ მაქბუტი ლაქლაქებს და ლაქლაქებს. ყურის ბიბილო ჯერ კიდევ ოდნავ შესიებული აქვს — ეტყობა, გახვრეტისას თვითონვე შეიტანა ინფექცია. მარჯვენა ყურის ბიბილოზე ოქროს რგოლი მეც სულ ოცნებად მქონდა გამხდარი, მაგრამ სათანადო საჭეჭრე ვერ დევიდებნე. მამის მხრივ ჩემი მონღოლი წინაპრები რომ მომეშველნებნენ, მაშინ იქნებ... მაგრამ დედაჩემი ებრაელი იყო, ეს კი ის დილემაა, რომლის გადაწყვეტაც სრულიად შეუძლებელია. იზრალში ყოფნისას რადიოთი გადაცემულ პრესკონფერენციაზე, „მაარივის“ ერთი დარბაისელი ჟურნალისტი, რომელიც ძალიან ჰგავდა ბენ ჰურიონს, ოღონდ გაცილებით ხანში შესული იყო, ხალხით გაჭედილი დარბაზის წინაშე მეკითხება: „ბატონო რომენ გარი, წინადაცვეთილი თუ ხართ?“ ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც პრესას ჩემი ორგანო აინტერესებდა, თანაც რადიოტრანსლიაციის დროს! უარის თქმა ვერ გავბედე — არ შემეძლო უარი მეთქვა დედაჩემზე, მისი საფლავისთვის მიმეფურთხებინა. პოო-მეთქი, ვუთხარი და დარბაზმაც შვებით ამოისუნთქა. რა თქმა უნდა, ესეც გადაიცა რადიოთი მაგრამ მერე გულში უცნაური ჩხვლეტა ვიგრძენი — ეს ალბათ სიმართლე აცხადებდა პროტესტს.

... და მაინც პიტერ სტიუარტ საიდ მაქბუტის მიერ ნათქვამი არც ერთი სიტყვა არ გამომიტოვებია. იგი ადვოკატი გახლდათ.

— კომუნიზმი ჩვენი მტერია, ვინაიდან იგი უკლასო საზოგადოების, ინტერნაციონალიზმისა და საყოველთაო სამართლის მქადაგებელია, ზანგების საკუთრებისა და ზანგების სამართლიანობის გვერდის ავლით.

ჰმ!..

ისევ ტელევიზორთან მივდივარ. არის ერთი რიყის ქვების სროლა და შეხლა-შემოხლა, რაზედაც ჯარისკაცები ცრემლმდენი აირის ყუმბარებით პასუხობენ, მათი რაინდთა მსგავსი აბჯრები მთელ ამ სანახაობას უცნაურ ანაქრონისტულ იერს აძლევს. სავარძელში ვჯდები და სიგარას ვაბოლებ. სასწაულია, ზიხარ შენთვის არხეინად მოკალათებული და მთელი სამყარო ლანგრით მოგერთმევა.

ლამით ჯინს რომ გამოვუცხადე, ხვალ გაქცევას ვაპირებ-მეთქი, შემრცხვა ჩემი სულმოკლეობისა.

ჯინი დაბნეულია. მიატოვოს ჩვიდმეტი მილიონი ამერიკელი ზანგი მხოლოდ იმიტომ, რომ მაისის პარიზში გაისეირნ-გამოისეირნოს, ეს საქციელი მისი პრესტიჟისათვის არც ისე სასიკეთო იქნება. მიუხედავად ამისა, ჩემს ჯვარსა და საპატიო ლეგიონერის ოფიცრის როზეტს პიჯაკზე ვიმაგრებ, თუმცა ჯინმა მშვენივრად იცის, რომ ამ ჯვრის და ამ წოდების მიღებიდან უკვე ოცდახუთი წელია გასული და რომ უკვე ყოფილი ანუ „ექსი“ ვარ. ასეა თუ ისე, ყოვლად მიუღებელია ინგლისისთვის ბრძოლა მოიმიზეზო და ამ მიზეზით აითესო. ყველა პრობლემა აქ, ამერიკაშია თავმოყრილი. ბოლოსა და ბოლოს ამერიკაში თეთრკანიანები ცხოვრობენ. ხნორედ ასეთი ბრწყინვალე შენიშვნა გააკეთა ჩვენმა მეგობარმა ქალმა კლარამ, როდესაც მოვუყევი, ერთი ჩემი პარიზელი მეგობარი ცოლმა იმის გამო მიატოვა, რომ ქონება დაკარგა-მეთქი.

— ნეტა რას ნუნუნებს? განა თეთრკანიანი არ არის? დარწმუნებული ვარ, არც ნამდვილი პრობლემები ექნება.

ერთი სიტყვით, დეზერტირობას ვაპირებ. აღარ მინდა კრებებზე სიარული. ყველა ისე იყურება, თითქოს არ იცის, რომ ეს აბდულ ჰამედი დამსმენია, რომ იმ ახალ დაჯგუფებას, რომელსაც აქ თავმოპარსული ბამბადია წარმოადგენს, ფებერი აფინანსებს, რათა „შავკანიანთა ხელისუფლებაში“ განხეთქილება ჩამოაგდოს. აქ არავინ კითხულობს, რატომ იქნა ამდენი ახალგაზრდა შავკანიანი აქტივისტი თავისივე შავკანიან მოძმეთა მიერ მოკლული ან ვისი ბრძანებით. მოკლედ, მე თუ მოკლეს სინდისსაც აქვს არდადაგების უფლება, ხოლო პარიზი თავისი გაზაფხულით, გადაჭარბებული ბარიკადებითა და მშვიდობის დამცველი ჯარისკაცებით ქუჩებში — სწორედ ისაა, რაც მე მჭირდება, რათა ცოტა გავხალისდე.

ბარგს ვალაგებ. იმ დილას, რა დღესაც უნდა გავმგზავრებულიყავი, ჩემს ვაჟიშვილთან ერთად ძალსაშენში წავედი, სადაც თეთრ ძალთან მთელი ერთი საათი დავყავი. ჩემი ვაჟიშვილი უკვე ექვსი წლისაა და შეგვიძლია გვეგები ერთად შევადგინოთ. გადავწყვიტეთ ჩემი დაბრუნების შემდეგ ბატკას საფრანგეთში წავიყვანდით, რათა იქ ფრანგ გოგონაზე დაგვექორწინებინა. ჩემს ვაჟიშვილს, რომელსაც უამრავი შავკანიანი ძმაცატი ჰყავს, წარმოდგენაც არა აქვს, რას ნიშნავს „შავკანიანი“. ერთხელაც არ უკითხავს, ამა და ამ ბატონს, ან ჯიმისა და ან ჯიმის დედას ასეთი შავი კანი რატომ აქვთო. ჩემი შვილი ჯერ საამისოდ განვრთნილი არ არის.

შინ მისულს მაგიდაზე ბარათი დამხვდა: „გამოუმშვიდობებლად არ წახვიდე, კრებაზე ვარ, აეროპორტის გზაზე — კრენტონში...“ ჩემს ყვითელ ძალს სენდის თათს ვართმევ. კატა მაი მხრებზე მახტება, ლოყაზე მელამუნება და გრძელ ამბებს მიყვება ჩიტებზე, რომელიღაც ძალზე, ვულგარულ და აუტანელ მამალ კატაზე, რომელიც ჩვენს მოპირდაპირე სახლში ცხოვრობს და კიდევ სამზარეულოს მაგიდიდან მოპარულ ხბოს დაბეგვილი ხორცის ნაჭერზე, რაზედაც, სიმართლე რომ ითქვას, სმენითაც არაფერი სმენია.

კრენტონში, სადაც ადრე არასოდეს ვყოფილვარ, ჩემთვის საინტერესო სახლის მიგნება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. გზას ვილაც ახოვან წვეროსანს ვეკითხები (ამ საბრალო ლუმუმბას თავის წვერზე ალბათ კონგოზე არანაკლები ძალა აქვს დახარჯული...) ჩემ მიერ დასახელებული მისამართი, უკეთესი რომ არ შეიძლება, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე:

— ჩარლისთან მიდიხართ?

— დიახ, ჩარლისთან.

მარცხნივ მეხუთე ქუჩა, მეხუთე სახლი მხარმარჯვნივ. სახლის წინ ორი შავკანიანია აყუდებული, რომელთაც ვუხსნი, ვისი ქმარიც ვარ და რომ დავამშვიდო, მოსვლა თვითონ მთხოვა-მეთქი, — ვეუბნები. პირველივე შეხედვით ვხვდები, რომ ეს კრება სრულებითაც არ შეესაბამება „მწვანე ხელისუფლების“ გემოვნებას. პირიქით, ეს ერთ-ერთი ის party-აა, თვითეულ ფანჯარასთან გუშაგები რომ ჰყავს აყუდებული ქუჩის სათვალთვალოდ. აქ მხოლოდ ერთადერთ ყმანვილს ვიცნობ, ვინც blackdeacons¹-ის წევრია და ვინც ზომიერი ადამიანის შთაბეჭდილებას

1. სამხრეთის შავკანიანთა თავდაცვის ჯგუფი.

ტოვებს. ზუსტად ისეთი ატმოსფეროა, როგორც ოკუპაციის დროინდელ მაკთა თავყრილობებზე სუფევდა, ოღონდ წვერი და ბერეტები კუბელებს მიუგავთ და ტყავის ქურთუკებსაც ცოტა არ იყოს, ნაცისტური სუნის ასდის. კასტრომ თითქმის შესძლო თვალი აეხვია ამერიკელი ზანგენოსათვის, თუმცა ბოლოსა და ბოლოს მათაც შეამჩნიეს, რომ ფიდელის სამხედრო ხელმძღვანელებს, მინისტრებს, მეგობარ მამაკაცებსა და ქალებს შორის არც ერთი შავკანიანი არ ურია...

მაინც რა მოხდა, რა დაემართა barbudo-ს? ნუთუ ერთი შავკანიანიც აღარ დარჩა კუბაში?

გადაირევი, ისეთი თეთრი ჩანს ჯინი მათ ფონზე. იგი სიტყვას ამბობს და ხმა უკანკალებს:

— მოძრაობისათვის, რომლის მიზანსაც ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა წარმოადგენს, იმაზე უარესი რეკლამა არ არსებობს, ვიდრე იმ კინოვარსკვლავის ირგვლივ ხმაურის ატეხა, რომელიც თქვენს დახმარებას ცდილობს. ეს ძალზე ჰგავს როგორც პოლივუდს, ისე კინომატოგრაფს და „მოდასაც“. ვინ არ იცის, რას ნიშნავს კინოვარსკვლავობა? რასაც არ უნდა აკეთებდეთ, რაც არ უნდა გულწრფელი იყო, მაინც ისეთი სახე გაქვს, ისე იღიმები, თითქოს ფოტოგრაფის წინაშე დგახარ. რაც შემძლია ყველაფერს ვაკეთებ სკოლისათვის, მაგრამ როცა მანიფესტზე ხელის მოწერას მთხოვთ, ამით მხოლოდ საკუთარ თავს ვნებთ...

ასე მგონია, უჩინმაჩინად ვიქეცი. ვნანობ ჩემი წითელი ფესი რომ არ დავიხურე და სირმებით განწყობილი ლაჟვარდისფერი თურქული შარვალის არ ჩავიცვი.

— ნუ დაგავინყდებათ, რომ პოლივუდიდან ორ ნაბიჯზე ვიმყოფებით, სადაც მალე ომარ შარიფის მონაწილეობით „ჩე გევარას“ გადაღება დაიწყება... მოკლედ, როგორც არ უნდა მოვიქცე, რაც არ უნდა გავაკეთო, მაინც ყველას ჰგონია, რომ ვთამაშობ...

ჯინს ხმა უწყდება. ვილაც ორი ტიპი ფანჯარასთან დგას და ქუჩას გაფაციცებით გასცქერის. გგონიათ პოლიციის თავდასხმისა ეშინიათ? არ გამაცინოთ! პოლიცია თავს რატომ შეიწუხებს, როცა მთელი დარბაზი უამისოდაც პოლიციელებითაა სავსე. ამერიკაში არც ერთი პოლიტიკური მოძრაობა არაა, „ფებერის“ აგენტურით არ იყოს გავსებული. იცით, ყველაზე უკეთ როგორ შეგიძლიათ კონტროლქვეშ იყოლიოთ პოლიტიკური მოძრაობა? როგორ და, თავად უნდა შექმნათ იგი.

გუშაგები კი იმიტომ დგანან, ზანგთა სხვა მონინაალმდეგე ჯგუფის მოულოდნელი შეიარაღებული თავდასხმა არ დაუშვან. ექსტრემიზმის ყველაზე მძიმე, ყველაზე ტრაგიკული მხარე — შინააშლილობა და შინაგათიშულობაა. ისე ჩანს, თითქოს ყველა მოძრაობაში რაღაც საიდუმლო ძალა მოქმედებს და ექსტრემისტულ დაჯგუფებებს ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებს.

ჯინი გულში ჩავიკარი. ზუსტად ისეთი გრძნობა მაქვს, როგორც იმ უნუგემო ცოლს, ვისი ქმარიც ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიდის. მაგრამ ჯინისთვის ჯობია, რომ წავიდე. ასაკში განსხვავება საშინელებაა, მით უმეტეს, თუ შენზე მთელი ათწლეულობით უმცროს, ახალგაზრდა ქალზე იქორწინე. მით უმეტეს, თუ ზურგს უკან ვოლტერი და ლარომფუკო გიდგანან, რომელთაგანაც თავს ასე ადვილად ვერ დაიხსნი.

პარიზულ ღამეს აფეთქებათა ხმა ახმაურებს. ნაბიჯების ბრაგა-ბრუგი მესმის და ფანჯარასთან მივდივარ. ბაკის ქუჩაზე მიმზებლი ათი-ოდე ახალგაზრდა ხმამალლა სკანდირებს: „ჩვენ-გვინ-და-გა-ვი-მარ-ჯვოთ! ჩვენ-გვინ-და-გა-ვი-მარ-ჯვოთ!“ შემდეგ ყველანი ერთად მღერნიან:

გურუშა ღორია —

რაც უფრო მსუძანია

მით უფრო ღორია.

სახლიდან გავედი, რომ სადმე წავიხემსო. ვხედავ, ქუჩაზე, სარეკლამო დაფის წინ ჩემი ძველი ინსტიტუტელი მეგობარი, ცნობილი ადვოკატი ბ. დგას და წარწერებს მისჩერებია:

ღე გოლი საფრთხობელაა!

ფაშინი ვერ განმარჯვებს!

ბ.-მ ვერ შემამჩნია. დგას დაფის წინ ლეგიონერის საპატიო ორდენის როზეტით მკერდდამშვენებული და ფიქრებშია წასული. მერე ჯიბიდან ჩუმად ფლომასტერს იღებს, თვალებს აქეთ-იქით ქურდივით აცეცებს და დაფაზე წერს:

თავისუფლება ტელგანს!

ფრანკო ნო პარანს!

შიაპა სახრჩობელაზე!

ძირს კაბულა!

მხარზე ხელი დავარტყი. ჯერ შეშინებული გახტა განზე, მაგრამ მაშინვე მიცნო და ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით მივესალმეთ. მერე ფლომასტერი გამოფართვი და დავწერე:

თავისუფლება დიმიტროვს!

შური ვიძიოთ მათოტისათვის!

იხსენით ეთიოპია!

ახლა მან გამომტაცა ფლომასტერი თვალებანთებულმა:
ლა როკი ვერ განმარჯვებს!

ჟ. პ. მკვლელები არიან!

განაირაღეთ ლიგები!

ახლა უკვე ჩემი რიგია:

თავისუფლება კარლ ფონ ოსეცკის!

ძირს ორასივე ოჯახი!

შური ვიძიოთ ბენრიკისათვის!

ყველამ დავიცვათ ტერუელი!

წელში გავსწორდი და ერთმანეთს ჯიქურ მივაჩერდით. მართლაც რომ გულისამაჩუყებელი წუთები იყო — განა ყოველდღე ხარ ოცი წლის!

ბ. ფლომასტერს მართმევს:

გაუმარჯოს მემარცხანე ძალთა ერთობას!

ყველანი მიუტიალიტისაკენ!

სტალინი ჩვენთანაა!

წელა ჩაგვიარა პოლიციის მანქანამ და ორივემ ისეთი სახეები მივიღეთ, ვითომ არაფერი. ბ.-ს გაბრწყინებული თვალები ენამება. ისევ ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს და დავშორდით. მე ამაყად თავანუელი, ჩემი თავით კმაყოფილი მივაბიჯებ — ბრძოლაში მეც მივიღე მონაწილეობა!

— ჩვენ გავიმარჯვებთ, — ნამჩურჩულა ბ.-მ. — მადრიდი არ დაცემულა.

— ბლიუმი თვითმფრინავებს გაუგზავნის, — ვეუბნები პასუხად.

ვყოყმანობ, არ ვიცი „ლიპში“ შევიდე და მყავე კომბოსტო გვახლოთ თუ ლანგედურად შემზადებული რაგუ მივირთვა „რენეში“. მაგრამ მას შემდეგ, რაც პარიზში რევოლუცია დაიწყო, რესტორნები დასრულდა. მიუხედავად ამისა, „ლიპში“ ადგილი მაინც მოვნახე. მესმის, შესაძლებელია მაგიდასთან ქალი როგორ ყვება, ჯარისკაცებმა ასობით სტუდენტი მოკლეს, კვალის დასაფარავად კი გვამები სენაში გადაყარესო. მერე დანვრილებით აღწერს, პოლიციაში სტუდენტ გოგონებს როგორ აუპატიურებდნენ, დაჭრილებს როგორ ხოცავდნენ, თან მოხარშული ძროხის ხორცს მაღიანად შეექცევა და ფენოვან ნამცხვარს უკვეთს. მის შემხედვარეს პირზე ნერწყვი მადგება, მაგრამ თავს ვიკავებ, ვინაიდან ვიცი, რომ ნამცხვარი ასუქებს. ახალგაზრდა ქალი ნამცხვარსაც თვალისდახამხამებაში ათავენს და მეგობართან ერთად რესტორნიდან გადის — ამ ლამეს ისინი ბარიკადებზე გაატარებენ. სანოვაგის საქმე როგორაა-მეთქი, ვკითხე როყე კაზესს.

ჯერჯერობით არა გვიშავსო, — მიპასუხა.

სენ-ჟერმენ-დე-პრეზე უკვე გახურებული ბრძოლაა. სტუდენტებსა და ჯარისკაცებს შორის რიყის ქვებისა და ცრემლმდენი ყუმბარების გაცვლა-გამოცვლაა. როზე კაზუსმა ლუდხანაში რკინის დარაბები დაკეტა და ყველანი პირველი სართულის სხვა გასასვლელიდან გაგვიშვა. შენობის წინ ჯარისკაცების კორდონი დგას. თავით ფეხამდე ტყვიაგაუმტარმა სახელაჟლაჟა ჩაჩქნიანმა წესრიგის მცველმა გუშაგმა, მეფე პოზოლის რომ ჰგავს და მიწის, კარგი ღვინისა და კაი სასმელ-საჭმლის სუნი ასდის, ხელში წმინდა ლუდოვიკოს ფარით გზა გადამიღობა:

— აქეთ არ შეიძლება.

მე აქეთ-იქით ვიყურები — ინტელექტუალური ახალგაზრდობა მარჯვნივ, ეკლესიასთანაა თავმოყრილი, ვცდილობ ავუხსნა — მეორე მხარეს თუ არ გადავედი, ბაკის ქუჩაზე, სადაც ვცხოვრობ, ვერ მოვხვდები-მეთქი.

— რახან არ შეიძლება, მაშინ აქეთ, მარცხნივ გავალ, — ვეუბნები გუშაგს.

მეფე პოზანია თვალებს ჭუტავს. იგი მისი უდიდებულესობის, ჩემი მშობლიური ქალაქის — ნიცას კარნავალის მეფის პირწავარდნილი ასლია. თვალებს კიდევ უფრო ჭუტავს და ფუნჩულა ტუჩებზე ღიმილი ეფურჩქნება:

— აჰ, მარცხნივ გავალ, არა? ესეც შენ, ნაძირალავ!

და ჩემს ზურგზე ხელკეტს ბრაგვანი გააქვს. წუთით რისხვა მიპყრობს, მაგრამ გონებაში უცებ ყველაფერს ნათელი ეფინება. წვერი მოშვებული მაქვს, მაცვია ჯინსის შარვალი, ჯინსის ქურთუკი, არ მიკეთია შალსტუხი და, რაც მთავარია, გვერდით ახალგაზრდა ზანგი მიდგას. მაშასადამე, ხელკეტი მეფე პოზანიამ პირადად ჩემ გამო კი არა, ტანსაცმლის გამო მდრუზა — კლასი შეეშალა.

თვალზე მაღლიერების ცრემლი მომადგა. ბურჟუას პატიოსან სიტყვას გეფიცებით — მე მიცავენ! თურმე ტყუილად არ ვიხდი გადასახადებს. დარტყმა იმის დასტურია, რომ ვიგინდარებისაგან მიცავენ. ამოვიღე ჩემი დიპლომატური პასპორტი, განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილის მონაწილეობა, ინფორმაციის მინისტრის მეორე მოადგილის საბუთი და ლეიტენანტთან მივედი.

— მაიორი გარი დე კასევი. ლეიტენანტო, ნება მომეცით მოგილოცოთ.

ჩემს საბუთებს რომ დახედა, ხელი ამიღო.

— ნაძირალასავით გამოვეწყვე, მინდოდა მცირეოდენი შემონმება ჩამეტარებინა. შესანიშნავი ხალხი გყოლიათ. ისეთი რეფლექსი აქვთ, უკეთესს ვერ ინატრებ. შემოხედვა და ზურგზე ხელკეტის დრუზვა ერთი იყო. მეც მყავს ვიგინდარებზე განვრთნილი ნაგაზი, ამიტომაც კარგად ვიცი წვრთნის ფასი, ყოჩაღ... — ვეუბნები და ხელს გულითადად ვართმევ. მან თავის მწითურ, სახელაჟღაჟა გალთან მიმიყვანა და მე იმასაც ხელი ჩამოვართვი.

— ჩემს მინისტრს ვეტყვი, ხვალ ყველანი დამატებით ერთნახევარ ლიტრ ღვინოსაც მიიღებთ.

ამ სიტყვებით მე მათ ვალმოხდილი კაცის შეგნებით ვცილდები. კაბა ჩემ გვერდით მოცუხცუხებს და შეშფოთებით შემომცქერის. მართალია მთელი ამ ხნის მანძილზე ერთი ნაბიჯითაც არ მომცილებია, მაგრამ უცებ ისე ორთქლდება, არ ვიცი, მინამ უყო პირი თუ უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა. ეს მართლაც ნამღვილი შავი მაგიაა!.. კაბა ისე შეეჩვია ქუჩის შეტაკებებს, რომ რალაც ჯადოსნური ხერხი გამოიმუშავა — შეუძლია ისე გაუჩინარდეს, ადგილიდან ფეხიც არ მოიცივალოს. ამ ზანგს გვარში, ეტყობა, გრძნეულთა უამრავი თაობა ჰყავდა.

— არ გტკივათ?

— არა უშავს, მთავარია, რომ მიცავენ.

ახალგაზრდული გზებით სავსე შინისაკენ მივექრივარ — ჩემი ოცი წლის ასაკი სულ ფრენა-ფრენით მიბრუნდება. პორმონების საოცარ მოზღვავებას ვგრძნობ. ვიცვამ ჩემს ყველაზე საუკეთესო კუბოკრულ კოსტიუმს, ზედ საპატიო ლეგიონერის როზეტს ვიმაგრებ, თავზე ყელოსთან საგანგებოდ შეკვეთილ ჰამბურგულ შლაპას ვიხურავ, ვიღებ ქოლგას (რა თქმა უნდა, არც ქოლგის გარეშე შეიძლება), საგულდაგულოდ ვკეცავ და უკვე მზად ვარ სახლიდან გასასვლელად.

— კაბა, ახლა კი დამტოვეთ. ჩემი კოსტიუმი და თქვენ ერთმანეთს არ ესადაგებით. აბა, აქედან მოუსვით, რევოლუცია უნდა მოვახდინო.

კაბა თავს უკმაყოფილოდ აქნევს და მიდის. იგი ვერ იტანს ნიჰილისტებს.

მას, ვისაც ძმები მარქსების ფილმების ან ჩაპლინის „დიქტატორის“ ყურებისას განთავისუფლების გრძნობა არ განუცდია, „ძმობის იმ ქცევებს“, რომლითაც იმ სალამოს პარიზის ქუჩებში თავს ვიქცევდი, რა თქმა უნდა, ვერაფერს გაუგებს. რა არის ეს? პროვოკაცია? რა თქმა უნდა, პროვოკაციაა. თქვენი აზრით, კაცს სხვა რა შეიძლებოდა ტროას წინააღმდეგ მოეფიქრებინა, თუ არა ცხენი? დიახ, მხოლოდ და მხოლოდ ცხენი... ხელკეტისაგან კეფა ისევ მტკივა, თავში კი მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებს — ნავთი გადავასხა ჩრბვის აგიზგიზებულ კოცონს.

ასე და ამგვარად, სევრის ქუჩაზე ბურჟუაზიული ელევანტურობით გამოწყობილი ცეცხადდები. „ლიუტეციასთან“ საკმაოდ დიდი ძალებია თავმოყრილი. ჯარისკაცებმა სამჯერ, თუმცა ძალზე ზრდილობიანად შემაჩერეს:



— ფრთხილად, მესიე, შეიძლება ქვეები დაგიშინონ.

— თავი დამანებეთ, კაცი კუფრასა და ნორმანდიაში ეჭვქვეშაა

და ჯიბიდან ჩემი მინისტრის საშვი ამოვიღე. გმგლმქმქქა

ვიღაც ქეციანი რკინის ნკებლით მიახლოვდება. პირწაყარდნილი ფრანგია. შავგვრემანი, დაკუნთული, პირში ჩამწვარი სიგარეტი აქვს გაჩრილი.

— ეი, შერეკილო! — მიყვირის იგი.

— უტიფარო! — არც მე ვრჩები ვალში.

— ფაშისტო!

— ქეციანო ურიავ! — ვუყვირი და ზუსტად მიზანში ვახვედრებ. ეს თუ უთხარი, მუშაკაცს ამაზე მეტად ვერაფრით გააცოფებ. ზუსტად ვიცი ამ დროს რასაც გრძნობენ — იმას, რასაც მე ამერიკაში როცა ქეციან ფრანგს შეძახიან. სახე ჩვენი დროშის ფერი მიხდება. ჩემკენ ხალხის რაღაც ტალღა დაიძრა და მეც კეთილგონივრულად ჯარისკაცებისკენ დავიხიე:

— ყველანი ურიები ხართ!

ვამბობ და საკუთარი თავით მეტად კმაყოფილი ვრჩები — ოდნავ ხომ მაინც გავაღვივე წმინდა ცეცხლი! რა თქმა უნდა, მათ შორის ჩვენი ჩინებული, ნამდვილი ფრანგი ბიჭებიც არიან. როგორც კი გავიფიქრებ, ებრაელების წყალობით ჩემი სამშობლო, ჩემი წმიდაზე წმიდა რუსეთი დავკარგე, რომლებმაც თავისი გაიძვერობით ისე შორს შეტოპეს, არა მარტო დედაჩემი, მეც კი ებრაელი აღმოვჩნდი-მეთქი, თავს ველარ ვიკავებ და ვყვირი:

— საფრანგეთი — ფრანგებს!

ჯარისკაცები ჩემკენ ხელკეტებმომარჯვებულები მორბიან. მაშასადამე, დედასამშობლოსათვის ცოტა რამ მაინც გავაკეთე, შური ვიძიე ნაპოლეონის მიერ გადამწვარი მოსკოვისა და ყველა იმ ჩვენიანის გამო, ბორდინოსთან რომ დაეცა. ასეა თუ ისე, არამზადაა კერენსკი, ათჯერ მაინც შეეძლო ბოლშევიკების მოსპობა, არადა, მათ ახლა ოდიონიც კი დაიკავეს.

დამცირებული და მოწყენილი ვარენის ქუჩაზე მივბოდიხლობ. ემიგრაცია — საშინელებაა. ხდები საფრანგეთის გენერალური კონსული, გონკურების ლაურეატი, პატრიოტი, გოლისტი, გაეროში საფრანგეთის დელეგაციის პრეს-ატაშე და მაინც დაღუპულია შენი სიცოცხლე. ჯიბიდან ჰერმესის ფირმის აბრეშუმის ცხვირსახოცს ვიღებ, ცრემლს ვინმენდ. გადავწყვიტე ორდენებჩამწკრივებულმა სენ-მიშელის ბულვარზე გავისეირნო. სტუდენტები გზას მაძლევენ, თუმცა ცხვირზე ხელს იჭერენ.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა რევოლუციურ პარიზში — სორბონოს ეზოში მელოდა, სადაც ბურჟუაზიული ორდენების ბაფთებით დამშვენებულ ჩემს იმ უხამსად რესპექტაბელურ კოსტიუმში გამოწყობილი და კვლავაც იმ პროვოკაციული ცეცხლით ანთებული მივდივარ, რამაც თვით ჩემს სასაცილოდ ამგდებ ენაკვიმატებზეც რომ იმოქმედა. სამწუხაროდ, მათი თავაზიანი, მაგრამ ცივი შეხვედრიც აჩედჯარებული ვრჩე-

ბი: სტუდენტებმა ჩემში ხალხის მტერი დაინახეს, კამათი გამიმართეს, მართალია, ყველა ჩემი არგუმენტი საფუძვლიანია, თქვენი კი უაზრო ბოძვა, მაგრამ მართლები მაინც თქვენ ბრძანდებით... იქაურობა დათრგუნულმა და გულდამძიმებულმა დავტოვე. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მთელი ჩემი ახალგაზრდობა აქ დამეტოვებინოს.

და აი, უცებ ვხედავ, რომ ეკოლის ქუჩაზე მშვენიერად წყნუ ვილაც ბანოვანი მოაბიჯებს.

მაღე ის ბანოვანი მომიახლოვდა — გვერდით მისი ასლი და ალიკვალი გოგო და ბიჭი ახლავს. სახე დაღლილი აქვს, გატანჯული. რალაციტ საუკუნის დასაწყისის იმ რუს, რევოლუციონერ ქალებს მაგონებს, ციმბირის კატორღებში რომ მიდიოდნენ, რათა ერთ მშვენიერ დღეს მათი შვილებიცა და შვილიშვილებიც კატორღაში იმავე გზით გაეყენებინათ... გამარჯვებული რევოლუცია ყოველთვის წაგებული რევოლუციაა. სცადეთ და უარყავით ეს სიტყვები, თუნდ ერთი ისტორიული მაგალითი მაინც მითხარით, საწინააღმდეგოს რომ დამიმტკიცებდა.

— მესიე რომენ გარი, მესიე რომენ გარი... — მესმის მისი ხმა. შემოვტრიალდი.

— ჩვენ თქვენი დახმარება გვჭირდება...

ვის „ჩვენ“? მე ხომ ვიცი, ასეთი სახის ადამიანები თავისთვის არასოდეს არაფერს ითხოვენ.

— ვის „ჩვენ“? სტუდენტებს?

სახეს ოდნავ მწარე ღიმილი უნათებს:

— ო, იცით, სტუდენტებს...

ვიცი. სულ რაღაც ორიოდე წუთის წინ სორბონას ეზოში მესმოდა, რადიოთი როგორ მოუწოდებდნენ: — „მეთექვსმეტე ოლქში¹ წასასვლელად საჭიროა მანქანიანი ამხანაგი“...

შევყურებ ამ ქალს, ვისაც თვალებში ყველა დამარცხებული რევოლუციის დაუძლეველი ცეცხლი უგიზგიზებს:

— „რენოს“ ქარხნის აჯანყებულ მუშებზე გეუბნებით.

იგი ერთხანს ყოყმანობს და ბოლოს ამბობს:

— კომუნისტური პარტია საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტას მოითხოვს. გაფიცულთა დახმარების ფონდი ამოწურულია, „რენოს“ ქარხნის გაფიცულებს აღარავინ ეხმარება, მხოლოდ საკუთარი თავის იმედზედა არიან... შინ კი მათ ცოლებს მოთმინების ძალა აღარა აქვთ... იქნებ შესძლოთ და თქვენს მეგობრებთან ერთად...

ღიას, ღიას, თქვენს მეგობრებთან ერთადო...

— იქნებ შესძლოთ და მათ დასახმარებლად სახსრები შეაგროვოთ. ცოტა ხანს თავი კიდევ გაიტანონ.

რამდენიმე წამი დამჭირდა, რათა ეს ყოველივე გამეცნობიერებინა. გაოცებისაგან ქალს ისე მივაჩერდი, თვალები ლამის შუბლზე ამივიდა. ამ ქალმა, აი ამ ქალმა, ახლა ჩემ წინ ასეთი წმიდათაწმიდა გულუბრყვილობით აღსავსე რომ დგას, ქალმა, რომელმაც უძველესი დროიდან კაცობრიობის ჯიშისა და მოდგმის გადარჩენა უზრუნველყო, ადამიანებისადმი თავისი ნდობით ყველა დემარკაციული ხაზი და სოციალური ბარიერი გადალახა. ამ ქალმა მე მიცნო. მიცნო ის ცნობილი გოლისტი,

1. პარიზის ყველაზე მდიდარი არისტოკრატიული რაიონი.

ახლა მის წინაშე ბურჟუაზიული წესის ყოველგვარი გარეგნული ნიშნების დაცვით რომ წარვდექი. ცხადია, იცოდა, ყველა მოქმედი სტატუსით გარიცხული ვიყავი იმ საძმოდან, რომელსაც „ჩვენ ყველანი გერმანელი ვბრაელები ვართ“ ეწოდება და რაზედაც ფრანგი სტუდენტები პარიზის ქუჩებში გაჰყვირიან. ეს ქალი მოდის და მთხოვს, ჩემს მეგობრებთან ერთად „რენოს“ მუშების დასახმარებლად სახსრები შევაგროვოთ და გაფიცვის გაგრძელება შეძლონ.

ქალმა იქნებ იფიქრა კიდევ, რომ ვაზვიადებდი, მაგრამ თვალზე ცრემლი მომადგა, თუმცა კი ცრემლი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრს არაფერს ნიშნავს, ცრემლი ჩემთვის უცხო ხილი არ არის. მიუხედავად ჩემი სიმდაბლის გარეგნული გამოვლინებისა, შეძლო ყოველგვარი ნიშნის მიღმა დამდგარიყო. მისი თხოვნის აშკარა ირაციონალობა ამ ინსტიქტური, გულისმიერი გაგებიდან მომდინარეობდა, რომელიც მისდათავად იმ სიმალლეზე აღის, სადაც არაფერს შეუძლია შენი ჰუმანისტური რწმენის შერყევა. ქალაღდის რაღაც ნაგლეჯზე წერა ისე დაიწყო, ჩემი პასუხისათვის არც კი დაუცდია.

მთელი ჩემი ფული მივეცი, რაც თან მქონდა. მას კი იმ „რაღაც ქალღდის ნაგლეჯზე“ ხელწერილის შედგენა და მოცემა უნდოდა.

— მომისმინეთ, მაღამ, გთხოვთ... ბოლოსა და ბოლოს, რა ეშმაკად მინდა... რაში მჭირდება ეგ ხელწერილი.

— იცით, აქ იმდენ არამზადას გადაეყრები, ქუჩებში შეწირულებებს რომ აგროვებენ და მერე იმ ფულს ჯიბეში იღებენ...

ქალი ფულის კუბიურებს საგულდაგულოდ კეცავს და ჩანთაში ინახავს.

— თქვენ და თქვენს მეგობრებს რამდენიმე მილიონის შეგროვება რომ შეგძლებოდათ... თორემ გაფიცულთა ცოლებს უკვე გაძლების თავი აღარა აქვთ...

ქალს ერთხელ კიდევ შევხედე, ასე მგონია, ათასცხრაას ხუთი წელია და მოსკოვში ვარ. მაგრამ რუსეთში ასეთები უკვე აღარ დარჩნენ — რევოლუციამ ყველა ფრონტზე ერთნაირად გაიმარჯვა.

შინ სწორედ იმ დროს დავბრუნდი, როცა ტელეფონი ლამის სკდებოდა რეკვისაგან — ჯინი რეკავდა ბევერლი-პილზიდან. ხმა ამოიღო თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ ძალიან ღელავდა, თუმცა ცდილობდა დაემალა თავისი მღელვარება.

— იმიტომ გირეკავ, რომ გითხრა, ტელეფონზე თუ არ გიპასუხე, არ ინერვიულო.

— რა იყო, რა მოხდა?

— ისეთი არაფერი, უბრალოდ, მემუქრებიან...

— მაი? მაიც მონამლეს?

— არა, მხოლოდ ბრუნო და ბიპო. მერე ვიღაცამ დარეკა... ანონიმური ხარი იყო: კატების შემდეგ შენი რიგია, შე კახავ, ჩვენს საქმეში ნუ ერეები, შე თეთრო ძუკნაო.

მერე ჯინის ხმაში თითქოს იმედის ნაპერწკალი გაკრთა:

— აღბათ თეთრების პროვოკაციაა...

— აბა-აბა, მომიყევი!

„ჩვენს საქმეში ნუ ერეები, შე თეთრო ძუკნაო“.. ეს სიტყვები ყურებიდან არ ამომდის. არადა, ამ ძუკნამ ამ ერთ წელიწადში მთელი თავისი შემოსავლის ნახევარზე მეტი ზანგების ორგანიზაციას გადასცა.

— ჩემი მანქანაც გააფუჭეს, ბორბლები დახსნეს... ვილაცამ სამზარეულოს ფანჯარაშიც ისროლა... ხომ იცი, სახლში მარტულად ვარ...

და აი მაშინ ცივი, გამყივანი ხმით, რომელიც თანდათან დადგა ჩემს გარეთ, სხვა სამყაროდან ისმის, სადაც ყველაფერი სიმდაბლესა და უსინდისობასთან არის წილნაყარი, ვამბობ:

— ძალსაშენიდან ბატკა წამოიყვანე, მასზე უკეთეს ყარაულს ვერ იპოვი...

მავთულის მეორე ბოლოდან ჯინის შემკრთალი, გაოცებული ხმა ისმის:

— შენ ამას როგორ ამბობ?

— დიახ, დაურეკე კარუტერსს და უთხარი, ახლავე ძალღი მოგიყვანოს. მშვიდად ვიქნები.

— შენ გინდა ის ძალღი მოგიყვანო, რომელიც შავკანიანს დაინახავს თუ არა, მზად არის მაშინვე ყელი გამოლადროს?

— სხვა რა გზაა, ვილაცამ ხომ უნდა დაგიცვას. შავკანიანი იქნება თუ თეთრკანიანი, არამზადა არამზადაა.

ჯინი ყვირის, თუმცა ხმას, როგორც წესი, არასოდეს იმაღლებს:

— არავითარ შემთხვევაში, გესმის, არავითარ შემთხვევაში!

— პოლიციას შეატყობინე?

— შენ გინდა პოლიციური ძალადობის წინააღმდეგ მთელი ამ ჩვენი პროტესტის მიუხედავად პოლიციელებს მივადგე და ვიჩივლო, შავკანიანები მემუქრებიან-მეთქი?

გინებას გულში ვიხშობ და თანდათან სულს ვითქვამ.

— ჯინ, ადამიანის ყველაზე წმინდა უფლებაა — არ დამორჩილდეს და არ გატყდეს...

ჯინმა გამანყვეტინა:

— მხოლოდ იმიტომ გირეკავ, რომ გითხრა, ამაღამ შინ არ ვიქნები-მეთქი... ნუ იღელვებ.

და ყურმილი დაკიდა.

შიშის ყულფში თავგაყოფილი, რომლითაც ვილაც პოლივეუდელის უხილავი ხელი მახრჩობდა, მთელი ღამე წინ და უკან ბოლთას ვცემდი. ვინ მოთვლის, პოლივეუდში რამდენი ნარკომანი, გიჟი და მანიაკია, ეს კი მაიძულებს, მუქარა სერიოზულად მივიღო. დილის ოთხი საათისათვის ჯადავწყვიტე ყველაფერი გავარკვიო, რისთვისაც ზანგთა მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს — ჩემს ახალგაზრდა მეგობარ ადვოკატს დავურეკე, ვიცი, იმას ინფორმაციას არავინ დაუჭერს. ავუხსენი რაშიც იყო საქმე, ის კი ატლანტის ოკეანის მეორე ნაპირას მილიონერის დაუდევრობით, რაც მე ათი დოლარი მიზის, დუმს და ხმას არ იღებს.

— ო, კვი, — თქვა ბოლოს, — მგონი, ეს არც ისე ძნელი უნდა იყოს...

მართლაც, ზუსტად ოცდათექვსმეტი საათი დასჭირდა, რათა ოდნავ დაღლილი ხმით ჩემთვის საჭირო ახსნა-განმარტება მოეცა.

— მართლა ასეა საქმე?

— ჯერჯერობით ეს მხოლოდ არასასიამოვნო ამბავია. იცი, რა გითხ-

რა, როცა მშვენიერი, „მდიდარი“, საქვეყნოდ ცნობილი კინოვარსკვლავი თავისი იმ სიმაღლიდან ძირს ეშვება...

— მერე?

— მერე ის, რომ ეს უკვე მითისმითად... გესმის, ბრძოლაში ჩაბმული ჩვენი ქალების აზრით, ჯინ სიბერგის ამბავი უკვე მითისმითია...

ხმას არ ვიღებ. მესმის, რომ ადამიანურად ეს გასაგებია...

— კაცმა რომ თქვას, ეს არც შურია, არც ეჭვიანობა... ჩვენი ქალები შიშსა და სიღარიბეში ალყაშემორტყმულივით ცხოვრობენ... მაგრამ ასეა თუ ისე, ეს მათი ცხოვრებაა... ხოლო როცა მშვენიერი კინოვარსკვლავი მათ დონეზე ეშვება, ყველას მზერას და ყურადღებას იპყრობს... ისინი თავს გაქურდულად გრძნობენ. ასე ჰგონიათ, ამ სახელგანთქმულმა ქალმა მათი ქონების, მათი დრამის, მათი ერთობის ნაწილი მიითვისა... ხომ გესმის?

— მესმის.

ორივენი ვდუმვართ.

ვგრძნობ, რომ მასაც ჩემსავით უმძიმს, მაგრამ მე და მას სულ სხვადასხვა ლოდი გვანევს გულზე.

— მოკლედ, ჯინის ჩამოსაშორებლად მათმა მეგობრებმა მისი შეშინება გადანყვიტეს, რათა ჩვენს ჩინებულ ქალებს არავინ შეზიარებოდა არც სიღარიბესა და არც მწუხარებაში, თუნდაც კინოვარსკვლავი. ხომ გესმის?

— მესმის.

— ვინაიდან, როცა მათ ჩაკეტილ, ალყაში მოქცეულ სამყაროში მშვენიერი კინოვარსკვლავი ქალი შემოდის, ხომ იცი, რადაც იქცევა იგი?

— ვარსკვლავად.

— სწორია. ვხედავ, შენთვის ყველაფერი ნათელია.

— ჰო, ყველაფერი ნათელია.

— ასე რომ, ჩვენმა დიდებულმა ქალებმა ყველა ღონე იხმარეს მის ჩამოსაცილებლად... ჰოდა, ახლა თვითონ დარჩებიან საზანგეთის კინოვარსკვლავებად, ანუ ალყაში მოქცეული ციხესიმაგრის ვარსკვლავებად. ეს არის და ეს.

— ჰო, ეს არის და ეს. გმადლობთ.

— აბა, ნახვამდის.

— ნახვამდის, მადლობელი ვარ.

— რას იზამ, ასეთია ცხოვრება.

ბევრლი-ჰილზში მეორე დილას მივედი, სახლის კარს ჯერ მიახლოებული არ ვიყავი, რომ კატის საშინელი კნავილი მომესმა. სიამის კატებს ისედაც გამკივანი ხმა აქვთ, ხოლო თუ რამე აწუხებთ — მტრისას! სახლი ცარიელია. გამხდარ-გაძვალტყავებული მაი ბალიშზეა მისვენებული, წინ საჭმლით სავსე თეფში უდგას, რომლისთვისაც პირიც არ უხლია — მაი კვდება.

ჩვენი იმ ორი კატის მსგავსად, ისიც იმ ძაღლისშვილებმა მოწამლეს. მაი ხელში ავიყვანე. ჩანს, ორმა უძილო ღამემ თავისი ქნა — უღონობისა

და სიძულვილისგან ვტირი. მაი რაღაცას მელაპარაკება, დაძაბული მომჩერებია, ცდილობს რაღაც ამიხსნას.

ტირილისაგან თავს ვერა და ვერ ვიკავებ.

ასე გავატარე ერთი, ორი, სამი საათი — სიძულვილისაგან მთელი სხეული მიცახცახებს, ხოლო როცა ჯინი შინ დაბრუნდა, ხელში პიპეტი მეჭირა და ვცდილობდი მაისათვის ცოტა მაინც მეჭმეოდა და ნახვაზე სკამიდან წამოვხტი.

— მაიც მოწამლესო, რატომ არ მითხარი? ვის გაუფრთხილდი — მე და ჩემს გრძნობებს თუ იმ ნაძირალებს?

— ჰო, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“. შავია თუ თეთრი, არამზადა არამზადაა. აღარ შემიძლია ამის ატანა, ყოველ არამზადას მხოლოდ კანის ფერის გამო სევრის ფაიფურივით როგორ დაკანკალებენ... ეს შანტაჟია...

ჯინი ტირის. მის პატარა სახეს მწუხარების დალი აზის, ძარღვები დაწყვეტაზე აქვს...

— მაი არ მოუწამლავთ... მსგავსიც არაფერი ყოფილა... ყოველდღე კლინიკაში დამყავს. ვეტერინარი ამბობს, ასეთი ავადმყოფობაა, ამას ქსოვილის გადაგვარება ჰქვიაო.

— მითხარი, გეთაყვა, ნამუსს ვის სწმენდ?

— კატისათვის იმათ არაფერი დაუშავებიათ! — ყვირის ჯინი.

იგი ოთახიდან გარბის. მესმის, მანქანას როგორი განრისხებული ძრავს ადგილიდან. ჩანს, ბოლოსა და ბოლოს მივედი მარტოობის უკიდურეს ზღვართან. რაც ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია. „პან-ამერიკაში“ დავრეკე და კუნძულ მორისზე ბილეთი შევუკვეთე, სადაც ჩემი ერთი მეგობარი მეგულება, რომელთანაც კაცმა რომ თქვას, მთელი ოცდახუთი წელია აღარავითარი ურთიერთობა არ მქონია. მაგრამ ჯინი შინ მალე დაბრუნდა, გვერდით დამიჯდა და ჩემი ხელი აიღო.

შემდგომ დღეებს მაის მოვლაში ვატარებ. იგი წელა, წამებით კვდება. ერთხელაც კატცენლენბოჰენი გამოგვეცხადა და მენტორული ტონით ამიხსნა: „რა უფლება აქვს ადამიანს კატის სიკვდილს ესოდენ დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს, როცა მთელი ქვეყნიერება“... მაგრამ კატცენლენბოჰენიცა და მისი ქვეყნიერებაც, — ორივე გარეთ გავაბრძანე. მაი ჩემთვის ადამიანივითაა, ხოლო ვინც შენ თვალწინ ადამიანივით იტანჯება — ადამიანივით გეცოდება.

მაი ხელებზე მისვენია, ახლა იგი ბუნვახუნებულ, ბზინვარებადაკარგულ ფიტულსა ჰგავს. დროდადრო საბრალობლად კვნესის — მესმის, რასაც მთხოვს და რაც აწუხებს, პასუხის გაცემა კი არ შემიძლია... ჩვენი ხმის სიმები ამის საშუალებას არ იძლევა. ჩვენ არ შეგვიძლია ბოლომდე გამოვხატოთ საკუთარი განცდები და გრძნობები. რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვიყვიროთ, ვიყმუვლოთ, მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მხოლოდ ოკეანეს აქვს ისეთი ძლიერი ხმა, ადამიანის ხმით რომ ილაპარაკოს.

იქნებ თქვათ, სად გაგონილა კატებზე ამდენი ვაი-ვიშიო? კი მაგრამ, მაშინ რაღას ეძიებთ ამ წიგნში?

მაი შვიდ ივნისს, სამ საათსა და ოცდაათ წუთზე გარდაიცვალა და ჩიროკილეინში, უმშვენიერესი ხის ძირას დავმარხეთ, მას ხომ ძალიან უყვარდა ხეებზე ძრომა.

ბევერლი-ჰილზში რამდენიმე კვირის შემდეგ დავბრუნდი, არდენის ჩვენს სახლში. უამერიკოდ დიდხანს ვერ ვძლებ, ვინაიდან ჯერ არც ისეთი ბებერი ვარ, მომავალი არ მაინტერესებდეს, არ მაინტერესებდეს ის რაც მელის. აქ წყდება ჩვენი ბედი, ამერიკა მრისხანე, სასტიკ გამოცდებს გვინყობს, ხანდახან ვერაგულსაც კი, იგი ახლა მწვავე კრიზისს განიცდის, მაგრამ მძორივით უმოძრაო აღმოსავლეთთან შედარებით მსხინველი ცხალი კონტინენტი... აქ რალაც იბადება ტანჯვით, მთელ ინსტიტუტებს მანძილზე ეს ერთადერთი დიდი სახელმწიფოა, რომელიც საკუთარ თავს პასუხს სთხოვს თავის დანაშაულზე. ასეთი რამ ჯერ არსად და არასოდეს მომხდარა. ამიტომაცაა ეს ქვეყანა, მაშინაც კი, როცა თავადაც სასონარკვეთილია, სასონარკვეთის უფლებას ჩვენ არასოდეს გვაძლევს...

ერთხელ კიდევ შევხვდი თეთრ ძალღს. ჩვენი ეს შეხვედრა ალბათ სიკვდილამდე არ დამავინყდება. მე მინდა ჩემი ბიჭი გაიზარდოს და სხვა მრავალ ადამიანთა შორის ისეთ ადამიანად იქცეს, ბოლოსა და ბოლოს ამ სახელის ღირსი რომ იქნება. მინდა ამერიკა წინაისტორიიდან გამოვიდეს და რაკილა ახალი სამყაროს ხილვას მოვესწარი, ბოლოს და ბოლოს მეც შევძლო მშვიდად, მადლიერებით სავსე მოვკვდე.

ბევერლი-ჰილზში დაბრუნების შემდეგ არაერთხელ ვცადე კიზს ტელეფონით დავლაპარაკებოდი, მაგრამ ყურმილიდან მხოლოდ მექანიკური პასუხი მესმოდა: „ნომერი გათიშულია“. როცა კი ეს ფრაზა ჩამესმის, ვფიქრობ ამ გაუცხოებულ, ამ „გათიშულ“ თაობაზე და არამხოლოდ ამერიკაში.

მერე ჯექ კარუტერსს დავურეკე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კიზი მასთან უკვე აღარ მუშაობდა.

— თავისი საქმე გაიჩინა... მისამართი კანტორაში მაქვს... თუმცა, არა, მოითმინეთ... კორინ-სტრიტი, ეს კრენტონშია. მწვანე სახლია ფებურთის მოედნის იქით, მესამე ქუჩაზე, მარჯვნივ, ფლორენს-ავენიუსს გაყოლებაზე.

ჯინთან მოსალაპარაკებლად მოსულმა ლოიდ კატცენლენბოჰენმა, ვინც იცნობს იმ რაიონს, წაყვანა შემომთავაზა. მე დავეთანხმე...

— რამდენიმე კვირის წინ აქ იტალიური ფილმის — „ალჟირისათვის ბრძოლის“ სანახავად ვიყავი, — მითხრა ლოიდმა, — აგერ იქ, მარჯვნივ...

და მინის ნაკვეთზე მიმითითა...

დაახლოებით ოცამდე სამხედროფორმიან ზანგ ბიჭს ხელში ხის თოფები ეჭირათ და ვარჯიშობდნენ ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით, ქუჩებში ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. ინსტრუქტორი ალბათ ყოფილი ვიეტნამელი ჯი-აი იყო... ფილმში ფრანგი მჩაგვრელების წინააღმდეგ არაბების გმირული ბრძოლა იყო ნეორეალისტურად გადაღებული...

გამაკანკალა. თუმცა „ფრანგი დამპყრობლების“ გაგონებაზე კანკალის არავითარი მიზეზი არა მაქვს, მაგრამ გულში რალაცამ გამკრა. ალბათ პავლოვის რეფლექსია, ჩანს, შესანიშნავად გამწვრთნეს.

— ... ფილმს რომ ვუყურებდი, დარბაზში ზანგი ბიჭები შემოცვივდნენ. როცა ფელახები ქუჩაში ფრანგ ჯარისკაცს ჰკლავდნენ, ინსტრუქტორი მათ გასაგონად ხმამაღლა ტექნიკურ შენიშვნებს იძლეოდა. ყოველი ფრანგი ჯარისკაცის დაცემაზე ბიჭები იცინოდნენ და ტაშს უკრავდნენ... რას იტყვი ამაზე?

ჩემი პასუხიც ასევე მიზანში მოხვდა:

— თქვენ რაღას იტყოდით, ფილმში რომ პალესტინელების გმირული ბრძოლა ერვენებინათ ებრაელი „დამპყრობლების“ წინააღმდეგ?

ერთხანს ჩუმად, დაბოღმილები ვსხედვართ.

— მგონი, აქ უნდა იყოს, — თქვა ლოიდმა.

ყოველ შემთხვევაში, ეს ერთერთი მწვანე სახლია ამ ქუჩაზე. ცოტა იქით ფეხბურთის მოედანი ჩანს. ტროტუარზე შავკანიანი ქალები სხედან და მოგვჩერებიან. უცებ კიდევ ერთი მწვანე სახლი დავინახე, ქუჩის მეორე მხარეს ოდნავ შეწეული. მე და ლოიდი მანქანიდან გადმოვდივართ.

— ერთი ჰკითხეთ, ცხოვრობს თუ არა აქ კიზი, მე კი იქით გადავალ.

ამ სიტყვებით ქუჩა გადავჭერი.

მაგრამ პირველსავე სახლთან უკან მოვტრიალდი. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, არ ვიცი, რატომ მომინდა იმის დაზუსტება, მაშინ თეთრი სელის კოსტიუმი მეცვა-მეთქი. იქნებ ვიქტორ ჰიუგოს იმ ლექსის გამო, რომელზედაც ამდენს ვიცინოდით ლიცეუმში:

„ზნეკეთილობით, სელის სამოსის სიქათქათით გაბრწყინებული“...

ჭადრებს შორის მწვანეზე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. უცებ ჩემ ზურგს უკან შიშით თავზარდაცემული ადამიანის საშინელი ყვირილი, მეორე კი მსხვერპლს კბილებით ჩაფრენილი ძაღლის გაცოფებული ყეფა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრენა გაისმა, ალბათ იმიტომ, რომ ძაღლს შიგადაშიგ პირი დაკავებული ჰქონდა...

მოვტრიალდი და სახლისკენ გავიქეცი.

პატარა ეზოში არავინ ჩანდა, კარი ღია იყო. ეზოდან ახლა უკვე ბავშვების ყვირილი და მსხვერპლს ჩაფრენილი ძაღლის უცნაური, ყელისმიერი ღრენა ისმოდა...

ცხვირპირგასისხლიანებული ლოიდი მინაზე ეგდო, სისხლით მოთხერილი ხელებით მის ყელზე ეშვებჩასობილი ძაღლის მოცილებას ცდილობდა. ოთახი ბავშვებით იყო სავსე. მათ შორის ყველაზე უფროსს, რომელიც ხუთი წლის თუ იქნებოდა, ძაღლისთვის კუდში ხელი ჩაევლო და ექაჩებოდა, მეორე შიშისაგან ხმააკანკალებული ტიროდა, დანარჩენები ერთ ადგილზე გაშეშებული იდგნენ და შეჰყურებდნენ. ბატკას ვეცი, ბატკამ დანასავით მჭრელი ეშვები გამკრა, მაგრამ როცა წყველა-კრულვით შემოდან დავანეჭი, კბილები ახლა მუცელში ჩამარჭო. ბატკას ჩაბლაუჭებული, რომელიც კვლავინდებურად ლოიდის ყელისაკენ მიიწევდა, იატაკზე ვგორაობ. უცებ კიზი დავინახე, იგი საბანაო ტრუსების ამარა კიბეზე იდგა და... იცინოდა. მაინც რამდენ ხანს იდგა ასე გამომწვევად მოღიპარე, გამარჯვებულის იერით? რამდენ ხანს ტკბებოდა მიღწეული თანასწორობით?

— შავი ძაღლი!

აქ, ანდრეესშიაც კი, სადაც ახლა მარტო ვარ და ვწერ, კვლავაც ჩემი გაცოფებული ხმა ჩაშესმის და ღმერთმა უწყის, მასში რა სიხარულისა თუ გათავისუფლების გამოძახილს ვიჭერ, თითქოს ბოლოსა და ბოლოს როგორც იქნა, შევძელი და იმედისაგან გავთავისუფლდი...

— თქვენ მოიგეთ... ახლა ეს შავი ძაღლია!

ბატკამ შემომიტია და კარგა მაგრადაც დამკბინა, მაგრამ ბრმად, გაუცნობ-ერებლად, იმ ჭიდილსა და ძიძგილში, როდესაც ვცდილობდი როგორმე ამეგლიჯა ლოიდისაგან

თავდახრიღი, მუშტებმომარჯვებული ვიდექი და ვიცდიღი.

მაგრამ არაფერი მომხდარა.

თავი ავნიე და... დედაჩემის თვალებს ნავანყდი — ერთგული ძალღის თვალებს.

ეს ბატკა მიყურებდა.

მახსოვს, ჩემ გვერდით როგორ ეცემოდნენ და იხოცებოდნენ ჩემი ამხანაგები, მაგრამ როცა მინდა მოვიგონო, როგორია სასონარკვეთილი, ტანჯვით სავსე, შეცბუნებული გამომეტყველება, სწორედ ამ ძალღის გამოხედვა მაგონდება.

უცებ თავი ასწია და გულისწამლები, უსაზღვრო სევდით სავსე ხმით დაიყმუვლა.

ერთი წუთის შემდეგ იგი უკვე ქუჩაში იყო.

ლოიდი უგონოდ იწვა. ქრილობებზე თოთხმეტი ნაკერი დასჭირდა. ყველაზე ღრმა ქრილობა საძილე არტერიიდან სულ რამდენიმე მიღიმეტრით იყო დაშორებული.

კიზი ჩვენ ზემოთ, კიბებზე იდგა. მისი შიშველი სხეული იმ ვეებერთელა ქანდაკებას ჰგავდა, ტყვეთა გემების ცხვირებზე რომ დგამდნენ...

— აი თურმე რის მიღწევას ცდილობდით!.. გინდოდათ თეთრი ძალღი შავ ძალღად გექციათ? ყოჩაღ, გაიმარჯვეთ!.. გმადლობთ! ყოველ შემთხვევაში ახლა ბარი-ბარს ვართ, მარტო ჩვენ არა ვართ უსინდისოები!

— დიახ, ჩვენ ბევრი რამ ვინწავლეთ თქვენგან. ახლა შეგვიძლია გაკვეთილებიც კი ჩაბიტაროთ...

შოკმა და დიდმა ნერვულმა დაძაბულობამ გული როგორიღაც ბავშვური წყენით ამივსო. ისიც მახსოვს, შავკანიანის შემხედვარე ჩემს თავს როგორ ჩავაგონებდი — ეს ყველაფერი ჩვენი... ჩვენი ბრალია-მეთქი... ახლა წესიერად არც კი ვიცი, რას ვგულისხმობდი. იქნებ იმას, რომ სწორედ ჩვენ გავწვრთენით, ჩვენ ვაქციეთ იგი ასეთად...

მას კი სულ სხვა რამ ვუთხარი. ვუთხარი ის, რამაც თავისთავად ამოხეტქა ჩემი ნაწყენი გულის სიღრმიდან. მანაც არ დააყოვნა, დამცინავად გაესვა ხაზი ჩემი სიტყვების მაღალფარდოვნებისათვის.

— მომისმინეთ, კიზ... როცა თქვენ, შავკანიანები, სიძულვილში ჩვენ, თეთრკანიანებს გვეჯიბრებით, ამით საკუთარ მოძმეებს ღალატობთ და იმ ერთადერთ ბრძოლასაც აგებთ, რომელიც ღირს ბრძოლად და გამარჯვებად...

კიზი უხმოდ იცინის.

— ვიცი, მესიე, ცნობილი მწერალი რომ ბრძანდებით.

— კარგი, კმარა!.. თეთრი ძალღი, შავი ძალღი... ამის მეტი არაფერი იცით?

— ალბათ თავიდან მოგვიწვეს სწავლება, — ამბობს იგი.

— რის? უსინდისობაში გათანაბრების?

— არა, ამას მხოლოდ აუცილებელი თავდაცვა ჰქვია...

— და მაინც, სამწუხაროა, როცა ებრაელი ებრაელ გესტაპოზე იწყებს ოცნებას, ზანგი კი — ზანგთა კუ-კლუკს-კლანზე...

კიზის სახე ზვიად, მრისხანე გამომეტყველებას იღებს. ხმა თითქოს უთავისუფლდება, რიხი და სიმტკიცე ემატება — კიზს ვეღარ ვცნობ. პირველად ვხედავ, მოთმინებიდან როგორ გამოდის, საუკუნეებით დაგროვილ ბოღმას უცებ გზას როგორ აძლევს:

— ამ წელიწადს ოცზე მეტი ჩვენიანი მოკლეს. ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ, ეს არის და ეს. ჩემი საქმე ძაღლების სპრეინოდ განვრთნაა, ყარაული ვი არა, მებრძოლი ძაღლებისა. მოიცათ, ყველას გაჩვენებთ, ვინცა ვართ...

მესმის „სასწრაფო დახმარების“ სირენის კვილი და პოლიციის მანქანების ხმა. ვხედავ ლოიდს საკაცეზე გაჭიმულს, ვხედავ მის გაოგნებულ, შიშისაგან გაფართოებულ თვალებს და კიზს პირში ვახლი:

— სამწუხაროა... თქვენ ხელიდან უშვებთ შავკანიანთათვის ერთადერთ ყურადსაღებ შანსს — გახდეთ სხვანაირები. სულ ტყუილად ცდილობთ ჩვენს დამსგავსებას, ამით მეტისმეტად დიდ პატივს მოგვაგებთ. მართლაც რომ კარგად გვიმუშავია, ჩვენი დანყველილი მოდგმა სულაც რომ გაქრეს, ამით არაფერი შეიცვლება.

კიზი იცინის, ოო, ეს კბილები!..

— შესაძლებელია... — ამბობს იგი, — მაგრამ მთავარია ბაძრობაში ამათ ხელი არ შეგიშალოთ...

პოლიციელები გვისმენენ, მაგრამ ვერაფერი გაუგიათ. მარტო ის აინტერესებთ, ძაღლი ცოფზე აცრილია თუ არა. რაზედაც — ამის საწინააღმდეგო აცრა ჯერ არავის მოუგონია-მეთქი, — ვბასუხობ...

ძაღლი ძალაძის ქუჩაზე გარბოდა და მთელ გზაზე პოლიციის მანქანები ერთმანეთს გადასცემდნენ: „ფრთხილად, ძაღლი ცოფიანია!“ მორწმუნის დიდზე დიდი დაბნეულობა და უსაზღვრო მწუხარება იმზირებოდა იმ ძაღლის თვალებიდან, ვისაც ყოველადსახიერმა ღმერთმა უღალატა, ლა-სანეგისა და სანტა-მონიკას ქუჩის კუთხეში პოლიციის სერჟანტ ჯონ ლ. სალემის მანქანამ კინაღამ გადაუარა, მაგრამ გადაჩა. თითქმის უკვე სახლს იყო მოახლოვებული — არღანამდე სულ რაღაც ორასი მეტრიღა დარჩენოდა...

ოცი წუთის შემდეგ იგი ჯინის ხელეზზე განვიდელი დავინახე, ტანზე ერთი ნაჩხაპანიც არსად ჰქონდა. იგი თურმე ჩვენ კარწინ მოვიდა, საცოდავად მოიბღუნა და მოკვდა.

თხუთმეტი დღე საავადმყოფოში გავატარე, აქედან სამი დღე და ორი ღამე წამლებით გაჭყირებულს გაუნძრევლად მეძინა.

მაგრამ რაღაც წუთებში, როცა გონება გამინათდებოდა, ჩემს გულში ისევ ცოცხლდებოდა ის აღუხოცველი იმედი, რომელიც მაიძულებს ჩვენს მიერ წაგებული თვითეული ბრძოლა ჩვენი მომავალი გამარჯვების საწინდრად ვიგულო.

სასონარკვეთას არ მივცემივარ. მაგრამ სიცოცხლისადმი ჩემი დაუოკებელი სიყვარული ჯინთან ურთიერთობას მიძნელებს. ძნელია გიყვარდეს ქალი, ვისი არც დახმარება, არც შეცვლა და არც მიტოვება შეგიძლია.





სპარსულიდან თარგმნა მედეა შონიამ

ხალხური

ჩიტრალიდან ლონდონამდე
ვერ მიწვდება თვალის ჩინი,
მაგრამ თავად უცხოელნი
მოვიდნენ და ვნახეთ ჭირნი.

მტერს მარჯვედ დაეც მახვილი,
ჩემო რაინდო, ივარგე.
თუკი დაინდობ, იცოდე —
აუცილებლად ინახებ.

თუ ლაჩრობის მძიმე ჩალმა
მოურგება ამ თავს ურგებს, —
მოაცილეთ თავი ტანს და
ძაღლებს ისე გადაუგდეთ.

დავგლახავდი, ცრემლში ვზივარ
განწირული დასაღუპად,
რა სათუთად ნაზარდ ბაღნარს
განშორების ცეცხლი ბუგავს.

გამახსენდები შორს მყოფი,
თავად არ ვიცი, რა მომდის,
ამაოდ ვწუხვარ, ქვრივივით
მწარე ცრემლები ჩამომდის.

მამწუხრის მზევე, სასო ეყავ,
განშორება ვისაც ტანჯავს:

წასულების გულის თრთოლვა
გადაეცი ვინც აქ დარჩა.

სასტიკია განშორება,
არ აგაცდენს ბედი კრული.
ვინც წავიდა, თან წაიღო
ორად გაპობილი გული.

ჭრილობა ვერ შემაშინებს —
კოცნით მოვირჩენ იარებს,
მაგრამ თუ ბრძოლის მიხლორი
ლტოლვილმა გადმოიარე,
დაე, ეს ჩემი გრძნობები
ორლესულ ხანჯლად გადიქცეს,
გულზე დაგესოს და სისხლი
მოღალატისა დაიქცეს.

ღედაც მიყვარს, მამაც მიყვარს,
უფრო მეტად — ვისაც ველი,
განშორებას ვეღარ ვიტან
მარგალიტის მცევივა ცრემლი.

სიოვ, სიოვ, ავსულო,
ცელქობით ნუ მომკალი, —
ნუ შემაშრე ლოყაზე
სველი ტუჩების კვალი.

ნამცეც-ნამცეც დავიხარჯე, ნამცეც-ნამცეც ვიხარჯები,
 ვინ რად მაგდებს, ცოტა კაცი ჩემთვის ჩუძალ ვიტანჯები,
 მაჯნუნივით დავალ ხელი, ჩემთვის დღეც და ღამეც ბნელა,
 ახალს ვტირი, როცა დარდი სატირელი დამრჩა მტკუნაფა,
 რა სჯულით და რა კანონით გამიმეტა ასე ბედმა, — მისი მისი
 მომისაჯა უიღბლობა — სამუდამო სატანჯველი.

სიყვარული ტანჯვა არის,
 სიხარულსა არც რა უგავს —
 მკლავს და მადნობს განშორება,
 შეხვედრა კი მწვავს და მბუგავს.

მას შემდეგ რაც გულიდან
 მარგალიტი გამიქრა —
 მარგალიტის საბადო,
 კარგო, თვალში გამიჩნდა.

ძახილი ჩამესმა — დაჭრილიაო,
 ძრწოლვით გავხედე ველს...
 თვალები ეძებენ ჭრილობას — მკერდზეა
 დაუძუილდი, არ ვემდური ბედს.

ტყვიის წამალმა შეგტრუსოს, ძვირფასო,
 ჭრილობა ამშვენებს მკერდს,
 ოღონდაც ტყვია ზურგში ნუ მოგხედება,
 ოღონდ ზურგს ნუ უჩვენებ მტერს.

სუშალ-ხან ხათაქი

მომავლისაკენ გეჭიროს თვალი,
 სიხარული და ტანჯვა ჩაივლის,
 ბედნიერებაც, უბედურებაც —
 მიედინება უამი წყალივით.
 შეხვედრას ახლავს განშორება და
 ნეტარება სდევს ტანჯვას წამივით.
 ომში იფიქრე გამარჯვებაზე,
 შემოდგომით კი: — „მოვა მაისი!“
 ლიცოცხლით სავსე ფერხულ-ხმაურში
 სიკვდილზე ფიქრსაც გვერდს ნუ აუვლი,
 მომავლისაკენ გეჭიროს თვალი
 და ნელი ცეცხლის გწეაუდეს ალმური.
 ყოველ დროს, ყოველ წამს, ყოველთვის
 იყურე წინ, მხოლოდ წინ, მხოლოდ წინ.

მტრის დაჯახნვა და წახდენა —
 აი ვაჟკაცის ფიქრია.

სამეფო ეთქმის სამეფოს,
 თუკი ტყვე მართავს ავბედად?
 ტყვე-მეფე ტახტზე მჯდომარე
 საბრალო არის საცქერლად.

სარეველასებრ მავნეა
 უმეტრის ხელში ყოველი,
 მცოდნის ხელში კი კეთილი
 რტოა, სვეტია ცხოველი.

ნუ ფიქრობ, გულოვანება
 მტრის ძალს და რიცხვზე ჰკიდიო, —

თავისუფლება ხვედრია
 ძლიერი სულის და გულის.
 ტყვეობას თავს ვერ დააღწევ,
 თუ სული გიდვას მსახურის.

ვაეკაცს ნუ ჰკითხავ,
 არ იცი, რას გაიგონებ პასუხად?
 — სიკვდილი ან გამარჯვება, —
 სხვა არჩევანი არ უნდა.

ვინც შეიყვარა, დაბრმავდა,
 ვერც რამეს ანდობ მიჯნურსა,
 ვერაფერს ხელავს მის გარდა,
 ვისაც რომ გაუმიჯნურდა.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

კაცთა ღირსებებს ბეჯითად განასხვავებდე ხუშკალო,
 ვინ ავკაცია, ვინ მხდალი — ამაზე ნურას სწუხარო.
 თუთიყუშს შარბათი ასვი, ნუში აჭამე ჭრელფრთიანს,
 სვავს კი მძორ-ლუში მიუგდე, სიმყრალე უფრო უყვარსო.

აბდულ კადირ-ხან ხათაქი

(1691—1703)

ეგ კბილები ბროლია, ეგ ტუჩები ლალია!
 იცი? შენზე მდიდარი ქვეყნად არვინ დადის და,
 ალბათ, შენზე ღარიბიც, ძეო კეთილშობილო,
 თაყვანს არ სცემ არავის, ქედს არ უხრი ფადიშაქს.
 იმ ფხიზელ კაცს, ვინც არ სვამს, ლხინის რა გაეგება?
 სიბერემდე იღბინე, ბედმა თუ არ გაგწირა,
 განშორებამ მეგობარს გული არ მოუბრუნა —
 გულზე სევდა მომაწვა, დარღმა თავი აიშვა,
 ვინ მოთვალოს ჭრილობა, გულზე რომ დამაჩინა,
 ვინ დათვალოს ცრემლები, ლოდინში რომ დაიბნა.
 მერიქიყვე, ეგ ჯამი ისევ შემოატარე,
 შენთვის ხოტბას აღვაველენთ, სმა იწყება თავიდან.
 აბდულ კადირ, ბედშაჟო, ტყვეობაში ტანჯულო,
 ყველა შენი ბატონია მონაცა და ფადიშაც.

უშენოდ დავრჩი, ძვირფასო, თითქოს ქვეყანა დაიქცა,
 კრიალოსანი გაწყდა და მძიკები ბნელში ჩაიბნა,
 მეგობრის დარდი რას გიზამს? ამქვეყნად განა დგარჩენს
 თუკი ამ ლამაზ ქვეყნიდან, ასე უდროდ წავიდა.

მიწას ჩაუკრავს ლამაზთა ტანი, სადარი ვერხვების,
 ნაბიჯი ვრძნობით გადადვი, თრთოლვით აკრიფე ფეხები,
 ხელახლად დაბადებულნი, ჭრულ ყვაეილებად მოხულან —
 იქნებ ამ წუთში ლამაზის სადაფის ლაწვებს ეხები.

რაკმან ბაბა

(1632 — 1707)

მწდევ, დამისხი! წუთისოფლად
 თუ არ ვრჩებით, თუკი წავალთ,
 ან დავთვრები უგონოდ ან, არ ჩავუშვებ წვეთსაც წამლად—
 სანახევრო არაფერი არ მიყვარს და არც მიყვარდა.



ჰე, მგოსანო, ცხოვრების გზა ტანჯვაა და დარდი არის
 და ამ გზაზე არვინ დადის შენზე უფრო დარდიანი.
 ამქვეყნადაც, იმქვეყნადაც მხოლოდ მწუხარებაა და, —
 ბედნიერი, ვინც ამქვეყნად არ მოსულა, იგი არის.

ღვინო სიყვარულისა
 არ ეგების ამოშრეს
 დოქში, ფარკად-შირინის
 თიხისგან რომ გამოწვეს.

უმარილო სადილი,
 სიმჩამწყდარი თარი ვარ.

უმძოდ და უმეგობროდ
 ცარიელი დახლი ვარ,

ნუ გებრალები, მარტოკა რომ ვარ,
 ბე წუხილი და დარდი არ ვიცი.
 დიდი ხანია ალაპი მიცავს
 ქვიშაში დაფლულ ძველი განძივით.

კაზიმ ხან შეიდა

ო, შეიდა, არ იფიქრო, სიბრძნე ძნელი საპოვნია:
 მზეს მიბაძე სიყვარულში!
 დაივიწყე ყველაფერი — რა ეძიე, სად ყოფილხარ.
 გზა ერთია და მიზანიც, ო, შეიდა!
 ნურავის წინ ნუ იქნები პირფერი და,
 არ იკადრო სულთქმა, უში.
 დიდება გულს და გონებას, თუ გკარნახობს:
 მზეს მიბაძე სიყვარულში!

აბდურაუფ ბენავა

(დ. 1913).

მერიქიფევე, წამოდექი, სურნელს აფრქვევს იელი და
 ძოწისფერი ტულიპები იწვინან და ილევინან.
 ახლა ძილი ცოდვა არის, ყვავილებით სავსე ბაღში
 რუბაბი და შაჟი ღვინო მოუთმენლად მიგველიან.





ინგლისურიდან

თარგმნა ნანა ლამბაშიძემ

1999 წლის 21 ივლისს შესრულდა 100 წელი ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის დაბადებიდან. მწერლის ფათერაკიანი თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება — მონაწილეობა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში, ფაშიზმის წინააღმდეგ რესპუბლიკური ესპანეთის ბრძოლაში, სამანქანო, ავიაკატასტროფებში მოხვედრა და დაშავება; მძაფრ განცდათა უჩვეულო პრაველფეროვნება ნადირობაში, თევზაობაში, ხარებთან ბრძოლაში, კრივში, ცურვაში, ფეხბურთსა, წყალბურთში გამქლავნებული; ჭაბუკობაში ჟურნალისტური მოღვაწეობის შედეგად გამოკვეთილი სხარტი, მსუბუქი, ქვეტექსტური, განსაკუთრებული წერის მანერა, შემდგომში „ჰემინგუეის სტილის“ სახელით ცნობილი, — ყოველივე ამან ასაზრდოვა მწერლის შემოქმედება, მისი რომანები და მოთხრობები, განსაზღვრა ეპოქის ცნობიერების მისეული მხატვრული ფორმის ჩამოყალიბება, პრაველ ქვეყანაში მისი მიმბაძველების გაჩენა.

1954 წელს ერნესტ ჰემინგუეის მიენიჭა ნობელის პრემია 1952 წელს გამოქვეყნებული მოთხრობისთვის „ბერიკაცი და ზღვა“. მასში ყველაზე სრულადაა გაცხადებული მწერლისეული მრწამსი — სიცოცხლის ღრმად, ყოველმხრივი შეგრძნება მთელი მისი ტრაგიზმითა და რომანტიკულობით. თვით ბერიკაცის მონუმენტური სახე ბევრს აფიქრებინებს, რომ იგი ავტორის ერთგვარი ორეულია, რომელიც ამბობს: „ადამიანი არაა დამარცხებისთვის გაჩენილი, ადამიანი შეიძლება მოისპოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს მის დამარცხებას“.

ამ მოთხრობის პირველი ქართული თარგმანი, შესრულებული ანა რატიანის მიერ, 60-იან წლებში გამოქვეყნდა. ჰემინგუეის ამ გამორჩეული ნაწარმოების მნიშვნელობამ განაპირობა მისი ხელახალი თარგმნა და მისადაგებულია მწერლის დაბადებიდან საიუბილეო თარიღისადმი.

XX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის აღიარებულ კლასიკოსს, ერნესტ ჰემინგუეის მისმა თანამემამულეებმა „მამა ჰემინგუეი“ შეარქვეს ნიშნად მისდამი უსაზღვრო თაყვანისცემისა და სიყვარულისა. მისი შემოქმედების თანაზიარობისა.

ბერიკაცი თავის კანჯოში იჯდა და მარტოდმარტო თევზაობდა გოლფსტრიმში, ოთხმოცდაოთხი დღე ისე გაილია, არცერთხელ არ ამოჰყოლია თევზი ანკესს. თავიდან მასთან ერთი ბიჭუნაც იყო, ორმოცი უიღბლო დღე იყო ბიჭუნა მასთან ერთად, მერე კი მშობლებმა უთხრეს, ეგ ბერიკაცი salao! არისო, რაც უკიდურესად უიღბლოს ნიშნავს. მისი საქმე უსაშვი-

ლოდ დათარსული და უიმედოა, სხვასთან უნდა წახვიდეთ. ბიჭუნა მართლაც წავიდა სხვა მეთევზესთან და მათ პირველსავე კვირას სამი გვარიანად მოზრდილი თევზიც დაიჭირეს. ბიჭს გული ენურებოდა, როცა ხედავდა, როგორ მოადგებოდა დღენიადაგ ნაპირს ბერიკაცი თავისი ცარიელი კანჯოთი, ბიჭიც ყოველთვის ჩარბოდა მასთან და შველოდა მკედის გორგალის ან ბარჯისა და ჭვილთის, ან კიდევ ანძაზე დასველებულ ბარჯის წამოღებაში. ფქვილის ტომრების საკერებლებით დაკემსილი, დახვეული აფრა მინცივ ძლეულთა ბაირალს წააგავდა.

ბერიკაცი გაღეული, კაფანდარა იყო, კისერი უკან ნაოჭებით დასეროდა. ლოყებზე კეთილთვისებიანი კანის კიბოს ყავისფერი ლაქები ჰქონდა, ტროპიკული ზღვიდან ასხლექილი მზის სხივები რომ აჩენს. ლაქები ლანჯებს ბოლომდე ჩასდევდა, ხელები ძალუმად ჰქონდა ნაიარევი თოკისგან, რომლითაც წყლიდან დიდწონიან თევზს ეზიდებოდა. კარგა ხნის იყო ეს იარები. დიდი ხნის წინ თევზამომშრალი უდაბნოს დაშაშრულ ლარებს წააგავდა ეს იარები.

წელთა სიმრავლე მოსძალებოდა ბერიკაცის სხეულს მთლიანად, ოღონდ თვალები, ზღვისფერი რომ დასდებოდათ, ბერიკაცის მხნეობასა და გაუტეხელ სულს აშიშვლებდნენ.

— სანტიაგო, — მიმართა ბიჭმა, როცა კანჯო ნაპირზე აათრის და აღმართს აუყვანენ, — რას იტყვი, შენთან რომ დავბრუნდე? იქ უკვე საკმაოდ დავაგროვეთ ფული.

ბერიკაცმა აზიარა თევზაობას და შეუყვარდა ყმანვილსაც ბერიკაცი.

— არა, — უპასუხა ბერიკაცმა. — თქვენი ნავი იღბლიანია, იქ უნდა დარჩე.

— აბა გაიხსენე, ოთხმოცდაშვიდი დღე რა ხელმოცარული ბრუნდებოდი, მაგრამ მერე ისეთი სამი კვირა წაენყო, ყოველდღე ვეება თევზებს ვიჭერდით.

— ეს კარგად მახსოვს, — მიუგო ბერიკაცმა, — დარწმუნებული ვარ, შენ ჩემზე გული არ აგცრუებია, მაგიტომ არ მიმატოვე.

— მამაჩემი შემიჩნდა, სხვასთან წადიო. მთლად მონიფული არ ვარ და უარი ვერ შევბედე.

— აბა როგორ, — კვერი დაუკრა ბერიკაცმა, — სხვა რა გზა გქონდა.

— მამაჩემს ჩვენი დიდად არ სწამს.

— იმას არა, — თქვა ბერიკაცმა, — მაგრამ ჩვენ ხომ გვწამს, განა არა?

— რა თქმა უნდა, — მიუგო ბიჭმა, — მოდი ახლა ლუდით გაგიმასპინძლდები აქ, ტერასაზე და მერე ამ შენს ბარგი-ბარხანასაც შინ წაგაღებინებ.

— აგრე იყოს, — დაჰყაბულდა ბერიკაცი, — მეთევზეებში მოდის ასე.

ტერასაზე დასხდნენ. ზოგი მეთევზე ქილიკობდა ბერიკაცზე, მაგრამ ის არ ბრაზობდა. ზოგნი კი, მომეტებულად ხნიერი მეზადურები, შეფარული სევდით შეჰყურებდნენ ბერიკაცს და დარბაისლურად ემუსაიფებოდნენ იმაზე, თუ საითკენ, რა სიღრმეზე მიჰქონდა დინებას ანკესი, რა

მშვენიერი სათევზაო დარი იდგა, ან ვის რა შემთხვეოდა. იმ მეთევზეებს კი, ვისაც იმ დღეს ბედმა გაუღიმა და ზღვიდან მობრუნებულიყვნენ, უკვე გამონლული შიმშილი წყვილ ფიცარზე, მთელ სიგრძეზე გარდიგარდმო დაეწყოთ. თითოეული ფიცარი ორ კაცს ეჭირა, ბორძიკით მიდიოდნენ თევზეულობის სანყობისკენ. იქ ელოდნენ ვაგონ-მაცივრებს, რომელთაც მათი ნადავლი ჰავანას ბაზარზე უნდა წაეღოთ. ვინც ზვიგენი დაიჭირა, უკვე გადაეტანა ყურის მეორე ნაპირზე, ზვიგენის გადამამუშავებელ სანარმოში. იქ თევზებს ძელზე ჰკიდებდნენ, ღვიძლამორიდებული, ფარფლებდაჭრილი, ქეცედგაცლილი ზვიგენის სიგრძივ დაჭრილ რბილ ნაწილებს დასამარილებლად ამზადებდნენ.

აღმოსავლეთიდან მქროლავ ქარს ზვიგენის სანარმოდან თევზის სუნი გამოღმა მოჰქონდა, მაგრამ დღეს სუნი ოდნავ სცემდა კაცს, რადგან ჯერ იყო და პირქარი ჩრდილოეთიდან უბერავდა, მერე კი სულაც ჩაიდა. საამო იყო მზიან ტერასაზე ყოფნა.

— სანტიაგო, — შეეხმიანა ყმანვილი.

— რაო, — გაეჰასუხა ბერიკაცი, ხელში ჭიქა ეჭირა და გარდასულ დღეთა მოგონებებში გარინდულიყო.

— ნებას მომცემ წავიდე და ხვალისთვის სარდინი მოგიტანო?

— არა, შენ ახლა წადი და ბეისბოლი ითამაშე. მე ერთხანს კიდევ მოვუსვამ ნიჩბებს, როხელით გადამისვრის ბადეს.

— მე კი ძალიან მინდა ახლავე წავიდე. შენთან ერთად თუ ვერ ვითევზავებ, რაღაცით მაინც წაგეშველო.

— ლუდით ხომ გამიმასპინძლდი, — უთხრა ბერიკაცმა, — დღეის ამას იქით, შენ უკვე ნაღდი ვაჟკაცი ხარ.

— რა ხნის ვიყავი, პირველად ზღვაში რომ გამიყვანე?

— ხუთის და კინალამ შეენირე კიდევ იმ ლონიერ თევზს, ანკესს რომ ამოჰყვა, ლამის ნაფოტებად აქცია ნავი. გახსოვს?

— მახსოვს, რა ამბით ახეთქებდა და ატყლაშუნებდა თევზი თავის ბოლოს და ნავში მერხს რა ლანალუნი გაუდიოდა, რა ზრიალი ისმოდა, თევზს კეტიტ რომ სცემდი. ისიც მახსოვს, როგორ მისროლე ნავის ცხვირისკენ, სადაც სველი მკედის გორგალი იდო, ვგრძნობდი, ნავი როგორ იფიქიგებდა; შენ რომ კეტიტ ურტყამდი თევზს, ისეთი ხმა ჰქონდა, გეგონებოდა, მოჭრილ ხეს მიწაზე ბრაგაბრუგი გაუდისო, სისხლის მოტკბო სუნით ვიყავი გაჟივებული.

— ეს ყველაფერი მართლა თავად გახსოვს, თუ ჩემი მონათხრობია?

— იმ პირველი დღიდან მოყოლებული, ერთად რომ გავედით ზღვაში, მისხალ-მისხალ მახსოვს ყველაფერი.

ბერიკაცმა ახედა ყმანვილს, მზით გარუჯული თვალის კილოებში ჩაგუბებული მზერა მტკიცე იყო და ალერსიანი.

— ჩემი რომ იყო, გავბედავდი და შუა ზღვაში გაგიყვანდი, ვინ იცის, რა ბედს გადავეყრებოდით, — თქვა მან, — მაგრამ სხვისი შვილი ხარ და ვერ ვიზამ, მით უმეტეს, სადაც ხარ, იქ იღბალს არ უჩივი.

— გეხვენები, მოგიტან სარდინებს. თან ოთხიოდე ქარსალასაც წამოგიღებ, თევზის სატყუარად რომ გამოდგება, ერთ ადგილას მეგულება.

— წვრილი თევზი დღეს მეც მომრჩა. წვრილიან კოლოფში ჩავაწყვე.

— გამიშვი და ოთხ ცალს, ცინცხალს მოგიტან.

— ერთიც მეყოფა, — უთხრა ბერიკაცმა. მისი მუდამყამ იმედიანი და რწმენით აღსავსე განწყობილება ზღვიდან ახლად ნამოქროლილმა ნიავმა კიდევ უფრო გააძლიერა.

— ორს მოგიტან, — არ ცხრებოდა ბიჭი.

— ორი იყოს, — დაეთანხმა ბერიკაცი, — მოპარულნი ხომ არაა?

— არც მაგაზე ვიტყვოდი უარს, — უპასუხა ბიჭმა, — მაგრამ ესენი ვიყიდე.

— მადლობელი ვარ, — თქვა ბერიკაცმა. არასდროს უჭყლეტია ტვინი, როდის აქეთ გავხდი ასეთი დამყოლიო. იცოდა, ხათრიანი იყო, მაგრამ ეს სულაც არ ეთაკილებოდა, რაკი მის ურიოშო ღირსებას ამით არაფერი აკლდებოდა.

— ხვალინდელი დღის იმედი მაქვს, ამ დინებას თევზი ბლომად უნდა გამოჰყვეს, — თქვა ბერიკაცმა.

— სადამდე შეხვალ ზღვაში? — ჰკითხა ბიჭმა.

— შორს კი გავალ, ოღონდ სანამ ქარი პირს იბრუნებს, მანამდე გამოვბრუნდები. გასვლით კი, გათენებამდე გავალ.

— ვეცდები, ის კაცი დავიყოლიო, ჩვენც შუა ზღვაში გავიდეთ, — უთხრა ყმანვილმა, — ისე რომ, თუ ანკესს მართლაც დიდი თევზი ამოჰყვა, შენთან გავჩნდებით და შეგეშველებით.

— იმას ღია ზღვაში რომ არ უყვარს გასვლა?

— არ უყვარს, — მიუგო ბიჭმა, — მაგრამ მე რომ ვხედავ, ის იმდენს ვერ ხედავს. ეგერ ე, თევზის მოთვალთვალე ჩიტია, ეგება სკუმბრიაა შუა ზღვაში, მივსდიოთ-თქო, ვეჭყვი.

— განა ასე ძლიერ აკლია თვალის ჩინი?

— თითქმის ბრმაა.

— რა უცნაურია, — თქვა ბერიკაცმა, — კუზე სანადიროდ არასდროს დადიოდა და სწორედ კუზე ნადირობა სპობს თვალის სინათლეს.

— კი მაგრამ, შენ წლიდან წლამდე კუზე სანადიროდ მოსკიტოს სანაპიროზე აღმა-დაღმა დადიოდი და მხედველობაც ჩინებული გაქვს.

— მე საკვირველი ბერიკაცი გახლავარ.

— როგორ გგონია, შეგწევს კი ახლა იმის ძალა, მართლა დიდ თევზს რომ დაეჭიდო?

— კი, მე მგონი. ეგეც რომ არ იყოს, საამისოდ ბევრნაირი ფანდი ვიცი.

— აბა, ახლა ავიკრათ გუდა-ნაბადი და შინისკენ დავიძრათ, — თქვა ბიჭმა, — მერე სასროლ ბადეს ავიღებ და სარდინების დასაჭერად გავეშურები.

ყველაფერი ამოიღეს, რაც ნავში იყო. ბერიკაცმა ანძა მხარზე გაიღო. ბიჭმა ხოკერს დაავლო ხელი. მასში ანკესის მჭიდროდ დახვეული ყავისფერი მკედი, ბარჯი და ვადიანი ხოჭი ეწყო. სატყუარა წვრილი თევზების კოლოფი კი კანჯოს კიჩოს ქვეშ იყო შენახული იმ კეტის გვერდით, სიქას რომ აცლიდა დიდ თევზს, თუკი კანჯოში მოხვედრას არგუნებდა ბედი. ვერავინ გაუბედავდა ბერიკაცს მოეპარა მისთვის, მაგრამ ერჩივნა, აფრა და მკედის მძიმე ხვეულები შინ წაეღო, თორემ ვაითუ დაიცვაროს, დანესტიანდესო და თომც სრულიად დარწმუნებული იყო, აქაურები არაფერს

მომპარავენო, მაინც ფიქრობდა, რატომ დავტოვო ნავში ბარჯი და ხოჭი, ემანდ, ხელი არავის წასცდეს ანაზდეულადაო.

ერთად აუყვნენ გზას აღმართში ბერიკაცის ქოხისკენ, კარი ღია იყო და ქოხში შევიდნენ. ბერიკაცმა აფრაშემოხვეული ლამის მთელი ქოხის სიგრძის ანძა კედელს მიაყუდა. ყმანვილმა იქვე დადო ხოკერი და სხვა რაღაცები. ქოხი შეკრული იყო სამეფო პალმის¹ კვირტის ქვეშევსე გამძლე ბუდისგან, რომელსაც гуани-ს უწოდებენ. ქოხში სანოლღე მდგომარეობის ერთი სკამი იდგა, იქვე კერიაც იყო. ძაფისებრი ხეშეში гуани-ს ერთმანეთზე დაკრული ფოთლებისგან ამოშენებულ ყავისფერ კედლებზე ორი სურათი მიემაგრებინა. ერთი — ქრისტეს ფერადი გამოსახულება იყო. გაპობილ მკერდში აალებული გულით, მეორე კი — კობრეს ანგელოზი.²

ორივე სურათი მისი ცოლის სახსოვარი იყო. უწინ ცოლის ფერადი ფოტოსურათიც ეკიდა კედელზე, მაგრამ მერე ჩამოხსნა ბერიკაცმა, რაკი მის დანახვაზე გაუსაძლისი მარტოობის განცდა ეძალებოდა ხოლმე და სუფთა კვართის ქვეშ, კუთხეში მიმაგრებულ თაროზე შეინახა.

— რა გაქვს საჭმელი? — ჰკითხა ბიჭმა.

— თევზი მაქვს ყვითელი ბრინჯით, მთელი ქოთანნი. ხომ არ დამეწვევი?

— არა, შინ შევჭამ. თუ გინდა, ცეცხლს დაგინთებ.

— არა, მე თვითონ დავანთებ მერე, თუ არადა, ბრინჯს ცივადაც გეახლები.

— შეიძლება ავილო სასროლი ბადე?

— რა თქმა უნდა.

სასროლი ბადე ბერიკაცს აღარ ჰქონდა. ყმანვილს კარგად ახსოვდა, როდის გაყიდეს. და მაინც, ამ გამონაგონით ჰკვებავდნენ ერთმანეთს დღენიდაღ. არც ბრინჯიანი თევზით სავსე ქოთანნი არსებობდა და ყმანვილმა ესეც მშვენივრად იცოდა.

— ოთხმოცდახუთი ილბლიანი რიცხვია, — თქვა ბერიკაცმა, — ერთიც ვნახოთ და ისეთი დავითრიო, ათას გირვანქაზე მეტი აინონოს გამონლულმა.

— მე ახლა სადმე ბადეს მოვნახავ და სარდინებზე წავალ. ეგებ მანამდე სახლის დირეზე ჩამოჯდე და მზეს მიეფიცხო, ჰა, რას იტყვი?

— აგრე ვიზამ. გუშინდელი გაზეთი მაქვს და ბეისბოლის ამბებს შევიტყობ.

ყმანვილმა არ იცოდა, გუშინდელი გაზეთიც მოგონილი იყო თუ არა. ბერიკაცმა გაზეთი სანოლის ქვეშიდან გამოაძვრინა.

— პერიკომ მომცა ღვინის სარდაფში, — განუმარტა.

— როგორც კი სარდინებს დავიჭერ, მაშინვე გამოვბრუნდები. ორივეს წილს მაცივარში შევინახავ და დილაზე გავიყოფთ. რომ დავბრუნდები, ბეისბოლის ახალი ამბები მომიყევი.

1. დეკორატიული, ფრთისებრ-ფოთლოვანი, მაღალი პალმის სახეობა, გავრცელებულია სამხრეთ ფლორიდასა და კუნძულ კუბაზე.

2. სპილენძის მალარობის ანგელოზი. კუნძულ კუბაზე დიდ პატივს სცემენ „სპილენძის ღვთისმშობელს“, რომელიც მეზღვაურების, მეთევზეებისა და, საერთოდ, კუბის მფარველად ითვლება.

- „იანკების“ გუნდმა არ უნდა წააგოს.
- არა, მაგრამ კლივლენდელი „ინდიელების“ ძალზე მეშინია.
- გჯეროდეს „იანკებისა“, ჩემო ბიჭო, გახსოვდეს, რომ მათ იშვიათი მოთამაშე, დიმაჯიო ჰყავთ.
- კლივლენდელი „ინდიელების“ გარდა დეტროიტელი „გეფხვებიც“ მაფიქრებს.
- ისე გატყობ, ბოლოს და ბოლოს, ცინცინატიელი „ინდიელებისა“ და ჩიკაგოელი „თეთრი ნინდებისა“ კი შეგეშინდება.
- ჰოდა, ყველაფერი კარგად გაიგე და რომ მოვბრუნდები, მომიყევი.
- მოდი, ვიყიდოთ ლატარიის ოთხმოცდამეხუთე ბილეთი, კარგი? ხვალ ხომ ოთხმოცდამეხუთე დღეა.
- ვიყიდოთ, რაკი გინდა, — მიუგო ბიჭმა, — მაგრამ ოთხმოცდამეხუთე დღეზე რაღას იტყვი, შენთვის ყველაზე ბარაქიანი რომ გამოდგა?
- სასწაული ერთხელ ხდება ცხოვრებაში. როგორ ფიქრობ, შეგხვდება კია მაინცდამაინც ოთხმოცდამეხუთე ბილეთი?
- წინასწარ დავუკვეთა.
- ერთი ბილეთი ორდოლარნახევარი ეღირება. ვის შეიძლება ვესესხოთ?
- ვისაც გინდა. ორდოლარნახევარს როგორ დამიჭერს ვინმე.
- ასე მგონია, არც მე დამიჭერს ვინმე-მეთქი, მაგრამ ძალიან არ მიყვარს სესხის აღება. კაცი ჯერ სესხულობს, მერე მათხოვრობს.
- გულს ნუ გაიტეხ, ბერიკაცო, — უთხრა ბიჭმა, — ხომ იცი, უკვე სექტემბრის თვეა.
- დიდი თევზების მოძალების თვეა, — დაუმატა ბერიკაცმა, — აბა მაისში ყველას შეუძლია დაიქადნოს, კარგი მეთევზე ვარო.
- ახლა კი წავედი სარდინების მოსატანად, — თქვა ყმანვილმა.
- დაბრუნებისას ყმანვილს ბერიკაცი სკამზე ჩაძინებული დაქვდა და მზეც ჩასვენებულიყო. ბიჭმა ბერიკაცის ძველი, ჯარიდან გამოყოლილი საბანა სანოლიდან აიღო, სკამის ზურგსა და ბერიკაცის მხრებს შემოახვია იშვიათი მხრები ჰქონდა, ჯერ კიდევ ძალაშერჩენილი, თუმცა ძალზე ბეწერი, კისერიც კვლავინდებურად ღონიერი ჰქონდა და არც ნაკეცები იყო მაინცდამაინც თვალში საცემი, რაკილა თავჩაქინდრულს ეძინა. ბერიკაცის კვართი ისევე უხვად იყო შემკული საკერებლებით, როგორც მისი აფრა. საკერებლები მზისგან აკრეფილი ფერნასული საღებავებით უთანაბროდ შეფერილიყო. რა დასამალია, ბერიკაცის სახე სიბერეს დაეთრგუნა. მეტადრე თვალდახუჭულს სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. გაზეთი მუხლებზე ედო, მკლავის სიმძიმე არ ანებებდა მწუხრის სიოს მის მოტაცებას. ბერიკაცი ფეხშიშველი იყო.
- ყმანვილი წავიდა და როცა მობრუნდა, ბერიკაცს კვლავინდებურად ეძინა.
- გაიღვიძე, ბერიკაცო, — უთხრა ყმანვილმა და მუხლზე ხელი დაადო.
- ბერიკაცმა თვალი გაახილა, უჭირდა შორეთიდან გამობრუნება. მერე გაუღიმა.
- რა მოიტანე? — ჰკითხა,

- ვახშამი, — უპასუხა ყმანვილმა, — ახლა ვივახშმებთ.
- მაინცდამაინც არც მშია.
- მოდი, ვჭამოთ, უჭმელი ვერ ითევზავებ.
- როგორ არა, მშიერსაც მითევზავია, — თქვა ბერიკაცმა, — ადგა, გახეთი აიღო და დაკეცა. მერე საბნის დაკეცვა დაიწყო.
- საბანი გეხუროს, — უთხრა ყმანვილმა, — უჭმელს მითევზავებ სათევზაოდ, სანამ ცოცხალი ვარ.
- დიდხანს უნდა იცოცხლო და თავსაც მოუარო, — მიუგო ბერიკაცმა, — მაშ, რა გვაქვს საჭმელი?
- შავი ცერცვი ბრინჯით, შემწვარი ბანანები და მოშუშული ხორცი. ყმანვილმა კარდალებში განაწილებული საჭმელი ტერასიდან ორსართულიანი ლითონის უსკურათი მოიტანა. წყვილი დანა-ჩანგალი და წყვილი კოვზი ქალაღდის ხელსახოცში ცალ-ცალკე შეფუთული, ჯიბეში ედო.
- ვინ მოგცა ეს კერძი?
- მარტინმა, მეპატრონემ.
- დიდ მადლობას ვეტყვი.
- მე უკვე მოვახსენე, — თქვა ყმანვილმა, — შენ ნულარ შეწუხდები.
- როგორც კი დიდი თევზი ჩამიყარდება ხელში, მუცლის ქონიან, საუკეთესო ნაწილს მივართმევ. სხვა დროსაც ხომ გაუმართავს ხელი ჩვენთვის?
- კი, როგორ არა.
- მაშ, უფრო მეტი პატივისცემა გვმართებს მისი, რა ბედენაა თევზის მუცლის ამონაჭრის მირთმევა მხოლოდ. ნამეტნავად ზრუნავს ჩვენზე.
- ორი ბოთლი ლუდიც გამოგვიგზავნა.
- გითხრა სიმართლე, თუნუქის დაბეჭდილი სირჩის ლუდი მირჩევნია.
- კი ვიცი, მაგრამ ეს ლუდი ბოთლებშია ჩამოსხმული, ბოთლებს დავუბრუნებ.
- კაი დაგემართოს, — უთხრა ბერიკაცმა, — ახლა კი შევუდგეთ ქამას, კარგი?
- რა ხანია, ამას გეხვეწები, — მორიდებით შეეპასუხა ყმანვილი, — აქამდე ჭურჭელს ხუფი არ მოვხადე, გიცდიდი, სანამ გაემზადებოდი.
- ახლა უკვე მზად გახლავარ, — თქვა ბერიკაცმა, — ამდენ ხანს დაბანას მოვუნდი.
- „სად დაიბანე?“ — შეეპასუხა ბიჭი გუნებაში; სოფელს წყალი კარგა შორიდან მოჰქონდა, უნდა მოვუტანო, გაიფიქრა ყმანვილმა, „საპონი და ერთი რიგიანი პირსახოციც საჭიროა. რამ გამომაჩერჩეტა? დროზე უნდა ვუშოვო ახალი კვართი და ქურთუკი საზამთროდ, ფეხსაცმელი, საბანიც დასჭირდება“.
- ეს მოშუშული ხორცი ძალზე გემრიელია, — თქვა ბერიკაცმა.
- რაო, რას წერენ ბეისბოლზე? — ჰკითხა ყმანვილმა.
- ამერიკელების ლიგაში, როგორც გითხარი, „იანკების“ გუნდი დანინაურდა, — სიხარულით ამცნო ბერიკაცმა.
- მაგ „იანკების“ გუნდმა დღეს წააგო, — უთხრა ბიჭმა.

— ეგ არაფერს ნიშნავს. დიდი დიმაჯიო კვლავ იტყვის თავის სათქმელს.

— დიმაჯიოს გარდა სხვაც ბევრია იმ გუნდში.

— რასაკვირველია, მაგრამ ის მაინც გამორჩეულია. შერეული ლიგაში ბრუკლინელებსა და ფილადელფიელებს შორის უპირატესობა, დარწმუნებული ვარ, ბრუკლინელების მხარეზე იქნება, თუმცა დიკ სისლერსაც დიდად ვაფასებ, მახსოვს მისი დიდებული დარტყმები ~~ქველმოედანზე~~.

— იმის ნახვას, მართლაც, არაფერი სჯობდა. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, იმაზე უფრო შორს დაერთყას ვინმეს ბურთი.

— გახსოვს, ტერასაზე რომ მოდიოდა? გულით მინდოდა წამეყვანა სათევზაოდ, მაგრამ ვერ გავუბედე მეთქვა. მერე შენ გთხოვე, უთხარი, წამოგვეყვან-მეთქი, მაგრამ შენც მოგეხატრა მისი.

— კი, მახსოვს, და დიდი სისულელეც მოგვივიდა. ხომ შეიძლებოდა წამოგვეყოლოდა და ეს დღე მთელი სიცოცხლე გვეხსომებოდა.

— დიდ დიმაჯიოსაც სიამოვნებით წავიყვანდი სათევზაოდ, — თქვა ბერიკაცმა, — ამბობენ, მამამისი მეთევზე იყო. ეგება ისიც ჩვენსავით უპოვარი იყო, არ გვიუკადრისებდა.

— დიდი სისლერის მამა კი არასდროს ყოფილა გაჭირვებული. ჩემი ხნისა თურმე უკვე დიდ ლიგებში თამაშობდა.

— მე შენი კბილა რომ ვიყავი, შეგირდად ამიყვანეს ოთხკუთხა იალქნებიან გემზე, აფრიკაში რომ დაცურავდა, სალამოობით ნაპირზე გამოსული ლომებიც მინახავს.

— ვიცი, გითქვამს ჩემთვის.

— აფრიკაზე გირჩევნია ვიმუსაიფოთ თუ ბეისბოლზე?

— მე მგონი, ბეისბოლზე ჯობია, — უთხრა ბიჭმა, — მომიყევი ცნობილ ჯონ მაკგროუზე, — ბიჭი ესპანურად წარმოთქვამდა ასო ჯ-ს.

— ისიც მოდიოდა ხოლმე უწინ ტერასაზე, მაგრამ წამეტანი ხეპრე, პირმკვახე იყო, ცუდი სიმთვრალე იცოდა. ბეისბოლის გარდა ცხენებიც იტაცებდა, ნიადაგ ჯიბით დაჰქონდა ნაირ-ნაირი დოღების განრიგი და ტელეფონითაც ხშირად ცხენების სახელებს ახსენებდა.

— ისე კი, დიდად ნიჭიერი მწვრთნელი ყოფილა, — თქვა ბიჭმა, — მამაჩემი ამბობს, არავინ იყო იმაზე უკეთესიო.

— ასე იმიტომ ამბობს, რომ მაკგროუ წარამარა მოდიოდა აქ, — შეეპასუხა ყმანვილს ბერიკაცი, — აი, დიუროუჩერი მერე და მერე უწინდებურად წელიწადში ერთხელ მაინც რომ გამოჩენილიყო, მაშინ მამაშენი იმაზე იტყოდა, უდიდესი მწვრთნელიაო.

— შენ როგორ ფიქრობ, სინამდვილეში რომელი უფრო მაგარი მწვრთნელია, ლუკა თუ მაიკ გონზალესი?

— მე მგონი, ტოლს არ უდებენ ერთმანეთს.

— მეთევზეებში კი შენა ხარ ყველასაგან გამორჩეული.

— არა, სხვაც ბევრია ჩემზე უკეთესი.

— Qué va! — წამოიძახა ბიჭმა, — მართალია, მჯობნის მჯობნი არ დაილევა და იმაზე უკეთესიც, მაგრამ შენ მაინც განუმეორებელი ხარ.

— გმადლობ. ამ სიტყვებმა ფრთები შემასხა. იმედი მაქვს, არ გიმ-

1. რას ამბობს რაღაცე! (ესპ.).

ტყუნებ; რა ისეთ უზარმაზარ თევზს გადავეყრები, რომ შენც და მეც გაგვანბილოს.

— არ არსებობს ასეთი თევზი, თუკი მართლა ძველებურად ჯანიანი ხარ.

— ჯანზე, მე რომ მინდა, შეიძლება ისე ველარა ვარ, — თქვა ბერიკაცმა, — სამაგიეროდ ბევრნაირი ფანდი ვიცი და გულიც მერჩეს ნამეტნავად.

— ახლა კი დროა დაწვე, ხომ იცი, დილაზე კაი გამოძინებული უნდა იყო. ამ ქურჭელს ნავილებ ტერასაზე, პატრონს დავუბრუნებ.

— მაშ თუ ასეა, ღამე მშვიდობისა. დილაზე გაგაღვიძებ.

— შენ ხომ ჩემი მალვიძარა ხარ, — უთხრა ბიჭმა.

— ჩემი მალვიძარა კი განვლილი დრო-ჟამია, — თქვა ბერიკაცმა, — ნეტავ რად იღვიძებენ დილაუთენია ხანდაზმულები? იქნებ იმისთვის, რომ კიდევ ერთი დღე საწუთროსი გაიხანგრძლივონ?

— ეგ მე არ ვიცი, — მიუგო ყმანვილმა, — ის კი ვიცი, რომ ბიჭებს ღრმა ძილით სძინავთ გვიანობამდე.

— ეგეც კარგად მახსოვს, — უთხრა ბერიკაცმა, — და დროზე გაგაღვიძებ.

— ის კაცი რომ მალვიძებს, მეჩოთირება, ვითომ იმის ხელქვეითი ვიყო.

— კარგად მესმის შენი.

— ძილი ნებისა, ბერიკაცო.

ბიჭი გარეთ გავიდა. სიბნელეში ჭამეს, სიბნელეში გაიხადა შარვალი ბერიკაცმა და სანოლს მიაშურა. შარვალი გაზეთთან ერთად ისე დაახვია, რომ ბალიშის მაგივრობა გაენია. თავად საბანში გაეხვია და სანოლის ზამბარებზე დაფენილ ძველ გაზეთებზე დაწვა.

ბერიკაცმა უმაღლ ჩაიძინა. ყმანვილობაში ნანახი აფრიკა ესიზმრებოდა, უსასრულოდ გაჭიმული ოქროს ნაპირები და თეთრი, თვალის მომჭრელად თეთრი ნაპირები, აზიდული კლდეები და ვეებერთელა ჩამუქებული მთები. რა ხანია, ამ სანაპიროს მიდამოებში ბინადრობდა ყოველ ღამე ბერიკაცი, ესმოდა ზვირთცემის ღრიალი, ხედავდა, როგორ მოაგელვებდნენ იქაური მკვიდრნი ნავებს ტალღებში. ძილში იყნოსებდა ხოლმე გემბანის კუპრისა და ძენძის სუნს და გარიჟრაჟზე ხმელეთიდან მონაბერ მთელი აფრიკის სურნელებას.

სხვა დროს ხმელეთიდან მონაბერი ნიაგ-ქარის სუნს იკრავდა თუ არა, იღვიძებდა, იცვამდა და ბიჭის გასაღვიძებლად მიდიოდა. ამჯერად მინის სურნელება ძალზე ადრე იგრძნო ბერიკაცმა, ძილშივე იაზრა, ასადგომად ჯერ ნამეტანი ადრეაო და ისევ მოლანდებებში გართული ზღვიდან ამოზიდული კუნძულების თეთრ კონცხებს, კანარის კუნძულების ნავსადგურებსა და გემთმისადგომებს ხედავდა.

ამ ბოლო დროს ბერიკაცს აღარც ზღვაზე ამოვარდნილი ქარიშხლები ესიზმრებოდა და აღარც ქალები, არც სხვა მნიშვნელოვანი რამ მოვლენა, აღარც ვეება თევზები და მათთან შებრძოლება, აღარც ვინმესთან შერკინება და ძალის მოსინჯვა, აღარც ცოლი აღარ ესიზმრებოდა, მას ახლა მხოლოდ უცხო მხარე და სანაპიროზე გამოფენილი ლომები ეზმანებოდა. ლომები კატის კნუტებივით ეთამაშებოდნენ ერთმანეთს შებინდებისას და ბერიკაცს ისევე უყვარდა ისინი, როგორც ბიჭი. თვითონ ბიჭი კი მას

არასდროს დასიზმრებია. დაუზარებლად გაიღვიძა, ღია კარში გახედა მთვარეს, შარვალი გაშალა და ჩაიცვა. გარეთ მოშარდა და ბიჭის გასაღვიძებლად გაეშურა. რიყრაყის სიცივემ აიტანა, კანკალი დააწყებინა. თუმცა იცოდა, ბოლოს და ბოლოს გათბებოდა და მალე ნიჩბებსაც მოუსვამდა.

ბიჭის სახლის კარი არ იყო ჩარაზული, ბერიკაცმა და უჩუმრად შევიდა ფეხშიშველი. ბიჭს წინა ოთახში დასაქცევად მიიწვირა, მიღებული მთვარის შუქზე გარკვევით დაინახა იგი ბერიკაცმა. ფრთხილად მოჰკიდა ფეხში ხელი და მანამ ეჭირა, სანამ ბიჭმა არ გაიღვიძა, ბიჭი გადმოტრიალდა და ბერიკაცს შეხედა. ბერიკაცმა თავი დაუქნია, ბიჭმა სანოლთან მდგარი სკამიდან შარვალი აიღო და სანოლიდან არ ამდგარა, ისე ჩაიცვა.

ბერიკაცი გარეთ გავიდა, მას ფეხდაფეხ მიჰყვა ყმანვილი. ყმანვილს უჭირდა გამოფხიზლება, ბერიკაცმა მხარზე ხელი დაადო და უთხრა: მაპატიე.

— Qué va, — მიუგო ბიჭმა, — დროულად უნდა დაადგას კაცმა თავი საქმეს.

ისინი გაუყვნენ გზას ბერიკაცის ქოხისკენ, სიბნელეში შიიკვლევდნენ გზას სხვა ფეხშიშველი მამაკაცებიც და თან მიჰქონდათ ნავების ანძები.

ბერიკაცის ქოხს რომ მიადგნენ, ბიჭმა ხოკერიდან მკედის გორგლები, ხოჭი და ბარჯი ამოიღო, ბერიკაცმა აფრადახვეული ანძა მხარზე გაიღო.

— გინდა ყავა? — ჰკითხა ბიჭმა.

— ჯერ ესენი ნავში ჩავანყოთ და მერე დავლიოთ.

შესქელებული რძის თუნუქის სირჩებიდან დალიეს ყავა იმ სასაუზმეში, სადაც მეთევზეებს დილაადრიან ემსახურებოდნენ.

— როგორ გეძინა, ბერიკაცო? — ჰკითხა ბიჭმა. ნება-ნება ართმევდა ძილს თავს, თუმცა კი უჭირდა საბოლოოდ გამოფხიზლება.

— ძალიან კარგად, მენოლინ, — უპასუხა ბერიკაცმა, — დღეს მე გული რწმენით მაქვს სავსე.

— მეც ასევე, — თქვა ბიჭმა, — ახლა ჩვენი სარდინები და ქარსალა უნდა მოვიტანო. იქაურ ბარგი-ბარხანას ის კაცი წამოიღებს. როდი ანებებს სხვას ტვირთის ტარებას.

— როგორ განვსხვავდებით მე და ის ერთმანეთისგან, — უთხრა ბერიკაცმა, — მე ხუთი წლისას გაძლევდი ტვირთის ტარების უფლებას.

— მახსოვს, — დაეთანხმა ბიჭი, — ამ წუთში დავბრუნდები. კიდევ დალიე ყავა ნისიად, ჩვენ აქ გვენდობიან.

ბიჭი წავიდა. მარჯნის ბრაგებზე ფეხშიშველი მიაბიჯებდა ყინულიანი სარდაფისაკენ, სადაც ქარსალა ჰქონდა შენახული.

ბერიკაცი სვენებ-სვენებით სვამდა ყავას. უსათუოდ უნდა დაეღია, რადგან მხოლოდ ეს იყო მისი მთელი დღის საგზალი. რა ხანია, საუზმე აღარ დაჰქონდა, ჭამას გულს ვერ უდებდა. კანჯოს ცხვირის საფარქვეშ ბოთლით წყალს ინახავდა და მთელი დღე სხვა არა უნდოდა რა.

ყმანვილი სწრაფად დაბრუნდა, გაზეთში გახვეული სარდინები და ორი ქარსალა მოიტანა. კანჯოსკენ ბილიკით დაეშვნენ, ხრეშმოყრილი მინა ფეხებქვეშ კოშტ-კოშტად ხვდებოდათ. კანჯო ასწიეს და წყალში შეაცურეს.

— იღბლიან თევზაობას გისურვებ, ბერიკაცო.

— ბედნიერად, — მიუგო ბერიკაცმა. ნიჩბების აპეურები სანიჩბი ორკაპებს მოარგო, წინ გადაიზნია, რომ ფრთებზე წყლის დაწოლა შეესუსტებინა და ნიჩბების მოსმას შეუდგა, სიბნელეში შორდებოდა წავსადგურს. სხვა ნაპირებიდანაც იწყეს ნავებმა ზღვაში გასვლა, ბერიკაცს ესმოდა ნიჩბების დგაფუნი, თუმც ვერ ხედავდა მათ, რაკი მთვარე ბორცვებს იყო ამოფარებული.

დროდადრო რომელიღაც ნავში კანტიკუნტად თუ დაილაპარაკებდა ვინმე, მყუდროებას ნიჩბების მოსმის ხმა არღვევდა მხოლოდ. ნავსადგურში შესასვლელს გასცდნენ თუ არა, გაშორიშორდნენ გაშლილ სივრცეში და სათითაოდ მიაშურეს სათევზაოდ შეთვალთვალეზულ თავ-თავის ადგილს ოკეანეში. ბერიკაცს ადრევე ჰქონდა განზრახული შორს გასულიყო. უკან მოიტოვა მიწის სურნელება, ცისკრის კრიალა ჰაერს ნავით მიაპობდა და ოკეანის სუნთქვას შეიგრძნობდა. ბერიკაცმა წყალმცენარეებით გაშუქებულ წყლის სიღრმეებს მოჰკრა თვალი, როცა გაცურა ოკეანის ის ადგილი, მეთევზეებმა „დიდი ჭა“ რომ შეარქვეს. ამ ადგილას ოკეანის ფსკერი ერთბაშად შვიდას საყენამდე ღრმავდებოდა, ღრმულის ციცაბო კედლებზე დინების დაჯახებით გაჩენილ მორევში ყველა ჯურის თევზი ირეოდა. აქ თავს იყრიდნენ კრევეტები და ქაფშიები; ზოგჯერ დიდ სიღრმეზე, მელანთევზები გუნდებად დაცურავდნენ, ღამით ზედაპირისკენ ამოდრიოდნენ და მოხეტიალე თევზების ლუკმა ხდებოდნენ.

თუმც ბნელოდა, ბერიკაცი გრძნობდა, საცაა გათენდებოდა, ნიჩბებს უსვამდა და თან ესმოდა, როგორი ცახცახით ხტებოდნენ წყლიდან მფრინავი თევზები, როგორ სისინებდნენ მათი უდრეკი, ხისტი ფარფლები სიბნელეში. ძალზე უყვარდა ბერიკაცს მფრინავი თევზები, ოკეანესთან მარტოდ დარჩენილი, მათ საიმედო მეგობრებად მიიჩნევდა. ძალზე შესტკიოდა გული ჩიტებზეც, მეტადრე პანანინა, სუსტ თავშავა მეთოვლიებზე, ნიადაგ რომ ფრენდნენ საკბილოს საშოვნელად, მაგრამ თითქმის ვერასდროს ჰპოვებდნენ. ჩიტების ხვედრი ჩვენსაზე უფრო მძიმეა, თვინიერ მეგობრე და დიდი, ძლიერი ფრინველებისაო, — ფიქრობდა ბერიკაცი. „რატომ შეჰქმნა, ნეტავ, განგებამ ჩიტები ისეთი უღონონი და უმწეონი, როგორიც აი, ის ზღვის მერცხლებია, ოკეანე კი აგრერიგად დაუნდობელი? ოკეანე სათნოა და ძალზე ღამაზი, თუმც ემარჯვება იმგვარი გააფება და მოულოდნელად თავზე დაცხრომა, რომ ეს ჩიტები, რომლებიც ფრენენ, ყვინთავენ და სარჩოს ეძიებენ, სუსტად და ნაღვლიანად ფივფივებენ, მეტისმეტად უმწეონი ხდებიან ზღვის ამარა დარჩენილები“.

ბერიკაცი გუნებაში ყოველთვის ასე ეხმიანებოდა ზღვას: „la mar“. ამგვარად ახსენებენ ხოლმე ზღვას ესპანურად ზოგიერთები, როცა სიყვარულს უცხადებენ, მაგრამ ზოგჯერ, მავანნი და მავანნი, სწორედ ისინი, ვისაც ზღვა უყვარს, მისთვის საღანძღავ სიტყვებსაც არ იშურებენ და ისე იღანძღებიან, თითქოს ზღვას კი არა, ქალს მიმართავენო. უმცროსი ასაკის მეთევზეები კი, რომელნიც ანკესისთვის უკვე საგანგებო ტიფტიფას იყენებდნენ და ძვირადღირებული ზვიგენის ღვიძლის ფასად შეძენილი ძრავიანი ნავეებით თავს იწონებდნენ, აი ისინი, ზღვას რომ ახსენებდნენ, ამბობდნენ „el mar“, ანუ მას მამაკაცურ ბუნებას მიაწერდნენ. ზღვაზე ისე ღამაზობდნენ, თითქოს რაღაც განყენებული ადგილიაო, ან მათი მოქიშპე, სულაც მტერიაო. ბერიკაცი კი ზღვას ქალურ არსებად მიიჩნევ-

და, რომელსაც დიდი მადლის ქმნა და არქმნაც შეუძლია და თუკი ცოფ-მორეულს ოდესმე ბოროტება ჩაუდენია. მაშ, თავსზევით ძალა აღარ ჰქონია. მთვარე ზღვასაც ქალივით უფორიაქებსო სულს, ფიქრობდა ბერიკაცი.

ბერიკაცს არაფერი უშლიდა უშფოთველად მოესვა ნიჩბები, ოკეანის მშვიდი ზედაპირი ხელს უწყობდა თანაბარი სიჩქარით წავლად აქა-იქ წყალქვეშა მორევი ანაზდად თუ შეაფერხებდა. რაკი დინებას მიჰყვებოდა, ბერიკაცს შრომა შესამჩნევად გაუადვილდა და, როცა ირიყრა-ჭა, დაინახა, რომ ბევრად უფრო შორს იყო გასული ოკეანეში, ვიდრე თავად ვარაუდობდა.

„მთელი კვირა ვიყავი გვარიანად შორს გამოსული სათევზაოდ, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე, — ფიქრობდა ბერიკაცი, — დღეს კიდევ უფრო ღრმად შევალ, იქით სკუმბრიისა და გრძელფარფლებიანი თინუსის გუნდები დაცურავენ. ეგება რომელიმე დიდს გამოვკრა ხელი“.

სანამ საბოლოოდ ინათებდა, ბერიკაცმა თევზის ყველა სატყუარას თავთავისი ადგილი უკვე მიუჩინა, თავად კი დინების რწევას მიენდო. ერთი სატყუარა ბერიკაცმა ორმოცი, მეორე — სამოცდათხუთმეტი, მესამე და მეოთხე — ასი და ასოცდახუთი საყენის სიღრმეში ჩაუშვა, წყალი იქ მთლად ცისფერი იყო. წყალში თავდაყირა ჩაკიდული ნემსკავის ფეხზე წამოცმული თითოეული ქარსალა საიმედოდ იყო შეკრულ-მიბმული, ნემსკავის გამოშვერილი ნაწილი კი, თვით კაუჭი და წვეტი, ნედლი სარდინებით იყო დაფარული. თვალებში კაუჭგაყრილი სარდინები ანკესის გამოშვერილ მავთულზე ნახევარკალებად ჩამოკიდულიყვნენ. ასე რომ მოახლოებული დიდი თევზი ვერაფრით იპოვნიდა ანკესზე ბენვისოდენა ადგილსაც კი, რომელსაც საამო სურნელება და პირის ჩასატკბარუნებელი ლუკმა არ ექნებოდა.

ორ ყველაზე გრძელ სიმზე, თითქოს სანაფიარო, ისე ეკიდა ბიჭის მოცემული ორი პატარა ნედლი თინუსი, სხვებზე კი, ერთი მოზრდილი ლურჯი სკუმბრია და ერთიც ყვითელი ქარიყლაპია იყო წამოცმული. ესენი წინა დღეებშიც გამოეყენებინა ბერიკაცს, მაგრამ მაინცდამაინც შელახულებს არ ჰგვანდნენ, მეტადრე, რომ მათ გვერდს უმშვენებდნენ ჩინებული სარდინები, რომელთა საამო სუნიცა და მომხიბვლელობაც გადასდებოდათ. მოზრდილი ფანქრის სისხო თითოეული სიმი მწვანედ შეღებილ წკირზე მარყუჭით იყო დამაგრებული, სატყუარას თუ რამე მიეხლებოდა ან ოდნავ შეეხებოდა, წკირი წყალში ჩაყურყუმალავდებოდა. ყველა სიმს ორი ორმოცსაყენიანი ხვია ჰქონდა, რომელიც, თუ გაჭირდებოდა, სხვა მარქაფა ხვიებს გადაებმებოდა და თევზი სამას საყენზე მეტი მკედის დათრევას შეძლებდა.

ახლა ბერიკაცს კანჯოს ქიმს იქით წყალში ჩაძირულ სამ წკირზე ეჭირა თვალი, ნიჩბებს წყნარად უსვამდა, ანკესის სიმები ლარივით სწორად უნდა ყოფილიყო წყალში თავთავის სიღრმეზე ჩაშვებული. გათენდა კიდევ, საცაა მზე ამობრწყინდებოდა.

მზე ზღვიდან კრძალვით ამოიწვერა, ბერიკაცი ისე გვარიანად მოშორებოდა ნაპირს, რომ ძლივსლა არჩევდა წყლის ზედაპირზე დინების მიღმა მიმოფანტულ სხვა ნავეებს. მზე უფრო და უფრო გამობრწყინდა, წყალზე ქავლი ააბრიალა და საბოლოოდ გაცხოველდა. ზღვის ბრტყელმა ზედაპირმა ისე მწვავედ, მტკივნეულად არეკლა ციაგი ბერიკაცის თვალებ-

ში, რომ თავდახრილმა განაგრძო ნიჩბების მოსმა. ბერიკაცი ქვევით, წყალში იყურებოდა და ცდილობდა თვალი ჩაენვდინა წყლის წყვდიადში შვეულად ჩაშვებული სიმებისათვის. ბერიკაცის გარდა, ვერავინ შეძლებდა ასე სწორად გაეჩერებინა წყალში ანკესი. იცოდა ბერიკაცმა, სად უნდა დახვედროდა წყლის სხვადასხვა დონეზე სიბნელეში მოლივლივე სატყუარა თევზს, თუკი რომელიმე მის სიახლოვეს მიცურდებოდა. სხვა მეთევზეები დინების რწევას ანდობდნენ ანკესს, ზოგჯერ ჰგონებდნენ, ანკესისასი საყენის სიღრმეზეაო, ის კი არადა, სამოცზე ყოფილა მხოლოდ.

„მერე რა, ანკესის ძაფების ადგილი წყალში ზუსტად რომ გავითვალე და სწორად მიჭირავს, — ფიქრობდა ბერიკაცი, — იღბალმა უკვე ზურგი მაქცია, ესაა მთავარი. თუმცა, ვინ იცის, ეგება დღეს გამიღიმოს ბედმა. ყოველი დღე რაღაც სიახლის მომტანია. რა სჯობია, იღბლიანი თუ ხარ, მაგრამ მე მაინც სიზუსტე მირჩევნია და თუ ვინიცობაა, ბედი კარს მოგადგა, შენც გამზადებული დახვდები“.

ორი საათი გავიდა, მზე გვარიანად ამოიწია და ბერიკაცს ისე აღარ უჭირდა აღმოსავლეთისკენ ყურება. ახლა მხოლოდ სამი ნავი ძლივსლა მოჩანდა მოშორებით.

„რაც თავი მახსოვს, დილის მზე მუდამ მჭრიდა თვალებს, — ფიქრობდა ბერიკაცი, — და მაინც არ ვუჩივი მხედველობას. მოსაღამოებულზე მზეს თვალი რომც გავუსწორო, მაინც არ ამიჭრელდება, თუმც საღამოყამსაც არ აკლია მზეს მცხუნვარება, დილის მზე კი აშკარად მტკენს თვალებს“.

სწორედ ამ დროს, ბერიკაცმა თვალი მოჰკრა გრძელ და შავფრთებიან ფრეგატს, რომელიც ცაში, მის წინ, წრიულად ფრენდა. უცებ ფრინველი უკან გატყორცნილი ფრთებით წყალზე ცერად დაეშვა და მერე ისევ კამარა შეჰკრა.

— უეჭველია, რაღაცის გეში აიღო, — შესძახა ბერიკაცმა, — ეს უბრალო თვალთვალი აღარააჲ.

ბერიკაცი მშვიდად და მტკიცედ უსვამდა ნიჩბებს, გეზი წრიულად მქროლავ ჩიტისკენ აიღო. არ ჩქარობდა, კვლავინდებურად შვეულად ეჭირა ანკესის ძაფები, მაგრამ ახლა ოდნავ მეტად დაატანა ნიჩბებს ძალა, ნავმაც სვლას უმატა, ადრინდელი სიზუსტით, მაგრამ ცოტა აჩქარებულად აამოძრავა ანკესები, რაკი ახლა ფრინველისგან დახმარების იმედი გამოკრთა.

ჩიტი უფრო მალლა აიჭრა ცაში და ფრთებგაშეშებულმა ისევ კამარა შეჰკრა, ანაზდეულად ჩაყვინთა, ბერიკაცმა დაინახა, როგორ ამოქანდა წყლიდან მფრინავი თევზი და უსასოოდ გასრიალდა ოკეანის ზედაპირზე.

— ოქროსფერი სკუმბრიაა, — ხმამალლა შესძახა ბერიკაცმა, — დიდი ოქროსფერი სკუმბრია.

ბერიკაცმა ნიჩბები ორკაპებში ჩასვა და კანჯოს ცხვირის საფარქვეშ შენახული წმინდა მკედი ამოიღო, მკედის ბოლოზე საშუალო ზომის კაუჭი სინით იყო მიმაგრებული. კაუჭზე ბერიკაცმა ერთი სარდინი ჩამოაცვა და კანჯოდან წყალში გადაისროლა, მკედის მეორე ბოლო კიჩოზე დამაგრებულ რკინის რგოლს გამოაბა. მეორე მკედზეც ნამოაგო სატყუარა, ოღონდ ძაფის ხვიასთან ერთად იქვე, საფარქვეშ დატოვა. ბერიკაცმა განაგრძო ნიჩბების მოსმა, თან გრძელფრთება შავ ფრინველს მიშტერე-

ბოდა, რომელიც თავის საქმიანობას ამჯერად დაბლა, წყლის ზედაპირზე განაგრძობდა.

ფრინველმა ისევ ჩაჰკრა წყალში ნისკარტი, ფრთები აიკეცა და ის იყო, უნდა ჩაეყვინთა, რომ გახელებული მოჰყვა ფრთების უაზრო ფართხუნს და თან მფრინავ თევზს გამოედევნა. ბერიკაცმა დაინახა, როგორ იბურცებოდა წყლის ზედაპირი დიდი ოქროსფერი სკუმბრიებისგან, გამალებით მისდევდნენ თევზებს, თავის გადარჩენას ღრმად ამოჭედნენ. სანამ თევზები ჰაერში ფრენდნენ, სკუმბრიები მათ გაყოლებაზე აჩქარებით წყალს მიაპობდნენ, რომ რაწამს თევზები ჩაყვინთავდნენ, მსწრაფლ ადგილზე დახვედროდნენ. „ჩანს, ეს ოქროსფერი სკუმბრიების მოზრდილი გუნდია“, — ვარაუდობდა ბერიკაცი, ერთმანეთისგან შორს გაიფანტნენ და მფრინავ თევზებს გადარჩენის იმედი გადაწურული უნდა ჰქონდეთო. არც იმ ფრინველს, ცაში, რჩება გულმაგრობის რაიმე საბაბი. მფრინავ თევზებს ვერც მოერევა და ვერც დაუნევა.

ბერიკაცი ხედავდა, როგორ ამოასკდებოდნენ ისევ და ისევ წყლის ზედაპირს მფრინავი თევზები, რა უაზროდ იხარჯებოდა ჩიტი ჰაერში. „ის თევზების გუნდი ჩამომცილდა, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — ძალზე სწრაფად და თან შორს მიცურავენ, მაგრამ ვინ იცის, ეგება რომელიღაც გზაკვალაბნეულს გადავეყარო, ან იქნებ სულაც ჩემი დიდი თევზი მათ შორისაა, ჩემი დიდი თევზი უცილოდ აქვეა სადღაც“.

ახლა უკვე მთებივით წამოიზიდნენ ღრუბლები ხმელეთის თავზე, სანაპირო იქცა გრძელ, მწვანე ზოლად, მას უკან მონაცრისფრო-მოცისფრო ბორცვები ამოსჩროდა. წყალი ისე ჩამუქდა, მისი სილურჯე თითქმის მენამულში გადადიოდა. სიღრმეში რომ ჩაიხედა, ბერიკაცმა წყლის სიშავეში პლანქტონის¹ წითელი ნაწენი და დილის მზის საკვირველი გამონათება გაარჩია, თვალს ადევნებდა, აკვირდებოდა თავის სიმებს, შვეულად რომ მიემართებოდნენ წყლის სიღრმეში და მერე თვალთაგან იკარგებოდნენ. უსაზღვრო იყო ბერიკაცის ნეტარება, ასე მრავლად რომ ხედავდა პლანქტონს, მაშ, თევზიც, უეჭველად, სადღაც ახლოსააო. მზე უფრო მაღლა აიწია, წყალში მზის საკვირველი გამოსხივება და შონმენდილ ცაზე ქულა ღრუბლები კარგი დარის მაუნყებელი იყო. ამასობაში ფრინველი თითქმის თვალს მიეფარა და აღარაფერი მოჩანდა წყლის ზედაპირზე, მხოლოდ გაყვითლებული, მზისგან ფერაკრეფილი სარგასული² წყალმცენარეების ნაბურეა ტივტივებდა სულ ახლოს ნავთან. მასთან ერთად პორტუგალიური ფიზალია,³ ნაირფერი, ჭარბი, იისფრით, ლებისებრი ბუშტი, დაცურავდა. ბუშტი გვერდზე გადაბრუნდა, მაგრამ გასწორდა ისევ, საპნის ბუშტივით ბრჭყვიალებდა, უდარდელად ტივტივებდა და თან გრძელ, შხამიან ჟღალ ღაზლებს ერთი იარდის სიგრძეზე წყალში შლეიფივით მიათრევდა.

— Agua mala,⁴ — შესძახა ბერიკაცმა, — შე კახპავ, შენა.

ბერიკაცი ნიჩბებზე ოდნავ გადაინია და წყალში ჩაიხედა. პანანინა

1. წყლის უმცირესი მცენარეული და ცხოველური ორგანიზმები.

2. სარგასული წყალმცენარეები დიდი რაოდენობით გვხვდება სარგასოს ზღვაში, ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში.

3. მედუზის სახეობა.

4. აქ: გომბიო (ესპ.).

თევზები დალანდა, მოლოლიალე ღაზლების ფერი ჰქონდათ, მათ შორის დაცურავდნენ, მოტივიტივე ბუშტის ციციქნა ჩრდილქვეშ. ამ თევზებზე მედუზის შხამი არ მოქმედებდა, ადამიანებს კი ვნებდა და თუკი ეს ჟღალი, ლორწოვანი ღაზლები ანკესის სიმს მოეჭიდებოდნენ სანამ ბერიკაცი თევზით იყო დასაქმებული, ისეთი ბებერები დააჯდებოდა ხოლმე მკლავებზე და ხელებზე, ისე დაუფორეჯდებოდა, თითქოს შხამიანი ქურთუხან-თუთუბოს შხამიანი ფოთოლი მოხვდაო. ამ მედუზის შხამი გყვსიერყოფემოქმედებს და მისგან დასუსხვა შოლტის გადაჭერასავით მწარეა.

ლამაზია ცისარტყელასებრი ბუშტი. მაგრამ მასზე უფრო მზაკვარი არსება მთელ ზღვაში არ არსებობს და ბერიკაციც დიდად მოილხენდა ხოლმე, როცა შეესწრებოდა, თუ როგორ გადასანსლავდა მას დიდი ზღვის კუ. მოჰკრავდნენ თუ არა კუები მედუზებს თვალს, წინა მხრიდან მიუახლოვდებოდნენ, თვალს დახუჭავდნენ და, რაკილა ერთიანად დაჯავშნულები იყვნენ, მშვიდად გადაყლაპავდნენ ხოლმე თავიანღაზლებიანად. ო, რა ნეტარებას ჰგვრიდა ბერიკაცს იმის დანახვა, თუ როგორ შეექცეოდნენ კუები მედუზებს, მაშინაც ნეტარებდა ბერიკაცი, როცა ესმოდა მედუზების ტკრციალი, ზღვის ღელვის შემდეგ ნაპირზე გამორიყულებს დაკოჭრილ ფეხის გულებს რომ ადგამდა.

მოსწონდა ბერიკაცს მწვანე კუები, მოსწონდე სქელბაკნიანებიც, მათთვის ჩვეული ღაზათიანი მიხრამოხრით, მათი მოძრაობის სისწრაფე მოსწონდა და ისიც, ძვირად რომ ფასობდნენ. აი უზარმაზარ, ლენჩ, დიდთავა, ყვითელჯავშნიან კუებს კი, უცნაური არშიყობა რომ სჩვეოდათ და თვალდახუჭულებს უყვარდათ პორტუგალიური ფიზალიების მადიანი ჩახრამუნება, ბერიკაცი ღვარძლიანად არა, მაგრამ მაინც აბუჩად იგდებდა.

ბერიკაცს კუსადმი რაიმე იდუმალი სწრაფვა არ ჰქონია, თუმცა წლიდან წლამდე დადიოდა ნავით მასზე სანადიროდ. ძალზე შესტკიოდა გული ყოველ მათგანზე. ზღვის გოლიათი, კანჯოს სიგრძე და ერთი ტონა კუც კი გულს უჩუყებდა. ადამიანთა უმეტესობა კუს მთლად უგულოდ ექცევა, კუს კი ისეთი გული აქვს, კიდევ დიდხანს ფეთქავს მას მერეც, რაც სულს გააფრთხოებინებენ და ასო-ასო აქნიან. „მეც ხომ ასეთი გული მაქვს, — ფიქრობდა ბერიკაცი, — ფეხები და ხელებიც იმათსას მიგავს“. კუს თეთრ კვერცხებს ყლაპავდა, რომ მოლონიერებულიყო. მაისის თვეში ყოველდღე ჭამდა კვერცხებს, რომ სექტემბერ-ოქტომბერში, მართლაც და დიდი თევზების მოძალების ფამს, ჯანზე მაგრად ყოფილიყო.

თითო ჭიქა ზვიგენის ზიპსაც სვამდა დღენიადაგ დიდი კასრიდან, იმ ჯიხურში, მებადურები სათევზაო აღჭურვილობას რომ ინახავდნენ.

იქ ზიპის დალევა ყველა მეთევზეს შეეძლო, ვინც კი მოისურვებდა. მებადურთა უმრავლესობას ეზიზღებოდა, მაგრამ ზიპის დალევა ღამიანად ადგომაზე უფრო საშინელი მაინც არ იყო. ზიპი უებარი იყო ყოველგვარი გაციებისა და გრიპების დროს, მეტადრე მხედველობას რგებდა.

ბერიკაცმა მალლა აიხედა და კვლავაც წრიულად მფრინავ ჩიტს მოჰკრა თვალი.

— თევზს მიაკვლია, — წამოიძახა, თუმც ჯერჯერობით არც მფრი-

1. ძალზე სქელბაკნიანი კუ, განსაკუთრებით ძვირფასია, როგორც სამრეწველო ნედლეული, ბინადრობს ტროპიკულ ზღვებში.

ნავი თევზი არღვევდა წყლის მყუდროებას და არც ქარსალა ჩანდა სადმე. ბერიკაცი ერთხანს გარემოს ზვერავედა, მერე კი დაინახა, როგორ ამოხტა წყლიდან ციციქნა თინუსი, შეტრიალდა და თავით წყალში ჩასრიალდა. თინუსმა მზეზე ვერცხლისფრად გაიბრწყინა და, ჩაყვინთა თუ არა, ზენაპირზე მრავალმა თინუსმა ამოჰყო თავი, ხტუნავდნენ ირგვლივ, წყალს აქაფებდნენ, ქარსალას მისდევდნენ გრძელი ნახტომებით, გარსს ეხვლიდნენ და წინ მიერეკებოდნენ.

„თუ ნამეტანი დიდი სისწრაფით არ მიცურავენ, ეგება დავნიო კიდეც“, — გაიფიქრა ბერიკაცმა, თან უყურებდა, როგორ აქაფებდა წყალს უამრავი ქარსალა, როგორ ასკდებოდა ჩიტი წყალს, ყვინთავდა და ჩაჰკრავდა ხოლმე ნისკარტს რომელიღაცას, როცა დაფეთიანებული წვრილი თევზები ზედაპირს ეხეთქებოდნენ.

— დიდი შემწეობა გვაქვს ჩიტისგან, — ჩაილაპარაკა ბერიკაცმა. უცებ, კიჩოსი მარყუჟით დამაგრებული ანკესის მკედი ბერიკაცის ფეხქვეშ დაიძაგრა, ბერიკაცმა ნიჩბებს ხელი უშვა, მკედს ხელი ღონივრად ჩასჭიდა თუ არა, მაშინვე შეიგრძნო სიმზე მოთახთახე მომცრო თინუსის წონა და მისი ამონევა დაიწყო. მკედის ამონევის კვალობაზე თევზის ცახცახი ძლიერდებოდა და, მანამ თევზს ნავში გადმოისროდა, ბერიკაცმა დაღაღდა კიდეც წყალში მისი ცისფერი ზურგი და ოქროსფერი გვერდები. მერე კი თევზი კიჩოსთან მზეზე ეგდო ტყვიასავით შეკრულ-შეკუმშული, დიდი, უაზრო თვალეები გაშტერებოდა და ნავის შემოფიცრულზე კოპნია, მოუსვენარი ბოლოს მთრთოლვარე დარტყმებით განწირულ სიცოცხლეს ემშვიდობებოდა. ბერიკაცს შეეცოდა, თავში ჩაარტყა და სიცოცხლე მოუსწრაფა, თუმც სხეული ჯერ კიდევ უთრთოდა. ბერიკაცმა ფეხი წაჰკრა და კიჩოს საფარქვეშ შეაგდო.

— ეს გრძელფარფლებიანი თინუსია, — ხმამაღლა დაიძახა, — მშვენიერი საცდუნებელი იქნება დიდი თევზისთვის! ათ გირვანქას მაინც დაიჭერს.

ბერიკაცს არ ახსოვდა, პირველად როდის გამოელაპარაკა თავის თავს ხმამაღლა. ძველად, მარტო რომ რჩებოდა, ღიღინებდა კიდეც თავისთვის. ზოგჯერ მაშინაც ღიღინებდა, ღამლამობით, მორიგეობისას, მარტო რომ მართავდა იალქნიან თევზსაჭერ გემს ან კუზე მონადირე ნავს. ვინ უწყის, იქნებ მაშინ გამოელაპარაკა პირველად თავისთავს ხმამაღლა, ბიჭის ნასვლის შემდეგ ეულად რომ იგრძნო თავი. მაგრამ აღარ ახსოვდა. თევზაობის დროს ბერიკაცი და ბიჭი მხოლოდ მაშინ ეხმიანებოდნენ ერთმანეთს როცა დასჭირდებოდათ რამე. ისე კი, ღამლამობდნენ ღამლამობით და მაშინაც, როცა ავდრისგან ხელფეხშეკრულნი შინ რჩებოდნენ. ზღვაში გასულებმა ფუჭად არ უნდა ილაპარაკონო, ასე სჯეროდა ხალხს. ბერიკაციც ამავე აზრისა იყო და ამ რწმენას არასდროს ღალატობდა. მაგრამ ახლა ვინ დაუშლიდა ხმით გაეცხადებინა თავისი ნაფიქრალი, რამდენჯერაც მოისურვებდა, ახლომახლო არავინ იყო, არავის შეაწუხებდა.

— ვინმეს რომ ესმოდეს, რა ხმამაღლა ვესაუბრები საკუთარ თავს, გიყიანო, იტყვის, — ბერიკაცმა კვლავ ხმამაღლა გაიფიქრა, — მაგრამ რაკი არა ვარ გიყი, რა მენალვლება, ვისაც რა უნდა, ისა თქვას. მდიდრებს რა უჭირთ, ნავში რადიო აქვთ და ის ესაუბრება მათ, ბეისბოლის ახალ ამბებსაც ის ატყობინებს.

„მაგრამ ახლა რა დროს ბეისბოლია, — გაიფიქრა ბერიკაცმა. — ახ-

ლა მხოლოდ ერთია ჩემი საზრუნავი, ის, რისთვისაც გავჩნდი ამ ქვეყანაზე. თევზების ამ გუნდში ერთი დიდი თევზი უნდა ერიოს, — არწმუნებდა ბერიკაცი თავის თავს გუნებაში. — მე შემთხვევით ის თინუსი ჩამივარდა ხელში, ჭამით გართულ თევზებს რომ ჩამორჩა, თორემ სხვები შორს არიან ნაპირიდან და სწრაფადაც მიცურავენ. ვინც კი დღეს წყლის ზედაპირზე გამოჩნდა, ყველა დიდი სისწრაფით მოძრაობს და მაინცდამაინც ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ნეტავ ასე ხდება ყოველდღე ამ დროს? ან ეგებ, ამინდზე მიგვანიშნებს რასმე წინდანინ, მე კი არა შესმის რა?”

ბერიკაცი უკვე ველარ არჩევდა ნაპირის სიმწვანეს, ხედავდა მხოლოდ ცისფერი ბორცვების თხემებს, ისე თეთრად მოჩანდა, თითქოს დათოვლილიაო. ხედავდა ღრუბლებსაც, ბორცვების თავზე ნამოზიდულ დიდთოვლიან მთებს რომ წააგავდა. ზღვა მთლად ჩაქუფრულიყო და დღის სინათლე ნაირფერებად ტყდებოდა წყალში. პლანქტონის ურიცხვი ნაბუარა მწველი მზის სხივებში გაუჩინარებულყო. ახლა მხოლოდ ვეებერთელა ჩამუქებულ წახნაგებს ამჩნევდა ლურჯი წყლის სიღრმეში ბერიკაცი, რაკი თვალს ადევნებდა ერთი შილის სიგრძეზე შვეულად ჩაშვებული ანკესის სიმებს.

ქარსალას ყველა სახეობას მეზადურები თინუსს ეძახდნენ, მხოლოდ მაშინ არჩევდნენ მათ საკუთარი სახელებით, როცა გასაყიდად ნაილებდნენ ან სატყუარად ასალებდნენ. ახლა ქარსალა ერთიანად ისევ წყალში ჩაძირულიყო. მზე ძალზე გაცხარდა და აჭერდა კისერზე ბერიკაცს. ბერიკაცი ნიჩბებს უსვამდა და თან გრძნობდა, როგორ წურწურით ჩასდიოდა ზურგზე ოფლი.

„რატომ არ მივენდე ნავის რწევას, — ემუსაიფებოდა გუნებაში თავის თავს ბერიკაცი, — თვალსაც მოვატყუებდი, ფეხის თითს მკედის მარყუჟს გამოვაბამდი, მარყუჟი დამწევდა, გამალვიძებდა, თუკი სასიკეთო გამოჩნდებოდა რამე. მაგრამ დღევანდელ, ოთხმოცდამეხუთე დღეს, როგორც წესი და რიგია, ისე უნდა ვითევზაო“.

სწორედ ამ დროს, ბერიკაცმა, ანკესის ძაფს თვალს რომ არ აშორებდა, დაინახა, რომ ერთი მწვანე გამოშვერილი წკირთაგანი უმაღლ წყალში ჩაყურყუმალავდა.

— მიდი, — დაიძახა, — მიდი, — და ორკაპებში ნიჩბები უხმაუროდ ჩასვა. მარჯვენა ხელით მკედს დასწვდა, ცერა და საჩვენებელი თითით ბოშად დაიჭირა. მკედი არ ჩანდა დაჭიმული და დამძიმებული, ამიტომ ეჭირა მოშვებულად. მერე ისევ შეტოკდა ნემსკავი. ეს ძალის მოსინჯვას ჰგავდა, ბიძგი არც ძლიერი იყო, არც საგანგაშო. ბერიკაცი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ყოველივე. ასი საყენის სიღრმეზე ჩაშვებული ნემსკავის კაუჭის წვეროზე და ფეხზე განაწილებულ სარდინებს, ჩანს, შიმშერმა მიანგო და შეექცეოდა, თვითნაკეთ კაუჭზე თავით წამოცმული პატარა თინუსი კი ჯერჯერობით ხელუხლებელი რჩებოდა.

ფრთხილად ეჭირა მკედი ბერიკაცს, მერე მარცხენა ხელით მორიდებით მოხსნა წკირს. ბერიკაცის თითებს შორის ძაფი ახლა უკვე თავისუფლად მისრიალებდა და თევზს ველარაფერი დააფრთხობდა.

„გვარიან სიშორეზე ვარ გამოსული, თანაც ეს თვე ისეთია, თევზი უცილოდ ვეება უნდა იყოს. — ფიქრობდა ბერიკაცი. — მიირთვი, თევზო,

შენი კერძი, მიირთვი, გეთაყვა. ხომ ხედავ, რა ცინცხალი თევზებია. ასი საყენის სიღრმეზე ყინულიან წყალში, წყვდიადში, უსაქმოდ ხომ ვერ გაჩერდები. ერთხელ კიდევ გამოისეირნე სიბნელეში, მობრუნდი, მიირთვი თევზები“.

ბერიკაცმა მსუბუქი, ნაზი ბიძგი იგრძნო, ბიძგი უფრო გაძლიერდა, ალბათ იმიტომ, რომ კაუჭიდან სარდინის თავის მონყევას მეტი ძალა სჭირდებოდა. მერე მიყუჩდა ყველაფერი.

— რაღას შეჩერდი? — შეჰყვირა ბერიკაცმა, — კიდევ ერთხელ მიუახლოვდი. დაყნოსე მხოლოდ, ხომ გადასარევი თევზებია? ჯერ მაგათ გაავლე მუსრი, მერე კი ყელი თინუსით ჩაიკოკლოზინე. მაგარი, ყინულივით ცივი, მშვენიერი თინუსია. ნუ გრცხვენია, თევზო, მიირთვი, გეთაყვა.

ბერიკაცი იცდიდა, თან თვალს არ აცილებდა მკედს, რომელიც ცერითა და საჩვენებელი თითით ეჭირა, სხვა სიმებსაც უთვალთვალეზდა, ვინ იცის, თევზი ზევით გასცურავდა თუ ქვევით. ცოტაც და ბერიკაცმა კვლავ ფრთხილი შეხება იგრძნო.

— ნამდვილად წამოეგება, — ბერიკაცმა ხმამაღლა დაიძახა, — ღმერთის შეწევნით, თევზი ნამდვილად წამოეგება ანკესს.

არ გაუმართლა ბერიკაცს. თევზი გასცილდა იქაურობას და ბერიკაცის სიმებს აღარაფერი აშფოთებდა.

— როგორ თუ წავიდა, — თქვა მან, — ქრისტე ღმერთია მოწამე, ვერსად წავიდოდა. უბრალოდ სეირნობს ახლომახლო. ეგება ერთხელ უკვე იწვნია კაუჭისაგან სიმწარე და ახლა უფრთხის?

ბერიკაცმა ისევ იგრძნო გაუბედავი შეხება მკედზე და კვლავ გამხნევდა.

— ხომ მოგახსენეთ, გაისეირნა-მეთქი, ეს იყო და ეს. ნახავთ, თუ ბოლოს და ბოლოს არ იგდებს ანკესს პირში.

დიდად ნეტარებდა ბერიკაცი, სიმზე მორიდებულ ბიძგებს რომ არჩევდა, მერე კი სიმი ძალზე დაიძაგრა და წარმოუდგენლად დამძიმდა. ეს დიდი თევზის წონა იყო. ბერიკაცმა ორი სამარქაფო გორგალიდან ერთერთის მკედი წყალში ჩაუშვა, კიდევ, კიდევ, სულ ქვევით, ძალდაუტანებლად მისრიალებდა თითებს შორის ანკესის ძაფი და თუმც თითები ერთმანეთს ოდნავ ეხებოდა, ბერიკაცი კვლავ გრძნობდა სიმზე უდიდეს წონას.

— საკვირველი თევზია! — წამოიძახა ბერიკაცმა, — ანკესი სანახევროდ პირში აქვს გაჩხერილი და ისე მიცურავს.

„მერე შემოტრიალდება და მთლიანად გადაყლაპავს“, — გაიფიქრა. მაგრამ ეს ხმამაღლა არ უთქვამს, რადგან სჯეროდა, წინდანინ გამხელილი ოცნება, შესაძლოა, მერე აღარ ახდენილიყო. იცოდა ბერიკაცმა, თევზი ვეებერთელა იყო, ცდილობდა წარმოედგინა, როგორ მიიკვლევდა თევზი გზას წყვდიადში პირში გარდიგარდმო გაჩრილი თინუსით. ანაზღად მიხვდა ბერიკაცი, თევზმა შეწყვიტა მოძრაობაო, თუმც მკედს სიმძიმე არ მოჰკლებია. მერე მკედი უფრო დამძიმდა, ბერიკაცმაც მეტი ჩაუშვა. წამით მკედს თითები მოუჭირა, მერე კვლავ დამძიმდა სიმი, კვლავ მიიწვედა შვეულად სიღრმეში.

— ახლა კი მთლიანად იგდო პირში ანკესი, — თქვა ბერიკაცმა, — ყველაფერს ვილონებ, რომ გემრიელად შევაჭამო.

სანამ ძაფი თითებს შორის მისრიალებდა, ორი მარქაფა გორგალის

მკედის ბოლო ნავის ძირზე მარცხენა ხელით სხვა ძაფის ორ მარჯაფა გორგლის მარყუჟს გადააბა და საქმეც მოთავებული ჩანდა. ახლა უკვე სამი მარჯაფა მკედის გორგალი ჰქონდა, თითოეული ორმოცსაფენიანი ძაფით, უკვე დაწყებული გორგალიც სათვალავში იყო ჩასაგდები.

— ცოტა კიდევ მიირთვი, — შესთხოვა თევზს ბერიკაცი, — კარგად მიირთვი, გეთაყვა.

„იცოდე, ისე ჭამე, რომ კაუჭის წვერი შიგ გულში შეგერქოს და სულიც გაგაფრთხობინოს, — გაიფიქრა გუნებაში. — ახლა კი წყნარად ამობრძანდი ზევით, რომ ჭვილთი გემოზე ჩაგასო. ხომ გაიგე? აბა, მზადა ხარ? არ გეყო სუფრასთან ჯდომა?“

— აბა, სწრაფად! — ხმამალლა დაიძახა ბერიკაცი, — ანკესს ორივე ხელით ღონივრად ამოჰკრა და ერთი იარდით ძაფის ზევით ამონევა შეძლო. მერე ისევ და ისევ ამოჰკრა ანკესს. მკედის ხან ერთი, ხან მეორე მკლავით ზევით ამონევას მთელი ძალღონით ლამობდა, მკლავებს აქეთ-იქით მოქანავე ტანის სიმძიმესაც ახმარდა.

არაფერიც არ გამოვიდა. თევზმა ზანტად გასცურა განზე და ბერიკაცი ვერცერთი გოჯითაც ველარ ამოსწია, თუმცა ანკესის სიმი მაგარი იყო, დიდწონიან თევზს უნდა მორეოდა. ბერიკაცს სიმი ზურგით ეჭირა, სიმი თანდათანობით ისე დაიჭიმა, რომ წყლის წვეთები მისგან შხეფებდად იფრქვეოდა. მერე სიმი წყალში ყრუდ ასისინდა, ბერიკაცს კვლავინდებურად ეჭირა სიმი, ფეხებით ნავის მერხს მიბჯენოდა, თავად კი უკან გადაწეულიყო. კანჯო ჩრდილო-დასავლეთისკენ ნელა მისრიალებდა.

თევზი ნირშეუცვლელად მოძრაობდა და ასე შეხმატკბილებულად მოგზაურობდნენ თევზი და ბერიკაცი უშფოთველ წყალში. სხვა სატყუარები ისევ ბლომად ლივლივებდა სიღრმეში, მაგრამ რისი მაქნისი იყო.

— ნეტავ ბიჭი მომცა ახლა აქ, — ხმამალლა ინატრა ბერიკაცი, — ისეა ახლა ჩემი საქმე, თევზი მიმათრევს ჩემს უნებურად, მაგრამ მეც ხომ მივათრევ თევზს სიმით, ბეჭით რომ მიჭირავს, ვითომ მზიდავი ბაგირის სამაგრი ძელი ვარ ნავში. კაცი რომ თქვას, კი შემძლია მკედი ნავზე დავამაგრო, მაგრამ ვაითუ განწყვიტოს. სულიც რომ გამძვრეს, თევზი ანკესიდან არ უნდა დამისხლტეს, როცა დამჭირდება, მკედს მაშინ ჩავუშვებ. მადლობა ღმერთს, მშვიდად მიცურავს და სიღრმეში არ მიიწევს.

— ჩაღრმავება რომ დააპიროს, რას ვიზამ, არ ვიცი. ან ერთი მაგრად რომ ჩაყურყუმალავდეს და სულიც განუტევეს, რა მეშველება არ ვიცი. მაგრამ არა, რამეს მაინც მოვიფიქრებ. ჯერ კიდევ ბევრი რამის შნო მაქვს.

ბერიკაცი ძაფს ზურგით ეკვროდა და მისჩერებოდა წყალში ირიბად ჩაშვებულ ძაფს, მისჩერებოდა კანჯოს, რომელიც ჩრდილოდასავლეთისკენ შეუფერხებლად მიიწევდა.

„ასე დიდხანს ველარ გაატანს, — გაიფიქრა, — ყველაფერს აქვს თავისი დასასრული“. მაგრამ ოთხმა საათმა განვლო, თევზი კვლავ გულდაგულ მიცურავდა შუა ზღვაში და კანჯოსაც მიასრიალებდა, ბერიკაციც კვლავ საიმედოდ იყო შებოჭილი ზურგზე გადაჭიმული მკედით.

— შუადღეს წამოეგო ანკესზე, — ჩაილაპარაკა ბერიკაცი, — მაგრამ ჯერ თვალის ვერ შევაკლე.

— სანამ თევზი ანკესზე მოხვდებოდა, ბერიკაცი მანამდე ჩამოიფხატა

თვალეზამდე ჭილის ქუდი, რომელიც ახლა უკვე ღრმად ჩაეჭირა შუბლზე, მოსწყურდა კიდევ. ჩაიჩოქა და ფრთხილად, იმის შიშით, მკედი უცაბედად მაგრად არ გამოვნიოო, ნავის ცხვირისკენ გაჩოჩდა, რომ ცალი ხელით ბოთლს მისწვდომოდა. ბოთლს თავი მოხადა და ცოტათი მოსვა. მერე ნავის ცხვირს მიეყრდნო, ძირს დადებულ, აფრადახვეულ ანძას მიესვენა და ცდილობდა ფიქრებს არ აჰყოლოდა, ოღონდ მძალა მძაფრება, რომ გაეძლო ერთხანს.

მერე უკან მოიხედა, მაგრამ ხმელეთი აღარ ჩანდა. რა უშავსო, გაიფიქრა. „რაც უნდა იყოს, ნაპირს მაინც მივაგნებ, ჰავანის ნათურები გზას გამინათებს. მზის ჩასვლამდე ჯერ კიდევ ორი საათია და ეგება მანამდე ამობრძანდეს ზევით. თუ არადა, ვინ იცის, მთვარეს ელოდება. არადა, იქნებ მზის ამოსვლისას ინებოს გამოჩენა. ბედი ჩემი, რომ ხელეზსაც მარჯვედ ვხმარობ და ჯანზედაც მაგრად ვარ. იმან იკითხოს, პირში კაუჭი რომ აქვს გარჭობილი. ბარაქალა მაგის გაძლებას, კიდევ რომ მიიკვლევს გზას და ნავსაც მიათრევს. ნარმომიდგენია, რა მაგრად უჭერს, უნებურად, მაეთულს პირს. ნეტავ, ერთი თვალით მანახა ეს თევზი. ერთხელ მაინც მაჩვენა მისი თავი, რომ ვიცოდე, ვისთან მაქვს საქმე“.

იმ ღამეს თევზს გეზი ოდნავაც არ უცვლია, ამას ბერიკაცი ვარსკვლავებზე დაკვირვებით მიხვდა. მზის ჩასვლის შემდეგ აგრილდა და ბერიკაცს ზურგზე, მკლავებზე და ბებერ წვივებზე ოფლი ცივად შეაშრა. უფრო ადრე, დღისით, ბერიკაცმა ქარსალას კოლოფზე გადაფარებული ჭილობი მზეზე გასაშრობად გაფინა. ახლა უკვე, მზის ჩასვლის შემდეგ, ჭილობი აიღო, კისერზე გაინასკვა, მერე ზურგზე ჩამოიფარა და სიმის ქვეშ მხრებზე ფრთხილად ჩააცურა. რაკილა ჭილობმა სიმის დაწოლა შეარბილა, ბერიკაცი როგორღაც წინ გადაინია, ნავის ცხვირს მიეყრდნო და თითქოს მოისვენა კიდევ. ამგვარ შეჭირვებულ ყოფას სხვა, ალბათ ძნელად თუ აიტანდა, მაგრამ ბერიკაცი მხნეობას მაინც არ ჰკარგავდა.

— ჯერჯერობით ვერც მე მოვერიე თევზს და ვერც ის გამომრჩა რამეს, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — ასე იქნება, სანამ ქანცი არ გამოელევა. მერე ბერიკაცი ადგა, კანჯოს იქით მოშარდა, შეხედა ვარსკვლავებს, რომ შეემონებინა, ხომ არ იცვალა ნავმა მიმართულებათ. მისი მხრებიდან წყალში შვეულად გადმოშვებული სიმი მოციალე სხივს წააგავდა. რაკი ნავის მოძრაობა ახლა უფრო შენელებული ჩანდა და ჰავანას ნათურების ციმციმმაც იკლო, ბერიკაცმა იაზრა, რომ დინება მათ აღმოსავლეთისკენ მიაცურებდა. თუკი ჰავანას მოკიაფე ნათურები თვალთაგან გაქრება, უეჭველია, აღმოსავლეთისკენ გაგვიწვიანო, გაიფიქრა მან. „თევზს მხარი რომ არ ეცვალა, ჰავანას შუქი არა ერთსა და ორ საათს გამინათებდა კიდევ. ნეტავ როგორ ითამაშეს დღეს ბეისბოლის ცნობილმა გუნდებმა, — გაახსენდა ბერიკაცს, — დიდებული რამ იქნებოდა, რადიო რომ მქონოდა აქ. მერე თავის თავთან შეწყვეტილი ბჭობა განაგრძო: „ბევრი უნდა იფიქრო, კარგად უნდა აწონ-დაწონო, სანამ გადაწყვეტ რამეს. სულსწრაფობამ არ უნდა დაგლუპოს“.

მერე ნატვრა ხმამაღლა გააცხადა: ო, როგორ მინდა, ბიჭი რომ მყავდეს გვერდით. ჯერ ერთი, დიდად შემეწეოდა, მეორეც, თავისი თვალთი იხილავდა აქაურობას.

„მძიმე ხვედრია მარტოობა სიბერის ყამს, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — მაგრამ ამას კაცი ვერ გაექცევა. არ დამავინწყდეს თინუსის შეჭმა, ვიდრე

აყროლდება. უნდა შევჭამო, რომ ძალა შემმატოს“. იცოდე, რაც არ უნდა გეზარებოდეს, დილაზე უცილოდ უნდა შეჭამო, არ დაგავინყდესო, უჩინებდა თავს ბერიკაცი.

იმ ღამეს ორი ზღვის ღორი მიცურდა ნავთან და ბერიკაცს მათი წყალში ჭყუმპალაობა, მათი ქშენა ესმოდა. ადვილად არჩევდა მამალი ღორის ხმაურიან ხვნეშასა და დედალი ღორის ფშვინვა-კმინვას-ერთმანეთისგან.

ზიზღიერებდა

— რა უწყინარი ცხოველებია, — თქვა ბერიკაცმა, — ანცობენ, ეთამაშებიან, ესიყვარულებიან ერთმანეთს. მფრინავი თევზებისა არ იყოს, ჩვენი ძმები არიან.

მერე ბერიკაცი ანკესზე წამოგებული თევზის გამო ჭმუნვამ მოიცვა: „რა მშვენიერი, იშვიათი ვინმეა, ნეტავ რა ხნისაა? ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრია არც ასეთი ჯანიანი და არც ასეთი ახირებული თევზი. მეტი-მეტი ჭკუისგან ხომ არ ჭირს ნეტავ, წყალში ბუქნაობა რომ არ დაიწყო? წყალში თევზის მალაყებზე გადასვლა, აქეთ-იქით თავანყვეტილი ბორი-ალი და ჩემი ყელის გამოჭრა ერთი იქნებოდა. ისიც საფიქრალია, ეგება ბევრჯერ იყო აქამდე ანკესზე წამოგებული და გამოცდილებით ხვდება, როგორ იბრძოლოს სიცოცხლის გადასარჩენად. მაგრამ, ეტყობა, ვერაფრით ხვდება, რომ იმის პირისპირ ერთადერთი მოწინააღმდეგეა და ისიც გვარიანი ბებრუცუნა“. მართლაცდა ვეებერთელა თევზი ერგო წილად ბერიკაცს და, ხორცმაც თუ ივარგა, თქმა არ უნდა, დიდ მოგებას ნიშნავს. „რა ვაჟკაცურად დასწვდა თევზი სატყუარას, რა ვაჟკაცური თავგანწირვით მიიწვეს წინ, რა წარბშეუხრელად იბრძვის. ნეტავ გამაგებინა, უღვივის კია იმედის რაიმე ნაპერწკალი თუ ჩემსავით სასონარკვეთილია?“

ბერიკაცს ის დრო გაახსენდა, შიმშერის ერთი მეწყვილე ანკესზე რომ წამოაგო. მამალ თევზს ჩვეულებად აქვს, ჯერ დედალი მიუშვას საჭმელთან. მიუშვა და მოხვდა კიდევ კაუჭზე დედალი თევზი. გაშმაგდა თევზი, დაფეთებული, სასონარკვეთილი იბრძოდა, სანამ ილაჯი არ გაუწყდა. მამალი გვერდიდან არ სცილდებოდა, სიმს აქეთ-იქით აწყდებოდა, დედლის კვალდაკვალ წრეებს ავლებდა წყლის ზედაპირზე. ისე ახლოს იყო, ბერიკაცს შეეშინდა კიდევ, ვაითუ სიმი განყვიტოსო თავისი ბოლოთი, რომელიც ჭალვივით ბასრი, ჭალვის ზომისა და ყაიდისა იყო. ბერიკაცმა თევზს დაშნისებურ ხახაში, ხაოიან პირში ბარჯი ჩაარჭო და ერთხანს ასე ეჭირა, თან თავში ხელკეტს ურტყამდა, სანამ თევზი სარკის ფსკერივით არ გაშავდა. მერე ბერიკაცმა და ბიჭმა თევზი ამოსწიეს და ნავში ჩააგდეს. ამ სურათის შემსწრე მამალი თევზი თავის მეწყვილეს იქვე, ნავთან დარა-ჯობდა. მერე, როდესაც ბერიკაცი მკედის დახვევასა და ხოჭის გამზადებას შეუდგა, მამალი თევზი ნავის სიახლოვეს წყლიდან ამოიჭრა, ერთი თვალი რომ მოეკრა დედალი თევზისთვის და მერე ჩაეშვა ქვევით, სიღრმეში, ღაღად გაშლილი სოსნისფერი ფრთებით — სოსნისფერი, ბრტყელზოლიანი მკერდის ფარფლებით. ღამაში იყო ის მამალი თევზი, თავის მეწყვილეს ბოლომდე რომ უერთგულაო, აგონდებოდა ბერიკაცს.

„ამაზე უფრო სევდიან ამბავს, რაც კი ვთევზაობ, არ გადავყრივარ, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — ბიჭიც მწარედ დალონდა, ორივემ პატიება შევთხოვეთ თევზს და მის გამოწვლას დავეშურეთ“.

— რა იქნებოდა, ახლა აქ ბიჭი რომ მყავდეს, — ხმამალლა ინატრა ბერიკაცმა, ნავის ცხვირში მოკალათდა, მომრგვალებულ ფიცარს მიეყრ-

დნო და მხრებზე გადაჭერილი სიმიდან ისევ შეიგრძნო სიმძიმე ვეებერ-
თელა თევზისა, მედგრად წინ რომ მიიწევა თავის მიერ არჩეულ გზაზე.

„თუმცა კი ამჯერად, ჩემი ვერაგობის გადამკიდე, იძულებულია სხვა
გზას დაადგეს“, — განაგრძო ფიქრი ბერიკაცმა.

„თავის დროზე თევზმა ღრმა, ჩაშავებულ წყალში არჩია ყოფნა, ნა-
ირ-ნაირი ჯურის მახის, ხრიკისა და მზაკვრობისაგან მოშორებით,
მეც სწორედ იქითკენ, იმ გადაკარგულში წასვლა და ყველასაგან მოშო-
რებით, იქ ვარჩიე მისი მოძებნა. ახლა კი გადავებით ერთმანეთს და ამ
ყოფაში ვართ შუადღიდან მოყოლებული. ჯერაც არ ჩანს ძე ხორციელი
არც ჩემი, არც მისი მშველელი“.

„ეგება შევცდი, მეზადურობა რომ ავირჩიე ხელობად, — გაიფიქრა
ბერიკაცმა, — მაგრამ მე ხომ ღმერთმა თევზაობისთვის გამაჩინა ამ
ქვეყანაზე. არ დამავინწყდეს, თინუსი უსათუოდ უნდა შევჭამო, რო-
გორც კი ინათებს“.

ვიდრე გათენდებოდა, ბერიკაცის ზურგს უკან ერთ-ერთ ანკესზე რა-
ღაცა წამოეგო. მერე წკირის მტვრევის ხმა შემოესმა და მკედმაც ნავის
კიდედან ზღვაში სრიალი დაიწყო. სიბნელეში ბერიკაცმა ქარქაშიდან და-
ნა ამოიღო. თევზის წონისგან დაძაგრული სიმი მარცხენა მხარზე გადა-
იტანა, მერე უკან გადაიზნიქა და სიმი ნავის კიდეზე გადაჭრა. მერე მას-
თან ყველაზე ახლოს რომელიც იყო, ის სიმი გადაჭრა და სამარაგო გორ-
გლებს თავისუფალი ბოლოები ღამის წყვდიადში ერთმანეთს გადააბა.
შეუცთომლად მუშაობდა ცალი ხელით, ცალი ფეხი გორგლებს დააჭირა,
სანამ საიმედოდ გაკვანძავდა ძაფის ბოლოებს. ახლა უკვე ექვსი სამარ-
ქაფო მკედის გორგალი ჰქონდა, ორ-ორი გადაჭრილი ორი სატყუარასი
და ორიც იმისა, რომელზედაც ცოტა ხნის წინ თევზი წამოეგო. ყველა
სიმის ბოლო ერთმანეთზე იყო გადანასკული.

„როცა ინათებს, ორმოცსაჟენიან სატყუარასაც მივწვდები, გადავ-
ჭრი და სამარქაფო გორგლებს ასევე გადავაბამ ერთმანეთს. დიდი-დიდი
ორას საჟენამდე საუკეთესო ხარისხის კატალონიური კანაფი, ანკესები,
სანაფები ვიზარალო, არც თუ დიდი დანაკლისია. აი ეს თევზი კი ხელიდან
რომ გამომეცალოს, ვერ მოვიწვდები. ვაითუ ანკესს სხვა თევზი მოჰყვეს
ორას საჟენამდე საუკეთესო ხარისხის კატალონიური კანაფი, ანკესები,
რომ მოხვდა. იქნებ შიმშერის რომელიმე სახეობა იყო, ან თუნდაც ზვი-
გენი. ვერ მოვასწარი სიმის მოსინჯვა, დრო არ მქონდა, მყისვე უნდა მო-
მეცილებინა თავიდან“.

ხმამალლა დაიძახა, — ნეტავ ბიჭი მყავდეს ახლა აქ! „მაგრამ ხომ
ხედავ, შენი ბიჭი არ გიდგას გვერდით, — გუნებაში მიუგო თავის თავს, —
საკუთარი თავის ამარა ხარ მარტოდმარტო დარჩენილი. გირჩევნია, უკა-
ნასკნელ სიმს მისწვდე და გადაჭრა ახლა, ამ სიბნელეში, თუ გინდ მერე,
როცა ინათებს და ორი მარქაფა რგოლი ერთმანეთს გადააბა“.

ასეც მოიქცა. გაუჭირდა წყვდიადში საქმის კეთება. ანაზღად თევ-
ზმა ტალღა ამოატრიალა, ტალღამ ბერიკაცი პირქვე დასცა და ლოყაც
გაუხეთქა. სისხლი ჩამოეწვეთა, თუმც ნიკაპამდე ვერ ჩააღწია, სწრაფად
შედედდა და შეშრა. ბერიკაცმა ნავის ცხვირამდე რის ვაი-ვაგლახით მი-
აღწია და ფიტარს მიესვენა. მხრებზე, რომლითაც მკედი ეჭირა, ჭილობი
გაიხწორა და მკედს ადგილი ფრთხილად უნაცვლა, ფრთხილადვე მოსინ-

ჯა მკედზე თევზის ბიძგები და მერე კანჯოს სრიალის სიჩქარეც მოსინჯა წყალში.

„ნეტავ გამაგებინა, გვერდზე რატომ გადაბრუნდა, — გაიფიქრა ბერიკაცმა. — სიმი ახლა ალბათ იმ ვეებერთელა კუზს უსერავს. მისი ზურგის გაჭირვება ჩემი ზურგის გაჭირვებასთან რა სახსენებელია, მაგრამ ეს კია, რაც არ უნდა დიდი იყოს თევზი, მაინც ვერ შეძლებს, ამ კანჯოს თრევას დაუსრულებლად. აქ კი ყველაფერი მოგვარებულია, მაგისტრის ყველაფერია ხელის შემშლელი, სიმის დიდი მარაგიც მაქვს, ერთი სიტყვით, საქმე გაჩარხულია“.

— თევზო, — ხმამაღლა მიესიყვარულა ბერიკაცი, — იცოდე, სანამ პირში სული მიდგას, თავს ვერ დაგანებებ.

„ასე მგონია, ვერც ის მიმატოვებს“, — გაიფიქრა ბერიკაცმა და გათენებას მოთმინებით დაუნყო ლოდინი. ალიონზე სიცივემ აიტანა და ნავის ფიცარს კიდევ უფრო მიეკრა, ცოტას მაინც გავთბებით.

„რამდენ ხანსაც ის გაძლებს, იმდენ ხანს გავძლებ მეც“, — გაიფიქრა. ცისკარმა გაანათა წყალში ჩალრმავებული დაჭიმული სიმი. ნავი მხარშეუცვლელად მიცურავდა და მზე ამოიწვერა თუ არა, პირველივე სხივი ბერიკაცს მარჯვენა მხარზე დაეცა.

— ჩრდილოეთისკენ აქვს გეზი აღებული, — თქვა ბერიკაცმა. „დინება კი შორს, აღმოსავლეთისკენ გადაგვისვრის, — დაუმატა ნათქვამს გუნებაში. — ნეტავ თევზი დინებას შეერეოდეს, მაშინ ვიფიქრებდი, ძალა ელევა-თქო“.

მზე გვარიანად ამოიწია და ბერიკაცი დარწმუნდა, რომ თევზი სულაც არ დადლილიყო. თუმც ერთი რამ იყო სანუგეშო. სიმი ახლა ისე იყო დახრილი, ჩანდა, თევზი უწინდებურად დიდ სიღრმეზე ველარ მიცურავდა. მართალია, ეს იმას არ ნიშნავდა, თევზი უეჭველად წყლიდან უნდა ამოხტესო, მაგრამ არც უმაგისობა იყო.

— ღმერთმა ქნას, ამოხტეს, — თქვა ბერიკაცმა, — ახლა უკვე იმდენი მკედი მაქვს გამზადებული, იოლად შევძლებ კისერი მოვუგრიხო.

„მე რომ შევძლო მკედი ოდნავ უფრო დავჭიმო, ეგებ ტკივილმა შეაწუხოს და ძალაუნებურად ზევით ამოხტეს, — გაივლო ბერიკაცმა გუნებაში. — ვიდრე მზე ანათებს, ნეტავ იმდენი იხტუნოს წყალს ზევით, სანამ მუცელი ჰაერით არ გაევსება, რომ ვერ შეძლოს ისევ ჩალრმავება და იქ სულის გაფრთხობა“.

ბერიკაცმა სცადა სიმი კიდევ უფრო დაეჭიმა, თუმცა მას მერე, რაც თევზი ანკესს წამოეგო, მეტისმეტი დაძაგვრისაგან მკედი ლამის განყვეტაზე იყო. ბერიკაცი სიმის მოსაზიდად უკან გადაიხარა, მაგრამ ბეჭებზე დაჭიმული სიმის სიმწარე იგრძნო და მიხვდა, ველარაფერს დაუმატებდა. „არ შეიძლება მკედი ერთბაშად გამოვწიო“, გაიფიქრა, „რამდენსაც მოვწევ გამეტებით, იმდენად მეტად გაფართოვდება კაუჭისგან გაჩენილი ჭრილობა და თუკი ბოლოს და ბოლოს ამოყურყუმალავდება, ადვილად შეძლებს კავის მოცილებას. ასეა თუ ისე, მზის შუქი დიდად მამხნევებს და ჯერჯერობით სულაც არაა აუცილებელი წყლის სიღრმეებში ცქერით თვალები ავიტკივო“.

მკედს ახლა ყვითელი წყალმცენარე წამოეგო, მით უკეთესი, წყალმცენარე ნავის სრიალს აფერხებდა და ეს ბერიკაცს გულს უფონებდა.

სწორედ ეს ტროპიკული ყვითელი წყალმცენარე ანათებდა ასე ძლიერ ღამით.

— თევზო! — ჩასძახა ბერიკაცმა, — მე შენ ძალიან მიყვარხარ და დიდადაც გაფასებ. მაგრამ დღეს, დღის ბოლომდე, მაინც გამოგიყვან ნირვას.

„იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა“, გაიფიქრა.

ერთი ციციქნა ჩიტი კანჯოსთან ჩრდილოეთის მხრიდან შემოფრინდა. ეს მგალობელი ჩიტი იყო, ძალზე დაბლა, წყალთან სულ ახლოს ფრენდა. ბერიკაცმა შეამჩნია, რომ საბრალოს ქანცი გამოლევდა.

ჩიტი ნავის კიჩოზე დაჯდა და გაირინდა. მერე ბერიკაცს ირგვლივ შემოუფრინა და სიმზე დასკუბდა, უფრო მყუდროდ იგრძნო აქ თავი.

— რა ხნისა ხარ? — ბერიკაცი ჩიტს დაეკითხა, — ეს შენი პირველი მოგზაურობა ხომ არაა?

ჩიტმა შეხედა ბერიკაცს, როცა მან დაილაპარაკა. ისე შექონდა ყინვის მონყვეტილი, ველარც სიმი მოსინჯა ხეირიანად და თავისი სუსტი ფეხებით სიმს რომ ჩაებლაუჭა, შექანდა კიდევ.

— გაგიძლებს, ნუ გეშინია, — უთხრა ბერიკაცმა, — მეტისმეტად გამძლე სიმი. ნუხანდელი უქარო ღამეგამოტარებული, ნეტავ რამ დაგაოსა ასე? ერთი გამაგებინა, რა რჯით ჩიტებს ამ სიშორეზე რომ მოფრინავენ?

„ნუთუ ქორთან შეხვედრას ეშურებიან ამ გაშლილ ზღვაში?“ შეფიქრინდა ბერიკაცი. მაგრამ ამაზე ჩიტთან კრინტიც არ დაუძრავს. ჩიტი ნათქვამს მაინც ვერ მიუხვდებოდა და სულ მალე თავად შეიტყობდა ბაზთა ზნეს.

— კარგად მოისვენე, ჩიტუნავ, — ისევ შეეხმიანა ბერიკაცი, — მერე კი ნაპირისკენ გასწიე და ეცადე, შენს ბედს ეწიო ისევე როგორც ადამიანი, თუნდაც ჩიტიც და თევზიც ეწევა ხოლმე თავის ბედს.

ბერიკაცი ამგვარ საუბარს გულს აყოლებდა. ღამით ზურგი გაშეშებოდა, ახლა კი გვარიანად სტკიოდა.

— თუ მოისურვებ, იყავი ერთხანს ჩემთან, ნიბლიავ, — ემასლაათებოდა ბერიკაცი, — ვაი რომ, ახლა ვერ გავშლი აფრას და ნაპირზე ვერ გაგიყვან, თუმც კი ეს-ესაა ნიავექარმა დაუბერა. აქ მე მარტო არ ვარ, მეგობარია ჩემთან ერთად.

სწორედ ამ დროს თევზი უეცრად გადაწვა გვერდზე, ბერიკაცი ნავის ცხვირს დაენარცხა და ღამის წყალშიც გადაეშვა, მაგრამ თავი დროზე შეიმაგრა და სიმიც ცოტათი მოუშვა.

სიმის ანაზდეული შეტოკება და ჩიტის აფრენა ერთი იყო, ისე რომ ბერიკაცმა მას თვალის ვერ მოჰკრა. ფრთხილად მოსინჯა მკედი მარჯვენათი და შენიშნა, რომ ხელიდან სისხლი სდიოდა.

— აშკარაა, რაღაცამ შეაშფოთა, — ხმამაღლა წამოიძახა და მკედი უკან დასწია, რომ ენახა, შეძლებდა თუ არა თევზის გადაბრუნებას. მკედი უწინდებურად უკიდურესად დაიჭიმა, უწინდებურად მიეკრა დაძაგრულ მკედს ბერიკაცი.

— თევზო, კარგად მესმის შენი, ასე რომ შფოთავ, — გამოელაპარაკა, — მაგრამ ღმერთია მოწამე, არც მე ვარ შენზე უფრო დაღბენილი.

ბერიკაცმა ნაცნობ ჩიტს დაუნყო თვალთ ძებნა, ვინძლო მასთან საუბარს გული უღაგაყოლო. ჩიტი უგზო-უკვლოდ გამქრალიყო.

„რა უცებ მიმატოვე, — უსაყვედურა გუნებაში, — მაგრამ სადაც არ უნდა გაფრინდე, კიდევ უფრო დიდი გაჭირვება დაგადგება, ვიდრე ნაპირს არ მიაშურებ. ვერ გამიგია, ასე როგორ დავგლახაკდი, როგორ დამჭრა თევზის ერთმა უცაბედმა შეტოკებამ? ნუთუ სულ მთლად გამოვთავყვანდი? თუმცა ალბათ იმ პანია ჩიტს რომ შევყურებდი, იმან გადამიყოლა. ახლა კი მთავარ საზრუნავს უნდა მივაპყრო მთელი ჩემი გულსყური და თინუსიც შევჭამო, რომ არ დავსუსტდე უჭმელობით“.

— ო, როგორ მინდა, ბიჭი აქ მყავდეს, მარილიც ძალიან მჭირდება, — ხმამალლა თქვა ბერიკაცმა.

სიმის სიმძიმე მარცხენა მხარზე გადაიტანა, ფრთხილად ჩაიჩოქა, თვეანეში ხელი ჩაიბანა და ერთხანს სიღრმეში გააჩერა, თვალს აყოლებდა, რა ნება-ნება სცილდებოდა შემხმარი სისხლი, როგორ გულდაგულ ესხმოდა ხელზე წყალი ნავის სრიალის კვალდაკვალ.

— საგრძნობლად უკლო სვლას თევზმა, — თქვა ბერიკაცმა.

უთუოდ ესამოვნებოდა, ხელი მლაშე წყალში მეტხანს რომ გაეჩერებინა, მაგრამ შეშინდა, ვაითუ ისევ გადაბრუნდეს თევზი გვერდზე მოულოდნელადო, ფეხზე წამოდგა, ხელი გაჭიმა და მზეს მიუშვირა. მწარედ დაუსერა მკედმა ხელი, თანაც სწორედ შუაგულში, კარგად იცოდა, რომ მთავარი მისთვის ხელები იყო, ვიდრე თევზთან შებრძოლება გასრულდებოდა და არ უნდოდა იმთავითვე დაშავებული ჩაბმულიყო შეტაკებაში.

— ახლა კი, — თქვა ბერიკაცმა, ხელი რომ შეუშრა, — მზადა ვარ, შევექცე პატარა თინუსს. მე მას ბარჯით მოვიწვდენ და აქ მშვიდად მივირთმევ.

ბერიკაცმა დაიჩოქა, ნავის კიჩოდან თინუსი ბარჯით ისე გამოათრია, რომ მკედის ხვეულებს არ შეჰხებია პატარა თევზი. კვლავინდებურად მარცხენა მხარზე ჰქონდა სიმი გადაჭერილი, მარცხენა ხელს დაეყრდნო, თინუსი ბარჯის კაუჭს მოაცილა და ბარჯი თავის ადგილას დადო. თევზს მუხლი დააბჯინა და მუქი წითელი ფერის ხორცი ზურგის მხარეს თავიდან ბოლომდე გრძივ ზოლებად დაჭრა. ხერხემლის გასწვრივ ვიდრე მუცლის ძირამდე დაჭრილი თევზის ხორცის ეს ნაწილები სოლისებურად იყო ნაწვეტებული. თევზის აქნას რომ მორჩა, ექვსი ნაჭერი ნავის ცხვირზე, ფიცარზე გაშალა, დანა შარვალზე გაუსვ-გამოუსვა, მერე თევზის ბოლოს ხელი მოჰკიდა და ჩონჩხი წყალში გადაისროლა.

— არა მგონია, ერთ მთლიან ნაჭერს მოვერიო, — თქვა მან და ერთერთს დანა შუაზე დაუსვა. ამ დროს ბერიკაცმა იგრძნო ძლიერი ბიძგი სიმზე და მარცხენა ხელიც გაუკავდა. ხელი ძალუმად ჩაეკრა ტვირთით დამძიმებულ მკედს, ბრაზმორეულმა ბერიკაცმა შეხედა ხელს.

— რისი მაქნისია ახლა ეს ხელი, — თქვა მან, — კიდევ უფრო დაიკრუნჩხე, ბატონო, თუ ძალიან გინდა და კლანჭად იქეცი. რასაც მოიგებ, იმასაც ნახავ.

„იყუჩე, ბერიკაცო, — გაიფიქრა და ქუფრ წყალში გეზად ჩაშვებულ სიმს თვალი ჩააყოლა. — შეჭამე ახლა და ხელსაც ეშველება, მოლონიერდება. ხელის რა ბრალია, რა ხანია, რაც ამ თევზს გადაეკიდე და დიდი ჯაფა დაადგა. მაგრამ თევზთან შეწყვილებულად ყოფნასაც ბოლო არ უჩანს. ადექი და შეჭამე ახლა ეს თევზი“.

ბერეკატი ერთი ნაჭერი აიღო, პირში ჩაიდო და აუჩქარებლად დაინწყო ღეჭვა. არა უშავს რაო. გაიფიქრა.

„კარგად დაღეჭე, — არიგებდა თავის თავს ბერეკატი, — გემოზე შეირგე თითოეული ლუკმა. ურიგო არ იქნებოდა, ლიმონი და მარილიც რომ დამეყოლებინა“.

— სხვა, როგორ გრძნობ თავს, ხელო? — შეეკითხა ბერეკატი გაკავებულ ხელს, რომელიც ლამის მიცვალებულის ხელს ვეხვებულყო, — ოღონდ გეშველებოდეს რამე და კიდევ შევჭამ.

ბერეკატი თევზის ნაჭრის მეორე ნახევარიც მიირთვა. საგულდაგულოდ დაღეჭა და ბოლოს კანი გამოაფურთხა.

— აბა, ხელო, რას იტყვი, ვერაფერს ატყობ სასიკეთოს? თუ ჯერ ადრეა რამის თქმა? ბერეკატი ახლა თევზის მთლიანი ნაჭერი აიღო და დაღეჭა.

„რა ჯიშინი, ფერ-ხორციტ სავსე თევზია, რა ილბალზე მომხვდა ხელში სწორედ ეს და არა სკუმბრია. სკუმბრიას მეტისმეტად მოტკბო გემო აქვს, ამას კი სიტკბო სულ ოდნავ დაჰკრავს და, გარდა ამისა, ძალზე ყუათიანია“.

„ბევრჯერ დარჩები ნაგებული, თუ ცხოვრებისეული წერილმანები განზე დაგრჩება, — გაიფიქრა ბერეკატი. — აი, ახლა უსათუოდ თან უნდა მქონოდა მარილი. ვინ იცის, რა დღეს დააყრის მზე თევზის ამ მორჩენილ ნაწილებს, ააყროლებს თუ მეტისმეტად გამოახმობს, ამიტომაც, თუმცა სულაც არ მშია, მაინც აჯობებს, რომ მთლიანად შევჭამო. ჩემი თევზი კვლავინდებურად მშვიდად და ნირშეუცვლელად ადგას თავის გზას. ჭამას მოვრჩები და გავემზადები.“

— მოთმინებითა შენითა, ჩემო ხელო, — უთხრა ბერეკატი, — ხომ გესმის, რომ შენი ხათრით ვჭამ.

„როგორ გავიხარებდი, თევზის დაპურებაც რომ შემძლებოდა, — გაიფიქრა, — ეს თევზი ხომ ჩემი ძმაა, მაგრამ მაინც უნდა გავაფრთხო-ბინო სული და საამისოდ ძალაც უნდა მოვიკრიბო“. დინჯად, გულმშვიდად მიირთვა თევზის მორჩენილი ნაჭრები.

მერე წელში გაიმართა და ხელი შარვალზე შეიწმინდა.

— ახლა კი, ჩემო ხელო, — თქვა მან, — შეგვძლია დაეხსნა მკედს, მარტო მარჯვენითაც, ფიქრი ნუ გაქვს, მოვერევი ამხელა ტვირთს, სანამ შენ არ შეწყვეტ თავის აგდებას. მერე მარცხენა ფეხი დააჭირა დიდი თევზის წონისგან დამძიმებულ სიმს, ადრე მარცხენა ხელით რომ ეჭირა და უკან გადაინია, შეეცადა შეერბილებინა სიმის ზურგზე დაწოლა.

— ღმერთი მიშველის და ხელიც გამეშლება, — თქვა ბერეკატი, — თორემ, ვინ იცის, ჩემი თევზი როდის რა ნაცილს გამომიგდებას.

„თუმცა, მგონი, ჯერჯერობით, მშვიდადაა, — გაიფიქრა ბერეკატი, — და რაც ჩაიფიქრა, იმას ასრულებს. მაგრამ ვინ იცის, რა ჩაიფიქრა. ან მე რას ვაპირებ? ვნახოთ, რას იზამს და მეც იმის მიხედვით მოვიქცევი, ვებერთელა თევზია და იმიტომ. თუ ამოხტა წყლიდან, ბოლოს მოვუღებ. მაგრამ ვაითუ სამუდამოდ ჩარჩეს სიღრმეში. მაშინ მეც სამუდამოდ დავრჩები მასთან“.

ბერეკატი შებოჭილი ხელი შარვალს დაუსვა და თითების მოღობობას შეეცადა. არ იქნა, არ გამოვიდა. ეგება, მზე რომ დაჰხედავს, მაშინ ეშველება ან მერე, როცა ჩემი კუჭი ამ ხორცმაგარ, ნედლ თინუსს მოინე-

ლებს. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, კი გავშლი ამ თითებს, 'რაც უნდა დამიჯდეს. მაგრამ რა ძალაა, გინდა თუ არა, ახლავე ჩემი გავიტანო. თვითონ გაიშალოს, მერე თავადვე მომჯობინდება. საცა სამართალია, ძალზე უდიერად მოვეპყარი წუხელ, აღარ გათავდა ამოდენა სიმებებს ჯერ გადაჭრა და მერე გადაბმა“.

ბერიკაცმა ზღვას გახედა, კვლავ შემოერთო მარტოობის განცდა, მაინც სტაცებდა თვალს ჩაქუფრული წყლის სიღრმეში სხეულთა მკერავი ნახნაგები, წყალში გაჭიმული ანკესის მკედი და მშვიდი ზღვის უჩვეულო ლივლივი. ტროპიკული ქარის ღრუბლები ქუჩდებოდა. ბერიკაცმა წინ გაიხედა, წყალთან ახლოს გარეული იხვების გუნდი მოფრინავდა. იხვები აიჭრებოდნენ ცაში, მერე ჰაერში იბნეოდნენ და ისევ შეჯარდებოდნენ ცაზე. იცოდა ბერიკაცმა, რომ ზღვაში გასული კაცი არასდროს არის ეულად.

პატარა ნავის ამარა ზღვაში გასულ მეთევზეს შიში იპყრობს და ვერც გაამტყუნებ, თუ წელიწადის ის დროა, როცა ზღვაზე მოულოდნელი გავადრება იცისო, ფიქრობდა ბერიკაცი. ახლა, ამ თვეებში, ჩვეულებისამებრ, ძლიერი ქარიშხლები იცის, მაგრამ ზოგჯერ თუ დარები წაენყო, მაშინ ეს დრო წლის საუკეთესო ამინდების ხანაა.

თუ ზღვაში ხართ გასული, უთუოდ შეამჩნევთ ქარიშხლის მაუნყებელ ნიშნებს ცაზე რამდენიმე დღით ადრე. ხმელეთზე ვერ ხედავენ ამ ნიშნებს, არ იციან მათი გამოცნობა. სხვა არა იყოს რა, ღრუბლების მოხაზულობაშიც უნდა შენიშნონ ცვლილებები ხმელეთიდან. მაგრამ ჯერჯერობით, ქარიშხლის მაცნე არსაიდან ჩანსო, ფიქრობდა ბერიკაცი.

ბერიკაცმა ცას ახედა და თეთრი ღრუბლების ქულები დაინახა, ისეთი, სანუკვარ ნაყინს რომ წააგავდა. იმის ზევით ფთილა ღრუბლების ნაზი ნაკრტენი მიჰკვროდა ენკენისთვის ცის უზარმაზარ გუმბათს.

— ზღვის ნიავმა დაუბერა, — თქვა ბერიკაცმა, — მე კი გამოვრჩები ამ ნიავს სახეიროს, შენ იკითხე, თევზო.

მარცხენა ხელი ჯერ ისევ შებოჭილი ჰქონდა, თუმც უკვე იწყო მისი ნება-ნება გაშლა.

„მძულს კრუნჩხვები“, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — როგორია, როცა საკუთარი სხეული მუხანათურად გექცევა. თუ შემთხვევით უვარგისი საჭმლისგან მოწამლულს ხალხში ფალარათი, ღებინება დაგემართა, საქვეყნოდ მოგეჭრება თავი. აი კრუნჩხვის გამო კი, — კრუნჩხვას გუნებაში ასე ახსენებდა — calambré,¹ — სირცხვილს ჭამ, საკუთარ თავთან, მეტადრე თუ მარტო ხარ, და თანაც შენივ მიზეზით არის გამონწვეული ეს კრუნჩხვა.

ბიჭი რომ ახლა აქ ყოფილიყო, იდაყვიდან მოყოლებული მთელ ხელს დამიზელდა და თითებზეც წელიწადს მომეფონებოდა, მაგრამ არაფერია, თითები თავად გაიშლებო, გაიფიქრა ბერიკაცმა.

ბერიკაცმა მარჯვენა ხელით აშკარად იგრძნო, რომ სიმზე რალაც სხვანაირი ბიძგებია და აღარც უწინდებურადაა დახრილი, მერე სიმისკენ გადაიხარა, მარცხენა ხელი თქოზე მაგრად, მალიმალ დაიკრა, ამასობაში შეამჩნია, რომ ცერად ჩაშვებული სიმი წელ-წელა ზევითკენ იწეოდა.

— თევზი წყლიდან ამოდის, — დაასკვნა ბერიკაცმა, — აბა, ხელო, შენ იცი, გონს მოდი, გემუდარები.

სიმი დინჯად, შეუფერხებლად ზევით მოიწევდა, ბოლოს ოკეანის ზედაპირი ნავის წინ ამოიბერა და თევზიც გამოჩნდა. ამოდირდა და ამოდოდა გაუთავებლად, გვერდებიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. ბრწყინავდა თევზი მზებზე, თავი და ზურგი მუქიუფერესაჲ უქონდა, მენამული, გვერდებზე დაყოლებული ზოლები მზებზე ფაჩოქით, მტკიცა სოსნისფერი ჩანდა. თავი სატევარს მიუგავდა, ბეისბოლის ყვანჭივით გრძელი და დაშნასავით ნამახული. თევზი ზედაპირზე ჯერ მთლიანად ამოცურდა და მერე რბილად, მყვინთავივით ჩასრიალდა ისევ წყალში. ბერიკაცმა თვალი მოჰკრა, თუ როგორ ჩაეშვა ოკეანეში ქალვის პირის მსგავსი თევზის უზარმაზარი ბოლო და როგორ იწყო მკედმა ქვევითკენ სრიალი.

— ეს თევზი ჩემს კანჯოზე ორი ფუტით გრძელი იქნება! — ნამოიძახა ბერიკაცმა. მკედი სწრაფად, თუმც თანაბრად მისრიალებდა. თევზი უშიშრად ირჯებოდა. ბერიკაცი ცდილობდა სიმი ორივე ხელით უკიდურესად დაეჭიმა. კარგად ესმოდა, რომ თუკი თევზს ძალას არ დაატანდა და არ ეცდებოდა დაჭინებით შეენელებინა მისი ჩაღრმავება, თევზი მკედს ბოლომდე დახარჯავდა და მერე განყვეტდა კიდეც.

„რა გაენყობა, დიდი თევზია, მაგრამ ჭკუით მაინც უნდა ვაჯობო, ჯერ ერთი, ვერ უნდა მიხვდეს, რომ ძალზე ღონიერია, ვერც იმას, რომ კოჭი აღჩუზე დაუჯდება, თუკი ანკესს თავს დააღწევს. მე რომ მაგისი ვიყო, ახლა ყველა ღონეს ვიხმარდი რალაცა გამენყვიტა. კიდეც კარგი, ღმერთის შეწევნით, თევზები არ არიან ისეთი გონიერნი, როგორც ჩვენ, მათი მკვლელები. თუმც ჩვენზე უფრო კეთილშობილნი და მარჯვენი არიან“.

ბერიკაცს ბევრი ვეებერთელა თევზი უნახავს. ათას გირვანქაზე მეტიც ბევრი უნახავს, დაუჭერია კიდეც, ოდესღაც ორი ასეთი თევზი, მაგრამ თავის ანაბარა დარჩენილი არასდროს ყოფილა. ახლა კი მარტოდმარტოა შუა ზღვაში და ისეთ უზარმაზარ თევზსაა მიჯაჭვული, რომლის მსგავსი არც ოდესმე უნახავს თვალით და არც არასდროს გაუგონია. ბერიკაცის მარცხენა ხელი არწივის შეკრული კლანჭივით კვლავ იყო შებოჭილი.

„ისე როგორ ნახდება, რომ არ გაიშალოს, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — უეჭველად გაიშლება და მარჯვენასაც შეენევა. ეს სამნი — თევზი და ჩემი ორი ხელი ძმები არიან. ხელი უნდა გამეშალოს, რა საკადრისია ასე დამანჭვა“. თევზმა ისევ უკლო სვლას და ცურვა ჩვეული სისწრაფით განაგრძო.

„ნეტავი გამაგებინა, რატომ ამოხტა წყლიდან? — არ ისვენებდა ბერიკაცი. — თითქოს იმიტომ ამოხტა, რომ ჩემთვის ეთქვა, ნახე, რა გოლიათი ვარო. კეთილი და პატიოსანი, ახლა უკვე ვიცი როგორიცა ხარ. არ იქნებოდა ურიგო იმასაც ენახა, მე რა ჯიშის ვარ. მაგრამ მაშინ ჩემს მოკრუნჩხულ ხელს შენიშნავდა. მოდი, ახლა ჩემს კაცობაზე უკეთესი წარმოდგენა პქონდეს, ვიდრე დღეს ვიმსახურებ, მაგრამ როგორიც უეჭველად ვიქნები. ნეტავი თევზად მაქცია, გამაგებინა, რისი პატრონია, რითი აპირებს გამიმკლავდეს ნებისყოფისა და ჭკუა-გონების ანაბარას დარჩენილს“.

ბერიკაცი მოხერხებულად მოკალათდა ნავის შემოფიცრულთან, მო-

თმინებით იტანდა თავსდატეხილ ტანჯვა-წვალებას, თევზი კი კვლავინდესურად შეუპოვრად მიცურავდა და ნავიც წყნარად მისრიალებდა ჩაქუფრულ წყალში. მერე აღმოსავლეთიდან მონაბერმა ნიავმა ქოჩორა ტალღები ააგორა და შუადღისთვის ბერიკაცის მარცხენა ხელიც გათავისუფლდა.

— ცუდი ამბავია შენს თავს, თევზო, — თქვა ბერიკაცმა და უჭიქლობდაფარებულ მხრებზე მკედს ადგილი უნაცვლა.

თუმც დაშოშმინდა ბერიკაცი, მაგრამ მის გაავებულ ტკივილს ბოლო არ უჩანდა, ოღონდ ტკივილში თავის თავს მაინც არ უტყდებოდა.

— მართალია, არ ვარ ღვთისმოსავი, — თქვა მან, — მაგრამ მზად ვარ ათჯერ ვთქვა „მამაო ჩვენო“ და ათჯერ — „ღვთისმშობელო ქალწულო“, ოღონდ კი დამაჭერინა ეს თევზი. პირობას ვდებ, კობრეს ღვთისმშობელს სალოცავად ვეახლები, თუკი მეღირსება თევზის ხელში ჩაგდება, პატიოსან სიტყვას ვიძლევი.

ბერიკაცმა ლოცვის გაზუთხული სიტყვების წარმოთქმა იწყო. შიგადაშიგ მოთენთილობა ისე მოერეოდა ხოლმე, რომ სიტყვები ავიწყდებოდა, მაშინ სხაპასხუპით იმას ამბობდა, რაც ენაზე მოადგებოდა. „ღვთისმშობელო ქალწულო“ უფრო ადვილი სათქმელია, ვიდრე „მამაო ჩვენო“, გაიფიქრა.

— გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა! კურთხეულ ხარ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, ქრისტე. ყოვლად წმიდაო მარიამ, ღვთისმშობელო, ილოცე ჩვენთვის, ცოდვილთათვის ან და მარადის. ამინ, — და ასე დაასრულა, — კურთხეულო ქალწულო, ილოცე, რათა თევზი აღესრულოს, რაგინდ გასაოცარიც არ უნდა იყოს იგი.

ლოცვის დამთავრებისთანავე უკეთ იგრძნო თავი, თუმცა სატკივარი არა თუ დაუამდა, თითქოს ოდნავ გაუძლიერდა კიდეც. ნავის ცხვირთან ფიცარს მიეყრდნო და მარცხენა ხელის თითები უნებლიეთ აათამაშა.

მწველი მზე იყო, თუმც ნიავი შემპარავად იკრებდა ძალას.

— კარგი იქნება, ზედ კიჩოსთან გადაგდებულ პატარა ანკესს ახალი ქარსალა წამოვაცვა, — თქვა ბერიკაცმა, — ვთქვათ და თევზმა კიდევ ერთი ღამის გათევა მოინდომა, მაშინ ხომ ისევ რაღაცის შეჭმა მომიხდება, წყალიც ცოტალაა ბოთლში ჩარჩენილი. არა მგონია, აქ ახლა სკუმბრიის გარდა სხვა რამე ვიშოვო. თუ დაჭერისთანავე შევჭამ, არ იქნება იმდენად უგემური. ნეტავ მფრინავი თევზი გადმომხტარიყო ამალამ ნავში, მაგრამ შუქი არა მაქვს და ვერ შემოვიტყუებ. ნედლი მფრინავი თევზი საუკეთესო საჭმელია, გაჭრაც არ სჭირდება. ახლა მთავარია დავზოგო მთელი ჩემი ძალ-ღონე. ღმერთო მაღალო, რას წარმოვიდგენდი, თუ ამხელა თევზს გადავეყრებოდი.

— ასეა თუ ისე, სული უნდა გავაფრთხოვინო, — დაასკვნა ბერიკაცმა, — რაც არ უნდა დიდებული იყოს და შარავანდედით მოსილი.

„ვერ ვიტყვი, რომ ამას სამართლიანობა მოითხოვს, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — მაგრამ მინდა თევზს ვუჩვენო, რამდენი რამის გაკეთება და რამდენის ატანა შეუძლია ადამიანს“.

— ერთხელ ხომ ვუთხარი ბიჭს, საკვირველი ბერიკაცი გახლავარმეთქი, — თქვა ბერიკაცმა, — დარეკა ჟამმა და მე ეს უნდა დავამტკიცო.

დაუმტკიცებია კიდეც ეს ბერიკაცს უწინ ათასჯერ, მაგრამ ახლა ეს

ალარაფერს ნიშნავდა. ახლა ისევ საამისოდ ემზადებოდა. თავიდან იწყებდა ყოველთვის, წარსულს არასდროს იხსენებდა, როცა კვლავ ამის დამტკიცებას ეპირებოდა.

„კარგი იქნება თევზს რომ დაეძინოს, მაშინ მეც მოვხუჭავდი თვალს და სიზმარში ლომებს ვნახავდი“, გაიფიქრა ბერიკაცმა. „რატომ შემომჩა საწუთროდან ნეტავ ლომები, როგორც ყველაზე მეტად ღირსახსოვარი?“

— თავს ნუ იტკივებ, ბერიკაცო, — შეუძახა თავის თავს, — ფიცარს მიესვენე და იყურე, ნულარაფერზე იფიქრებ. ის ახლა გაცხარებული მუშაობს. შენ კი დაზოგე შენი თავი, რამდენადაც შეგიძლია.

მზე შუბის ტარზე იხრებოდა, ნავი კვლავ დინჯად და ნირშეუცვლელად მიცურავდა. აღმოსავლეთიდან მქროლავი ნიავექარი ნავის წინსვლას ეხმარებოდა, ბერიკაცი მშვიდად ირწეოდა ზღვაზე აშლილ ქოჩორა ტალღებზე, ზურგზე გადაჭერილი მკედის სიმწარე უფრო ასატანი და ჩამცხრალი ეჩვენებოდა.

ერთი პირობა, ნაშუადღევს, სიმმა თითქოს ისევ იწყო წყლიდან ამონევა, მაგრამ თევზმა წყალში ოდნავ უფრო ზევით ამოიწია, ეგ იყო და ეგ. მზის სხივები ბერიკაცს მარცხენა მკლავზე და მხარ-ბეჭზე დასთამაშებდა. მაშ თევზმა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ იბრუნა პირო, დაასკვნა მან.

რაკილა ბერიკაცმა ცოტა ხნის წინ თევზს თვალი მოჰკრა, ახლა თვალწინ ფრთებივით ფართოდ გაშლილი სოსნისფერფარფლებიანი მოცურავე თევზი წარმოუდგა, წყლის სიღრმეში თავისი ვეება, ზემოთკენ მიმართული ბოლოთი წყლის წყვდიადს რომ მიაპობდა. ნეტავ თუ ხედავს რამეს ამ სიღრმეშიო, გაიფიქრა ბერიკაცმა. „ალბათ ხედავს, უზარმაზარი თვალეები აქვს, ცხენს უფრო პატარა თვალეები აქვს და მშვენივრად ხედავს სიბნელეში. მთლად წყვდიადში არა, მაგრამ სიბნელეში ერთ დროს მეც ძალზე კარგად მიჭრიდა თვალი, თითქმის კატასავით ვხედავდი“.

მზემ და თითების დაყინებულმა მოძრაობამ მარცხენა ხელი საბოლოოდ გააღალა. ახლა უკვე უმეტესი სიმძიმე ბერიკაცმა ხელს დააკისრა, თანაც ზურგის კუნთები აამოძრავა, რომ სიმის ჩაჭერით გამოწვეული ტკივილი ცოტათი შეემსუბუქებინა.

— შენ თუ კიდევ არ დაქანცულხარ, თევზო, — ხმამალლა წამოიძახა ბერიკაცმა, — დიდი უცნაური ვინმე ყოფილხარ!

თავად ბერიკაცი უკვე ძალზე დაღლილიყო, თანაც ხედავდა, რომ საცაა დაღამდებოდა და ცდილობდა სხვა რალაცებზე ეფიქრა. იგონებდა ბეისბოლის ცნობილ გუნდებს, რომლებიც მისთვის Gran Ligas იყვნენ და ახსოვდა, რომ ნიუ იორკელი „იანკები“ დეტროიტელ „ვეფხვებს“ ხვდებოდნენ.

„აი, უკვე მეორე დღეა, რაც არაფერი მსმენია juegos¹-ის შედეგებზე, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — მაგრამ ახლა მთავარია, მჯეროდეს ჩემი თავის, ვიყო ღირსი დიდი დიმაჯიოსი, რომელიც არად აგდებს დაკოფრებული ქუსლის ტკივილსაც კი და უზადოდ ასრულებს ყოველივეს.“

— რას ნიშნავს ქუსლის კოფრი? — შეეკითხა თავის თავს ბერიკაცი. „Un espuela de hueso“.² ჩემი ხელობის ხალხს ეგ სატკივარი არ უჩნდება.

1. სპორტული თამაშები (ესპ.).

1. დეზი, წანაზარდი, რქოვანი კოფრი ან კორძი ქუსლზე (ესპ.).

ერთი გამაგებინა, ეს იგივე ტკივილია, რასაც მოჩხუბარი მამლის დეზის ქუსლში მოხვედრისას გრძნობ? არა მგონია, შევძლებდი ამის ატანას, ვერც იმას ავიტან, რომ ცალი ან ორივე თვალით ჩინდაკარგულმა განვაგრძობოლა, როგორც ამას მოჩხუბარი მამლაყინნები ჩადიან. ^{გაცმა რომ} თქვას, ადამიანს დიდი უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს გვაროვანი/ფრინველებისა და ცხოველებთან შედარებით. არ ვიტყვოდი უარს/სიყველელი ვყოფილიყავი, ახლა რომ წყალქვეშ, ზღვის წყვდიადშეგს...

— ოღონდ თუ ზვიგენები არ გაჭაჭანდებიან ამ არემარეში, — ხმამალლა განაგრძო ბერიკაცმა, — ზვიგენები თუ გამოჩნდებიან, ღმერთსა ვთხოვ, დაგვიფაროს ისიც და მეც.

„ნუთუ გგონია, რომ დიდი დიმაჯიო რომელიმე თევზს იმდენ დროს შესწირავდა, რამდენსაც შენ? — დაეკითხა თავის თავს გუნებაში. — დარწმუნებული ვარ, შესწირავდა და ვინ იცის, ეგება უფრო მეტად გარჯილიყო კიდევ, რაკი ახალგაზრდა და ჯანიანია, თანაც იმიტომაც, რომ მებადურის ვაჟიშვილია. მაგრამ მაშინ დაკოჭრებული ქუსლის ტკივილი ისევე გაუსაძლისი იქნებოდა?“

— ვერაფერს გეტყვი, — ისევ ხმამალლა თქვა ბერიკაცმა, — მე არასდროს შევუწუხებდვარ რქოვან დეზებს.

მზე ჩაესვენა და ბერიკაცმა, მეტად რომ ერწმუნა თავისი ჯანლონისა, ძველი დრო გაიხსენა, როცა ერთხელ, კასაბლანკას სამიკიტნოში, იქაურ მეზღვაურებში ერთ ყველაზე ღონიერ, სახელგანთქმულ სიენფუეგოსელ¹ ზანგს მკლავჭიდში შეეჯიბრა. ერთი დღე და ღამე ისხდნენ მაგიდაზე ცარცით გავლებულ ხაზზე იდაყვდაყრდნობილნი, მხრებაშვერილნი და ერთმანეთის ხელის მტევნებში ღონივრად ჩაჭიდებულნი ხელის მტევნებით. თითოეული ცდილობდა მეორის ხელი მაგიდაზე გადაეწვინა. ბევრი სანაძლეოს დებდა, ნავთის ლამპების მცხრალ ნათელზე ხალხი ოთახში შედიოდა და გამოდიოდა, ბერიკაცი ზანგის მკლავსა და ხელს მისჩერებოდა, სახეს შესცქეროდა. შეჯიბრების დაწყებიდან რვა საათის შემდეგ მსაჯები შეიცვალნენ, მერე ყოველი ოთხი საათის შემდეგ იცვლებოდნენ, რომ ცოტა ნაეძინათ. ორივეს, მას და ზანგსაც, ფრჩხილებიდან სისხლი სდიოდათ, ერთმანეთს თვალს თვალში უყრიდნენ, ხელებზე და მკლავებზე მიშტერებოდნენ. ვისაც ნაძლევი პქონდა დადებული, ოთახში შედიოდნენ და გადიოდნენ ან კედელთან ჩამწკრივებულ მაღალ სკამებზე ისხდნენ და ორთაბრძოლას თვალს ადევნებდნენ. ხის კედლები ხასხასა ცისფრად იყო შეღებილი, ნავთის ლამპებისგან ამ ორის ჩრდილი კედელზე ეცემოდა. ზანგის უზარმაზარი ლანდი ირხეოდა კედელზე, როცა ნიავი ლამპებს აქანებდა.

მთელმა ღამემ თანაბარ ორთაჭიდილში განვლო, დროდადრო ზანგს რომს ასმევდნენ და სიგარეტს უკიდებდნენ. რომისგან აღგზნებული ზანგი გამაგებით შეუტევდა ხოლმე და ერთხელ თითქმის შეძლო, სამი გოჯით გადაეწია ბერიკაცის ხელი. ბერიკაცობამდე იმ დროს მას ბევრი აკლდა, მაშინ ის ცნობილი სანტიაგო El Campeon² იყო. ბერიკაცმა იმარჯვა, ხელი გამართა და კვლავ საწყის მიჯნას უსწორა. აი, მაშინ კი ირწმუნა, რომ მისი გამარჯვება ამ ზანგთან, ამ მშვენიერ, ბრგე და ღონიერ ვაჟკაცთან,

1. ქალაქი კუბაზე.

2. ჩემპიონი.

უთუმცაო იყო. უკვე გამთენიისას ხალხმა, ვინც ადრე სანაძლეო დადო, მოითხოვა ფრედ ჩაეთვალათ, მაგრამ მსაჯი არ თანხმდებოდა. ამასობაში ბერიკაცმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ზანგს შეუტია, ხელი ცოტათი გადაუღუნა, კიდევ, კიდევ და საბოლოოდ ხის მაგიდას დააკრა. ორთაბრძოლა კვირა დილით დაიწყო და ორშაბათ დილას გასრულდა. ბევრი იმათგანი, ვისაც სანაძლეო ჰქონდა დადებული, პაექრობის ფრედ ჩათვლას იმიტომ მოითხოვდა, რომ ნავსადგურში სამუშაოზე მიეჩქარებოდა, ზოგი შაქრიან ტომრებს ეზიდებოდა, ზოგიც ჰავანას ქვანახშირის კომპანიას ემსახურებოდა. ეს რომ არა, არავინ დააპირებდა ფეხი მოეცვალა იქიდან, სანამ ორთა ბრძოლაში გამარჯვებული არ გამოვლინდებოდა. მაგრამ მან თავი დაადგა პაექრობას მანამ, სანამ რომელიმე მათგანი სამუშაოზე გაეშურებოდა.

ამის შემდეგ მას დიდხანს ყველა ჩემპიონს ეძახდა, გაზაფხულზე მეტოქეები ხელახლა შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად სანაძლეო თანხა არ იყო დიდი, მონინალმდეგის დამარცხებაც დიდად არ გასჭირვებია, პირველ შერკინებაში მოპოვებულმა მისმა წარმატებამ სიენფუეგოსელ ზანგს საკუთარი ძალის იმედი გადაუწურა. მას მერე კიდევ რამდენჯერმე გამართა ორთაბრძოლა და მერე თავი დაანება. ეჭვი აღარ ეპარებოდა, თუკი გულთ მოინდომებდა, მისი მძლევი კაცი არ იყო და ისიც იაზრა, ვაითუ მარჯვენა ხელი ვიტკინო, თევზაობა ვეღარ შევძლოო. რამდენჯერმე შეეცადა შეჭიდებას მარცხენა ხელით, მაგრამ მარცხენა ხელი მას მიწყვიტ მუხანათურად ექცეოდა, რასაც ავალებდა, არ უსრულებდა, ამიტომაც ნაკლებად ჰქონდა მისი იმედი.

„მზეს მიფიცხებული ხელი გვარიანად გამიკაჟდება, — გაიფიქრა ბერიკაცმა. — ვეღარ დაიმანჭება ისევ, ჩემი გულის გასახეთქად, თუკი ღამით მეტისმეტად არ აცივდება. ნეტავ რას მომიტანს ამალამდელი ღამე?“

მაიამისკენ მიმავალმა თვითმფრინავმა ბერიკაცს თავზე გადაუარა, ბერიკაცმა დაინახა, როგორ დააფრთხო და წყლიდან ამოჰყარა თვითმფრინავის ჩრდილმა მფრინავი თევზების მთელი გუნდი.

— იმდენი მფრინავი თევზი ირევა, უეჭველია, სკუმბრიაც აქვეა სადღაც, — თქვა ბერიკაცმა და უფრო მეტად მიეკრა ზურგით სიმს, უნდოდა მოესინჯა, ეგება ოდნავ მაინც შევძლო თევზი ზევითკენ ამოვაცუროო, მაგრამ ვერაფერი გააწყო. სიმი უკიდურესად იყო დაჭიმული, მასზე მოცახცახე წყლის წვეთები სიმის განყვეტის საფრთხეს მოასწავებდნენ. ნავი ტაატიტ მიიწევდა წინ, ბერიკაცი თვალს აყოლებდა თვითმფრინავს, სანამ არ გაუჩინარდა.

„ერთობ უჩვეულოა, ალბათ, თვითმფრინავში ჯდომა, — გაიფიქრა, — ნეტავ ზღვა როგორიღაა იმ სიმაღლიდან? იქიდან ალბათ ჩემს თევზსაც მშვენივრად გაარჩევენ, მეტისმეტად მაღლა თუ არ აფრინდებიან. ძალიან მინდა ორასი საყენის სიმაღლეზე ნება-ნება ვიფრინო და ჩემი თევზიც ზემოდან დავათვალიერო. კუზე ნადირობისას ანძის წვეროზე ავძვრებოდი ხოლმე და იმ სიმაღლიდანაც კი ბევრს რასმე ვხედავდი. იქიდან სკუმბრიის მწვანე ფერი უფრო მაძლარი გეჩვენება, ხედავ მის ზოლებს, სოსნისფერ წინწკლებს და თვალს აყოლებ სკუმბრიების მთელ გუნდს, წყალში რომ მიცურავს. რატომ ხდება, რომ ქუფრ დინებებში მოსრიალე მკვირცხლ თევზებს, ჩვეულებრივ, სოსნისფერი ზურგი, ზოლები

და წინწკლები აქვთ? აი, სკუმბრიის სიმწვანე კი მოჩვენებითია, იგი სინამდვილეში ოქროსფერია, თუმცა, როცა შიმშილისგან გამწარებული საჭმელს დაეძებს, შიმშერისდარად სოსნისფერი ზოლები უჩნდება გვერდებზე. ეს რა, სიმწრისგან ემართება, თუ ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად რომ ცურავს?”

ბინდბუნდში ნავმა სარგასული წყალმცენარეების ბარდნარს ჩაუარა, მათი ღაზლები მომცრო ზვირთებზე აღმა-დაღმა იხეწებოდნენ, თითქოს ოკეანე ყვითელი საბნის ქვეშ რაღაცას ვნებიანად ეალერსებო, სწორედ ამ დროს ბერიკაცის პატარა ანკესზე სკუმბრია წამოეგო. პირველად მას ბერიკაცმა მაშინ მოჰკრა თვალი, როცა წყლიდან ამომხტარი თევზი ჩამავალი მზის სხივებზე თავანკარა ოქროსფრად ბრწყინავდა, იკლაკნებოდა და თავის ბოლოს ჰაერში აქნევდა. დაფეთებული თევზი ისევ და ისევ ხტოდა ზედაპირზე, ყირაზე გადადიოდა. ამასობაში ბერიკაცი კიჩოსკენ მიბრუნდა, ჩაიცუცქა და, რაკი მარჯვენა ხელი მთლიანად დიდი სიმით ჰქონდა დაკავებული, მარცხენა ხელით სკუმბრიის ამოზიდვას შეუდგა, თან მარცხენა შიშველ ფეხს ამოწეულ მკედს აჭერდა. როცა თევზი უკვე კიჩოსთან ახლოს სასონარკვეთილი წყალს აქეთ-იქით ეხეთქებოდა, ბერიკაცი ნავიდან გადაიხარა და სოსნისფრად დაჩითული, ოქროსფრად მოელვარე თევზი ნავში გადმოათრია. თევზს კრიჭა უთრთოდა, ხახაში გაჩხერილ კაუჭს მალიმალ კვნიტდა, მისი გრძელი და ბრტყელი სხეული, ბოლო და თავი კანჯოს ფსკერს ენარცხებოდა. ბერიკაცმა ოქროსფრად მბზინავ თავში კეტი დაარტყა, თევზმა უკანასკნელად გაიბრძოლა და გაყურდა კიდეც.

ბერიკაცმა თევზი კაუჭიდან გამოაძრო, კავს ისევ სარდინი წამოაგო და წყალში გადაისროლა. მერე ნავის ცხვირისკენ დინჯად გაჩოჩდა, მარცხენა ხელი ჩაიბანა და შარვალზე შეიმშრალა. მარჯვენა ხელიდან მძიმე სიმი ახლა მარცხენაში გადაიტანა. მარჯვენა ხელიც ჩაიბანა ზღვაში (თან მზეს შესცქეროდა, როგორ ეშვებოდა ოკეანეში, დიდ მკედსაც შეხედა, დახრის კუთხე ხომ არ შეცვლილა).

— როგორც იყო, ისევეა, — თქვა ბერიკაცმა. ახლა ხელს დააკვირდა, ზღვის წყალი რომ ესხმოდა და მიხვდა, რომ გვარიანად უკლო სვლას ნავმა.

— ნიჩბებს ერთმანეთს მივაბამ და კიჩოზე გარდიგარდმო დავამაგრებ, ეგება კიდეც უფრო გაუჭირდეს წინსვლა ამალამ, — თქვა ბერიკაცმა, — თევზი ამალამაც გაძლებს და არც მე შევეპუები.

„მე მგონი, ამ სკუმბრიის გამონვლა არაა საშური საქმე, ხორცი გამოშრება, — გაიფიქრა ბერიკაცმა. — ცოტა დავახანებ და მერე მოვკიდებ ხელს, ნიჩბებსაც მერე გადავაბამ ერთმანეთს, ნავის სრიალი რომ შევანელო. ახლა კი თევზი მშვიდად უნდა იყოს, რაკი მზე ჩადის, არ უნდა შევაშფოთო. მზის ჩასვლა ყველა თევზისთვის დიდი შეჭირვების ყამია“.

ხელი შეუშრა და მაგრად ჩასჭიდა სიმს, თან მთელი სხეული, რაც შეეძლო, მოადუნა და მიენდო დაძაგრულ სიმს, რომელმაც წინ გაათრია, შემოფიცრულთან. მკედის სიმძიმე ამჯერად ნავს უფრო მეტად დააწვა ვიდრე ბერიკაცს.

„გზადაგზა ვსწავლობ კიდეც, როგორ მოვიქცე“, — ფიქრობდა ბერიკაცი, — ყოველ შემთხვევაში, ამ დროისათვის ყველაფერი რიგზეა, ისიც სათვალავშია ჩასაგდები, რომ მას მერე, რაც თევზმა ჩატყუარა იგემა, იმ-

ის პირში აღარაფერი ჩასულა. ვეებერთელა თევზია და იმის ფაშუსაც დიდძალი საკვები სჭირდება. მე კი ერთი მთელი თინუსი უკვე მივირთვი, ხვალისთვის სკუმბრია მაქვს შემონახული. ბერიკაცი მას dovado'-ს უწოდებდა. როცა გამოვწვავ, ცოტას მაშინვე გაახლები. ეს თინუსზე უფრო ძნელი საჭმელია, მაგრამ რას ვიზამ, იოლი არაფერია ამ ქვეყანაზე.

— თავს როგორ გრძნობ, თევზო? — ხმამაღლა დაუკოცა ბერიკაცი, — მე მშვენივრად ვარ, მარცხენა ხელი უკეთ მაჭვს ღვაჭრის ძაღლესამის სამყოფი საჭმელიც უკვე გავიმზადე. შენ კი, თევზო, ისევ გასწიე შენი ჭაპანი.

სინამდვილეში ასე არხეინად არ გრძნობდა თავს ბერიკაცი. მართალია, ბეჭებზე ჩაჭერილი მკედის სიმწარე თითქმის განელეობდა, მაგრამ ყრუდ ჩარჩენილი ტკივილი გულს უღონებდა. „უარესი გაჭირვებაც გამომივლია, — მსჯელობდა ბერიკაცი, — ერთი ხელი ოდნავ მაქვს გაკანრული, მეორეს უკვე თავისუფლად ვხმარობ, ფეხზეც მყარად ვდგავარ. გარდა ამისა, კვების საკითხიც თევზზე უკეთ მაქვს მოგვარებული“.

უკვე ბნელოდა, სექტემბერში მზე ჩადის თუ არა, უმალ ბნელდება. ნავის ცხვირთან, დაჩვრეტილ შემოფიცრულთან მიწვა ბერიკაცი და რამდენადაც შეეძლო, მოეშვა. ცაზე გამოკრთდნენ პირველი ვარსკვლავები. ბერიკაცმა არ იცოდა სახელი რიგელი, მაგრამ დაინახა თუ არა მოკიაფე დიდი ვარსკვლავები, მიხვდა, რომ მას ბევრი სხვაც მოჰყვებოდა და ბერიკაცის შორეული მეგობრები კვლავ მისი თანამგზავრები გახდებოდნენ.

— ეს თევზიც ჩემი მეგობარია, — ხმამაღლა განაცხადა ბერიკაცმა, — ასეთი უჩვეულო არც ოდესმე მინახავს, არც ოდესმე გამიგონია. მაგრამ სიცოცხლე მაინც უნდა მოვუსპო. როგორ მიხარია, ვარსკვლავების მოსპობა რომ არ გვევალება!

„ერთი წუთით წარმოიდგინე, ადამიანი მთვარეს მოსაკლავად დასდევდეს, მთვარე კი გაურბოდეს, ან როგორია, ადამიანი დღენიადაგ მზის მოკვლას ლამობდეს? ბედნიერ ვარსკვლავზე ვყოფილვართ ადამიანები დაბადებულნი“, — დაასკვნა ბერიკაცმა.

ბერიკაცს შეებრალა დიდი თევზი, საჭმელი რომ არ ჰქონდა, მაგრამ მის გადაწყვეტილებას მოეკლა თევზი ეს საბრალული ვერ ანელეებდა. ჰაუ, რამდენს დააპურებსო, გაიფიქრა. „მაგრამ განა ხალხი იმის ღირსია, რომ ამისთანა თევზი შეჭამოს? არა, რა თქმა უნდა, არ არის. ქვეყნად არავინაა ღირსი, ასეთი გამორჩეული ქცევისა და ღირსებით სავსე თევზი იმის ლუკმად რომ იქცეს“.

„რას გაიგებ, რა და როგორ ხდება, — მსჯელობდა თავისთვის ბერიკაცი მაგრამ მწამს, დიდი სიკეთეა, რომ არ გვიხდება ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოვკლათ მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ისიც გვეყოფა, მარჩენალ ზღვას რომ ვუკლავთ ბინადართ, ჩვენს ღვიძლ ძმებს“.

„ახლა კი, — შეწყვიტა ბჭობა ბერიკაცმა, — კარგად უნდა ავწონდავწონო, ღირს კია ნიჩბებით ნავის დამუხრუჭება? ჰოც და არაც. თუკი თევზი შეეცდება ხელიდან დამისხლტეს, დიდძალი ძაფი დაიკარგება და მაშინ თევზიც დამეკარგება, რაკი კიჩოზე დამაგრებული ნიჩბების მუხრუჭი ნავს სიმჩატეს დაუკარგავს, დაამძიმებს, ნავის სიმჩატე ახანგრძლი-

1. ოქროსი, დიდებული (ესპ.).

2. ორიონის თანავარსკვლავედის დიდი ვარსკვლავი.

ვებს ჩვენ ორივეს ტანჯვა-წვალებას. ამასთანავე ხსნაცაა ჩემთვის. თუკი ნავი მსუბუქად ივლის, თევზს შეუძლია ბევრად უფრო სწრაფად გასწიოს წინ. ახლა კი, რაც არ უნდა მოხდეს, სკუმბრიას გამოვწლავ, თორემ აყროლდება და ცოტას შევჭამ კიდევ, რომ მოვლონიერდე“.

„ახლა კიდევ ერთ საათს მოვისვენებ, თან შევამონმებ, თევზი/კვლავინდებურად თავის გზას ადგას თუ არა, მერე კიჩოსთან მივბრუნდები, რაც გასაკეთებელია, გავაკეთებ და გადავწყვეტ, რა დამეფიცოს ჩირჩვენია. ამასობაში თევზს შევატყობ როგორ იქცევა, ახალს ხომ არაფერს აპირებს. ნიჩბებით ნავის დამუხრუჭება ურიგო ფანდი არაა, მაგრამ ახლა უკვე ისეა საქმე, ნაღდ მოგებაზე უნდა ვიზრუნო! თევზი ჯერ კიდევ ბევრის შემძლეა, მე დავინახე, რომ კაუჭი შიგ პირში, კუთხეში აქვს გარჭობილი, პირი კი მაგრად აქვს დამუწული. გაჩხერილი კაუჭით წამებას კიდევ აიტანს თევზი, მაგრამ შიმშილით წამება და თან გამოუცნობი საფრთხის პირისპირ ყოფნა, აი რა არის გაუსაძლისი. ახლა კი, მოისვენე, ბერიკაცო, აკეთოს თევზმა თავისი საქმე, შენი ჯერიც დადგება მალე“.

ორი საათით მაინც შევძელი დასვენებაო, ივარაუდა ბერიკაცმა. მთვარე აღარ ჩქარობდა ცაზე გამოჩენას, ამიტომაც გაუჭირდა დროის გამოცნობა. ის მოსვენებაც რა მოსვენება იყო. ისევ ისე გრძნობდა ბეჭებზე უღლის სიმწარეს, თუმც კი შეეცადა ნავის ცხვირის ფიცარზე დაყრდნობილი მარცხენა ხელიდან თევზის სიმძიმე თავად ნავზე გადაეტანა.

„ნამდვილად შვებით ამოვისუნთქავდი, მკედი რომ ნავზე დამემაგრებინა, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — მაგრამ მაშინ თევზი ოდნავაც რომ შეტოკდეს, მკედი განყდება. დამძიმებულ სიმს ჩემი სხეული უნდა შევაშველო, თანაც ყოველ წუთს მზად ვიყო, მკედი ორივე ხელით ჩავუშვა წყალში“.

— კი მაგრამ, შენ ხომ გამოუძინებელი ხარ, — თავს შეუძახა ბერიკაცმა, — გუშინ ნახევარი დღე, მერე ღამე, დღეს უკვე მეორე დღეა, რაც არ გიძინია. სანამ ქკვიანადაა, როგორღაც უნდა მოახერხო თვალი მოატყუო. ცოტას მაინც თუ არ წაიძინებ, შეიძლება გონება დაგიბნელდეს კიდევ.

„მაგრამ გონება ნათელი მაქვს, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — მეტიმეტად ნათელი. ჩემი გონება ისევე ბრწყინავს, როგორც ჩემი ძმები, ვარსკვლავები. და მაინც უნდა დავიძინო. ვარსკვლავებიც იძინებენ, მთვარეც, მზეც იძინებს, ოკეანეც კი იძინებს ზოგჯერ, როცა დინება არ ალელვებს და არ შფოთავს გლუვი ზედაპირი“.

„დროზე დაიძინე, — არიგებდა თავის თავს ბერიკაცი, — თავს ძალა დაატანე და დაიძინე. რამე უნდა იღონო, მკედი უბრალოდ და საიმედოდ რომ დაამაგრო. ახლა კი კიჩოსთან მიბრუნდი და სკუმბრია გაამზადე. ვაითუ ნიჩბების ფანდმა შარში გაგხვიოს, მეტადრე თუ ძილს აპირებ“.

— კიდევ ვიფხიზლებდი ერთხანს, — უთხრა თავის თავს ბერიკაცმა, — მაგრამ საშიშია, ვაითუ ამდენი უძილობით ფათერაკს რასმე გადავეყარო.

ბერიკაცი ჩოჩვით დაადგა გზას უკან, კიჩოსკენ, აქაოდა, უცაბედად არ მომიხდეს სიმის განძრევა და თევზის შეშფოთებაო. „თევზი, შეიძლება, ახლა თავადაც თვლემს, მაგრამ იმის დასვენება მე რას მარგებს. იმდენი უნდა სწიოს ქაპანი, სანამ სული არ ამოხდება“, — გაიფიქრა ბერიკაცმა.

კიჩომდე რომ მიაღწია, ისე შეტრიალდა, რომ ბეჭებზე გადმოსული

სიმის მთელი სიმძიმე მარცხენა ხელში აიღო, მარჯვენათი ქარქაშიდან დანა ამოაძრო. ამ დროს ვარსკვლავები ისე ბრწყინავდნენ, რომ ბერიკაცი სკუმბრიას მკაფიოდ ხედავდა, დანა თევზს თავში ჩაურჭო და კიჩოს საფარიდან გამოათრია, ფეხი დააჭირა და მუცელი ბოლოდან ქვედა ყბამდე გაუფატრა. მერე დანა ძირს დადო და თევზი მარჯვენა ხელით გამოწლა, პირნმინდად გამოასუფთავა, ლაყურებიც ამოჰგლეჯა. ბუშტი მძიმე იყო და ხელში სრიალებდა, როცა გაჭრა, შიგნით კრტა მფრინავი თევზი დაინახა. ცინცხალი, სალი თევზები იყო, ერთმანეთის გვერდიგვერდ დააწყო, შიგნეულობა და ლაყურები წყალში ისროლა, ჩაძირვისას შიგნეულობა განათებულ კვალს ტოვებდა. გათოშულ სკუმბრიას ვარსკვლავების შუქზე კეთროვანივით მიწის ფერი ედო. ბერიკაცმა სკუმბრიას თავზე მარჯვენა ფეხი დააჭირა, ცალ მხარეს ქეცედი გააძრო, მერე თევზი გადმოათრიალა, ქეცედი მეორე მხარესაც გააცალა და ორივე გვერდიდან ხორცი თავიდან ბოლომდე ააჭრა.

ბერიკაცმა თევზის ჩონჩხი ნავიდან გადაუშვა და თვალის მიადევნა, წყალზე ძაბრისებრი კვალი ხომ არ ჩანსო, მაგრამ ოკეანეში ნელინელ ჩაღრმავებისას ჩონჩხი ოდენ ნათელ კვალს ტოვებდა. მერე მეთევზე მოტრიალდა, ორი მფრინავი თევზი სკუმბრიის სუკის ნაჭრებს შუა მოათავსა, დანა ქარქაშში ჩააგო და უკან, ნავის ცხვირისკენ, მძიმე-მძიმედ გასწია. სიმის სიმძიმისგან ბეჭებში მოხრილ ბერიკაცს თევზი მარჯვენა ხელით მიჰქონდა.

ნავის ცხვირამდე მიაღწია თუ არა, თევზის სუკის ორი ნაჭერი მფრინავ თევზებიანად ფიცარზე დააწყო, ბეჭებზე გადაჭერილ მკედს ადგილი ოდნავ შეუნაცვლა და ნავის ქიმზე დაყრდნობილ მარცხენა ხელში ჩაიჭირა. მერე ბერიკაცი ნავიდან გადაიხარა, მფრინავი თევზი წყალში გაავლო, დააკვირდა წყალს ხელზე რომ ესხმოდა, დინების სისწრაფე სურდა გაეგო. წყალში ანათებდა ბერიკაცის ხელი, რომლითაც თევზს ქეცედი გააძრო, შესცქეროდა წყალს, მის ხელს რომ ელამუნებოდა. წყალი მდოვრედ მიედინებოდა, ნავის ფიცარს ხელის კიდე დაუსვა, ხელს მოსცილდა ფოსფორის ნაწილაკები, რომლებიც წყალმა რწვეა-რწვეით ნავის კიჩოსკენ წაიღო.

— ვერ გამიგია, საბოლოოდ გამოელია ღონე, თუ უბრალოდ, ისვენებს, — თქვა ბერიკაცმა, — ნეტავ როგორმე ერთი-ორი ლუკმა მაჭამა, მომასვენა და თვალი მომახუჭინა.

უფრო და უფრო აცივდა. ვარსკვლავების შუქზე ბერიკაცმა ერთი სუკის ნახევარი და უკვე გამოწლული, თავმოჭრილი მფრინავი თევზი შეჭამა.

— რამდენადაც დიდებულია ცეცხლზე დამზადებული სკუმბრია, იმდენად საძაგელია ნედლი, — თქვა ბერიკაცმა, — აღარასდროს გავალ ნავით ზღვაში ისე, რომ მარილი ან ლიმონი ხელს არ გავაყოლო.

„ჭკუა რომ მეხმარა, ნავის ცხვირზე მთელი დღე ოკეანის წყალი უნდა მესხა, ნელ-ნელა გამოშრებოდა და ხაშურიც მექნებოდა. თუმცა, რაკი ეს თევზი ლამის მზის ჩასვლისას დავიჭირე, საჭმელად მაინც არ ივარგებდა. არა უშავს რა, ისე საგულდაგულოდ დავლეჭე ეს ნაჭერი, რომ ახლა სულაც არ მერევა გული“, ფიქრობდა ბერიკაცი.

აღმოსავლეთით ცა იქუფრებოდა, ბერიკაცის ნაწილები ვარსკვლავები

ზედიზედ ქრებოდნენ, ისე ჩანდა, თითქოს ბერიკაცი ღრუბლების ვებ-ურთელა ვინრობში შედისო, ქარი უკვე ჩამდგარიყო.

— სამი, ოთხი დღეც და გაავდარდება, — თქვა ბერიკაცმა, — მაგრამ ჯერ არა, არც ამალამ და არც ხვალ. ახლა მოდი, შე ბებრუცუნავ, როგორმე დაიძინე, სანამ თევზი ძველებურად მშვიდადაა და მტკიცედ ადგას თავის გზას.

ბერიკაცს სიმი მაგრად ეჭირა მარჯვენა ხელით, მერე — ხელს მარჯვენა ძვალზე შეაშველა და მთელი სიმძიმით ნავის ცხვირის ფიცარს მიაწვა. მერე სიმი მხრებიდან ოდნავ ჩასწია და მას მარცხენა ხელითაც ჩააფრინდა.

„მარჯვენას მკედი მანამ ეჭირება, სანამ ასე საიმედოდაა გამაგრებული, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — მაგრამ ძილში ნელ-ნელა თუ მოეშვება, მარცხენა ხელი გამალვიძებს, რაკი შეიგრძნობს, როგორ მისრიალებს ძაფი ოკეანეში. მარჯვენა ხელს დიდი ჯაფა ადგას, მაგრამ ჭირთა თმენას დაჩვეულია. ნეტავი კი ოციოდე წუთით, ან ნახევარი საათით მიმაძინა, მაშინ აღარაფერი მიჭირს“. მერე წინ, ცხვირის ფიცართან მთელი სხეულით მკედს მიეკრა, თევზის მთელი სიმძიმე მარჯვენა ხელს დააკისრა. თავიდან ლომები არ დასიზმრებია, რვა თუ ათ მილზე გაჭიმული ზღვის ღორების ვეება კოლტი მოელანდა. დანყვილების ხანა ჰქონდათ, ვითომ, მალლა ჰაერში ხტებოდნენ და მერე წყალში იმავ ღრმულში ბრუნდებოდნენ, ზედაპირზე ამოხტომისას რომ აჩენდნენ.

სოფელიც ელანდებოდა. ვითომ თავის სანოლში წევს და ჩრდილოეთის ქარი ქრის, ძალზე სცივა, მარჯვენა ხელი დაჰბუფებია, რადგან ბალიშის მაგივრობას უწევს და თავქვეშ უდევს ბერიკაცს.

მერე გრძელი, ყვითელი სანაპირო ზოლი ეზმანებოდა. ახლა უკვე სანაპიროზე ჯერ ერთი ლომი გამოჩნდა, ვითომ, შელამებულზე, მას სხვები მოჰყვნენ, ბერიკაცს ნიკაპი ღუზაჩაშვებული გემის ქიმზე აქვს ჩამოდებული, ნაპირიდან მქროლავი მწუხრის ნიავი სახეში სცემს. ელოდება ბერიკაცი, ეგებ ისევ გამოჩნდნენ ლომებო და უსაზღვრო ნეტარებას გრძნობს.

მთვარე დიდი ხნის ამოგორებული იყო, ბერიკაცს კი ისევ ეძინა, ისევ ეწეოდა თევზი დინჯად თავის ჭაპანს, ისევ მიცურავდა კანჯო ღრუბლების ვინრობში.

მაშინ გაიღვიძა, როცა ერთბაშად, მარჯვენა ხელის ქისტი სახეში მოხვდა, ისე სწრაფად გაურბოდა მკედი წყალში, რომ ხელისგულს უწვავდა. ბერიკაცი მარცხენა ხელს ველარ გრძნობდა. ისევ მარჯვენით შეეცადა მოეთოკა ეს გამალებული სრიალი, მაგრამ ვერაფერი გააწყობო. ბოლოს, როგორც იქნა, მარცხენათი მოიძია სიმი და ზურგით მიაწვა, გაცხარებულმა სიმმა ახლა ბეჭები და მარცხენა ხელიც აუნვა, მარცხენამ იტვირთა მთელი სიმძიმე და გვარიანად დაიშაშრა კიდეც. ბერიკაცმა გადმოხედა ძაფის ხვიებს, მკედი მოდიოდა და მოდიოდა შეუფერხებლად. სწორედ ამ დროს, თევზი წყალში შექანდა და ოკეანის ზედაპირს დიდი ხმაურით ამოასკდა, მერე მძიმე ზღართანით ჩაეშვა ისევ სილრმეში. კიდეც და კიდეც შექანდა თევზი, ნავი სწრაფად წინ მიიწევდა. თუმცა მკედი წყალში უწინდებურად თავანყვეტით მისრიალებდა, ბერიკაცი ლამის განყვეტამდე ჭიმავდა სიმს, ისევ და ისევ ლამის განყვეტამდე ჭიმავდა

სიმს, ამასობაში კანჯოს ცხვირს ისე მაგრად მიეხალა, რომ სკუმბრიის ნაჭერს პირქვე დაემხო და ველარც გაინძრა ერთხანს.

„აღსრულდა, რასაც ველოდით, ახლა კი უნდა ჩავიგდოთ ხელში, — გაიფიქრა ბერიკაცმა. — ვაზღვევინებ მკედის საფასურს, უსათუოდ ვაზღვევინებ“.

თევზის ბუქნაობას ვერ ხედავდა ბერიკაცი, მაგრამ მისი მხარეც ესმოდა, რა შხუილით ალებდა პირს ოკეანე და რა ზათქით უხლანდა თევზი სიღრმეში. სიმის სწრაფი სრიალი უმოწყალოდ უსერავდა ხელებს ბერიკაცს. ადრევე იცოდა ეს მოხდებოდა და შეეცადა მკედი დაკორძებულ ადგილს მოხვედროდა, რომ ხელისგულები და თითები დაეზოგა.

„ბიჭი ახლა აქ რომ მყოლოდა, დამისველებდა მკედის მთელ ხვეულს, — გაიფიქრა, — დიახაც რომ დამისველებდა. ნეტავ ახლა აქ იყოს ბიჭი, ნეტავ კი მართლა“.

ძაფი ისევ და ისევ მისრიალებდა, თუმც კი თანდათან სისწრაფე აკლდებოდა. ბერიკაცი თავს არ ზოგავდა, თევზს უკვე სიმწრით უხდებოდა მკედის თითოეული გოჯის მოპოვება. ბერიკაცმა აართვა თავი ფიცარს და მასზე დადებულ თევზის ნაჭერს, რომელიც თავისი ცხვირ-პირით გვარიანად დაებრტყელებინა. ჯერ კვირისთავეს დაებჯინა, მერე დინჯად წამოიძარტა და წელში გაიშალა. ისევ უშვებდა წყალში სიმს, მაგრამ სულ უფრო და უფრო ნაკლებად. მერე უკან გაინია, რომ ფეხით მოესინჯა სიმის ხვიები, რაკი სიბნელეში არ ჩანდა. კანჯოში სიმი ჯერ კიდევ ბლომად იყო და ახლა თევზს მთელი ამ მკედის სიმწარეც უნდა ეგემა და წყალში მისი თრევაც განეგრძო.

„მაშ ასე, — მოჰყვა ისევ განსჯას გუნებაში ბერიკაცი, — ალბათ უკვე ათი-თორმეტჯერ, თუ მეტად არა, ამოხტა თევზი, ბუშტები ჰაერისგან დაღებრებოდა, ველარ შეძლებს ჩაღრმავებას და იქ სიკვდილს, თორემ იქიდან მერე რა ამოზიდავს. მალე წრეებს დაუვლის და აი, მაშინ დამჭირდება ფხის გამოჩენა. რა იყო მაინც, რა თავზარი დაეცა ანაზღეულად? შიმშილმა აანრიალა ასე უსაშველოდ, თუ წყვდიადში რაღაცამ დააფრთხო? რა უცაბედმა შიმშიმა აიტანა? მერე როგორი წყნარი და ღონიერი თევზი ჩანდა, თითქოს უშიშარი და თავის თავის მოიმედეო. უცნაურია“.

— შენს თავს მიხედე, ბებრუცუნავ, თავად უნდა იყო უშიშარი და შენი თავის მოიმედე, — თქვა ბერიკაცმა, — რა ხანია თევზი ანკესზე გყავს წამოგებულნი, მაგრამ ადგილიდან ძვრაც ვერ უყავი. თუმცა მალე ტრიალს მოჰყვება.

ბერიკაცს თევზის სიმი ახლა მარცხენა ხელითა და მხრებით ეჭირა. დაიხარა, მარჯვენა ხელის პეშვით წყალი ამოიღო, რომ სახეზე მიკრული სკუმბრიის ნამცეცები ჩამოურეცხა. ეშინოდა, ვაითუ გულზიდება, ღებინება დამენყოს და ამისგან დავსუსტდეო. პირის ბანას რომ მორჩა, მარჯვენა ხელი გადაჰყო კანჯოდან და ჩაიბანა, გააჩერა მარილიან წყალში, მოახლოებულ ალიონს თვალი გაუსწორა. „ჩანს, აღმოსავლეთისკენ აიღო გეზი, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — ეს იმას ნიშნავს, რომ დაიღალა და დინებას მიჰყვება. არა უშავს, მალე მოუხდება წყალში ტრიალი. მაშინ გამოჩნდება, რისი შნო გვაქვს“.

კარგა ხანს გავაჩერე მარჯვენა ხელი წყალში და კმარაო, გადანყვიტა, ხელი ამოიღო და შეათვალიერა.

— არაა ღრმა ეს იარები, — თქვა ბერიკაცმა, — ტკივილი კი მამაკაცისთვის არაფერი ბედენაა.

ბერიკაცმა ფრთხილად მოჰკიდა ხელი სიმს, რომ ახლადგაჩენილ იარებში ისევ არ ჩასჭროდა და ისე მოკალათდა, რომ ახლა მარცხენა ხელი ჩაეყო წყალში მოპირდაპირე მხარეს.

— რაკი ასეთი წყალნადებული ხარ, დიდად ვერ დაგემდებები, — ბერიკაცმა მარცხენა ხელს მიმართა, — მაგრამ ერთი კერძი შენთვის გამომეცალე ხელიდან.

„ნეტავ რატომ არ დამანათლა გამჩენმა ორი მაგარი ხელი?, — გაიფიქრა. — ეგება ჩემი ბრალია, რომ არ გავაკაფე როგორც წესი და რიგია. მაგრამ ღმერთია მოწამე, თავად შეეძლო ბევრ რამეში განაფულიყო, თუმცა წუხელ მაინცდამაინც ურიგოდ არ მოქცეულა. მანამდე კი მხოლოდ ერთხელ მოიკაკვა, მაგრამ თუ კიდევ მოიკაკვება, მირჩევნია, სულ მომკვეთოს სიმმა“.

ეს რომ გაიფიქრა, ბერიკაცმა იგრძნო, რეტი ესხმოდა და გადაწყვიტა, კიდევ შეეჭამა სკუმბრიის ნაჭერი.

— მაგრამ თუკი არ შემიძლია, — უთხრა თავის თავს, — მირჩევნია დარეტიანებული ვიყო, ვიდრე ღებინებისგან სიქაგამოცლილი. გადაყლაპვით შეიძლება გადავყლაპო, მაგრამ ვიცი, არ შემრჩება კუჭში იმიტომ, წელან ცხვირ-პირი ზიპის სუნით რომ გამეფლინთა. ამ ნაჭერს სხვა საგანგებო შემთხვევისთვის გამოვიზოგავ, თუკი არ აყროლდა. მაგრამ უკვე ძალზე გვიანაა, აღარც ღირს ჭამა, არ შემერგება.

— შე ჩერჩეთო ბებრუცუნავ, — გაუჯავრდა თავის თავს, — მეორე მფრინავი თევზიც ხომ გაქვს, ის შეჭამე.

გამონლული, გამზადებული მფრინავი თევზი აქვე, ფიცარზე იდო, მარცხენა ხელით აიღო და დიდი მონდომებით, ძვლებიან-ბოლოიანად ჩაახრამუნა.

„ეს თევზი თითქმის ყველა სხვა თევზზე უფრო მანიერია, — გაიფიქრა, — ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ახლა პირდაპირ მისწრება იყო, ძალა მოვიკრიბე. ჩემის მხრივ, რაც შეეძლო, გავაკეთე, ახლა ჯერი თევზზეა, ჯერ წყალში ტრიალი დაიწყოს და მერე ხელჩართული ბრძოლის დროც დადგება“.

მესამეჯერ გახდა ბერიკაცი შუა ზღვაში მზის ამოსვლის მოწმე და თევზმაც იწყო წყალში წრეების შემოვლება.

წყალში სიმის დახრის მიხედვით ბერიკაცი ვერ მიხვდებოდა, თევზმა ტრიალი რომ დაიწყო. საამისოდ ჯერ ძალზე ადრე იყო, დაჭიმული მკედის იოტისოდენა მოშვება იგრძნო მხოლოდ და მაშინვე დინჯად იწყო მისი ამონევა მარჯვენა ხელით. მკედი უწინდებურად დაიძაგრა და სწორედ იმ დროს, როცა თითქმის განყვეტაზე იყო, ძალდაუტანებლად წამოვიდა. ბერიკაცმა მხრები და თავი მკედისგან დაიძვრინა და მშვიდად, ფრთხილად შეუდგა მის ამოზიდვას. აქნევდა ხელებს, ჩამომჭკნარ ფეხებს და მხრებს, ცდილობდა მთელი სხეულით, როგორც შეეძლო, ჩართულიყო ამ ერთიან მოძრაობაში და ასე რწვეა-რხევით ამოჰქონდა მკედი ბერიკაცს.

— კარგა დიდი წრე შემოხაზა, — თქვა მან, — რაც მთავარია, უკვე დაიწყო.

მაგრამ შეჩერდა სიმში, ერთხანს უძრავად ეჭირა ბერიკაცს, სანამ უწი-

ნდებურად არ დაიჭიმა და მასზე მხტუნავი, მზეზე აბრჭყვიალებული წყლის წვეთები არ დაინახა. მერე სიმმა ნავიდან სრიალი იწყო, ბერიკაცმა ჩაიჩოქა და, სხვა რა გზა ჰქონდა, მკედი უკან, ჩაქუფრულ წყალში გაუშვა.

— ახლა თეზი წრის ყველაზე შორ მონაკვეთზე მიცურავს, — თქვა მან, — მკედი არაფრით არ უნდა მობოშდეს. მაგრამ მკედი სიმის ყოველ შემოვლაზე წრეს შეუვიწროებს და, ვინ იცის, ბერიკაცი შემდეგ იქნებ შევხვდე კიდევ მას პირისპირ. ახლა ჯერ უნდა დავემტკიცო, გჯობნი-მეთქი, მერე კი წირვა გამოვუყვანო.

უკვე ორი საათი გავიდა, მაგრამ თეზი არ ჩქარობდა, ნება-ნება ხაზავდა წყალში წრეებს, ბერიკაცი ოფლში გაიწურა, ილაჯი გაუწყდა. ეს კია, რომ წრეებამდე მანძილი ძალზე დაპატარავებულიყო და წყალში დახრილი სიმის შემხედვარე ბერიკაცი მიხვდა, რომ თეზი ცურვა-ცურვით შეუცდომლად ზევით იწევდა.

უკვე ერთი საათი იქნებოდა, რაც თვალემა აჭრელება დაუწყო, მლაშე ოფლიც უწვავდა თვალეებს, უწვავდა ნაჭდევს წარბთან, შუბლზე. თვალეებში მოხტუნავე შავი წერტილები ბერიკაცს სულაც არ აფრთხობდა, დიდი იყო დაჭიმულობა, როცა ამ სიმძიმეს ეზიდებოდა ზევითკენ მკედით. მაგრამ ორჯერ რომ თავბრუ დაესხა და ღონემ უმტყუნა, ამან კი ძალზე შეაშფოთა ბერიკაცი.

— ისე როგორ გამინყრება ღმერთი, რომ ამ უმსგავსო თეზმა გადამიყოლოს, — თქვა ბერიკაცმა, — მერე და ახლა, როცა ასე მშვენივრად მიდის ჩემი საქმე, ღმერთო, შენ მიშველე, გამაძლებინე. ასჯერ „მამაო ჩვენოს“ ვიტყვი და ასჯერ „ღვთისმშობელო მარიამს“. მაგრამ ახლა ვერ შევძლებ ვილოცო.

„ვითომ უკვე ვთქვი, — გაიფიქრა, — სულერთია, მერე მაინც ვიტყვი“.

სწორედ ამ დროს მკედზე, ორივე ხელით რომ ეჭირა, მოულოდნელი დარტყმა და ერთბაშად განევაც იგრძნო, წყვეტილი მოძრაობა მძიმე, ძლიერი იყო.

„თავის დაშნისებურ ცხვირ-პირს მკედზე მიმაგრებულ კაუჭიან სინას ურტყამს, — იაზრა ბერიკაცმა, — ეს ასეც უნდა მომხდარიყო, სხვა გზა არ ჰქონდა. ოღონდ ერთი კია, შეიძლება წყლიდან ამოხტეს, მე კი მიჩვევნი, რომ ახლა წრიულად ცურვა განაგრძოს. ზედაპირზე ხტუნვა კარგი იყო, სანამ ბუშტები ჰაერით გაევსებოდა. ახლა კი ხტუნვისგან კაუჭის შერჭობის ადგილი ისე შეიძლება გაუფართოვდეს, რომ ბოლოს და ბოლოს კავი გამოძვრეს კიდევ პირიდან“.

— ნუ იხტუნებ, თეზო, — შესთხოვა, — არ გინდა, ნუ იხტუნებ.

თეზმა კიდევ რამდენჯერმე გაჰკრა ცხვირპირი მავთულს და რამდენჯერაც თავი გააქნია, იმდენჯერ გამოზოგვით ჩაუშვა მკედი წყალში ბერიკაცმა.

„არ უნდა გავუმწვაო იარა, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — ჩემთვის ტკივილი არაფერია, ტკივილს როგორ ვერ გავუძლებ, თეზი კი ტკივილმა შეიძლება გააცოფოს“.

გავიდა ხანი და თეზმა შეწყვიტა სინას გამოკვრა, კვლავ ნება-ნება წრეების შემოვლას შეუდგა. ბერიკაცმა მკედის ბეჯითად ამოწვევას მიჰყო ხელი, მაგრამ გულის შეღონების განცდა ისევ მოეძალა. მარცხენა პეშ-

ვით ზღვის წყალი ამოიღო და თავი დაისველა, მერე კიდევ დაისველა თავი და კეფა დაიზილა.

— კრუნჩხვები აღარ მანუხებს, — თქვა ბერიკაცმა, — თევზი საცაა წყლიდან ამოვა, ამასაც მოვესწრები. უნდა გამაგრდე და მოესწრებ, სხვა საშველი არაა, კრინტიც არ დაძრა.

ბერიკაცმა ჩაიჩოქა, ნავის ცხვირს მიეყუდა, სიმი მცირე ხელიდან კვლავ მხრებზე გადაიტანა: „ერთი ბენოთი მოვითქვამ სულს, სანამ გარს უვლის. მერე ნამოვდგები და, როგორც კი მომიახლოვდება, შევებები კიდევ“, — გადაწყვიტა ბერიკაცმა.

ერთი სული ჰქონდა, კანჯოს ცხვირის ძირში მიწოლილიყო, თევზი ნებაზე მიეშვა და ერთი წრე მაინც თევზს თავად, მკედის ამოუნეველად, შემოეხაზა. მაგრამ მალე სიმი ისე დაიჭიმა, ბერიკაცი მიხვდა, თევზი შემოტრიალდა და ნავისკენ გამოეშურაო, თავადაც ნამოიმართა და მკედის მოზიდვა იწყო, ხელებს სხეულის ტრიალით, გადაქან-გადმოქანებით ეხმარებოდა, თევზისაგან წართმეული მკედი ბერიკაცმა ნავში გადმოიტანა.

„ასეთი არაქათგამოცლილი ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — თანაც ქარი ამოვარდა, მაგრამ ქარი ერთობ შემწევა თევზის წაღებაში, პირდაპირ მისწრება იქნება“.

— ახალი წრის შემოვლას რომ დაიწყებს, მაშინ მოვითქვამ სულს, — თქვა ბერიკაცმა, — ახლა ბევრად უკეთ ვგრძნობ თავს. კიდევ ორ-სამ წრეს შემოხაზავს და ხელშიც ჩამივარდება.

ჭილის ქუდი კინკრიხოზე მოქცეოდა; როცა თევზი შეტრიალდა და სიმის განწვევაც იგრძნო, ნავის ცხვირზე ჩაეშვა.

— აბა, შენ იცი, გაისარჯე, თევზო, და რომ მობრუნდები, ე მაშინ დაგიტრიალდები, — გაიფიქრა.

საგრძნობლად იმატა ზვირთმა, თუმცა ეს უწყინარი ზღვის ნიავექარი, დარში რომ იცის, უეჭველად წაეშველება შინისკენ მიმავალ გზაზე.

— რა უშავს, გეზს სამხრეთ-დასავლეთისკენ ავიღებ, — თქვა ბერიკაცმა, — ზღვაში კაცი როდი დაიკარგება, მეტადრე კუნძულიც ერთობ გრძელია.

თევზი მესამედ რომ შემოტრიალდა, მაშინ დაინახა ის ბერიკაცმა.

თავიდან თევზი თალხ ჩრდილში შეიცნო, ნავის ქვეშ კარგა ხანს რომ მოცურავდა, ვერ იჯერებდა, ნუთუ ასე უსაშველოდ დიდიაო.

— არა, — თქვა მან, — არ შეიძლება ამხელა იყოს.

მართლაც, ვეებერთელა იყო, სულ რაღაც ოცდაათი იარდით იქნებოდა ნავიდან მოცილებული, როცა წრე შეჰკრა და ზედაპირზე გამოჩნდა. ბერიკაცმა დაინახა წყლიდან ამონვდილი თევზის ბოლო, უშველებელი ცელის პირზე უფრო დიდი მოჩანდა და მუქ ლურჯ წყალს უმკრთალეს სოსნისფრად დაჰკვდომოდა. მერე თევზმა ჩაყვინთა და, რაკი იქვე, ზედაპირთან ახლოს გასცურა, ბერიკაცმა მისი ზორზოხი-სხეული და მასზე არშიებად დაყოლებული ყლალა ზოლებიც დალანდა. ზურგის ფარფლები დაშვებული ჰქონდა, მუცლის ვეება ფარფლები კი განზე გაეშალა.

ამჯერად ბერიკაცმა თევზის თვალი და მის გარშემო მოცურავე ორი ნისლა სალამურა დაინახა. ისინი თევზს ხან მიეკვროდნენ, ხან უმალ მოსწყდებოდნენ, ხან ლალად დაცურავდნენ თევზის ჩრდილის ქვეშ. თითოეული სამ ფუტზე მეტი სიგრძისა იყო და სწრაფად ცურვისას გველ-თევზივით იკლაკნებოდნენ.

ახლა უკვე მარტოოდენ მზისგან არ იწურებოდა ოფლში ბერიკაცი. თევზის ყოველი მშვიდი, უშფოთველი შემობრუნებისას ბერიკაცს წყლიდან სულ უფრო მეტი მკედი ამოჰქონდა, ბოლოს ირწმუნა კიდეც, კიდეც ორი შემობრუნება და ბარჯის ჩაცემის ჟამიც დაჰკრავსო.

„მაგრამ რაც შეიძლება ახლოს უნდა მოვუშვა, სულ, სულ ახლოს, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — თავს კი არ უნდა დავუმიზნო, შეგე ვუღელში უნდა მოვახვედრო“.

შეუღელში

— ნუ აღელდები, ძალა მოიკრიბე, ბერიკაცო, — თავი გაიმხნევა.

შემდეგ შემოვლაზე თევზის ზურგიც ამოჩნდა წყლიდან, მაგრამ ნავიდან, ჯერ-ჯერობით, კარგა მოშორებით იყო. მერე ახალი წრე შემოხაზა და მაინც საკმაოდ იყო ნავისგან დაცილებული, თუმცა წყლიდან უფრო მეტად ამოწეულიყო, ბერიკაცმა ირწმუნა, ცოტაც და თევზს გვერდით მოვიგდებო.

ბერიკაცს ბარჯი რა ხანია გაემზადებინა, ბარჯის წმინდა გვარლის ხვია ხოკერში იდო, გვარლის ბოლო კი ნავის ცხვირზე, ბოჯგზე იყო მიბმული.

უმშვენიერესი თევზი, უზარმაზარი ბოლოს ტორტმანით, დარბაისლურად მოემართებოდა ნავისკენ მორიგი წრის შემოსავლებად. მთელი ძალით დაეძგურა სიმს ბერიკაცი, უნდოდა, რაც შეიძლება ახლოს მოეზიდა თევზი. სულ ერთი წამით თევზი ოდნავ გვერდზე გადაბრუნდა, მერე გასწორდა და წრის ახლად შემოვლა იწყო.

— ხომ დავძარი — თქვა ბერიკაცმა, — ხომ შევძელი მისი შენჯღღრევა.

ისევ დაესხა რეტი ბერიკაცს, მაგრამ მთელი არსებით მაინც სიმზე იყო ჩაფრენილი. „მე დავძარი თევზი, — გაიფიქრა, — ვინ იცის, ეგება ახლა უკვე მოვერიო კიდეც. თქვენ იცით, ხელებო, გამოსწიეთ, ფეხებო, არ მიღალატოთ. ჩემო თავო, შენი იმედი მაქვს, გაუძელი, თუ ხათრი გაქვს. არასდროს გიმტყუნია ჩემთვის. დადგა დრო, გადმოვათრიო“.

უკანასკნელ ძალას იკრებდა და თუმცა თევზი ჯერ კიდეც გვარიანად იყო კანჯოსგან დაცილებული, სიმს თავდაუზოგავად ეწეოდა, თითქმის მოიახლოვა კიდეც, მაგრამ თევზი ხელიდან დაუსხლტა და გაცურა.

— თევზო, — მიმართა ბერიკაცმა, — თევზო, ასეა თუ ისე, განწირული ხარ სასიკვდილოდ, მეც აღარ მინდობ?

„ფუჭი სიტყვებია! — პირი უშრებოდა, ენას ველარ ატრიალებდა, აღარც წყლიან ბოთლთან მისვლის ჩარა ჰქონდა. — სწორედ ახლა უნდა ვიმარჯვო და მოვათრიო ნავთან, თორემ ვინ იცის, კიდეც რამდენჯერ შემოუვლის, მე კი მეტს ვერ გავუძლებ. ოღონდაც რომ გაუძლებ! — შეუძახა თავს, — საუკუნეებს გაუძლებ, ბერიკაცო“.

თევზი კვლავ შემობრუნდა და ის იყო ბერიკაცს ხელთ უნდა ეგდო, რომ ისევ დაუსხლტა და დუნედ გაცურა განზე.

„სული გინდა ამომართვა, არა, თევზო? — რა გაეწყობა, ნება შენია. არ მეგულება ქვეყანაზე შენზე უფრო ზორბა, ლამაზი, დარბაისელი და ღირსებით აღსავსე არსება, ძმაო. მოდი, მომკალი, აღარ დავეძებ, ვინ ვის მოჰკლავს“.

„როგორც გატყობ, აზრი გერევა, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — უხმე გონებას, ნუ დაგლახდები, გახსოვდეს, როგორ უნდა აიტანოს ტანჯვა-ვაება ჭეშმარიტმა მამაკაცმა, და თუგინდ თევზმა“.

— გამოანათე, ჩემო გონებავ, — ძლივს გასაგონად დაილულულა, —
ქემენი სიკეთე.

ეს კიდევ ორჯერ დაემართა, სანამ თევზი წრეებს უვლიდა.

„ალარაფერი გამეგება, — ყოველი ახალი წრის დასაწყისში ბერიკაცს
ეჩვენებოდა, ეს არის, ფეხქვეშ მიწა მეცლებაო, — ალარაფერი გამეგება,
მაგრამ ერთხელ კიდევ ვცდი ბედს“.

ერთხელ კიდევ სცადა ბედი ბერიკაცმა და, თუმცა გაეფრთხილებას
კვარგავო, მაინც შეძლო თევზის ზურგზე გადაბრუნება. თევზი გასწორ-
და და ვეება ბოლოს ჰაერში რხევით კვლავ მდოვრედ გასწია განზე.

„კიდევ შევეცდები, — შეჰპირდა თავის თავს, თუმცა ხელები მთლად
მომჩვაროდა და თვალეშიც მხოლოდ დროდადრო უკრთოდა სინათლის
სხივი. ისევ მოსინჯა, თევზი კვლავ ხელიდან დაუსხლტა. „და მაინც“ —
გაივლო გუნებაში, გრძნობდა, ძალა ეწრიტებოდა, — „კიდევ ერთხელ ვცდი“.

ბერიკაცმა მთელი თავისი ტკივილები, შემორჩენილი მწირი ჯან-ლო-
ნე, კარგა ხნის წინ გამქრალი სიამაყე, — ყოველივე გამომწვევად შეაგე-
ბა სულთმობრძავ თევზს, თევზი გვერდზე გადაბრუნდა, ასე გვერდულად
ნელა გაცურა და კინალამ გაჰკრა კანჯოს კიდეს წამახული ცხვირ-პირი.
გრძელი, ზორბა, სიგრძე-სიგანეში გასული, ვერცხლისფერი, ყლადი ზო-
ლებით დასერილი, წყლის მარადიული ბინადარი აპირებდა გასცლოდა
ნავს.

ბერიკაცმა სიმი დააგდო, ფეხი დააჭირა, ბარჯი, რამდენადაც შე-
ეძლო, მაღლა ასწია, დაღეულ ღონეს ერთბაშად მოხმობილი ძალაც შეჰ-
მატა და ჩასცა თევზს გვერდში, კაცის მკერდის სიმაღლემდე წყლიდან ამ-
ოშვერილი მუცლის ვეებერთელა ფარფლების გასწვრივ. ბერიკაცი გრძნო-
ბდა, როგორ ესობოდა თევზს რკინა სხეულში, თავად აწვებოდა ბარჯს,
სულ უფრო ღრმად, მთელი ძალით არჭობდა ხორცში.

მერე თევზი მოსულიერდა, თუმცა სიკვდილი ჩაჰბუდებოდა უკვე სხე-
ულში, წყლიდან ცისკენ ამოიმართა მთელი თავისი უსაშველო სიგრძე-სი-
განით, გამოაჩინა მთელი თავისი სიძლიერე და მშვენიერება და თითქოს
ჰაერში ჩამოეკიდაო ბერიკაცისა და კანჯოს თავზე. მერე წყალში ზღარ-
თანი მოადინა, სიღრმიდან ამომსკდარი წყლის ჭავლი ბერიკაცსა და
კანჯოს ერთიანად გადაევლო.

გონებამიხდილსა და მუხლებმოკვეთილ ბერიკაცს თვალეშიც დაებინ-
და, მაგრამ ბარჯს საბელი მაინც მოხსნა და დაიარებულ ხელებში ფრთხი-
ლად გაატარა. როცა თვალეში გადაეწმინდა, დაინახა, რომ თევზი პირალ-
მა იწვა, ზევიტკენ აშვერილი ვერცხლისფერი მუცლით. თავთან ახლოს,
ზურგში ჩასობილი ბარჯის ბუნი მოჩანდა და თევზის გულიდან დანთხე-
ული სისხლისგან ზღვა წითლად იღებებოდა. სისხლი ჯერ ერთ ადგილას
ჩამუქდა და ერთ მილზე მეტი სიღრმის ცისფერ წყალში მეჩჩივით გამოჩ-
ნდა, მერე ღრუბელივით გაიფანტა. ვერცხლისფერი, გახევებული თევზი
ტალღებზე აღმა-დაღმა ირწეოდა.

შიშნარევი იყო ბერიკაცის გამოხედვა, მის თვალეში სინათლის სხი-
ვი ოდნავ ბჟუტავდა, კანჯოს ცხვირის ბოჯგზე ბარჯის საბელი ორჯერ
დაახვია და თავი ხელებში ჩარგო.

— ღმერთო, ნუ დამიბნელებ მზეს, — ნავის ცხვირის ფიცართან სა-
ხემიდებულმა კბილებში გამოსცრა, — ერთი ქანცგამოლეული ბერიკაცი

ვარ, მაგრამ ეს თევზი, რომელიც ძმად ვალიარე, მე მოვკალი და ახლა შავი სამუშაო უნდა შევასრულო.

„გვარლი უნდა მოვამზადო, მარყუყები გამოვსკვნა, რომ თევზი ნავის გაყოლებით გამოვაბა, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — ორნიც რომ ვყოფილიყავით, თევზი ნავში გადმოგვეზიდა და დატბორილი ნავიდან წყალი ამოგვეხაბა, ეს კანჯო ამ სიმძიმეს ვერა და ვერ გაუძლებდა და უხლა ყველაფერი უნდა გავამზადო საიმისოდ, რომ თევზი ახლეს — მოქსტურო, ნავს საიმედოდ გამოვაბა, მერე აფრა გავშალო და შინისკენ გავეშურო“.

ბერიკაცი თევზს ნავისკენ ეზიდებოდა, ლაყუჩებსა და პირში გვარლი უნდა გაეყარა და ნავის ცხვირზე თავით დაეხა. „მინდა რიგიანად დაენახო, ხელი მოვკიდო და კარგად მოვსინჯო. ეს თევზი ახლა ჩემი სიმდიდრეა, მაგრამ განა ამიტომ მინდა დავტკბე იმის სიახლოვით. მის გულს, მგონი, უკვე შევეხე ხელით, როცა მეორეჯერ დავკარი ბარჯის ბუნისკ, — ესაუბრებოდა თავის თავს. — ახლა მოაცურე ახლოს ეგ თევზი და დააბი. ერთი მარყუყი ბოლოზე ჩამოაცვი. მეორე შუაში და ასე გამოაბი კანჯოს“.

— აბა, ჰე, ბებრუცუნავ, საქმეს შეუდექი, — უბრძანა თავს ბერიკაცმა. წყლის ერთი ყლუბი მოსვა, — ახლა, რაკილა ორთაბრძოლა დამთავრდა, ერთობ მძიმე სამუშაო მელის.

ბერიკაცმა ჯერ ცას ახედა, მერე თევზს გადახედა, მზესაც გულისყურით მოავლო თვალი, „შუადღის მერე დიდი დრო არ გასულა, — გაიფიქრა, — ქარი კი ძლიერდება. არ დავეძებ მკედს ახლა, იყოს, როგორც არის, მე და ბიჭი შინ რომ მივბრუნდებით, მაშინ გადავაბამთ ერთმანეთს“.

— აბა, თევზო, ჩემსკენ გამოსწიე, — უთხრა ბერიკაცმა, მაგრამ თევზმა არ გაუგონა, ნებიერად ირწეოდა ტალღებზე. ბერიკაცმა თავად უბიძგა კანჯოს თევზისკენ.

როცა ზედ თევზთან მიცურდა და ნავის ცხვირი თევზის თავს გაუსწორდა, განცვიფრდა, სად გაგონილა ამ ზომის თევზიო. ასე იყო თუ ისე, ბერიკაცმა ბოჯგიდან ბარჯის საბელი მოხსნა, თევზს ლაყუჩებში გაუყარა, ხახაში გამოუტარა, მერე დაშნისებურ პირს შემოახვია და მეორე მხარეს ისევ ლაყუჩებს გაუყარა, წამახულ ცხვირ-პირს ხელმეორედ დაახვია, საბელი ორჯერ გამოკვანდა და თევზის თავი ორმაგი მარყუყით კანჯოს ცხვირზე ბოჯგს გამოაბა. მერე საბელი გადაჭრა და კიჩოსკენ გაემართა, რომ თევზი ბოლოთი დაემაგრებინა. თევზი ახლა სულმთლად გავერცხლისფერდა ადრინდელი მენამულისა და ვერცხლისფრის სანაცვლოდ, ზოლები კი ისეთივე ღია იისფერი გაუხდა, როგორც ბოლო. ეს ზოლები კაცის მტკაველზე უფრო ფართო იქნებოდა, თევზის თვალი კი პერისკოპის სარკესავით და საეკლესიო მსვლელობის მონაწილე წმინდანის გამოსახულების მზერასავით გაყინული იყო.

— მხოლოდ ასე თუ შევძლებდი მის მოკვლას, — თქვა ბერიკაცმა. წყალი რომ მოსვა, უკეთ იგრძნო თავი, აღარ ეშინოდა მოკვდებო, გონებაც გაუნათდა. — როგორც ვხედავ, ეს თევზი ათასხუთას გირვანქაზე მეტი იქნება, შეიძლება, მეტიც იყოს. აქედან ორი მესამედი გასაყიდად რომ გადაირჩეს და ერთი გირვანქა თევზის ხორცი ოცდაათ ცენტად გაიყიდოს, მერე? — ეს რომ ვიანგარიშო, ფანქარი მჭირდება, ჩემი გონება ვარ არაა ისე საღი, ზეპირად შევძლო. ისე კი, მგონია, დიდი დიმაჯიოდღეს ჩემით იამაყებდა. მართალია, ქუსლებზე კოყრებს არ შევუნუხები-

ვარ, სამაგიეროდ, ხელები და ზურგი ერთობ მტკივა. ნეტავ მაცოდინა, რას ნიშნავს ეს ფეხის კოყრები? ეგება ჩვენც გვაქვს, მაგრამ ვერ ვგრძნობთ.

თევზი ნავის ცხვირს, კიჩოსა და ნავის შუაში, მერხს გამოაბა თევზი ისეთი ვეებერთელა იყო, თითქოს, კანჯოს მასზე უფრო დიდი ნავი, ორჩხომელი, მიაბესო. ბერიკაცმა მკედი გადაჭრა და თევზს წამახული პირი აუკრა, რომ პირდაღებულს ნავის სვლა ოდნავადაც არ შეეფერებინა. მერე ანძა აღმართა, ხოჭის მაგივრად რომ იყენებდა, იმ ჯოხსაც თავისი ადგილი მიუჩინა, ბაგირი დაჭიმა, საკერებლებიანი აფრა გაიბერა და ნავიც დაიძრა; კიჩოზე ნახევრად წამოწოლილი ბერიკაცი სამხრეთ-დასავლეთისკენ მიცურავდა.

კომპასი არ სჭირდებოდა იმის გამოსაცნობად, თუ საით იყო სამხრეთ-დასავლეთი. ამისთვის ოკეანიდან მქროლავი ქარის შეგრძნება და ამვებული აფრის შეხედვა კმაროდა. „მოდე ახლა ბრჭყვიალა სატყუარისანი პატარა ანკესი გადავაგდო, ერთი-ორი ლუკმა ვიშოვო და ნავიხემსო, პირის გასველებაც მინდა“. მაგრამ ბერიკაცმა ვერ ნახა ბრჭყვიალა სატყუარა, სარდინები კი უკვე აყროლებულიყო. როცა კანჯომ ყვითელ წყალმცენარეებს ჩაუარა, ბერიკაცმა მას ხოჭი წამოსდო და მცენარეთა მჭელეული ხელთ იგდო. მერე ხელი დაიქნია და კანჯოს კიდეში, ფიცარზე წყალმცენარეებში გაბნეული პანანინა კირჩხიბები ჩამოცვივდა. თხუთმეტოდე იქნებოდა, ქვიშის რწყილებივით დახტოდნენ და იპარჭყებოდნენ. ბერიკაცმა ცერითა და საჩვენებელი თითით თავები დააწყვიტა და ჩვილკეციან-ბოლოიანად ლეჭვა-ლეჭვით მიირთვა. ერთი ბენონი კი იყვნენ, მაგრამ ბერიკაცს კარგად მოეხსენებოდა მათი მანიერობისა და მშვენიერი გემოს ამბავი.

წყლის ბოთლში ორი ყლუპილა დარჩენილიყო, კირჩხიბებით რომ ნაიხემსა, ნახევარი ყლუპი მოსვა. კანჯო მხნედ მისრიალებდა, ვერას აკლებდა დაბრკოლებები, გზადაგზა რომ ელობებოდა, საჭის ტარი ილიაში ამოედო და ასე მიაცურებდა ნავს ბერიკაცი. თევზს ხომ ხედავდა და ხედავდა, მაგრამ თავის ხელებს ერთი თვალს რომ მოჰკრავდა ან კიჩოს ზურგით გაეხახუნებოდა, საბოლოოდ რწმუნდებოდა, რომ ეს ყველაფერი ზმანება კი არა, ცხადზე უცხადესი იყო. ერთხელ, ორთაბრძოლის დასასრულამდე, ილაჯგანყვეტილმა გაიფიქრა, ვაითუ ყოველივე მეჩვენებო, მეტადრე როცა თევზი წყლიდან ამოვიდა და ისევ წყალში ჩავარდნამდე წამით ჰაერში გაიყინა, ბერიკაცმა ირწმუნა, ეს დიდად გასაოცარი რალაც ხილვაა და არა ცხადიო. მით უმეტეს, იმ დროს თვალის ჩინიც დააკლდა, ახლა კი უწინდებურად უჭრიდა თვალი.

ახლა ბერიკაცი დარწმუნებული იყო, თევზი აგერ აქ არისო, ხელებს და ზურგსაც ცხადად გრძნობდა. ხელები სწრაფად მირჩებო, გაიფიქრა. „იარებიდან სისხლი ბლომად გამოვიდინე, ჭუჭყი რომ არ ჩარჩენილიყო და იარებს მლაშე წყალი მომიშუშებს, ზღვის უბის კამკამა და ქუფრი წყალი საუკეთესო მკურნალია ამ ქვეყანაზე. ახლა მთავარია, გონება არ დამებინდოს. ხელებმა პირნათლად მოიხადეს თავისი ვალი და ახლა გულდინჯად მივცურავთ. თევზს პირი დამუნული აქვს, ბოლოს სწორად, შვეულად მიაქვს, წამდვილი ძმებივით, მხარდამხარ მივცურავთ“. ბერიკაცი თანდათან ისევ მოდუნდა და ახლა იმის გარკვევას ცდილობდა, თევზი მე მიმაცურებს, თუ თევზს მე მივაცურებო. ბაგირით რომ მყავდეს უკან

გამობმული და ვენეოდე, ყველაფერი ნათელი იქნებოდა, არც მაშინ იქნებოდა რაიმე სადაო, ღირსებააყრილი თევზი კანჯოში რომ გდებულყო. მაგრამ საქმეც ისაა, ერთმანეთზე გადაბმულნი, ერთმანეთის გვერდიგვერდ მიცურავდნენ და ბერიკაცმა გაიფიქრა, რა მენალვლება, გულრით თუ სწადია, ეგონოს, რომ მას მივყავარო. მე მას მხოლოდ ხერხით ვაჯობე, თავად თევზს კი ჩემდამი გულში ავი ზრახვა არ გაუვდებოდა.

მშვიდობიანად მიცურავდნენ, ბერიკაცს ხელები მღებში წყალში ჰქონდა ჩაყოფილი, ძალზე ცდილობდა, საღი აზრი შერჩენოდა. მალე ცაში ქულა ღრუბლებზე ზემოდან ფრთაღრუბლები მოჩანდა, ამიტომაც გაიფიქრა, მთელ ღამეს გასტანს ზღვაზე ქარიო. ბერიკაცი მალ-მალ შეავლებდა თვალს თევზს, რომ ერნმუნა, ეს ამბავი ნამდვილად მოხდაო. ერთი საათი იქნებოდა გასული, როცა პირველი ზვიგენი ეძგერა თევზს.

ნათელთევზას გამოჩენა არ იყო მოულოდნელად თავსდატეხილი უბედურება. ის ჯერ კიდევ მაშინ დაიძრა ოკეანის დიდი სიღრმიდან, როდესაც სისხლის შავი ღრუბელი მცირე ხნით ერთგან დაგროვდა წყალში და მერე ერთი მილის სიღრმეზე გაიფანტა. ნათელთევზა ძალზე სწრაფად, ჯიქურ ეკვეთა წყლის ლურჯ სარკეს და მზეზე წამით გაიტრუნა. მერე ისევ სიღრმეში ჩასრიალდა და სისხლის სუნი იკრა თუ არა, კანჯოსა და თევზის კვალს დაედევნა.

დროდადრო სუნი ეკარგებოდა, მაგრამ მალე ისევ იყნოსებდა, ზოგჯერ სულ ოდნავადაც და მარდად, შეუპოვრად აპობდა წყალს სუნის კვალდაკვალ. ეს „მაკოს“ ჯიშის უზარმაზარი ზვიგენი იყო, ამ ჯიშისანი ზღვის ბინადარ უსწრაფეს თევზთა შორის უსწრაფესად ცურავენ, ყველაფერი ღამაში ჰქონდა ყბების თვინიერ. მისი ზურგი, ისევე როგორც შიმშირისა, ლურჯი იყო, მუცლის მხარე კი — ვერცხლისფერი. ზვიგენს გლუვი, საუცხოო ქეცედი ჰქონდა. აგებულებით თითქმის მთლიანად შიმშირს წააგავდა, ოღონდ ყბები ჰქონდა განსხვავებული, უზომოდ დიდი, რომელიც ახლა, სწრაფი ცურვისას მაგრად დაემუნა. ზვიგენი ზედაპირთან ახლოს მიცურავდა, ვეებერთელა ზურგის ფარფლებით მიაპობდა წყალს ისე, რომ თავად არ ირხეოდა. ყბებზე ორკეცად დადებული მოკუმული ღაშების შიგნით რვა წყებად დაჯარული ყველა კბილი ხახისკენ იყო მიქცეული. ეს არ იყო ზვიგენთა ჩვეული პირამიდისებური კბილები, ისინი ძალზე წააგავდნენ მხეცთა ბრჭყალების დარად ადამიანის დაღრეცილ თითებს. სიგრძით ღამის ბერიკაცის თითებისხელა იყვნენ და სამართებლის ალესილი პირივით ბასრი კიდები ჰქონდათ. ზვიგენი იმისთვისაა გაჩენილი, რომ იკვებოს ყველა თევზით, რომელიც ზღვაში მოიპოვება, იმ თევზებითაც კი, რომლებიც იმდენად სწრაფი, ძლიერი, თავდაცვისუნარიანია, რომ სხვა მტერი ვერას აკლებს. ზვიგენმა სიჩქარეს უმატა, რაკილა მოახლოებული სუნი შეიგრძნო, მისი ზურგის ფარფლები კვლავინდებურად სჭრიდა წყალს.

როდესაც ბერიკაცმა დაინახა, როგორ მოისწრაფოდა ზვიგენი მათკენ, მიხვდა, რაც არ უნდა ყოფილიყო, მტაცებელი უკან არ დაიხევდა და სრულად შეისრულებდა გულისწადილს. ბერიკაცმა ბარჯი მოამზადა, გვარლის ბოლო დაამაგრა, თან მოახლოებულ ზვიგენს თვალს არ აცილებდა. გვარლი მოკლე გამოდგა, თევზი ნავს რომ მოაბა, მაშინ გადასჭრა.

ბერიკაცს გონება გადასწმენდოდა, მთლად გამოცოცხლებულიყო, არც სიმტკიცე აკლდა, თუმც კი იმედი თითქმის გადაწურული ჰქონდა.

თავიდან ერთობ კარგად აეწყო საქმე, დიდხანს ასე ვერ გაგრძელდებოდაო, გაიფიქრა. ბერიკაცმა ცალი თვალით თავის ვეება თევზს გადახედა, თან ზვიგენს მისჩერებოდა, რომელიც უკვე სულ ახლოს იყო, რა მოხდებოდა, ესეც სიზმარი ყოფილიყო, გაიფიქრა. ვერაფრით მოვიგერებოდა იმის თავდასხმას, მაგრამ, ვინ იცის, ეგებ როგორმე მე თავად ჩავაძაღლოო. „Dentuso“, გამჩენი ამოგიგდოს მამაზეციერმა“.

ეროვნული

ზვიგენი კიჩოსთან გაჩნდა თუ არა, თევზს ეძგერებოდა, მტრულად უნდოდა და ფიქრობდა, რომ თვალის დაზიანება და საკვირველი თვალეები დაინახა, შემოესმა, რა ღრჭი-ალით ჩაასო კბილები რბილ ნაწილში, ზედ კუდთან. წყალს ზემოთ ზვი-გენის მხოლოდ თავი ჩანდა, ზურგიც თანდათან ამოჰქონდა, ბერიკაცს ესმოდა ვეება თევზის კან-ლბილის ფხოჭა-გლეჯის ხმა და ზვიგენს თავში ბარჯი იმ ადგილას ჩაარჭო, სადაც თვალეებსშუა ხაზს ცხვირიდან ზურგის-კენ მიმართული ხაზი ჰკვეთდა. თუმცა სად იყო ხაზები. იყო მხოლოდ ზორზობი, ყბანამახული ლურჯი თავი, დიდი თვალეები, მოღრატუნე, წინ-გამოშვერილი, ყოვლისმყლაპველი ყბები და რაც მთავარია, იმ ადგილას ბერიკაცმა რომ მოახვედრა, თევზის ტვინი იყო. რაც ძალი და ღონე ჰქონ-და, სწორედ ტვინში ჩაასო თავისი ნაცადი ბარჯი, სისხლში ამოსვრილი ხელებით რომ ეჭირა, უსასოოდ ჩაარჭო ბარჯი ზვიგენს, თუმც უყოყმა-ნოდ და უსაზღვროდ გაცოფებულმა.

ზვიგენი პირალმა გადმობრუნდა და ბერიკაცმა მისი გამოციებული თვალი დაინახა. მერე კიდევ ერთხელ გადმოტრიალდა, ტანზე საბელი ორჯერ შემოეხვია. ბერიკაცმა კი იცოდა, ზვიგენი აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ თავად ზვიგენს არ სურდა ეს შეეგნო. გულალმა ინვა და მისი ბო-ლო კიდევ ტყლაშუნობდა წყალში, მისი ყბებიც კიდევ ღრჭიალებდნენ, სარბოლი ნავივით წყალს აქაფებდა. ზვიგენის ბოლოს წყალზე ცემისგან ზღვა იმ ადგილას მთლად გათეთრებულიყო და, როცა მისი სხეული ლა-მის ერთიანად წყლიდან ამოიწია, თოკი დაიჭიმა, აკანკალდა და ბოლოს განყდა. ბერიკაცი მისჩერებოდა ზვიგენს, რომელიც წყალზე მცირე ხანს წყნარად ესვენა და მერე მძიმე-მძიმედ წავიდა ფსკერისკენ.

— ერთი ორმოცი გირვანქა მაინც ჩაიტანა თან. — წამოიძახა ბერი-კაცმა. — „ჩემი ბარჯი და მორჩენილი გვარლი თან გაიყოლა, — დაამატა გუნებაში. — აქ კი ეს ჩემი თევზი სისხლისგან იცლება და, სხვაც ბევრი დაგვესხმის თავს“.

აღარ სიამოვნებდა დასახიჩრებული თევზის ყურება. პირველად რომ ეკვეთა ზვიგენი თევზს, ასე ეგონა, თავად მე დამეძგერაო.

„ის ზვიგენი ხომ მაინც მოკვალა, ჩემი თევზი რომ დააშავა, — გა-იფიქრა ბერიკაცმა. — ის ყველაზე დიდი „ლოჯა“ იყო, რომელიც კი შემ-ხვედრია ამ ჯიშისა ჩემი გაჩენის დღიდან. ღმერთია მოწამე, მართლა მი-ნახავს ვეებერთელა ნათელთევზები“.

„არ შეიძლება თავიდან ასე იღბლიანად აწყობილ საქმეს ასევე კე-თილი დასასრული ჰქონოდაო, — ფიქრობდა ბერიკაცი. — როგორ მინდა, რომ ეს ყველაფერი მესიზმრებოდეს, არც ეს ანკესზე წამოცმული თევზი მყავდეს და გაზეთებგადაფარებულ ჩემს საწოლში ვინვე მარტოდმარტო“.

— მაგრამ ადამიანი არაა დამარცხებისთვის გაჩენილი, — თქვა ბე-რიკაცმა, — ადამიანი შეიძლება მოსპო, მაგრამ ვერ დაამარცხო. და მა-

1. დიდკბილა (ესპ.) — ზვიგენის სახეობა, „მაკოს“ ჯიშისა.

ინც, ახლა ვნანობ, თევზი რომ მოვკალი. ფათერაკიანი გზა მაქვს გასავლელი, მე კი ბარჯიც აღარ შემრჩა. „ლოჯა“ უღმობელი და მოხერხებული, ძლიერი და საზრიანია, მაგრამ მე მას ჭკუით ვაჯობე, თუმცა ვინ იცის, ეგებ იმიტომ, რომ უკეთ ვიყავი შეიარაღებული, ეს იყო და ეს.

— მოეშვი ფიქრს, ბერიკაცო! გასწი შენს გზაზე და თუკი შინისკენ მიმავალი რაიმე ხიფათს გადაეყრები, შეეცადე ღირსეულად დაუშვა.

„აბა როგორ, დიახაც უნდა ვიფიქრო, — შეეპასუხა თევზმა თავს, — მეტი რა დამრჩენია. მხოლოდ ფიქრი და ბეისბოლი. ნეტავ დიდი დიმაჯიოს თუ მოენონებოდა რომ ენახა, როგორ მოვახვედრე ზვიგენს შიგ ტვინში? თუმც დიდი არაფერი, — გაიფიქრა, — ამის გაკეთება ყველას შეუძლია. როგორ გგონია, ჩემს ხელებს უფრო გაუჭირდა, თუ იმის დეზებიან ქუსლებს? საიდან უნდა ვიცოდე? ქუსლებზე კოყრებს არასდროს შევუნუხებებოვარ, თუ არ ჩავაგდებ სათვალავში ერთ შემთხვევას, როდესაც სკაროსმა¹ მიკბინა, ცურვისას რომ დავაბიჯე. მაშინ წვივი მთლად გამიშეშდა და ტკივილიც აუტანელი იყო“.

— გამხიარულდი, ბერიკაცო, — ურჩია თავს, — ყოველი წუთი გიმოკლებს მანძილს სახლამდე. ცურვაც მომეტებულად გაგიიოლდა, რაკი დაკარგე ორმოცი გირვანქა.

მშვენივრად უწყოდა, რაც ელოდა, როცა დინების შუაგულში აღმოჩნდებოდა, მაგრამ ამას წინ ველარაფერი დაუდგებოდა.

— მთლად ხელიდან წასული არაა ჩემი საქმე, — ხმამაღლა დააიბედა თავი, — მოდი ხოფის კოტას დანას მივაბამ.

ასეც მოიქცა. ხოფის ტარი ამოიიღლია, საიალქნე ბაგირი ფეხქვეშ მოიგდო და იარაღიც გამოჩარხა.

— აი, ასე — თქვა მან. — დროული კაცი კი ვარ, სამაგიეროდ უკვე აბჯარასხმული.

ქარმა იმძლავრა და ბერიკაცის ნავმაც სვლას უმატა. თევზის მხოლოდ წინა ნაწილს ხედავდა ბერიკაცი, ოდნავ გამხნედა კიდევც.


„დიდი სისულელეა უიმედობა, — გაიფიქრა. — სხვა არა იყოს რა, დიდი ცოდვაა. რა დროს ცოდვებზე ფიქრია, უამისოდაც თავპირზე საყრელი თავსატეხი დამიგროვდა. არც მესმის ხეირიანად, რა არის ცოდვა“.

„ცოდვის არა გამეგება რა და უნდა გამოვტყდე, არცა მწამს. ვინ იცის, იქნებ მაშინ შევცოდე, თევზი რომ მოვკალი. ალბათ, მართლა დამედო ცოდვა, რა ვუყოთ მერე, თუ თავის სარჩენად და მიღეთის ხალხის დასაპურებლად ჩავიდინე. მაგრამ თუ ასეა, მაშინ ყველაფერი ცოდვა ყოფილა. თავს ნუ იტკივებ ცოდვაზე ფიქრით, ბებრუცუნავ, რალა დროისია. ისეთებიც კი არიან, გასამრჯელოს ფასად ცოდვას რომ ჩადიან, იმათ იმტვრიონ თავი ამაზე ფიქრით. შენ მეზადურად გაჩნდი ამქვეყნად, ისევე როგორც თევზი იმად გაჩნდა, რომ თევზი ერქვას. წმინდა პეტრეც მეთვისზე იყო და დიდი დიმაჯიოს მამაც“.

მაშ რა უნდა ექნა ბერიკაცს, რომ არ ეფიქრა იმ ამბებზე, რომლის შუაგულშიც აღმოჩნდა, თუკი არც წასაკითხი ჰქონდა რაიმე და არც რადიო. ამიტომაც ფიქრობდა ამდენს, დიდხანს ფიქრობდა ცოდვის რაობაზე. შენ რომ თევზი მოკალი, ამის მიზეზი მხოლოდ თავის რჩენა და მისი ხორცის გაყიდვის სურვილი არ იყო, უჩიჩინებდა თავს ბერიკაცი. ეს

1. თევზის სახეობა.

თევზი შენმა სიამაყემ მოგაკვლევინა, იმის შეგნებამ, რომ ჭეშმარიტი მეთევზე ხარ. შენ გიყვარდა ეს თევზი, ვიდრე ცოცხალი იყო და მას მერც. რაკი გიყვარს, მისი მოკვლა ცოდვა არაა, თუ პირუკუ, კიდევ უფრო დიდი ცოდვაა?



— ნამეტანი ბევრს ფიქრობ, ბერიკაცო, — თქვა ხმამაღლა.

„ისე კი დიდად გაიხარე, როცა „ლოჯა“ ნუთისოფელს გამოასალმე. ისიც ხომ შენსავით ცოცხალი თევზით ირჩენს თავს. ანუ ცოცხალი თევზით და არც ზოგიერთ ნათელთევზასავით გაუმაძღარია. ეს ზვიგენი ლამაზი, დიდებული და ყოვლად უშიშარია“.

— თავს ვიცავდი, უნდა მომეკლა, — ხმამაღლა განაცხადა ბერიკაცმა, — და მე ეს ჩინებულად შევასრულე.

„ესეც რომ არ იყოს, — განაგრძო გუნებაში, — ყველა ერთმანეთს კლავს თავისებურად. მე თევზაობა კიდევ მკლავს და კიდევ მარჩენს. მაგრამ ვინც მე მაძლებინებს ამ ქვეყანაზე, ეს ჩემი ბიჭია, თუმცა ნამეტანი არ უნდა მოვიტყუო თავი“.

ბერიკაცი კანჯოდან გადაიწია და თევზს ხორცის ნაწილი მოჰგლიჯა იმ ადგილიდან, ზვიგენმა ცოტა ხნის წინ თავისი ღოჯებით რომ ჩამოაჭრა. ხორცი დაღეჭა, შეაფასა მისი ვარგისიანობა, მოინონა მისი გემო. ძროხის ხორცივით მაგარი, ცვრიანი იყო, ოღონდ არც წითელი ფერი ჰქონდა, არც ძარღვიანი იყო. ბერიკაცი დარწმუნებული იყო, ეს თევზი ბაზარზე ყველაზე ძვირად გაიყიდებოდა. უბედურება ის იყო, დაგლეჯილი ხორცის სურნელება წყალში კიდით-კიდემდე რომ ეფინებოდა და დიდი ცოდო-ბრალის დატრიალების ფამი ახლოვდებოდა.

ქარი გაძლიერდა, ცოტა მოშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, კიდევ უფრო დაუბერა. ეს იმას ნიშნავს, გაიფიქრა ბერიკაცმა, ქარი აქეთ ჯერ არ ჩადგებაო. ბერიკაცმა ზღვას გახედა და ვერც სადმე იალქანს, ვერც გემის ზროს ან კვამლს მოჰკრა თვალი. მხოლოდ მფრინავი თევზები ამოხტებოდნენ ხოლმე ნავის ცხვირთან და მერე აქეთ-იქით მიფრინავდნენ, ყვითელი წყალმცენარეების ბარდნარებიც ხვდებოდა ბერიკაცს გზადაგზა, ეს იყო და ეს, ჩიტიც კი არსაით ჭაჭანებდა.

ორი საათი იქნებოდა გასული, ბერიკაცი თავის კანჯოს მიაცურებდა, კიჩოზე მიწოლილი შიმშერის მომცრო ლუკმებს იღეჭებოდა ხანგამოშვებით, დასვენებას და ძალის მოკრებას ლამობდა. სწორედ ამ დროს, მოახლოებული ორი ზვიგენიდან ჯერ ერთი დალანდა.

— უუჰ! — რალაც ამგვარი ბგერები შეიძლება უნებურად აღმოჰხედეს ადამიანს ალბათ მაშინ, როცა ლურსმანი ხელისგულს გაუხვრეტს და ძელს შეესობა.

— Galanos? — ნამოიყვირა ბერიკაცმა. წყლიდან ამოშვერილი პირველი ზვიგენის ფარფლების უკან ახლა უკვე მეორის ფარფლებიც დაინახა და წაბლისფერი, სამკუთხა ფარფლებისა და ბოლოების ბარაქიანი მოსმის მიხედვით ბერიკაცმა ისინი ბრტყელცხვირა ზვიგენებად შეიცნო. სუნი იკრეს თუ არა, აწრიალდნენ და უკიდურესად დამშეულნი და გახელებულნი დროდადრო კარგავდნენ და მერე კვლავ პოულობდნენ უზომოდ

1. ბრტყელცხვირა ხალიანი ზვიგენი, მოთეთრო-მოყავისფრო ფერისა, კატისნაირი ვიწრო, ყვითელთვალეებიანი, მძაფრი, უსიამოვნო სუნი აქვს, თავს ესხმის თევზებს, კუს, ადამიანებს, იკვებება ლეშითაც.

აცმუკებულები სანატრელ სუნს. აშკარა იყო, რომ სულ უფრო მეტად უახლოვდებოდნენ სასურველ მიზანს.

ბერიკაცმა საიალქნე ბაგირი დაამაგრა, საჭე სოლით გაჭედა. მერე ამოიღო წყლიდან ხოფი, რომელზედაც დანა იყო მიბმული, რაც შეეძლო ფრთხილად აიტაცა, რომ დაიარებული ხელები ხელახალი ტკივილისგან კიდევ უფრო არ გამწარებულიყო. მერე ასევე ფრთხილად ნაწმენდურმე ჩასჭიდა ხოფს ხელები და მაშინვე გაშალა, უნდოდა, თითები გალალეებულიყო. ბოლოს ღონივრად მოჰკიდა ნიჩაბს ორივე ხელი, რომ მთელი სიმწარე ერთბაშად ეგემა, ამ ჭირს უნდა შეჰგუებოდა, თან მოახლოებულ ზვიგენებს თვალს ადევნებდა. ბერიკაცი ხედავდა მათ განიერ, დაბრტყელებულ, გობისცხვირა თავებს და თეთრარშიამოყოლებულ მკერდის ფარფლებს. ესენი უსაზიზღრესი ჯიშის ზვიგენები იყვნენ, ეს მყრალი ლეშის მჭამელნი და მკვლელები თუ ძლიერ დაიმშევიან, არც ნიჩბის ან საჭის კბენას არ თაკილობენ. სწორედ ამ ჯურის ზვიგენები მოაჭამენ ხოლმე ფეხებს ზღვის ზედაპირზე ჩაძინებულ კუებს; დამშეულნი ადამიანსაც კი ეძგერებიან, თუმცა ადამიანს არც თევზის სისხლის სუნი ასდის და არც ლორწოსი.

— უუჰ, — წამოიძახა ბერიკაცმა, — აბა, „ხალიანებო“, აქეთ, აქეთ, „ხალიანებო“.

ისინიც მოცურავდნენ. მაგრამ არა ისე, როგორც „მაკო“ მოცურდა მაშინ. ერთი მათგანი მიტრიალდა და კანჯოს ქვეშ გაუჩინარდა. ბერიკაცმა იგრძნო, როგორ შეტოკდა ნავი, როცა ზვიგენი თავს დააცხრა თევზს და ხორცს გლეჯა დაუნყო. მეორე ჯერ ბერიკაცს შეჰყურებდა თავისი წვრილი, ყვითელი თვალებით, მერე კი ხახადაფჩენილი, რკალისებურად დაჯარული კბილებით ეკვეთა თევზის სწორედ იმ ნაწილს, რომელსაც გემო მისმა წინამორბედმა უკვე გაუსინჯა. მკაფიოდ ჩანდა ხაზი, რომელიც წაბლისფერი თავის თხემიდან ზურგისკენ გადადიოდა და სწორედ იმ ადგილას, სადაც თავის ტვინი ზურგის ტვინს უერთდება, ჩასცა ხოფს მიბმული დანა ბერიკაცმა, მერე დანა ამოიღო და ისევ, ახლა უკვე ზვიგენის ყვითელ, კატისებრ თვალებში ჩაუშვა. ზვიგენს სხვა რა ჩარა ჰქონდა. თევზს კბილი უშვა და მომაკვდავი წყალში ჩასრიალდა, თუმცა კი მიტაცებული ლუკმის გადასანსლვა მოახწრო.

კანჯო კვლავ ირყეოდა, იმის ქვეშ მეორე ზვიგენი თევზს ისევ ეჯაჯგურებოდა. ბერიკაცმა საიალქნე ბაგირი ისე მოუშვა, რომ კანჯო ცალ მხარეს გადანოლილიყო და ქვეშმოყოლილი ზვიგენიც ძალაუნებურად იმ ადგილს მოსცილდა. როგორც კი ბერიკაცმა ზვიგენი დაინახა, კანჯოდან გადაიწია და დანა დაარტყა. მოხვედრით კი მოხვდა რბილში, მაგრამ ქეცედის ზედა ფენა ძალზე მაგარი აღმოჩნდა და დანის უფრო ღრმად ჩარჭობა ვეღარ შეძლო. დარტყმისგან ბერიკაცს მარტო ხელები კი არა, ბეჭებიც ეტკინა. მაგრამ ზვიგენი მკვირცხლად იქვე გაჩნდა, თავი ამონეული ჰქონდა და მაშინვე თევზს მიანვა წყლიდან ამოყოფილი ცხვირით. ბერიკაცმა ისევ ჩასცა ზვიგენს დანა ბრტყელი თავის ზედ შუაგულში, მერე დანის პირი ამოაძრო და ზუსტად იმავე ადგილას ისევ ჩაარტყა. პირდამუწული ზვიგენი ჯერ კიდევ თევზზე ეკიდა და ბერიკაცმა ახლა მარცხენა თვალში ჩასცა დანა, ზვიგენი ისევ ისე ეკიდა.

— არ გინდა, არა? — ჩაილაპარაკა ბერიკაცმა და დანა ხერხემალსა და ტვინს შორის ჩასცა. ამჯერად ეს იოლად შეძლო, იგრძნო, როგორ

გაუჭრა ხრტილი. ბერიკაცმა ხოფს პირი უბრუნა და ზვიგენს ყბებს შორის დანა გაუჩხირა, რომ ხახა გაეხსნა, დანიანი ხოფი ხახაში დაუტრიალა და, როცა ზვიგენი თევზს მოსცილდა და წყალში ჩასრიალდა, დაადევნა:

— მიბრძანდი, galano, ერთი მილის სიღრმეზე ჩადი. წადი და შენი მეგობარი ინახულე, ან იქნებ დედაა შენი, ვინ იცის.

ბერიკაცმა დანას პირი გაუნმინდა და ხოფი ნავში ჩადო. მერე საილქნე ბაგირი მოძებნა, აფრა გაშალა და კანჯო წინანდელი მიშართულებით წაიყვანა.

— მტაცებლებმა თევზს ალბათ ხორცის მეოთხედი მაინც მოჰგლიჯეს, თანაც საუკეთესო ნაწილები, — ხმამაღლა თქვა ბერიკაცმა. „ნეტავ ეს ყოველივე სიზმარი იყოს, ნეტავ ეს თევზი სულაც არ წამოგებულიყო ჩემს ანკესზე, ძალზე ვწუხვარ, თევზო, რომ ასე მოხდა, ყველაფერი უკულმა დატრიალდა“. ბერიკაცი გაჩუმდა, აღარ უხაროდა თევზის დანახვა. სისხლისგან დაწრეტილ, წყალში გაჯირჯვებულ თევზს სარკის ფსკერისნაირი ვერცხლისფერი დასდებოდა, თუმც ზოლები ჯერ კიდევ აჩნდა.

— ასე შორს არ უნდა გამოვსულიყავი, თევზო, — გამოელაპარაკა ბერიკაცი, — არც შენი და არც ჩემი ხათრით. მაპატიე, თევზო. ახლა კი იჩქარე, — უთხრა თავის თავს, — შეამონმე, როგორაა დანა მიბმული, საბელი გადაჭრილი ხომ არაა. მერე ხელებს მიხედე, ჯერ კიდევ ბევრს გადაყრები.

— ნეტავ აქ სასრევი მქონოდა დანისთვის, — თქვა ბერიკაცმა მას მერე, რაც დახედა დანის კოტას, რომელზეც თოკი იყო დახვეული, — სასრევი უცილოდ უნდა წამომეღო. „სხვაც ბევრი რამ უნდა წამოგეღო, — გაიფიქრა, — მაგრამ რომ არ წამოგიღია, ბებრუცუნავ. რა დროს იმაზე ფიქრია ახლა, რაც არა გაქვს. ახლა იმაზე უნდა იფიქრო, როგორ მოიხმარ იმას, რაც გაქვს“.

— რა ძალიან ირჯები ამოდენა სასარგებლო რჩევით, — თქვა ბერიკაცმა ხმამაღლა, — პირდაპირ სული ამომხადე.

ბერიკაცმა საჭის ტარი ილღიაში ამოიჩარა და ორივე ხელი წყალში ჩაჰყო, კანჯო წინ მიიწვედა.

— ღმერთმა იცის, იმ ნაბოლარამ რამდენი ნაჰგლიჯა, — თქვა ბერიკაცმა, — ერთი კია, ნავი ბევრად უფრო მსუბუქად მიცურავს. არ სურდა დასახიჩრებულ თევზზე ეფიქრა. მშვენივრად იცოდა, რომ ზვიგენის ყოველი დაჯახება და ნავის ჯანჯლარი თევზის ლუკმა-ლუკმად დაჯიჯგნას მოასწავებდა. და რომ ახლა თევზი ყველა სხვა ზვიგენს შარაგზასავით ფართო სისხლის კვალს უტოვებდა ზღვაში.

„ეს თევზი მთელ ზამთარს ეყოფოდა კაცს სარჩოდ“, გაიფიქრა ბერიკაცმა, „მოეშვი ამაზე ფიქრს, ოღონდ ცოტა მოისვენე და ხელებს მიხედე, რაც დაგიტოვეს, ის მაინც გადაარჩინო. ჩემს ხელებს რომ სისხლის სუნი სდის, არაფერია, უბედურება ისაა, წყალში ასე შორით რომ მოეფინა სუნი. არც ძალიან არა მდის სისხლი ხელებიდან, დიდი არაფერი ტრილობებია. ცოტა სისხლის გამოშვება კიდევ მოუხდება ჩემს მარცხენას, აღარ დამეკრუნჩხება“.

„რაზე შემიძლია ახლა ვიფიქრო? საფიქრალი არაფერია. არაფერზე არ უნდა ვიფიქრო და ახალ მომხდურებს დაველოდო. ნეტავ, მართლაცდა დამსიზმრებოდა ეს ყოველივე. თუმცა ვინ იცის? ხომ შეიძლებოდა ეს ამბავი ბედნიერად გასრულებულიყო“.

მომდევნო ზვიგენიც, მარტოდმარტო რომ მოცურავდა, გობისცხვირების ჯიშისა იყო. ისე მიუახლოვდა თევზს, გეგონებოდა, ღორი თავის ორესთან მივიდაო, თუმცა ვის გაუგონია ისეთი ღორი, იმის ხახაში ადამიანის თავი რომ შეეტიოს. ბერიკაცმა აცადა ზვიგენს დადგებოდა თევზს და მერე ხოფზე მიბმული დანა შიგ ტვინში ჩასცა. მაგრამ ზვიგენი ერთბაშად უკან გაიწია, ზურგზე გადაგორდა და დანის კერძს გადატყდა.

ბერიკაცი საჭეს მიუჯდა. არც კი უყურებდა ვეფხვებრთულა ზვიგენს, მძიმე-მძიმედ რომ იძირებოდა წყალში, მერე თანდათან დაპატარავდა და ბოლოს ერთი ციცქნა გახდა. მუდამ ხიბლავდა ბერიკაცს ამგვარი სურათის ხილვა, მაგრამ ახლა ამას არც კი უყურებდა.

— ხოჭის ამარა დავრჩი, — თქვა მან, — და ისიც არაფერში მარგია. თუმც კიდევ წყვილი ნიჩაბი მაქვს, საჭის ტარი და მოკლე კეტი.

„მაჯობეს, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — ძალზე ბებერი ვარ, კეტის ცემით ველარ მოვუღებ ბოლოს ზვიგენებს, მაგრამ მე ჩემსას ვცდი, სანამ კიდევ მაქვს ნიჩბები, მოკლე კეტი და საჭის ძელაკი“.

ისევ ჩაჰყო ჭრილობების დასაღებობად ხელები ზღვაში. საღამოვდებოდა, ზღვისა და ცის გარდა ველარაფერს ხედავდა. ქარი კიდევ უფრო გაძლიერდა და ბერიკაცს იმედი გაუჩნდა, მალე მიწას დაეინახავო.

— გადაიქანცე, ბერიკაცო, — თქვა მან, — გული გაგიცვდა.

ზვიგენებს დაისამდე აღარ შემოუტევიათ.

ბერიკაცმა მოახლოებული ნაბლისფერი ფარფლები დაინახა. იმ განიერ კვალს მოჰყვებოდნენ, ალბათ, თევზი წყალში რომ ტოვებდა, გზაკვალის გაგნება აღარ სჭირდებოდათ, კანჯოსკენ ჯიქურ მოცურავდნენ გვერდიგვერდ.

საჭე ძელაკით გაჭედა, აფრა აკეცა და კიჩოს საფარიდან კეტი გამოიღო. ეს იყო გადატეხილი ხოფის მოხერხილი ზედა ნაწილი, ორნახევარ ფუტამდე სიგრძისა. ამ კეტის მოქნევას მხოლოდ ცალი ხელით თუ შეძლებდა, მეორეთი ველარ მოჰკიდებდა ხოფის კოტას. ბერიკაცმა კეტი მარჯვენა ხელში დაიჭირა და ხელის მტევანი დაატრიალა, თან ნავს მომდგარ ზვიგენებს აკვირდებოდა, ორივე „ხალიანის“ ჯიშისა იყო.

„უნდა ვაცალო ზვიგენს და ჩაასობს თუ არა თევზს კბილებს, სწორედ მაშინ დავცხებ ზედ ცხვირის წვერზე ან პირდაპირ თავში“, — გადაწყვიტა ბერიკაცმა.

ორივე ზვიგენი ერთდროულად გაჩნდა თევზთან. ბერიკაცმა დაინახა, როგორ დაალო ხახა უფრო ახლოს მისულმა და ჩაარჭო თუ არა კბილები თევზის ვერცხლისფერ გვერდს, უმალ ასწია მალლა კეტი და ზვიგენის ბრტყელ თავს გამეტებით, ზათქით დაახეთქა. კეტი ჯერ დრეკადს, მკვრივს მოხვდა, მაგრამ მერე ბერიკაცმა ძვლის სიმყარეც შეიგრძნო, ერთხელ კიდევ ღონივრად დასცა ცხვირის წვეტზე და ზვიგენი თევზს სრიალით ჩამოსცილდა.

ამასობაში მეორე ზვიგენს უკვე ეხეირა თევზისგან, განზე გასულიყო და ახლა ხახადაღებულმა კვლავ მოაშურა. სანამ ზვიგენი თევზს დააცხრებოდა და მერე ყბებს დამუნავდა, ბერიკაცმა მისი ხახის კედლებზე შერჩენილი თევზის თეთრი ხორცის ნაკუნებს მოჰკრა თვალი. ბერიკაცმა მომხდურს კეტი მოუქნია, თავზე მოხვდა, ზვიგენმა მას ახედა და თევზის ხორცი დაითრია. ბერიკაცმა ისევ მოუქნია კეტი და იმ დროს ჩასცხო

ზვიგენს, როცა ლუკმის გადასაყლაპად განზე გასრიალდა. კეტი კვლავ უმაგრესი საფარველის სიმკვრივეს მოხვდა.

— აბა, მოდი, galano, — უთხრა პერიკატმა, — ისევ აქეთგენ გამოსწიე.

ზვიგენი დაფეთებული მივარდა თევზს, პირი დამუნა თუ არა, მაშინვე დასცხო პერიკატმა. რამდენადაც შეეძლო, მალლა ასწიდა კეტს და ლონივრად დასცხო. ამჯერად პერიკატმა კეტის ქვეშ ზვიგენის თავის ქალას ძვალაც შეიგრძნო, იქვე ხელმეორედ დაარტყა იმ დროს, როცა ზვიგენმა ნაპვლიჯა თევზს უაზროდ ჩამოკონწიალებული ხორცის ნაჭერი და ქვევით ჩასრიალდა.

პერიკატი ერთხანს უდარილებდა, ეგონა, ისევ მოვაო, მაგრამ აღარცერთი არ ჩანდა. მერე ერთი მათგანი დაინახა, ზედაპირზე წრიულად ცურავდა, მეორის ხსენება კი არსაით იყო.

„მე არც მეგონა, რომ ახლა მათ მოკვლას შევძლებდი, — გაიფიქრა პერიკატმა, — უნინ, ჩემი მხნეობის ჟამს, უცილოდ ბოლოს მოვუღებდი. თუმცა ორთავეს შავი დღე ვაყარე და ახლა ალბათ, არცერთ მათგანს არ ულხინს. მე რომ შემძლებოდა კეტი ორივე ხელით დამეჭირა, იმ პირველს მაინც უთუოდ გავათავებდი ახლაც კი ეს დროული კაცი“.

არ უნდოდა თევზის დანახვა. იცოდა, რომ მისი ნახევარი აღარ არსებობდა. სანამ ზვიგენებს ეომებოდა, მზე უკვე ჩასულიყო.

— დალამებას აღარაფერი უკლია, — თქვა მან, — ცოტაც და ჰავანას ნათურების ციმციმს მოვკრავ თვალს. თუ ნაპირს აღმოსავლეთით ძალზე გამოვშორდი, ახლად გაშენებული რომელიღაცა დასახლების ლამპიონებს მაინც შევნიშნავ.

„ახლა ალბათ ნაპირთან ახლოს ვარ, — გაიფიქრა პერიკატმა, — არა მგონია, დიდად შენუხებულყო ვინმე ჩემზე ფიქრით. მხოლოდ ბიჭია დარდიანად, რალა თქმა უნდა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბიჭს სჯერა ჩემი. ისე, ალბათ ხნიერი მეთევზეებიც ღელავენ ჩემს გამო და ბევრი სხვაც, ჩემს ქალაქში გულიანი ხალხია“.

პერიკატს თევზთან საუბარი აღარ ენადა, თევზი ერთობ დაბდღვნილი იყო. ვერ ისვენებდა, მერე რალაც მოიფიქრა.

— ნახევარ-თევზო, — დაუძახა, — შენ, ოდესღაც ჭეშმარიტად არსებულ თევზო! გთხოვ მომიტევეო, რომ ზღვაში ასე შორს გამოვედი. ჩემი და შენი, ორივესი, დამარცხება ჩემი ბრალია. სამაგიეროდ ჩვენ, მე და შენ არა ერთი და ორი ზვიგენი მოვსპეთ და კიდევ უფრო მეტი გავაუბედურეთ. რამდენი გყავს მოკლული, რაც თავი გახსოვს, ბებერო თევზო? აბა ტყუილ-უბრალოდ ხომ არ გაქვს სახეზე გამობმული ეგ დაშნა?

თევზზე ფიქრები მოეძალა, ცდილობდა წარმოედგინა, ეს თევზი ზვიგენს რა დღეს დააყრიდა, თავის ნებაზე რომ ეცურა.

„ძალიან დავაშავე, რომ თევზს თავის დროზე დაშნა არ ჩამოვჭერი და ზვიგენებთან შერკინებისას არ მოვიხმარე, — გაიფიქრა პერიკატმა, — მაგრამ საამისოდ წალდი არსად იყო, მერე დანასაც გამოვეთხოვე“.

„თავის დროზე თევზის დაშნა რომ მქონოდა და ხოფის კოტაზე მიმება, რა საუცხოო იარაღი მექნებოდა! მაშინ კი მართლაც შევძლებდით ერ-

თად შევბმოდით ზვიგენებს! ახლა რას აპირებ, ბერიკაცო, ამალამ თავს რომ დაგესხნენ, რა უნდა ჰქნა?“

— უნდა შევეჭიდო, — თქვა ბერიკაცმა, — ვიბრძოლებ, სანამ პირში სული მიდგას.

მაგრამ ახლა, ამ ლუსკუმ ღამეში, არც ნათურები კრთოდნენ, არც მათი ანარეკლი მოჩანდა სადმე, მხოლოდ ქარი ქროდა ქარისგან აფრადალზე იბერებოდა და ბერიკაცმა გაიფიქრა, მგონია უფვე მუცვი კიდეცო. გულხელი დაიკრიბა და ხელისგულები მოსინჯა. მიცვალებულისას სულაც არ უგავდა და თუ მაინცდამაინც, ახლა სულ უბრალოდ, თითების გაშლა-მოკუმშვით შეძლებდა ცხოვრების სიმწარე გამოეცადა. კიჩოს ზურგით მიეყრდნო და დარწმუნდა, რომ არ იყო მკვდარი, ეს მას ბეჭებმა უთხრეს.

„მე ჯერ კიდევ სათქმელი მაქვს ყველა ის ლოცვა, რაც აღვუთქვი, თუკი თევზს დავიჭერდი, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — მაგრამ ახლა ისე მაქვს ღონე გამოლეული, ვერ შევძლებ ლოცვების თქმას. ისა სჯობია, ტომარა მოვძებნო და მხრებზე წამოვიხსა“.

ბერიკაცი კიჩოზე იწვა, კანჯოს მიაცურებდა და ცას შეჰყურებდა, ნაპირიდან გამონაშუქს ელოდა. „თევზის ნახევარი ხომ დამჩა, — გაიფიქრა მეთევზემ, — ეგებ ბედმა გამიღიმოს და შინ თევზის წინა მხარე მაინც წავიღო, ერთხელ მაინც ხომ უნდა გამიმართლოს“.

— ნუ სცოდავ, — უთხრა თავის თავს, — თავად გაანბილე შენი თავი, როცა ასე შორს, შუა ზღვაში გახვედი.

— ნუ სულელობ, — ხმამალლა თქვა, — გირჩევნია, ფხიზლად იყო, საჭეს მიხედო. ჯერ ვინ იცის, ბედი რა სიკეთეს გინყალობებს.

— როგორ მინდა, ცოტა ბედის წყალობა ვიყიდო, თუკი სადმე იყიდება, — ინატრა ბერიკაცმა.

— კი მაგრამ, რითი ვაპირებ ყიდვას? — ჰკითხა ბერიკაცმა თავის თავს. — განა დაკარგული ბარჯის, გადატეხილი დანის და ორი ბედასლი ხელის ფასად შევძლებ ბედის წყალობის ყიდვას?

— შეუძლებელი არაფერია, — მიუგო თავის თავს, — მაშინ ხომ ეცადე ზღვაში გატარებული ოთხმოცდაოთხი დღის ფასად გეყიდა? აკი კინალამ გერგო კიდევ.

„რა დაუკრეფავში დავდივარ, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — ბედის წყალობა ისეთი რამაა, ნაირნაირი სახით გვეწვევა ხოლმე, ოღონდ არაა იოლად საცნაური. მე მცირედსაც ვიკმარებდი, სულერთია, რა სახით, საფასურსაც არ დავიშურებდი. აი ახლა, ნათურების შუქის ანარეკლის დანახვა მინდა, ისე კი სხვაც ბევრი რამ მწადია, მაგრამ ამ წუთას ესაა ჩემი უპირველესი ნატვრა“.

ბერიკაცი შეეცადა საჭესთან უფრო თავისუფლად მოკალათებულიყო. ისევ შეახსენა თავი ტკივილმა, ისევ დარწმუნდა, რომ არ იყო მკვდარი.

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა ქალაქის ანთებული ნათურების ანარეკლი დაინახა. თავდაპირველად ცა მკრთალად განათდა, მთვარის ამოსვლის წინ რომ იცის ისე, მაგრამ მერე და მერე სულ უფრო საჩინო გახდა აკიაფებული ნათურების ციმციმი ნაპირიდან, ოკეანე კი ბორგავდა ქარის გამძაფრების კვალდაკვალ. ბერიკაცი კანჯოს ნათურებისკენ მიაცურებდა და ფიქრობდა, საცაა გოლფსტრიმის დინებას შევერევიო.

— ესეც ასე. ვაითუ, ისევ დამეცნენ თავს. მაგრამ რას გააწყობს კაცი მათთან შიშველი ხელებით ამ მრუშე ლამეში?

ბერიკაცს უჭირდა მოძრაობა, ყველა სატკივარი ერთად წინკნიდა, ქრილობების, დაჭიმული სხეულის ცალკეული ნაწილების ტკივილს ლამის სიცივე კიდევ უფრო ამწვავებდა. „იმედია, აღარ მომიწევს კვლავ ბრძოლის გადახდა, — გაიფიქრა, — დიდი იმედი მაქვს, მაგრამ ნებადამხდებია კვლავ დიდი საგრობა“.

არ გაუმართლდა. შუალაშე იქნებოდა, როცა ბერიკაცი კვლავ შეეჯახა მომხდურებს, თუმცა დარწმუნებული იყო, შებრძოლება ფუჭი იქნებოდა. ნათელთევზების მთელი ჯგრო მოაწყდა. ბერიკაცი ხედავდა მხოლოდ წყალზე ზოლებად გავლებული ფარფლების კვალს და თევზზე დაძგერებისას წყლის სიღრმეში მათ გამოსხივებას. ბერიკაცი ზვიგენებს კეტს თავებზე უზაპუნებდა, ესმოდა მათი კბილების ღრჭენა, გრძნობდა, როგორ ირყეოდა კანჯო, როცა იმის ქვეშ თევზს ნაწილ-ნაწილ იტაცებდნენ, გაცოფებული ღდინს აცლიდა რაღაც უხილავს, რაც ხელში ხვდებოდა ან ხმას გამოსცემდა. უცბად რაღაცამ გამოსტაცა კეტი ხელიდან და კეტი გაქრა.

ბერიკაცმა საჭის ძელაკი ფოსოდან ამოჰგლიჯა, ორივე ხელით დაიჭირა და იმით ურტყამდა, ძირს ახეთქებდა შეუჩერებლად ისევ და ისევ. ზვიგენები ახლა ნავის ცხვირთან შექუჩდნენ და ხან სათითაოდ, ხან ყველა ერთად გლეჯდა ხორცს ნაფლეთებად, ჩაძირული ნამუსრავი წყალში ანათებდა, ზვიგენები კვლავ და კვლავ უბრუნდებოდნენ თავის საკბილოს.

უკანასკნელად, როცა ერთმა ზვიგენმა ჯიქურ მიაშურა თევზის თავს ბერიკაცი დარწმუნდა, რომ ყოველივე გასრულდა. მან ზვიგენს ზედ თავთან მოუქნია საჭის ძელაკი, ზვიგენის კბილები ყბებიანად ჩაჭედდითყო თევზის თავის უმაგრეს ძვლებში, რომელსაც ვერაფერს უხერხებდა. ისევ დაჰკრა თავზე ძელაკი, კიდევ და კიდევ. ამ დროს ბერიკაცს ხის მტვრევის ხმა მოესმა და ისევ დაარტყა ზვიგენს გაჩეხილი ტარის ბუნი, იგრძნო, როგორ შეესო ნაფოტი მტაცებელს ხორცში და ხელახლა ჩააარტო ბუნის წვერნამახული ანატკეჩი. ზვიგენმა მიატოვა იქაურობა და ტალღებზე გადაგორდა. ის მომხდური ნათელთევზების ჯგროს უკანასკნელი ნარმომადგენელი იყო. შესაჭმელი აღარაფერი დარჩა.

ბერიკაცს სუნთქვა უჭირდა, უჩვეულო გემო გაუჩნდა პირში, მომჟავო-მოტკბო გემო და წუთით შიშმა შეიპყრო, მაგრამ შიში უმალ გაუქრა.

ბერიკაცმა ოკეანეში გადააპურჭყა და დაიძახა, — ეს გადაყლაპეთ, „ხალიანებო“, და ვინძლო მოგვლანდოთ, რომ კაცი მოჰკალით.

ბერიკაცმა თავი საბოლოოდ და უსაშველოდ დამარცხებულად სცნო. კიჩოსკენ მიბრუნდა, ნახა, რომ ძელაკის ხვიჭირი საჭის ფოსოში ჯდებოდა, თავისუფლად შეძლებდა კანჯოს ნაყვანას. ბეჭებზე ტომარა მოიგდო და ნავი გზას გაუყენა. ნავი მჩატედ მისრიალებდა, არც რამეს ფიქრობდა, არც რამეს გრძნობდა, ყოველივე უკან მოიტოვა, კანჯოს მშობლიური ნაპირისკენ მიაცურებდა და ისლა დარჩენოდა, რაც შეიძლება მარჯვედ და მშვიდობიანად მიეყენებინა ნავი ნაპირთან. იმ ღამეს ზვიგენები თევზის ჩონჩხს ისე ეცნენ, თითქოს ვიღაცა ნასუფრალს მუსრს ავლებსო. ბერიკაცმა აინუნშიც არ ჩააგდო ისინი, აღარც არაფერს აქცევდა ყურადღებას

კანჯოს სრიალის თვინიერ. ერთი კი შენიშნა, რა მსუბუქად, ძალდაუტანებლად მიცურავს ნავი, რაკი ვეებერთელა ტვირთი აღარ ჰკიდიაო.

„რა კარგია ჩემი კანჯო, — გაიფიქრა, — გამძლეა და არაფერი აკლია საჭის ტარის გარდა, ეგ არაფერი, იოლად ვიშოვნი სანაცვლოს“.

ბერიკაცმა იგრძნო, რომ ნავი დინებას შეერია, სანაპირო ზოლზე დასახლებების ლამპიონები კიაფობდნენ. იცნო ის ადგილი, სადაც მიცურავდა, შინ მისვლას აღარაფერი უკლდა.

„რაც უნდა იყოს, ქარი ჩვენი კეთილისმყოფელია“, — გაიფიქრა, მერე დაამატა, ოღონდ ყოველთვის არაო. „ასეთივეა ჩვენი მეგობრებითა და მტრებით აღსავსე თვალუნვდენელი ზღვა და სანოლიც, სანოლიც ჩემი მეგობარია, ჩვეულებრივი სანოლი. დიდებული რამ იქნება ახლა სანოლში ჩანოლა. რა ადვილი ყოფილა დამარცხება. არასდროს მეგონა, დამარცხება ასე ადვილი თუ იქნებოდა. კი მაგრამ, შენ რამ დაგამარცხა?“ — იკითხა ბერიკაცმა.

— არაფერმა, — მიუგო ხმამაღლა, — უბრალოდ, ზღვაში ძალზე შორს გამოვედი.

როდესაც ბერიკაცი უბეში შევიდა, ტერასაზე ნათურები ჩამქრალი დახვდა. მიხვდა, რომ უკვე ყველას ეძინა. შუადღეს ამოვარდნილი ქარი, ამ დროისათვის ერთობ გაავებულიყო. თუმცა თვით უბეში სიმშვიდე იყო და ბერიკაცმა ნავი კლდის ქვეშ, ხრეშმოყრილი მიწის ზედ ვინრო ზოლთან მიაყენა. არავინ იყო დამხმარე და მას თავად მოუნია გაჭირვებით აეჩოჩებინა თავისი კანჯო. მერე მიწაზე გადმოვიდა და ნავი კლდეს გამოაბა.

ბერიკაცმა ანძა მოხსნა, იალქანი შემოახვია და შეკრა. ანძა მხარზე გაიდო და აღმართს შეუყვა. ახლა იგრძნო, რა უღმერთოდ დაღლილიყო. ნუთით შედგა, უკან მოიხედა და ქუჩის ფარნის სინათლეზე კანჯოს კიჩოს იქით ამოშვერილი თევზის უზარმაზარ ბოლოს მოჰკრა თვალი. ბერიკაცმა თევზის გაშიშვლებული ხერხემლის თეთრი ხაზი, თევზის თავის უფორმო, ჩაშავებული ნარჩენები, გამოშვერილი ცხვირ-პირი და ხერხემლის მთელ გაყოლებაზე დაბუდებული დიდი სიმშვილე დაინახა.

ბერიკაცმა მძიმე-მძიმედ განაგრძო ასვლა, აღმართი აათავა თუ არა, ნაიქცა. ერთხანს იწვა თავის ანძიანად. შეეცადა წამომდგარიყო, მაგრამ ძალზე გაუჭირდა და იქვე ჩაჯდა მხარზე ანძა გადებული. გზას გახედა. თვალი დაადევნა თავის საჭიროებისთვის მოშორებით მიმავალ კატას, მერე გზას უაზროდ ჩააშტერდა.

ბოლოს ანძა მიწაზე დააგდო, წამოდგა, მხარზე გაიდო და გზას გაუყვა. ხუთჯერ ჩაიმუხლა, ვიდრე თავის ქოხამდე მიაღწევდა.

ქოხში შესულმა ანძა კედელზე მიაყუდა. სიბნელეში წყლის ბოთლი მოძებნა და ერთი ყლუპი მოსვა. მერე სანოლზე დაწვა. საბანში თავფეხიანად გაეხვია და გაზეთებზე პირქვედამხობილმა ჩაიძინა, საბნიდან გამოყოფილი ხელები, ამოტრიალებული ხელისგულებით, განზე გაეშალა.

ბერიკაცს ეძინა, როცა დილით ბიჭმა ოთახში შეიჭვრიტა. ღამით ქარი ისე ღონივრად უბერავდა, რომ თევზსაჭერი ნავეები ზღვაში ვერ გავიდოდნენ და ბიჭსაც გვიანობამდე ეძინა, მერე კი როგორც სჩვეოდა, ბერიკაცთან ქოხში მივიდა, მძინარეს დახედა, ბერიკაცი სუნთქავდა. მერე ბიჭს თვალში მოხვდა მისი ხელები და ატირდა. ფეხაკრეფით გავიდა გარეთ და ყავის მოსატანად გაეშურა. მთელი გზა იცრემლებოდა.

კანჯოს გარშემო თავშეყრილი მეთევზეები ათვალერებდნენ იმ საკვირველებას, ნავზე რომ იყო მიბმული. ერთი მათგანი წყალში შარვლის ტოტებაკაპინებული იდგა და თოკით ჩონჩხს ზომავდა.

ბიჭი მათთან არ ჩავიდა. ქობში მისვლამდე უნახავს ნავი, ერთი მეთევზე შეჰპირებია, ნავს მივხედავო.

— როგორ არის? — დაუძახა ქვევიდან ერთმა.

— სძინავს! — ჩასძახა ბიჭმა, არ ენალვლებოდა, მომტირალს რომ ხედავდნენ, — ახლა ნურავინ დაუფრთხობს ძილს.

— თავიდან ბოლომდე თვრამეტი ფუტია, — ამოსძახა მეზადურმა, თევზს რომ ზომავდა.

— ჰო, ასე იქნება, — თქვა ბიჭმა.

ტერასაზე მივიდა და ერთი ქილა ყავა მოითხოვა.

— ცხელი იყოს, რძეც და შაქარიც ბლომად ჰქონდეს.

— სხვა ხომ არაფერი გინდა?

— არა, მერე ვნახავ, რის ჭამას შეძლებს.

— ეს რა საკვირველი თევზი ყოფილა, — თქვა მედუქნემ, — ამისთანა თევზს აქაურები თავის დღეში არ მოსწრებიან. შენც ორი ჩინებული თევზი დაგიჭერია გუშინ.

— ეშმაკსაც ნაულია ჩემი თევზი, — თქვა ბიჭმა და ისევ ამოუჯდა გული.

— შენ ხომ არაფერს დალევ? — ჰკითხა მედუქნემ.

— არა, — უპასუხა ბიჭმა, — ყველას უთხარი, სანტიაგოს თავი არ მოაბეზრონ. მე კიდევ შემოვივლი.

— ჩემს მაგივრად უთხარი, ძალიან ვწუხვარ, ასე რომ მოხდა-თქო.

— გმადლობ, — მიუგო ბიჭმა.

ბიჭმა ცხელი ყავით სავსე ქილა ბერიკაცს ქობში მიუტანა, თავად საწოლის თავთან დაუჯდა და ელოდა, ვიდრე გაიღვიძებდა. ერთი პირობა ისე ჩანდა, თითქოს იღვიძებო, მაგრამ ძილი შეიბრუნა, ბიჭი გზის გადაღმა ვილაცას ცოტა შეშას ესესხა, რომ ყავა გაეცხელებინა.

ბოლოს ბერიკაცმა გაიღვიძა.

— იწევი, — უთხრა ბიჭმა, — ეს დალიე, — ყავა ჭიქაში გადმოუსხა.

ბერიკაცმა ჭიქა გამოართვა და ყავა დალია.

— მძლიეს, მენოლინ, — უთხრა ბერიკაცმა, — მართლაც რომ მაჯობეს.

— მაგრამ იმან, იმ თევზმა ხომ ვერ გაჯობა.

— მართალია, იმან ვერა, მაგრამ მერე მოხდა, რაც მოხდა.

— პედრიკო მიხედავს შენს კანჯოსა და ბარგი-ბარხანას. თევზის თავს რას უპირებ?

— პედრიკოს უთხარი, დაჩეხოს, თევზის სატყუარებად გამოადგება.

— დაშნას რა ვუყოთ?

— შენი იყოს, თუ გინდა.

— მინდა, რატომაც არა, — უპასუხა ბიჭმა, — ახლა სამომავლო გეგმებზე მოვილაპარაკოთ.

- ვინმე თუ მეძებდა?
- რა თქმა უნდა. მაშველი ჯგუფიც გეძებდა და თვითმფრინავებიც.
- ოკეანე თვალუნვდენელია, კანჯო კი პატარაა, ძნელი შესამჩნევი, — თქვა ბერიკაცმა და გაიფიქრა, რა სასიამოვნოა, როცა ჩემი თავისა და ზღვის ნაცვლად შემოძლია ვიღაცას დაველაპარაკო, — ძალიან მაკლდი, — უთხრა ბიჭს, — შენ როგორღა მოიარე? ერეკლე
- პირველ დღეს ერთი თევზი დავიჭირეთ, მეორე დღეს კი ერთი და ორიც — მესამე დღეს.
- კეთილი და პატიოსანი.
- ამიერიდან ჩვენ ისევ ერთად ვითევზავებთ.
- არ გინდა, მე ერთი ხელმოცარული კაცი ვარ, ბედი აღარ მწყალობს.
- რა ჯანდაბად აქნევ ბედსა თუ უბედობას, ნახავ, როგორი ფეხბედნიერი ვიქნები შენთან.
- შენიანები რას იტყვიან?
- რაც უნდათ, ის თქვან. გუშინ ხომ ორი დავიჭირე. ამას იქით სათევზაოდ ერთად წავალთ მე და შენ, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო შენგან.
- უსათუოდ დაგვჭირდება ერთი რიგიანი ორპირიანი დანა თევზის მოსაკლავად, ნიადაგ თან უნდა გვექონდეს. „ფორდის“ ძველი მანქანის ლითონის ზამბარისგან შეგიძლია დანას პირი გაუკეთო და მერე გუანაბაკოაში¹ გავალესინოთ. ბასრი უნდა იყოს, მაგრამ გამონართობა არ ღირს, თორემ შეიძლება ფოლადმა დიდხანს ვერ გაუძლოს, მე დანა გადამიტყდა.
- დანასაც ვიშოვი და ფოლადსაც გავალესინებ. ნეტავ რამდენ დღეს გასტანს ეს ძლიერი ბრიზი?
- სამ დღეს ალბათ, შეიძლება მეტსაც.
- ამასობაში მე ყველაფერს მოვამზადებ, — თქვა ბიჭმა, — შენ კი, როგორმე ეგ ხელები მოირჩინე, ბერიკაცო.
- მე ვიცი, ხელებს როგორ მოვუარო. უცნაური რამ ამოვახველე ღამით, თანაც მომეჩვენა, რომ გულის ფიცართან რაღაც ჩამინყდა.
- მაგასაც მიხედე, როგორც საჭიროა, — უთხრა ბიჭმა, — კარგად მოისვენე, ბერიკაცო. მე კი წავალ და სუფთა კვართს მოგიტან, საჭმელსაც გიშოვნი.
- რომელიმე გაზეთი მომიტანე იმ დღეებისა, ზღვაში რომ ვიყავი გასული, — სთხოვა ბერიკაცმა.
- სასწრაფოდ უნდა მოიკეთო, ხომ იცი, რამდენი რამაა ისეთი, რაც არ ვიცი, შენ უნდა მასწავლო ყველაფერი. ძალიან გამწარდი?
- გვარიანად, — მიუგო ბერიკაცმა.
- საჭმელს და გაზეთებს მოგიტან, — უთხრა ბიჭმა, — კარგად მოისვენე, ბერიკაცო. აფთიაქიდანაც მოგიტან რამეს, ხელები რომ მოგიშუშოს.

1. ქალაქი კუბაზე, ჰავანის აღმოსავლეთით.

— არ დაგავიწყდეს, პედრიკოს უთხარი, თავი შენია-თქო.

— არ დამავიწყდება.

ბიჭი ქოხიდან გავიდა, გზა გადიოდა მარჯნის ქანების ჩამონახალზე, რომელიც დიდი ხნის დატკეპნილი იყო. ბიჭი მიდიოდა და ისევ ტიროდა.

ნაშუადღევს ტერასაზე ტურისტები შეჯგუფულიყვნენ და დაჰყურებდნენ. ერთმა ქალმა წყალში ლუდის ცარიელ სანდეებსა და ზღვის დამხრჩვალ ქარიყლაპიებს შორის დაინახა უგრძესი თეთრი ხერხემალი, უზარმაზარი ბოლოთი, რომელიც ზვირთებს ზევით-ქვევით დაჰყვებოდა. მოშორებით, უბის პირას, აღმოსავლეთის ქარი ვეება ტალღებს აგორებდა.

— ეს რა არის? — ჰკითხა ქალმა მიმტანს და მიანიშნა დიდი თევზის ახლა უკვე ბუჩოდქცეულ ნაგრძელეებულ ხერხემალზე, რომელსაც მალე ზღვის მოქცევა შორს გარიყავდა.

— Tiburon, — მიუგო მიმტანმა ესპანურად, — ნათელთევზმა. დააპირა მოეყოლა, რაც მოხდა.

— არ ვიცოდი, თუ ნათელთევზებს ასეთი მშვენიერი, ლამაზად მოყვანილი ბოლოები ჰქონდათ.

— არც მე ვიცოდი, — თქვა მის გვერდით მდგომმა მამაკაცმა.

გზის თავში, თავის ქოხში, ბერიკაცს კვლავ ეძინა. ისევ პირქვე იწვა, სასთუმალთან ბიჭი ეჯდა და უდარაჯებდა. ბერიკაცს ლომები ეზმანებოდა.



ნიკოლოზ ნეკრასოვი



ფიქრები საღარბაზო შესასვლელთან

ჰა, საღარბაზო კარი აღთქმული,
უქმე დღეები როგორც დადგება,
მთელი ქალაქი ამ კარს აწყდება
მონური შიშის გრძნობით აღძრული.
ჩაწერენ თავის სახელს, წოდებას,
სტუმრები ლალი განწყობილებით
დაიშლებიან კმაყოფილები,
თითქოს არ ჰქონდეთ სხვა მოწოდება.
სადავ დღეს მოდის ბევრი ბედბნელი
და უპოვარი და მარტოხელი:
მეოცნებე თუ სკამის მძებნელი,
მიხრწნილი ბერი თუ ქვრიუოხერი.
რბიან შიკრიკნი და ყოველ დილას
დაატარებენ ქალაქებს ფრენით,
ზოგი მთხოვნელი დიღინებს ტკბილად,
ზოგი ბრუნდება ცრემლით და წყენით.

ერთხელ აქ ვნახე რუსი გლეხები,
სოფლის უბრალო მომაკვდავები,
შეხედეს საყდარს ლოცვა-ვედრებით,
მერე ჩაქინდრეს ქერა თავები.

ღვას შვეიცარი პალატთა მცველად,
„შეგვიშვით!“ – შესთხოვს ხალხი
ტანჯული,

უცხო სტუმრები დალანდა ცერად
მზით გარუჯული და აღანძული.
არმიაკები აჩონჩხილ მხრებზე,
მოხრილ ზურგებზე ნაცვეთი ჩანთა,
ჯვარი გულმკერდზე და სისხლი ფეხზე
და ქალამნებიც ძველმანი ჩანდა.
(ალბათ გამოვლეს მათ შორეული
გუბერნიიდან დიდი მანძილი),
იქ ვიდაც ყვირის ბრაზმორეული:
„გარეკე! მას სძულს ბრბო დაბრანძილი!“

კარს მიჰკრეს მაგრად. ხალხი გახევდა,
ერთხანს ქისებში ძებნეს ფულები,
მეკარემ გროშებს არც კი დახვდა
და გზას დაადგნენ დასაცხულები.
„ღმერთო, განსაჯე!“ – ცას შეჭლალადეს,
არვინ გამოჩნდა მათი მშველელი,
ვხედავდი, თვალი მიმწვდა საღამდევ:
მილასლასებდნენ თავშიშველები...

ხოლო მფლობელი დიდთა პალატთა
სწორედ იმწუთას ძილად დაეარდა...
შენ, ვინც ეძახი სიცოცხლეს ნამდვილს
აღფრთოვანებას მლიქვნელურ ფანდით,
გაუმაძღრობას, კარტს, უხეშობას,
გამოიღვიძე! არის სხვა სიტკბოც:
უხმე გლეხობას! უჩვენე სითბო!
მაგრამ იმათთვის კარი გეხშობა.
სულ არ გაშინებს რისხვა ზესკნელის,
მიწიერი კი შენს ნებას მისდევს,
ლარიბ-ლატაკი გულამოსკვნილი
უჩივის ბედს და წელს ძლივსდა ითრევს.

მისი ტკივილი გეუცხოვება
და შენს გულს ახლოს არ ეკარება,
და ვარდფენილი შენი ცხოვრება
მხოლოდ ლხინია და ნეტარება.
და გასართობად არ ერიდები,
მჯღაბნელთა ხროვას სიკეთედ თვლიდე,
უიმისოდაც ცოცხლობ დიდებით
და დიდებითვე მოკვლები კადეც.
იმ არკადიულ იდილიისას
ჩაგენაულება ბოლო დღეები,
ცა წარგიტაცებს სიცილიისა,
მოვიჩრდილებენ მწვანე ხეები...

ნახავ, ვით კოცნის მწველი აღმურით
 ხელთაშუა ზღვას მზე მეწამული,
 მისა სხივები უმხურვალესი
 შემოვლენა ოქროს სირმებად,
 მოვინანავეს ტალღა აღერსით
 და შენც ბავშვივით ჩაგეძინება.
 და ინებივრებ ოჯახთან ერთად
 (წენს აღსასრულს რომ დღე-დღეზე
 ელის),

და როს მოგწვდება სიკვდილის ცელი,
 ჩამოასვენებს შენს ცხედარს ჩვენთან.
 და წახვალ რიხით ამ ქვეყნის იქით,
 მიწად იქცევი გმირად ნათლული,
 წემაღ რომ გითვლის წყევლას მამული
 და გადიდებდნენ ხმამაღლა ლიქნით.

თუმც რად ვაწუხებთ მაღალ გვამს ასე,
 მღაბალთა წრეს რომ უუხსენებთ ხშირად,
 მათ ღუბჭირ ყოფას, წვალეებით სავსეს,
 ეს დიდბატონი თვლის ღობის ჩხირად.
 სჯობს, გულის ჯაერი ვფანტოთ სხვა
 რამით...

ვის ენადვლება, ქანცმიღეული
 გლეხი ბოჯანო, ხვედრს შეჩვეული,
 როგორ ბოგინობს ამდენ ვარამით!
 შევლენ ღუქანში და გროშებს იმწამს
 გამოუყვანენ წირვას მთლიანად,
 გამოვლენ გზაზე და ნადვლიანად
 ჩაიკვნესებენ... მშობელი მიწავ!

ისეთი მხარე სადმე მაჩვენე
 (მე ამგვარ კუთხეს ვერ ვხედავ ვერსად),
 სადაც არ ისმის ჩვენი მარჩენლის —
 რუსი გლეხკაცის ოხვრა და გუნესა!
 მინდვრებში კვნესა ექცა იმდღად,
 მაღაროებში კვნესას მთენებდა...
 ოხრავს ციხეში, ბორცვებზე, ჩრქვენი
 ოხრავს კალოზე, თივის ზვინებთან,
 ფორანქვეშ, ველზე ღამეს რომ ითევს.
 ხენეშის ქობმახში — ნესტიან ხვრელში,
 სადაც მზე მუდამ ძლივს ანათებდა,
 ყოველ მივარდნილ ქალაქში კვნესის,
 სასამართლოსთან თუ პალატებთან.

გადი ვოლგაზე: იქ ვილაც კვნესის
 რუსეთის დედა მდინარის ბაგით,
 ამას სიმღერას ვეძახით ჩვენში,
 ეს ბურლაკები ჭიმავენ ბაგირს.
 ო, ვოლგა, ვოლგა!.. როს ადიდდები,
 ისე არ ავსებ ველს წყალთა ჩქერით,
 როგორც სახალხო სევდის ზვიროთებით
 ავსებულია ქვეყანა ჩვენი.

და კვნესის ხალხი... ჰოი, საბრალოვ!
 არ გეყო ტანჯვა დაუსაბამო?

გამოიღვიძებ? შეიძლებ დგომას?
 თუ კვლავ ემოხვი იმ ბედისწერას,
 რომ მორჩილებით გასწიე შრომა,
 კვნესისმაგვარი შექმენ სიმღერა
 და სულიერი არჩიე კვდომა?!

რკინიგზა

ვანია: მამაჩემო, ვინ გაიყვანა ეს გზა?
 მამა: გრაფმა პეტრე ანდრიას ძე კლეინმიხელმა,
 ჩემო კარგო!

საუბარი ვაგონში.

1

დგას დიდებული შემოდგომა, სიამის მგვრელი!
 საღი ჰაერი გვმატებს ძალ-ღონეს,
 მდინარეს უკვე გადაჰკვრია ყინული თხელი
 და იგი გამდნარ შქარს მაგონებს.

ვით რბილ საწილში, აქ, ტყის მახლობლად,
 თუ გსურს, იძინე — არ გაისმის ჩქამი არხით,
 ვერ მოუსწრიათ ფოთლებს გახმობა
 და განფენილან მოყვითალო ხალიჩასავით.



დგას შემოდგომა! ღამით აჭერს ყინვა ძლიერად
 დღე ჩამოდგება ნააღიერი და კურთხეულად
 და ბუნებაში ძვირფასია და მშვენიერი
 ჯირკიტ, გორახიც, ავით ჭობიც ხავსმორეული.

და მხიბლავს მიწა, მთვარის სხივთა ნააღერსები,
 ყველგან მშობლიურს ვცნობილობ რუსეთს,
 მიმასრიალებს თუჯის რელსები
 და ჩემს თავს ისევ ფიჭვებში ვუსმენ.

11

კეთილო მამავ! ნუ დაიწყებთ მიღებ-მოღებას,
 ამას ჭკვიანი თქვენი შვილი არ დაგიმადლებთ,
 და ახლა, მთვარე როს დაგვნათის და გვემოწმება,
 ნება მიბოძეთ, ვუთხრათ სიმართლე.

ოი, ვანია, ხალხს რა შრომა გადუტანია!
 და კაცი მარტო როგორ გასწევს ჭაპანს ამხელას...
 ქვეყნად მეფეა უღმობელი დიდი ხანია
 და მას შიმშილი ჭკვია სახელად.

უძღვის არმიებს, ძალუძს ზღვაში გემების მართვა,
 სალუკმაპუროდ გაჰყავს შშრომელი,
 მიჰყვება გუთანს, გაჩნდება ჩარხთან,
 მის ნებას მისდევს ხუროც, მქსოველიც.

აქვე მორეკა უპოვართა მთელი ლაშქარი,
 იყო მიწასთან ბრძოლა-ჭიდილი,
 გამოაცოცხლეს გაუვალი ტევრი ჩამკვდარი
 და თვითონ ერგოთ ბოლოს სიკვდილი.

ხალხმა ამ გზის ქვეშ ჩაკირა ქვები
 და რომ შეგხვდება ბოძი თუ ხიდი,
 ყველგან რუსული ჩაყრილა ძვლები
 და ეს ცხოვრება, ო, ვანეჩკა, ამ ძვლებზე მიდის.

ჩუ! ეს რა ხმაა? აჩრდილებმა იწყეს წრიალი...
 მიწაში ყოფნა არ ისურვეს განმარტოებით
 და ბაკაბუკით, კბილთა ღრჭიალით
 საფლავეებიდან გამორბიან მკვდართა ბრბოები.

ზოგი აქა-იქ ნაბიჯებს არევს
და ზოგიც თუჯის ლიანდაგს სერავს.
გესმის სიმღერა? — „რა კარგია, ახ, მოვარევ! მოვარევ!
შენს შუქზე ჩვენი ნაჯაფარის ნიადაგ ცქერა!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელში ვწყდებოდით სიცხით, სიცივით
და მუდამ გვქონდა ქედი დახრილი,
ბნელ მიწურებში ვბინადრობდით, გვკლაუდა შიმშილი,
ვიყინებოდით სურავანდით დაბლა დაყრილნი.

ათისთავთაგან უთვალაუჯერ გავიძარცვენით,
უფროსის როზგებს ჩვენ ვიტანდით ქანცგაცლილები,
ვითმენდით ყოველს ღვთისმორჩილი ჯარისკაცები
და უწყინარი შრომის შეილები.

ძმებო! ამ ნაყოფს ახლა თქვენ იმკით,
ჩვენ გვიწერია მიწაში გახრწნა...
გვიგონებთ ნეტავ უბედურებს კეთილი სიტყვით.
თუ ჩვენი ხსოვნა იმწამსვე დაჭკნა?..“

ეს უჩვეულო ნუ გაკრთობს ხმები,
ჩვენთან რომ მოაქვს ვიღბოვს, ოკას, თვით დედა ვოლგას,
მღერიათ ქვეყნის ყოველ მხრიდან ჩვენივე ძმები
და ეს სიმღერა გლეხის კვნესას საოცრად მოგავს.

შენ ხომ პატარა აღარა ხარ, გამიგებ, მჯერა,
არც გაკვირვება და არც შიში გეპატიება...
აგერ ის კაცი, აწოწილი, რუსივით ქერა,
ბელორუსია, ჩამოაჭკნო იგი ციებამ.

ფერმიხდილია, ძვლებად ქცეული,
გამხმარ ხელებზე წყლული აჩნია,
მხოლოდ ჭაობით დახაშმული შერჩა სხეული,
სხვა არაფერი არ გააჩნია.

ჩავარდნილ მკერდზე ნიჩაბი აქვს მას მიბჯენილი,
ამგვარ ყოფაში წუთისოფელს წვალეებით ათრევს,
კარგად შეხედე, ო. ვანია, ბედდაწყევლილი
მუდამ შავი ღლით შოულობდა ბუხანკის ნაჭერს.

ჩაზნექილი აქვს საბრალოს წელი,
მისი ღუმელი მორჩილებას, მოთმენას ნიშნავს,
დაქანგულ ნიჩაბს დაათრევს ხელით
და ასე ებრძვის გაყინულ მიწას.

ნაშრომ-ნადაგი ამ ბედკრულის კი არ დაეძრაბოთ,
ჩვენვე მივბაძოთ კიდევ ეგების...“

დალოცე მუღამ გარჯა სახალხო,
პატივისცემა გქონდეს გლეხების.

მამულისათვის სიძნელებს ნურასდროს უფრთხი...
არის ამტანი რუსი ხალხი, საოცრად მტკიცე,
ამ გზის გაყვანა აიტანა — წამება უტყვი მარტო...
აიტანს ყოველს, რასაც ღმერთი წილხვედრად მისცემს.

აიტანს ყოველს... მისი გული — ნათელი, ფართო
მომავლისაკენ გაკაფავს გზა-კვალს,
ოღონდ საწყენი ის არის მარტო,
ვერ მოვესწრებით ეპ, მე და შენ დროებას ახალს.

III

ამ დროს გამოსცა ორთქლმავალმა ხმა გამყივარი
და გაიფანტა ბრბო მკვდრებისა თავაწყვეტილი
და თქვა ვანიამ: „უცნაური ვნახე სიზმარი —
ხუთი ათასი გლეხი ერთად, ჯარად შეყრილი.“

რუსთა ტომების ნაშიერნი, როგორც ძეგლები,
ჩემ წინ ჩამწკრივდნენ და უცნობმა ეს მომახარა:
„აი ისინი — ამ რკინიგზის აღმშენებლები!..“
და გენერალმა გადიხარხარა:

— გავიგზაკვალე და ვატიკანს მივეთაყვანე,
კოლიზეშიც ორი ღამე ვიხეტიალე,
ენახე ვენაში წმინდა სტეფანე
და ამას ყოველს ხალხი ქმნიდა მშიერ-ტიალი?

გთხოვთ მაპატიოთ ეს დაცინვა ზედმეტ ფერებით,
თქვენი მსჯელობა ცოტაოდნავ როყიოდ მოჩანს,
ეგებ აპოლონ ბელვედერელი
ვერც ამჯობინოთ ღობიოს ქოთიანს!

მხოლოდ აბანო თქვენი ხალხის ახლავს გონებას,
გაანიავა ხელოვნების ყველა ქმნილება
და ამას ვამბობ მე ვანიას გასაგონებლად...
მაგრამ პასუხი გენერალმა აღარ იხება:

ეგ თქვენი სლავი, ანგლოსაქსი და გერმანელი
არა შენების, ოსტატები ნგრევისა გახლავთ,
ბარბაროსები! ლითთა ხროვა აუტანელი!
ეს ვანიუშამ კარგად უნდა იცოდეს ახლა.

სიკვდილის მრუმე სურათებს რომ უხატავთ თვალწინ,
 ბავშვის ცოდვაში ნუ ჩადგებით, ნუ ააცრემლებთ,
 უმჯობესია, აჩვენოთ ყმაწვილს
 ნათელი მხარე...

IV

მართლაც პანკინებ!



მისმინე, კარგო, ჩვენი შრომა, ხიფათს ჩვეული,
 დასრულებულა — გერმანელი ამაგრებს რელსებს,
 მკვდარი მიწაში ჩაწოლილა, ხოლო სნეული
 გამწარებული წოწიალობს და მიწურს ეძებს.

მუშა ხალხი კი კანტორასთან რიგში ჩერდება,
 იფხანენ თავებს, გაზინთულს წვირით.
 მოიჯარადრის ვალი ედებათ
 და გაცდენილი ყოველი დღე უჯდებათ ძვირი.

ეს მოხმარდაო აბანოს და სნეულს, დაფეხვილს,
 კიდევ სხვა ხარჯიც გამოტყვერება ეშმაკეული...
 „და რაღა გვერგო? ვირის თავ-ფეხი!
 ჯანდაბას იქით!“ — და მიდიან ხელჩაქნეულნი.

მოიჯარადრე — ჩასკვნილი და წითელლოყები,
 ლურჯხიფთნიანი, გაქექილი ფქვილის ვაჭარი,
 მოდის უქმე დღეს, ხაზს ჩამოჰყვება,
 რომ ინახულოს ხალხის ნაშრომ-ნაამაგარი.

ვეგებებიან პატივდებით ამ კრუხის პალოს,
 სახეზე ოფლის ჩამოწმენდამ რომ გადაღალა.
 ხატოვან სიტყვის მოსაძებნად ფაფხურობს, წვალობს:
 „დიდებულია! მომილოცავს! ო, ბარაქალა!

ახლა პაიდა შინისაგან! არა ვარ მკაცრი
 (ოღონდ მოიძრეთ ქუდი, როცა ეიწყებ საუბარს),
 მიჩუქებია მუშებისთვის ეს ღვინის კასრი,
 გაცდენილ დღეზეც არ გთხოვთ საურავს!“

ვიღაცამ „ურა“ დაიძახა, ხალხი ჩაება
 ამ ღრიანცელში, ამ ხმაურში... ო, სეირს დახეთ!
 ხორხოციოთ კასრი დაითრიეს ათისთავებმა,
 ღვინის ხსენებით გაუცოცხლდა ზარმაცხაც სახე.

ცხენი გამოხსნეს, ეტლს შეებნენ, უცებ „ურათი“
 გაშლილ შარახე გააჭენეს ვაჭარი სწრაფად...
 დახატო უფრო მხიარული სხვა რამ სურათი,
 ო, გენერალო, ძნელია ალბათ!..

ნიკოლოზ ნაკრასოვი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

●
ყოველ წუთს მზად ვართ ასაფეთქებლად,
არსათქმელიც კი რამდენჯერ გვითქვამს,
ვჩხუბობთ, აწვება სისხლი საფეთქლებს
და შვებას გვაძლევს უხეში სიტყვა.

თქვი, თუ ტკივილით გული სავსეა,
თქვი გაბედულად, რაც კი გწყენია,

საოცარია, მაგრამ ასეა, —
სიმშვიდე უფრო მოსაწყენია.
და თუ თან ახლავს სიყვარულს პრიზა,
ბედნიერება ეიპოვოთ მასშიც,
სითბოს, სინაზეს და თანაგრძნობას
შერიგებისას სულ სხვა აქვს ფასი.

თედორე ტიუტჩაივი

●
თქმულება ამბობს, რომ სიყვარული
ფაქიზ გრძნობათა არისო სფერო,
ის კავშირია მსგავსი სულების,
საბედისწერო შერწყმაა მათი
და ... ორთაბრძოლა საბედისწერო.

უთანასწორო ჭიდილი მიდის
და ამ ჭიდილში მარცხდება მუდამ,
იმსხვრევა მუდამ სწორედ ის გული,
რომელსაც უფრო ნაზი და სუფთა
ძალუძს ოცნება და სიყვარული.

დენის ღავილოვი

●
ნუ გააღვიძებ, ნუ გააღვიძებ
ჩემს შეშლილობას და გაშმაგებას,
წარსულში დარჩა ეჭვიც და გზნებაც, —
ჩამქრალ ნაღვერდალს ნუ გააღვიძებ!

რად არ მასვენებს, რად არ მასვენებს
ის საყვარელი, ნათელი სახე,
ძვირფას და მტანჯველ ერთადერთ
სახელს

ნუ გამახსენებ, ნუ გამახსენებ!
ნუ დაასრულებ, ნუ დაასრულებ
უღრუბლო დღეთა უშფოთველ წყებას
და იმ დამლუპველ, წამლეკაუ ვნებას
ნუ დააბრუნებ, ნუ დააბრუნებ!

თუმცა, რას ვამბობ, რად მიხნდა ნიღბად
უზრუნველობა და გულგრილობა,
არ იმალება ღია ჭრილობა
მოჩვენებითი სიმშვიდის მიღმა.

თარგმნა დედა მებრევიძმა.



მოსარული ვარ ჩვენი გაცნობისა

თარგმნა მარლენ ავალია



ასე არ შეიძლება, ჩემო კარგო! და თუ რატომ, ამას უნდა ვთქვათ. მომიტევეთ, ბეი ეფენდი, თქვენი სახელი? ულვი ბეი? ძალზე ბედნიერი ვარ, ეფენდი, მე კი შაზის მეძახიან. ძალზე მოხარული ვარ. პო, რაზე ვსაუბრობდით?.. დიახ, გამახსენდა, ასე არ შეიძლება. არაფრით არ შეიძლება! მთელი უბედურება ის არის. ეფენდი, რომ სკოლებში, განათლების საქმეში ჩვენ სისტემა არ გავვაჩნია. ჩემთვის ეს ძალზე ნაცნობია იმიტომ, რომ თქვენი მონა-მორჩილი არა ერთი წელი მუშაობდა სახალხო განათლების სფეროში. ეფენდი, უსისტემოდ. უპროგრამოდ არც ერთი საქმის გაკეთება არ შეიძლება. მომიტევეთ, ბეი ეფენდი, ხომ არ მაჩუქებთ თქვენს სახელს? ულვი ბეი?.. ძალზე მოხარული ვარ. მე შაზის მეძახიან... ეფენდი, უპირველესად არ გავვაჩნია სასკოლო განათლების სისტემა. მოდის ერთი მინისტრი და გვეუბნება, ლიცეუმებში თერთმეტწლიანი სწავლება უნდა შემოვიღოთო, მოდის მეორე — ისევ ათწლედის სჯობსო. ერთი ამბობს, ხუთ საგანში უნდა იყოს გამოცდაო, მეორე ამბობს, ერთიც საკმარისიაო. ერთი გაიძახის, არ გადაღალთო ახალგაზრდა თაობა, შევიცოდოთ ბავშვებიაო, მეორე აცხადებს, ჩვენ ადამიანი ვკვირდება, ადამიანო, მოსწავლეებს მკაცრად მოექცითო, წელიწადში თუნდაც ერთ ნამდვილი ადამიანი რომ გამოზარდოთ, საკმარისია და შეიძლება მეტიცაო. ესე იგი, ბეი ეფენდი... მომიტევეთ, თქვენი სახელი, ეფენდი? ულვი ბეი?.. ძალზე მოხარული ვარ, ბეი ეფენდი. მე შაზის მეძახიან... ახლავე ავიხსნით, თუ რატომ არის ჩვენს სასკოლო განათლებაში ასეთი შეუსაბამობანი. ოცი წლის წინ თქვენი მონა-მორჩილი... არა, ოცდაექვსი... რომ არ მოგატყუოთ, შეიძლება ოცდათექვსმეტი წლის წინ, ან სულაც უფრო მეტი ხნის წინათ, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს როდის იყო. ერთი სიტყვით, ჩემი შრომითი მოღვაწეობა დავიწყებ მასწავლებლობით. მაშინ მე ახალგაზრდა კაცი ვიყავი ასე ოცდაოთხი-ოცდახუთი, რომ არ მოგატყუოთ, შეიძლება ოცდათხუთმეტისაც, ან სულაც ორმოცი წლისაც კი. პო, მაშ ასე, ჩემი შრომითი მოღვაწეობა მასწავლებლობით... მომიტევეთ, დამაფიქვდა მეკითხა თქვენი სახელი. ულვი ბეი?.. მოხარული ვარ, მოხარული. მე კი შაზის მეძახიან... რაზე ვსაუბრობდით? აჰა!.. მაშ ასე, ჩვენ არ გავვაჩნია სასკოლო განათლების სისტემა. ამას მოგახსენებთ მთელი პასუხისმგებლობით, ვინაიდან მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდი განათლების სფეროში. მაშინ მე გამანაწილეს კაისერში. თუმცა, მართალი რომ ვთქვა, ეს იყო ისე დიდი ხნის წინათ... რომ არ მოგატყუოთ... შეიძლება კაისერში კი არა — ედინში. თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მოკლედ, მე მასწავლებელი ვავხდი. მოგეხსენებათ, მე მაშინ ახალგაზრდა და ჩემს პროფესიაზე სიგიჟემდე შეყვარებული ვიყავი. რას აკეთებს დაწყებითი სკოლის მასწავლებელი? ბავშვებს უნერგავს ცოდნის წყურვილს და მეც ამას ვაკეთებდი. მაშინ მეხუთე კლასს ვასწავლიდი, რომ არ მოგატყუოთ, შესაძლოა, პირველ კლასს... თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. ერთხელ ხმა დაირხა, სკოლაში ინსპექტორი მოდისო. პედაგოგები პანიკამ მოიღვა. მე კი, პირიქით, გამეხარდა, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი ჩემი მოსწავლეები არ შემარცხენდნენ. მათ ხომ მე ვასწავლიდი! დაჲ, მოვიდეს ინსპექტორი და გვიხილოს, პო,

ნება მიბოძეთ გავიგო თქვენი სახელი, ბეი ეფენდი. რაო, ულვი ბეიო? მე კი შაზის მეძახიან... პოდა, ეფენდი, გვეახლა ინსპექტორი. შემოვიდა ჩემს კლასშიც. და მაშინვე უკმაყოფილოდ მომმართა:

— სად არიან ფრთოსანნი?

— რომელი ფრთოსანნი, ბეი ეფენდი? — ვკითხე მე.

— როგორ თუ „რომელი ფრთოსანნი?“ ნუთუ თქვენს კლასშიც არ მიიღო ინსტრუქცია?



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ინსპექტორის უკან სკოლის დირექტორი იდგა.

— ეფენდი, ინსტრუქცია მივიღეთ, — თქვა მან, — მხოლოდ...

— რა მხოლოდ?! — შეაწყვეტინა ინსპექტორმა.

დირექტორი შეიშშუშნა:

— ჩვენს მხარეში ძალზე ცივა, ამიტომ ფრთოსანთა მოვლა-გამრავლება ძალზე ჭირს...

ინსპექტორს სახე შეეცვალა.

— ასე არ ვარგა! წაიკითხეთ ინსტრუქცია, რომელსაც ჩემი მოსაზრებაც ახლავს თან. ბავშვი ცხოვრებას ჯერ კიდევ სკოლის პერხიდან უნდა ეცნობოდეს. მარტო წიგნები არ უშუელით. ბავშვებმა თითონ უნდა გაამრავლონ და დააპურონ ქათმები, ბატები, ინდაურები და სხვა ფრინველი. მოსწავლეებმა თავიანთი თვალთ უნდა ნახონ, როგორ ცხოვრობენ და მრავლდებიან ფრინველები, როგორ დებენ კვერცხს და ამ კვერცხიდან შემდგომში რა გამოდის. ხომ გაიგეთ, რასაც გეუბნებით? შემდგომი მოსვლისათვის ეს ყველაფერი ჩემი თვალთ უნდა ვიხილო. სწრაფად დაიწყეთ შინაური ფრინველებისა და სხვა ბუმბულიანთა მოშენება და მოვლა-პატრონობა!

ინსპექტორი წავიდა. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მეწყინა. მუშაობ, ცდილობ, რაღაცას ქმნი, პოდა, ერთ მშვენიერ დღეს მობრძანდება ვიღაც ინსპექტორი და ყველაფერს წყალში ჩაგიყრის. მაშინვე მოვიძიე ხსენებული ინსტრუქცია ინსპექტორის მოსაზრებიანად და წავიკითხე. გაუარკვიე საქმის არსი. თურმე სახალხო განათლების სამინისტრომ სკოლებში არსებული სწავლების მეთოდები მანკიერად სცნო. გადაწყდა მისი საფუძვლიანი შეცვლა. ეს ინსპექტორი, თურმე, ერთი თვით შიავლინეს საფრანგეთში, რათა შეესწავლა სასკოლო განათლების ფრანგული სისტემა. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა ინსპექტორმა სამინისტროს წერილობით მოახსენა ყველაფერი, რაც ნახა ფრანგულ სკოლაში. შემდეგ ეს წერილობითი მისი მოხსენება და შესაბამისი ინსტრუქცია დაეგზავნა ყველა სკოლას. ჩვენს ინსპექტორს ფრანგულ სკოლაში გაუცვნია ერთი მასწავლებელი, ფრთოსანთა დიდი მოყვარული. მისი აზრით, შინაური ფრინველებისა და გალიებში გამოძწევადეულ მგალობელი ჩიტების მომრავლება თურმე დიდად უწყობს ხელს ბავშვთა სწორ აღზრდას.

მე ფიცხელ ვეძგერე საქმეს. თითოეულ მოსწავლეს ვუბრძანე თითო ფრინველი მოეყვანა სკოლაში. ერთმა მოიყვანა დედალი, მეორემ — მამალი, მესამემ — ინდაური, მეოთხემ — ბატი, მეხუთემ — იხვი. სკოლის ბაღში ავაშენეთ საკმაო მოცულობის საფრინველე. საკლასო ოთახი აივსო ბედურებით, ჩიტბატონებით, შოშიებითა და წიწკანებით სავსე გალიებით. მოსწავლეები გახალისდნენ, მოჰყავდათ და მოჰყავდათ ხან ყვავი. ხან მწყერი და ხანაც ვინ იცის რა, იმ ფრინველებს კი, რომლებიც ჩვენს მხარეში არ ბუდობდნენ, სხვა ქალაქებიდან ვიწერდით.

ერთმა მდიდარმა კაცმა, რომლის ბიჭიც ჩვენს სკოლაში სწავლობდა, სტამბულიდან გამოიწერა ოცი კოლიბრი, მეორეს მამიკომ ანკარაში შეუკვეთა თუთიყუ.

ში, ზოგიერთმა მშობელმა იადონებიც მოგვიყვანა. ერთი სიტყვით, სკოლა ლამის წალეკა გალიებმა. დერეფნებში, ოთახებში — ყველგან გალიები და გალიები იყო. სკოლის ბაღიც ფრთოსნებით აივსო. ათობით ქათამი და ინდაური გვერცხზე იჯდა. იხვეებისა და ბატებისათვის აუზები გავაკეთეთ.

და უცებ, ეფენდი... მომიტევეთ, ბეი ეფენდი, კადნიერი შეკითხვისათვის, თქვენი სახელი? ულვი ბეი?... ძალზე მოხარული ვარ, ეფენდი. ~~ქრქქქქ~~ მო-
რჩილი — შაზი... შემდეგ, ეფენდი, ხმა დაირხა: ინსპექტორმა ~~ქრქქქქ~~ შაზის
და მოვიდეს! ჩვენ არ გვეშინია, კარგად მოვემზადეთ. და აი, ეფენდი.
ერთ მშვენიერ დღეს სკოლაში მობრძანდა სხვა ინსპექტორი. ჰოდა, ისმის
ჩვენს ბაღში მამლების ყვირილი, დედლების კრიახი, ინდაურების ყვიტყვიტი,
ბატებს სისინი, მტრედების ღულუნი — ერთი სიტყვით, საქმე ბრწყინვალეააა!

ინსპექტორი ჩემს კლასში რომ შემოვიდა, ერთი გნიახი იღვა: ყვავები ჩხა-
ოღნენ, კანარის ჩიტები, ჩიტბატონები და შოშიები გალობდნენ...

ინსპექტორი მოიღუშა:

- ეს რა არის?
- რაზე ამბობთ, ბეი ეფენდი? — ვკითხე მე.
- ეს ხომ ფრინველთა კუთხეა, — თქვა ინსპექტორმა.
- ფრინველთა კუთხე ზემოთ არის, ეფენდი, აქ კი საკლასო ოთახია.

ინსპექტორი აღშფოთდა:

— ეს სკოლა კი არა ფერმაა! ნამდვილი თავის მოჭრაა! საკლასო ოთახებ-
ში ვის გაუგონია ასეთი რამ? ჩემი მოსაზრებები, ეტყობა, არ წავიკითხავთ!

მერე ერთად წავიკითხეთ მისი მოსაზრებანი, რომელიც სახალხო განათ-
ლების სამინისტრომ გამოგვიგზავნა. ახალ მინისტრს თურმე არ მოსწონებია
ჩვენს სკოლებში მიღებული სწავლების მეთოდები და გადაუწყვეტია მისი
შეცვლა. ამისათვის მან გერმანიაში გააგზავნა ერთი ინსპექტორი გამოცდილების
მისაღებად. ინსპექტორმა ოცი დღე დაჰყო გერმანიაში. გაეცნო გერმანულ სკო-
ლას და დაბრუნებისას თავისი მოსაზრებები წერილობით ჩამოაყალიბა.

— სასწრაფოდ მოაშორეთ აქაურობას ეს ფრინველები! — განაცხადა ინს-
პექტორმა. — ეს სკოლაა თუ ფერმა? ბავშვთა აღზრდის საქმეში დიდი მნიშე-
ნელობა ენიჭება შრომითი ჩვევების გამოქმუშავებას. რატომ არ ვაქვთ საღურგ-
ლო და საზეინკლო სახელოსნოები? ჩემი შემდგომი მოსვლისას უსათუოდ მა-
ჩვენეთ ისინი.

კელავ უსაზღვროდ გავწბილდი. რამდენი ძალა შევალე ამ საქმეს და
იურმე რა ამოდ! მშვიდობით, ქათმებო, ბატებო, ინდაურებო! მოსწავლეები ვა-
იდულეთ შეეკრათ დაზგები, ეყიდათ ცულები, ხერხება, ჩაქუჩები, გირაგები, ბუ-
რლები, საზეინკლო და სახარატო ხელსაწყოები... სკოლა გადაიქცა სარემონტო
სახელოსნოდ, სადაც ყველანაირი საამქრო იყო, საზეინკლოდან დაწყებული სამ-
ხმრელოთი დამთავრებული. კლასებში მუშაობა გაჩაღდა. ერთი ფიცარს რანდავს,
მეორე ღურსმანს უკაკუნებს, მესამე რაღაცას ჩარხავს...

ჩვენი შრომითი მოღვაწეობა ჩქეფდა, რომ ამ დროს... მაპატიეთ, ბეი ეფენ-
დი, ხომ არ მაჩუქებთ თქვენს სახელს? ულვი ბეი?... ძალზე მოხარული ვარ,
ეფენდი. მე კი შაზის მეძახიან... დიახ, ეფენდი... შემდეგ ჩვენს სკოლას უეცრად
კიდევ ერთი სხვა ინსპექტორი დაესხა თავს და დაგვტუქსა, მაგრამ რა დავგ-
ტუქსა.

- სად მოვედი?! — იყვირა მან. — ეს სკოლაა თუ ქარხანა?!
- თურმე ეს ინსპექტორი ერთი თვით ყოფილა რომში იტალიურ სკოლებში

სწავლების მეთოდების გასაცნობად და დაბრუნებისას, მან სამინისტროს წარუდგინა თავისი ანგარიში.

— სად არის რაიმეს კოლექცია? რატომ ვერ ვხედავ აქ მოსწავლეთა კოლექციებს? იტალიურ, სკოლებში მოსწავლეებს სხვადასხვა კოლექციები აქვთ: მარკების, მსოფლიოს ქვეყნების დროშების, პეპლების, ბუმბულების და სხვა.

ინსპექტორმა წაგვიკითხა გრძელი ლექცია კოლექციონერობის სასიკეთო გავლენაზე.

— სასწრაფოდ აიღეთ ეს დაზგები! მეორედ რომ მოვ'ლ, იცოდეთ, ყოველ მოსწავლეს ჰქონდეს რაიმე კოლექცია!

დავიწყეთ კოლექციონერობა. იღვა ზამთარი და ამიტომ პეპლების შეგროვებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, სამაგიეროდ სხვა კოლექციები შევაგროვეთ უმოკლეს დროში — ჭიების, ხოჭოების, ქვეების, მცენარეების, მარკების, სკოლის კედლები ექსპონატებით დავამშვენეთ.

უცხად, ეფენდი... მაპატიეთ, დამავიწყდა, წარმედგინა თქვენთვის თავი, მე შაზის მეძახიან. თქვენ? მგონი, ულვი ბეი, არა? ძალზე მოხარული ვარ, ეფენდი. შემდეგ... მომიტევეთ, რაზე ვსაუბრობდი?... ჰო, ახალი ინსპექტორი გვეწვია. იგი გამოცდილების გაზიარების მიზნით თენახევარი ამერიკაში იყო. იქ მოსწავლეები ამრავლებდნენ თევზებს, კიბოებს, კიბორჩხალებსა და წყლის სხვა ცხოველებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეფენდი... მომიტევეთ, გუთაყვა, თქვენი სახელი, ბეი ეფენდი? ულვი ბეი?... თქვენი მონა-მორჩილი — შაზი. ვინაიდან ჩვენს ახლომახლო არც ზღვა იყო, არც ტბა და არც მდინარე, აკვარიუმებში დავიწყეთ წურბელებისა და ბაყაყების მოშენება. ზუსტად ამ დროს ანკარაში ერთი კაცი ცოლად თხოულობდა ჩემს დას. ამის შესახებ საგანგებოდ მაცნობეს წერილით, რადგან მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის უფროსად მე ვითვლებოდი. დავიწყე გამოკვლევა, ვინ იყო ჩემი სასიძო. თურმე მრჩეველი, რომელსაც ნაცნობების პირით შევუთვალე: „ჩემს დას იმ პირობით მოგათხოვებთ, თუ საზღვარგარეთ გამგზავნით იქაური სწავლების მეთოდების გასაცნობად, წინააღმდეგ შემთხვევაში ქორწილი არ შედგება-მეთქი“. ვიღებ პასუხს: „თანახმა ვარ. სად გინდა წასვლა?“ ვპასუხობ: „შვეიცარიაში!“ მე ეს ქვეყანა შემდეგი მოსაზრებით შევარჩიე: თქვენმა მონა-მორჩილმა არ იცის უცხოური ენები. როგორც თქვენთვის ცნობილია, შვეიცარიაში სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ, თუ იმ კანტონში გამგზავნიან, სადაც ფრანგულად ლაპარაკობენ, ვეტყვი, გერმანული ენა ეიცე-მეთქი. ხოლო თუ იმ კანტონში მოვხვდი, სადაც გერმანულად ლაპარაკობენ, ვეტყვი, იტალიური ეიცე-თქო. და აი, ორი კვირით მივლინებით გავემგზავრე შვეიცარიაში, ხოლო იქიდან დაბრუნების შემდეგ დამნიშნეს სახალხო განათლების სამინისტროს ინსპექტორად. აქამდე ყველაფერი ბრწყინვალედ მიდიოდა, მაგრამ აქ უფროსები შემომიჩნდნენ, გინდა თუ არა ანგარიში დაწერეთ. რა დაწერო? უცხო ქვეყანაში რისი ნაზვა უნდა მოასწროთ კვირაში? ხვალ დაწერ, ზევ დაწერ-თქო, ვპირდებოდი ჩემს უფროსებს. მაგრამ ისინი არ მეშვებოდნენ, სასწრაფოდ წარმოადგინეთ ანგარიშიო. პოდა, მეც ავდექი და დავწერე ბრწყინვალე ანგარიში, სადაც ვამტკიცებდი ჩვენს სკოლაში არსებული სწავლების მეთოდების უვარგისობას. იქ ვწერდი: „გავეცანი რა შვეიცარიის სკოლებში სწავლების მეთოდებს, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩვენს ყველა მოსწავლეს უნდა დავავალოთ სასწრაფოდ შეიძინონ თხილამურები და ვაიძულოთ, შეისწავლონ თხილამურებით თოვლზე სრიალი“... შემდეგ, ეფენდი, დაწვრილებით აღვწერე თხილამურების სიკეთეზე ბავშვთა აღზრდის საქმეში. მაგრამ, ეფენ

ნდი, ანგარიშის შემდეგ ჩემს კარიერას სამინისტროში წერტილი დაესვა... უფრო მეტიც, საერთოდ ამიკრძალებს სკოლაში მუშაობა. გაოგნებული ვიყავი: მოსწავლეებმა უნდა დააპურონ ინდაურები, დათესონ სტაფილო, კომბოსტო, მოამუნონ წურბელები, ბაყაყები — ეს ყველაფერი კარგია, ხოლო თხილამურები — ცუდი?! მრჩეველმა უარი თქვა ჩემს დაზე, და ძალიანაც კარგი, რომ უარი თქვა. იმიტომ, რომ იგი დაითხოვეს სახალხო განათლების სამინისტროს დაეკავია. ყვანეს რკინიგზის დეპოს ხელმძღვანელად. საწყალი, ერთგულმა გარკვეულიყო, რითი და როგორ მოძრაობდნენ ორთქლმავლები და... ორ ვაგონს შორის გაიჭყლიტა.

მოკლედ რომ ვთქვა, ბეი ეფენდი, ჩვენს სკოლებში სწავლების სისტემაში არავითარი სისტემა არ არსებობს, ახლა თქვენი მონა-მორჩილი ძროხებს უწოდის. რძის ფერმა მაქვს. შვეიცარიაში ყოფნისას დიდად დამაინტერესა მეცხოველეობამ, როგორც იცით, შვეიცარიის ძროხები მთელ მსოფლიოშია განთქმული. შვეიცარია წამყვანი ქვეყანაა მეცხოველეობის დარგში, რძის ნაწარმის წარმოების საქმეში, მომიტევეთ, ბეი ეფენდი, დამავიწყდა გაცნობოდით, მე შაზის მეძახიან, თქვენ? ულვი ბეი?.. ბედნიერი ვარ, ბეი ეფენდი. ეს ჩემთვის დიდი პატივია, მოხარული ვარ ჩვენი გაცნობისა!

როგორ იწერება სტატია

სახლვარგარეთ არაერთი წიგნი და ბროშურა გამოდის შრომით მოღვაწეობასა და ხელობაზე. ცნობილი ავტორები მარტივად და გასაგებად უზიარებენ მკითხველს ხელობის საიდუმლოებას; მოუთხრობენ მათ მინის, ქალაქის წარმოებაზე, თამბაქოს მავნებლობაზე, განუმარტავენ, რა არის თავისუფლებისათვის ბრძოლა, დემოკრატიის ისტორია და სხვა.

ამ წიგნებმა შთამაგონა დამეწერა ეს მოთხრობა.

როგორ იწერება საგაზეთო სტატია? ვიცი, ამ თემას ხუთი სქელტანიანი ტომი ვერ ამოწურავს. მაგრამ შევეცდები მოკლედ მოგითხროთ.

მამ ასე, როგორ იწერება სტატია?

თქვენ იტყვიან: ძალიან უბრალოდ. თავში გაგიელვებს რაღაცა აზრი, იღებ კალამსა და ქალაქს და იწყებ წერას.

ცდებით! თქვენ რომ გგონიათ, არც ისე ადვილია გაზეთისათვის სტატიის დაწერა... აი მომისმინეთ, მე როგორ ვწერ; რასაც მოგითხრობთ, დამიჯერეთ, ირული სიმართლეა.

ყოველ დილით ვათვალისწინებ გაზეთებს და როგორც ჩვენი გაზეთების ნებისმიერი მკითხველი, მეც საშინელ გუნებაზე ვდგები. ფურცელზე ვიწერ იმ თემას, რომელმაც ყველაზე მეტად მატკინა გული. ყოველდღე ათი. თხუთმეტი თემა გროვდება, თანაც წინა დღეებიდან ემატება დაახლოებით ორმოცდაათი-ოდე.

სურვილი მიჩნდება თითოეულ თემაზე დავწერო სტატია, მაგრამ ვინ დაგიბეჭდავს? და მე იძულებული ვარ შევარჩიო მხოლოდ ერთი. ბოლოს ვირჩევ ყველაზე უმტკივნეულო რომელიღაც თემას, რომელიც არ ეხება განსაკუთრებით მწვავე საკითხებს და ზიანს არ მოუტანს არც გაზეთის მფლობელს და არც მე. შემდეგ ვჯდება და ვიწყებ წერას, თან თავს ვიკავებ, არავინ გავკილო.

სტატია მზადაა. მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდება. ოთახში ცოლი შემიძღის.

– შეიძლება წავიკითხო, რაც დაწერე? – მეკითხება იგი.

მე შემიძლია დავეთანხმო ან უარი ვუთხრა – ეს საქმეს არ ცვლის. რა თქმა უნდა, არავითარი სურვილი არ გამაჩნია ჩემს ნამოღვაწარს ცოლი გაეცნოს. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას უკან დაეხიოს.

ხელნაწერის წაკითხვის შემდეგ ცოლმა თავი მძიმედ ჩაქვიდა და თქვა:

– შენს თავზე თუ არ ფიქრობ, ბავშვებზე მაინც იფიქრე...

– რა მოხდა?

ზიზღილიყვანა

– როგორ თუ რა მოხდა. ნუთუ შეიძლება ჩვენს დროში ასეთი სტატიის წერა?

– კარგი, შენ რას მთავაზობ?

– ამოიღე ეს ადგილი, ესეც...

ცოლი იწყებს ჩემი ნაწარმოების შეკვეცას, შემდეგ აბობს:

– აი, აქ კი უნდა შეიცვალოს. აქ ასე უნდა დაიწეროს...

სულაც არ მქონდა მიზნად დასახული, ამ სტატიის დაბეჭდვის შემდეგ გმირი გაუმზადარიყავი. ამიტომაც ვაკეთებ ყველაფერს. რასაც ცოლი მირჩევს.

მოულოდნელად ჩემი ბიჭის ხმა მომესმა:

– მამა!..

– რა იყო?

– შენ აქ გიწერია...

– რა მიწერია?

– ცოტა მწვავედ...

ვხედავ, ვაჟიშვილი ატირდა:

– მამა, ბოლო ფრაზა ამოიღე, რა...

– შეილო, სტატიის მარილი ბოლო ფრაზაა.

– თუნდაც ასე იყოს! ამოიღე სტატიის მარილი.

ბიჭის თხოვნას დავთანხმდი.

ახლა ქალიშვილი იწყებს:

– მამა!

– რათ კიდევ?

– ეს ფრაზა დასაწყისში რაღაც...

– რა რაღაც?

– ამოიღე.

ხომ არ გგონიათ სულ ეს არის? ჩვენს მეზობლად ცხოვრობს მოხუცი, ღვაწლმოსილი იურისტი. ჩემი ცოლი ან ერთ-ერთი შვილი მასთან გარბის.

– ბიძია, გვიშველეთ! მან ისევ დაწერა სტატია.

შემოდის მეზობელი და მიაპიტურად მეკითხება.

– ა-ა-ა, საინტერესოა... დღეს რაიმე დაწერე?

ვაწვდი ჩემს სტატიას. მოხუცი კითხულობს, სათვალეს რამდენჯერმე ისწორებს და ახველებს. მარჯვნივ დასაწყისიდან მას მოუჩანს „სისხლის სამართლის კოდექსი“, მარცხნიდან კი – „კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“.

– აი, შეხედე. – აბობს იგი – აქ არის ერთი ფრაზა...

– კი არის.

– ჰოდა, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს... მგონი, ერთ წლამდე...

ჩვენ ამოვიღეთ ეს ფრაზა.

– ნახე კიდევ, – თქვა მან. – აქ კიდევ არის ერთი ადგილი...

– კი არის.

— ჰოდა, ასე, კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ ითვალისწინებს ორი წლიდან...

ხელნაწერებში კიდევ რაღაცას ვშლით. ზოგჯერ მოხუცი მეზობელი იღებს „სამოქალაქო კოდექსს“ ან „კანონს ტყის დაცვის შესახებ“.

— აი ხედავ, — ამბობს იგი. — აი ესეც...

ვშლით, მაგრამ ყველაფერი ამით როდი მთავრდება. ყველაზე უფრო მძინელი ვერ წინ არის! — მამაჩემი. იგი არ სცნობს არავითარ თავისუფალ სწრაფობას, ტელეფონით სასწრაფოდ თავისთან მიხმობს. მეც მივდივარ.

— ეს რა დაგიწერია დღეს? აბა მომეცი! — მიბრძანებს იგი. ვაწვდი და ასიც იწყებს, მაგრამ რას იწყებს. — შე, ვირო! ორმოცს გადააბიჯე და კიდევ ვერ დაჭკვიანდი?! — მარტო ლანძღვა არ მაკმარა და ჩემი ხელნაწერის გაპუტვას მოპყვა.

დმერთია მოწმე: ძალიან მეშინია მამისაც, სისხლის სამართლის კოდექსისაც ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. სტატიიდან ამოვიღე ყველაფერი, რაც ჩემმა მშობელმა გადახაზა. სტატიის ნარჩენი მიმაქვს რედაქციაში.

თქვენ გგონიათ ამით დამთავრდა ჩემი წვალება? რას ამბობთ? გაზეთის მფლობელი კითხულობს სტატიას:

— ნუთუ არ შეგეძლოთ ცოტა რბილად დაგეწერათ?

— მომიტევეთ. — ვეწინააღმდეგები მას, — ეს სტატია კი არა, რახათლუ-ხემია. თუ კიდევ შევარბილებთ, რძიანი კისელი გამოვა.

— აი, ეს უნდა ამოვიღოთ...

— რა გაეწყობა, ამოვიღოთ...

— აი, ეს კი საჭიროა შეიცვალოს...

— კი ბატონო, შევცვალოთ.

გგონიათ, ამით დამთავრდა ყველაფერი? რას ამბობთ! სტატია რომ ასე ადვილად იწერებოდეს, მას ყველა დაწერდა. შემდეგ ხელნაწერი ხვდება ლიტერატურის განყოფილების გამგესთან.

— იქნებ ეს სიტყვა ცოტა შევარბილოთ?

— კეთილი, შევარბილეთ, მაგრამ მე ხომ ყველაზე რბილი სიტყვა შევარჩიე, რომელიც კი არსებობს ჩვენს ენაში.

ჩვენ ერთობლივად შევარჩიეთ უფრო რბილი სიტყვა და ჩავასწორეთ.

— რა გაეწყობა, შეცვალეთ.

— აი კიდევ ერთი ადგილი.

— ამოვაგდოთ.

ეჰ, ჩემო ძვირფასნო, გგონიათ ეს დასასრულია? ერთი საათის შემდეგ იგი სახლში მირეკავს:

— ჰასან ბეი!..

— დიახ, ეფენდი.

— თქვენს სტატიაში ნახსენებია ვინმე ალი ბეი...

— მართალია.

— ეს ალი ბეი თურმე ის არის... აი... ჩვენი...

— ამოაგდეთ ალი ბეი, მის მაგივრად ჩასვით მუსტაფა ბეი.

— მომიტევეთ, მუსტაფა ბეი იმის... ისაა, აი ჩვენი...

— კარგით, ამოაგდეთ მუსტაფა ბეიც. არავინ არ გინდათ...

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ხარი ისმის.

— ჰასან ბეი!..

— გისმენთ.

— სტატიაში ლაპარაკია ნ.-ზე. ჩვენ ხომ მისგან ვიღებთ აი ამას...

— ამას იღებთ? მაშინ ამოაგდეთ.

თანდათან ჩემი ნაწერი ემსგავსება გაუტულ წეროს. მეორე დღეს, ჩემი ძვირფასო მკითხველო, ამ სტატიას გაზეთში თქვენ კითხულობთ და განა მართო კითხულობთ? იცინით კიდეც! დიახაც, უნდა იცინოთ ასეთ სტატიაზე. მცდე იცინო: ნამდვილად სასაცილოა!

მომდევნო დღეს ვხედავ: ჩემს სტატიაზე დაიბეჭდა უარყოფითი სტატია. აი, ახლა კი საქმე სასაცილოდ აღარა მაქვს!..

ამერიკული სიზმარი

დამესიზმრა: თითქოს მნიშვნელოვანი პერსონა ვარ და ჩავედი ვაშინგტონში. ამერიკელებმა გულისამაჩუყებელი შეხვედრა მომიწყვეს. რომელიღაც ბოსის მისასალმებელ სიტყვას სამადლობელი სიტყვითვე ვუპასუხე:

— ჩვენ... თქვენ.. ჩვენგან — თქვენ.. თქვენგან — ჩვენ.. ჩვენი და თქვენი... დახმარების წყალობით... ჩვენიცა და თქვენიც... ყველაფერი, რაც ჩვენა გვაქვს... ერთობლივი ძალით... თქვენთან ერთად.. ბრძოლა... თქვენთვის.. ჰუმანურობა... დემოკრატია... ჩვენ... თავისუფლება... თქვენ... დოლარები და თქვენ?... არასოდეს... ჩვენ... მაშ, გაუმარჯოს!..

იქუხა ტაშმა, ფოტოკორესპონდენტები აჩხაკუნებენ აპარატებს, სურათებს მიღებენ.

ერთმა დიდმა ამერიკელმა მოღვაწემ განაცხადა:

— საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიამ არ იცის იმ სიტყვებზე უკეთესი სიტყვა, თქვენ რომ ახლაზან წარმოთქვით! მოძილოცავს!..

დაიწყო აღლუმი. მე შესაღმებოდნენ როგორც ეგრეთ წოდებულ ამერიკის „შეუიარაღებულ ძალებს“. გულახდილად რომ ვთქვათ, თვალები აქეთ-იქით განიბრბოდა: მარჯვნივ—ქერათმიანი ბომბები, მარცხნივ—შავგვრემანი ბომბები, ცოტა იქით — წყალბადის ბომბები. მათ უკან — მენაყინეთა სილაძაზის დედოფალი, მწვანეთა სილაძაზის დედოფალი, საუკეთესო საბანაო კოსტუმის დედოფალი, „ღორმუცელათა კლუბის“ სილაძაზის დედოფალი.

მოულოდნელად მითხრეს:

— წამობრძანდით თეთრ სახლში.

თურმე პრესკონფერენცია უნდა ჩავატარო. შემოხვეულმა ჟურნალისტებმა შევითხვები სიტყვასავით დამაყარეს. მაგრამ ჩემი პასუხით ისინი აღვილზე მოვსკვი:

— ჩემი თხოვნაა, ყველა ერთად ნუ შემეკითხებით! ჩვენ ხომ ქალთა აბანოში არ ვიმყოფებით... შემეკითხეთ რიგრიგობით.

ერთმა მთავარმა რედაქტორმა, რომელიც ერთდროულად თანამშრომლობს ამერიკის ოცდათექვსმეტ გაზეთში, ინტერესით მკითხა:

— თურქეთში ერთი მთავარი რედაქტორი ერთდროულად რამდენი გაზეთის თავის წერს სტატიებს?

— ჩვენთან, — ვპასუხობ, — ყოველ გაზეთს თავისი რედაქტორი ჰყავს, მაგრამ ყველნი ერთსა და იგივეს წერენ.

— როგორ შეიძლება სხვადასხვა კაცმა ერთი და იგივე დაწეროს?

— რას ნიშნავს „სხვადასხვა“? ჩვენთან ასე არ არის. ჩვენთან ერთიანობა და თანხმობა სუფევს. გასაგებია?

— თქვენთან არის კი დემოკრატია?

– იყო ცოტ-ცოტა, მაგრამ ამ ბოლო დროს აღარ ვიყენებთ სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო.

– როგორ გესმით თქვენ დემოკრატია?

– დემოკრატია ხალხს, ხალხისათვის, ხალხისაგან, ხალხთან ერთად... და ასე ამგვარად.

ორმილიონიანი ტირაჟის მქონე გაზეთის კორესპონდენტი დაინტერესდა:

– თქვენს ხალხს ამჟამად ყველაზე ძალიან რა მოვლენები ატყუებს?

– ო, ასეთი ბევრია!.. ერთ-ერთი პრობლემა ქალთა დამოკლებული პანტალონებია. მან ისე ააღელვა ჩვენი ქვეყანა, რომ ყველას დაავიწყდა შაქრის, პამიდორის, დემოკრატიისა და სხვა რამეთა არარსებობა. შემდეგი პრობლემა, რომელიც ყველას, დიდსა თუ პატარას აინტერესებს – გადავა თუ არა ფეხბურთელი ჩეტინი „ფერენბახჩის“ გუნდიდან „ვეფაში“. ჰო, კინალამ დამავიწყდა. ჩვენთან ააგეს ხომალდი „ამიღინ დავერი“, მაგრამ აი უბედურება: იგი წყალში ვერ ჩაუშვიათ!

– რატომ?

– როგორც კი დგება ხომალდის ზღვაში ჩაშვების დრო, გამოჩნდება ვიღაც ორატორი. მოჰყვება ლაპარაკს და იმდენს ილაპარაკებს, ვიდრე არ დაბინდდება და ზეთი არ შეახმება გემხარიხას. ამიტომაც ვერ ჩაგვიშვია ხომალდი წყალში. ჩვენ ასე გადავწყვიტეთ: რადგან წყალში ჩაშვება არ გამოგვდის, როგორმე თვით ზღვა მივაწვდინოთ ხომალდს.

– თქვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე რას იტყვით?

– ო, ამ საკითხში ყველაფერი რიგზეა!.. თუმცა ოპოზიციონერთა ერთმა ლიდერმა კინალამ არ გააფუჭა ყველაფერი – ერთ-ერთი მივარდნილი პროვინციის პატარა ქალაქში რატომღაც კრიტიკული სიტყვა წარმოთქვა. როგორც მმართველი პარტიის წევრებს მიაჩნიათ, ამ სიტყვის შედეგად მოხდა ის, რომ ქვეყანაში გაქრა შაქარი, ფასებმა სიგარეტზე მოიმატა, გაიზარდა ბინის გადასახადი, მიღებში წყალმა იკლო, დაიწყო გვალვა; შემცირდა ქალაღი, სასტამბო მასალები. ერთი სიტყვით, სულ იმ ოპოზიციონერის ბრალია ჩვენი ხალხის კეთილდღეობა რომ დაქვეითდა. ჰო, კიდევ... ჩვენთან ომია.

– ომი?! – ერთხმად წამოიძახეს ჟურნალისტებმა.

– ღიახ, ნამდვილი ომი. ერთი საქმიანი, ბობოქარი ბუნების გუბერნატორი გყავს. დღე და ღამე იტანჯება, რა გავაკეთოთ. ერთხელაც გადაწყვიტა ომი გამოუცხადოს ხილისა და ბოსტნეულის გადამყიდველებს. დაერევა ხოლმე მათ ლანძღავს და ბაზრებიდან ერეკება. ჰოდა, დარჩა ქალაქი ბადრიჯნის, წიწაკის, ისპანახისა და ჭერმის გარეშე.

პრესკონფერენცია დასრულდა. დიდმა სახელმწიფო მოხელემ მკითხა:

– რატომ ჩამოხვედით ამერიკაში?

– ე-ე-ე... ჩემი ჩამოსვლის მიზეზი გახლავთ... ესე იგი... ხომ ცნობილია, რომ... ჰუმანურობის საკითხია... ამიტომაც... ჩვენ დემოკრატიის საყრდენი, კერძო ვართ... მაგრამ კარს სჭირდება ძელი, ბადე, ტყავის ბურთი... სად ვიშოვოთ მერე ეს ყველაფერი?

მინდოდა რაღაც-რაღაცები მეთხოვა, მაგრამ უცებ მალევიძარამ დაიწკრი-ალა, სამუშაოზე არ დაგაგვიანდესო, გაბეღვია.



თარგმნა ნორან ხუნდაძემ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

„უხილავი ცეცხლის“ ავტორია ლატვიელი მწერალი რეგინა ეზერა. ამ ფანტასმაგორიის პროლოგსა და ეპილოგში მწერალი გვიჩვენებს თავისი გმირების პირობით დაღუბვასა და მკვდრეთით აღდგომას. ეს მხატვრული ხერხი საშუალებას გვაძლევს უფრო მძაფრად აღვიქვათ თითოეული მათგანის პიროვნება და ბედი, ყურადღება მივაქციოთ ადამიანის ბუნების ყველაზე იდუმალ ხვეულებს და მის განუმეორებლობას.

ეს ყველაზე გასაოცარი შემთხვევა იყო ჩემს ცხოვრებაში.

ავტორი

მწვავე ტკივილი ცეცხლის ალივით დამეძგერა, მკერდი გამითანგა და ფარვანასავით ამაფართხალა. ნეკნებქვეშ გახურებული შანთივით მწვავედა რალაც, მძიმე და უძრავი. ვიცოდი, ეს გული უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ მინდოდა, გახურებული, უფორმო სხეული ჩემს გულად მეღიარებინა, რომლისგანაც უცხო, ყინულივით ცივ და ნასხვისარივით ჩამოკიდებულ მარცხენა ხელზე მომაკვდინებელი დენი გადიოდა, ვგრძნობდი, რალაც უხილავი როგორ დააცეცებდა ჩემს ყელზე მწებვარე საცეცებს, რომლებიც მალე შეიკუმშა და მთელ კისერზე შებომეჭდო. მოახლოებული სიკვდილის შიშმა შემიპყრო. ყელი ისე მქონდა დახშული, კრინტიც ვერ დამეძრა. პირიდან მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამომდიოდა ორთქლი. იმას განვიცდიდი, რაც ადრე არასოდეს განმეცადა, — ვგრძნობდი, როგორ მოძრაობდა სისხლი ძარღვებში, კი არ გარბოდა და მიედინებოდა, სწორედ რომ მოძრაობდა, ნელა მიჰყვებოდა სისხლძარღვებს, თითქოს სქელი და ძღვრიე ფერის თხევადი მინა ყოფილიყო, გაციებისას რომ იყინება.

გამგმირავი და მწვავე ტკივილი, ერთბაშად ელვასავით რომ მეცა, ნელა, თანდათანობით მომეშვა. მან დატოვა ჩემი სხეული, მაგრამ ჩემს გვერდით განაგრძობდა არსებობას, როგორც ჩრდილი, ჩემთან დაკავშირებული და ჩემზე დამოკიდებული. თუმცა ტკივილის მიყურებას ჩემთვის შვება არ მოუგვრია, მას გულისრევა მოჰყვა თან. იმისდა მიხედვით, როგორ იხევდა უკან ტანჯვა და მტოვებდა სიმძიმის განცდა, თითქოსდა შინაგან ორგანოებს ვკარგავდი. გული, კუჭი, ფილტვები, ღვიძლი და ელენ-

თა, რომელთაც ის-ის იყო დამბუგველი ცეცხლი ეკიდათ, თითქოსდა უჩემოდ არსებობდნენ, და ვიგრძენი საოცარი სიცარიელე, თითქოს ჩემი სხეულისგან მხოლოდ გარსიანი ღრუ, ცარიელი ნაჭუჭი, დაჭმუჭნილი კანი დარჩენილიყო, რადგან ყველაფერი ამოეცალათ.

საყრდენი რომ მეპოვა, მარჯვენა ხელი მერყევი სივრცისკენ გავიწვინე და ბასრ რალაცას წამოვდე. მეჩვენებოდა, თითქოს უზარმაზარი ნადირის უხეშ ბალანში თავჩარგული ვინეჯი. ბალანი მუხებოდა, ხელისგულებზე, მჩხვლეთდა შუბლზე და მილიტინებდა ქუთუთოებზე. გონებაში გამიელვა, რომ ეს ბალახი იყო. და უცებ ისე ახლოს დავინახე, რომ მისი ღეროები უზარმაზარი მეჩვენა, ან იქნებ თვითონ დავპატარავდი.

ბალახმა გაიელვა, შეირხა და ისევ შემხუთველ ბურუსს შეუერთდა, რომელშიც ბუნდოვნად გამოისახა დიდი, მუქი ფერის კონტურები, ისევე მსუბუქად და ნარნარად რომ ირხეოდა, როგორც ანარეკლი მდორე მდინარეში. ეს იყო თაღის სილუეტი. ვიცოდი, რომ აქ არავითარი თაღი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ჩემი ინსტინქტი წინ აღუდგამ ზმანებას და მისი არსებობისა და სიახლოვის უარყოფა სცადა. მაგრამ თაღი თითქოსდა განთიადის ჟამს თანდათანობით უფრო გარკვევით ისახებოდა გარშემო გაბატონებულ უფორმო ქაოსში და იყო თვალწარმტაცი და უზარმაზარი, გოლიათური და ამავე დროს მირაჟით მსუბუქი და ჰაეროვანი.

თაღის ზღაპრულ იდუმალებას უცნაური მისტიკური ძალა გააჩნდა, შიშის ზარსა გცემდა და ამავე დროს თავისკენ გიზიდავდა — ვგრძნობდი, რა ძლევამოსილად დამეუფლა. მინდოდა მისთვის ზურგი შემექცია, მაგრამ ვერ შევძელი. არ მინდოდა წასვლა, მაგრამ მაინც მივდიოდი, თითქოს ჰიპნოზით ვიყავი მოჯადოებული — თანდათანობით ვუახლოვდებოდი ნაცრისფერ, მაგარ საყრდენებს, თუმცა გამყინავი შიში კი მბორკავდა. უზარმაზარ თაღთან, სადღაც მალლა, ჩემს თავს ზემოთ რომ მორკალულიყო, უკანასკნელად ვცადე უკან დახევა. მეჩვენებოდა, რომ ვილაცა მეძახდა, დაბრუნდიო. და მაინც არ დავბრუნდი. უხილავმა ძალამ, რომელიც მაიძულებდა მევლო და უკან არ მიმეხედა, სძლია ჩემს შიშს, ჩემს ნებისყოფასა და თვითონ მეც.

მე დავემორჩილე ამ ძალას და თითქოს გავთავისუფლდი პირობითობისა და მოგონებებისაგან, საგნებსა და ადამიანებთან კავშირისაგან, მანამდე განუცდელი სრული თავისუფლება ვიგრძენი, როგორსაც თავისუფალი ფრენის ჟამს გრძნობ. უკვე აღარც შიშს განვიცდიდი, არც სინანულსა და არც ყოყმანს — ყველაფერს ერთ დროს ბობოქარი ლავის გაყინული საფარი გადაეფარა. არც ტანჯვას ვგრძნობდი და არც ვნებათაღელვას. ტანჯვა და ვნებები ჩემი არსების სხეულებრივ ნაწილს ეკუთვნოდა, ახლა კი საკუთარი სხეული, აქამდე ძალზე მნიშვნელოვანი რამ რომ მეგონა და უამრავ საზრუნავს მიჩენდა, ზედმეტი და უსარგებლო შეიქნა, და ტანჯვისა და სინანულის გარეშე ჩამოვიშორე, როგორც გველი იცვლის ხოლმე კანს, და მანამდე უცნობ უაზრო ვაკუუმში დავფარფატებდი.

თაღს იქით, სადაც, როგორც ახლახან მეჩვენებოდა, მოკამკამე სიცარიელე იყო, მოთეთრო კონტურებიანი ქანდაკებებისა და ობელისკების ბაღი გადაიშალა. ბაღი რიჟრაჟის ბინდბუნდსა თუ დაისის სიმრუმეში ჩაფლულიყო, როცა გარემო კვამლსა და შორეულ მქრქალ-მოვერცხლისფ-

რო ნათელში იძირება. იმის განსაზღვრა, თუ რომელი საათი იყო, არ შეიძლებოდა. იქნებ ამ მკრთალ ნათელს ღრუბელს ამოფარებული მთვარე ასხივებდა, ან შორიზონტს იქით ჩაძირული მზე, ან სულაც დიდი ქალაქის შორეული შუქის ანარეკლი იყო. ვერც ნელინადის დროს გამოიცნობდით. ხეებს ფოთოლი შემოძარცოდა, თუმცა ვარდები ჰყვაროდნენ. ყოველივე უფერო და უსურნელო ჩანდა, არც ნიავი ქროდა და ვერც სხვა რამ ავლენდა სიცოცხლის ნიშანწყალს. თითქოს ეს-ესაჲ ქარბუქმა გადაიჯირითაო, სპეტაკი თოვლით დაფარული ბილიკები თეთრად ქათქათებდა. ნაკვალევი არსად ჩანდა, მაგრამ, რაკილა არც მე ვტოვებდი ნაკვალევს, თოვლის სისპეტაკე შეიძლებოდა მოჩვენებითი ყოფილიყო — ჩემამდე შეიძლება ზედ სხვასაც გაევილო.

ასევე მოჩვენებითი გამოდგა მდუმარე ხელებითა და ქვის ქანდაკებებით სავსე პარკის სრული სიცარიელე: ის, რაც ობელისკები მეგონა, სინამდვილეში ობელისკები კი არა, ადამიანთა ფიგურები აღმოჩნდა. თანდათანობით და ძალზე ნელა, თითქოს უძრაობას თავი ძლივს დააღწიესო, ისინი ჩემ თვალწინ შეირხნენ და, თითქოს უქარო სივრცეში ფოთლები შარიშურობენ, ფრინველები ფრთებს აფართქუნებენ ან ბზიკი ბზუისო, ბალში მიყრუებული კვნესა გაისმა. ეს ნაზი, ჟღერადი ხმა არ შეიძლებოდა ადამიანთა მოძრაობას გამოეწვია, და მაინც იგი შეიძლება ღრმად ჩაძინებული ადამიანების იმ შერხევის შედეგი ყოფილიყო, მათ ძლივს რომ მოახერხეს.

თავდაპირველად ფიგურები აჩრდილებივით უსახური მეჩვენა, სანამ ერთ-ერთ მათგანში ფელიქს ვოიცეხოვსკი არ შევიცანი. ჩემგან სულ რამდენიმე მეტრით იყო დაშორებული და, თითქოს სეირნობით დაღლილა და ისვენებსო, თეთრად შეღებილ ძელსკამზე იჯდა სპილოსძვლისფერ ხელჯობზე ჩამოყრდნობილი. ამ ორი საგნის კონტურები, ხაზების სიმკვეთრითა და გრაფიკულობით რომ გამოირჩეოდა, თითქოს აქრობდა და შლიდა ადამიანის სილუეტს, რომელიც გარემოს მონოტონურ უფერულობას თითქმის შერწყმოდა. იქნებ ამიტომ მომეჩვენა, რომ ფეხები მიწაში ჰქონდა ჩამარხული. და მაინც ჩემი მხედველობის მოტყუების მიზეზი ნერონი გახლდათ, რომელიც ვოიცეხოვსკის ფეხებთან გართხმულიყო და თავისი სხეულით მათ სანახევროდ ფარავდა, — ქოფაკი მუცელზე იწვა, თავი წინა თათებზე ედო და პატრონს ჩვეულებისამებრ იცავდა. ვოიცეხოვსკის თავის დაკვრით მივესალმე. ეს იყო უნებლიე ყესტი — ის, ალბათ, ვერც კი მხედავდა, თუმცა სახე ჩემს მხარეს ჰქონდა მოქცეული და ისე იჯდა. სალამზე მართლაც არ მიმიღია პასუხი. ვოიცეხოვსკის ოდნავადაც არ შეუცვლია გამომეტყველება ან პოზა.

მხარზე ტიერი ეჯდა. ველოდებოდი, აბა, როგორ შეხვდება-მეთქი ჩემს გამოჩენას. მაგრამ ჩემკენ არც გამოუხედავს. მტრული დამოკიდებულება ისევე გაქრობოდა, როგორც ფრთათა ეგზოტიკური ფერები, გამოხედვაც ისეთივე უაზრო ჰქონდა, როგორც ბუს დღის სინათლეზე.

ჩემს გამოჩენას გულგრილად შეხვდა ჩვეულებრივ ერთობ ფხიზელი ნერონიც კი, რომელსაც თავი ჩემკენ მოებრუნებინა. ერთხანს მეჩვენებოდა, რომ ძალღს თვალეები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ გახელილი ჰქონია და ჩემ მიღმა უცქეროდა რაღაც საგანს, რომელსაც მე ვერ ვხედავდი. უცქეროდა უინტერესოდ და ყოველგვარი რეაქციის გარეშე. ალბათ,

მისი გაშეშებული ნესტოებიც ვერავითარ სუნს ვერ გრძნობდა, სუნი ხომ ნივთიერებათა უმცირესი ნაწილაკების ტალღებია, აქ კი, ჩემ გარდა, არაფერი გადაადგილდებოდა, სხეულთა მოძრაობა წინსვლაში არ გადადიოდა, ადამიანები აქეთ-იქით ირხეოდნენ, როგორც ხეები ქარში, ისევ და ისევ ქანაობდნენ, მაგრამ ადგილიდან არ იძროდნენ, ეტყობა, არსად ეჩქარებოდათ. ამავე დროს, ალბათ, მე აღარ მქონდა დამახასიათებელი სუნი, ყოველ ადამიანს განსაკუთრებული და განუმეორებელი სუნი აქვს, რომელსაც ნერონი იცნობდა და სხვა ათასგვარი სუნისგან არჩევდა. მივუახლოვდი და მისკენ ჩვეულებრივ გავიწვდინე ხელი, თუმცა არ ვიცი, რატომ: სულაც არ მინდოდა, ხელი შემეხო, თითქოს წინათგრძნობა მეუბნებოდა, ნერონის ბალანი აღარ იქნებოდა თბილი და აბრეშუმისით რბილი, როგორც ადრე მქონდა. ბალანი მართლაც ცივი და ხეშეში აღმოჩნდა, თითქოს ნერონი სველ სილაში ამოგანგლულიყო.

ხელი რომ გავიწვდინე, წკარუნნი, რომლითაც ბალი ავსებულყო, გაძლიერდა — ეტყობა, ეს იდუმალეებით მოცული ხმა ბალის სხვა ბინადრებთან ერთად ჩემგანაც მომდინარეობდა. მსუბუქ შრიალს ხანდახან ლითონზე ან შეიძლება მინაზე ყრუ კაკუნის მსგავსი ხმაც ერწყმოდა და თან ახლდა მობოროტად ნაპერწკლების მქრქალი ციმციმი. ამ მქრქალ ციმცინათელებს ვილის პერკონი აბნევდა გარშემო, რომელიც მსხვილ საფანტს, როგორც ცერცვს, ერთი ხელისგულიდან მეორეზე იყრიდა რალაცნაირი ჩლუნგი უმიზნობით, თითქოს ღრმად სძინავს ან გონება აქვს დაბინდულიო. მისთვის აღარაფერი არსებობდა, მის ყურადღებას არაფერი იზიდავდა და ვერაფერს ამჩნევდა — ალბათ, ვერც თავის საფანტს, და ის წკარუნობდა, როგორც ხმარებიდან დიდი ხნის ამოღებული ლითონის მონეტა. მე მცირე ხნით შევყოვნდი პერკონთან, მაგრამ მას ჩემთვის არც შემოუსუქდავს, სულაც არ ვაინტერესებდი, ისევე როგორც არც სხვა არაფერი. ინტერესებდა.

პერკონის სიახლოვეს ლელდე იდგა. თეთრი კაბა ეცვა და მისი კუნარი ტანი იქვე მოყელყელავე შიშველი არყის ხის სითეთრეს ერწყმოდა, თვითონაც ნორჩ არყის ხეს წააგავდა. გრძელი, ჩამოშლილი თმა ძლივს შესამჩნევად ლივლივებდა ჰაერის უხილავ ტალღებში, თეთრად ქათქათობდა, როგორც ყველაფერი ამ ლამეულ ბურუსში, გეგონებოდათ, დათრთვილულია, ან გაჭალარავეებული ან კიდევ თავზე ფერფლი აყრიაო. იმდენად გამხდარი იყო, გეგონებოდა, დიდხანს უშიშმილიაო, მაგრამ ამ სიგამხდრის გამო მისი სახის მკვეთრი, ბავშვისთვის შეუფერებლად მკაცრი ნაკვთები, რომელთაც ჩაშავეებული თვალის ბუდეები გაქვავებული ტანჯვის გამომეტყველებას ანიჭებდა, გასაოცრად ბრწყინავდა, თითქოს შორეული დაისი, პარკში ყველაფერს რომ ანათებდა, სწორედ ლელდეს სახეზე ირეკლებოდა. ნისლის მარმაშივით ჰაეროვანი სიმსუბუქით ავსებულყო, რომელიც ქარს შეუძლია გაფანტოს, და თვითონაც დაწესებულ რიტმს დამორჩილებული ქანაობდა, როგორც პარკის სხვა ბინადარნი... მის მოძრაობაში ის სიმსუბუქე იგრძნობოდა, რასაც ფრინველი გრძნობს აფრენის წინა წამს, როცა დედამინის მიზიდულობა გადალახულია, ოღონდ სხეული ჯერ მთლიანად არ მოსწყვეტია დედამინას.

— ლელდე! — ვუხმე მე.

ჩემი ხმა ხმელი ფოთლების შრიალივით გაისმა — გამკრავი ქარი რომ დაუბერავს, ასე შრიალებენ შემოდგომაზე, წმინდა ივანეს ნადღესასწაუ-

ლევს საკუჭნაოში დარჩენილი მუხის გვირგვინები. არავითარი ნიშანი იმისა, რომ ჩემი ძახილი გაიგონა.

სულ ახალ-ახალ სახეებს შევცქეროდი, ყველანი ნიღბებს ჰგავდნენ — რელიეფური ნაკვთები ჰქონდათ და ქვასავით უტყვნის იყვნენ, რაიმე გრძნობის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდათ. მხოლოდ რაღაც მარადიულ შინაგან რიტმს აყოლილი ფიგურები ირხეოდნენ და შრიალებდნენ, როგორც გამხმარი ღეროები.

ყველა მკვდარი იყო.

ამის აღმოჩენას, რასაც ჩემთვის თავზარი უნდა დაეცა, ოდნავადაც არ შევუშვოთებივარ, თითქოს თვითონაც არაფრით განვსხვავდებოდი სხვებისგან. მე არაფერი მაოცებდა და არაფერი მაეჭვებდა. ეს სამეფო ისე უნდა მიმელო, როგორც იყო, აქ არ გამოდგებოდა ჩემი შეხედულებები სამყაროზე, სადაც ყველაფერი ვითარდება, გარდაიქმნება, აქ სხვა კანონები მოქმედებდა — აქ დროს მნიშვნელობა არა ჰქონდა, იგი სადღაც დღე-ღამის შუა და წელიწადის დროთა შორის გაჩხერილიყო და გაჩერებულიყო, აქ არ შეიძლებოდა შეცდომის დაშვება, მაგრამ ვერც ვერაფერს გამოასწორებდი, აქ საშიში არაფერი იყო, მაგრამ არც არაფრის იმედი უნდა გქონოდა, აქ ყველაფერი ფერფლს დაეფარა, მაგრამ მის ქვეშ ნაკვერჩხლები არ ბჟუტავდა.

შეიძლება ეს მშვიდობიანი, უდრტვინველი რჩევა, ადამიანებს რომ აძინებს, საჩუქარი იყო ყოველივე იმისათვის, რაც ამ დიდებული თალის მიღმა დარჩა, იქნებ ამ უჩინარ ტალღებს მეც ისე დავერწიე, რომ უგრძნობელი გავმხდარიყავი, თუმცა ჯერჯერობით კი დავაბიჯებდი პარკის ბილიკებზე, სადაც ჩემამდე არავის გაეგლო, მაგრამ ცოცხალი ადამიანური სურნელება და ხმა დაკარგული მქონდა.

ადამიანები ჩემ გარშემო სხვადასხვა პოზაში იდგნენ და ისხდნენ, მაგრამ ისე იყვნენ ჩაფიქრებულნი, რომ მათთვის არავინ და არაფერი არ არსებობდა. ჩემი გონებისათვის მიუწვდომელ უზენაეს ძალას მათ შორის არსებული განსხვავება და წინააღმდეგობა წაეშალა — აქ არ იყვნენ არც უფროსები, არც ხელქვეითები, არც მტრები, არც შეყვარებულები. ყველას ერთი რამ აღბეჭდვოდა სახეზე — მხოლოდ წარსულის ანარეკლი, როგორც მზის ჩასვლის შემდეგ პორიზონტზე დაისის შუქი. გაყინულ იერს დაემახინჯებინა ოდესღაც მშვენიერი სახის ნაკვთები, ულამაზო ნაკვთებისათვის კი სილამაზე მიენიჭებინა. საგნებსა და ნივთებს აქ სულ სხვა ფასი და დანიშნულება ჰქონდათ. საათი წუთებს არ ითვლიდა, ფულით ვერაფერს იყიდდი, ფოლადის ლურსმანიცა და სპილენძის ნაჭედობაც ისევე მდიდრულად ბრჭყვიალებდა, როგორც ბაჯალლო ოქრო. აქ არ არსებობდა ზღვარი სიბერესა და ახალგაზრდობას შორის, რადგან სიბერე და ახალგაზრდობა დროებითი ცნებებია. ხოლო დროის ცნების ფარდობითობას ისე დამაჯერებლად და გლობალურად ვერაფერი ამტკიცებს, როგორც ეს სამეფო.

რა მნიშვნელობა აქვს, რომ ლელდე თხუთმეტი წლისაა, თუკი თექვსმეტისა ვერასოდეს გახდება? ან ფელიქს ვოიცებოვსკი ორმოცდაცამეტი წლისა რომ არის? ცოტაა თუ ბევრი ეს იმ ქვეყანაში, სადაც არც ახლო წარსული არსებობს და არც შორეული, არსებობს მხოლოდ წარსული, როგორც ასეთი, საერთოდ წარსული, სადაც მოვლენები და ბედისწერა

ერთმანეთს შეერწყა და ერთურთში აირია, როგორც ორი მდინარისა თუ ნაკადულის წყალი, და ყინულის ქერქით დაიფარა? აქ, სადაც არც იმედი იყიან, არც სინანული, არც დაგვიანება შეიძლება, არც ადრე მოსვლა. არც იმათ, ვინც აქეთ თავქუდმოგლეჯილი მოისწრაფოდა, როგორც ფარვანა ცეცხლისაკენ, და არც იმათ, ვინც ფეხს ითრევდა, უკან იხევდა, აჯანჯლებდა მოსვლას, არაფერი დაუკარგავთ. აქ მილიარდებისათვის მოინახება ადგილი და ახალი მილიარდებისათვისაც მოინახება, აქვე შეიძლება არაფრის ყიდვა, მიტაცება ან დაკავება იმისა, რაც სხვისთვის არის განკუთვნილი, როგორც ხანდახან ხდება ხოლმე სხვა სამყაროში. ასე რომ ყველას შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო: ისიც, ვინც მუდამ დრტვინავს, ბუზღუნებს და მიწყვი ეშინია, გვერდი არ ამიარონ, არაფერში მონატყუონო, და ისიც, ვისაც არ შეუძლია თავის დაცვა და მუდამ პირში ჩალაგამოვლებული რჩება.

თანდათანობით დრო ჩემთვისაც ჰკარგავდა ჩვეულებრივ მნიშვნელობას. დიდხანს დავეხეტებოდი ბაღში? რა ერთეულებით იზომება აქ დრო? შევამჩნიე, რომ აქ ბევრს, — ისევე როგორც ვილის პერკონს საფანტი, ხოლო ვოიცეხოვსკის ხელჯობი, ძაღლი და ტიერი, — რაღაც ნივთები ჰქონდა წამოღებული, მაგრამ ისინი საბოლოო ჯამში ძვირფასი ნივთები არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით, მაგალითად, ბეჭდებს, რომლებიც ხანგრძლივი და გამუდმებული ტარებისგან თითქოს თითს შეზრდოდა, როგორც ხალი ან ფრჩხილი, თითის ნაწილად ქცეულიყო და ნივთად უკვე აღარ მოიხსენიებოდა.

რაც შეეხება ზოგიერთ სხვა ნივთს, მათი დანიშნულება გაუგებარი ჩანდა. შევნიშნე მომცრო შეკრულა, რომელსაც თავსაფარი თუ სუფრა ჰქონდა შემოხვეული. ალისას მისთვის ორივე ხელი შემოეწყო, მკერდზე მიუხუტებინა და ისე ეჭირა, როგორც გრძელფეროიანი ყვავილების — გლადიოლუსების, შროშანების ან ვარდების კონა უჭირავთ ხოლმე. მაგრამ ფუთა ერთობ მომრგვალებული და თანაბარი იყო საიმიხოდ, რომ მასში ყვავილები ყოფილიყო გამოხვეული, თანაც ყვავილებს ამნაირ სქელ ქსოვილს არ ახვევენ, თვით მაგარ ყინვაშიაც კი, რადგან სქელი ქსოვილი იმდენად მძიმეა, ნაზ ფურცლებს დაჭმუჭნის ან დაამტვრევს. ეს ფუთა თითქოს სადღაც მენახა, მასთან რაღაც იყო დაკავშირებული, მაგრამ სახელდობრ რა, ვერ გამეხსენებინა.

ის ორლიტრიანი ბიდონიც, დეიდა კუპენის მახლობლად რომ იდგა, მაშინვე ვიცანი, თუმცა მინანქარი მკრთალ ბინდბუნდში უფრო ნაცრისფერი მოჩანდა, ვიდრე ლურჯი. მაგრამ ეჭვს აქარწყლებდა ბანრის ნაწყვეტი, რომლითაც დაგრეხილი მავთულის სახელურზე ბიდონის სახურავი გამოებათ, რომ არ გადმოვარდნილიყო და არ დაკარგულიყო. დეიდა კუპენი ყველაფერში სისუფთავესა და წესრიგს აფასებდა, ხოლო უსახურავო ბიდონი რძის ჭურჭლად არ გამოდგება, რადგან ბუზი ან სხვა მწერი ჩაძვრება შიგ. ეს სწორედ ის ბიდონი გახლდათ, რომლითაც ყოველთვის მიტოვებდა ხოლმე დილის რძეს.

გვერდი რომ ავუარე, ბიდონს ფეხი შემთხვევით წამოვკარი და თუნუქის ჭურჭელმა მოკლედ და ყრუდ გაიჟღარუნა — ხმაურის ექო ბაღს არ მოსდებია, მაშინვე მიწყდა, როგორც წკარუნი მჭიდროდ დახშულ შენობაში. ცარიელი ბიდონი, რომელშიც წვეთი რძეც არ ესხა, უბრალო ცი-

ლინდრულ თუნუქელად ქცეულიყო, არავის რომ არ სჭირდებოდა. თუმცა აქ ის მაინც ბიდონი იყო და არა სხვა რომელიმე ნივთი, მარიანა კუპენს ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე რომ ეკუთვნოდა. იქნებ მისთვის ეს ბიდონი ისეთ რამეს ნიშნავდა, რაც მე ვერ გამეგო: განა ბუფონი რამ ვიცი იმ უხილავი ცეცხლის თაობაზე, ჩვენს მახლობელ ადამიანებში რომ ბუფონი ვიყავი? სულ ვცდილობდი, მათ გულებში ჩამეხედა, მაგრამ როდისმე კი მომიხერხებია? ვოიცებოვსკი, ლელდე, ვილის პერკუნე, დედისა და კუპენი მურგალეში ჩემი მეზობლები და ნაცნობები იყვნენ, მათმა ცხოვრებამ ფაქტიურად ჩემს თვალწინ ჩაიარა, მაგრამ რა ვიცი მე მათ გამოუთქმელ, იდუმალ სურვილებსა და მოგონებებზე, რომელთაც სიტყვებით ვერ გამოხატავ, დალაგებულად ვერ მოყვები, — ისინი ხომ ხანდახან ცნობიერების ფსკერზე გაიღვებენ ხოლმე; რა ვიცი მე მათ გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ მისწრაფებებზე, ხანგამოშვებით დრამატული რამ სასაცილოდ ხომ არ მეჩვენებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ მე არ მეხებოდა, — ტკივილს არ მაგრძნობინებდა, არ მკოდავდა, სულს არ მიშფოთებდა და არაფრით მემუქრებოდა? აბა, მავრი ოტელოსა და ქერათმიანი სოლვეიგის, მოახლე ქრისტიანასა და წარჩინებული თავადი მიშკინის ტრაგიკული ბედი დიადი და ამაღელვებელი არ მეჩვენებოდა? ან მძაფრი ვნებათაღელვა და საბედისწერო სისუსტიეები განა კომიკურად არ მეჩვენებოდა, თუკი მათ აქ, სამეზობლოში ჰქონდა ადგილი, ყოველდღიურ ცხოვრებაში? განა სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ უფრო ძლიერ არ შემძრა, ვიდრე ყველაზე გასაოცარმა ქმნილებამ, რომელსაც იცნობენ ისტორია და ბუნება, — ადამიანის სულმა?

ჩემი ნაცნობები იყვნენ აგრეთვე პიტერი, ველძე და ჰუგო დუმინი, რომლებსაც აქ შევხვდი, თუმცა სიტყვა „შევხვდი“ აქ, იქნებ, უადგილოდ იყოს ნახმარი.

ასკეტურად მკვეთრი ნაკვეთები, რაც კუჭით დაავადებულთათვის არის დამახასიათებელი, წაწვეტილებული, თითქოსდა უტიფრობის გამომხატველი ცხვირი და დაღლილად, როგორღაც ნალვლიანად დაბლა დაშვებული ტურჩის კუთხეები ოდნავ განასხვავებდა ჰუგოს ახლანდელ სახეს იმ სახისგან, მეხსიერებაში რომ ჩამრჩენოდა, აპათიური გამომეტყველება დაუფლებოდა მის სახეს, ნელ-ნელა, მაგრამ გულმოდგინედ და შეუქცევად რომ დაეწყო გაქვავება, თვალეები გახუნებოდა, წინანდებურად აღარ უბრწყინავდა, თითქოს გუგებზე მქრქალი ყინული გადაჰკვროდა. ნელში მოხრილი იჯდა, დაძაბული, თითქოს ყურს უგდებდა რაღაცას, მის შიგნულში რომ ხდებოდა, ჩავარდნილ მუცელზე გაშმაგებით წაევლო ხელი, გეგონებოდა, რაღაც სტკივა ან ტკივილის მოლოდინი აკრთობსო, თუმცა უკვე ნამდვილად ველარაფერს გრძნობდა, მის ჩამქრალ ცნობიერებაში ვერც გარეგანი გაღიზიანება აღწევდა, ვერც შინაგანი იმპულსები, ზუსტად ისევე, როგორც იმათ ცნობიერებაში, მის შორიახლოს რომ იდგნენ: პეტერისა, ვინც ერთადერთი იყო პარკის ბინადართა შორის, რომელსაც შლაპა ეხურა, შუბლზე მიწებებულ ტალახს ნაწილობრივ რომ უმაღლავდა, ან ველძესი, რომელსაც თავი, როგორც შორიდან ჩანდა, რაღაც კიდევებშემორღვეული ქსოვილის ნაგლეჯითა თუ ლენტით წაეკრა, მაგრამ ახლოს მისული დარწმუნდებოდი, რომ არც ერთი იყო და არც მეორე: შუბლზე ღრმა ჭრილობა აჩნდა. თავი მაღლა აენია და პირდაპირ

მე შემომცქეროდა, მაგრამ ვერ მხედავდა. გაფართოებულ თვალებში გაოცება და ძრწოლა ჩაბუდებოდა. და თუმცა ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ გარედან ჩანდა ასე და ველძე მსგავსს არაფერს გრძნობდა, ჩემდა უნებლიეთ მივუახლოვდი და კიდევ შევამჩნიე ზოგი რამ: არც პეტერის შუბლზე შლაპით დაჩრდილული ლაქა იყო ტალახი, რომელიც აუცილებლად კოპივით უნდა დასჯდომოდა, ეს კი შეზნექილ-შეჭყლეტილი ადგილი იყო, რომელიც კიდებდაკბილულ ნახვრეტს მოგაგონებდათ.

მდუმარედ შევცქეროდი მათ, ისინიც უხმოდ მომჩერებოდნენ. მათ არც თანაგრძნობა სჭირდებოდათ, რის განცდაც მე უკვე აღარ შემეძლო, არც დახმარება, რის განვეაც არ ძალმიძდა, — არც ჩემი უნდოდათ რაიმე და არც სხვისი.

ჩემში არც ამჯერად შეტოკებულ-შერხეულა რამე და არც ამ სამი უფერული, ქვის ქანდაკების მსგავსი ფიგურისგან მიგრძვნია რამე ზემოქმედება. მაგრამ სწორედ ამ წუთს ჩემში რაღაც მოხდა — უცნაური, იდუმალებით მოცული გარდაქმნა განვიცადე, რომლის ახსნა და გაგება არც მაშინ შემეძლო, არც შემდეგ, თითქოს თეთრი სინათლის ჩქერში მოვხვდი — ყოველი ხაზი და დეტალი საოცრად მკაფიოდ და მკვეთრად გამოჩნდა, თითქოს სინათლის უეცარ აფეთქებას გაენათებინოს, როგორც ნამი გამოაჩენს ხოლმე თითქმის გამჭვირვალე ობობას სიფრიფანა ქსელს, ამ ვერცხლისფერმა ციალმა სწორედ ისე გაანათა აქ შეკრებილი ადამიანები.

როგორც ბარტყმა, ნისკარტით უვიცობის ნაჭუჭი რომ გამოტეხა და კვერცხიდან გამოჰყო თავი, მოულოდნელად დავინახე ის, რაზედაც ადრე მხოლოდ ბუნდოვანი, იქნებ მცდარი წარმოდგენაც მქონდა. უფრო მეტიც — მოულოდნელად გონება გამინათდა, მივხვდი, ისიც კი ვიცოდი, რისი ცოდნაც არაფრით არ შემეძლო: იმ ადამიანთა უმეტესობა, მე რომ შემომცქეროდა, მოკლული იყო, თუმცა მკვლელის ხელი პირდაპირ არც ერთ მათგანს არ შეხებია. ადამიანის მოკვლა ხომ ათასნაირი ხერხით შეიძლება.

მე ისიც გავიგე, რის გაგებაც არასდიდებით არ შემეძლო: რად უნდოდა დეიდა კუპენს, ბიდონი თან რომ წამოეღო ან რა ედო ალისას ფუთაში. ამ სამეფომ წამართვა სურვილი და ნებისყოფა, გრძნობა და ხმა, მაგრამ მომანიჭა უნარი, რომელიც მწყუროდა, რომელზედაც მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი. ჰოდა, ახდა ჩემი ოცნება: ყველაფერი ვიცოდი იმ ადამიანებზე, რომელთა გაყინული ტუჩებიც აღარასოდეს არაფერს მეტყუოდნენ, იმაზე მეტი ვიცოდი, ოდესმე რომ შეეძლო ეცნობებინა მათ ან უკვე უტყვ ბაგეებს, ისე დაწვრილებით ვიცოდი, თითქოს თითოეული მათგანის ცხოვრებით მეცხოვროს. უფრო მეტიც — გონების ამ აუხსნელმა გაბრწყინებამ საშუალება მომცა აბობოქრებულ ქაოსში ჩამეხედა, სადაც ოდნავ ილანდება მომავლის ბუნდოვანი კონტურები.

აღბათ, ეს იყო უმაღლესი ჯილდო, რაც შეიძლებოდა მიმეღო იმ მცირედისათვის, თალის მსუბუქი კამარის ქვეშ გავლისას რომ დავკარგე, და უნდა ქცეულიყო ჩემი შრომისა და ოცნებების გვირგვინად, თუმცა ჩემში გრძნობის სიმიც კი არ შერხეულა. სხვა არაფერი ძალმიძდა, თუ არა სხვისი აზრებისა და მოქმედებისათვის აუღელვებლად მედევნებინა თვალყური, თითქოს ჩემი სულისგანაც მხოლოდ ნაჭუჭი, ცარიელი გარსი დარჩენილიყო.

... და, აი, მე ისევ მურგალეში ვარ, მშვიდად ბოლავენ სახურავებზე საკვამურები, თითქოს პაპები ყალიონებს ახრჩოლებენო. ნათელი, ცივი და სარკესავით კამკამა ზეცისკენ თეთრი, ვერცხლისფერი და უბრალოდ ნაცრისფერი კვამლი ზანტად მიიკლაკნება და სადღაც შორს, დასალიერ-ში, უერთდება ცის თაღს, იქ იფანტება, თითქოს ტყეს ოდნავ ამოცდენი-ლი, მენამულისფერი მზის კაშკაშა ციალს ერწყმისთქმელად, განუწყვეტლივ, უთავბოლოდ და უშურველად რომ ელვარება არემარეს, და მინდვრებს ვარდისფრად გაუდის ხასხასი, ალაგ-ალაგ ლურჯი ჩრდი-ლები წვებიან, ხეებს კი ლილისფერი ედებათ. დიდი თოვლი დადო. განუ-წყვეტლივ თოვდა და თოვდა, თითქოს შემოდგომის წვიმებისა და ლიპ-ყინულის, ჭყაპისა და ტალახისათვის შურს იძიებსო, თოვა სამ დღე-ღამეს არ შეწყვეტილა, თვალს ვერაფერზე შეასვენებდი, სევდიანი ერთფეროვნე-ბისაგან ადამიანსა და თვით ნადირსაც კი გული ეკუმშებოდა.

ხვავრიელი თოვლი დადო. თოვლი იდო ლობეებზე, შიფერის სახუ-რავებზე, ყავრებს შორის დარჩენილ ღრიჭოებსა და ფანჯრის ჭუჭრუტა-ნებში, პალტოს საყელოსა და ცხოველის ბენვზე. ოღროჩოღრო ადგილე-ბი და თხრილები ამოავსო, კურდღელი სოროში გამოამწყვდია, თოვლი კი მაინც მოდიოდა და მოდიოდა და გადაღებას არ აპირებდა, თითქოს იქ, მაღლა, უშველებელი ტომარა გარღვეულა და არავინ არის, რომ ამო-კეროს, თითქოს ზეცაში თოვლის წისქვილი მუშაობს და არავინ არის ისეთი, გააჩეროს და ამ თეთრ სიგიყეს ბოლო მოუღოსო.

დღეს კი ისეთი საზეიმო, მეფური და უდრტვინველი განწყობილება სუფევს, თითქოს არცთუ დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ გუშინ, მეორედ მოსვლა არ ყოფილიყო, თითქოს საშინელებას არ ჰქონოდა ადგილი. ხმა-ჩახლეჩილი ჭკები ხეებზე შემომსხდარან, მხოლოდ ხანდახან თუ შეარ-ხევენ დაბუყებულ ფრთებს და თოვლის ფიფქებს ჩამოიფერთხავენ, ფიფ-ქები კი ოქროსფერი მტვერით ცვივა დაბლა. აღარ ყეფენ ძაღლები აღარც მამლები ყივიან, ისინი საქათმეში არიან გამომწყვდეული — ფიფქ თოვლში ხომ არ უნდა ჩაიჩუმქრონ მურგალეს ელვარე ბოლოიანი მამ-ლები, წითელი ბიბილოები მაღლა ამაყად რომ აუშვერიათ ან ლილისფე-რი ბიბილოები დარდიმანდულად რომ მოუგდიათ გვერდზე!

თითქმის კაცის სიმაღლე თოვლის ზვინებს შორის, გრეიდერებს ჯერ კიდევ გათენებამდე რომ მიუხვეტიათ გზის კიდეებზე, მძიმედ ქშინავს „რაფი“, მერე ავტობუსის გაჩერებაზე აგურის შემინულ ჯიხურთან ამუ-ხრუჭებს და გზას ზოზინით განაგრძობს რაუდავასკენ, საითაც მურგა-ლელეები მიჰყავს — საშუალო სკოლაში, დიდ მდიდრულ უნივერსიტეტში და პატარ-პატარა, არც ისე მდიდრულ მაღაზიებში, მაღალ და არცთუ ძალიან მაღალ დაწესებულებებში. და ისევ სიჩუმე ისადგურებს, ოღონდ მექანი-კური საამქროებიდან ტალღასავით აღწევს ამ გამჭვირვალე დილას ლი-თონის ხმა — ბიმ-ბამ, ბიმ-ბამ; ეს ხმამაღალი გუგუნე და წკარუნე, ეს გრიალი და ღრჭიალი შორეული ზარებივით ათრთოლებს უქარო ჰაერს თოვლით დაფარულ მინდვრებსა და სახურავებზე, როგორც დასარტყამ საკრავებზე შესრულებული რიტმული ფოქსი.

მურგალე, მურგალე. მე აქ ცხრა წელიწადია ვცხოვრობ. ცხრა წლის წინ საერთოდ არ ვიცოდი, რომ ამქვეყნად მურგალე არსებობდა — პატა-რა, მუქი რგოლი რუკაზე, რგოლი კი არა, უფრო წერტილი, სადაც ვერ

გაიგებდი, როგორ უნდა მოეყარა თავი ერთად, როგორ უნდა დატეულიყო ასზე მეტი სახლი, სასოფლო საბჭო, აფთიაქი, ფოსტა, საპარკმახერო, რვანლიანი სკოლა, მალაზია და სავეტერინარო უბანი, როგორ უნდა დატეულიყო ყოველივე ის, რასაც მურგალე ჰქვია. ეს გაუგებარია რუკაზე, სინამდვილეში კი — სინამდვილეში შესაძლებელია და მერე როგორ. ქალაქში ბევრი რამ იცვლის სახეს — ქალაქში გერმანელები, რომლებმაც მურგალე თითქმის დაუგავის ნაპირზე მდებარეობს, სინამდვილეში ქალაქს ასე სულაც არ არის. მდინარემდე, თუ პირდაპირი გზით ვიანგარიშებთ, ათიოდე კილომეტრი იქნება — ათიოდე კილომეტრი გზებითა და ბილიკებით დასერილი ტყე, რომელთა გადალახვა ოქტომბრიდან მაისამდე შეიძლება მხოლოდ მუხლუხა ტრაქტორით ან უზარმაზარი „მაზით“, ასე რომ უფრო პატარა და სუბტილურ მანქანებს შორი გზის მოვლა უხდებათ გზატკეცილით, ეს კი ოციოდე კილომეტრი გამოდის, შეიძლება ოცდაორიც, ან როგორც მარიანა კუპენი ამბობს, მთელი ოცდასამი მილი.

ცისფერი ძაფი, რუკაზე რომ ჩანს, ვიდრიცა*, თუმცა საეჭვოა, რომ აქ ოდესზე თუნდაც ერთ წავს ეცხოვროს, ხოლო თუკი უცხოვრია, ნამდვილად უტვინო იქნებოდა: შუა ზაფხულისათვის წყალი იმდენად იკლებს, კოჭებამდეც არ მოგწვდება, ასე რომ წყალმარჩხოებისას მალლა ამოშვერილი ლოდები ჩანს, დარანებშიც კი წყალმცენარეთა მწვანე ბუნუნები ზედაპირზე ლივლივებენ და ყოველი კენჭი, ყოველი ლიფსიტა თუ თავის სადაფის ქოხში გამომწყვდეული ლოკოკინა ისე ჩანს, როგორც აკვარიუმის მინაში. განსაკუთრებულად ღრმა წყალი აქ არც ზამთრობითაა, არც მყარი ყინული იცის, რადგან იმას, რასაც მძაფრი სიცივის დროს ყინვა ააგებს და ფოლადისებურად გააპრიალებს, ოდნავ დათბება თუ არა, წყლის დინება ორი დღის განმავლობაში თავის კბილებით დაღრღნის და გაანადგურებს. სამაგიეროდ მდინარის ნაპირას იზამთრებს ისეთი გასაოცარი ჩიტი, ყინულის ქვეშ თევზის დაჭერის ისეთი სპეციალისტი, ისეთი მამაცი მყვინთავი, როგორიც წყლის შაშვია, რომელიც გაბედულად, წინდაუხედავად შევარდება ხოლმე ყინულღრუსა თუ ყინულჭრილში, არ იძირება, არ იყინება და სანამ მდინარე აბობოქრდებოდეს, ადიდდებოდეს, ნაპირს გადმოლახავდეს და მდელოებს შეუტევდეს, გზებს დაფარავდეს, ხიდებს წალეკავდეს და სხვა რამ საძაგლობას ჩაიდენდეს, ისევ ჩრდილოეთს მიაშურებს; მაგრამ გაზაფხული იმიტომ არის გაზაფხული, რომ თავად მურგალეს ბარონიც კი თავის აკლდამაში კბილებს აღრჭიალებს, როცა ახალგაზრდა გოგონები ჩაუვლიან.

ახლა კი იმდენი თოვლი მოვიდა, ვიდრიცა თითქმის მთლიანად ნამქერით არის დაფარული, თითქოს ბამბის ფთილებით იყოს ამოტენილი, და თოვლის ამ სითეთრეში მხოლოდ აქა-იქ ჩამუქებული ყინულღრუ, ზოგან ბრწყინავს, ზოგან დნობას იწყებს და ჭავლს იყენებს.

ასეთია დღეს მურგალე.

მიუხედავად სიცივისა, ვეტერინარული უბნის კარი ფართოდ არის გაღებული და პარმალთან დგას პატარა, ბელურასავით მარდი მანქანა — ნაცრისფერი გაზიკი, დგას და ჩართულ ძრავას ათუხთუხებს, ხოლო ახლახან გამოგვილი პარმალიდან, მცირე ჩემოდნით ხელში, ოდნავი კოჭ-

* ვიდრიცა — მდინარე, სადაც წავეები ცხოვრობენ.

ლობით ჩამოდის თავად ფელიქს ვოიცეხოვსკი, ჩამოდის მსუბუქად, მოხდენილად, ხანგამოშვებით წვრილ ხელჯოხს საფეხურებზე აკაკუნებს, ეტყობა, ეს სულაც არ სჭირდება, მაგრამ ამას მედიდურობისა და ამპარტავნობის გამო სჩადის.

ვოიცეხოვსკი მურგალეს ვეტერინარული ექიმია. ~~სანამ მას~~ ^{სანამ მას} გავიცნობდი, ვეტერინარები ძარღვმაგარ, ღონიერ ძიებად და ~~ფაშატივით~~ ^{ფაშატივით} ჯანმრთელ დეიდებად წარმომედგინა, ვოიცეხოვსკი კი კონტაქტის ~~და~~ ^{და} აგებულების კაცია, გაპარსული თავი და მოაზროვნის მაღალი შუბლი აქვს, ამავე დროს ერთობ მოხდენილია და ნატიფი, ნამეტანი თავაზიანი და კოპნიანა, რომ, თუ საღად ვიმსჯელებთ, ცხენის ხეირიანი ექიმი უნდა იყოს. იგი უფრო კბილის ტექნიკოსს ჰგავს ან სამინისტროს მოხელეს, სიმფონიური ორკესტრის მევიოლინეს ან საათის ოსტატს, შეეძლო საქმე ჰქონოდა ანტიკვარულ ნივთებთან და უცხოელ ტურისტებთან, წესი აეგო მიცვალებულებისათვის და ტელევიზიაში საერთაშორისო მდგომარეობის კომენტარი გაეკეთებინა, შეეძლო ბევრი რამ გაეკეთებინა, მაგრამ არა ის, რასაც ახლა აკეთებდა, — არ ჩამოსულიყო კიბეზე, რათა გაზიკში ჩამჯდარიყო და ფერმების შემოსავლელად წასულიყო, სადაც სილოსისა და ნაკელის მძაფრი სუნი დგას, სადაც ისე ყარს ყველაფერი, მგონი, ვერავითარ შემთხვევაში მისი კონტაქტის კეხიანი და მგრძნობიარე ნესტოებიანი ცხვირი ვერ აიტანდა. ვოიცეხოვსკის იმისთანა კაცის იერი აქვს, რომელსაც გულს ურევს მოტკბო სუნი სისხლისა, რომელიც ჩირქოვან ანთებასა და უყურადღებობით გართულებულ ქრილობას მხოლოდ მეცნიერული ტერმინოლოგიის მიხედვით იცნობს და არასოდეს უხილავს ის უხეში არსი, რაც სავსებით კეთილხმოვანი ლათინური სიტყვების მიღმა იმალება. მთელი მისი გარეგნობა ჩვეულებრივი წარმოდგენებისა და უმეტარი მსჯელობის პირდაპირი გამონწვევაა: ის ხომ რაიონის ერთ-ერთ საუკეთესო ვეტერინარულ ექიმად ითვლება, და რადგან სიტყვამ მოიტანა, არა მხოლოდ ითვლება.

დაბლა რომ ჩამოდის, ჩერდება, თვალებს ქუტავს და ამ ციალს გასცქერის, რომელიც ცისარტყელას ყველა ფერით ბრწყინავს, გარშემო გაცოცხლებული, გაშტერებული, დაბრმავებული იცქირება, თვალებით ჩასციება ზამთრის დილის აკვარელისებურ სინათლეს, ჩვეული და მობეზრებული პეიზაჟი ისე რომ შეუცვლია, ვერც კი იცნობ. ბოლოს ვოიცეხოვსკი ვერც მამჩნევს, მოკლე, პლასტიკური ფესტით ხელს მაღლა სწევს და მესალმება, მეც ჩიქორთული პოლონურით ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად სერიოზულად ვაძლევ პასუხს:

— გამარჯობათ, პან ვოიცეხოვსკი!

— სად მივდივართ? — მეკითხება, მანქანის კარს აღებს და მეუბნება, მობრძანდიო, მაგრამ მე არსად მივდივარ, საბედნიეროდ, არსად მივდივარ, ან რატომ უნდა მინდოდეს ამისთანა დღეს სადმე წასვლა.

მანქანაში ჯერ ჩემოდანი ჩადო, მერმე ხელჯოხი, ბოლოს კი თვითონაც ჩაჯდა, მაგრამ ყოველივე ამას აუჩქარებლად, ოდნავ შეყოვნებული, თითქოსდა ხაზგასმული გრაციით აკეთებდა და, თუმცა სიტყვა „გრაცია“ შეიძლება უზუსტოდ და უადგილოდ მოგეჩვენოთ, რადგან ლაპარაკია ხანშიშესულ, თანაც ოდნავ კოჭლ მამაკაცზე, შეიძლება ერეტიკულად და გესლიანად მიიჩნიოთ, უფრო მეტიც, იქნებ, საღი აზრისა და სი-

ლაშაზის ცნების დაცინვადაც ჩანდეს, თავქარიანობისა და ლაყბობის ელფერიც დაჰკრავდეს — დიახ, შეიძლება ყოველივე ეს ასე გამოიყურებოდეს, ჩანდეს და აღიქმებოდეს, მაგრამ მე ვერ მიპოვია ფელიქს ვოიცეხოვსკის მოძრაობის ჰაეროვნებისა და თავისუფლების სხვა, უფრო ზუსტი განსაზღვრა, რაც ენათესავება როგორც ბალეტის მოცეკვავეს, ისე ნადირის პლასტიკურობას და გარეგნულ ჰაეროვნებაში მიზანმიმართულობას, გამძლეობასა და ფიზიკურ ძალას მალავს.

ბიზლიჩიშვილი

ვოიცეხოვსკი მანქანაში ჯდება და ხელს კარის სახელურს ჰკიდებს. წამიც და კარი იხურება, კიდევ წამი და ბორბლები ტრიალს იწყებენ, ფხვიერი თოვლის კორიანტელს აყენებენ და... მაგრამ ამ მომენტში, სწორედ ამ უკანასკნელ წამს კასპარსონების ჭიშკრიდან თავქუდმოგლეჯით გამოვრბის ლელდე, ხელს უქნევს და კვალდაკვალ მისდევს მანქანას. პორტფელი ერთ საკეტზე აქვს დაკეტილი, პალტო — ერთ ღილზე შეუბნევია, შარფი უბრალოდ გადაუგდია მხარზე. სირბილით მიმავალი გოგონას მოძრაობაზე შარფი ფრიალებს და თოვლის სიქათქათაში წითლად ახასხასებული, აყვავებული ყაყაჩო ან სისხლის შადრევანი გეგონება. რასაკვირველია, ავტობუსი წასულია და პირველ გაკვეთილზე დაგვიანებულია, მაგრამ რა ბედნიერებაა, რომ ამქვეყნად არსებობს ვოიცეხოვსკი, ეს ბებერი ვოიცეხოვსკი, თავისი სამსახურებრივი ჯაბახანით, რომლითაც შეიძლება ავტობუსს დაეწიოს კიდევ. მეორე გაკვეთილი — ფიზიკა მაინც არ გააცდინოს — ფიზიკას ხომ კლასის დამრიგებელი ასწავლით!

ლელდე ბორძიკ-ბორძიკით ჯდება გაზიკში და აქლოშინებული ვოიცეხოვსკის გვერდით მოწყვეტით ეცემა სავარძელზე, არც მისალმების თავი აქვს, არც რაიმე სიტყვის წარმოთქმის, მხოლოდ ბედნიერად ეღიმიება და თეთრ კბილებს აჩენს, პირიდან კი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოსდის ორთქლი.

მანქანის კარი ისევ იხურება და გაზიკი ადგილიდან იძვრის. ისევ აყენებს თოვლის კორიანტელს. მე ვხედავ კარში მოყოლილ წითელი შარფის ბოლოს, გარეთ გამოყოფილ ენასავით რომ ტოკავს. მანქანა ოღრო-ზოღრო გზაზე ხტუნვით მიდის და სიჩქარეს თანდათანობით უმატებს. რაც უფრო მშორდება, შარფის ბოლო პატარა ცახცახა ალს ემსგავსება და მოსახვევში, თითქოს ვიღაცამ სული შეუბერაო, უმალ ქრება.

საპყრობილე, ანუ მოთხრობა ლელდეზე და არა მხოლოდ მასზე, არამედ აბრეშვე ავრორასა და ასკოლდეზე

— შშე-ხე... შ-შეხედე! — დაბალი, დახშული ხმით შესძახა ვაჟმა. ენას ოდნავ უკიდებს, როგორც მუდამ მოსდის ხოლმე, როცა ძალიან ლელავს. გაკვირვებულია, წარმოუდგენლად გაოცებული. გაოცებას აფრქვევს და ასხივებს მისი გაფართოებული თვალები. — ხედავ, აი, იქა!

თუმცა ლელდე უკვე თვითონაც ხედავს.

წყლის ბნელ სიღრმეში ბრჭყვიალა, პრიალა, თეთრად მოქათქათე რაღაც ელავს და მოძრაობს, წამდაუნუმ ციმციმებს, ნაპერწკლებს აფრქვევს და ერთდროულად ჰგავს როგორც მოკაშკაშე ვარსკვლავს, ისე ვერცხლისფრად მოელვარე თევზს; ბრჭყვიალითა და ციმციმით ჩაიქროლა, ყინულის ნაწიბურქვეშ შეძვრა, მიიმალა და ერთხელაც აღარ გამოჩნდა.

ნდა, ერთი წამითაც, თუმცა ქალ-ვაჟი თვალეზაფხეტილი მისჩერებია იმ ადგილს, სადაც ეს-ესაა ამ სასწაულს მოჰკრეს თვალი. მაგრამ იქ უკვე აღარაფერი ჩანს — გამქრალა და გაუჩინარებულა.

— დ-დაინახე? — ისევ ეჩურჩულება აიგარი, რომელსაც უკვე თითქმის სჯერა, რომ ყოველივე ეს არ მოჩვენებია, რომ თვალს არ მოუტყუებია, რომ ეს ფოკუსი, „გასართობი ქიმიის“ მარჯვე, მფრქველი ოინი არ იყო.

— რა? — უაზროდ ეკითხება ლელდე, რომელიც არ ფიქრობს, რას წარმოთქვამენ მისი ტუჩები. — რა? — თითქოს სიზმარშიაო, იმეორებს ქალიშვილი და ბოლოს გონს მოდის: — ეს წყლის შაშვი იყო.

— წყლის შაშვი? შენც იტყვი რაღა!

— წყლის შაშვი იყო.

— საიდან მოიგონე?

— ვიცი.

არ უხსნის, სად ამოუკითხავს ან ვისგან გაუგონია ეს, უბრალოდ და დარწმუნებით ეუბნება, „ვიციო“, ისე ეუბნება, თითქოს მუდამ სცოდნოდეს, უხსოვარ დროსაც კი და უფრო ადრეც, თითქოს დაბადებიდან სცოდნოდეს. ეს იმდენად უცნაურია, რომ აიგარც იცინის. ლელდემ შეხედა. ვაჟს კურდღლის ტყავისგან შეკერილი ქუდი ჰხურავს. ქუდის ყურები არ შეუბნევია და სხვადასხვა სიმალლეზე ჰკიდია. პირველი ნაადრევი ჭორფლი ცხვირზე ქარვისფრად უბრწყინავს, თეთრ კანზე ისინი ამოთურცული გეგონება, ხოლო მის ჩვეულებრივ მრუმე-მონაცრისფრო თვალებს საფირონის ფერი გადაჰკრავს. ცხვირის წვერი გაყინვია, გალურჯებია და ულაპლაპებს, პალტოს საყელოდან კი გრძელი, ბავშვურად წვრილი კისერი უჩანს, როგორღაც უსუსური, გულის ამაჩუყებლად წვრილი და იმდენად გამხდარი, ლელდეს რატომღაც სიბრალული ეუფლება. რატომ? რა მაინცდამაინც ლელდე უცქერის ამ კომიკურად წვრილ კისერს და არ ეცინება, მას თბილი და ამავე დროს სევდისმომგვრელი გრძნობა იპყრობს. სევდამ სახე დაუბინდა, ბავშვური ნაკვთები წაუშალა და თითქოს მომავალი ნაკვეცებისა და ნაოჭების ქსელი მიანიშნა, რაც სახეს უცხო იერს ანიჭებს — უჩვეულოდ სერიოზულ და გასაოცრად ხანშიშესული ადამიანის იერს. ქალიშვილს სახეზე ლბილი, ავადმყოფური ღიმილი გაუკრთა, რომელიც მხოლოდ აიგარს ეკუთვნოდა, და აიგარი, რომელიც ინტუიციით არასოდეს გამოირჩეოდა — სხვა ყოველივე გააჩნია, მაგრამ აღლოს გრძნობა — არა, — უცებ მეექვსე თუ მეშვიდე გრძნობით ხვდება, რატომ ჩამოვიდა ლელდე ავტობუსიდან ერთი გაჩერებით ადრე, ახლა ხიდზე დგას და არსადაც არ მიდის, დგას ვიდრიცაზე გადებულ ხიდზე თხუთმეტგრადუსიან ყინვაში, ადგილიდან არ იძვრის და არც რაიმე მნიშვნელოვანს ამბობს. ლელდეს არ უნდა შინ წასვლა!

ჰოდა, აი, ორივენი დგანან. ლელდე საათს დასცქერის და ოხრავს. აიგარიც დასცქერის თავის საათს და თვითონაც ოხრავს: გულს უწვრილებს ხანგრძლივი დუმილი, როცა არ იცი, რა თქვა და რა მოიმოქმედო. გეგონება, რაღაცას თუ ვიღაცას ელიან, რომელიც არ მოდის, არ ცხადდება, არ ადგება საშველი მის გამოჩენას. მაგრამ აიგარი მოქმედების, საქმის კაცია და უბრალოდ არ შეუძლია ასე იდგეს უსაქმურად. პორტ-

ფელი მუხლებშორის მოიქცია და ჯიბეში ასანთი და სიგარეტის კოლოფი მოიძია. ერთი ცალი სიგარეტი ამოიღო.

— მეც მომეცი, — ეუბნება ლელდე.

— აჰა!

ასანთს გაჰკრა და ცეცხლი ლელდეს სახესთან მიუტანა. ქალიშვილი ვაჟს არ უცქერის, წამწამები დაბლა დაუხრია და მთელი ყურადღება მენამულისფერ ალზე მიუპყრია, თითქოს მის წარწერას დასწავდეს კრთობას მოუჯადოებიაო.

— უკუღმა იდებ პირში! — შენიშნავს ვაჟი. — პირიქით, ფილტრით უნდა ჩაიღო.

— მართლა? — უკვირს ლელდეს და სანამ სიგარეტს შემოაბრუნებს და აცქერდება, საითაა ფილტრი და საით თამბაქო, ასანთი ქრება. მაგრამ ვაჟი ახალ ღერს ანთებს. კოლოფს რამდენჯერმე გაჰკრავს ასანთს, რადგან თითები გათოშვია და ვედარ იმორჩილებს.

— მოქაჩე და გაჩაღდება. რაო, არასოდეს მოგიწევია?

— მე? — თვალები წინანდებურად დაუხრია ლელდესა და ქუთუთოები ოდნავ უთრთის. — რატომ გგონია, რომ არ მომიწევია?

ბოლოს ახერხებს გაბოლებას. წვრილი, გახვევებული თითებით სიგარეტს ბლუჯავს და კვამლს სასაცილოდ და უხერხულად უშვებს პირიდან. ჩამოშლილი თმა მსუბუქად ელამუნება სახეზე.

კარგია ჩამოჯდომა, მაგრამ აქ მუხლს ვერსად მოიყრი, ყველაფერი თოვლით არის დაფარული და ხიდის მოაჯირს გადაყრდნობილნი აბოლებენ, დაბლა კი ყინულს ეხახუნება და მიჩუხჩუხებს მდინარე. თებერვლის მოწმენდილი დღის ფერები აკვარელის ფერებივით კამკამა და გამჭვირვალეა, ჰაერი ღილისფერია, ყინვა თანდათანობით მძლავრობს და, როგორც ჩანს, ღამით კიდევ უფრო მოიმატებს.

— ლელდე!

— რა იყო?

— გინდა, ცირკულაციას გაჩვენებ?

— რას მაჩვენებ?

— კვამლის ცირკულაციას. შეხე! ფოკუს-პოკუსი. ერთი, ორი, სამი — პო-პაა!

აიგარმა სიგარეტი მაგრად მოქაჩა და პირდაღებულმა კვამლი მალლა გაუშვა, თუმცა იგი რატომღაც არ გაიბოლქვა, არ გაიფანტა, არამედ მორჩილად შეუძვრა ნესტოებში.

— ჰა, იტყვი, რომ ვირტოზავრი არა ვარ? — ეკითხება ვაჟი. ეტყობა, ელოდა, შემაქებსო. ან რატომ არ უნდა შეექო, განა ფანდი ეფექტური არ იყო?

თუმცა ლელდე არაფერს ეუბნება.

თავზე გადაუარათ ჭკების არეულდარეულმა გუნდმა, ღამის გასათევად მიზისკენ* რომ მიფრინავდა. იმ მხარეს უზარმაზარი ხეები უკვე იმოსებიან ბინდბუნდის რუხ-მოიისფრო მარმაშით, მარგალიტისფერ-მოვარდისფრო ცისკიდურსაც ოდნავ მრუმე ფერი გადაჰკრავს.

* მიზა — აგარაკი, სააგარაკო კარმიდამო.

— მისმინე, — ლაპარაკს იწყებს ქალიშვილი, თუმცა აიგარს კი არ უცქერის, თვალებით ფრინველებს მიაცილებს.

— რა იყო?

— რას ისურვებდი ყველაზე მეტად? არჩევა რომ შეგეძლოს...

— მე? — ეხმიანება აიგარი და ლელდესკენ არც თვითონ იხედება; თავი ისე გადაუწევია, გეგონება, სადაცაა ქუდი უკვე დაუხრდებო, და თვალებით ისიც ჭკებს მიაცილებს. — ცხადია, რომ ისურვებდი!

— თოფს? — შავი წარბები შეიჭმუხნა ლელდემ, იყურა, სანამ ფრინველები არ გაუჩინარდნენ, და განაგრძო: — სერიოზულად ამბობ?

— ხომ გითხარი, მინდა თოფი მქონდეს-მეთქი! ორლულიანი თოფი. ისე ავტომატი სჯობია, ვაზნას თვითონ აწვდის სავაზნე კოლოფიდან ლულას.

ახლა ლელდეს მზერა აიგარზე გადააქვს.

— ნუთუ მართლა არავითარი სურვილი არ გაგაჩნია? — ქალიშვილი გულწრფელად გაოცებულია, თუმცა ვაჟმა თავისი სურვილი საკმაოდ ნათლად და გასაგებად გამოთქვა.

— კიდევ ვისურვებდი მოტოციკლი მქონოდა, — უმატებს ვაჟი. — პატარა „კოზლიკი“, როგორც ინგუსსა აქვს, ისე, რასაკვირველია, ყველას „პანონია“ სჯობია, უბრალო კი არა — ეტლიანი.

ლელდე უხერხულად ფერთხავს სიგარეტიდან ფერფლს.

— ღმერთო ჩემო, ეტლს რა თავში იხლი? — გაოცებულია იგი.

— რა თავში ვიხლი? — კითხვას უბრუნებს აიგარი და თოვლში აფურთხებს. — აი, შეკითხვა! — ეტლიანი მოტოციკლი სულ სხვა არის, უეტლო რის მაქნისია. ეტლიანი მოტოციკლი... თითქმის „ზაპოროჟეცია“! სხვები რა თავში იხლიან? — კითხვას კითხვითვე პასუხობს და ისევ აპურჭყებს.

— სხვები რა თავში იხლიანო? — ქალიშვილი ექოსავით იმეორებს აიგარისავე კილოთი და იცინის.

აიგარს ეს სწყინს, რადგან მოტოციკლი — საკუთარი მოციკი, ისიც ეტლიანი — ოცნებაა, ოცნება კი წმინდა საქმეა, ხელშეუხებელია, არ შეიძლება ზემოდან ცქერა და გაქილიკება, თუნდაც ამას ლელდე სჩადიდდეს, და იქნებ სწორედ ყველაზე ნაკლებად მას აქვს ამის უფლება: კასპარსონებს ხომ მანქანა აქვთ, თუმცა მხოლოდ „ზაპოროჟეცია“, მაგრამ, გულწრფელად რომ ითქვას, ყველაზე საუკეთესო მოციკზე ძლიერია, „იავაზე“ ძლიერიცაა, იმავე „პანონიაზეც“ და თვით დიდ „იფზედაც“. და უცებ აზრი გაუელვებს: საინტერესოა, რაღა უნდა სურდეს ადამიანს, თუკი მანქანა აქვს? მეორე მანქანა? „მოსკვიჩი“, თუკი „ზაპოროჟეცია“ აქვს? თუ „ვოლგა“, როცა „ფიგული“ აქვს? მაგრამ თუ „ვოლგაც“ აქვს? რა სურს ადამიანს, „ვოლგა“ რომ აქვს?

ლელდე მოაჯირზე გადაიხრება და სიგარეტს დაბლა ისვრის. სიგარეტი შიშით ვარდება ყინულღრუში, მერმე დინება ითრევს და თვალთაგან იკარგება.

— შენ რაღას ისურვებდი? — გამომწვევად ეკითხება ვაჟი, რადგან გულში ისევ გაბრაზებულია ლელდეზე, რატომ დამცინაო. დიდი ვინმე არ ბრძანდებო... მაინც გული ეტკინა, ეშმაკმა დასწყევლოს!

ლელდემ, რომელიც რაღაცაზე ფიქრობს თავისთვის, რის შესახებაც

აიგარმა არაფერი იცის, ვაჟს მიუტრიალდება და სახე უნათდება, კი არ ეღიმება ან იცინის, სწორედ რომ სახე უნათდება, ასე რომ განსაკუთრებული სურვილი უნდა ჰქონდეს, და აიგარი ამხნევებს:

— მითხარი!

მაგრამ ლელდე ორჭოფულად პასუხობს:

— დამცინებ.

ამას ეუბნება და სიტყვასაც არ უმატებს, ოღონდ ფიქრობდა, თვალბში მხიარული ნაპერწკლები უხტის.

— ძვირფასი კაბა?.. იქნებ, მძივები გინდა? — ანდეზე ასახელებს აიგარი და ცდილობს, დაახლოებით მაინც გამოიცინოს, რას ისურვებდა ქალიშვილი და ისიც ისეთი, როგორც ლელდეა, რომელსაც თითქოს არაფერი აკლია.

— მძივები? — ზიზღით ამბობს ქალიშვილი, — ღმერთო, შენ ჯერ ისევ ბავშვი ხარ.

ერთი ამას დახეთ! არა, ღმერთმანი, არ არსებობს სხვა ისეთი სიტყვები, რომ ასე შეელახა მისი თავმოყვარეობა და, წყენის გამოხატვა რომ ვერ გაბედა, უფრო ჭკვიანური ვერაფერი მოიგონა და ისევ „ცირკულაციას“ შეუდგა, სანამ გონს არ მოეგო — ვაი, რა რეგენი ვარო! — დარცხვენილი თავს დაბლა ხრის და ნამწვს ლელდეს სიგარეტის გზას უყენებს. ნამწვმა ჰაერში რკალი მოხაზა, უკანასკნელად გაიელვა და თოვლში ჩავარდა.

— მაშინ არ ვიცი, — მკვახედ მიუგო ვაჟმა, რომელიც გულის სიღრმეში ნანობდა, ამ საუბარში რატომ ჩავებიო. დაე, ნუ ჩტყვის, მაგრამ სიზმარში, ალბათ, იმპორტულ ჭინჭებს, ნეილონებსა და კოლგოტებს ხედავს, მაშ სხვა რა უნდა ეზმანებოდეს, თავი კი ისე უჭირავს, თითქოს რაღაც მაღალ მატერიებზე ფიქრობდეს!

— ის ნივთი სულაც არ არის, — თითქმის წყენით უთხრა გაფიცებულმა ლელდემ, თითქოს ვაჟის აზრები გამოიცინო. — და საერთოდ... შენ ამას ვერ გაიგებ.

ჯანდაბას, თუ ვერ გაიგებს... და ორივენი ისევ სდუმან. პარკიდან ჭკების თვლემამორეული, ხრინწიანი ხმები აღწევს. წასვლის დრო ხომ არ არის? დიდი სასიამოვნო კია აქ ბოთესავით დგომა! იდგნენ ერთხანს, გააბოლეს და კმარა.

— როგორ გგონია, ჩვენი წასვლის დრო არ არის? — ბოლოს თავს ველარ იკავებს ვაჟი, რადგან მართლაც რომ გაითოშა, თან აქ საქმეც არაფერი აქვთ, ამას ისიც დაუმატეთ, რომ მგელივით შია, ახლომახლო სახლებიდან მადისაღმძვრელი სუნი მოდის — ხახვში შემწვარი ხორცის, შეიძლება ტაფამწვარის, მას ჩახლილი ერბო-კვერცხი უყვარს ქონით, ხორცი ურევია შიგ თუ არა, სულ ერთია, ასეც მოსწონს და ისეც, ოღონდ კარგად იყოს შემწვარი, რომ ყავისფერ კანს პირში ხრაშუნი გაუდიოდეს. ეს რომ წარმოიდგინა, ფეხი მოინაცვლა. სულაც აღარ უნდოდა აქ ყურყუტი, თუნდაც ლელდესთან ერთად.

— შეიძლება, — პასუხობს ქალიშვილი მორჩილად და ნალვლიანად, თითქოს გარდაუვალ რაღაცას ურიგდებო, ვაჟი კი გონს მოდის და ისევ იმაზე ფიქრობს, ლელდეს შინ წასვლა არ უნდაო. უცებ ძალიან შეებრაღა ლელდე: რამდენჯერ ყოფილა, ისეთი მდგომარეობა შექმნია, შინ დაბ-

რუნება სიკვდილივით ეზარებოდა. დაბრუნებით კი უნდა დაბრუნებულიყო. სხვა რა გზა გაქვს, სად უნდა წახვიდე? თუმცა ამგვარ წუთებში გინდა, რაც შეიძლება შორს იყო, ცხრა მთას გადაღმა, დაჯდე საკუთარ მოტოციკლზე და... მოუსვა, საითაც მოგესურვება.

— იქნებ გინდა... სადმე ისაა... — შემრიგებლურად ეუბნება აიგარი, რომელსაც ნათლად წარმოუდგენია იმ ადამიანის გენწყობილება, რომელსაც შინ წაყვანაზე ფეხები უარს ეუბნებიან.

— რა — „ისა“? — კითხვას უბრუნებს ქალიშვილი, თავის საფიქრალს რომ ფიქრობს.

— აქედან სადმე წასვლა ხომ არ გინდა-მეთქი, — ხელს გაურკვეველი მიმართულებით იშვერს ვაჟი.

— წასვლა?

— ჰო.

ლელდე დუმს, შემდეგ თავს აქნევს:

— ხანდახან მინდა.

ასე ეუბნება და მცირე დუმილის შემდეგ უმატებს:

— მაგრამ ეს... ის არ არის. არა, შენ ვერ გაიგებ. ნუ გენწყინება, აიგარ, მაგრამ ვერ გაიგებ...

ლელდემ თვითონაც არ იცის, რა ჰქვია ამას. ეს დავიწყებულ სიტყვასავითაა, რომლის გახსენებასაც ცდილობს, მაგრამ ამოდ, იმ წუთში, ფრინველებმა რომ ჩაიფრინეს, ეს სიტყვა ენის წვერზე უტრიალებდა, მერმე კი გაქრა, გადნა და რაღაც ძალზე კეთილზე და მშვენიერზე, თან ძალზე მერყევზე მძაფრი სევდა დაუტოვა.

ჩაუარეს თოვლით დაფარულ სახლებსა და დანამქრულ ბალებს, ფაფუკ ნამქერებსა და თეთრ ხაოიან ხეებს, ყოველივე იმას, რასაც მიჩვეული იყვნენ, მაგრამ თოვლს ისე გასაოცრად გამოეცვალა, თითქოს ისინი მურგალეში კი არა, სხვაგან დაბორიალებდნენ. ვოიცეხოვსკის სახლთან უღვაშებნაყინული ნერონი ზის და პატრონს ელოდება.

— ნერონ! — ეძახის მას ლობის გადაღმიდან აიგარი, მაგრამ ძალღი არავითარ ყურადღებას არ აქცევს, კუდს არ აქიცინებს, ყურს არ აბარტყუნებს, ზედაც არ უცქერის, თითქოს აიგარი არარაობა იყოს, ცარიელი ადგილი. აიგარმა თოვლი დააგუნდავა და ესროლა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ძლიერ ყინვაში თოვლი მშრალია და ფხვიერი, და გუნდა პაერშივე იფშენება.

— რას ერჩი? — ეუბნება წარბებშეჭმუხვნილი ლელდე, თუმცა აიგარმა ძალღს ვერ მოახვედრა და არც უნდოდა მოეხვედრებინა — მისი გახლება უნდოდა, რომ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არ ჰქონოდა, გასაგებია, რომ ეს მეორედ შეირცხვინა თავი, და უხერხულობის დასაფარავად მოიღუშა. სულითა და გულით უნდოდა, უცებ ხანძარი გაჩენილიყო, ან ომი დაწყებულიყო, ან საიდანღაც ჯაშუშები გამომტყვრალიყვნენ, ან საშინელი რაღაც მომხდარიყო, და მას ისეთი ვაჟკაცობა და გმირობა ჩაედინა, გაოცებისგან ყველანი პირდაღებული დარჩენილიყვნენ.

მაგრამ მურგალეში მსგავსი არაფერი შეიძლება მოხდეს და არც ხდება. მურგალეში შემწვარი ხორცისა და ტაფამწვარის სუნი დგას, ზეცისკენ მიიკლაკნება საკვამურებიდან ამონადენი ბოლი, მურგალეში პი-

რველკლასელები ერთმანეთს უშენენ თოვლის გუნდებს. ესვრიან გვერდით ჩავლილ ლელდესა და აიგარსაც.

ვილაცამ დაიკვილა:

— სიძე-პატარძალი!

სხვებიც არეულ-დარეულად გაიძახიან:

— მოდის კვირა-ძალი... სი-ძე-პა-ტარ-ძალი!..

ოჰ, ეს ეშმაკები!

აიგარს აღმური მოედო — მათკენ მრისხანედ მიტრიალდა. აურზაური მაშინვე წყდება და მოკლე, სულშეგუბებული სიცილი გაისმის.

— აბა, დამაცალეთ! — ყვირის ბრაზისაგან გაფითრებული და ხელები ექავება ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ლელდე კი თავის გზას განაგრძობს, თითქოს არაფერი ესმის, თითქოს იმას, რაც ხდება, მასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მიდის, წამითაც არ ჩერდება და ნაბიჯსაც არ ანელებს, აიგარი კი ბავშვებს მოეშვა, ლელდეს ეწევა და მის გვერდით მიაბიჯებს. შეძახილები, სიცილი ზურგს უკან თანდათანობით ისევ ცოცხლდება, ძალას იკრებს და აიგარსა და ლელდეს მალე ისევ ეწევა და სწვდება გამალიზიანებელი მტრული ქორო.

— მოდის კვირა-ძალი... სიძე-პატარ-ძალი!..

აიგარი აღმაცერად უცქერის ლელდეს, გამომცდელად უყურებს და უცებ, ისე მოულოდნელად, თითქოს ადრე არც სცნობოდეხ და ახლა პირველად ხედავდეს, ისე უცაბედად, რომ უჭირს გაგება, რატომ აქამდე ვერ შენიშნა, გასაოცარ რალაცას აღმოაჩინს — თურმე ლელდე ლამაზი გოგო ყოფილა. ნატიფი პროფილი, მუქი ქერა, ლივლივა გრძელი თმა, შხვართივით ტანი — ყოველმხრივ თვალწარმტაცია, რასაც განსაკუთრებით წარმოაჩინს თოვლის სითეთრე: ყინვით ალაყლაყებული სახე, თმის შავი ელვარება, ყაყაჩოსავით წითელი შარფი, ნაცრისფერი ქურქი. და ამ სიტურფით, ფერთა სიხასხასით, როგორც მზით დაბრმავებული, გრძნობს, რომ სახეზე აღმური ედება, და ამის გამო უფრო იბნევა. ვერაფერი მოუხერხებია თვალებისა და ხელებისათვის და შორეთს მისჩერებია, ხელებს ჯიბეში იტენის, პორტფელი ილლიაში ამოუჩრია, სიტბოში გაოფლილი თითები უბუყდება და ეწვის, ასევე ეწვის და ულაპლაპებს ყურებიც. უნდა, ლელდეს ხელი შეახოს, მაგრამ ამავე დროს მისკენ ვერც კი გაუხედავს. ოცნებობს — ნეტა მალე გამოჩნდებოდეხ ჩემი სახლი და ამ უბედურებისა და უსიამოვნებისაგან მიხსნიდეხო, მაგრამ ამავე დროს სახლი შემადრწუნებელი სისწრაფით ახლოვდება, მორბის მის შესახვედრად, როგორც ჩქარი მატარებელი. მას ძლიერი, მხურვალე სურვილი იპყრობს, დააკავოს ლელდე, არ გაუშვას და საინტერესო რაიმე მოუყვეს, ისეთი ამალეღვებელი რამ უამბოს, რომ ქალიშვილმა წასვლა არ ისურვოს, მაგრამ ვაჟს ენა თითქოსდა დაბმია, თავი დოლივით ცარიელი აქვს, ერთი აზრიც არ უტრიალებს — სულ გამოცარიელებულია, არადა, უენოებს არ ეკუთვნის, უფრო პირიქითაა, ენაზე ჭავლი არ ედება და ალიყურიც არაერთხელ უჭამია, ყბედი რომ არის.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანამ ფიქრობს, ისეთი რა მოვიმოქმედოო, ლელდე ეუბნება:

— აბა, რაო, ხვალამდე! — და გზას განაგრძობს. უკან არ იხედება, ერთხელაც არ იხედება, თუმცა ფეხს სულ უფრო და უფრო ანელებს, თითქოს სადაცაა გაჩერდება და გზას აღარ განაგრძობსო, საერთოდ არსად

ნავაო, მაგრამ უკან მაინც არ იხედება. აიგარი კი უკვე მესამედ ფიქრობს: ლელდეს შინ წასვლა არ უნდა, ისე მიაბიჯებს, თითქოს საპატიმროში მიდიოდესო. ალბათ, წინაპრებს ნაეკინკლავა. განა არ შეიძლება ასეთი რამ მომხდარიყო? შეიძლება, რატომაც არ შეიძლება... ბრრ, მასწავლებლები სკოლაში, მასწავლებლები შინ, ღმერთო, რა საშინელებაა და როგორ ითმენს ამას ლელდე? თვითონაც ამ დღეში რომ იყოს, ~~ღმერთმანი~~, გაგიჟდებოდა... ამ პირობებში ყოფნას სჯობია სახლი დატოვო და უფუნდაც საერთო საცხოვრებელში გადახვიდე. სხვა რომ არაფერი, უფროსი მაინც არ გეყოლება...

იმ დროს, როცა ვაჟი ქალიშვილს გასცქერის და ასე მსჯელობს, ლელდე უახლოვდება მალაზიას, რომელიც ჯერ არ დაუკეტავთ, ვიტრინასთან ყოვნილება და იმ მცირე რამერუმეს ათვალეერებს, რაც გამოფენილია, თუმცა მისთვის აქ ყველაფერი ისედაც ნაცნობია, თანაც ყინვის ნაყშებით არის დაფარული. ქალიშვილი მალაზიაში შედის, სინჯავს და იზომებს ფეხსაცმელებს, მას სულ რომ არ სჭირდება და რომლის შესაძენი ფულიც არა აქვს, პროდუქტების განყოფილებაში ჩერდება კანფეტებთან, მას სულ რომ არ უნდა, თვალს ავლებს ჩამწკრივებულ ბოთლებს, შაქრითა და ბურღულით სავსე მინის მუცლიან ქილებს, ნამცხვრის, კაკაოსა და ვაფლის შეკვრებს და უცებ სიგარეტებს ამჩნევს! ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს ანგარიშმიუცემლად სულ სიგარეტებს დაეძებდა და, როგორც იქნა, იპოვა. იყიდა ერთი კოლოფი. მოწევა არ უნდა, უფრო პირიქითაა — ნელან მოწეული სიგარეტისგანაც გული ერევა, თუმცა ეს კოლოფი დამოუკიდებლობის, საკუთარი თავის რწმენის გასაოცარ, თითქმის აუხსნელ გრძნობას ბადებს და რაც უფრო უახლოვდება სახლს, ლელდე კოლოფს წამდაუნუმ უჭერს თითებს, როგორც საფრთხისას უჭერენ ხოლმე ხელს იარაღს.

თოვლით ამოგლესილი და გათეთრებული კასპარსონების ჭიშკარი სანახევროდ მოღებულია. ეზოში ღობეზე მიყუდებული ხის ნიჩაბი ჩანს. ვაშლის ხეები თოვლს იმ სიმაღლეზე დაუფარავს, ადამიანი შიგ მხრებამდე ჩაეფლობა, ბალის თეთრ საბურველს კი კატის ნაფეხურები ატყვია. ყველაფერი სრული, ღრმა სიმშვიდით სუნთქავს. ეტყობა, გარაჟის ღია კარიდან ჭიშკრამდე თოვლი აჩქარებით გაუნმენდიათ და ზედ „ზაპოროჟეცის“ საბურავების ახალთახალი ნაკვალევი ამჩნევია. ესე იგი, მამა შინ არ ყოფილა. და, თითქოს მაგრად დაჭიმული ლარი აუშვესო, ლელდეს გუნება ისე ერთბაშად და მკვეთრად ეცვლება, გულიც კი უსუსტდება, თავბრუ ესხმის და მომუჭული ხელი ეშლება.

თითქოს დიდი ხნის ქვითინის შემდეგ ქალიშვილი გულამოსკვნით ოხრავს და შინ შედის.

კარმა გაიჭრიალა და ავრორა ხვდება, რომ ვილაცა მოვიდა. ნუთუ ლელდეა? თუ ასკოლდია? თითქოს მანქანა არ მოსულა. ალბათ, ლელდეა. კაი ხნის მოსული უნდა იყოს. წინკარიდან ნაბიჯების ჩქამი და ჩექმების მსუბუქი ბაკუნის ისმის, წკრიალებს ტანსაცმლის ჩამოსაკიდის კაუჭი. რასაკვირველია, ლელდეა: ასკოლდი სულ სხვაგვარად დადის, ხმაურით, ჩქარა, მოჭარბებული ენერგიისა და ნერვული სულმოკლეობის გამო მის ხელში ყველაფერს ჯახუნის, წკარუნის და ჩხრიალის გაუდის. ავრორა კარს

ალებს — წინკარის ბინდბუნდში ოდნავ ილანდება მისი ქალიშვილის ფიგურა.

— შენა ხარ?

— მე ვარ, — ეპასუხება ლელდე.

— შუქს რატომ არ ანთებ?

— ისედაც კარგად ვხედავ.

ავრორა მაინც იწვდის ხელს და შუქს რთავს.

ლელდეს გარედან სიგრილე შემოჰყოლია, სახის ორსავე მხარეს ჩამოშლილ თმის ტევრსაც თეთრი ჭირხლი შერჩენია.

— რატომ დაიგვიანე??

ლელდე ღრმად სუნთქავს, ჩექმებს უხმოდ იხდის, თმაზე შემორჩენილი ჭირხლი ისე სწრაფად დნება, შესამჩნევად კია.

— დღეს ხომ ექვსი გაკვეთილი გქონდა, — ჩვეულებრივ განაგრძობს ავრორა, როგორც შეეფერება მასწავლებელს, რომელსაც დაუმახსოვრებია, როდის უმთავრდება ლელდეს გაკვეთილები. — თუ კრება გქონდათ?

— არა.

ლელდე ფლოსტებს იცვამს.

— მაშინ წინა ავტობუსს უნდა მოჰყოლოდი.

— იმას მოვყევი, მაგრამ მერე ცოტა გავისეირნე.

— მიდი, ხელი დაიბანე და საჭმელი ჭამე.

ლელდე სამზარეულოში უნინ შედის. ორივენი თითქმის ერთი სიმაღლისანი არიან, ოღონდ ქალიშვილი მოხდენილია და ტანწერნეტა და ამ ბუნებრივი სინაზის გვერდით, როგორც ყოველთვის, ავრორა განსაკუთრებული სიმწვავით გრძნობს თავის სიმძიმესა და მოუხეშაობას.

— გავისეირნეო... — ავრორას გაახსენდა ქალიშვილის ნათქვამი და გაოცდა. — ასეთ ყინვაში? ნუთუ არ შეგცივდა? — ყინვის გახსენებამაც კი შეაკრთო.

— გარემო ისეთი ლამაზია, თვალს ვერ მოსწყვეტ. ყველაფერი თოვლით არის დაფარული.

„ჰო, — ფიქრობს ავრორა, — დიდი თოვლი დასდო, დასწყევლის ღმერთი. ლამის ხელები დამაწყდეს თოვლის წმენდით. მე არც კი შემინიშნავს, ლამაზია თუ არა...“

თითქმის ანგარიშმიუცემლად იცქირება ფანჯარაში, მაგრამ გარეთ ვერაფერს ხედავს — ხელს ნაწილობრივ ფარდა ფარავს, ნაწილობრივ შეორთქლილი მინა და ხეირიანად არაფრის გარჩევა არ შეიძლება, მხოლოდ ვაშლის ხის ტოტები ჩანს, ნუჟრიანი და გაბარჯდული, ზედ ფანჯარაზე დახატული რომ გეგონება.

— სად ისეირნე?

— არსად, ისე გავიარ-გამოვიარე.

— ისე გავიარ-გამოვიარეო... — საკუთარი თავისადმი უნებური სიბრალულთ იმეორებს ავრორა. „მე?... მე კი მაქვს დრო, ისე გავიარ-გამოვიარო? სკოლაში თუ არ მივდივარ, მაღაზიაში ან სადმე სხვაგან მიხდება წასვლა, უბრალოდ გავლა-გამოვლის დრო ვინ მომაშავა? უმიზნოდ და უსაქმოდ — საკუთარი სიამოვნებისათვის? სადა მაქვს ამის დრო! გაუსწორებელი რვეულების გროვა. ჭუჭყიანი თეთრეულით სავსე კალა-



თი. მესამე დღეა, სადილის გასაკეთებლად ვერ მომიცლია. ისევ შჩი უნდა ვჭამოთ. მართალია, რომ გაათბობ, გემრიელია, მაგრამ მაინც...”

ლელდე მაგიდას მიუჯდა. ავრორა მოყირჭებულ შჩის ლელდესაც უსხამს და თავისთვისაც ისხამს და ქალიშვილის პირდაპირ ჯდება. მესამე სკამი თავისუფალია. ასკოლდი ჯერაც არ დაბრუნებულა რაუდავიდან.

— მამა განათლების განყოფილებაში წავიდა, ქუბნება ავრორა, რადგან შეამჩნია, რომ ქალიშვილმა ცარიელ სკამს ეწროლა მხერა. — ჭამე! რატომ არა ჭამ?..

— მარტო იყავი?

— არა. — ლელდე კოვზს იღებს. — აიგარიც მახლდა.

— პერკონი?

— ჰო.

„პერკონთან ერთად უსეირნია, — ისევ ფიქრებში იძირება ავრორა და აიგარს უნებურად ქალის თვალით ჩხრეკს. — შეხედული ბიჭი მაინც იყოს! თორემ რასა ჰგავს... ჭორფლიანია... კისერი გაპუტულ წინილას მიუგავს. არც სწავლით იკლავს თავს“, — უსიამოვნოდ ფიქრობს ქალი, ახლა უკვე როგორც პედაგოგი მეხუთედან მერვე კლასამდე ავრორა მათ მათემატიკას ასწავლიდა და აიგარ პერკონს გადაყოლილი იყო, რომელსაც განსაკუთრებით ალგებრა უჭირდა.

— ახლა როგორ სწავლობს ალგებრას? — ცნობისმოყვარეობას ვერ მალავს ქალი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს სულაც არ ანუხებს: ოდესღაც იყო მისი მოწაფე, დღეს კი სხვა ასწავლის. — ორიანები აქვს?

— ტაბელში არ უწერია, — მოკლედ პასუხობს ლელდე.

ავრორა იღუშება — ესლა აკლია! რასაკვირველია, ტაბელში არ ეწერება. მეოთხედის ბოლოს, ღვთის შეწევნით, გამოუცოდვილებენ ნიშანს. ისევე, როგორც ადრე აკეთებდნენ.

ორივენი მდუმარედ განაგრძობენ ფიქრს.

— რას ფიქრობ? — ბოლოს გონს მოდის ავრორა, რომელიც ამჩნევს, რომ ლელდე ისევ ასკოლდის სკამს უცქერის, თითქოს მამამისი იქ იჯდეს, უჩინარი, იჯდეს და თვალ-ყურს ადევნებდეს მათ ყოველ მოძრაობას, ისმენდეს მათ ყოველ სიტყვას. ქალიშვილი ასკოლდზე ფიქრობს. მაგრამ რასა და როგორ ფიქრობს? გაბრაზებულია თუ დარცხვენილი, გაჯიუტებულია თუ გულში შერიგების სურვილი უფაჩუნებს? რას ფიქრობს ახლა ლელდე, ცარიელ სკამს რომ მისჩერებია?

ავრორას ამის წარმოდგენა დაახლოებითაც არ შეუძლია. ქალიშვილის სახე არც რისხვას გამოხატავს, არც სიჯიუტეს, არც სინანულსა და არც წყენას, არც ერთ იმ გრძნობას, გუშინდელი წაჩხუბების შემდეგ ბუნებრივი და ლოგიკური — მაშასადამე, როგორღაც გასაგებიც რომ იქნებოდა. მის გამოხედვაში უფრო ჩაგულისყურება და დაძაბულობა ამოიკითხება, მაგრამ მისი გულისყური საკუთარი არსებისკენ არის მიმართული, თითქოს ლელდე ცდილობს მნიშვნელოვანი, არსებითი და ერთობ საჭირო რაღაც გაიხსენოს, მაგრამ ვერასგზით ვერ მოუხერხებია. ის, რის გახსენებასაც ქალიშვილი ცდილობს, ნამდვილად მამასთან, ასკოლდთან არის დაკავშირებული. მაგრამ რა არის ეს? რა არის ეს, ეს არსებითი და მნიშვნელოვანი ლელდეს სამყაროში, რომელიც, როგორც ავრორას მიაჩნია, მისთვის გადაშლილი წიგნია? შვილს მუცლით დაატარებდა, შობა და

აღზარდა, იცის, რა მოსწონს ლელდეს და რა არ მოსწონს, რას ჭამს და რას არა, რომელი საგანი ეადვილება და რომელი არა, იცის, რომ ხანდა-ხან ლელდე ძილში ლაპარაკობს, იცის, რომ მუსიკალური სმენით ვერ მოიწონებს თავს, რომ მას იდეალური, უზადო კბილები აქვს, რომ მას შემდეგ, რაც ლავინის ძვალი გაიტეხა, ცალი მხარი ოდნავ მაღალი აქვს მეორეზე, იცის, რამდენს იწონის მისი ქალიშვილი, იცის მუსიკალური სმენის შემადგენლობაც კი, ჰემოგლობინის პროცენტი და ლეიკოციტების რაოდენობა, იცის ყველაფერი და არც იცის, თითქოს დაკეტილ ჭიშკართან იდგეს, საიდანაც სინათლე გამოდის, მაგრამ ჭიშკრის იქით რა არის, ვერ გაურკვევია — მხოლოდ ჩრდილ-ნათელი არეულა ერთმანეთში.

ეს არის უსუსური, ნაზი ბავშვი, რომელიც ავრორას უყვარს და რომლის გამო პასუხისმგებლობა აკისრია, მაგრამ ის ისეთი აღარ არის, ერთი წლის წინ რომ იყო, აღარც ისეთი, თუნდაც ნახევარი წლის წინ რომ იყო, ავრორას წარმოდგენებიც შვილზე წარსულია, გუშინდელი და გუშინწინდელი დღეა. ავრორას ქალიშვილი მუდამ სუფთა და გულახდილი ეჩვენებოდა, ვისაც ახასიათებდა სიყმაწვილისათვის ტიპიური, ზოგჯერ გულუბრყვილო იდეალიზმი და ახალგაზრდული მაქსიმალიზმი. და უცებ, თითქოს ცა ჩამოიქცაო — მამის მაგიერ ყალბი ხელმოწერა, რაც უკითხავად ქილა მურაბის ან თაფლის შეჭმა როდია, ეს სხვა რამ არის, ეს არის ახალი კატეგორიის გადაცდომა, რაც გარკვეულ შემთხვევაში კანონით ისჯება, ლელდე კი ისეთი ბუნების გოგოა, ასეთი რამ არ შეუძლია, თუმცა მაინც ჩაიდინა, თანაც ისე ქარაფშუტულად და თავზარდამცემი უპასუხისმგებლობით, როგორც კლექტომანს მიაქვს სხვისი ნივთები, სინდისის ყოველგვარი ქენჯნისა და იოტისოდენა დანაშაულის შეგრძნების გარეშე.

ავრორა ოხრავს. ძნელი და მძიმეა სქესობრივი მომწიფების ასაკი... ამ გარდამავალი ასაკის რანაირ უცნაურობებს არ გადაჰყრია სკოლაში, მაგრამ რატომღაც ეგონა, ლელდეს ეს არ შეეხება, ლელდესთან არავითარი კავშირი არა აქვს, ლელდე გამონაკლისს წარმოადგენსო. ეს დედის ილუზიები, დედობრივი სიბრმავე იყო. ჰოდა, აი, ლელდე მის მაგიდის იმ მხარეს, ხან ასკოლდის სკამს უცქერის, ხან ფანჯარაში იყურება და ავრორამ არ იცის, როგორ მოიქცეს, რა უთხრას, თითქოს ლელდეს კი არ ჩაედინოს დანაშაული, არამედ თვითონ, და არა ლელდე, არამედ თვითონ უნდა ფიქრობდეს და იტეხდეს თავს იმაზე, საქმე როგორ გამოვასწორო.

— მაინც უნდა შეურიგდე მამას, — ამბობს ბოლოს ავრორა, რომელიც არცთუ ძალიანაა დარწმუნებული, უნდა ეთქვა თუ არა ეს ახლა, როცა ერთმანეთის პირისპირ უსხედან ცხელი შჩით სავსე თეფშებს. — ბოდიში მოუხადე, დანაშაული გამოასწორე და ყველაფერი მოგვარდება, — უმატებს ავრორა და უკმაყოფილოდ შენიშნავს, რომ მისი სიტყვები ვედრებასავით აჟღერდა, თითქოს ელაქუცება და ეპირფერებო. ავრორა აპირებდა, ეს სიტყვები მშვიდი, მოთმინების გამომხატველი კილოთი ეთქვა, სინამდვილეში კი როგორღაც დამცირებული, თითქმის მავდრებელი გამოუვიდა, თითქოს სწორედ მას, პირველ რიგში მას სჭირდებოდა ეს შერიგება, ეს თანხმობა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა. შინაგანად ეწინააღმდეგება საკუთარ კილოს, უნებურად გული სწყდება თავის

თავზე, მაგრამ სიტყვა ხომ ბელურა არ არის, ნათქვამს უკან ველარ დაიბრუნებ.

— მე მისთვის არაფერი დამიშავებია! — მუქ წარბებს იჭმუხნის ლელდე.

ავრორა ახველებს. აი, შეხეთ, თვალსაჩინო მაგალითი — საკუთარ დანაშაულს ოდნავადაც არა გრძნობს!

— ამის თაობაზე სხვას შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონდეს, — მკაცრად ეუბნება ავრორა, თან ცდილობს არ გაცხარდეს, რომ ისედაც დაძაბული ატმოსფერო უფრო არ დაიძაბოს. — როგორც ხედავ, მამა ძალიან გაბრაზებულია.

ლელდე დედას უცქერის.

— ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავი, შენ როგორღა მოიქცეოდი?

ავრორა ქალიშვილს შეჰყურებს და ცდილობს, ოდნავი შეშფოთება დამალოს. რა არის ეს? გულწრფელი მიუხვედრელობა თუ ახალი გამოსხდომა?

— საუბარი მე არ მეხება, — პირდაპირ პასუხს თავს არიდებს ავრორა. — ისე, სხვათა შორის, ჩემს სიცოცხლეში სხვის მაგივრად ხელი არაფერზე მომიწერია. აბა, დაფიქრდი, რა სულელურ მდგომარეობაში აყენებ მამას! იგი ხომ ახლა...

— მე? შენი აზრით, რა უნდა მექნა მე? — ტირილგარეული ხმით ამბობს ლელდე. — თუ მთხოვენ ცნობას... მე კი ფიზიკულტურაზე წასვლა არ შემეძლია და შენც შინ არა ხარ? ჩვენთან მხოლოდ მშობლის ცნობით ათავისუფლებენ. მამა მკითხავდა, ტანვარჯიშზე რატომ არ მიდიხარო. რა უნდა მეთქვა? რა? რა? მითხარი, რა უნდა მეთქვა!

ლელდე კოვზს ხელიდან აგდება, სახეს ხელისგულებში მალავს და მხრები უთახთახებს.

„რატომ წამოვიწყე ეს საუბარი მაინცდამაინც ახლა?“ — ფიქრობს ავრორა. მაგრამ დუმილიც აღარ შეიძლება. განა შეიძლება უსასრულოდ დუმდე და თავი ისე გეჭიროს, თითქოს არაფერი მომხდარა. ყველაფერი ბოლომდე უნდა გაირკვეს და წერტილი დაესვას, თორემ ერთ ჭერქვეშ ცხოვრება შეუძლებელია.

ქალიშვილის ქვითინი მის არსებაში ექოსავით გაისმის, ავრორას ისე აძაგდაგებს, თითქოს დენმა დაუარაო, და უცებ ცხადი ხდება, რომ ქმრის დაბრუნება აშინებს, საკუთარი თავის რწმენას ვერა გრძნობს და უმწეო მდგომარეობაში მყოფს აკრთობს რაღაცა, თითქოს ასკოლდი მისი ქმარი კი არა, უფროსია, მხოლოდ და მხოლოდ უფროსი, რომელსაც ვალდებულია ყველაფერში დაემორჩილოს.

... ასკოლდი ოხრავს, თავს კვლავ უზომოდ დაღლილად, არაქათნართმეულად გრძნობს და მხოლოდ სიმშვიდესა და მარტოობაზე ოცნებობს. ერთობ მოკრძალებულია მისი სურვილები, მაგრამ იცის, მათი ასრულება ახლა შეუძლებელია, ის კი მიჩვეულია ქედის მოხრას და მუდამ იმის კეთებას, რაც საჭიროა, რაც აუცილებელია, და არა იმისა, რაც თვითონ სურს, რასაც გული სთხოვს. კარის სახელურს აწვება და ოთახში შედის, სადაც ავრორა — როგორც ფანჯრიდან დაინახა — მაგიდის ლამპის სინათლეზე უფროსკლასელთა საკონტროლო ნამუშევრებს ასწორებს.

ასკოლდი ცოლს არ ესალმება, ოთახს გადაკვეთს, მეორე ოთახში გამავალ კარს გამოაღებს და იძახის:

— ლელდე! — შემდეგ უკან ბრუნდება.

— არც კი გამიგონია, როგორ მოხვედი, — ეუბნება ავრორა, ჩვეულების გროვას გვერდზე აჩოჩებს, სათვალეს იხსნის და დგება, რათა სუფრა გაუშალოს. — შენ ხომ არაფერი გიჭამია? შჩი მაქცს ^{სუფრა} ~~სუფრა~~

სავსებით ზედმეტი იყო ამის თქმა, რადგან მუავე შჩის ^{სუფრა} ~~სუფრა~~ ცემწყალბელი სურნელი აქაც იგრძნობა, თუმცა უფრო ნაკლებად, ვინემ წინკარში.

— ქალაქიდან არაფერი მოგიტანია? — ეკითხება ქალი.

— არც კი მიფიქრია, — დაბნეული პასუხობს კაცი. — მგონი, არაფერი დაგიბარებია.

— ჰო, არაფერი, — ეთანხმება ქალი.

ავრორამ ზურგზე აჩაჩული კოფთა გაისწორა და სამზარეულოსკენ გაემართა თექის ჩუსტების ფრატუნით, რომლებიც მანამ არის მოსახერხებელი, სანამ ზიხარ, მაგრამ ისედაც მძიმე სიარულს უფრო მოუქნელს ხდის. ავრორა იხვივით მიბაჯბაჯებს, ასკოლდი კი მისჩერებია, მაგრამ სურათი მის შეგნებამდე სრულად ვერ აღწევს.

კაცი ელოდება, სანამ ავრორა კარს მოეფარებოდეს, და კვლავ იძახის:

— ლელდე?!

ლელდეს პირველი ძახილიც ესმის, მაგრამ მაგიდის ქვეშ დაყრილ ჩუსტებში ფეხები ვერასგზით ვერ ჩაუყვია, და როცა ძახილი მეორედაც გაისმის, ლელდე იხრება, იატაკზე ჰაიჰარად, ბრმასავით იწყებს ხელის ფათურს, თითებს ისე დააცეცებს, გეგონება გაჰყინვიაო. მამის მკაცრმა ხმამ შეაფუცხუნა, მაგრამ ამავე დროს შებორკა კიდეც. უნდა, უფრო ჩქარა იმოქმედოს, თუმცა მაინც მძინარესავით იძვრის, გრძნობს, რომ დაყოვნება მამას აბრაზებს, უფრო მეტიც — წამისწამ უფრო და უფრო ბრაზდება, მაგრამ საკუთარი თავისთვის ვერაფერი მოუხერხებია. მუდამ მორჩილ, მოქნილ ხელებსა და ფეხებს ვერ იმორჩილებს, თითქოს ნასხვისარიო, და გულიც იქ კი არ უძგერს, სადაც ჩვეულებრივ უნდა ძგერდეს, არამედ სადღაც მალლა, ყელში, და ცდილობს გადაყლაპოს, როგორც ყელში გაჩხერილი ლუკმა.

როგორც იქნა, იპოვა ჩუსტები. ფეხები შიგ წაჰყო და კარისკენ მობუზული გაემართა, თითქოს გასილაქებას მოელოდა. ქალიშვილმა იცოდა, რომ ეს წუთი დადგებოდა, მთელ დღეს შეგნებულად თუ ქვეცნობიერად ელოდა მას, ეშინოდა და ცდილობდა, გაეჭიანურებინა, სადღაც მომავალში გადაეწია, სადაც გაქარწყლდებოდა და გაქრებოდა. ქალიშვილი საამისოდ ემზადებოდა, მაგრამ მაინც ვერ წარმოედგინა თუ ასეთი შიში შეიპყრობდა — თითქოს სანამებლად მიდიოდა.

ჰოდა, ახლა, როცა უახლოვდება კარს, რომლის იქით მამა ელოდება, სრულიად შეუფერებელ მომენტში, იმ მომენტში, როცა აზრი და ძალა უნდა მოიკრიბოს მომავალი საუბრისათვის, ნამდვილად უდროო დროს მოულოდნელად ახსენდება თავისი წუხანდელი სიზმარი, რომლის გახსენებასაც მთელი დღე ცდილობდა, თუმცა გახსენებისაც ეშინოდა, და მთე-

ლი სხეულთ თრთის. უცებ ხელახლა აღიდგენს მეხსიერებაში თითქმის წაშლილ უაზრო ჩვენებათა კონტურებს, რომლებიც თითქოსდა სამუდამოდ შთაინთქა უსასრულობაში, მაგრამ, აი, კვლავ შეახსენეს თავი, ბუნდოვნად წამოტივტივდნენ ქვეცნობიერებიდან.

ესიზმრა, რომ მამა მოკლა. არ იცოდა, რით და როგორ მოკლა. ოღონდ მამა მკვდარი იყო — გულალმა ინვა, ხელები მჭკრდზე ისე დაეკრიფა, როგორც კუბოში ჩასვენებულ მიცვალებულს, მისთვის უჩვეულო, გაქვავებული და მკვეთრი ნაკვთები ჰქონდა, სახეზე ცვილისფერი ედო, თითქოს ცელოფანი გადაუკრავთო, იმდენად უცხო ჩანდა, თითქოს მისი სახე არც იყო, თუმცა ლელდე მაინც მიხვდა, რომ ეს მამა იყო და მოკვლითაც თვითონ მოკლა...

— ლელდე, რა მოგივიდა? — ყურში ჩაესმის უკვე მოუთმენელი ძახილი. — მოდიხარ თუ არა?

— მოვდივარ, — ყრუდ პასუხობს ქალიშვილი, რომელიც ცდილობს თავი დაიმშვიდოს და იფიქროს რაიმე სხვაზე, თითქოს თავზარდამცემი შიში, სიზმრის გახსენებამ რომ მოჰგვარა, სახეზე ეწეროს, რომელიც მისი სხეულიდან დენივით მომდინარე შეიძლება შემაშფოთებელი გულახდილობით გადაეცეს მამას და ის სიზმარი გაუმხილოს.

ბოლოს ქალიშვილი გამოდის და თვალს ჰკიდებს თავის პირად ნივთებს, მამას რომ უჭირავს ხელში. სახე აელენა. სინითლე ყელსა და შუბლზე მოედო. ნივთების გაშიშვლებული ინტიმურობა თავზარსა სცემს: სამალავიდან, ჯიბის სიბნელიდან სინათლეზე გამოტანილი და ფართო, დიდრონ ხელისგულებზე საჩვენებლად გამოფენილი სამარცხვინო და საცოდავი ეჩვენა. ცხვირსახოცები დაჭმუჭნილი და არცთუ ძალიან სუფთაა, ამ ცოტა ხნის წინ ჯიბის კუთხეში ჩაკუჭული ირისი კი მართლაც საზარელი სანახავია — ნაგავშია ამოგანგლილი, თითქოს ვიღაცას ქალაქდ-შემოუცლელად მოუნუნნია და შემდგომისთვის შეუნახავს. და, აი, ამ ხარახურას თავი ისეთი კადნიერი ურცხვობით გამოუფენია, თითქოს ამოტრიალებული შიგნეული იყოს, თავისი საზიზღრობით თავზარდამცემად რომ მოქმედებს, რასაც ლელდე ჯერ კიდევ ერთი წუთის წინ ვერც კი წარმოიდგენდა.

— ერთი მიბრძანე, რას ნიშნავს ეს? — ეკითხება მამა. — ხომ არ შეუდგები იმის მტკიცებას, რომ ვიღაცამ უჩუმრად ჩაგიდო ჯიბეში და მხოლოდ რაღაც გაუგებრობაა, უღვინტიანი ცხვირსახოცებით შენიღბული რომ აღმოვაჩინე იქ?

ჰო, მართლა! მამა ხომ სიგარეტებზე ელაპარაკება, დღეს ნაყიდ კოლოფზე, ჯიბეში რომ ჩარჩა და ახლა ყველაზე ახალი და კოპნია ჩანს ამ ხარახურაში — ცელოფანშემოხვეული კოლოფი მქრქალად ლაპლაპებს.

— დიახ, — უმაღ წარმოთქვამს ისე, რომ არც კი ფიქრობს, რას ამბობს.

— რა — დიახ? ესე იგი, გაუგებრობაა?

— ა-არა, — ენა ებმება ქალიშვილს.

— ჰო თუ არა?

ლელდე მამას შესცქერის და კვლავ სრულიად უდროო დროს თვალნათლივ წარმოუდგება ისეთად, როგორიც დაესიზმრა.

— არა! — ფიცხად იმეორებს ქალიშვილი, ნახევარი ნაბიჯით უკან იხევს და ტუჩებს ნერვიულად კუმავს.

— კარგი, მაშინ განვაგრძოთ.

ორივენი დუმან, ალბათ, ელოდებიან, რომელი მათგანი დარღვევს დუმილს; ეტყობა, ლაპარაკი არც ერთს სწადია, არც მეორეს. ბოლოს მაინც მამა იწყებს:

— გუშინ ფიზკულტურისთვის ყალბი ცნობა გააკეთეს, ხერხებულად, შეიძლება ითქვას, ოსტატურად — უნდა ვივარაუდოთ, გულმოდგინე ვარჯიშის შედეგად — ზუსტად დაამსგავსე ჩემს ხელმოწერას... — კაცი ხელახლა დუმდება, ალბათ, ლელდესგან ახსნა-განმარტებას ან წინააღმდეგობას ელის, იქნებ, ნაგვიანვე ბოდიშის მოხდასაც, მაგრამ, რაკი მოლოდინი ამოო ჩანს, მცირე ხნის შემდეგ განაგრძობს: — დღეს სიგარეტები მოგაქვს. ხვალ რაღას იზამ?.. ხვალ იქნებ ნახევარლიტრიანით არაყი მოიტანო, ჰა? — უმატებს იგი და „ნახევარლიტრიანს“ მკაფიოდ, ხაზგასმულად წარმოთქვამს, თითქოს ყოველ მარცვალს აფურთხებდეს.

ლელდე დუმს.

— რას იტყვი? — ეკითხება მამა.

— არა, — გაუგებრად ლულლულებს ქალიშვილი.

— რას ნიშნავს არა?

მაგრამ ლელდეს რატომღაც არ შეუძლია თავი დააღწიოს მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტ „ჰო“-სა და „არა“-ს, თითქოს ისინი ჯადო სიტყვები იყოს, რომელთაც ავი თვალისა და ბოროტი ენებისგან შეუძლიათ დაიცვან. აშკარაა, რა ძლიერ აღიზიანებენ ისინი მამას, სადაცაა მოთმინების ფილა აევსება მას, მაგრამ ლელდეს საკუთარი თავისთვის ვერაფერი მოუხერხებია. ქალიშვილი გრძნობს, რომ ახლა ამ წუთას მამას გაუწყდება მოთმინების ძაფი და ისევე, როგორც გუშინ, ისეთ რაღაცას წამოისვრის... ისეთს... რომ ალიყურივით, დასუსხავს. „გუშინ რა მითხრა ისეთი? — ფიქრობს ლელდე, თუმცა უმჯობესია არ გაიხსენებდეს. — უცნაური რაღაც იყო... საოცარი სახელწოდება — ადამიანისა თუ ცხოველისა“.

მამას ტუჩები ეჭიმება, როცა ტუჩებს წინ წამოიშვერს, სახის ნაკვთებიც უმკვეთრდება, ცხვირი უწვრილდება, კანიც უმკრთალდება, სპილოსძვლისფერი სიყვითლე ედება, რაც სახელს უსხვაფერებს და ყინულივით უცივებს.

— გამფუილებელი! — კბილებშორის ცრის მამა. — გამბოლებელი! — თავშეკავებული რისხვითა და დაუფარავი ზიზლით ბუტბუტებს და მალლიდან ისე დასცქერის, როგორც ჭუჭყიანსა და საძაგელ, გაჭყლეტილ და გათელილ, ლპობაშეპარულ და აყროლებულ რასმე, რისგანაც გული გერევა, სუნთქვა გეკვრის და ნესტოები გიცახცახებს. ვერავითარი ყვირილი და ლანძღვა-გინება ვერ შეედრება ზიზლით, დაცინვითა და სიძულვილით აღსავსე იმ გამოხედვას, რითაც თავის სიმართლეში ღრმად დარწმუნებული მამა თავისი სიმაღლიდან დასცქერის, ეკითხება, მოითხოვს მისგან ახსნა-განმარტებას, პასუხს, თუმცა ამავე დროს ყოველი თავისი ფესტითა და სახის გამომეტყველებით, მთელი თავისი გარეგნობით გამოხატავს, რომ წინასწარ უარყოფს ქალიშვილის სიმართლეს, აზრადაც არ გაივლებს, რომ ის მართალია, ამიტომ არაფერი სჯერა მისი და, რაც უნდა

უთხრას, სიტყვასაც არ ირწმუნებს. მამა მხოლოდ ერთ რამეს ელოდება: მორჩილებას, სინანულს, მობოდიშებას. მის ხელთაა ნივთიერი მტკიცებანი და მათ წინაშე ლელდეს საქციელის ბუნდოვანი მოტივები, რითაც არაფრის დამტკიცება არ შეიძლება, ისე საეჭვოდ და ფუქსავატურად, სასაცილო და საცოდავად ჩანს... მამის მხარესაა რკინის ლოგიკა და ფიზიკური სიძლიერის აშკარა უპირატესობა, რაც ლელდეს ~~საეჭვოდ~~ კანათში, ხაფანგში ამწყვდევს, ტრანსს მიახლოებული გაოგნებდან ~~განსაწყავს~~ და უცებ გულისგამგმირავი კვილი აღმოხდება:

— შენ? შენ? ჩანთაში მიძვრები... ჩემს ჯიბეებში აფათურებ ხელებს! შენ...

მაშ ასე, ახლა მამაც აყვირდება, ბოლოს და ბოლოს, ველარ მოითმენს და აყვირდება; თუმცა ის ჩაიციინებს, ცივად და ზიზღნარევად.

— სასიხარულოა, რომ გუშინდელი შემთხვევის შემდეგ შენში ამგვარი მოვლენების ეთიკური მხარისადმი ინტერესმა მაინც გაიღვიძა, რაც, სამწუხაროდ, აქამდე არ გეტყობოდა. არ გეტყობოდა, თუნდაც შენი ყალბი ცნობით რომ ვიმსჯელოთ. — ლელდე ანგარიშმიუცემლად იქნევს თავს, ნიშნად იმისა, რომ არ ეთანხმება მამას, მამა კი მშვიდად განაგრძობს: — თუმცა, ჩემი აზრით, მცდარად გესმის ჩვენი ურთიერთობა. შენ კი არა ხარ მამაჩემი, მე ვარ მამაშენი და შენ კი არ უნდა აგო ჩემზე პასუხი, არამედ მე ვარ შენზე პასუხისმგებელი — მორალურადაც და იურიდიულადაც. და მანამ, სანამ პასუხისმგებლობა მე მაკისრია, თვითონ გადავწყვეტ, როგორ მოვიქცე, ნებართვას არავისა ვთხოვ, ჩემო ძვირფასო, და არც ვინმეს ვუთანხმებ ჩემს შეხედულებებს. გთხოვ, დაიმახსოვრო ეს. და საერთოდ... მოაშორე ეგ ხარახურა, მაგისი ცქერა გულს მირევს! — მამა მკვეთრად იცვლის კილოს და უცაბედად ისე დაიღრიალებს, თითქოს ზიზღსა ჰგვრიდეს და მოთმინებას უკარგავდეს, ველარ იტანდეს სიტყვათა მშვიდსა და აუღელვებელ დინებას. თვითონ მხოლოდ სიგარეტებს იტოვებს, სხვა ყველაფერს კი მაგიდაზე ყრის, ირისი იატაკზე ვარდება და სკამქვეშ მიგორავს. — შემდგომში კი იძულებული ვიქნები უკიდურესი ზომები მივიღო. ასე რომ კარგად დაიმახსოვრე! აბა, აკრიფე, აკრიფე, გამფუილებელო!

ლელდე ისე კრებს თავის ნივთებს, მამას არ უცქერის. ირისის ასაღებად წელში ძლივს იხრება და ასანთის კოლოფი ხელიდან უვარდება. კოლოფი ჩხაკუნით ეცემა მამის ფეხებთან. ლელდე ირისს იღებს და ხელს ასანთისკენ იწვდის. კოლოფი მამაკაცის ორი უზარმაზარი შავი ფეხსაცმლის ახლოს გდია, იმდენად ახლოს, რომ ლელდე ხედავს ყოველ ნალარს, ტყავს რომ ატყვია, განასკვულ ზონრებს და წინ მცირე განაკანრს, სულ ახლოს, თვალწინ კი, თოვლმინებებული, სველი შარვლის ტოტებქვეშ — მწვანეზოლებიან ყავისფერ წინდებს, და მას მხოლოდ ერთი რამ სურს: ნეტა შეიბრალებდეს მამა და ცოტას გაინევდეს, სულ ნახევარი ნაბიჯით დაიხევდეს უკან ან გადგებოდეს განზე, რომ ლელდეს ზედ მის ფეხებთან არ მოუწიოს დახრა, რათა სახეში არ ეცეს ტყავისა და ფეხსაცმლის კრემის გულისამრევი სუნი. მაგრამ არა — მამა ისე დგას, გეგონება, თავისი ლონიერი გრძელი ფეხებით იატაკს შეზრდიაო, და ქალიშვილს ნერვიულობისგან აცახცახებული ხელიდან მოსწავლის ბილეთი უვარდება: დავარდნისას ბილეთი ისე გადაიშლება, რომ ფოტოსურათი ჩანს.

სურათზე ლელდე პირდაპირ შემზარავია — მკვდარი თევზივით გაყინული და ჩამქრალი თვალები აქვს, შუბლზე სულელური კულული ჩამოშლია, ყბა უშნოდ ჩამოვარდნია. ყბა კიდევ უფრო უშნო და ულაზათო ჩანს, როცა ბილეთი იატაკზე გდია ასე გადაშლილი სხვის დასანახად. მამის მზერასაც საკუთარ ზურგზე კიდევ უფრო მწველად გრძნობს, როგორც ნეკნებშორის გაყრილ დანას.

ეროვნული

მაშ ასე, მადლობა ღმერთს, ყველაფერი აკრეფილია. მამის იმედი იმწყვდევს და მკერდზე იხუტებს. ეშინია, ვაითუ კიდევ გამივარდეს რამე ხელიდანო, და კარისკენ მიემართება. ცრემლები ახრჩობს, მხოლოდ იმაზე ფიქრობს და ლოცულობს, ტირილი არ ამივარდესო. „ოღონდ არ ავღრიალდე... ოღონდ არ ავსლუკუნდე... არ ავფლიკვინდე...“ — ფიქრობს ლელდე და ნივთებს მკერდზე უფრო მაგრად იხუტებს. ეშინია, ზურგს უკან არ გაისმას ძახილი ან რაღაც სიტყვა, არ გაისმას ნაბიჯების ჩქამი, ყველაფრის ეშინია, რასაც შეუძლია დაარღვიოს ჰაერში გამოკიდებული მოჩვენებითი სიმშვიდე.

თავის ოთახში შესული ლელდე კარს გასაღებით კეტავს, საწოლზე პირქვე ემხოება და ცრემლად იღვრება. დიდხანს და მწარედ ტირის, თავდაპირველად ბალიშში ჩამხობილი გულამოსკვნით სლუკუნებს, მერმე ნელა, დაღლილად, თითქოსდა ინერციით, ხოლო კიდევ ცოტა ხნის შემდეგ, როცა თითქმის მშვიდდება, მოსწავლის ბილეთს გადაშლის, თავის ფოტოსურათს დააცქერდება და ისევ ასრუტუნდება — ისეთი მახინჯი და გონებაჩლუნგი ჩანს, ისეთი იდიოტი, ლამისაა მგელივით აყმუვლდეს. დასტირის თავის ჩამქრალ გამოხედვასა და სულელურ ყბას, კვლავ ყლაპავს ცრემლებს, სანამ არაქათი გამოეცლებოდეს. ერთხანს კიდევ წევს, მერმე საწოლზე წამოჯდება და აყურადებს.

სახლში სინყნარეს დაუსადგურებია. უმცირესი ხმაურიც კი არ ისმის, არც საუბარი, არც ნაბიჯების ჩქამი — გეგონება, ლელდე მარტოკა იყოს სახლში. არც რადიოა ჩართული, არც ტელევიზორი, არც გარედან, სიბნელიდან, აღწევს რაიმე ხმა.

ლელდე სახეს იმშრალებს, ცხვირს იხოცავს და შეციებული მხრებს შეარხევს. რატომღაც სცივა. ღუმელთან წინდებისამარა მიდის და ზედ ხელებით ეყრდნობა. გახურებულმა კაფელმა ლამის ხელისგულები დასწვას, სხეულში კი მაინც მსუბუქად აფრყოლებს. ებრალება თავი. სიგარეტიც ენანება. ნეტა ერთი მოაწვევინა: ამბობენ, როცა ნერვიულობ, სიგარეტი გამშვიდებსო, როცა გცივა, გათბობსო.

კარს ფეხის ხმა უახლოვდება. გარედან ვიღაც აწვება სახელურს და ისევ უშვებს ხელს. დააკაკუნებენ? არა, არ აკაკუნებენ. ნაბიჯების ჩქამზე იგრძნობა, რომ, ვინც იყო, კარს გაეცალა, და ისევ სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. ნუთუ დედაა? დედა უნდა იყოს, ალბათ, დედაა...

სინყნარეს ჩაქუჩის კაკუნი არღვევს. სამზარეულოსა თუ წინკარში ვიღაცა ლურსმანს აჭედებს თუ ასწორებს, რიტმულად და ყრუდ აკაკუნებს, როგორც კოდალა. ალბათ, მამა იქნება. საინტერესოა, რას უზამს იმ კოლოფს? ისევ მაღაზიაში ხომ არ წაიღებს. ან როგორ დაავინყდა სიგარეტები პალტოს ჯიბეში? მართლაც, რომ ბოთეა!.. თან იცოდა, რომ მამას ყველაფრის ჩხრეკა სჩვეოდა. ჩანთაში ცნობა უპოვა, ჯიბეში —

სიგარეტები. ყველაფერი ისე უნდა დამალოს, თითქოს ქურდს უმაღავედეს... თითქოს... ჯაშუშს უმაღავედეს...

კაკუნი წყდება. ლელდეს კარს ისევ ფეხის ხმა უახლოვდება, კართან მდგომი დედა რაღაცას ამბობს, იქნებ მას ეუბნება რამეს, იქნებ მასზე ამბობდეს, ვერ გაურჩევია, სამაგიეროდ მამის ხმა ისმის: „მოეშვი! შიმშილი რომ შეაწუხებს, თვითონ გამოვა...“ ამას ლელდესეც ამბობს, მამის ვისზე იტყვის, თან ისე ხმამაღლა ამბობს, რომ მანაც გაიგონოს. შიმშილი... სასაცილოა. სულაც არ შია, თავი კი მძიმე და გამოლაყებული აქვს. მიუხედავად მამის სიტყვებისა, მგონი, დედა არ მიდის, ეტყობა, იმის იმედი აქვს, რომ ლელდე კარს გააღებს, ან არ იცის, რა უთხრას, რა მოიმოქმედოს. ლელდე ელოდება, რა მოხდება. მაგრამ ამოდ ელოდება. კართან კი ისევ დგას ვიღაცა — დგას და დგას, ისიც ელოდება, რა მოხდება: რას იტყვის ლელდე, რას მოიმოქმედებს. გადის თხუთმეტოდე წუთი... ნახევარი საათი... საათი... ნამდვილად ეჩვენება, თორემ იქ არავინ არის, ხომ არ შეიძლება უსაზღვროდ დგომა. და მაინც ლელდე თითქმის გრძნობს სხვა ადამიანის გამამხნეველ თანადგომას, მისი სუნთქვაც კი ესმის. თითის წვერებზე შემდგარი მიიპარება კართან, ყურს ადებს და ისმენს გულის ძგერას, ცოცხალი არსება მორზეს აპარატივით რომ გამოსცემს. გონს მოდის — ეს ხომ მისი გულის ძგერაა! — და უკან იმედგაცრუებული ბრუნდება, მუხლებზე ხელებს შემოიხვევს და მკერდზე იხუტებს. უკვე აღარაფერს ელოდება და არც არაფერი სურს, ზის სანოლზე როგორღაც უცნაურად დადარდიანებული — გულდამძიმებულს იმავედროულად რაღაც ნეტარი გრძნობაც დაუფლებია. თავს მარტოსულად და ყველასაგან მიტოვებულად გრძნობს, დიდხანს უაზროდ ზის, თითქოს თვლემსო.

ოთახიდან ნაშუაღამევს გამოდის, როცა სახლს უკუნი სიბნელე ეუფლება. შუქს არც თვითონ რთავს, სამზარეულოში ხელის ცეცებით გადის, ჩაიდნიდან ჯერ კიდევ თბილ წყალს ისხამს, პირს იბანს და სვამს. გარეთ ისე ყინავს, რომ სამზარეულოში სიცივე მალე ისადგურებს. მინები გამჭვირვალე ღვლარჭნილი ნაყშითაა დაფარული, ღამის ბინდბუნდში ვერცხლისფრად რომ გაუდის ბრჭყვიალი, თეთრად შეფეთქილ კედელზე კი ფანჯრის ნათელი მართკუთხედი აღბეჭდილა.

ლელდე ფანჯარასთან მიდის.

ცა მოწმენდილია, დიდი და მცირე, ახლო და შორი ვარსკვლავებით მოჭედილი. დიდი და ახლო ვარსკვლავები ლურჯად კამკამებენ, მცირე და შორი ვარსკვლავები კი თეთრ ციალს ერწყმიან, კოსმოსიდან რომ იღვრება, სადაც ღრმა სამყაროული სიმშვიდე მეფობს. ქალიშვილი მინას ეხება. მინა გლუვია და ცივი, ზედ აჩნდება მისი თითების მრგვალი, ალუბლის მსგავსი ანაბეჭდი. თრთილის ქალარა, ჯერ კიდევ სიფრიფანა ფენაზე ადვილად იწერება ასოები, სიტყვები და მთელი ფრაზებიც კი. ლელდეს სურს ისარგებლოს ამ შემოხვევით, მაგრამ არ იცის, რა დაწეროს მინაზე, ვარსკვლავთა შუქს რომ შეუვერცხლავს, თანაც დილისთვის მაინც ჭირხლით დაიფარება და წაიშლება ყველაფერი...

ქალიშვილი ოთახში ბრუნდება და წვება.

ფანჯრის ღიობი დიდი აკვარიუმის მინის კედელივით ქათქათებს. ფარდებს მიღმა არ ჩანს ცალკეული ვარსკვლავები — მხოლოდ მქრქალი,

მკრთალი ციმციმი ილანდება, რაც ოთახს არარეალურ ზღაპრულ ელფერს ანიჭებს.

ისმის ძალზე დაგვიანებული მანქანის ძრავის გუგუნის, რომელიც არავინ უწყის, საიდან მოდის და საით მიდის. ნეტა რა დრო იქნება?

„იქნებ გინდოდეს სადმე... ისა?“ — გაუელვებს თავში.

დიახ, ხანდახან, ფიქრობს ლელდე ამაზე. მაგრამ ეს უკვე არ არის... შენ ამას ვერ გაიგებ...

წყდება მანქანის გუგუნის და ზედ ყურებთან მხოლოდ მაჯის საათი ნიკნიკებს.

„იცი, რა არის გულჩვილობა? — ფიქრობს ქალიშვილი. — არსებობს ასეთი სიტყვა, მე წამიკითხავს. არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვა, მაგრამ ძალიან კარგი რამ უნდა იყოს... ძალიან... ოღონდ არ ვიცი, რა არის... გულჩვილობა... უცნაური სიტყვაა, ხომ მართალია?..“

მეორე დღეს კი — მეორე დღეს ყველაფერი მეორდება. ცხადია, მთლად ზუსტად, ზედმიწევნით არა, ამქვეყნად ხომ ასე პროცენტით არაფერი მეორდება... და პასტელის ფერები ერთიან ნაცრისფერ ფონში აირია, ზეცა მოიღუშა და ხეთა კენწეროებსა და სახურავებს ჩამოემხო, მოფარფატე, ცთომილ, მოლივლივე კვამლს შეერთო — კვამლს მიერეკება, ძენძავს და ბლუჯა-ბლუჯა წენავს ჩრდილოეთის ქარი, წკრიალებს და ზუზუნებს წამოხვეტილი თოვლი, ტალღებივით რომ იზვირთება, ჰაერი ჩურჩულ-შრიალითაა სავსე, სხვა ხმები კი სადღაც ამ ხმაურის ფარდის მიღმა დარჩა. ასეთი ქარი ამინდის შეცვლას მოასწავებს. თუ იგი აღმოსავლეთიდან დაიქროლებს, ზეცას ისე გააკრიალებს, გეგონება, ცოცხით გადაჰგავაო. გაავებული იქროლებს და იღრიალებს მთელ კვირას, შეიძლება მეტ ხანსაც. თუ დასავლეთიდან დაიქროლა, ჰაერი ტენიანი, ბლანტე და მძიმე ხდება, ფიჭვები ხმამაღლა იწყებენ ოხვრას, გრძნობენ, რომ სადაცაა თოვლი და დნობა უნდა დაიწყოს. ასე გაგრძელდება, სანამ მალლიდან წვიმა თუ ფოშფოში არ დაიწყებს ცრასა და ჟინყლვლას და არ დათბება.

ჯერჯერობით კი დედამინაზე მიწისპირა ქარი ბატონობს და ვერც ერთი განმენდილი გზა თუ ბილიკი ვერ იხსნის თავს, ვერ გადარჩება: ნამქერით დაიფარება. მხოლოდ ვიდრიცის მარადიული ღორმუცელა ყინულღრუები შავი პირებით იჭერენ და ნთქავენ თოვლს. შმაგი ქარი პირწმინდად ლოკავს ხიდს. მართალი რომ ითქვას, ხიდი საუკეთესო ადგილი როდია სასაუბროდ, სადაც მოთარეშე ქარი ტანსაცმლის დილკილოებსა და ფორებში, ყოველ ნაკერში მიძვრება. და მაინც აქ ჩერდებიან ლელდე და აიგარი — რასაკვირველია, აიგარიც ერთი გაჩერებით ადრე ჩამოვიდა ავტობუსიდან და აქეთ წამოეხეტა. რა კარგი იქნებოდა, ასეთი საშინელი სიცივე რომ არ იყოს!

ლელდე მოაჯირს ეყრდნობა და დაბლა იცქირება — ყინულღრუსკენ ისევ ისე მიქრის და მიისწრაფვის თოვლის თეთრი კორიანტელი, მიგორავს ყინულის ნაწიბურისკენ, თითქოს ოდნავ ბოლავს და უჩინარდება, იკარგება მღვრიე წყალში, ისევ და ისევ მოცოცავს და მიგორავს და ისევ უკვალოდ ქრება, თითქოს არაფერიც არ ყოფილიყოს, არაფერი მომხდარიყოს, საოცარი სანახაობაა და რატომღაც ჭირს თვალის მოწყვეტა, ისე-

ვე როგორც აბრიალებულ კოცონს ვერ მოსწყვეტ თვალს. გეგონება, განსაკუთრებული არაფერია — არაფერი, გარდა მოძრაობისა, მხოლოდ განმეორებაა, მოუხელთებელი რიტმია, თვალს კი მაინც გერა სწყვეტ...

— ლელდე!

ქალიშვილი მოტრიალდა. აიგარმა სიგარეტი ამოიღო; სხვა რაღა და რჩენია საცოდავს, თუ ლელდე სიტყვასაც არ ეუბნება და ნედაც არ უცქერის? სულ დაბლა იყურება, შარფს ქარი უფრიალებს...

— გინდა?

— მოიტა.

ლელდემ სიგარეტი გამოართვა და ისევ, როგორც გუშინ, კინალამ, უკულმა ჩაიდო პირში. აიგარი ასანთს ანთებს. ასანთი ქრება, აიგარი ისევ აჩხაკუნებს, ალს მუჭში მალავს და ლელდეს სახესთან მიაქვს.

ასანთი ისევ ქრება.

— აქეთ დადექი, რომ ქარს ზურგით აეფარო.

ლელდე მასთან მიდის. ჰოდა, აი, ქალიშვილი ვაჟს შესცქერის, როგორც აიგარს უნდოდა. ასე სჯობია? ვაჟი თვალებს დაბლა ხრის, თითები უცახცახებს. ეს რა სისულელეა — ქარში ასანთის ანთებაც ვერ მოუხერხებია.

— მოიტა, თვითონ ავანთებ, — ეუბნება ლელდე.

— არა უშავს... ახლავე ავანთებ...

პალტოს გულისპირს იღელავს, ბორცს იფარებს და ასანთს მესამედ აჩხაკუნებს.

— ჩქარა, ჰო!

ლელდე იხრება, მისი ქუდის ღინღლი აიგარის სახეს ეხება, წამით მისი წაბლისფერი, თითქმის შავი თმის კულუღიც კი შეეხო, ნაქსოვი ქუდიდან რომ გამოჩრილიყო. ბოლოს და ბოლოს სიგარეტს უკიდებს. ქალიშვილი წელში იმართება, ვაჟს ზურგს აქცევს და ისევ დაბლა იხედება, იმავე ადგილიდან გადასცქერის იმავე სანახაობას — როგორ მიილტვის თოვლი ყინულღრუში; ნაცრისფერქურქიანი ვიწრო მხრები მოუხრია და ყაყაჩოსფერი შარფი მოაჯირს იქით უფრიალებს.

— ლელდე...

— რა იყო?

— შეგემთხვა რამე შინ?

— ა-არა. მგონი, არაფერი...

მოდო და ელაპარაკე ასეთს! „მგონი, არაფერი...“ მაინც მოხდა რამე თუ არა? როგორ უნდა გაიგოს — „მგონი, არაფერი“?

გოგონა სიგარეტს ექაჩება და კვამლს უშვებს, კვამლს უშვებს და ექაჩება, ხანგამოშვებით ფერფლს ქარს ატანს. ვაჟი მასთან მიდის, სახეში ჩააცქერდება და შეკრთება: ლელდეს თვალებში ცრემლი უკიაფებს!

— რ-რა გატირებს? — ეკითხება შეშფოთებული და ერთბაშად ენას უკიდებს.

არასოდეს უნახავს ლელდეს ტირილი. ვაჟს სწორედ იმიტომ მოსწონდა, რომ ლელდე სხვა გოგონებს არ ჰგავდა. ცხრა წლის განმავლობაში

ლთ ხომ ვერ ჭამს? აიგარი მუჭში ცოტაოდენ თესლს უყრის, გოგონა კი ციყვივით გემრიელად აკნატუნებს.

— დღეს სასადილოში ისევ ბოსტნეულის რძეგარეულ ნენიანი ჰქონდათ, — იხსენებს ლელდე. — ველარ ვიტან! — და ამ სიტყვებზე ატრფოლებს კიდევ.

— ცხადია, დიდი ვერაფერია, — ეთანხმება აჩუჩიანი თუმცა რძენარევი ბოსტნეულის შეჭამანდის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, ნენიანი ნენიანია და ისეთი წუნიების ანგარიშზე, როგორც ლელდეა, მთელი სამი არჩივი შეთქვლიფა მეოთხე გაკვეთილის შემდეგ, ასე რომ ახლა შენაყრება ზედმეტი არ იქნებოდა. საინტერესოა, საერთოდ რით უდგას ლელდეს სული? ისიც უგემურია, ესეც, მაღიანად მხოლოდ გოგრის თესლს აკნატუნებს. ამიტომაც გამხდარია. თუმცა ძალიან ლამაზიც არის. თავის სახეზე შემოჭდობილ ლელდეს ხელებს რომ იხსენებს, ისეთი სიამაყით ივსება, მზად არის, მოედანზე ყვირილით ამცნოს ქვეყანას თავისი სიხარული. მისი ხელის შეხება ხსოვნაში უკვე ალერსად გადაიქცა, უფრო მეტადაც, ვიდრე ალერსია, მოგონებაში ეს მკერდში ნაზად ჩახუტებაა, და ჩურჩულით, თითქმის უხმოდ, თითქმის უაზროდ ნათქვამი სიტყვები „ნუ მიმატოვებ“ საკუთარი მნიშვნელობის, საკუთარი სიძლიერისა და ყოვლისშემძლეობის შეგნებით ავსებს.

ასკოლდის წინ ორნი მიდიან, ქალ-ვაჟი. ისინი ჯერ ისევ სულ ბავშვები არიან, მათი წერწერატა, კაფანდარა ფიგურები ხან ნათლად გაიღვებენ, ხანაც ბუნდოვნად სახურავიდან ჩამოხვეტილი თოვლის გრიალში, რომელიც გზას თეთრი კვამლივით ეფინება, ხუჭუჭა ფთილების ნაკადად რომ მოედინება და ხანდახან ახალგაზრდა წყვილის კონტურებს შლის. ხოლო მცირე შესვენებისას, სანამ ქარი ხელახლა დაიქროლებდეს, ბიჭის მუქი ნაცრისფერი ზურგი და გოგონას ღია ფერის ზურგი ისევ ამოყვინთავენ ხოლმე თოვლის მარმაშიდან და ორივენი ბრტყელ, მუყაოს ფიგურებად მიეჩვენებოდა ადამიანს, მთელ ამ ნაცრისფერ ბურუსში ხასხასა წითელი მარფი რომ არ ფრიალებდეს, რაც სურათს სიცოცხლესა და რეალობას ანიჭებს. მანძილი მოკლდება, რადგან ასკოლდი იმ ორზე უფრო დიდ ნაბიჯებსა დგამს — მას მარცხენა ფეხი გაეყინა და, თუმცა ხელთათმანები აცვია, ხელის თითებიც წაეყინა, რომლითაც გვერდზე მიუხუტებია პური. იგი თავისი გრძნობებითა და ფიქრებითა დაკავებული და წინ მიმავალი წყვილი, რომელიც ხან გამოიკვეთება, ხან კი გაიქნება ხოლმე ქარბუქში, ხანაც ბუნდოვნად და უსახურად გაიღვებებს თოვლის მარმაში, თითქმის არც კი აღწევს მის ცნობიერებამდე.

და უცებ, თითქოს გამოეღვიძაო: ლელდე! რასაკვირველია, ლელდეა. თვალახვეული ხომ არ არის? ლელდეა — ვილაც ბიჭს ახლავს. ცხადია, ასკოლდი მურგალეს მთელ ბიჭბუჭობას იცნობს, თუმცა ამ გაჩხინკულ შავკეფიან ბიჭს, მუქი ნაცრისფერი პალტო რომ აცვია, აქეთ-იქით გაშვებულ ყურებიანი კურდღლის ბენვის ქუდი ახურავს და ლელდეს გვერდით მიჩანჩალებს, მხოლოდ ღვიძლი მამა თუ იცნობდა. სწორედ რომ მიჩანჩალებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ლელდეც მიჩანჩალებს, ორივენი გაჭირვებით მიათრევენ ფეხებს, მაგრამ ვერც თოვლს ამჩნევენ, ვერც ქარს, ვერც ყინვას... მერმე კი ფლვინტი სდით, ახველებენ და გრიპი

სტანჯავთ, და მზად არიან, ყველაფერი აიტანონ, ოღონდ ასე გაგრძელდეს — ოღონდ გაკვეთილების გაცდენის საბაბი მიეცეთ — სანამ ბოლოს და ბოლოს შვებით არ დააღწევენ თავს სკოლას, როგორც კატორღას, იმ მტკიცე განზრახვით, რომ უკან არ დაბრუნდნენ... მაგრამ ბრუნდებიან ისევე, როგორც, მაგალითად, თვითონ დაბრუნდა — არასოდეს აზრად ადამიანი არ გაუვლია, მაგრამ კბილი კბილს დააჭირა და შემდეგ უბრუნდებულ ადგილას დაბრუნდა, რითაც პასუხი აგო თავისი გულმოდგინებისა და მიმნდობლობისათვის, მცდარი შეხედულებებისათვის იმის თაობაზე, თუ რა მომავალი ელოდება ფილოლოგს... ჯანდაბას, რა კავშირი აქვს ამას საქმესთან! მართლაც არავითარი კავშირი არა აქვს და უმჯობესია, ამაზე თავი არ იტყუოს.

აი, ასკოლდი უკვე თითქმის შინ არის, მის ხელ-ფეხსაც არაფერი მოსვლია. ბოლოს იმ ორსაც დაენია, მის წინ რომ მიაბიჯებდნენ და ახლა ერთმანეთს ემშვიდობებიან. ლელდე ჭიშკარში შედის, ბიჭი კი დგას და თვალს არ აშორებს. მართლაც რომ ღლაპია, თხუთმეტიოდე წლისა თუ იქნება, მეტის არა, ვინრო მხრები და ყინწილა კისერი აქვს, ყურპანტურა კურდღელივით დგას და ქუდის ყურები აქეთ-იქით უფრიალებს. კართან მისული ლელდე უკან იხედება, ხედავს ასკოლდს, ბიჭი კი ვერ ამჩნევს და დამუნჯებული გასცქერის გოგოს, როგორღაც ნათელი, ბავშვური სევდით გასცქერის, რაც სულაც არ უხდება, იმდენად არ უხდება მის ცხვირ-პაჭუა სახეს, რომ სიცილის მომგვრელია. და ამ სცენამ, რომლის მოწმეც ასკოლდი გახდა, ძალზე ცოცხლად გაახსენა სხვა, არცთუ ისე შორეული ეპიზოდი, სადაც მთავარი მოქმედი პირი თვითონ იყო, — ჯიუტად, უტიფრად გაახსენა თავისი შემთხვევითი მსგავსებით, დაამცირა, შეურაცხყო და მისი გრძნობები ისევე სასაცილოდ და საცოდავად წარმოაჩინა, როგორც ამ... ცინგლიანი ლანირაკისა, რომელიც ხედავთ, ჭიშკართან ატუზულა და ლელდესთვის თვალი ვერ მოუწყვეტია, ჯირკვიით დგას და განაბულა, როგორც მეძებარი, ფრინველის სუნს რომ იკრავს. და ერთგვარი მსგავსება სიტუაციისა აღიზიანებს და აბრაზებს, მით უფრო, რომ ეს ბიჭი პერკონია, აიგარ პერკონი, შვილი ვილის პერკონისა, რომელსაც თავისი დედის ელვარე სილამაზისგან არა რგებია რა მემკვიდრეობით და ზუსტად მამამისის ალიკვალია: ისეთივე გაჩხინკული ფიგურა, ვინრო მხრები და ჩავარდნილი მკერდი, ისეთივე წაყინწილებული კისერი და პანტურა ყურები, იგივე ცხვირი და ისეთივე ჭორფლი სახეზე — და ეს პერკონი-უმცროსი, მამის ასლი და ორეული, როგორც გახსენება და გამონევა, სწორედ აქ აყუდებულა, კასპარსონების სახლთან.

ბოლოს ბიჭი ასკოლდს ამჩნევს და საფირონისფერ თვალებს აპყრობს, რაც, ალბათ, აგრეთვე მამისგან რგებია მემკვიდრეობით, — ვის რაში სჭირდება პერკონ-უფროსს სათვალეში ჩახედოს იმის გასაგებად, როგორი თვალები აქვსო.

— გამარჯობათ, — ეუბნება აიგარი, დაძაბულად, თითქმის გაშმაგებით ყლაპავს ნერწყვს და რალაცას აჩქარებით მალავს ზურგს უკან — ალბათ, პაპიროსს, სხვას რას უნდა მალავდეს. დროთა განმავლობაში ისეთივე თავგადაკლული მწვეელი გახდება, როგორიც მამამისია, თუ უკვე არ გამხდარა.

— გაგიმარჯოს, — გაგიმარჯოს, — პასუხობს ასკოლდი.

ჭიშკართან შემდგარ ამ შეხვედრას სიტყვამრავალს ვერ უწოდებ. რა უნდა უთხრას ყოფილმა მოსწავლემ თავის ყოფილ მასწავლებელს ან ყოფილმა მასწავლებელმა ყოფილ მოსწავლეს? მხოლოდ არაფრისმთქმელ სიტყვებს თუ ეტყვიან, რათა ორმხრივი უხერხულობა გააქარწყლონ. იქნებ ყასიდი ინტერესი გამოავლინოს? წამით გაიხანგრძლივოს სიაბოვნება პერკონთა ოჯახის წარმომადგენელი მამაკაცის ტიპურ ინტერესების ცქერით? თუ იმდენად დაიმციროს თავი, რომ გზა მისცეს მწყნარს — გესლი დაანთხიოს, მზაკვრულად იხუმროს და სხვისი შეშფოთებით გაერთოს?

არ ღირს, თანაც ეს სულმდაბლობა იქნებოდა. ასკოლდი აიგარს გვერდს უვლის, ჭიშკარში შედის და სახლისკენ მიაბიჯებს.

მისალმებით წესისამებრ მიესალმნენ ერთმანეთს, სხვა რაღა არის საჭირო? ნეტავი ისევ იქ არის აყუდებული თუ აიბარგა? რაკი ასე სურს, იდგეს და ტკეპნოს იქაურობა — დაცხრეს... მაგრამ შესასვლელ კარს რომ კეტავს, ამჩნევს, რომ წასულა, ჰო, ბოლოს და ბოლოს, წასულა. მით უკეთესი. კაცმა რომ თქვას, კასპარსონების ღობე როდია ყველაზე შესაფერისი იმისათვის, რომ იქ ყველა ალანოდას შეეძლოს უსაქმოდ დგომა.

„მოეშვას ფანჯარასთან პაპიროსით ხელში წონიალს“, — ფიქრობს ასკოლდი და ბუზღუნა, გულის მღრღნელი უკმაყოფილება სხვებითა და საკუთარი თავით დულს მასში, აწუხებს და ხელს უშლის, როგორც გამოურწყველი მუნუკი.

წინკარში ლელდე ჯერ ისევ იხდის ფეხსაცმელს, როცა ასკოლდი შედის, მაგრამ ქალიშვილი თავსაც არა სწევს, თითქოს ასკოლდი უცხო იყოს, ვილაც შტატგარეშე პიროვნება, რომელიც არა მარტო მისალმების, შეხედვის ღირსადაც არ მიაჩნია.

— ლელდე!

ქალიშვილი წელა, უხალისოდ სწევს მაღლა თავს, თითქოს უდროოდ დროს შეეწუხებინოთ და ამით უკმაყოფილო იყოს და თითქოს არც მიაჩნდეს საჭიროდ გაღიზიანების დამალვა. ამ ხაზგასმული უხალისობისა და სიზარმაცის მიღმა რიდი იმალება თუ ეს შეგნებული თავის მოკატუნებაა?

— მოილე მოწყალება და სახეში მომასუნთქე!

— რატომ? — ნერვიულად წივის ქალიშვილი, წელში ისე ერთბაშად იმართება, თავს ჩამოსაკიდს ახლის და ისიც, როგორც გუშინ, გვერდზე იხრება — ოღონდ სხვა მხარეს. თუმცა ეს სულაც არ არის საჭირო: ლელდე გაალებს თუ არა პირს, ამ ყინულოვან სიგრილეში, ტანსაცმელი რომ გამოსცემს, აშმორებული სუნი დგება, რომელიც ასკოლდს თავხედურად სცემს სახეში, როგორც ჩასადენი თხრილიდან და არა ნორჩი ალისფერი პირიდან. ასკოლდში ზიზლი იფეთქებს, ეს გრძნობა მას დენივით დაუფლის და სტიქიურად იწვევს საპასუხო რეაქციას: მოულოდნელად ხელს შემართავს...

ლელდეს თვალებში ძრწოლა გაკრთება. ქალიშვილი რაღაც ხმას გამოსცემს, ან იქნებ ეს მხეცის ამოკვნესაა, ანაზდად წელში იხრება, თითქოს შუაზე გადატყდაო, და სახეს ხელებში მაღავს.

განა ასკოლდს მისთვის ხელის შემოკვრა ეწადა? კაცი გონს მოდის. ნუთუ მართლა გარტყმა უნდოდა?

ლელდეს პოზაში მორიდება და უმწეობა იგრძნობა, რაც ასკოლდს სიბრალულს უღვიძებს, და მისი ფიზიკური უპირატესობა მისივე სისუს-

ტედ იქცევა — უმწეობა განაიარაღებს, ბუნების უძველეს კანონებს აცოცხლებს, რომლის თანახმადაც ძლიერი არა მხოლოდ ანადგურებს სუსტს, არამედ იცავს კიდევ მას.

გონება დამიბნელდაო; ფიქრობს თანდათანობით გამოფხრბებული ასკოლდი, თითქოს შორიდან უთვალთვალვებდეს საკუთარ თავს და გაოცებული იყოს, ასე რამ გამაცოფა ან ეს უჩვეულო თანაგრძობა ესაოდან გამიჩნდა — ეს ორი გრძნობა ხომ ერთმანეთთან შეუთავსებელია? მათი ძალა და სიღრმე საბაბს სულაც არ შეესაბამებაო.

ნეტა რა მოვლანდათ? ალბათ, მაცდური შემოუჩნდათ. ცხოვრება გაიბზარა და დაღმართზე დაეშვა, როგორც თოვლის გუნდა და გზადაგზა ემატება უსიამოვნებანი.

ასე ფიქრობს ასკოლდი და ლელდეს წელში მოხრილ ფიგურას უცქერის. მოუხეშავი, ჯერ ისევ სავსებით ბავშვური მხრები და გამხდარი ხელები აქვს, გრძელი, ქალწულებრივი თლილი თითები სახეზე აუფარებია, ჩხირებივით წვრილ ფეხებზე ჭრელაჭრულა წინდები აცვია.

ახლა რა მოხდება? მათ შორის რომელმა უნდა მოიხადოს ბოდიში? როგორ უნდა გამოასწორო საქმე ისე, რომ ქალაჩუნასავით არ დაიხიო უკან, საკუთარი ღირსება არ შელახო და საკუთარი თავისადმი პატივისცემა შეინარჩუნო ამგვარ სიტუაციაში, როცა შენს აკრძალვასა და გაფრთხილებას აინუნშიაც არ აგდებენ?

როდემდის შეიძლება ასე დგომა და დუმილი? სანამ ლელდე პირს დააღებდეს, მას მხოლოდ ყინვის სურნელი ასდის, მის ტანსაცმელსა და თმას ჯერ კიდევ შერჩენია ქუჩიდან შემოყოლილი სიგრილე, რომელიც თითქოს ახალმოთიბული ჭვავის ტკბილ სურნელს შერწყმია. თუმცა არა, ეს ნაცრისფერ ქალაღში გამოხვეული პურის სურნელია, პურისა, რომლის ყავისფრად შებრანული ქერქი ისე პრიალებს, თითქოს მოსარკლულიაო.

— ლელდე...

ქალიშვილი ნელა იშორებს ხელებს სახიდან. სახე გაფითრებია, ტანჯვას დაუმახინჯებია და გადაუსხვაფერებია.

— მომისმინე, ლელდე...

მაგრამ ქალიშვილი არ უსმენს.

— ახლა... ახლა წამაღებინებს! — შესძახებს ქალიშვილი და გარეთ წინდებისამარა გარბის.

ბრახუნობს კარი, კაუჭს ყღარუნი გაუდის — ნებისმიერი ხმაური გარკვევით ისმის, მკაფიოდ.

ასკოლდი წინკარში მარტოკა რჩება. ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს მოხერხებულად გაეცურებინოთ, მოეტყუებინოთ, უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინოთ. ახველებს. ბოლოს და ბოლოს პურის დადებას ახერხებს. პალტოს იხდის. სხვა გზა არა აქვს — ისევ უნდა შეაკეთოს ჩამოსაკიდი: დააჭედოს, იჯახიროს, ხელები დაისვაროს. ძალაუნებურად ესმის გარედან შემოსული ხმები და ოდნავ ირონიულად ფიქრობს:

„სავსებით ნორმალური ამბავია. სწორედ რომ ბუნებრივი რეაქციაა ორგანიზმისა ნიკოტინზე...“

— ასკოლდი!

— რა იყო?

— ხომ არ გეჩვენება, რომ ლელდე ავადაა?

„ახლა ოცდაორი საათი და ოცდაათი წუთია...“

— გამორთე, თუ კაცი ხარ.

„დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში...“

ჩხაკუნებს გამომრთველი — და უცებ სამარისებური სიჩუმე მყარდება, გარეთ კი რალაც შრიალი და კაკუნი ისმის. ეფუძვას უსულაც არ სურთ, ორივენი მაინც უნებურად ისმენენ ამ ხმაურს. ამ ქაჩანთან ლამეს იდუმალეებით მოცული ხმაურის ფარდა კასპარსონების სახლს სხვა სახლებისგან ისე გამოჰყოფს, როგორც წყლის ზოლი ხომალდს ნაპირისგან, და ავრორას უჩნდება სურვილი მივიდეს ფანჯარასთან, რათა სხვა განათებული ფანჯრები დაინახოს, შეიგრძნოს სხვა ადამიანთა სიახლოვე, მათი თანადგომა.

— ასკოლდ...

კაცი რვეულს თვალსა სწყვეტს და ქალისკენ იხედება.

— განა მეც მაგაზე არ ვფიქრობ?.. არა მგონია, ავად იყოს. ეს სიგარეტის ბრალია.

ჩაფიქრებული ავრორა ავტოკალამს ხელში ატრიალებს, დაღლილი, ჩვეულებრივი მოძრაობით იხსნის სათვალეს, რომ თვალეები დაასვენოს. ქუთუთოები ისე ეწვის, თითქოს თვალეებში სილა შეეყაროთ. მერე კომპრესი უნდა გაიკეთოს ან...

— მგონი, გუშინ დილიდან არაფერი უჭამია. ისეთი გაჩხინკულია, მზარავს...

ფანჯრის მიღმა ისევ ისმის რალაცის შრიალი თუ კაკუნი. ალბათ, ქარი ტელევიზორის ანტენას აქანავებს, თუმცა შეიძლება სადენიც იყოს.

— ძვალი და ტყავია. ფეხები ასანთის ღერებს მიუგავს. მეეჭვება, რომ სადილის ფული შეჰქონდეს. მშობელთა კრებაზე სასწავლო ნაწილის გამგე ჩიოდა, ორივე მეცხრე კლასიდან სულ ათი კაცი სადილობსო.

დუმილი.

— ვახშამზე რომ დავუძახე და არ გამოვიდა, ვკითხე: ლელდე, დღეს რამე თუ ჭამე-მეთქი. ვჭამეო, მითხრა. რა ჭამე-მეთქი. და იცი, რა მიპასუხა?

— რაო?

— თესლი ვჭამეო!

— თესლიო?

— ჰო, გოგრის თესლი.

ასკოლდი მხრებს იჩეჩავს.

— ვერ გამიგია, ავრორა, რატომ გინდა ეს თითქმის ტრაგედიად გადააქციო. მართალია, ერთ დროს ბებიაჩემს მიაჩნდა, გოგრის თესლი მუცლის ჭიას აჩენსო, მაგრამ, თუ არ ვცდები, ეს ჰიპოთეზა მეცნიერულად არ დადასტურდა.

ისინი ერთმანეთს შესცქერიან. კაცი ოდნავ შესამჩნევი ღიმილის მიღმა მაღავს წყენას, რომ ხელს უშლიან, ქალი კი ეჭვობს, დროული იყო თუ არა ახლა ამ საუბრის წამოწყება, სწორედ ახლა, როცა წინ რვეულების გორა უდევთ, მაგრამ გადაწყვეტილი აქვს ქალიშვილის შესახებ მოელაპარაკოს, რალაც დასკვნა გამოიტანოს და ან ასკოლდის აზრი გაიზიაროს,

ან მის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. ასკოლდმა უნდა მოუსმინოს, იპოვოს დრო, დაუთმოს ყურადღება, ის ხომ მამაა.

— შენი ირონია, ასკოლდ, სავსებით უადგილოა, — ცივად ეუბნება ავრორა. — ჭიისა რა მოგახსენო, მაგრამ საერთოდ... ვინ იცის, ვის ეყარა ჯიბეში გოგრის თესლი, ვინ შეავლო ხელი. ისიც იმ დროს, როცა რიგაში გრიპი მძვინვარებს და ათასნაირ გართულებას ტოვებს...

— ...მაგალითად, ფილტვების ანთებას ან მენინგიტს... უფრო უარესი — მუცლის ტიფს, ეპილეფსიას ან სიფილისს...

— შენთან არ შეიძლება ლაპარაკი!

— ავრორა, გასასწორებელი მაქვს თხუთმეტი თხზულება, საათი კი თითქმის თერთმეტს უჩვენებს. შვიდის ნახევარზე უნდა ავდგე. დამიჯერე, ლაპარაკის არავითარი სურვილი არა მაქვს, მით უმეტეს იმ საკითხებზე, ეპიდემიოლოგიური სადგურის კომპეტენციაში რომ შედის.

რა უნდა ქნას? განაგრძოს იმავე სულისკვეთებით — თავაზიანი კილოთი, ხმის აუმაღლებლად, გესლზე გესლითვე უპასუხოს? თუ გაჩუმდეს და ეს მერამდენედ თვინიერად მოიხაროს ქედი? იქნებ პირდაპირ დაელაპარაკოს, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე — გულახდილად, და მოხდეს, რაც მოსახდენია, ასე ცხოვრებაც ხომ აღარ შეიძლება.

თვითონვე აკრთობს საკუთარი ფიქრები: ღმერთმა აშოროს ასეთი რამ! ჯერ კიდევ არ გადაულახავთ ის ზღვარი, საიდანაც მობრუნება და შერიგება შეუძლებელია, რომლის იქითაც არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლება, — ღმერთმა აშოროს! ისევ გაურკვეველობა ურჩევნია. განა ადამიანის მოგონილი არ არის ეს სიტყვები — „ბედნიერი უმეცრება?“ დაე, ნუ იქნება ყოველთვის ბედნიერი ეს უმეცრება, მძიმე იყოს და მტანჯველი, მაგრამ მაინც ესა სჯობია მკაცრ, უმონყალო სიმართლეს. ღია ჭრილობას შეხვეული, სალბუნდადებული ნატკენი ურჩევნია.

ავრორა ოხრავს, სათვალეს ხელის ცეცებით ეძებს და ასკოლდს ისევ ნალვლიანად შესცქერის: ცხადია, დაიღლებოდა მთელი დღის განმავლობაში, თვალები ამოლამებია, ტუჩების კუთხეში ნაოჭები ამჩნევია... თმა უჭალარავდება და უმეჩხრდება, ეს უფრო სინათლეზე ჩანს, ლამპის შუქზე.

— ხანდახან მგონია, რომ შინ მოსვლა აღარ უნდა... — მეუბნება ავრორა სიბრაულგარეული ხმით, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო.

კაცს ტუჩების ორსავე მხარეს უფრო მკვეთრად დააჩნდა ნაოჭები და უცნაური გამომეტყველება მიიღო — ვერ გაიგებ, იქედნურად იღიმის თუ ნალველს შეუპყრია. გეგონება, სულ ცოტაც და მწარედ გაღიმებული იტყვის: „ისევე, როგორც მე“. მაგრამ არა, დუმს, თვითონაც მაგიდაზე აფათურებს ხელს, კალმისტარს პოულობს, რვეულს უფრო ახლოს იჩოჩებს და ზედ იხრება.

ლელდეს არ სძინავს, ვერ დაუძინია: ბალიში სათბურასავითაა გახურებული, თანაც ეს სათბურა რეზინისა კი არ არის — სწორი და გლუვი. — არამედ უხეში ტილოსია, ბანჯგვლიანი და კბენია. მას სახე ეწვის, ლოყებზე ცეცხლი ეკიდება და იძულებულია ბალიში წამდაუნუმ გადააბრუნოს, რომ გრილი მხარე ზემოდან მოაქციოს, ისევ და ისევ გადააბრუნოს, რადგან... იგი გამომცხვარი პურივითაა, ოვალური, მაგარი და ხორკლიანი, რომლის უსწორმასწორო, დამსკდარი ქერქიც გამხმარ თიხასავით

ინხვლიტება... ბალიში ცერცვითა და კენჭებით არის გატენილი და საკმა-
რისია, ოდნავ გაინძრე, რომ მაშინვე ხრაშუნსა და ჭრაჭუნს იწყებენ. თა-
ვი ბალიშში ღრმად ეფლობა, ასე რომ, უჭირს თავის წამონევა, უჭირს
ადგომა, თუმცა უნდა ადგეს — უნდა ადგეს და წავიდეს, რადგან წყურ-
ვილი ახრჩობს, ველარ მოუთმენია, წყალი სამზარეულოშია, აქედან ოცი-
ოდე ნაბიჯზე, უსასრულო ოციოდე ნაბიჯზე, სახლი კი ფეხის ხმითა და
ხმაურით არის აღსავსე, ყველგან აკაკუნებენ, აჭრიან, რადგან რახ-
რახი გაუდის, კარს აჯახუნებენ... ვინ არის იქ, ვინ დადის? რა უნდა? ვი-
ნაა, რომ ვერ ისვენებს?

რატომ გაათბეს სახლი ასე საშინლად? პირი უშრება, ენა სასას ეწე-
ბება და სასაც რალაცნაირად უცნაურია — უზარმაზარია, როგორც კა-
მარა, როგორც კლდეში შეთხრილი მღვიმე, სადაც ყოველი ბგერა გრუ-
ხუნვით გაისმის, დახველება კი ძაღლის ყეფასავით ჟღერს: ჰამ-ჰამ-ჰამ...
და ეს იმდენად უცნაურია, რომ სიცილს ვერ იკავებ, სიცილიც ასევე ჟღერს:
ჰამ-ჰამ-ჰამ, დიდი კამარის ციცაბო კედლებიდან ირეკლება, როგორც
ძაღლების მრავალხმიანი ყეფა, როგორც სირბილით მომავალი ძაღლების
წკაწკაწკა. დიდი და პატარა ძაღლები აქეთ მოქრიან. ყურებდაცქვეტილი,
ყურებპანტურა და უყურო ძაღლები. კუდიანები და უკუდონი. ადამიანე-
ბივით ტიტველები და ბატკნებოვით გაბანჯგვლულნი. შავები და თეთ-
რები. ნაცრისფერები და ჭრელები. ჩორთით მორბიან, მოჭენაობენ, მოქ-
რიან და მოილტვიან, თან თავიანთი ლეკვებიც მოსდევენ. სველი დრუნ-
ჩებით ჰაერს ყნოსავენ, ბევრი დრუნჩია მალლა შემართული, იმდენად
ბევრი, რომ ისინი ჰაერში ირევიან, როგორც ხოჭოები, როგორც ფარვა-
ნები. ძაღლების ღრუბელს ბოლო არ უჩანს. ჰორიზონტი მოძრავი ზურ-
გების ტალღისებურ მასას დაუფარავს, იგი პირდაპირ აქეთ მოგორავს,
ათასობით, მილიონობით თათი ფატრავს მიწას, ამღვრევს მას, როგორც
წყლის ზედაპირს. მთელი დედამიწა ტალღასავით იწყებს მოძრაობას და
ზღვასავით ტორტმანებს, ყალყზე დგება და ბორგავს, როგორც ბედაური,
მხედრის ჩამოგდებას რომ ცდილობს და, ღმერთმა უწყის, შემკრთალ-
დაფეთებულს საით გაფრენა განუზრახავს, და თავი უნდა შეიკავოს, უნ-
და შეიკავოს რომ.

ეცემა — და ეღვიძება.

„რა მემართება? — ფიქრობს ქალიშვილი. — ნუთუ ავადა ვარ?“

ამგვარი რამ ერთხელ უკვე მოუვიდა ბავშვობაში. მძინარე საკუთარ
თავს ზემოთ მიფრინავდა. ეს იყო უცნაური და ამაღელვებელი რამ —
საკუთარ თავს ზემოთ მიფრინავდა, როგორც პარაშუტით, საკუთარ თავს
ზემოდან უცქეროდა, ამავე დროს ეს იყო ძალზე მტანჯველი, სამძიმო და
შემზარავი რამ. შემდეგ ტანზე გამოაყარა, თანაც იმდენი, რომ კანი აუჭ-
რელდა, როგორც წითლად დაწინკლული ჩითი, მაგრამ თანდათანობით
გაუქრა.

ხელს იწვდენს და ღამის ღამპას ანთებს, სახელოებს იკაპინებს და
ჯერ ერთ მხარს ათვალეერებს, მერე მეორეს. მოწითალი სინათლეზე კანი
ვარდისფრად უპრიალებს, არც წერტილები ამჩნევია და არც ლაქები, სუფ-
თაა და გლუვი, იდაყვის ნაკეცებში ოფლს გამოუყოფნავს, მაგრამ საშიში
არაფერია.

ასპირინი ხომ არ დალიოს? აბები უჯრაში ეგუდება. ყვავილების ვა-

ზაში რომ ასპირინი ჩააგდო, ყვავილები უფრო დიდხანს ძლებენო. უფრო დიდხანსო? იქნებ მართალი არ იყოს. ლელდემ სცადა, მაგრამ მაინც ვერ გამოარკვია — მართლა მეტ ხანს ძლებენ ყვავილები თუ ვერა. დანარჩენი აბები მაგიდის უჯრაში უნდა იყოს... აი, ცოტას დაისვენებს, წამოდგება და იპოვის... იქნებ თავის ტკივილმა გაუაროს. თორემ, გეგონება, რკინის სალტე ჰქონდეს შემოჭერილი, რომელიც განსაკუთრებულად უჭერს საფეთქლებსა და შუბლზე, იქ, სადაც წარბები თითქმის შექმნილია ერთმანეთს. ყეყეჩი, ავადმყოფობა არ მოინდომა!..

ლელდე იდაყვებზე იწევს, თავი მართლაც უბრუს. არაფერია, ნელა წამოდგება... ჯერ ცალ ფეხს ჩამოდგამს, მერე მეორეს... ახლა რბილ ადგილს ასწევს. აი, ასე. რაც ყველაზე ძნელი იყო, უკან დარჩა. შეეჩვევა და გაუვლის თავბრუსხვევა, ჩუსტები სად არის? ერთი... აქ არის. მეორე სადღაა? ალბათ, საწოლქვეშაა. ჩვეულებრივ ასეა ხოლმე. მუდამ ან საწოლქვეშაა, ან მაგიდის ქვეშ. სანამ იპოვი... ღმერთმანი, დედაბერივითაა — მუხლები უკანკალებს. ჩუსტებში ფეხებს უყრის, მაგიდამდე მიფრატუნდება, უჯრას გამოაღებს და შიგ ბრმად აფათურებს ხელს — უბის წიგნები, ფანქრები, ლოგარითმული სახაზავი, კალმისტრის ღეროები, საშლელები, ლუბა, მაკრატელი... აბები სადღაა: ლატარიის ბილეთები, მისალოცი ბარათები... აი, ისინიც! არა, ეს პურგენია... ფოტოსურათები, საფოსტო მარკები... ღმერთმანი, პირველყოფილი ქაოსია! როგორც იქნა, იპოვა, აკვარელის საღებავის ქვეშ აღმოაჩინა. ორი ცალია, როგორც ფიქრობდა. ორივეს ერთად გადაყლაპავს და დილას კარგად იქნება...

ვინ დადის იქა: ვის არ ეძინება, ვინ აკაკუნებს, რას აჭრიალებს?

ქარი ყოფილა, ქარი.

ლელდე ხელების ფათურით ისე აღწევს სამზარეულომდე, რომ შუქს არც სასადილოში ანთებს, არც წინკარში. ისევე, როგორც წინა ღამეს, სამზარეულოს ფანჯარა განათებულია, ბუნდოვნად, მკრთალად ქათქათებს, თითქოს მქრქალი მინა ჰქონდეს აფარებული და ლელდეს უმაღაინყდება, რატომ შემოვიდა აქ, სამზარეულო გადაკვეთა და იქით გაემართა, მკრთალად მოლაპარაკე კვადრატისაკენ. წყნარად და ნელა მოძრაობს, როგორც მოჯადოებული, როგორც მთვარეული, თითქოს მხოლოდ ფანჯარას ხედავდეს და გრძნობდეს, როგორც პეპელა ხედავს და გრძნობს ცეცხლს.

ფანჯარასთან მიდის.

მინები არ შეორთქლილა და ვერცხლისფრად მოლაპლაპე ყინვის ნაყმებით არ არის დაფარული, რომლებზედაც შეიძლება ასოები ამოკანრო, სიტყვები დაწერო. არ ციმციმებენ ვარსკვლავები. ფანჯრის მიღმა მოძრავი ბურუსით აღსავსე უფსკრული განრთხმულა, რომელშიც სხვა არაფერია, გარდა თეთრი ნამქერისა... მოისმის წივილ-კივილი და შრიალი... ჩურჩული... ხმადაბალი სიცილი... ქურდული ნაბიჯები...

და შეშინებული ლელდე უკან აწყდება.

ვინ ჩურჩულებდა? ვინ იცინოდა? ვინ?

ტანში აფრთოლებს, ხრინწიანად ახველებს. პირზე ხელს იღებს, რომ ჩაახშოს ბგერები, სადღაც ღრმად და ყრუდ რომ გაისმის, როგორც გამოქვაბულში, და ძალღის ყეფას აგონებს.

„რატომ მოვედი აქ? რას ვეძებდი? ჰო, აბებს! სად არის აბები?..“

აბები, ეტყობა, იქ დარჩა, ოთახში. მაგიდაზე იქნება. მგონი, სამზარეულოში არსად არაფერი დაუდვია. იქნებ დადო კიდევ? თავი ტყვიასავით მძიმე აქვს. მძიმე და ცარიელი. არა, უნდა წავიდეს აბების მოსატანად... უნდა წავიდეს...

სიბნელეში ხელისცეცებით იკვლევს გზას, უკან ბრუნდება და უცებ გონს მოდის — საკუთარ თავს ეკითხება, სადა ვარო. *ერქქუნულს*

ჩასუნთქვა — ამოსუნთქვა. ზომიერი სუნთქვა? *ამოსუნთქვა* — ჩასუნთქვა... დედაა? საიდან გაჩნდა აქ, მის საწოლში?.. გარშემო გაოცებული იცქირება: მამა ყოფილა? ტანში შიშის ფრუანტელი უვლის, ჭიანჭველას ცივი საცეცებით მიცოცავს მალლა, მისი სახისა და კეფისკენ, თავის კანს უჭიმავს. მამა გარდაცვლილა! ისევე წევს, როგორც მაშინ... როგორც მაშინ სიზმარში — პირალმა, ხელები მკერდზე დაუკრეფია, უფერულ და უძრავ სახეზე, გეგონება, აპკი აქვს გადაკრულიო, სახის ნაკვეთები ისე წაწვეტიებია, საკუთარს არ უგავს. ლელდე აყურადებს — არა, არ სუნთქავს, ერთმანეთს არ ენაცვლება რიტმული, ზომიერი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა... როგორც მაშინ ხდება ხოლმე, როცა ადამიანს უბრალოდ სძინავს.

მამა მოუკლავთ!

საწოლისკენ კიდევ ორ ნაბიჯს დგამს. სასთუმალთან ჩერდება. სუნთქავს თუ არა? არა, არ სუნთქავს. მამისკენ იხრება, თავზარდაცემული წინასწარ გრძნობს გვამის მკვდრულ სიცივეს, მზად არის, ყოველ წამს ღრიალით უკან გასწიოს ხელი, მაგრამ მაინც იწვდის გაქვავებული სახისკენ. და უცებ ხედავს: გახელილი თვალები მას, ლელდეს, მისჩერებია, უაზრო, გაყინული მზერით.

— ლელდე ხარ?..

ქალიშვილი ყრუდ შეჰყვირებს და თავს გაქცევით შველის. ესმის შიშველი ფეხების ტყაპუნი, თანდათანობით რომ უახლოვდება. ჩურჩულებს უაზრო, უთავბოლო სიტყვებს, თითქოს გონმიხდილიაო, დახმარებას, შემწობასა და შეწყალებას ითხოვს. ქალიშვილს თავზარდამცემი შიში და სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი მიერეკება.

ერთი კარი, მეორე, მესამე... მესამე კარს მიაწყდა, მაგრამ მაგრად დაკეტილი დახვდა. სიბნელეში ხელს აფათურებს, ურდულს პოულობს, გამოსწევს — და თეთრ, აგრიგალებულ ქაოსში ეხვევა.

— ლელდე!

ქარბუქის ქათქათა ფარდამ დაფარა ყველაფერი — შენობები, ადამიანები, საგნები, ქვეყნის კიდევ? როგორია იგი, ქვეყნის კიდევ? ფლატეებიანი ნაპირივითაა თუ ხრამივით ან კლდესავით? თუ სინათლესა და სიბნელეს შორის გავლებულ მიჯნასავითაა, ერთბაშად რომ მჭიდროდ ერტყმის გარს?..

...ეს სიბნელე როდია, ეს აბზინდას შავად მბზინავი წყალია, საიდანაც ბრჭყვიალა და ლაპლაპა რალაც ამოყვინთავს ხოლმე, რომელიც თითქოსდა ცეცხლივით გიზგიზებს, ნაპერწკლებს აფრქვევს და კაშკაშა ვარსკვლავით, ვერცხლის თევზივით, მქრქოლავ კომეტასავით მოძრაობს და გვერდით რომ ჩაგიქროლებს, ციმციმებს და კიაფობს, ბრწყინავს და სხივებს აფრქვევს, მწვანედ ხასხასებს და ბრიალებს, სულ უფრო და უფრო მეტად, სანამ ირგვლივ ერთიანად არ აელვარდება თვალისმომჭრელად ქათქათა, უსასრულო სამყარო...

...ლეღდე?
 ...ლეღდე-ე!
 ლეღდე-ე-ე!!!..



მურგალეში სამ დღესაც ვერ იცხოვრებ ისე, რომ რიტმა არ გარიცნო, რიტმა პერკონი: ნებისმიერი მოკვდავი, რაც უნდა მალაღინტელეფუნალური სფეროს წარმომადგენელი იყოს და სულითა და სხეულით შეტყუებასი-მალღეებში დაფრინავდეს, ხომ მაინც ვერ იარსებებს და ჯანმრთელობას ვერ შეინარჩუნებს მიმზიდველი და ნაქები, შეგინებული და წყეული საჭმელ-სასმელის გარეშე, მალაზიის თაროებსა და შემინულ ვიტრინებში რომ დევს და აწყვია, ნაირფერად რომ ბრჭყვიალებს და სურნელით გვაღიზიანებს, სულისა და ხორცისათვის ჯანმრთელობასა და ცოდვიან სიამოვნებას რომ გვთავაზობს და აღგვითქვამს. და თუკი მალაზიაში შეხვედი და მცირე ხანი მაინც დაჰყავი, შეუძლებელია, ვერ შენიშნო და არ დაიმახსოვრო რიტმა, რადგან მართლაც რომ მშვენიერი ქალია, თანაც მამაკაცებს შეუძლიათ უფასოდ დატკბნენ მისი მშვენიერი სახისა და ტანის ცქერით, ხოლო ქალებს, აგრეთვე უსასყიდლოთ, თითქოს ნავაჭრზე დანამატიაო, შეუძლიათ იმდენა ილაყბონ მასზე, რამდენიც ენებებათ. ხოლო მგზავრები, რომლებიც აქ მხოლოდ იმიტომ აჩერებენ მანქანას, ბოთლი ლიმონათი, ლუდი ან სხვა რამ სასმელი დალიონ, და რიტმას სახელი არ იციან, მას „დიდთვალეა ტურფას“ ეძახიან. ასე კი ცოტა ვინმეს თუ მონათლავენ. ამავე დროს რიტმას შეუძლია ყურში ჩაგჩურჩულოთ, რა საქონელი უნდა მიიღონ, ან, პირიქით, ისეთი გამომეტყველება მიიღოს, არაფერი ვიციო; როცა გინონის, შეუძლია საუკეთესო ვაშლი და პამიდორი აგირჩიოს, ან მიყოლებით აიღოს, რაც ხელში მოჰყვება, შეუძლია ცარიელი ბოთლები მიიღოს, ან ტარის მიმღებ პუნქტში გაგგზავნოს, რომელიც კვირაში სულ სამ დღესაა ღია (ხოლო ყუთები თუ არ მოიტანეს, უფრო იშვიათად აღებენ). და თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველივე ეს და არა მხოლოდ ეს, მის ხელშია და რომ მშვენიერი გარეგნობის წყალობით არ შეიძლება თვალში არ მოგხვდეს, არ მიგიზიდოს და მოგხიბლოს, თქვენთვის ნათელი და გასაგები გახდება, რატომ არის რიტმა პერკონი თითქმის ყველაზე ცნობილი პიროვნება მურგალეში.

მურგალეში ვილის პერკონიც ერთ-ერთ ცნობილ პიროვნებად ითვლება, თუმცა მისი გარეგნობის მიხედვით ამას ვერ იტყვი. მის გარეგნობაში არ არის და ალბათ, არც ყოფილა ისეთი რამ, რაც ყურადღებას მიიპყრობდა. თავით ფეხამდე უღიმღამო კაცია — არც თმით გამოირჩევა, არც თვალებით, არც სახის ფერით და არც ტანსაცმლით. საგარეო კოსტიუმი კი, ღმერთმანი, გამოხუნებული, ფერნაქცევი და დაჭმუჭვნილი გერვენება, თითქოს უთო არასოდეს მოხვედროდეს, და კარგად, დაჟინებით უნდა დააკვირდე, რათა მიხვდე, რომ თვალი გატყუებს: სინამდვილეში საგულდაგულოდ დაუთოებული, მხრებგანყობილი, ნახშირივით შავი კოსტიუმი აცვია, ქათქათა გულისპირზე აბრეშუმის ქრელი ჰალსტუხი უკეთია, ერთი სიტყვით, ყველაფერი პირველხარისხოვანია, გაკრიალებული, სათვალის სქელ მინებს მიღმაც ცისფერ თვალებს აბრიალებს და არა წყლისფერს, თმაც უფრო ქერა აქვს, ვინემ ჭალარა. მაგრამ საკმარისია, ვილის პერკონი თვალს მიეფაროს, მაშინვე მისტიკურად გარდაიქმნება ხოლმე,

მისი ტანსაცმელიც ძველდება და უფერულდება, იცვითება და იჭმუჭნება, მთელ მის ფიგურასა და სახეზე ისევე იმარჯვებენ უფერული, გამოსუნებული ფერები, როგორც მაშინ ხდება ხოლმე, როცა ადამიანს ჩრდილი ეცემა.

ვილისს არც სამუშაო აქვს ისეთი, სადაც დანინაურება შეიძლებოდა, დიდად საპატიოც არ არის, რომ საზოგადოებაში სახელსა და დიდება მოუხვეჭოს. იგი კოლმეურნეობის ბულალტერია და აქ, სამეურნეო საქმეში არ არსებობს შანსი, შთამბეჭდავი რეკორდი დაამყაროს, რაიმეს გადააჭარბო, ვინმეს გაუსწრო, საყოველთაო ყურადღების მიპყრობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ვინრო გზაზე შემთხვევით პროკურატურას გადაეყრები (მაგრამ ღმერთმა დაიფაროს ამგვარი ყურადღებისაგან — თფუ!).

და, მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ვილისს პერკონი აქ პოპულარული პიროვნებაა. მასზე იმისთანა დაუჯერებელ ამბებს ჰყვებიან, თავდაპირველად მეგონა, რომელიმე ადგილობრივი მიუნჰაუზენის ფანტაზიის ნაყოფია-მეთქი, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად რიგის ბიბლიოთეკაში საგანგებოდ არ წავიდი. დიდხანს ვიქექებოდი ძველ გაზეთებში, კინალამ მოთმინება და იმედი დავკარგე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ვიპოვე წერილი, რომელიც მთლიანად მომყავს:

„გასულ კვირა დღეს რაუდავის სატყეოს ტერიტორიაზე უჩვეულო შემთხვევა მოხდა, მურგალეს კოლმეურნეობის ბულალტერმა ვილისს პერკონმა მოკლა თეთრი კურდღელი, რომელსაც სისხლძარღვთა ერთიან სისტემასთან შეერთებული ორი გული აღმოაჩნდა. მეორე — „დამხმარე“ გული „ძირითად“ გულზე დაახლოებით ერთნახევარჯერ ნაკლები იყო. მეცნიერთა ერთსულოვანი აზრით, ამგვარი მოვლენა ცხოველთა სამყაროში უნიკალურად უნდა ჩაითვალოს“.

რა გასაოცარიცა და საეჭვოც არ უნდა გეჩვენოთ ეს, შავით თეთრზე სწორედ ასე იყო დაბეჭდილი. და რაღა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ იშვიათია ისეთი ზეიმი თუ მეგობრული ქეიფი, სადაც კიდევ ერთხელ არ გაიხსენონ და არ ისაუბრონ ამ შემთხვევაზე, რომელიც, მართალია, კარგახნის წინ მოხდა და დროთა განმავლობაში მისდამი ინტერესიც მიინახლა, რადგან ხანი გადის და თანდათანობით ყველაფერი ძველდება და ფერმკრთალდება, მაგრამ ოდესღაც გასაოცარმა ამ ნადავლმა და ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გაზეთში გამოქვეყნებულმა პატარა წერილმა მურგალელებს საბაბი მისცა, თუნდაც იმით მოეწონებინათ თავი, რომ ეს მათ კუთხეში მოხდა, შეემთხვა აქაურ მონადირესა და აქაურ ყურცქვიტას. ასე იყო თუ ისე, არავის შეეძლო თვით ამ ამბავში ეჭვი შეეტანა, რომელშიც მთავარი როლი თვითონ ბედმა ვილისს — სწორედ ვილისს პერკონს არგუნა და სხვას არავის იმ თექვსმეტ-ჩვიდმეტი მამაკაციდან, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ კურდღელზე ნადირობაში და ამ როლს თვითონაც სიამოვნებით იკისრებდნენ და, ვინ იცის, იქნებ საკუთარი თავი უფრო ღირსეულ კანდიდატად და პრეტენდენტადაც კი მიაჩნდათ. მაგრამ არა, ფორტუნას სწორედ ვილისი მოუვიდა თავში — როგორც ბედობლის ქალღმერთმა, ყველა ქალივით მიზეზიანმა და თავნებამ, სწორედ

ვილის პერკონი აირჩია, რომელიც თითქოსდა არაფრით იყო გამორჩეული.

ერთხელ, ავტობუსში ვილისის გვერდით რომ აღმოვჩნდი, ალბათ, ისევე, როგორც ბევრმა ცნობისმოყვარემ ჩემამდე, სიტყვა იმ საოცარ კურდღელზე ჩამოვუგდე, მაინც როგორ მოკალი-მეთქი. და მან, რასაკვირველია, პირველად კი არა და, უნდა ვიფიქროთ, რომ ფრცქუფუნასკენელად, მოკლედ მიამბო, რა როგორ მოხდა, თან არაერთგზის გაუხსენა ჩაბი, რომ ეს იყო სრულიად შემთხვევითი ამბავი და არც განსაკუთრებული ფხის გამოჩენა დასჭირვებია, არც ეშმაკობისა — მხოლოდ ცოტა იღბალი სჭირდებოდა, რომ შესახედავად ეს ჩვეულებრივი ყურცქვიტა გაეგორებინა, თოფის ორივე ლულა ხომ მეორე ნომერი საფანტით ჰქონდა დატენილი, მეტყევის ტაქსაც ყურცქვიტას პირდაპირ იქით მიერეკებოდა, სადაც ნომერზე ის იდგა. ვილისის წინ არც ბურქები იყო და არც სხვა ისეთი რამ, რაც კურდღლის დანახვაში შეუშლიდა ხელს, ყურცქვიტა კი, როგორც კურდღელს შეეფერება, მინდორზე გზას ხლართავდა და მოქროდა, წინ ვერაფერს ხედავდა, ხოლო პირდაპირ ვილისი აღმოჩნდა, რომელსაც, ღმერთმანი, შეიძლება ფეხებშორის გაძვრენოდა, ვილისი რომ არ შემკრთალიყო, მოულოდნელობისგან არ შემხტარიყო და ჩახმახი არ დაეცემინებინა. მერმე თოფმა დაიქუხა და კურდღელი გაგორდა, რადგან ამ ნდგომარეობიდან ტყვის დაცილება მხოლოდ დამბლადაცემულს ან ბრმას შეეძლო, ჰოდა არც დაუცილებია, სხვა კი — სხვა დანარჩენი, როგორც თვითონ განაცხადა, მისგან აღარ ყოფილა დამოკიდებული, ეტყობა, იმას გულისხმობდა, რომ სახელი და პოპულარობა ისე მოულოდნელი იყო მისთვის, როგორც ტყვია ნაცარასთვის, ვილისის ნება-სურვილისა და ყოველგვარი მცდელობის გარეშე რომ გავარდა. წყნარი, მონოტონური ხმით მიამბო ეს, მანჭვა-გრებისა და ღიმილის გარეშე, არც კი უცდია, თავი გამირად ან არწივად, უშიშარ ვაჟკაცად, ყოვლისმცოდნედ და დიდოსტატად წარმოედგინა.

სიმართლე რომ ითქვას, მის სიტყვებში ისეთი არაფერი ყოფილა, უსაფუძვლოდ, თითიდან გამოწოვილად მიგეჩნიათ, და თუმცა მისი ნაამბობი ოდნავ კომიკური იყო, მართლაც წმინდა სიმართლე შეიძლებოდა ყოფილიყო: განა არ ხდება, რომ ზოგჯერ წმინდა სიმართლე უფრო ჰგავს ნაკლებ სარწმუნოს, ვიდრე აშკარად შეთხზული სიცრუე და იგავ-არაკი? განა მურგალელ დედაბრებს სადღაც მოფარებულში თუ საქვეყნოდ არ გამოუთქვამთ ეჭვი, ამისთანა საოცარი მხეცის მოკვლა და გათავება უბრალოდ და ჩვეულებრივად არ შეიძლებაო, განსაკუთრებული ეშმაკობისა და მოხერხების, თაღლითობისა და ფანდის და იქნებ, ვინ იცის, შელოცვისა და ჯადოქრობის გარეშეც, უამისოდ ამნაირი მტარვალისა და ურჩხულის სულის გაფრთხობინება და საიქიოს გაგზავნა განა იქნებოდაო? მამაკაცებიც კი, რომლებიც, როგორც ძლიერ სქესს შეეფერება, ნაკლებ მიდრეკილებას იჩენენ უცნაურ მოვლენათა განმარტებისა და მათი გამომწვევი მიზეზების ძიებისადმი, ამ კომიკური ნაამბობისთვის ვილისს ხუმარასა და ახირებულს უნოდებდნენ, ეტყობა, დეტალებისა მაინცდამაინც არც მათ სჯეროდათ, თუმცა ვილისს უსიტყვოდ მიიჩნევდნენ პატიოსან კაცად.

თუ დატენილი ჰილზები არა გაქვს ან თოფის წამალი დაგისველდა, თუ

მთლიანად დაგეხარჯა საფანტი, მსხვილი თუ წვრილი, თუ მოსაწვევისა და სასმელ-საჭმელის გარეშე დარჩი, თუ წვიმასა ან მძაფრ ყინვაში, გინდა თუ არა, ერთი თლაშო მაინც უნდა გადაჰკრა, და არავის არაფერი აქვს, ყველანი ნაღვლიანად იტკეპნებიან ერთ ადგილას, აქეთ-იქით იცქირებიან და ტვინს იმაზე იჭყლეტენ, სად ან როგორ იშოვონ, ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ ვილის პერკონსა აქვს რაიმე შემოწახუფლუ და თუკი ბენვის ქურქის შიდა ჯიბეში რამე მოეპოვება ან უზსარწმუნებს, ხელმოჭერილი, კრიჭანგი კაცი არ არის და არავის არასოდეს გააწბილებს, „პრიმის“ კოლოფში დარჩენილ უკანასკნელ სიგარეტსაც მისცემს და მათარის ფსკერზე დარჩენილ უკანასკნელ ყლუპსაც დააღვევინებს. სანადიროდ წამოყვანილი ძაღლებიც კი, ნაცნობი თუ უცნობი გოშიები — ვისიც არ უნდა იყვნენ ისინი — ეწებებიან ვილის პერკონს, მის გარშემო მოჯადოებულებივით დაკუნტრუშობენ და პატრონებს ზედაც არ უცქერიან, ასე რომ ბენვში ამოგანგლულ მის ტანსაცმელს არ შეეხებება.

განა ასეთ ხასიათსა და ნიჭს არ შეუძლია პერკულესის კუნთები და დერსუ უზალას გამჭრიახი თვალი შეცვალოს?

დიახაც შეუძლია და ცვლიდა კიდევ, მათ მაგივრობას სწევდა. და როცა არონიისა და ციდონიის ნაყენში არეულ პერკონის მიერ ნაყიდ არაყს გადაჰკრავდნენ, კაცები არა მარტო იმას იხსენებდნენ, რა მარჯვე მსროლელი იყო იგი, ან მხოლოდ იმ საოცარ კურდღელზე როდი ყბედობდნენ. იხსენებდნენ, რომ ახალგაზრდობაში ვილისი ყოჩალი ბიჭი იყო, მიწინოს თვალი ჰქონდა, სმენა კი ზარნაშოსი, ამიტომ, როცა დაუგავპილსში მსახურობდა, ყველაზე თვალგამჭრიახ მსროლელად ითვლებოდა, მხოლოდ ერთი რიგელი ბიჭი სჯობნიდა ხანდახან, თუმცა უფრო ხშირად ვილისი გამოდიოდა გამარჯვებული. ამიტომ იყო, სამსახურს რომ ამთავრებდა, ზევადიან სამსახურში დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ კაპრალობა და ახალწვეულთა დევნა არ იყო მისი საქმე, არ ჰქონდა ამის ფხა, და სხვებიც, ვინც მასთან ერთად პარტიზანულ ომებში მონაწილეობდნენ, ადასტურებდნენ, რომ ვილისი დოყლაპია და ბეჩავი არასოდეს ყოფილა, იარალი მუდამ საათივით აწყობილი ჰქონდა, ჩვენი „დექტიარიოვი“ იქნებოდა თუ ნამდვილი „შმაისერი“. თანასოფლელები ამბობდნენ, ვილის პერკონი ისევ უნდა ავირჩიოთ მონადირეთა ამხანაგობის გამგეობის წევრად, უფროსობა დავაკისროთ და საზოგადოების კონფერენციაზე გავგზავნოთ, დავიყოლიოთ, რომ ისევ გამოვიდესო სიტყვით, მაშინ ხომ ყველაზე უკეთესი სიტყვა თქვა, ოდნავ ბუნდოვანი, მაგრამ ყველაზე მოკლე, და როცა ტრიბუნიდან ჩამოდიოდა, თითქოს საშველი დაადგაო, ოფლი მოინმინდა, თან ქალაღდს აწვალებდა ხელში, სახე ახალი უზალთუნივით უბრწყინავდა, პიჯაკის ღილ-კილოში კი წითელი მიხაკი ჰქონდა გარჭობილი და ნამდვილ საცოლვე ბიჭს ჰგავდა. ეს იყო უმშვენიერესი წუთი მთელი კონფერენციის მსვლელობის მანძილზე.

დარცხვენილი და ბედნიერი ვილის პერკონი ორივე ხელს იქნევდა და ამასლა ლულულულებდა: „გეყოფათ, გეყოფათ, რას ამბობთ“ ხომ არ გადაირიეთ, ოხრებო!“ — მერმე დაურთო, სიტყვის წარმოთქმა და ხალხის მეთაურობა ჩემი სტიქია არ არისო. სხვები კი ღრმთაზროვნად უქნევდნენ თავს და ეთანხმებოდნენ, სტიქია მართლაც გონებრივი რამ არის და, თუკი გაგაჩნია, ეშმაკიც ვერაფერს დაგაკლებს, მაგრამ, თუ არა გაქვს, ვე-

რავითარი ნაკურთხი წყალი ვერ გიშველისო. ერთი სიტყვით, პერკონს ყველანი ქება-დიდებას ასხამდნენ და აზრადაც არავის მოსვლია, იმ ცნობილი კურდღლის შემდეგ თორმეტი წლის განმავლობაში ნადირობისას რომ არაფერი მოუკლავს.

ის, რომ უკანასკნელ წლებში არ უმართლებდა და ვერაფერი მოკლა, ისევ და ისევ ვილისისგან გავივე, იმავე დღეს, რაუდავიდგანქანებით რომ ვბრუნდებოდით და კურდღლის ამბავს მიყვებოდა. უკანასკნელ ხანს ნადირობაში რა მიღწევები გაქვთ-მეთქი, და მოიღუშა. მივხვდი, რომ არ უნდა მეკითხა, მაგრამ რას ვიზამდი, სიტყვას უკან ხომ ვერ დავიბრუნებდი. და მაინც — ჯეროვანი უნდა მიეზლოს — არც ახლა აურიღებია თავი პასუხისთვის, ბაქიბუქი არ დაუწყია, ოდნავ შემცბარმა ვაჟკაცურად აღიარა, არც ტყისქათამა მომიკლავს, არც იხვი, არ ჟრუნი და არც ჩიბუხა, არას ვამბობ სოლოსა და როჭოზე, მხოლოდ ერთ ურჩხულს გავაფრთხოვინე სული, ისიც მალულად, მიპარვით. ეს იყო უპატრონო კატა, ნაღდი ეშმაკის ფეხი: უტიფრად ძარცვავდა ბუდეებსა და გალიებს, თუმცა, როგორც შემდეგ გამოირკვა, სულაც არ ყოფილა უპატრონო, მანანწალა, მოხეტიალე და ყარიბი, თურმე ჩვენს ერთ-ერთ მეზობელთან ცხოვრობდა, მაგრამ სახელდობრ ვისთან, გასაგები მიზეზების გამო, ჯობია არა ვთქვაო. ვიცოდით, ვის დაეკარგა კატა, მაგრამ ვილისს არ ვუთხარი: იგი ისედაც ძალზე დარცხვენილი ჩანდა, რადგან ხმამაღლა წარმოთქმული გულახდილი აღიარება, ალბათ, მისთვისაც საკმაოდ გულსატკენი იყო.

ერთხანს სავარძელზე უხმოდ წრიალებდა და ცმუკავდა, მაგრამ ვეღარ მოითმინა, საუბარი განაახლა, დაიჩივლა, თვალს დამაკლდაო, და კონკრეტულად თქვა: მარცხენა თვალი ამა და ამ დიოპტრიისა მაქვს, მარჯვენა — ამა და ამისაო, ალბათ, ეგონა, ამ საკითხში საკმაოდ გარკვეული ვიყავი და ეს რიცხვები მის მდგომარეობაზე გარკვეულ წარმოდგენას შემიქმნიდა. თუმცა ამ რიცხვებს ჩემთვის არაფერი უთქვამთ, მაინც მივხვდი, რომ ძალზე ახლომხედველი იყო. ადრე კი არწივის თვალები მქონდაო, უფრო ნაღვლიანად დაუმატა, ვინემ ტრაბახით. და, აი, ერთ დღეს, სულ რაღაც ერთ წამში ყველაფერმა ჩაილურის წყალი დალია, როგორც თვითონ თქვა, ისე აორთქლდა, არც გაუგია, მადლობა ღმერთს, რომ მამა-პაპის კვალს არ გაუდგა და ხელ-ფეხი მაინც შერჩა მთელი, ასე რომ, არაფრის მიკერება არ დასჭირდა, მხოლოდ თავზე დაადეს მცირე საკერებელი.

ყურმოკვრით გაგონილი მქონდა, რომ ვილის პერკონი ტყეებში პარტიზანობდა, და ვეღარ დავმალე ცნობისმოყვარეობა — ეს ამბავი მაშინ ხომ არ შეგმთხვევია-მეთქი. თავი გაიქნია. არაო, მითხრა, ეს მერე მოხდაო. ტყეებში წელიწადზე მეტ ხანს ვიბრძოდი და უბრალო განაკანრიც არა მქონია, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, სურდოც არ შემყრიაო, მითხრა ვილისმა, მუდამ სველი და გათოშილები ვიყავით, მაგრამ ცხვირიდან წვინტლი არასოდეს გადმომდენიაო. სულ ბოლოს კი, ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის გაზაფხულზე, როცა ეგონა და ფიქრობდა, რომ ბედმა გაუღიმა და ამ ორომტრიალიდან სალსალამათი გამოაღწევდა, სწორედ მაშინ მოხდა ის ამბავი, კურზემის ალყის დროს — ფაშისტების ყუმბარის ნამსხვრევმა მძიმედ დაჭრა. როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ომში,

ყველაფერი მოულოდნელად მოხდა, თვალის დახამხამების უმაღლეს: აგიზგიზდა ცეცხლი, სვეტივით ავარდა მალლა მინა და მან ისლა მოასწრო, გაოცებით წამოეძახა: „შეხე, სიკვდილიც არ მეწვია!“ — მხოლოდ ამის წამოძახება მოასწრო, სანამ უკუნეთი მაჯლაჯუნასავით დაწვებოდა.

დიდხანს ვერ მოდიოდა გონს, მაგრამ როცა აზრი დაუბრუნდა, ვერ გაეგო, რა მოხდა. რაღაც სიმძიმე დააცხრა თუ თუჯის ქვაბით ჩამოეშხო, ქვაბქვეშ კი უკუნი სიბნელე და წკრიალა სურათი სრულდა. უნდოდა, ხელით მოეშორებინა, გადაეგდო ეს სიბნელე, გაქცეოდა, სინათლესა და თავისუფლებას დაბრუნებოდა, მაგრამ ხელები თითქოს მისი აღარ იყო, ვეღარც ფეხებს გრძნობდა, თავისთვის ეწყო, მის გვერდით. თითქოს ასო-ასო იყო აქნილ-დანაწევრებული, თავი ნამჯითა და მინით შქონდა გატენილი, რაიც განუწყვეტლივ წკრიალებდა და შრიალებდა, როგორც თუნუქის ვედროში, მუცლის ღრუ კი ცარიელი ეჩვენებოდა, თითქოს შიგნეული ამოეცალოთ. გამწარებული აფათურებდა ხელებს გარშემო და ცდილობდა, თავის სხეულის ასოები და ნაწილები აეკრიფა, თითქოს მძიმე ტვირთი აწვაო, ძლივს ინძრეოდა, მშველელს უხმობდა, მაგრამ საკუთარი ხმა თავადაც არ ესმოდა. გარშემო მსტვინავი, ზუზუნა ღრიანცელი იდგა, რომელშიც ხანგამოშვებით კენესისმაგვარი ხმა გამოერეოდა ხოლმე — ვიღაც მის გვერდით იწვა და გატანჯული ხმამალლა კენესოდა, მისი კენესა უფრო ბლავილს წააგავდა, ვერ გაერკვია, ადამიანი იყო თუ მხეცი, გარშემო ხელს აცეცებდა, უნდოდა ეპოვა, მაგრამ ვერ მიაგნო. დაახლოებით ასე იყო, დაურთო დამნაშავის ღიმილით, თითქოს თავს უხერხულად გრძნობდა, რომ თავისი განსაცდელი ასე გრძლად და დანვრილებით მიაშხო, რამაც გამაოცა აღქმის უჩვეულო სიზუსტითა და ხატოვნებით. ამას კი არავითარ შემთხვევაში არ მოველოდი ამ უფერული, უთვალტანადო კაცისაგან, ამ სათვალისანი ქალაღდის ჭიისაგან.

სმენა თანდათანობით დამიბრუნდა, განაგრძო მან, თუმცა, ცხადია, უწინდელთან შედარებაც არ შეიძლება, მხედველობა კი არც მანამდე მივარგოდა, ამას მხედველობას ვერც კი უწოდებ, უფრო სიბრმავეაო. რიგის პოსპიტალში მიუყვანიათ და ოპერაცია გაუკეთებიათ, მაგრამ დიდი ვერაფერი შედეგი მიუღიათ. მერე თვით ფილატოვის თვალის კლინიკაში გაუგზავნიათ, სადაც ორჯერ გაუკეთეს ოპერაცია, სანამ საბოლოოდ ოდნავ მაინც არ აღუდგინეს მხედველობა. რა თქმა უნდა, არწივად ვერ გადამაქციეს, მაგრამ იმისთვისაც მადლობელი ვარ, რომ ის საოცარი კურდღელი მაინც მოვკალიო, დაურთო და გაიცინა.

არც მანამდე და არც მას შემდეგ მინახავს, ისე სიტყვამრავალი ყოფილიყოს, როგორც მაშინ იყო, ავტობუსით მგზავრობისას. იქნებ, ეს იმის ბრალი იყო, რომ შინ ცოტა გადაკრულში ბრუნდებოდა, რაც, როგორც ცნობილია, ადამიანს ლაპარაკის საღერღელს უშლის, ოღონდ მსმენელი იპოვოს, ამისთანა მსმენელი კი მე გამოვდექი; თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ იმ დღეს რაუდავაში საქმე წარმატებით დაავირგვინა, რამაც გუნება გამოუკეთა, საღერღელი აუშალა და ჩემს ადგილას შეიძლებოდა ნებისმიერი სხვაც აღმოჩენილიყო.

ასე იყო თუ ისე, სანამ მურგალეში ჩავიდოდით, ვილის პერკონისგან გავიგე, თუ როგორ იბრძოდა პარტიზანებთან ერთად, რაც მან ისეთივე თავისებური კილოთი მომითხრო, როგორითაც კურდღლის მოკვლის ამ-

ბავი. ასე რომ, ვერც გაიგებდი, რას ამბობდა სერიოზულად და რას — არა, რა უნდა დაგეჯერებინა და რა არა, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად იგრძნობოდა — თავის დამსახურებას ოდნავაც არ აზვიადებდა, თავის პიროვნებას საგანგებოდ არ წარმოაჩენდა, არ ცდილობდა, თავი იმაზე უკეთესად და უფრო ჭკვიანად ეჩვენებინა, ვინემ სინამდვილეში იყო, უმაღლესი პირიქით ხდებოდა. მაგალითად, არაერთხელ თქვა, პარტიზანული მეთოდებით გავხდით. მაშინ პოლიტიკისა ისე გაეგებოდა, როგორც ლენინს სწორ-თოხლისა, და საერთოდ მათი ოჯახი პოლიტიკისგან შორს იდგა. ეშინოდა მისი, როგორც ცეცხლისა და ჭირისა, მიაჩნდა, რომ პოლიტიკა ბატონების საქმეა, გლეხუჭას კი მაინც ბრანწს უჩვენებენ და ჭიტლაცს ამოჭკრავენ.

როცა ლეგიონს აყალიბებდნენ და სამობილიზაციო უწყებები მოჭკონდათ — მოხალისეებად ჩაენერეთო, ბედმა გაუღიმა და პირველ ხანებში შეძლო თავი დაეძვრინა, თუმცა იმ ასაკისა იყო, რომ განვევა უნევედა. მისი ყოფილი თანაკლასელის მამა ფერშლად მსახურობდა და ერთ გაიძვერა ექიმს იცნობდა, ის კი თავის მხრივ სხვა ექიმის ნაცნობი აღმოჩნდა, მოკლედ რომ ვთქვათ, საკმაოდ რთული და ეშმაკური კომბინაციის შემდეგ, რომელშიც ერთი ათფუთიანი ქოსშენი გაიხლართა და შეენირა კიდევ, ვილის პერკონმა მიიღო ბეჭდიანი ცნობა, რომელზედაც არწივი იყო აღბეჭდილი, ხელმოწერაც ჰქონდა და ოფიციალურად ადასტურებდა, რომ მას ჭლექი სჭირდა. საექიმო საქმეში ოდნავ მაინც ჩახედულ კაცს რენტგენის სურათიც თავზარს დასცემდა, რადგან ფილტვების ასეთი დაჩრდილვით ადამიანი ამ ცოდვილ დედამიწაზე ორ-სამ თვეს თუ გაძლებდა, სულ დიდი ნახევარ წელიწადს, მიუხედავად ყოველივე ამისა, მან მაინც თითქმის მთელ წელიწადს იცოცხლა, მგონი, კიდევ აპირებდა სიცოცხლის გაგრძელებას, სულაც არ სურდა ნესტიან მიწას მიბარებოდა, თანაც ამ ეშმაკის ფეხს წონაშიაც არ უნდოდა დაეკლო, — ეს კი მედიცინის სასწაული იყო, სხვა არაფერი.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ის ექიმი წაიყვანეს და მან, ვილის პერკონმა, რომელსაც „ტყვიაში“ მრავალჯერ ამოუკითხა გეგმაზომიერი უკანდახევის უპირატესობისა და მიზანშეწონილობის ამბავი, გადაწყვეტი, რომ არც მას აწყენდა ამ საგაზეთო აღმოჩენიდან ზოგი რამ ესესხა, და კარტოფილის ორმოებისკენ აუჯანყებლად და გეგმაზომიერად დაიხია, სადაც, სამწუხაროდ, ცუდი ჰაერი იყო, უვარგისი, მავნებელი და ნესტიანი, როგორც სამარეში, თვითონ ადგილიც არ ვარგოდა — ძალზე ახლო იყო სახლთან, გზასა და შუცმანთა საგუშაგოსთან. და მან გაქცევა გადაწყვიტა, ხალხს უნდა გასცლოდა. ტყის ველობზე სათივე ფარდული აღმოაჩინა და იქ გადაბარგდა, თან წაიღო ერთი-ორი ხელი ტანსაცმელი, ცოტაოდენი საჭმელი და მამის ლოცვა-კურთხევა. მაგრამ გამოირკვა, რომ ფარდული დაკავებული ყოფილა. ვილისი კინაღამ ორთავე ფეხით გაება მახეში და იმ არეულ-დარეულობაში, ცხელ გულზე შეიძლებოდა ტყვიაც ევრათ, რადგან ხალხმა, ვინც მას ფარდულის დაკავება დაასწრო, მაძებრად და ჯაშუშად მიიჩნია, თუმცა პერკონი ასეთი ვინმე სულაც არ ყოფილა, აქ მხოლოდ მანამდე აპირებდა დარჩენას, სანამ მდგომარეობა განიმუხტებოდა, მეტი არაფერი სურდა და — ღმერთმა დაიფაროს, არავისი სისხლი არა სწყუროდა.

ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მისი ბედი, იმ დღეს ტყის ველობზე, წყაროსთან ის სამ ბიჭს რომ არ გადაჰყროდა. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, შუცმანებს ჩავარდნოდა ხელში და სადმე საჯარიმო/ბატალიონში დაღუპულიყო ან, რაც უფრო შესაძლებელია, მივარდნილ ადგილას დახვრეტდნენ, როგორც დეზერტირს. მაგრამ შემთხვევამ, ხაზი გაუსვა პერკონმა, რომელმაც შემდგომშიაც არაერთი ოინი მიყო, მისი ბიჭებს ოშკალნის ხალხს პირისპირ შევეყროდი და ყველაფერი ამას გადავწყვიტაო. იგი პარტიზანი გახდა, ესე იგი, პოლიტიკაში ისე სეროზულად და კაპიტალურად გაება, რომ შეიძლებოდა არა მარტო ჭიტლაყი ამოეკრათ, კისერიც მოეტეხა, მაგრამ მაინც, როგორც თვითონ თქვა, გაკანწვრითაც კი არაფერი გაკანწვრია. ასე გაგრძელდა ორმოცდახუთი წლის გაზაფხულამდე, როცა — მაშინ უკვე საბჭოთა არმიაში მსახურობდა — ფაშისტთა ყუმბარის ნამსხვრევმა დაჭრა, მაგრამ ეს ამბავი თქვენც იცითო...

ყველაფერში, რასაც ვილის პერკონი მიაშობდა, იგრძნობოდა იშვიათი, გულის მომგები პირდაპირობა და გულკეთილობა, უეშმაკო გულახდილობა და სისადავე, რაიც მხოლოდ ბავშვებსა და ხანდაზმულ ადამიანებს ახასიათებთ, მაგრამ ის არც ერთი იყო, არც მეორე. მას გააჩნდა რალაც საოცარი მომხიბლველობა, რაც მხოლოდ მაშინ ვლინდებოდა, როცა ლაპარაკობდა, თუმცა საერთოდ უფრო ხშირად პირიქით ხდებოდა. ამ მგზავრობის შემდეგ უკვე აღარ მჯეროდა, რაც მანამდე და მას შემდეგ გამიგონია ვილის პერკონისა და რიტმას ურთიერთობის შესახებ. საკმარისი გახლდათ, ეს წყვილი ხალხში გამოჩენილიყო, რომ მათ ასაკსა და გარეგნობაში არსებული შეუსაბამობა ადამიანს თვალში მოხვედროდა, რაც ხანგამოშვებით მითქმა-მოთქმის თემა ხდებოდა. ჰოდა, მაშინ ვილაც, სხვათა შორის წარსულს მოიგონებდა, როცა ვილის პერკონი ახალგაზრდა რიტმას დაუახლოვდა, მოიგონებდა, როგორ მოხდა ყოველივე, როგორ მიატოვა ლიდია ვილისმა, მაგ უსინდისომ. ლიდიას ხომ მისთვის მხოლოდ სიკეთე უკეთებია, სხვა არაფერი, თავს ევლებოდა, ბანდა, ურეცხავდა, როგორც უფლისწულს, ესათუთებოდა და ელოლიავებოდა, როგორც პატარა ბავშვს, ჩემო საცოდავო ავადმყოფო, ჩემო ფისუნიაო, სანამ ერთ მშვენიერ დილას ეს „საცოდავი ავადმყოფი“, როგორც ხვად კატებს ჩვევით ხოლმე მარტის თვეში, სხვა ძუ კატასთან არ აღმოჩნდა: მოიგონებდა, როგორ გაჰყვა რიტმა ცოლად, ცხადია, ანგარებით, აბა, რატომ უნდა გაჰყვეს ასეთი მშვენიერი გოგო კაცს, მასზე ორჯერ უხნესი რომ არის და ამავ დროს შეუხედავიც — არც ტანი უვარგა, არც სახე, მხოლოდ სათვალის მინები უბრდღვიალებს ფარებივით. საკმარისი იყო, პერკონს თავისი მედლები გაეფლარუნებინა, რომ რიტმას თვალები დაბრმავებოდა, ქალები ხომ კაჭკაჭებს ჰგვანან, ბრჭყვიალა სამშვენიისებზე ჰკარგავენ ჭკუას. ახლა კი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რიტმა ქმარს ღალატობს, ეს უეჭველია. ერთი მალაზიაში შებრძანდით და მოუსმინეთ, ყველა მამაკაცს ეპრანჭება: ხი-ხი-ხი და ხა-ხა-ხა, თვალებს აბრიალებს, მწველ ნაპერწკლებს აფრქვევს, მარტო კასპარსონის „ზაპოროჟეცში“ როდი უნახავთ, ვოიცებოვსკის ჯაბახანაშიაც მჯდარა, თურმე ახალგაზრდა მექანიზატორსაც გაჰყოლია სადღაც ტრაქტორით, ღმერთმანი!

ასე ხდება ჩვენთან, მურგალეში, ასე ჭორობენ ცოლ-ქმარ პერკონებზე. მაგრამ რომელ ქალსა და ქალიშვილს არ გაუვლია თავის დროს ამის-

თანა მითქმა-მოთქმის და ჭორების რაბში. ზოგიერთი ავსიტიყვაობისა და ცილისწამების კიდევ უფრო დიდ ორომტრიალში მოხვედრილა და გასაკვირია, როგორ არ შემოახიეს ტანსაცმელი, როგორ შეინარჩუნა ჯეკანასკნელი ნაფლეთი, რომ სიტიტვლე დაეფარა. შეიძლება ილაპარაკო, ილაყბო, მაგრამ სანამ უნდა არატრატო ენა, თუ პერკონისას ისეთი არაფერი ხდება დრო გადის, მაგრამ ისეთი მაინც არაფერი ხდება, რამდენიმე საღელვოს, სისხლი აამღვრიოს და ვნებათა ღელვა გამოიწვიოს.

შაბათობით და კვირაობით დილაადრიან, თორმეტკალიბრიანი „ზაუერით“, დასაკეცი სკამით, რომელიც ქალის ქოლგასა ჰგავს, სათადარიგო ვაზნებითა და ყოველი შემთხვევისათვის წამოღებული ერთი წყვილი ზედმეტი მატყლის წინდით, აგრეთვე ძეხვის ბუტერბროდებითა და, რასაკვირველია, მათარით აღჭურვილი ვილის პერკონი მიდის მონადირეთა თავშესაყარი ადგილისაკენ, სალამოს კი, რომ დაბნელდება, ბრუნდება შინ, ხან ფეხით, ხანაც „რაფიკით“, მაგრამ აუცილებლად შეზარხოშებული, თუმცა არავის შეუნიშნავს, რომ პერკონებს ჩხუბი აეტეხოთ, ან რიტმას ქმარი გაეკიცხოს, ან ვინმესთან დაეჩივლოს და ცრემლი ეღვაროს. და, მიუხედავად იმისა, რომ პერკონებზე ბევრს ჭორაობდნენ, მათ ჭუჭყიან თეთრეულში იქექებოდნენ, მათი ოჯახური ცხოვრება სინამდვილეში მურგალელთათვის სრულ საიდუმლოებად რჩებოდა.

ორგულიანი კურდღელი, ანუ მოთხრობა ვილის პერკონზე და რიტმაზედაც

ვილისი საჭმელს შეექცეოდა, ქალი კი უცქეროდა, როგორ ჭამდა. ტრანზისტორი, პატარა „სელგა“, ცოლ-ქმარს შორის რომ იდგა სამზარეულოს მაგიდაზე, ყავადანის გვერდით, დღის კონცერტს გადმოსცემდა და მამაკაცის საამო ხმა უცხო ენაზე მღეროდა:

გავჩენილვართ ერთურთისათვის
მე და შენ, შენ და მე...

რიტმამ გერმანული არ იცოდა და მისთვის სულ ერთი იყო, რას მღეროდა კაცი საამო ხმით, მაგიდის ქვეშ მუსიკის რიტმს აყოლილი მისი ფეხები მოძრაობდნენ, თითქოს ტაქტს ითვლიანო, თითქოს ცეკვავენო — თავისთავად მოძრაობდნენ წინ და უკან, მარცხნივ და მარჯვნივ, ქალი არ ფიქრობდა, რას შვრებოდნენ მისი ფეხები, მაგიდის ქვეშ მისგან დამოუკიდებელ არსებებივით რომ მოქმედებდნენ, იმ დროს, როცა თვალებში სერიოზულად და მონყენით უცქეროდნენ ვილისს, მის შუბლსა და ცხვირს, ნიკაპსა და სათვალეს, რომლის მიღმაც არ ჩანდა თვალები, რადგან მინებში ირეკლებოდა ნათურა, რადიო და რიტმას გამოსახულება, და ვერ გაიგებდი, საერთოდ ხედავდა თუ არა ვილისი ქალს, როცა ტოლჩას მონშორებდა და ხანგამოშვებით მაინც პირდაპირ რიტმას შეხედავდა, ან მზერა სადღაც, სხვაგან გაექცეოდა და იქ ფათურობდა, სადაც ფიქრებით იყო წასული. ხოლო უცხოელი, ვისაც არაფერი ესაქმებოდა მათთან ან მათ ფიქრებთან და გრძნობებთან, თავისას მღეროდა. მღეროდა რაღაცით გატაცებული და შთაგონებული, აღტაცებული და ფრთაშესხმული, რით იყო ეს გამოწვეული, რიტმას ვერ გაეგო, მას არაფერი ესმოდა, არც ერთი

სიტყვა, და მხოლოდ ვილისს უცქეროდა, ნიკაპით ხელებს დაყრდნობოდა, იდაყვებით — მაგიდას. ქალის გამოსახულება ვილისის სათვალეში პანანკინტელა და უცნაური ჩანდა, სინამდვილეში ორი ანარეკლი იყო — თითო მინაში თითო ანარეკლი, და გეგონებოდა, რომ იქ ორი რიტმა იჯდა, ორი გასაოცრად ერთნაირი და იმდენად ახალგაზრდა რიტმა, რომ ქალს ცული შეუქანდა, თუმცა ქალური ალლოთი თითქმის შეუცდომლად გრძნობდა, რომ ქმრის მხედველობის არის მიღმეუბნებოდა. რიტმა ვილისის პირდაპირ იჯდა, ისე ახლოს, მის სახეზე თითოეულ ბენვსა და ფორს ხედავდა, მაგრამ მისგან თითქოს მინის კედლით იყო გამიჯნული, განმარტოებული.

ვილისმა პური ჩაკბინა და უცებ გაიმართა წელში, ყურები ცქვიტა, თავი ფანჯრისკენ მიაბრუნა, რომლის მიღმაც სიბნელეში ჯერ კიდევ არაფერი ჩანდა, და ჭამა შეწყვიტა.

— რაო, არ მოვიდნენ? — იკითხა კაცმა, რადიოს ხმაურში რომ ცდილობდა გარედან შემოჭრილი ჩქამის გაგონებას, და ლუკმა გადაყლაპა. ვერ გაიგებდი, ქალს ეკითხებოდა თუ ხმამალა ფიქრობდა.

— არა, არ მოსულან, — ჩაილაპარაკა რიტმამ, ხელი გაიწვინა და მუსიკა წამით გამორთო, რათა ვილისი თავადაც დარწმუნებულიყო. თუმცა შეიძლებოდა ყოველ წამს მოსულიყვნენ. და სანამ მოვიდოდნენ, ვილისმა ჭამა განაგრძო, აუჩქარებლად ილუკმებოდა, ოღონდ წვეტიანი ყურები ულაპლაპებდა მღელვარებისა და მოლოდინისაგან, გეგონებოდათ, დაუცქვეტიანო.

რიტმამ ისევ აუწია რადიოს, ნიკაპით ხელებს დაეყრდნო და ისევ, როგორც წუთის წინ, ვილისს შეაჩერდა, „სელგადან“ კი ისევ იღვრებოდა მხიარული მელოდები — მომავალი დღის პრელუდია. ქალი არაფერს ეკითხებოდა, მან ისედაც ზუსტად იცოდა, რა და როგორ მოხდებოდა, და ისევე, როგორც ვილისი, ყურადღებას ძაბავდა, იჭერდა გარედან შემოჭრილ ხმაურს, მაგრამ ვილისისგან განსხვავებით ხმაურს შეუგნებლად აყურადებდა, ურთიერთსანინაალმდეგო გრძნობებით, თვითონაც არ იცოდა, იმ წამის დადგომის გაჭიანურებას ცდილობდა, როცა ქმარი უნდა წასულიყო, თუ პირიქით, მხოლოდ იმასლა ელოდა, ბოლოს და ბოლოს როდის გაიგონებდა გარედან ძრავის გუგუნს, როდის შეწყვეტდა ვილისი ჭამასა და ყავის სმას, როდის გავარდებოდა კარისკენ რეზინის ჩექმების ბაგაბუგით და იატაკის ფიცრებს ააჭრაჭუნებდა, თან გზადაგზა აიტაცებდა სკამის ზურგზე გადაკიდებულ კურტაკს, ჩამოსაკიდზე დაკიდებულ ქუდს, იატაკზე მიგდებულ ზურგჩანთას და კედელზე მიყუდებულ თოფს — ერთი სიტყვით, მოასწრებდა ყველაფრის ერთდროულად გაკეთებას, თითქოს ოთხი ხელის პატრონი მაინც ყოფილიყო.

კვირა დღე იყო და, თუკი მოისურვებდა, რიტმას შეეძლო არ ამდგარიყო: მაღაზია არ მუშაობდა, როგორც ყოველთვის, ორივე ვაჭიშვილს ღრმად ეძინა, პირუტყვი კი პერკონებს არა ჰყავდათ, რომლის გამოც გამთენიამდე თუ არა, გათენებისთანავე მაინც უნდა წამომხტარიყვნენ, სამუშაო დღე იქნებოდა თუ უქმე. ვილისი ყავასაც თავისით მოიდუღებდა და ბუტერბროდებსაც გაიმზადებდა, მაგრამ მალვიძარას ზარმა ქალიც წამოაყენა და, როცა უნებურად გაღვიძებულმა რიტმამ ფანჯრის მიღმა დილის ბინდბუნდში ვარსკვლავები დაინახა, გაიფიქრა, მზიანი დღე იქ-

ნება, ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბო და ზენრები, ბალიშის პირები, პირსახოცები და პერანგები დავრეცხო, რადგან თეთრეული, ქარი რომ დაუქროლებს და ყინვა დაჰკრავს, გაცილებით უფრო ქათქათა და სულ სხვა სუნი აქვს, ვინემ სამზარეულოში თუ ოთახში ღუმელზე გაკიდებულს, სადაც სითბოში უფრო იორთქლება, ვიდრე შრება, თანაც სანამ იქ მკიდია, ხელახლა გაჭუჭყიანებასა და შემჭვარტვლას ასწრებს, რადგან თეთრეულის გარეცხვა გადანყვიტა, რიტმას არ შეეძლო სანოღმურეულებთან, იგი წამოდგა, სამზარეულოში გავიდა, ცეცხლზე ყავადანი შემოდგა და პურზე კარაქის წასმას შეუდგა, თუმცა ჯერ არ შიოდა — ასე ადრე არასოდეს ჭამდა ხოლმე, როდესაც ძილისაგან ხეირიანად არ გამოფხიზლებულიყო და სხეულში მოთენთილობასა და მოდუნებას გრძნობდა. მას ისლა შეეძლო, მჯდარიყო და ეცქირა, როგორ საუზმობდა ვილისი, რომელსაც დილასაც მშვენიერი მადა ჰქონდა და სალამოსაც და ისლა დაგრჩენოდათ, გაოცებულიყავით, რას უშვრებოდა ამდენ საჭმელს, რომელსაც თითქოს უძირო კასრი ნთქავდა, რადგან ვილისი ჩხირივით ხმელი კაცი იყო — ისეთი გაძვალტყავებული, რომ შეგეშინდებოდათ.

იქნებ ამ სიგამხდრის გამო იყო, რომ მასზე ხმები დადიოდა, ახალგაზრდობაში ჭლეტი სჭირდაო, რასაც თვითონ უარყოფდა, მაგრამ ცოლს ხომ არ მოატყუებდა — რა აზრი ჰქონდა ცოლის მოტყუებას, თუ სენი მართლა სჭირდა ოდესღაც და განიკურნა.

არადა, ხორცი ოდნავ მაინც რომ მოეხება, ზედმეტი არ იქნებოდა, ოღონდ ეს ადამიანის ნება-სურვილზე არ არის და, როგორც გამოცდილება ადასტურებს, საქმეს ვერც მშვენიერი მადა უშველის. უბრალოდ, ვილისი იმ ყაიდის ადამიანებს განეკუთვნებოდა, რომლებსაც ხალხი ჩვეულებრივ ღორმუცელას უწოდებს, მაგრამ რიტმასგან განსხვავებით, საჭმელი არა რგებდა. ქალი კი ხანდახან მთელ დღეს ფეხზე ჩამოწყდებოდა, სულის მოთქმისა და ხეირიანად დანაყრების დრო არა ჰქონდა, თუმცა მაინც ჩათქვირებული იყო. ბიჭებიც მათ ჰგვანდნენ: აიგარი მამის ალიკვალის გახლდათ, მასავით გაძვალტყავებული, მაშინ, როდესაც ათისი, უმცროსი ვაჟი, დედას გამოემგვანა, მასავით ჩამრგვალელებული და კნუტივით ალერსიანი იყო. ასე ფიქრობდა რიტმა, რომელსაც ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, დაეკავებინა ქმარი და არ გაეშვა სანადიროდ, თუ, პირიქით, ჩქარა გაესტუმრებინა, რომ თავისუფლად ამოესუნთქა და ფეხებში არ გაბლანდვოდა, რადგან ვილისს ოჯახური საქმე მაინც არ ეხერხებოდა. მაგიდის ქვეშ კი მისი ფეხები განაგრძობდნენ მოძრაობას, მუსიკის ხმაზე ხალისიანად დაგოგავდნენ წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, თითქოს თავისთავად როკავდნენ, ტაქტს ითვლიდნენ. სახეზე დაბნეული ღიმილი აღბეჭდვოდა, ვერ გაიგებდი, ვის ეკუთვნოდა ეს ღიმილი, თვალები კი ვილისისთვის მიეპყრო, პირდაპირ ველისისთვის, ყურადღებითა და სერიოზულად, ნალვლიანად და თითქოს მჭმუნვარედაც კი უცქეროდა.

მოვიდნენ!

ორთავემ გარკვევითა და უმაღლ გაიგო მათი მოსვლა, რადგან ტრანზისტორი, პატარა „სელგა“, დილის კონცერტს რომ გადმოსცემდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაფარავდა მიკროავტობუსის გუგუნს და თუხთუხს. და ყველაფერი თითქმის ზუსტად ისე მოხდა, როგორც რიტმას წარმოედგინა: ვილისი გველნაკბენივით წამოხტა, ჭიქაში ჩარჩენილი ყა-

ვა ერთბაშად გადაჰკრა, სწრაფად და მარჯვედ შეიტენა პირში ბუტერ-ბროდის ნარჩენი და თითქოს მეფოკუსეაო, უკვე სირბილით მიმავალმა ერთი ხელით აიტაცა კურტაკი, მეორით — ქუდი, მესამით — ზურგჩანთა და მეოთხით — თოფი.



— აიგარ! ათის!

ჩამიჩუმიც არ ისმის, არც კი ინძრევია.

— აიგარ, რა არის ეს, ბოლოს და ბოლოს?

— მმ?..

— ადექი, სანამ უნდა იძინო!

— ჰო...

— აი-გარ!

ბიჭი, თითქოს მას არ ეძახიანო, საბანქვეშ ზანტად გადატრიალდა და ხვრინვა თუ ქშინვა დაიწყო, რაც, რიტმამ იცოდა, დიდი წყენის ნიშანი იყო.

— გესმის თუ არა? — ქალმა მოთმინება დაკარგა.

— რა გინდა-ა?

ბოლოს აიგარმა თვალები გაახილა და ქერა წამწამების სიღრმიდან დედას დაბნეული შეაცქერდა.

— აიგარ!

— რომელია?

— რა რომელია?

— რომელი საათია-მეთქი.

— ათი საათია! — უთხრა დედამ.

მაგრამ უკიდურესად განაწყენებული ბიჭი ანუნუნდა და ანკმუტუნდა:

— ჯერ ათი ყოფილა... კვირასაც არ გაცლიან გამოძინებას. ღმერთ-მანი, ინკვიზიციაა!

— ახლა არ ატირდე, — მოუჭრა ქალმა, რომელიც გრძნობდა, რომ თითქმის ამოუნურავი მოთმინება ამოუნურა. თუ არ შეანჯღრიე, მთელი დღე ასე იკოტრიალებსო, როგორც აპირებდა, მაშინვე უნდა აეყენებინა, რვის ნახევარზე — არაფერი დაუშავდება, იმუშაოს, უკვე პატარა აღარ არის, მეთექვსმეტეში გადადგა, შეუძლია დამეხმაროს, ხელი წამაშველოსო. მაგრამ, პირიქითაა, ყველა მისგან ელის, რომ მოემსახუროს, მოუაროს, აულაგოს და სუფრა გაუშალოს. ასეა ძლიერი სქესი, მამაკაცების მოდგმა. მის გარდა, ყველასათვის არსებობს უქმე დღე, ყველასათვის.

ქალმა აიგარს თავი გაანება, კარი გაიჯახუნა და სამზარეულოში დაბრუნდა: იძინოს, რამდენიც უნდა, სიტყვასაც აღარ ეტყვის, აცხოს ძილი მშიერმა. შევიდა თუ არა სამზარეულოში, სავსე ავზიდან ქაფქაფა წყალი გადმოვიდა და ღუმელზე აშიშინდა, ჰაერი ორთქლით გაიჟლინთა, აღარაფერი ჩანდა, როგორც ქვესკნელში.

კვირააო, ისევ გაიფიქრა ქალმა, როცა სარეცხ მანქანაში ყრიდა თეთრეულს, თითქოს ამ სიტყვისგან თავი ვერ დაუხსნიაო. რატომღაც გონებაში ჩაეჭვდა და ვერ მოეშორებინა ეს სიტყვა, თითქოს ქალი მის დამახსოვრებას ცდილობდა ან ეშინოდა, არ დამავინყდესო.

მერე მანქანა ჩართო. და, აი, მაშინ, უკვე მანქანის გუგუნში, აჩრდი-

ლივით გამოჩნდა ნამძინარევი აიგარი, რომელსაც ხანგრძლივი ძილისგან გამოფხიზლება ვერ მოესწრო, ჯერაც მოდუნებული და უხალისო ჩანდა, ღილები არეულად შეეკრა. იქნებ იმიტომ მოვიდა, რომ არ უნდოდა დედას ნაჩხუბებოდა, შეიძლება ხმაურმა არ დააძინა, ან იქნებ კუჭმა შეაწუხა, მამას ტყუილად ხომ არ დამსგავსებია — თვალის გახელისთანავე შეეძლო მთელი პურის განახევრება. მიუხედავად იმისა, რომ ასეც შეიძლებოდა ყოფილიყო და ისეც, რიტმას სიბრაზე და გულმოდგინეობა გაუქარვდა და გაუქარწყლდა. და აიგარი რომ დაინახა, მართალი თუ გინდათ, სიცილი ძლივსლა შეიკავა.

— ნახე, როგორ შეგიკრავს ღილები! — ხმამალლა უთხრა ქალმა, მანქანის ხმაური რომ დაეფარა.

აიგარმა მკერდზე დაიხედა, მერმე დედას შეაცქერდა და ისევ მკერდზე დაიხედა, კვლავ რიტმას შეავლო თვალი და თვითონაც გაიბადრა. ორთავემ გაიცინა.

— ათისიც შევანჯღრიე, — უთხრა ბიჭმა, თითქოს შექებას სთხოვსო. — ამდენი ძილი გამიგონია!

— აი, ყოჩაღ, — თუმცა დაცინვით, მაგრამ მაინც შეაქო ქალმა. — შენი მხრივ მართლაც რომ კეთილშობილური საქციელია. ახლა იქნებ ფრაკი ჩაიცვა და წყალი მოიტანო.

— დიდი სიამოვნებით! — სინამდვილეში სავსებით უხალისოდ მიუგო ბიჭმა და კაუჭიდან ვილისის ძველი კურტაკი ჩამოხსნა, — მამა სად არის?

— განა არ იცი? — მოკლედ უპასუხა ქალმა და ისევ სერიოზული გახდა, თითქოს ახლა ვილისის ხსენება უადგილო ყოფილიყო.

— დიდი ხანია?

— რა არის დიდი ხანი? — დაბნეულად შეუბრუნა კითხვა ქალმა.

— დიდი ხანია წავიდა?

— როგორც ყოველთვის, უკმეხად ესროლა ქალმა, რომელმაც იგრძნო, რომ ქმარზე საუბარი მართლაც არ სურდა.

და საერთოდ რა საუბარია, როცა ხმის ჩახლეჩამდე უნდა იყვირო: „რიგის“ დანჯღრეული კორპუსი ისე ძიგძიგებს, დუგდუგებს, და თუხთუხებს, თითქოს მზად არის, ამ წუთში ჰაერში აფრინდესო. აიგარმა დაბამბული ჯუბა ჩაიცვა, რომელიც მისთვის სრული იყო, და გულმოდგინედ შეუდგა სახელოების დაკაპინებას. რიტმა გრძნობდა, რომ მისი შვილი ოცნებით ახლა ვილისთან იმყოფებოდა, ოღონდ მისგან განსხვავებით ბიჭი მამაზე სიამოვნებით ფიქრობდა და, ალბათ, ცდილობდა იგი ნადირობაზე წარმოედგინა.

ბოლოს მანქანა დადუმდა.

— მამა დამპირდა, მარეკად წავიყვანო, — ჩაილაპარაკა აიგარმა.

რიტმას სიტყვაც არ უთქვამს, არ უკითხავს, როდის შეგპირდა და როდის გიპირებს წაყვანასო — დღეს თუ სხვა დროსო, მხოლოდ ისლა გაიფიქრა, რომ იღონებდა ყველაფერს, რაც მისგან იყო დამოკიდებული, ოღონდ ვილისს არ მოეწამლა, არ გადაედო აიგარისთვის ეს სენი. ხმამალლა არაფერი უთქვამს: რა საჭიროა ისეთი რამის თქმა, რასაც მუქარასავით მიიღებენ. აიგარს რომ ერთი სული ჰქონდა, გაჰყოლოდა მამას ტყეში სანადიროდ, ქალმა ძალიან კარგად იცოდა.

რიტმამ ამოიხრა.

რომ წამოიზარდნენ, ბიჭები დედას თანდათანობით დაშორდნენ. ეს თითქმის შეუმჩნევლად დაიწყო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო მწვავედ და მტკივნეულად იგრძნობოდა. აი, თუნდაც თვითონ აიგარს, განა ის დედას ეკუთვნის? გაგიჟებულია ტექნიკაზე, რომლის არც ერთ მათგანს — არც ვილისასა და, მით უმეტეს, არც რიტმას, არაფერი გაუგებია, აიგარს შეუძლია, თითქოს წყალში ჩაყვინთაო, საათობით დაიკარგოს მეტეორიკურ საამქროში ან ინგუსისას და ძრავაში მანამ იკირკიტოს და იფათუროს, სანამ არაქათი არ გამოეცლება და არ გაიმურება, როგორც საკვამურის მწმენდავი, როგორც ბურვაკი, და შინ ისეთი ამოგანგლული ბრუნდება — სახეზე მხოლოდ გუგები უჩანს და კბილები უქათქათებს. ეს ღიპიანი ლანირაკი ათისიც, ჯერ მინას არ ასცილებია და ცდილობს, როგორც კი დროს იხელთებს, სადღაც გავარდეს, უფრო ხშირად ვოიცეხოვსკისთან გარბის, არც საჭმელი უნდა, არც სასმელი, დროს ვეტერინართან ცხოველების ლოლიავში ატარებს, თითქოს სულიერი არსება თავის დღეში არ ენახოს. დასაძინებლად და საჭმელად სამივე შინ არის, მერე კი ვინ საით გარბის, ვერ გაიგებ, სანთლითაც ვერ იპოვი, მამაკაცები არიან, ძლიერი სქესის წარმომადგენლები, დაუდგრომლები... რომელიმე მათგანს მაინც მოსვლოდა თავში აზრად — რას ფიქრობს, რას გრძნობს რიტმა, რა სურს და რაზე ოცნებობს! თითქოს იგი მანქანა იყოს, როგორც ეს ძველი „რიგაა“ — ძრავიანი და უსულო. მასაც ყოველთვის ასე რომ აეშვა აფრა, აქამდე ოჯახი დაენგროდა, ყველანი ქამარშემოჭერილნი და გაცვეთილი შარვლებით ივლიდნენ, ოჯახში კი წესრიგი უნდა სუფევდეს, ყველაფერს ბზინვა-კრიალი უნდა გაუდიოდეს, და ეს იმდენად ჩვეულებრივი რამ არის, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

აიგარმა ორი ვედრო აიღო, და, თითქოს სახელურებს განზრახ აღრჭიალებსო, კარისკენ გაემართა.

— ქუდი დაიხურე!

— არ მცივა.

— ისევ აგტკივდება ყური.

პასუხად მხოლოდ დაიღმიჭა, ვერ გაიგებდი, ჩაიციინა თუ უკმაყოფილება გამოხატა, კარი იდაყვით გააღო, გარედან კი ფეხით მიხურა და წინკარიდან ეზოში გავიდა. ყოველივე ამას როგორღაც გამომწვევად აკეთებდა, განზრახ ხმაურობდა, ყოველ შემთხვევაში უფრო მეტად ხმაურობდა, ვიდრე ამას საქმე მოითხოვდა: აჭრიალებდა და აჟღარუნებდა, აგუგუნებდა და აბრაახუნებდა. მერმე ეზოში ჭის ჯალამბარი აჭრიალდა, ისეთი ჭრიალ-წკაფწკავი გაუდიოდა, რომ რიტმაც უხერხულად მოიღუშა. ჭა კი არა, უბედურებააო! რა უნდა უყონ, რომ არ იჭრიალოს, — ხომ არ უნდა გაპოხონ?

თუმცა არც ლაპარაკსა და არც ფეხის ხმას, არც სარეცხი მანქანის ჯოჯოხეთურ ხმაურსა და ჯალამბრის კვნესას, არც კიდევ აიგარის გულმოდგინებას, არაფერს, სრულიად არაფერს ამქვეყნად, არავითარ ხმაურს არ შეეძლო ათისისთვის ტკბილი ძილი დაეფრთხო.

— ათის! — ზღურბლიდან გასძახა ქალმა და, რაკი პასუხი ვერ მიიღო, საწოლთან მივიდა.

ბიჭს თვალები არ გაუხელია, მას მხოლოდ წამწამები უთრთოდა, ხო-

ლო როცა ქალი მიუახლოვდა, ბიჭის მრგვალ სახეზე ღიმილის ლანდმა გაიელვა. ქალი უცქეროდა, როგორ უპარპალებდა ბიჭს წამწამები, რითაც თითქოს მის არსებაშიაც რაღაც სიმს შეეხო, მაგრამ ბიჭს ტკბილი და უზრუნველი ძილით ეძინა და იმდენად ჰგავდა დედას, რომ ბოძრება იყო.

— ათის! — კვლავ დაუძახა ქალმა უფრო ხმადაბლა და ქალზე ნაზად, თითქმის უხმოდ; ეს წარმოთქმული სიტყვა კი არ იყო, ურუნველ ტყუილებზე პაერის მსუბუქი გადაქროლება, ადამიანის სმენა რომ ვერ აღიქვამდა. იგი შეიძლებოდა მხოლოდ ეგრძნო ადამიანს, ან მიხვედრილიყო, გამოეცნო რომელიღაც მეექვსე ან მეშვიდე გრძნობით, მაგრამ ათისმა მოულოდნელად გაახილა დიდრონი, ნათელი თვალები და რიტმას მიაპყრო. აღელვებულმა ქალმა გაიფიქრა; რა ახლოს ვართ ერთმანეთთან და რა უმნიშვნელოა ის ამბავი, რომ ათისიც ყოველ წუთს მზად არის სახლიდან გაშპესო. რიტმა გაოცებას ვერ მალავდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ ვოიცეხოვსკიზე ეჭვიანობდა, ღმერთო ჩემო, ფელიქს ვოიცეხოვსკიზე, იმ დროს, როცა ათისი ჯერ კიდევ მას ეკუთვნოდა. ქალი შეიპყრო სურვილმა, შვილი მკერდში ჩაეკრა და ჩაეკოცნა, და მკერდზე რომ მიიხუტა, თავზე ხელი გადაუსვა და თმა აუჩეჩა.

ბიჭი კი — სიამოვნებდა თუ თავის დაცვა უჭირდა — ხმადაბლა ხითხითებდა, მერმე ხელიდან დაუძვრა და ახითხითებულმა ჰკითხა:

— დედა, საუზმეს ამზადებ?

— მე? არა, ვრეცხავ, — მიუგო ქალმა, თან ოდნავ დაცხრა, მაგრამ ბავშვის ნაზი სახისთვის თვალი მაინც ვერ მოეწყვიტა, რომელიც ძილსა და სიცილს აელაჟლაჟებინა.

ბიჭმა მეორე საწოლს გადახედა — ძმას ეძებდა.

— აიგარი სად არის?

— აიგარს უკვე წყალი მოაქვს! — ხაზგასმულად უთხრა ქალმა.

პირდაპირ სასაცილოა — წყალი მოაქვსო! შარშანდელი თოვლივით გაქრა — წავიდა და ვედროებიანად დაიკარგა. ან ფეხსადგილშია, ან ეწევა ეშმაკის ფეხი, რაც ერთი და იგივეა. მაგრამ რა უნდა ქნა? რამდენს ეჩიჩინებთან, ეჩხუბებთან, ქამრითაც კი დაემუქრნენ, მაგრამ არაფერმა გაჭრა. იკითხე მგლის თავზე სახარება. საკმარისია, თვალი მოაცილო, რომ ისევ თავისას განაგრძობს, ისევ აბოლებს. კიდევ კარგი, რომ ქალს ათისი მაინცა ჰყავს...

— გშია, შვილო?

— რა გაქვს? — ზანტად იკითხა ბიჭმა.

— კვერცხს მოგიხარშავ.

— ღვეზლები... ღვეზლებს არ დააცხობ? — მცირე ფიქრის შემდეგ ჰკითხა ათისმა და მრგვალი და ნათელი თვალები უფრო მრგვალი და ნათელი გაუხდა.

მადლობა უფალს, რომ ამას ჯერჯერობით უფრო ღვეზლები აინტერესებს, ვიდრე სიგარეტის მოწევა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ სადმე კუთხეში მიმალულს ამასაც გაუბოლებია? არა, ჯერ პატარაა და უმნიშვარი, რა დროს ესაა... ჯერ მშობლები სკოლაში არ გამოუძახიათ. არ შეუხურებიათ, ჯერ არ მოსულა შინ სახელომოგლეჯილი და თვალამოლურჯებული, ჯერ არ დასჭირვებიათ ჯიბეზე ხელის გაკვრა — არ გადაუხდიათ

ჩამსხვრეული მინისა თუ დამტვრეული ინვენტარის საფასური, ყოველივე ეს ჯერ კიდევ წინ ედოთ...

— რაო, ღვეზულები არა გაქვს? — გაიმეორა ბიჭმა.

— როდის უნდა გამომეცხო, ჩემო კარგო? აბა, დაფრქვდი. თან საფუარიც არა მაქვს.

— რაო, ღვეზულების გამოსაცხოზად საჭიროა... საფუარი?

— მაშ!

— ღვეზულებისათვის ლორჩია საჭირო! — განაცხადა ბიჭმა, ცხვირი შეიჭმუნა და გაიცინა.

როგორც იქნა, აიგარიც გამოჩნდა, ეს ჯანჯალი, უქნარა, ოტროველა და ზოზინა, რახარუხით მოაბიჯებს, თან გზადაგზა წყალსა ღვრის და კარს რომ გააღებს, ალბათ, თავსაც არ შეინუხებს, ერთი ვედრო მაინც დადგას, რომ ძლივძლივობით, იდაყვითა და ფეხით კი არა, არამედ ადა მიაწურად, ხელით გააღოს და დაკეტოს, რათა გუშინ მორეცხილ იატაკზე წყალი არ დაღვაროს და არ გაატალახიანოს.

— დედა! გესმის? — ეძახის სამზარეულოდან. — გესმის?

— რა გინდა, ბიჭო? — ქალი წინ მიეგება.

ცხადია, ასეა — ზღურბლთან უკვე წყლის გუბე დგას.

— გესმის, დედა! კოლოსალური იდეა დამებადა.

— აიგარ, რამდენჯერ მითქვამს, ნუ ჩმახავ ამისთანა...

— აი, მისმინე!

მას ძალზე ხშირად ებადებოდა იდეები, რომლებიც, მართალი რომ ითქვას, უმთავრესად უვარგისი იყო. ქალი თვალებით ტილოს დაეძებდა და ალტაცების გარეშე, უფრო იმისთვის, რომ არ გაენაწყენებინა, უთხრა:

— გის-მენ.

— იცი, რა გვჭირდება? — ღრმააზროვანი პაუზა გააკეთა და ისე წარმოთქვა, თითქოს კოზირის კიკო გადმოეგდოს: — ელექტროტუმბო გვჭირდება!

ერთს ღვეზულები უნდა, მეორეს — ტუმბო... მესამეს ჩიტის რძე...

— რას იტყვი ამაზე, მუთთერ?

— ასეთი იდეები დღეში დუჟინობით მომდის, — ნალვლიანად მიუგო რიტმამ, — დამიჯერე.

— დასაცინი აქ არაფერია! — წამოპილპილდა განაწყენებული ბიჭი, თუმცა რიტმას დაცინვა აზრადაც არ გაუვლია. — ისე მელაპარაკები, თითქოს... შევეულმფრენს ვითხოვდე! — ხმამალლა უთხრა აიგარმა, რომელიც ხმას თანდათანობით უწევდა, და ორივე ვედრო ერთბაშად დაახეთქა ძირს. ვედროებში წყალი ატყლაშუნდა და გადმოიღვარა.

— გულუბრყვილო ადამიანი ხარ, არც ზედმეტი ფული გაქვს და არც ოსტატი გყავს, ტუმბო რომ დაგვიყენოს და გაგვიმართოს, — შემრიგებლურად უთხრა ქალმა, იატაკს აჩქარებით რომ ამშრალებდა. — ხარჯი და საზრუნავი მოგვემატება და მაინც ფარდულში დაიყანგება.

— რა დიდი ხარჯი ამას უნდა? სულ ორმოცი მანეთი ღირს. აბა, მუთთერჰენ... ორმოცი... ან ორმოცი და ცოტა მეტი. ფარდულშიც არ დაიყანგება, აი, ნახავ. მე და ინგუსი ადვილად...

— შენ და ინგუსი... — უთხრა ქალმა და სევდიანად გაიცინა.

ქალის სიცილი აიგარს ყურსა სჭრიდა და გრძელსა და წვრილ კისერში ხვანჩი ნერვიულად და მოუთმენლად აუდ-ჩაუდიოდა.

— დედ-აა... — ისევ შეევედრა ბიჭი.

— ჯობია, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— არ-რასოდეს არაფერი არ შეგვიძლია! — შესძახა უცებ აიგარმა და კინალამ ცრემლები გადმოღვარა. — რრ-ატომ ვართ აყუყუდურდები? რ-რატომ?

ბიჭულიძე

რიტმა არ პასუხობდა, წელში გამართული შვილს ფარული სევდით შესცქეროდა.

— ჩ-ჩვენ რა, სხვებზე უარესი ვართ? ჩვენც ისევე რატომ არა ვცხოვრობთ, როგორც ს-სხვები... თუნდაც როგორც ლიგოტნეში?

და მცირე ხნის დუმილის შემდეგ:

— რა გაქვს მხედველობაში? — ყრუდ ჰკითხა ქალმა, თუმცა მშვენივრად უწყობდა, რასაც გულისხმობდა აიგარი.

— რა გინდა, რომ ი-იქ არა ჰქონდეთ, არათუ ტილიანი ტუმბო, ველძეც კი...

— ...საექსპორტო „ვოლგა“ აქვს, — მის მაგივრად ქალმა დაამთავრა სათქმელი და თავისთვის ირონიით დაურთო: „და ახალგაზრდა ქმარი ჰყავს“, მაგრამ ეს ხმამალლა არ უთქვამს, თუმცა იმტომ კი არა, რომ ველძეს სცემდა პატივს, არამედ ინგუსს.

— ჰო, „ვოლგა“, — ჭირვეულად გაიმეორა აიგარმა. — განა ცუდია, რომ...

— ...ჩვენც გვყავდესო, გინდა თქვა, არა? ალბათ, ამის თქმა გინდა. ავტობუსში ჭყლეტასა და გაჩერებაზე გათოშვას გადავრჩებოდით. მაგრამ უბედურება ის არის, რომ...

— რა?

ბიჭმა მწარედ, გამკილავად ჩაიციინა.

— რაო, ველძე დიდ ფულს აკეთებს? — შეედავა ბიჭი.

— შენ კარგად მოგეხსენება, საიდან რა აქვთ იმათ, — უღიმღამო ხმით მიუგო რიტმამ, რომელსაც არ უნდოდა წვრილმანებს შეხებოდა. -- ჩვენ კი მემკვიდრეობას არავინ მოგვაშავებს. ხელფასით მანქანას ვერ იყიდი, როგორც არ უნდა იჯახირო. ვერც მამაშენის და ვერც ჩემი ჯამაგირით. ასე რომ, ავტობუსით მგზავრობა მოგვიხდება. და წყალიც ვედროებით უნდა ვზიდოთ.

ბიჭმა რაღაც ჩაილულულა, მაგრამ აღარ უყვირია და ახლა, როცა აღშფოთებამ გაუარა, თითქოს რცხვენოდა, რომ ასე იღრიალა და კინალამ იტირა კიდევ; იქნებ უნდოდა წალაპარაკებით გამოწვეული შთაბეჭდილება წაეშალა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეხერხებინა ეს და მხოლოდ ამოიოხრა.

— რას ოხრავ, — უთხრა რიტმამ, თუმცა ახლაც მშვენივრად იცოდა, რატომ ოხრავდა.

— უბრალოდ... — მოკლედ მიუგო ბიჭმა და სიტყვაც არ დაუმატებია, თითქოს ჩაქრაო.

ქალს მოუნდა, უფროსი შვილიც ისე ჩაეკრა მკერდში, როგორც ათისი ჩაიკრა ახლახან, მაგრამ ვერ გაბედა. ჯობია არა ქნას ეს, თორემ ინდაუ-

რივით გაიფხორება, ფრთებს აიფოფრავს... აიგარი ათისი როდია. აიგარი დიდია. რამდენი წელიწადი ელოდა მოუთმენლად, როდის გაიზრდებოდა ბიჭი, აჩქარებდა, აშურებდა დროს, მიქროდა მომავლის შესახვედრად და, აი, ახლა, როცა მისი ოცნება ასრულდა, უცებ გული დასწყდა — აიგარი შეებრაღა, იქნებ საკუთარი თავიც ან წარსული წლები და დღეები, თითქოს შვილის ბავშვობასთან ერთად მოუხელთებლად, სამუდამოდ შთაინთქა წარსულში მისი ცხოვრების საუკეთესო ნაწილი. იშის სურვილმა შეიპყრო, რომ მოფერებოდა, თითქოს ამით წარსულს დააბრუნებდა და შვილს გაახარებდა, გამოაცოცხლებდა მაინც, გაამხნევებდა. ოღონდ ქალს ვერ მოეფიქრებინა, რა ექნა, რა ეთქვა და რას შეპირდებოდა ისეთს, რასაც შეუსრულებდა ან ვერ შეუსრულებდა...

და უცებ, სრულიად მოულოდნელად პრემია გაახსენდა. ღმერთო, მას ხომ მოცდაათი მანეთი აქვს — თითქოს ზეციდან ჩამოვარდნილი, ეს ვილისმაც კი არ იცოდა: ფული შენახული ჰქონდა კაბის საყიდლად. სამ თუმნად „ვოლგას“ კი არა, ველოსიპედსაც ვერ იყიდი, მაგრამ ოდნავ ხელმომჭირნეობას თუ გამოიჩენენ და იმ სამ თუმანს კიდევ ორიოდ თუმანსაც დაუმატებენ, ტუმბოს შეძენას მაინც შეძლებენ; ინგუსი კი ყველაფერს ჩინებულად გააკეთებს, მისგან უარი წარმოუდგენელია, ისიც ცხადია, რომ ინგუსი კაბიკსაც არ გამოართმევთ, ფულს თავის დღეში არ მოსთხოვთ, განა რიტმა მას არ იცნობს! ეს კიდევ არაფერი, ინგუსი ძრავასაც თვითონ ჩამოუტანთ რაუდავიდან, ხოლო თუ რაუდავაში არ არის, ველქეს მანქანით თუნდაც რიგიდან ჩამოიტანს... და როცა გაიხსენა, რა ძნელია ვედროებით წყლის თრაქვა, როცა ლამის ხელები დაგანწყდეს — დიდი სატანჯველია, კატორღული სამუშაოა, განსაკუთრებით ზამთრობით, — ქალმა ცოცხლად და გარკვევით წარმოიდგინა, რა დიდებული რამ არის, როცა სამზარეულოში წყალი მოდის. ეს იდილიური სურათი ოცნებაში ისე ცოცხლად წარმოუდგა, თითქოს უკვე სინამდვილედ ქცეულიყო და წყალი მართლაც მოდიოდა ონკანში, ხმაურით მოთქრიალებდა. რიტმა თანდათანობით სულ უფრო ივსებოდა შთაგონებით, სულ უფრო იპყრობდა აღმაფრენა და აღტაცება, ისევე როგორც აიგარს და კიდევ უფრო ძლიერ, და აიგარიც, ყოველივე ამას რომ ხედავდა ეს ესმოდა, გრძნობდა და ხვდებოდა, რადგან არც ბრმა იყო და არც სულელი, გამხნევდა და გაიფურჩქნა, გახალისდა და ღიმილი მოეფინა სახეზე, სავსე მთვარესავით გაიბადრა ბედნიერი დედა-შვილი ერთმანეთს შესცქეროდა. და ბედნიერება ასე იაფი ღირდა, სასაცილოდ იაფი ჯდებოდა მათი ბედნიერება — სულ ორმოცი მანეთი, ისიც ორზე.

რიტმას მოეჩვენა, რომ ვილაცა ეძახდა, მაგრამ ქალს უკან არ მოუბედავს, რადგან ავტობუსი გადახურულ მოსაცდელთან იდგა უკვე. ქალმა ავტობუსი შორიდანვე შენიშნა: ის იყო, ჭიშკარი გამოიხურა, რომ დაინახა, ავტობუსი იდგა და სადაცაა უნდა დაძრულიყო, მაგრამ რა ექნა, როგორ გაეჩერებინა — ამ სიშორიდან ხელის დაქნევა უაზრობა იყო და ქალმა ის ერთადერთი რამ მოიმოქმედა, რასაც მის მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი მოიმოქმედებდა, — გაიქცა.

უკნიდან მანქანის მოკლე სიგნალი გაისმა. თუმცა რიტმას არც ამჯერად მიუხედავს უკან. ერთადერთ აზრს ისე ჰყავდა შეპყრობილი, ისე

ქლიერ ეშინოდა, დავაგვიანებო, რომ, მიუხედავად სიგნალის გაგონებისა, სირბილი განაგრძო.

— რიტმა!

ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ მას ეძახდნენ, სხვას არავის, უკან მოტრიალდა და „ზაპოროჟეცის“ ფანჯარაში ასკოლდ კასპარსონის გაღმებულ სახე დაინახა. ერთბაშად შემცბარმა რიტმამ გაიფიქრა, რა ღმერთმა დააბრუნა სასაცილო ვიყავი, როცა მანქანის წინ მივრბოდი და გზას კურდღელივით ვხლართავდი, თანაც საზამთრო პალტო და ჩექმები მეცვა, ქუსლები თოვლში მეფლობოდა და სირბილით მიმავალი ნაკუთალზე ბადურას ვიტყაპუნებდიო.

ასკოლდი სახელურს მისწვდა, კარს ხელი ჰკრა და ქალს ხალისიანად შესძახა:

— ავტობუსზე გეჩქარება თუ ისე... ინფარქტს გაურბიხარ?.. ეჭვიც კი შემეპარა, ვაითუ ვერ დავეწიო-მეთქი.

— რა ხუმარა ხარ! — შეეპასუხა მოკრძალებით შებოჭილობისა და წრეგადასული ადგზნების ზღვარზე მყოფი ქალი, რადგან ასკოლდს გულღია, ჭეშმარიტი სიხარულით გაბადვროდა სახე მის დანახვაზე. რიტმამ შენიშნა ეს — არ შეიძლებოდა, ეს გრძნობა შეუნიშნავი დარჩენოდა, რომელსაც მთელი თავისი ქალური ბუნებით იყო მონატრებული და რომლის გარეშეც მთელი სიცოცხლე საპყრობილესა ჰგავს.

— დაჯექი, რიტმა, — მიიწვია კაცმა.

— ჯერ ის მითხარი, ერთი გზა გვაქვს? — ჰკითხა ქალმა, თუმცა მანც ჩაჯდა და მის გვერდით რბილ სავარძელს ზურგით მიეყრდნო. ქალი ისევ მოხშირებულად სუნთქავდა. რა ბევრი მან ირბინა — პირდაპირ სასაცილოა... გული კი გაგიყვებოდავით უბათქუნებს. ისინი ერთმანეთს შესცქეროდნენ, რიტმა თანდათანობით მოდიოდა გონს, მძიმედ და ნერვიულად სუნთქავდა.

— რატომ არ იძვრები ადგილიდან, კასპარსონ?

— ბრძანებას ველოდები, საით წავიდე.

— გასაგებია, რომ რაუდავაში, — ჩაილაპარაკა ქალმა, თუმცა სულ სხვა რალაციის თქმა უნდოდა: სულ ერთია, საით. პირდაპირ წადიო, — და ჩუმად ჩაიცინა, იქნებ იმიტომ, რომ ეს იყო დაუდევარი და უზრუნველი სიტყვები, შეიძლება უბრალოდ იმიტომ, რომ ერთმანეთის ასე ცქერა სიამოვნებდათ.

— რა გაცინებს, რიტმა?

— არ გეცყვი.

— თუ ვცადე გამოცნობა?

— გირჩევნია, ნუ ეცდები! — შესძახა ქალმა და კვლავ გაიცინა, როცა წარმოიდგინა, რას იფიქრებდა მასზე კასპარსონი, თუ გამოიცნობდა, რაზე იცინოდა ქალი. ნამდვილი სულელია, ქარაფშუტაა და ცანცარა, გათხოვილი ქალივით არ იქცევა, რომელსაც ორი ვაჟიშვილი ჰყავს, თანაც არცთუ ახალგაზრდაა, თითქმის ორმოცი წლისთვის მიუღწევია და ამავე დროს ჩამრგვალებულიც არისო — ასე იფიქრებდა კასპარსონი. იქნებ შორიდან ეს ასეც ჩანს, თუკი მის ყოფაქცევასა და ნამოქმედარს, მის სიტყვებსა და გრძნობებს ჩვეულებრივ წარმოდგენათა და იჭვნეულობათა მოკლე არშინით გავზომავთ.

— რას ველოდებით?

კასპარსონმა სიჩქარე ჩართო. მტკიცედ და უხეშადაც კი მოქმედებდა. მის მოქმედებაში გამოსჭვივოდა ენერჯია და ოდნავ უხეში მბრძანებლობა, რაც ქალს აფრთხობდა და იზიდავდა კიდეც. ქალმა მუხლებზე დაიდო ბადურა და ცოცხალ არსებასავით ჩაიხუტა — როგორც კატას იხუტებდა ამ დილას, და ცალი თვალით კაცს უთვალთვალებდა. მისი ლამაზი პროფილის, ღონიერი ხელებისა და სვიტერში გამოქვეყნებული მხრების ყურებით.

ისინი ავტობუსს წამოენივნენ და გვერდით ჩაუქროლეს.

„რა კარგია!„ — ფიქრობდა თავისთვის რიტმა, რომელსაც არ უცდია გაერკვია, მაინც რა იყო კარგი: ავტობუსზე რომ დაიგვიანა? თუ ავტობუსს რომ გაუსწრეს? იქნებ ის, რომ საინტერესო მამაკაცის გვერდით იჯდა, რომელსაც სიამოვნებდა მისი იქ ყოფნა და ამ სიამოვნებას სულაც არ მალავდა? თავისი სხეულის ყოველი ფორით გრძნობდა სიჩქარეს, ეს პატარა მანქანა თოვლით დაფარულ, მაგრამ დატკეპნილ გზაზე რომ ავითარებდა, და მძაფრად გრძნობდა დენს, მათ შორის რომ მიმოდიოდა მაშინაც კი, როცა სიტყვასაც არ ამბობდნენ. და ქალს გაახსენდა ზუსტად ასეთივე მგზავრობა კასპარსონთან ერთად გასულ ზამთარს ასეთსავე გზაზე: დიდი თოვლი მოვიდა მაშინ, სუფთა, ლილისფერი, უჩვეულო სილამაზის თოვლი ბრწყინავდა ირგვლივ. არ ახსოვს, რაზე ლაპარაკობდნენ მაშინ, მხოლოდ თოვლი ახსოვს და აგრეთვე ის, რომ ასკოლდმა ქალს ხელი მოჰკიდა ხელზე და ქალმა გამოგლიჯა, კაცს კი აღარ უცდია ხელახლა მოკიდება, თუმცა ქალი ფარულად მოელოდა ამას. და იმის ვარაუდი, რომ კაცს კვლავ უნდოდა მის თითებს დაუფლებოდა, და შეგნება, რომ უნდათ და სწყურიათ მასთან სიახლოვე, სიამოვნებით ავსებდა, და მერე მთელი საღამო ხუმრობდა და იცინოდა, თითქოს თავბრუდამხვევი მხიარულებით ყოფილიყო დამუხტული, და ყველას ეგონა, რომ ღვინოს დაეთრო, თუმცა ეს სიმართლე იყო — ქალი მთვრალი იყო, ოღონდ არა ღვინით...

რიტმას უნდოდა, ყველაფერი განმეორებულიყო — ასკოლდი მისკენ ოდნავ გადახრილიყო და ხელზე ხელი მოეკიდა, ქალი ისევ გამოგლეჯდა ხელს, გაითავისუფლებდა თითებს კაცის ხელისგან, თუმცა მაინც ოცნებობდა, რომ კიდეც ერთხელ განმეორებულიყო ყოველივე, ხომ მართალია, რომ ამაში ცუდი არაფერია, რა ცოდვა იმალება ამ სურვილში, რა არის საძრახისი ამ სურვილსა და გულისთქმაში, რაკი წინასწარ მტკიცედ ჰქონდა გადანწყვეტილი, ხელს გამოვგლეჯო. თუკი კასპარსონი ხელზე ხელს მოჰკიდებდა, ქალი დიახაც ასე მოიქცეოდა, მაშ როგორ...

კასპარსონმა ხელი გაიწვდინა და რადიო ჩართო. შორიდან მანქანაში იმდენად ნაცნობი მუსიკა შემოიჭრა, რომ რიტმა შეკრთა კიდეც.

„გავჩენილვართ ერთურთისთვის, — უცხო ენაზე მღეროდა იგივე სასიამოვნო ტენორი. — მე და შენ, შენ და მე...“

ქალმა, ასკოლდ კასპარსონს აღმაცერად რომ უცქერდა, შენიშნა, კაცის ტუჩის კუთხეში როგორ იშვა ოდნავ შესამჩნევი ღიმილი, რომელიც თანდათანობით უფრო გამოიკვეთა და სიცილში გადაიზარდა, მაშინ, როდესაც ის, ვილაც მეორე — ძალიან შორსა და თან ძალიან ახლოს მყოფი

— მთელი ქვეყნიერებისათვის და ამავე დროს მხოლოდ მათთვის მღეროდა.

ეს რა ღვთის რისხვა იყო — ქალმა ვერაფერი ვერ გაიგო! არც ერთი სიტყვა არ ესმოდა, მთელი ძალის დაძაბვით ცდილობდა გაეგო, მაგრამ მისი მცდელობა ამაო გამოდგა, მაინც ვერაფერი გაეგო და შექმნილ მხოლოდ ეფიქრა და ემკითხავა, რაზე მღეროდა გერმანელე, ასე მგზნებარედ და მინაზებით, კასპარსონი კი მთელი სახით იღიმებოდა და უხერხულად უხერხულად, ასეთი ამაფორიაქებელი... ნამდვილი მამაკაცი, რომლის მსგავსიც ქალს კინოშიაც არ უნახავს. და დაუჯერებლად ეჩვენებოდა, რომ კაცს მოსწონდა, მოსწონდა სულელი ქალი, რომელსაც არაფერი გაეგებოდა — ალღოს მინდობილი ბრძანებით დაფათურობდა და საკუთარი ქმრისთვის მხოლოდ ავეჯივით, ნივთივით იყო, რომელიც, როცა მოგეპრიანება, შეგიძლია მიატოვო, რადგან დარწმუნებული ხარ, როცა არ უნდა დაბრუნდე, მაინც შენი იქნება.

კასპარსონმა თავი მოატრიალა და რიტმას დამაბრმავებელი ღიმით შეაცქერდა. მას სიმღერის სიტყვები ართობდა, რაც ქალს არ ესმოდა, კაცი კი, ალბათ, ვერცა ხვდებოდა, რომ ქალს არაფერი ესმოდა.

„ახლა მოხდება მოსახდენი!“ — ფიქრობდა გულაფორიაქებული ქალი, რომელსაც წინანდებურად აღარ სჯეროდა, რომ ხელს წაართმევდა, რომ საერთოდ ისურვებდა კასპარსონის ფართო და ღონიერი ხელიდან თავისი ხელის განთავისუფლებას.

კასპარსონმა კი უთხრა:

— თუ საიდუმლო არ არის, ამ კვირა საღამოს სად მიდიხარ?

— მე? — კითხვა შეუბრუნა რიტმამ და ოდნავ შეშფოთდა, როგორც ყოველთვის, როცა კასპარსონზე ფიქრობდა, რატომღაც ეშინოდა, ჩემს ფიქრებს კითხულობსო. — არა მგონია, ამან დაგაინტერესოს, — მცირე პაუზის შემდეგ უთხრა ქალმა.

— რაკი ასეა, მე ვხვდები! — შესძახა კაცმა.

— აბა, მითხარი.

— ალბათ, მკერავთან მიდიხარ...

— ნამდვილი გულთმისანი ხარ! — მხიარულად თქვა შინაგანად გაცოცხლებულმა და დაბნეულმა რიტმამ, რადგან კიდევ უფრო გაულძიერდა შთაბეჭდილება, თითქოს ასკოლდი მის სულში ყველაფერს ისე კითხულობდეს, როგორც გადაშლილ წიგნში. და ქალი გაცხარებით შეეცადა მეხსიერებაში აღედგინა, რას ფიქრობდა კასპარსონზე გზაში, როგორ წარმოიდგინა საკუთარი თავი და კასპარსონი, მაგრამ დაწვრილებით ვერაფრის გახსენება შეძლო, მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ეს წმინდა უგუნურება იყო, რანაირ სისულელესა და აბდაუბდას არ ფიქრობდა გზაში, იანაც მისი ნებისგან სრულიად დამოუკიდებლად, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, როცა შეიძლება ისეთი რამ ჩაიღინო, რომ გაგელვიძება, თმა ყალყზე დაგიდგეს.

— წარმოდგენილი მაქვს, რა ლამაზი იქნები ახალ კაბაში, — იმავე უდარდელი კილოთი ჩაილაპარაკა კასპარსონმა. — თანაც თუ კაბა ყავისფერია... შეიძლება წითელი იყოს... არა, წითელი იქნება!..

ახლა ქალმა კასპარსონს თითქმის შიშით გადახედა — ცუდადაც კი გახდა.

— ჰო, წითელია, — ხმადაბლა უთხრა რიტმამ. — შემთხვევით ნათელმხილველი ხომ არა ხარ, კასპარსონ?

— სამწუხაროდ, არა, ძვირფასო რიტმა, — სიცილით შეეხმინა კაცი. — თუმცა, გულახდილად რომ ითქვას, უარს არ ვიტყვოდი სალამობით, გაკვეთილების შემდეგ, ზომიერ ფასებში მივიღებდი კლიენტებს... ხოლო ქსოვილი რომ წითელია, ქალაქიდანაც ჩანს...

— კარგი ერთი, კასპარსონ!

— რასაკვირველია, ჩანს. ქალაქი გახეულია...

ახლა ქალმაც გაიცინა, რადგან ქალაქი მართლაც გახეული აღმოჩნდა.

ბნელდებოდა, ფარების შუქზე თოვლი ეღვარებდა და ბრჭყვიალებდა, ცისფერი ნაპერწკლებით ციმციმებდა.

„ისევე, როგორც მაშინ“, — ისევ გაიხსენა რიტმამ, როგორც რაღაც შორეული და მშვენიერი.

კასპარსონი ჩუმად აყოლებდა ხმას მიმღებიდან გადმოღვრილ სიმღერას. და რიტმამ ისევ იგრძნო, რომ ასკოლდი მასთან თავს კარგად გრძნობდა. ამის შეგნებამ ისევ ალავსო დამათრობელი ტკბილი თრთოლვით, თითქმის ბედნიერებით, და დღევანდელ დღეს მესამედ გაიფიქრა — რა ცოტა, რა გასაოცრად და დაუჯერებლად ცოტა უნდა ადამიანის ბედნიერებასო.

— შენ საით მიემგზავრები, კასპარსონ? შენთვისაც ხომ კვირა საღამოა?

— ცხოვრებისეული პროზაა, ძვირფასო რიტმა. ერთი კაცი სათადარიგო ნაწილებს შემპირდა. მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვისაც მანქანა ჭაღარას უჩენს.

რიტმამ მის თმას შეავლო თვალი, რომელსაც სქელ ბინდბუნდში ერთნაირად ნაცრისფერი დაჰკრავდა, ფიქრმორეულმა ოდნავ ჩაიღიმა და არაფერი უთხრა.

რაუდავას უახლოვდებოდნენ. კიდევ რამდენიმე წუთიც და ყველაფერი დამთავრდებოდა. მაგრამ როცა მანქანა გაუსწორდა რესტორანს, რომლის მინის ფასადი სინათლით გაჩახჩახებულყო და ფარდის მიღმა ნარნარად მოცეკვავე ფიგურები დაილანდა, კასპარსონმა სიჩქარეს უკლო და, სანამ „ზაპოროჟეცი“ რესტორანს ჩაუვლიდა, იქით იცქირებოდა, თითქოს უნდოდა და აპირებდა კიდევ დამუხრუჭებას, მაგრამ არ გაუჩერებია. რომ გაეჩერებინა, შეიძლება სავსებით მოულოდნელად რიტმას კიდევ ერთი დღევანდელი ოცნება განხორციელებულიყო — ლამაზ მამაკაცთან იცეკვებდა. მაგრამ კასპარსონი არ გაჩერებულა. ჰო, მართლა... განა კვირას იქ თავისუფალი ადგილები იქნება? ალბათ, არ იქნება. და ხეირიანაც არ აცვიათ, როგორც ამნაირ შემთხვევას შეეფერება: კაცს სვიტერი აცვია, მას კი — ჩექმები. რომც შესულიყვნენ საცეკვაოდ, ალბათ, მეორე დღეს მთელი რაიონი ალაპარაკდებოდა, მურგალეს სკოლის დირექტორი გამყიდველ ქალთან ცეკვავდაო და ასე შემდეგ. უკეთესია, შეიკავონ თავი. „არ არის საჭირო. არ არის საჭირო და მორჩა“, — თავისთვის ფიქრობდა ქალი, თითქოს გარემოებას ემორჩილებოდა, რომლის შეცვლაც მის ძალას აღემატებოდა, და შენიშნა, რომ ასკოლდიც ერთბაშად მოიღიუშა, უკვე აღარ მღეროდა და საჭეს წელში მოხრილი უჯდა, ერთბაშად დაბე-

რეზული. იქნებ მას მხოლოდ სათადარიგო ნაწილები აღელვებდა, მხოლოდ ისინი და სხვა არაფერი, შეიძლება სულაც არ უნდოდა მანქანის გაჩერება, რესტორანში შესვლა და რიტმასთან ცეკვა პერკონს იქნებ აზრადაც არ გაუვლია, მაგრამ რას იზამ, და შეიძლება სულაც არ იყოს ისე მოწყენილი, როგორც რიტმას ეჩვენებოდა, ასე იყო თუ ისე, კასპარსონის კუბმა ქალი დააცხრო და ამავე დროს სინაზით აავსო ქალს უნდოდა თვითონ გაეწვდინა ხელი და ხელზე შეხებოდა, ან თმაზე მაგრამ რიტმას ეს არ გაუკეთებია. დამატრობელი სიხარულის ტალღამ უკან დაიხია, უკუქცევის დრო დადგა, გრძნობათა და სურვილთა აქაფებული მდინარე კალაპოტს დაუბრუნდა. მხოლოდლა სევდა თუ მსუბუქი სინანული დარჩა...

რა იყო მიზეზი სევდისა ან სინანულისა?

განა რომელიმე მათგანმა იცოდა ეს? განა გული სწყდებოდათ იმაზე, რაც წარსულში დარჩა, ან იმაზე, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა? ისინი ფარვანებივით მოისწრაფოდნენ ერთმანეთის შესახვედრად და სადღაც ასცდნენ ერთმანეთს. იქნებ არც ასცდენიან? იქნებ ეს მხოლოდ ილუზიაა, წუთიერი დაბნეულობა? იქნებ უბრალოდ უნდა მიბრუნებულიყვნენ უკან, რესტორანთან გაეჩერებინათ მანქანა, მალლა ასულიყვნენ და ეცეკვათ — მთელი ქვეყნის თვალწინ, და კადნიერებისა ან სიჯიუტის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ასე უნდოდათ, და იმიტომაც, რომ ამაში ცუდი არაფერი იყო. ანდა ხელი ჩაექნიათ მკერავსა და სათადარიგო ნაწილებზე და წასულიყვნენ, საითაც მოეპრიანებოდათ, — რადგან ასეთი იყო მათი სურვილი.

მაგრამ ეს არ უქნიათ, პირიქით, ნელა და მორჩილად უახლოვდებოდნენ მკრთალად განათებულ სტადიონს, სადაც უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს. ორივე მოწყენილი იყო, უნდოდათ ხელით შეხებოდნენ ერთმანეთს და არაფერი იყო იმაზე ადვილი, ვინემ ამ მოკრძალებული, უმნიკვლო, ბავშვური სურვილის შესრულება, თუმცა არც ეს უქნიათ.

სწორად იქცეოდნენ, იმდენად სწორად, რომ მხოლოდ ამის შეგნებას უნდა დაეკმაყოფილებინა ისინი. და მაინც რატომღაც დაღონებულნი იყვნენ.

რაუდავის ავტოვაგზლის რეპროდუქტორში ბუყბუყა ხრიალი გაიზმა და დისპეტჩერის უჩვეულო ხმამ გამოაცხადა:

— მოქალაქე მგზავრებო! საავტობუსო რეისი რაუდავა-აური მურგალეს გავლით ტექნიკური მიზეზების გამო არ შედგება. ბილეთები დააბრუნეთ სალაროში.

რეპროდუქტორში მისი ავტობუსი რომ ახსენეს, რიტმა წამოდგა და ერთხანს ასე იდგა დაბნეული. რა არის ეს? უკანასკნელი ავტობუსია და არ წავაო! მაშ, როგორღა დაბრუნდეს შინ? ღმერთო ჩემო! ერთხანს იდგა, მერმე კი დისპეტჩერის სარკმელთან მივიდა, სადაც უკვე მოეყარა თავი ექვს თუ შვიდ მასავით უბედურს.

— ...აკი გითხარით, ტექნიკური მიზეზების გამო-მეთქი.

სარკმელი დაიხურა.

რიტმამ მინაზე დააკაკუნა. ჯერ ერთხელ, მერე მეორედ — ბაიბური არ ისმოდა. ქალმა უფრო მაგრად დააკაკუნა.

ფანჯარა ნერვულად გაიღო.

— რას აბრაზუნებთ?! ვერაფრით დაგეხმარებით, ვერაფრით, გაიგეთ? ფული...

— ეგ ფული არ მინდა.

— მაშ, რა გინდათ?

— შინ წასვლა, — უბრალოდ უთხრა რიტმამ.

— აკი გითხარით და გიმეორებთ: ტექნიკური...

— ჰო, ტექნიკური მიზეზებითო, გავიგონე. მაგნიტური სინამდვილეში? ავარია?

დისპეტჩერი ერთხანს შეყოყმანდა.

— ავტობუსი გაფუჭდა... შოფერიც ავად გახდა, — უთხრა ბოლოს.

— რა საშინელი დამთხვევაა!

რასაკვირველია, შეეძლო გაეცინა, რატომაც არა, მაგრამ საეჭვო იყო, რომ ირონია ამ შემთხვევაში საქმეს უშველიდა: სარკმელი მუქარით შეირხა, რომ ისევ დახურულიყო.

— მოიცადეთ!

— კიდევ რა გნებავთ?.. სხვათა შორის, ქალბატონო, შოფრები ახლა მთელ მსოფლიოში პრობლემაა. გაზეთები უნდა იკითხოთ.

— ვშიშობ, რომ ახლა ამან მიშველოს, — ამოიოხრა რიტმამ. — გესმით, შინ წასვლა მინდა.

ახლა დისპეტჩერმა ამოიოხრა.

— ერთსა და იმავეს იმეორებთ... როგორც გადალესილი ფირფიტა.

— ჰო, მაგრამ მე შინ უნდა დავბრუნდე!

დისპეტჩერმა ერთხანს იყუჩა.

— საით მიემგზავრებით?

— მურგალეში.

— აი, მსოფლიო პრობლემა! გადით გზაზე, მანქანას ხელი აუწიეთ და შინ უფრო მალე იქნებით, ვინემ ავტობუსით რომ წასულიყავით. ისეთი ახალგაზრდა და შეხედული ქალი ხართ — ყველა შოფერი წაგიყვანთ...

რიტმამ გაიფიქრა, უკანასკნელი ფრაზა დისპეტჩერს მუდამ გადანახული აქვს განსაკუთრებით კრიტიკული შემთხვევისთვისო, და გაიცინა. სხვა რაღა დარჩენოდა იმის გარდა, რომ გზატკეცილზე გასულიყო და სატვირთო მანქანის გაჩერება ეცადა, თუმცა კვირა საღამო საამისოდ არცთუ ხელსაყრელი დროა, — კვირაობით ქალაქიდან და ქალაქისკენ უმეტესად მსუბუქი მანქანები დაქრიან, მსუბუქ მანქანებს კი იშვიათად აჩერებენ, თუ შემთხვევით ნაცნობი არ აღმოჩნდა, მგზავრები არ მიჰყავთ. ქალს კასპარსონი გაახსენდა, მაგრამ ახლა ეჩვენებოდა, რომ მათ ერთად შორეულ წარსულში იმგზავრეს და არა დღეს, სულ რაღაც ორიოდე საათის წინ.

საინტერესოა, ნეტავ დაბრუნდა თუ არა ასკოლდი?

ქალს ისევ აღმოხდა უნებური ოხვრა, ერთხანს კიდევ იდგა, თვითონაც არ იცოდა, რას ელოდებოდა, ან საერთოდ თუ ელოდებოდა რაიმეს, და გზისკენ გაეშურა.

ქალი კაშკაშა თუ მქრქალად განათებული შენობებისა და სახლების გასწვრივ მიაბიჯებდა. გეგონებოდა, ლუმინესცენტური ლამპიონებით განათებული ქუჩები მთვარის მქრქალი შუქით ავსებულაო, საიდანღაც გა-

ურკვევლად ისმოდა მუსიკის ხმა. სასიამოვნო იყო ზამთრის ქალაქში აუჩქარებლად გავლა, მაგრამ... იქნებ აიგარი მიხვდეს და გაჩერებაზე გამოვიდეს ჩემს დასახვედრად. მაშინ უმალ გაირკვეოდა, რომ ავტობუსი არ ყოფილა... ქალი კაშკაშა სინათლით გაჩირაღდნებულ კინოთეატრს გაუსწორდა და გაახსენდა, რომ დიდი ხანი იყო, რაც ერთი ფილმი არ ენახა, მაგრამ რამდენი ხანი გასულიყო, ვერ გაიხსენა. მოულოდნელად წინ, გზატკეცილის მახლობლად, რესტორნის შენობა აღიმართა. მისი მხარეს კველად ისე იყო, როგორც აქეთობისას: დრაპირებულ ფარდას იქით, მკრთალად რომ ციმციმებდა, თითქოს ამ შუქს თვითონ გამოსცემსო, შავი ჩრდილები გოგმანობდნენ, მათი მოძრაობა რეალურსაც ჰგავდა და არარეალურსაც, თითქოს ფიგურები ცოცხლები იყვნენ და ამავე დროს მოჩვენებებსაც ჰგავდნენ. ქალს უნდოდა, დაბლიდან, ნახევრად ბნელი ქუჩიდან შეეხედა ამ მიმზიდველი და იდუმალეებით მოცული ციმციმისათვის, ფანჯრიდან ჩანჩქერივით რომ იღვრებოდა ყოველ მხარეს, მაგრამ შესასვლელთან შეზარხოშებული ბიჭები ირეოდნენ და რიტმა არ გაჩერებულა, ნაბიჯს აუჩქარა და მერელა მიიხედა უკან. მოცეკვავეები აღარ ჩანდნენ, ჩანდა მხოლოდ განათებული ფასადი.

აი, გზატკეცილიც. ეს უკვე გარეუბანია. გზის მეორე მხარეს ერთნაირი კერძო სახლები გამწკრივებულიყო, გაჩახჩახებულ სამგზავრო მატარებელს რომ მოგაგონებდათ; მათი დამრეცი სახურავები და ბალებში მდგომი გატიტვლებული ვაშლის ხეები ქარს ვერ აკავებდნენ, როგორც ამას ქალაქის ცენტრში მაღალი შენობები ახერხებენ, და ქარი თავისუფლად დაპარპაშებდა, იქით უბერავდა, საითაც მოეპრიანებოდა. რიტმას შესცივდა. ქალმა წარმოიდგინა, ახლა თბილ ავტობუსში რომ იჯდეს, შინამდე თითქმის ნახევარი გზა გავლილი ექნებოდა. კიდევ უფრო შესცივდა, სიცივემ ძვალ-რბილში გაუარა და ფრინველივით აიფხორა. ჯობდა, ამაზე არ ეფიქრა — ამნაირი ფიქრები ვერაფერს უშველიდა, უფრო ძლიერ აცახცახებდა და სევდით ავსებდა.

ხალხი თითქმის არ ჩანდა. ვინც სადმე წასვლას აპირებდა, კარგა ხანია მანქანით ან ფეხით წასულიყო, ხოლო ისინი, ვინც გზაზე არ იდგნენ, თბილ ოთახებში იხსდნენ. მხოლოდ თვითონ დაეხეტება მიუსაფარივით. ძალიან, ძალიან მიეჩქარებოდა შინ, მაგრამ მის სურვილს ამ საღამოს მოვლენებზე არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო, იგი თითქოსდა მაყურებელი იყო, რომლის ნება-სურვილსა და გრძნობებს არ შეიძლოთ სპექტაკლის მსვლელობაზე ზეგავლენის მოხდენა: იგი თავისი რაგით მიმდინარეობდა და თავისი კანონებით ვითარდებოდა.

გზატკეცილი თითქოსდა ჩამკვდარიყო.

„უნდა წავიდე“, — კვლავ გაიფიქრა რიტმამ უსიტყვოდ, მხურვალე ვედრებით, თუმცა ეს ვედრება უძლური იყო, რაც ქალმაც იცოდა.

მაგრამ, აი, მოსახვევში ფარებმა გაიელვეს და ასფალტი თეთრ ნიაღვარს დაემსგავსა. გზისპირას მდგომი ერთი კაცის გამო, ცხადია, მძლოლს შორი სინათლე ახლოზე არ გადაურთავს და მოახლოებულმა ფარებმა რიტმა ლაზერივით გააშუქა, თვალები ისე ატკინა, ცრემლები წამოუვიდა, — ის ხომ პირდაპირ მანქანას უცქეროდა, რომელიც მის შესახვედრად მოდიოდა, ევედრებოდა და აფიცებდა, გააჩერეო, თუმცა შოფერს არ შეეძლო მისი გამოხედვა დაენახა და ეს ქალმაც იცოდა.

ავტომობილმა რბილად ჩაისრიალა და რიტმას ცხელი ჰაერი შეაორთქლა, უკუნეთმა, რომელშიც ბენზინის სუნი და თოვლის მტვერი იბოლქვებოდა და ბრუნავდა, მანქანა თავის გრიგალში ჩაითრია, წამის შემდეგ კი სიბნელე დაბალი სახლების ფანჯრებიდან გადმოღვრილმა პასტელის ტონებმა დაფლითეს.

რიტმა წინასწარ გრძნობდა, რომ ადვილი არ ექნებოდა შემთხვევით ჩამოვლილ მანქანას გაჰყოლოდა, მაგრამ იმას ვერ წარმოიდგენდა, თუ მანქანები ასე კანტიკუნტად გამოჩნდებოდა. ავტობუსის ფანჯრიდან ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ საპირისპიროდ უამრავი მანქანა მოძრაობდა. ხოლო როცა გზაზე დგახარ და გინდა მანქანა გააჩერო, ყველაფერი სხვადასხვადაა; მუდამ ასე იყო — სითბოში ჯდომა იგივე როდია, რაც ქუჩაში დგომა.

რამდენიმე „მოსკვიჩმა“ და „ჟიგულიმ“ ისე ჩაუქროლა, სიჩქარე არც შეუნელებიათ. ერთმა თვითმცლელმა, თითქოსდა ბოდის უხდისო, მოსახვევის სიგნალით ჩაუპაჭუნა — ეტყობა, ანიშნებდა, გზატკეცილიდან ნალე უნდა გადავუხვიო.

„რა ვქნა, შინ რომ მერქარება!“ — ისევ გაიფიქრა ცრემლმორეულმა რიტმამ, კიდევ იდგა მცირე ხანს და მერე წყნარად, ისე, რომ თვითონაც არ უგრძვნია, ანგარიშმიუცემლად გზისპირს გაჰყვა. მურგალემდე ასე მაინც ვერ მივიდოდა, მაგრამ როცა მოძრაობ, უძლურება და სასონარკვეთილება მაინც არ გტანჯავს და არც ისე იყინები, როგორც ერთ ადგილას გაჩერებული.

კერძო სახლების მწკრივი გათავდა და გზის ორსავე მხარეს გადაიშალა მონაცრისფრო-მოთეთრო მინდვრები, სადაც აქა-იქ თუ მოჩანდა შენობები — მათი კონტურები სიბნელეს წაეშალა და მხოლოდ მახლობელი თუ შორეული სინათლეები მოწმობდა მათ არსებობას. უფრო შორს საავდრო ღრუბლებივით მოჩანდა დაუგავს აქოჩრილი ტყეები. მურგალე კი შეიძლებოდა სადღაც იქ ყოფილიყო, ნახნავენს გადაღმა, დაუგავსა და ტყეებს იქით. მქრქალი, უმთვარო და უვარსკვლავო ზეცა როგორღაც მოღუშული ჩანდა, როგორც გათოვების წინ იცის ხოლმე. ქარი სტვენით ატყლაშუნებდა შიშველ ტოტებს, მაგრამ ფიჭვთა ტოტებში რბილად, დაღლილად ხმაურობდა — ჭოველივე ეს კი იმის მაუნყებელი იყო, რომ მოთოვდა.

უკან თანდათანობით მატულობდა გრუხუნი. ძრავის მძიმე თუხთუხში წამდაუნუმ დოლის ბრაგუნით გაისმოდა რაღაც ყრუ ხმაური. ასეთ ხმას გამოსცემს ძარაზე დაუმაგრებელი ტვირთი ან მისაბმელი მოლაყლაყებს უკან. რიტმა უკან მიტრიალდა, მაგრამ ვერაფერი დაინახა — ვერც ტვირთი, ვერც მისაბმელი, ვერც თვითონ მანქანა და სინათლის ძლიერი ჩქერით დაბრმავებულმა მხოლოდ ხელის აწევა მოახერხა. მანქანამ ისე ახლოს ჩაუარა გრიალით, რომ ჰაერის მხურვალე, მყრალმა ტალღამ გადაუარა და კინალამ გული შეულონდა.

„საზიზღარი, — ძლივსლა წარმოთქვა სულშეგუბებულმა რიტმამ, — საძაგელი!“

მაგრამ წინ გაჩერების სიგნალი აკიაფდა, მანქანამ კიდევ ერთხელ ააბრაახუნ-ააგუგუნა მისაბმელი, ააწრიპინ-ააღრჭიალა მუხრუჭები და მის მიერ წამოშლილ თოვლის გრიგალს იქით გაჩერდა.

რიტმამ მიიღებინა.

— შორს აპირებ წასვლას ფეხით, გოგონა? — რუსულად ჩამოსძახა მაღალი კაბინიდან ბოხმა ხმამ.

— მურგალეში მივდივარ, ძვირფასო, — მორჩილად მიუგო დაბლიდან ქალმა რუსულადვე, თუმცა სულ ახლახან საზიზღარი და საძაგელი კი უწოდა.

— ქვეყნის რომელ ბოლოსაა შენი მურგალე, ლამაზო, შა?

და ქალმა, დაბლიდან მაღლა რომ იცქირებოდა, გაიცინა: მას რატომღაც უცნაურად ეჩვენებოდა, რომ ამ კაცმა, ღმერთო, ნუ გადამრევ, არ იცოდა, სად იყო მურგალე.

— გადასახვევამდე ოცდახუთი კილომეტრი იქნება, — ახსნა დაუნყო ქალმა, — იქიდან კიდევ ექვსი...

— რაკი ასეა, ამოდი! გადასახვევამდე მიგიყვან.

ქალი კაბინაში ავიდა. კაბინაში თბილოდა, შეხუთული ჰაერი იდგა, იგრძნობოდა ბენზინისა და ზეთის მძაფრი სუნი, სუნთქვა ჭირდა. სამაგიეროდ უკვე მიზნისკენ მიემართებოდა — როგორც იქნა, დაადგა საშველი! და ამ უკაცურ გზაზე ძალიან ჩქარა მიქროდა მძიმე, ტლანქი და ბლაგვდინგა სატვირთო მანქანა, აბრაგუნებდა ტვირთს, აქეთ-იქით ისროდა მისაბმელს, ღორმუცელასავით ნთქავდა გზაზე ჩარიგებულ ბოძებსა და ხეებს, რომლებსაც ფარების სინათლე ხან გაანათებდა, ხანაც ბნელში ინთქმებოდნენ, ხან წინ აღიმართებოდნენ, ხანაც უკან იკარგებოდნენ, თითქოს მიწამ უყო პირიო.

შორ გზაზე შოფერი მარტოობას გაეტანჯა და შესაძლოა, ეძინებოდა კიდევ. შეკითხვას არც დალოდებია, უბრალოდ მოწყენილობის გასაფანტავად ენამრავლად და გულლიად მოუთხრო ქალს: სპეცმშენში ვმუშაობ — სამშენებლო ბლოკები დამაქვს, მყავს ცოლი და სამი შვილი, ორი გოგონა და ვაჟი, ბიჭი ჩემი ალიკვალია, ჩემსავით ეშმაკი, ცელქი და ყაჩაღანა, ასე რომ, მქონია შემთხვევა, ხელში ქამარი ამელო, მასაც, ისევე როგორც თავის დროს თვითონ მეც, უჭირს სკოლაში სწავლა, თავში სულ ძრავებსა და მანქანებზე ფიქრი უტრიალებს, ეტყობა, ისიც შოფერი იქნებაო... მერე დაინტერესდა, ქალს ჰყავდა თუ არა ქმარ-შვილი, და რიტმამ უთხრა — დიახ, მყავს, ორი ვაჟიშვილი, ცხადია, ქმარიცო, და აიგარი, ათისი და ვილისი რომ ახსენა, ისევ აწრიალდა: ასე რომ დავიგვიანე, რას იფიქრებენო ჩემზე შინაურები? არ იცოდა, რა ექნა, სად დამალვოდა მღელვარებასა და შიშს, გული მოეცა და შოფერს ავტობუსის ამბავს მოუყვა, რომელიც უნდა გასულიყო სადგურიდან და არ გავიდა — არ გავიდა და მორჩა, რა უნდა უყო. მძლოლმა უშვერი სიტყვა მოიშველია და უთხრა, ავტობუსების პარკში თითქმის ყველანი უქნარები და უსაქმურები, ზღაზნიები და ზარმაცები, მცონარები და ცუდლუტები არიან, მათი საქმე მხოლოდ ცუდაობა და დროის გაყვანაა, თქვენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, დისპეტჩერის ბუდრუგანას ნაცარტუტად ვაქცევდი, რაკი წესრიგი ვერ დაუმყარებიათ, არც არის საჭირო, თვით პარკის უფროსსაც ვუჩვენებდი სეირს — პირველი ფონ-ბარონი როდია, ვისთვისაც ჭკუა მისწავლებიაო. აღშფოთებული და საკუთარი ენამჭევრობით ფრთაშესხმული მძლოლი გაზის პედალს ისე აწვებოდა, რომ უზარმაზარი მანქანა

ვიყვივით მიქროდა, ძაგძაგებდა და ხტუნავდა და კაბინის გარეშეც ქარი სტვენით უვლიდა დავლურს.

ამაღელვებელი და შიშისმომგვრელიც კი იყო ღამით ასეთი ქროლვა, მაგრამ რიტმა, რომელსაც ოჯახის დარდი და მოუთმენლობა მოსვენებას არ აძლევდა, შინისკენ მიემგზავრებოდა. მთელი დღი და შემდეგაც ცდილობდა შინიდან გაქცეულიყო, როგორც ციხიდან, მაგრამ საკმარისი იყო ავტობუსი შეფერხებულიყო, საკმარისი იყო, ნახევარწუთი გზაზე ეყურყუტა, რომ სახლმა თავისკენ დაუძლეველი ძალით მიიზიდა — შინ მიეჩქარებოდა, მხოლოდ შინ. და თავის ფიქრებს აყოლილი რიტმა ცდილობდა წარმოედგინა, რას აკეთებდნენ ახლა მისი კაცები: ათისი, ალბათ, ხატავს, ან იქნებ დაწვა კიდევ, აიგარი, ალბათ, ბოლოს და ბოლოს გაკვეთილების სწავლას შეუდგა, ვილისიც დაბრუნდებოდა, მაგრამ დასანაყრებლად ხეირიანი არაფერი დახვდებოდა, — განა უმისოდ საკუჭნაოში მიაგნებენ მოხარშულ კარტოფილს, ან რომელიმე მათგანი მოიფიქრებს, რომ კარტოფილი ქონში შეწვან?

ასე ფიქრობდა რიტმა იმ დროს, როცა მანქანა მისაბმელის გუგუნგრილით მიქროდა გზატკეცილზე და, როგორც ტახი, ფარებით, თითქოს ეშვებიაო, ფატრავდა უკუნეთს და დინგით ჩურჩნიდა ღამეულ სიბნელეს.

გადასახვევს რომ მიუახლოვდნენ, თოვა დაიწყო. თავდაპირველად ფანტელები იშვიათად ცვივოდა, მაგრამ მანქანიდან რომ ჩამოხტა, ქალი მოკიაფე ფარვანათა ფერხულში აღმოჩნდა. ირგვლივ ყველაფერი ციმციმებდა, ლივლივებდა და თრთოდა.

— თოვლი... — ჩაილაპარაკა ქალმა, თითქოს გაოცებულიაო, თუმცა ცოტა ხნის წინ თვითონვე გაიფიქრა — გათოვდებაო.

— რაო? — მალლიდან ჰკითხა შოფერმა, ძრავის ხმაურში რომ ვერ გაარკვია, რა თქვა ქალმა.

— თოვლი! — რუსულად გაიმეორა რიტმამ.

— ჯანდაბას მისი თავი! — გადმოსძახა პასუხად კაცმა და გადააფურთხა: გზა ახლა გატკეპნილია, სწორი და მაგიდასავით გლუვი, თოვლი გააფუჭებს, გააოხრებს. და მაშინ მთელი ღამე უნდა იბუქსაო, რადგან გრეიდერები გზატკეცილზე ცხვირს არ გამოჰყოფენ, სანამ არ გათენდება, ასე რომ, არაფრის იმედი არ უნდა გქონდესო.

ასე ლაპარაკობდა გაბრაზებული და მართალიც იყო. თოვლი მხოლოდ ხელისშემშლელი რამ იყო რიტმასთვისაც და მისთვისაც. განა უფრო ჩქარა და თავისუფლად არ ივლი, როცა ზემოდან არ გათოვს? თუმცა თემშარაზე იმ ბოძთან რომ გადაუხვია, რომელსაც გზის მაჩვენებელი „მურგალე — 6 კმ“ ჰქონდა, თოვლით ჯერ კიდევ შეუფიფქავმა ქალმა უკან მიიხედა და უცნაური მღელვარებით გაიფიქრა: „მაინც რა ღამაზია...“ — ფანტელები კი მხრებსა და თმაზე უხმოდ ეფინებოდა.

რაც ახლა მის ოჯახში ხდებოდა, რიტმამ თითქმის ზუსტად გამოიცნო. ათისი ქალაღდის ფურცელს უვქდა და თვალეზმობლესილი აკვარელის საღებავებით რალაცას თითხნიდა, იგი ცდილობდა, რამენაირად განედევნა მოძალებული ძილი. აიგარი კი, რომელიც სულაც არ იყო წინააღმდეგი მხართეძოზე წამოწოლილიყო, ბოლოს და ბოლოს წიგნებს მისჯდომოდა, სახვალის დავალებებს თვალს მაინც გადავავლებო. მხოლოდ ვილი-

სის ამბავი ვერ გამოიციანო — მხოლოდ მასთან დაკავშირებით დაუშვა შეცდომა.

ვილისი კი გაოგნებული იდგა და საკუთარ ჩრდილს შესცქეროდა. არა, მისტიკოსი სულაც არ ყოფილა, იცოდა, რომ კედელზე აღბეჭდილი უცნაური გამოსახულება შუქჩრდილის ვერაგული თამაში იყო და კმაროდა, შებრუნებულიყო, მდგომარეობა შეეცვალა, რომ ყველაფერი გაქრებოდა და წაიშლებოდა, მაგრამ სწორედ ეს არ შეეძლო — არც შუქჩრდილების ძალა ჰქონდა, არც მდგომარეობის შეცვლისა, რადგან მთელი მიგნული მუშტყვიტ შეჰკვროდა, გუნდასავით დაგორგვლოდა და ბაგირივით დაჭიმვოდა, ერთიანად შეკუმშული თითქოსდა სადაცაა უნდა გახეთქილიყო.

კარს იქით ნაბიჯების ჩქამი გაისმა. „რიტმა იქნება!“ — იოტისოდენა იმედმა გაუელვა ვილისს, თითქოს მხოლოდ რიტმას შეეძლო ამ ჯადოსნურ ბორკილ-ბადეთაგან მისი დახსნა, და შუქმა, ოთახიდან რომ გამობრდღვიალდა, კედელზე უმაღლ ნაშალა გამოსახულება.

— ეს შენა ხარ, მამა? მე კი მეგონა, დედა იყო. რას აკეთებ ამ სიბნელეში?

აიგარმა შუქი ჩართო.

— ბიჭოს! ე-ეს რა არის? ე-ეს ხომ ცხენირმის ყურებია, მიწა გამსკდომოდეს, თუ ვცდებოდე! ღმერთმანი, ნამდვილად ცხენირმის ყურებია!

— ოდესღაც იყო ცხენირმის ყურები... — წარმოთქვა ბოლოს ვილისმა, თითქოს ახლად გამოეღვიძაო. უნდოდა, თავისი დაბნეულობისთვის დაეცინა, მაგრამ ასე ეგონა, მკერდისა და მუცლის ღრუს ყველა ორგანო წინანდებურად მაგარ გუნდასავით ჰქონდა შეკრული, და გაურბოდა სიცოცხლს ისევე, როგორც სიტყვის ხმამაღლა წარმოთქმასა და მკვეთრ მოძრაობას, რადგან ინსტინქტურად ეშინოდა, შიგნით არაფერი გამისკდესო.

— ათ-თის, ეშმაკის ფეხო! ათის, მოდი აქი ფ-ფატერმა ცხენირემი მოიტანა!

კარებში უმცროსი ბიჭიც გამოჩნდა, თვალებს აფახულებდა და სუნთქვაშეკრული შიშით შესცქეროდა ნადირს, აიგარი კი აღტაცებით დახტოდა ვილისის გარშემო, თითქოსდა ველურთა სამხედრო ცეკვას ცეკვავსო, რომლის ტაქტსაც აყოლილი მამაკაცთა გულები უხსოვარი დროიდან მიერეკებოდნენ ძარღვებში სისხლს.

აი, ისიც — გაოცება და აღფრთოვანება, ის, რაზედაც ვილისი ოცნებობდა, რაც სწყუროდა. მაგრამ მის თავზე შარავანდი რატომ არ აციალდა? იქნებ უბრალოდ ბედნიერებამ გადარია? თუ, რაკი მოპოვებულია, ბედნიერება ბედნიერება აღარ არის?..

— ჩამომალეებინე, — დაღლილად უთხრა შვილს ვილისმა, ზურგჩანთა ჰქონდა მხედველობაში, რომლის სამხრეებიც ღრმად ჩამჯდარიყო ბენვის ქურქის სქელ სახელოებში.

აიგარმა ჩანთას ხელი მოჰკიდა, რომ ჩამოეხსნა.

— ტყვიასავით მძიმეა... შენ მოკალი?

ვილისმა თავი დაუქნია.

— ჰო... — არაფრის მოყოლა არ სურდა, ძალაგამოღებული და დაღლილი იყო, ჩანთამ მხრები გაუკავა, როგორც კარტოფილით სავსე ტომარამ. — ჯერ ბალთა გახსენი... ასე... ორივე სამხრე ერთად არ გინდა... დედაშენი სად არის?

— დედა შინ არ არის.

ზურგჩანთა მძიმედ ჩამოსრილა იატაკზე.

— მაშ ასე. ახლა ჯამები მოიტა. უნდა ამოვანყოთ და სიცივეში გავიტანოთ... სად წავიდა დედა?

— დედა? — კითხვა შეუბრუნა აიგარმა, ზონარს რომ ხსნიდა. — რაუდავაში.

— კვირა დღეს? — გაუკვირდა ვილისს. — რა უნდოდა?

— გგონია, მე მეუბნება, — ოდნავი წყენით შეეხშიანა აიგარი, ეტყობოდა, დედის უკმეხობით ჯერ კიდევ გულნატკენი იყო.

— დიდი ხანია?

— რა არის დიდი ხანი?

— ყრუ ხომ არა ხარ, ბიჭო? რომელი ავტობუსით წავიდა-მეთქი?

— დედა ავტობუსით არ წასულა. კასპარსონის მანქანას გაჰყვა.

კაცი დუმდა.

— აი, რა ყოფილა... — ყრუდ ჩაილაპარაკა ბოლოს ვილისმა და მშრალად ჩაახველა.

კურტაკი უკვე ჩამოჰკიდა, მაგრამ ისევ ჩამოსაკიდს მიუტრიალდა.

— მამა, ისევ გინდა სადმე წახვიდე?

— მალე დავბრუნდები, — მიუგო ვილისმა, რომელმაც არ იცოდა, ღირდა თუ არა, ეთქვა, მინდა გაჩერებამდე გავიაროო, და მაინც არ უთხრა.

სახურავებს მოღრუბლული, თოვლის ჩამოსაყრელად გამზადებული ზეცა ჩამომხოვბოდა. გატკეპნილ გზაზე ქარი დაქროდა. ვილისი ნელა მიჩანჩალდა ქიშკრამდე. მეჩხერ თმას ქარი უწუნავდა, რადგან ქუდი არ წამოუღია, მაგრამ შინ შებრუნება არ უნდოდა. მხოლოდ საყულო აინია და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო — სიცივით ხელებზე არ სციოდა, და განიერი ნაბიჯებით გაჩერებისკენ გაემართა. ღამისეულ უკუნეთს ფანჯრებიდან გადმოღვრილი შუქი და თოვლის მონაცრისფრო-მოლურჯო ანარეკლი სდევნიდა. სავეტერინარო უბანთან ქარში ფარანი ირხეოდა და მოცახცახე ათინათებს ისროდა. ვილისს მოუნდა საათზე დახედვა და ფარნის ქვეშ შეჩერდა, რომლის მოთიმთიმე სინათლე ხან შარავანდივით ეხვეოდა მთრთოლვარე ათინათებით, ხან განზე გაურბოდა და ხშირ ბინდში ტოვებდა. როგორც ცხოვრებაში მომდისო, გაიფიქრა ვილისმა.

კიდევ იდგა ერთხანს, თითქოს ცდილობდა გაეხსენებინა, რატომ იყო აქ და რის ვაკეთებას აპირებდა, ბოლოს და ბოლოს მაინც დახედა საათს და დაასკვნა, რომ უკანასკნელი ავტობუსი საათზე მეტი ხნის წინ უნდა მოსულიყო.

ვაიმე, რა სულელი ვარ და რა ვირი, თქვა კაცმა, რა რეგვენი და ოტროველა, დაუმატა მან, მასხარა და ყეყეჩი...

სიტყვებს ბაგეები თავისთავად წარმოთქვამდნენ — მათში არც ბოროტება იგრძნობოდა, არც სინანული, ყველაფერი გულგრილობამ დაფარა, როგორც მსუბუქმა ნარკოზმა.

ვილისი მცირე ხანს კიდევ იდგა, არ იცოდა, რას ელოდა და საერთოდ ელოდა თუ არა რასმე. მერე უკან მიტრიალდა.

ინგუსთან ხომ არ წავიდეს? იქნებ ველძეს დასალევი ჰქონდეს?

მაგრამ ვერ გეტყობათ. დალევა უნდოდა თუ არა, — მას არაფერი არ უნდოდა.

პირველი ფანტელი ჩამოვარდა და სახელოზე დააჯდა. ვილისი თვა-

ლის დაუხამხამებლად უცქეროდა — გადნება თუ არაო? — მაგრამ ფანტელი არ დნებოდა. მეორეც ჩამოფრინდა. კაცმა გარშემო მიმოიხედა: ჰაერში თეთრი ფარვანები დაფრინავდნენ. ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, — თოვლი მოდიოდა.

შინ აუჩქარებელი ნაბიჯით დაბრუნდა. აიგარს ყველაფერი ისე გაკეთებინა, როგორც საჭირო იყო — ხორცი და თავი სიტყვეში გამოედგა. ცხენირმის ძვალთა ცოცხალი ელვარება თანდათანობით მქრქალდებოდა, ხოლო ევედა ყბა ისევ ისე ეკიდა და ყვითელი კბილები დაეკრიჭა.

— ხედავ, მოხუცო... ხედავ... — ვერ გაიგებდით, ცხენირემს მიმართავდა ვილისი თუ საკუთარ თავს. — ...არა უშავს რა, მოხუცო... ყველაფერი კეთილად დამთავრდება...

ვილისი კარის სახელურს მისწვდა და დაცემის ხმა გაიგონა. ხეირინად ვერც მიხვდა, რომ ეს ის ხმაური იყო, მისმა საკუთარმა სხეულმა რომ გაიღო, როცა იატაკზე მოადინა ბრაგვანი.

„კონტუზიაა, ძველი არამ...“ — როგორც ცოცხალ არსებაზე გაიფიქრა მან, მაგრამ ეს აზრიც გაუწყდა.

ამასობაში კი რიტმა მიდიოდა და მიდიოდა და სულ უფრო იფარებოდა თოვლით.

იმ დროისთვის, მურგალეში რომ გადმოვსახლდი, ჯერ კიდევ არ მყავდა ძაღლი, ხოლო მომდევნო — ანგარიშით მესამე კატამ ისევე, როგორც ორმა მისმა წინამორბედმა, სულ რამდენიმე ხნის წინ თქვენი ქირი წაიღო, ასე რომ, იმ დროს არც შინაური ცხოველი მყავდა, არც გარეული, არც ფრინველი, არც პირუტყვი, არც ფუტკარი ან თევზი, ერთი სიტყვით, ისეთი არაფერი მყავდა, პერიოდულად ვეტერინარის მომსახურება დამჭირვებოდა, ამის გამო კი იძულებული ვყოფილიყავი ამ პროფესიის ადამიანებთან დამემყარებინა კონტაქტი. და მაინც ფელიქს ვოიცეხოვსკი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც აქ გავიცანი, და ამის საბაბი ერთობ სასაცილო, თუმცა არცთუ ძალზე ორიგინალური შემთხვევა გახლდათ, როგორც ცხოვრებაში არაერთგზის ყოფილა; მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ველოდი, რომ ასეთი რამ მომივიდოდა, მით უმეტეს აქ, ამ მივარდნილ ადგილას მაინც არა, სახელად მურგალე რომ ჰქვია.

ჰოდა, აი, ზაფხულის ერთ თბილ საღამოს ვოიცეხოვსკის ღია ფანჯარას ჩავუარე და სადღაც სულ ახლოს ხრინწიანი და წრიპინა, თუმცა ერთობ მხიარული ტენორი გაისმა:

— სალუტი! ჩაო, ბამბინო!

ფანჯრის ფარდა თრთოდა და ირხეოდა, თუმცა ნიავეც კი არ ქროდა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ფარდას ვიღაც უხილავი ამოფარებოდა, რომელიც ვერ ისვენებდა, ქუჩას გასცქეროდა, ყვიროდა და ხითხითებდა.

წამით სიჩუმემ დაისადგურა, მხოლოდ ფარდის მოძრაობა ადასტურებდა, რომ იქ ვიღაცა იმალებოდა, შემდეგ საჭურისის ყრუ, ჩახლეჩილმა ხმამ ალერსით წარმოთქვა:

გამარჯობა, ლამაზო! Bon giorno! Mein, wie gehts?

ფარდის იქით ვიღაცას სიცილი წასკდა, ერთხანს იხვიხვინა, მერე ხმას დაუნია, აღუღუნდა, ინტიმურად აჩურჩულდა და უცებ ნეაპოლური სიმღერა წამოიწყო, რომლის ტექსტშიც — არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი, შემსრულებლის საშინელი დიქცია თუ ჩემგან იტალიური ენის უცოდინა-

რობა, — სამწუხაროდ, სულ ერთადერთი სიტყვა გავიგე, რომელსაც იდუმალებით, თითქოს ტკბებო, დიდი გრძნობითა და მგზნებარებით, ნეტარებითაც კი წარმოთქვამდა, და ეს სიტყვა საყოველთაოდ ცნობილი გახლდათ.

მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, რომ სიმღერა ისევ შეწყდა, თანაც მოულოდნელ ადგილას სიტყვა იყო დამთავრებული და არც ტაქტი. და იმავე ხმამ წარმოთქვა:

— მოიცა, ნუ წახვალ, ძვირფასო!

ფარდამ გაიტყლაშუნა, გაისმა ხრინწიანი სიცილი, მაგრამ გამოჩენით არავინ გამოჩენილა. ფანჯარას ამოფარებული ვიღაცას ამასხარავებდა, ამაზე ორი აზრი არ შეიძლებოდა არსებულიყო, და ეს „ვიღაცა“, მომწონდა თუ არა, ალბათ, მე ვიყავი, თუმცა ვერ გამეგო, რატომ მაქცია მასხარამ დაცივნის ობიექტად.

ამ სულელურ სიტუაციაში ყველაზე ჭკვიანური ის იყო, თავი მომეჩვენებინა, თითქოს არც შემინიშნავს ეს მოურიდებელი მანჭვა-გრეხა, და იქაურობას ისე გავცლოდი, ხათაბალაში არ გავხვეულიყავ. მაგრამ თითქოსდა ვიღაცა მაქეზებდა. დაუძლეველი სურვილი გამიჩნდა, მენახა იდუმალებით მოცული პოლიგლოტი, რომელიც კადნიერად მაბრაზებდა და რატომღაც მფრთხალივით იმალებოდა ტიულს უკან. რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, მაინც უნდა შევხვედროდი პირისპირ, აუცილებლად: ცნობისმოყვარეობამ დაჯაბნა აღშფოთება და იმის შიში, სასაცილო მდგომარეობაში არ ჩავვარდნილიყავ, აჯობა გონიერებას და თვითონ მეც მაჯობა, რადგან მე ხომ ევას ტიპიური ქალიშვილი გახლავართ, ხოლო პანიკური შიში იმის წინაშე, ვაითუ სულელად ჩამთვალონო, — ძლიერი სქესის ამპლუაა. ფანჯარასთან გავჩერდი და მღელვარებითა და მოუთმენლობით ვიკითხე:

— უკაცრავად, თქვენ, მგონი, რაღაცა მითხარით?

აი, ახლა აიხდება ფარდა და ფანჯარაში გამოჩნდება ის უხილავი არსება. თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა. გაფაციცებული ვიცქირებოდი, მაგრამ ამაოდ. აშკარად ვიცოდი, რომ მითვალთვალეზდნენ, ამაზე მეტყველებდა ფარდის მოუსვენარი, ნერვული რხევა, რაც იმასაც ნიშნავდა, რომ ტენორის პატრონს თანდათანობით უფრო და უფრო ემატებოდა მღელვარება. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მოვლენები არ ვითარდებოდა. უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ არ ჩნდებოდა წყეული!..

დავიცადე ერთ ან შეიძლება ორ წუთს და ხმა ისევ გავიღე:

— მაპატიეთ, თქვენ... — ამჯერადაც ძალზე თავაზიანად და ტაქტიანად დავინწყე, მაგრამ ტენორი — ღმერთო ჩემო! ნეტა რა მოელანდა ჩემს ტენორს?! — სავსებით უსაფუძვლოდ აღშფოთდა. გულკეთილი კუჭკუჭი ყოველგვარი გადასვლის გარეშე შეიცვალა სხვა ტონალობით: თავდაპირველად გამყინავი ჭყვიტინი აღმოხდა, თითქოს ღორს დანა დაჰკრეს და ააჭყვირესო. მერმე კი — მერმე ყვირილი დამიწყო.

— ჰაიტი, შე როსკიპო, შენა! — ისტერიულად ღრიალებდა იგი. — შე... ძუკნავ, შენა! — მთათხავდა. — ... pore—cal.. — იჭაჭებოდა, იგუდებოდა და ბრაზით იხრჩობოდა. — ... გარყვნილო... alte Huhre... crea-tu-ura... კხრე... პხრე... ხრე-ე-ე...

რაც უფრო გრძელდებოდა ეს ჩხავილი, მით უფრო კარგავდა ადამი-

ანის მეტყველებასთან მსგავსებას, თანდათანობით იკრებდა ძალას და თავზარდამცემ წივილში გადადიოდა, მოპიკირე თვითმფრინავის ღრიალსა და პნევმატური ჩაქურჩის დუგდუგს, გაფუჭებული რეპროდუქტორის ღრიალსა და მთელი ძალით ამუშავებული ბორმანქანის სტვენას ემსგავსებოდა, რომელიც სადაცაა ულტრაბგერებში უნდა გადასულიყო.

არა, შეუძლებელი იყო ცოცხალი არსების ყელიდან წამოსვლა ამისთანა ხმები — ყოვლად შეუძლებელი იყო. ამ მექანიკურ-ხმასურში იყო რაღაც შემზარავი, თავზარდამცემი და არაბუნებრივი, რისგანაც სკდებოდა ყურის აპკი და ყალყზე დგებოდა თმა, ტანში გაფრქოვებდა და სხეულის ასოები გიხევებოდა. და უკვე არა ცნობისმოყვარეობა, ღმერთო ჩემო, არა, — დამბლადაცემული ფეხები არ მაძლევდა იმის საშუალებას, ამ წყეულ ადგილს გავცლოდი.

და ამ დროს, როგორც იქნა, ფარდა აიხადა.

მოვემზადე საზარელი... მახინჯი... ჩლუნგი... საზიზღარი... თვალბდაყვლებილი. სიფათის დასანახავად... ლამის გული გამიჩერდა, ყელი დამეხშო, მღ...

მაგრამ ფანჯარაში გამოჩნდა სავსებით ნორმალური იერის ხანშიშესული მამაკაცი. და თუ მის გარეგნობაში უჩვეულო რამ იყო, ეს მისი წმინდად გადაპარსული თავი გახლდათ, თანაც მელოტი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, თავის ფორმას კი არ აუშნოებდა, უფრო ხაზს უსვამდა პატარა ოვალური თავის ქალის სილამაზეს.

— გთხოვთ, მაპატიოთ... ბოდიშს გიხდით, — მითხრა კაცმა და გულისტკივილით დაურთო: — ეს ტიერია, ეშმაკის კერძი!

— ტიერი? — შევუბრუნე კითხვა აკანკალებული, დახშული ხმით, რომელიც თვითონვე ვერ ვიცანი.

აფრიალებული ფარდის მიღმა, თითქოს ცუდი არაფერი მომხდარაო, ისევ თავაზიანი და უწყინარი ხმით ჩაიხითხითა უკვე ჩემთვის ნაცნობმა ტენორმა.

— დიახ, ტიერია, კატის საკბილო! — გაიმეორა კაცმა, ტიული კიდევ უფრო გადასწია და ფანჯრის რაფაზე მჯდომი მოზრდილი თუთიყუში დამანახა, ნაცრისფერი და ხასხასა წითელი ნაკრტენით შემოსილი ეგზოტიკური საკვირველება, რომელიც მხოლოდ ზოოპარკსა და, მგონი, ტელევიზორში მინახავს.

ახლა ჩემი რიგი იყო, რომ რაიმე შემრიგებლური მეთქვა, მაგრამ დაბნეულობის გამო ვერაფერი მომეფიქრებინა.

— მე კი მეგონა... — დაუფიქრებლად ჩავილაპარაკე, მაგრამ, გულახდილად რომ ითქვას, რა მეგონა, თვითონაც არ ვიცოდი, დარჭობილ ბოძით ვიდექი ტიერის სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული გინებით თავზარდაცემული.

— აბა, აბა, მაინც რა გეგონათ? — უმალ დაინტერესდა კაცი საამო, რბილი, კეთილგანწყობილი ხმით.

— ...რომ ამ სახლში ჩემი რეცენზენტული მოღვაწეობის მრავალთაგან ერთ-ერთი მსხვერპლი ცხოვრობდა, — ძლივს მოვახერხე პასუხის გაცემა.

— რას ამბობთ? — გაიცინა კაცმა. — არა, აქ ათადან-ბაბადან ვეტერინართა ბუნაგი იყო, — მცირე პაუზის შემდეგ მითხრა კაცმა, რითაც ერთგვარად გამეცნო კიდევ, ბოლოს თავისი სახელიც მამცნო.

ვოიცეხოვსკი ყოფილა, ფელიქს ვოიცეხოვსკი.

ტიერი კი ამასობაში ჩხაოდა, ტრიალებდა და ბუმბულს ინმენდდა, სანამ ფანჯარაში ნაკრტენი არ გადმოფარფატდა და უქარო ჰაერში თავისი ღერძია გარშემო ტრიალით არ დაეშვა მიწაზე. თავი ვერ შევიკავე და ნაკრტენის ასაღებად დავიხარე.

ეტყობა, ტიერს მოეჩვენა, რომ მას ან ვოიცეხოვსკის ვემუქრებოდი, იქნებ უბრალოდ არ მოეწონა ჩემი მოძრაობა, და ხმისაღწევი სიძულვილი.

— Psia krew! სად ძვრები, ბებერო კუდიანო! — დამჩხავლა და, თავისთავად ცხადია, ეს არ მაკმარა — ისევ სეტყვასავით დამაყარა ლანძღვა-გინების გამომხატველი მაგარ-მაგარი სიტყვები და გამოთქმები.

ნაკრტენი კი ხელში მეჭირა.

— ვერ იტანს ქალებს, — ტიერის გასამართლებლად თუ ჩემს დასამშვიდებლად მითხრა ვოიცეხოვსკიმ.

— ტიერი დედალია?

— ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია. ქალები ეჯავრება.

— იქნებ ქალმა გაანაწყენა როდისმე?

— ქალს რომელი ჩვენგანი არ გაუნაწყენებია? — მსუბუქი ირონიით მომიგო ვოიცეხოვსკიმ და წვრილი, უფერული თითებით მიუაღერსა ტიერს, ცდილობდა გაეჩუმებინა და დაემშვიდებინა აღგზნებული ფრინველი.

მე კი ნაკრტენს ვათვალიერებდი. იგი გალაქულივით გლუვი იყო და ხასხასა წითელი, ისეთი კაშკაშა და ელვარე, გეგონებოდა, ცეცხლი წაჰკიდებიაო, და მე, ჩრდილოელ ქალს, თითქმის ხელოვნური მეჩვენებოდა, რადგან ამისთანა თვალისმომჭრელი ფერები მხოლოდ ტროპიკების ბუნებას ახასიათებს.

ვოიცეხოვსკიმ თქვა:

— დასავლეთ აფრიკის სანაპიროზე ადგილობრივ მკვიდრთ თუთიყუშის ნაკრტენი სამკურნალო საშუალებად მიაჩნდათ.

— რა სენს კურნავსო, თუ საიდუმლო არ არის?

— კაცმა გაიცინა.

— სისულელესა და ლაყბობას.

რაკი ასე იყო, ნაკრტენი შეიძლებოდა გამომდგომოდა, რადგან სხვა სნეულებებს მედიცინაც წარმატებით მკურნალობს.

სანამ მე და ვოიცეხოვსკი ვსაუბრობდით, ტიერი განუწყვეტლივ ჩხაოდა, მრგვალი თვალებით აღმატურად შემომცქეროდა და, როცა გზას გავუდექი, დამადევნა:

— ბოდიში... ძალიან დიდი ბოდიში... ნახვამდის, პან...

ტიერის მხრივ ეს დიდი თავაზიანობა გახლდათ, ოღონდ მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა მაიძულეს ეჭვი შემპარვოდა, ვოიცეხოვსკის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ამოიცნო თუ არა თუთიყუშმა ჩემში ქალი. თუმცა რას გაიგებ! ყოველ შემთხვევაში ჩვენ ერთმანეთს თითქმის მეგობრებად დავშორდით.

მე ვერასოდეს გავიგე, დასავლეთ აფრიკის სანაპიროზე როგორ მკურნალობდნენ თუთიყუშის ნაკრტენით და ჩემი შეხედულებისამებრ ემოქმედებდი — ტიერის ნაკრტენს მუდამ თილისმასავით ვდებდი ხელნაწერების საქალაქში. მიხსნა თუ არა სისულელისა და ლაქლაქისაგან — ვერ გე-

ტყვით, მაგრამ ნაკრტემს რომ ვუცქეროდი, მუდამ მლელვარებასა და აღ-
ტაცებას განვიცდიდი ბუნების ამ შედეგით, ასე რომ ნაკრტენი თავისე-
ბურად აკეთებდა კეთილ საქმეს, რადგან ჩემში სრულყოფისაკენ სწრაფ-
ვას აღვიძებდა.

**განხორება პატარა სიკვდილია, ანუ მოთხრობა ფელიქს
ვოიცეხოვსკის და აგრეთვე ჯამასა და მელანის შესახებ**



დაბნეულმა დეპეშა გახსნა და მოულოდნელად აღელდა.

„ვიქნები პირველში სალამოს. ევა“.

„ევა ხომ მკვდარია“, — გაოცებით გაიფიქრა ვოიცეხოვსკიმ, თითქოს
მოვლენათა ჭეშმარიტი მდგომარეობა მის შეგნებამდე ძალზე ნელა აღ-
წევდა, როგორც დილაობით მოსდიოდა ხოლმე, ძილ-ღვიძილის ზღვარზე
ყოფნისას, როცა იცოდა, რომ რაც ხდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ სიზ-
მარი იყო, და სიამოვნებით განაგრძობდა ხილვათა ტყვეობაში ყოფნას,
სულ არ ჩქარობდა თავი დაეღწია მოჩვენებითი სამყაროსთვის და რეა-
ლურს დაბრუნებოდა, რადგან, მიუხედავად ასაკისა და პროფესიისა, ბუ-
ნებით სენტიმენტალური კაცი იყო და ეს თვითონაც სრულად ჰქონდა შეგ-
ნებული, თუმცა საქვეყნოდ უარყოფდა და დასცინოდა მგრძნობიარობას,
თითქოს მამაკაცს რომ არ ეკადრება და სრულებითაც არ ახასიათებს,
რაც ჭეშმარიტებას არ წარმოადგენდა და ეს საკუთარი მაგალითითაც
მშვენივრად იცოდა. საკმაოდ ხანდაზმული კაცი იყო საიმისოდ, რომ სა-
კუთარ თავზე ყველაფერი სცოდნოდა, მაგრამ არც ისე ხანდაზმული, რომ
თავისი ნაკლოვანებები სათნოებად ჩაეთვალა. მისი გარეგნობა — მოაზ-
როვნის თავის ქალა, რომლის კლასიკური ფორმაც ომის დროს გადატა-
ნილ პარტახტიან ტიფს საქვეყნოდ გამოეჩინა, სახის ხმელი ნაკვთები და
თვით თხელი ტუჩები, რაც უფრო გონიერ ადამიანს ახასიათებს, ვინემ
ემოციურს, ოდნავ მედიდური, ირონიული მიუკარებლობა — მასზე მცდარ
შეხედულებას ამკვიდრებდა: ვოიცეხოვსკიმ თვითონაც იცოდა, რომ აღფ-
რთოვანებული, ვნებიანი და ძალღივით ეჭვიანი კაცი იყო.

დეპეშა კიდევ ერთხელ წაიკითხა.

„მურგალეს ვეტერინარული უბნის გამგეს. ვიქნები პირველში სალა-
მოს. ევა“.

არც ერთ ევას არ იცნობდა, გარდა იმისა, რომელიც დიდი ხანია ამ-
ქვეყნად აღარ იყო. და ახლა, ხელში დეპეშა რომ ეჭირა და მშვენივრად
იცოდა, რომ ეს მისტიკა და შემთხვევითი დამთხვევა იყო, რამდენიმე წა-
მით კიდევ სიამოვნებით მინებდა თავის მოტყუების ჯადოქრულ ძალას,
რასაც არავის წინაშე არ აღიარებდა და რაც, ალბათ, სხვებს მტკნარ
სისულელედ მოეჩვენებოდა.

— ფელიქს! ფელიქს! — დედაკაცის მზაკვრული ხმით აღულუნდა ტი-
ერი კაცის ყურთან. — ფელიქს!...

ხელი ანდეზე გაიწვდინა ფრინველისაკენ, მის რბილ მკერდს მიაგნო
და მოფხანა, თვალებით კი ნაცრისფერ ბლანკზე გამოგზავნის დრო და ად-
გილი მოძებნა, რაც აგრეთვე არაფერს ეუბნებოდა.

— ფელიქს! ფელიქს! Mon cher!

— დაწყნარდი, ბებერო პრანჭიავ, — ღიმილით უთხრა კაცმა და თუ-
თიყუში გვერდზე მისწია, თუმცა უფრო ალერსიანად, ვინემ უხეშად.

მოკლე ტექსტი წარმოსახული, მოგონილი მღელვარებითა და ინტი-
მური იდუმალებით სუნთქავდა და მას ესეც კარგად ჰქონდა შეგნებული.

„ვიქნებით პირველში სალამოს...“ — ანგარიშმიუცემლად წაიკითხა
მესამედ.

ესე იგი, დღეს. მერედა რა თადარიგი უნდა დაიჭიროს ამ შემთხვევას-
თან დაკავშირებით? ბოლოს ოდნავ დამშვიდდა. ეტყობა, დეჰეშის გამომ-
გზავნს ლოგიკურად უმსჯელია და მხედველობაში შექონია, რომ მის წი-
ნაშე ფელიქს ვოიცეხოვსკის რალაც მოვალეობა აკისრია... ნუთუ კიდევ
ჰყავდა ვინმე ევა? იგი უამრავ ქალს იცნობდა და, გასაგებია, გართუ-
ლებებსაც ჰქონია ადგილი, რასაც, ისეთ განშტოებულ და მშფოთვარე
მეურნეობაში, როგორც მისი ცხოვრებაა, თავიდან ვერ აიცილებ. თუმცა,
საწინააღმდეგოდ ძველი ანდაზისა — ძველი სიყვარული ჟანგს არ იკი-
დებსო, მას ყველაზე მეტად აშინებდა ძველ ურთიერთობათა და ბუნებრი-
ვად შეწყვეტილ დამოკიდებულებათა აღდგენა: ისინი გაცხელებულ წვნი-
ანს აგონებდა. საკმაოდ ხანდაზმული იყო საიმისოდ, რომ სცოდნოდა —
ცხოვრებაში ზუსტად არაფერი მეორდება, მაგრამ თავი ისე ბებრად როდი
მიაჩნდა, რომ ტკბილი მოგონებების ცოხნით გასულიყო იოლად, როგორც
Ruminantia¹-ს კლასის ინდივიდი, ან ქოფაკი, მინაში ჩაფლულ ძვალს რომ
თხრის. ის ერთ-ერთი იმ მამაკაცთაგანი იყო, რომლებიც ასგზის დარწ-
მუნებულან, ყველა ქალი ერთნაირიაო, მაგრამ მაინც შეუძლიათ უზარმა-
ზარი ენერჯია და ენთუზიაზმი შეალიონ ასმეერთის დამორჩილებას. ამა-
ში მდგომარეობდა მისი ძალა და მისი სისუსტე, რის გარეშეც ვერ იქნე-
ბოდა ის, ვინც იყო, ანუ ფელიქს ვოიცეხოვსკი — თავგადაპარსული, ოდ-
ნავ კოჭლი, მაგრამ მაინც მომხიბვლელი და მიმზიდველი ვოიცეხოვსკი.

— Sic transit gloria mundi! — ყოვლად უდროოდ და უადგი-
ლოდ, ზარზეიმით შესძახა ტიერმა, რომელიც ადვილად იცვლიდა განწყო-
ბილებას. მაგრამ რა პასუხი უნდა მოგეთხოვა მისთვის.

— დაიკარგე აქედან, ლაქლაქავ! — უთხრა ვოიცეხოვსკიმ, მგრძნო-
ბიარობაცა და შიშიც ერთბაშად ჩამოიფერთხა და გაიცინა. ძალდაუტანე-
ბელი მოხდენილობითა და გველის გრაციით, რასაც ესპანდერით ვარჯიში
და საკუთარი თავის რწმენა სძენდა, სანერ მაგიდასთან მივიდა და დეპე-
შა ჩვეულებრივ ამოსდო კალენდარქვეშ, რომელსაც ლითონის მძიმე საყ-
რდენი ჰქონდა, რადგან ტიერი ხანდახან თავს ვერ იკავებდა და მისი ქა-
ლადების დალაგებას ცდილობდა.

კალენდრის ფურცელზე პირველი აპრილი იყო აღნიშნული. უკვე აპ-
რილიაო, ისევ გაახსენდა მას და ფანჯარას შეაცქერდა, საიდანაც უფრო
ზამთრის დასასრულის დაღვრემილობა ჩანდა, ვინემ გაზაფხულის გა-
მოღვიძება, და გარშემო გაბატონებულ ჭუჭყიან უფერულობაში თვალს
ვერაფერზე შეასვენებდი.

„გამოძახებით მაინც არავინ გამომიძახებდეს“, — ფიქრობდა ვოიცე-
ხოვსკი და უცქეროდა თოვლს, უსურველად რომ აღნებოდა, ღრუბელგა-
დაკრულ ზეცასა და შოშიებს, რომლებიც არყის ხის შიშველ ტოტებზე ის-
ხდნენ და ქარი ბუმბულს უწუნავდათ, ისინი ისე გაფხორილიყვნენ, მათ

1. მცოხნელი ცხოველები (ლათ.).

2. ასე გაივლის მინიერი დიდება (ლათ.).

შემყურეს, ოთახშიც კი სიცივე აიტანდა. ტემპერატურა ნულზე ოდნავ მაღალი იყო. „ნეტა არსად წასვლა არ მომიხდებოდეს!“ — გულში გაიმეორა კაცმა, თუმცა დიდ იმედი არა ჰქონდა, რომ გაუმართლებდა, რადგან გაზაფხული, თუნდაც ნაადრევი, როგორც შარშან იყო, თუ ნაგვიანევი, როგორც წლეულსაა, ვეტერინარისთვის ყველაზე ძნელი დროა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მას შემდეგ, რაც ველტა დეკრეტშია შესწორდისა და მელანია დარჩნენ. გაზაფხულზე იბადებიან ხბოები, იბადებიან ბავშვები, გაზაფხული ძნელი დროა, მაგრამ ასე იყო ათადან-ბაბადან და აქ ვერაფერს გახდები, პან ვოიცეხოვსკი.

კალენდარზე, თარიღქვეშ, მისი ხელით იყო დაჯღაბნილი მხოლოდ მისთვისლა გასაგები: „შეიძლება კოპუდრუვიდან დარეკონ“ — და ქვეშ წითელი ფანქრით იყო ხაზგასმული. ამის ქვეშ ჩანდა ბატიფეხური მინაწერი, რომელიც იუწყებოდა, არც ეს იქნება დიდი უბედურება, რადგან ტექნიკუმიდან გამოგზავნილი უმნიშვარი ბავშვებისგან რა ხეირია მოსალოდნელი, უფრო პირიქითაა, მისთვის ეს მხოლოდ ზედმეტი საზრუნავია, მაგრამ ვერაფერს იღონებ, რადგან ეს გამოუცდელი ბავშვები სადმე ხომ მაინც უნდა გააგზავნონ და, ბუნებრივია, ასეთი განტევეების კაცი სხვებთან ერთად რატომ არ შეიძლება ფელიქს ვოიცეხოვსკიც იყოს? დიდ პატივს სცემდნენ, როგორც პრაქტიკის ხელმძღვანელს, და მას საკუთარ ტყავზე არაერთგზის გამოუცდია, რა ძნელია პრაქტიკის კარგი ხელმძღვანელი იყო, როცა პედაგოგიური უნარი არა გაქვს. ისევ ქალიშვილს მაინც არ გამოგზავნიდნენ! მაგრამ მას, როგორც ქალთა სქესის ცნობილ მოტრფიალეს, ვინმე ისეთი გოგოთი გააბედნიერებენ, რომელიც ცხოვრების ქარცეცხლში კია გამოვლილი, მაგრამ შპრიცი სამწუხაროდ, მკვდარი თავივით უჭირავს. საერთოდ, ქალების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ სამუშაოზე, როგორც კოლეგას, ვერ იტანდა. თუმცა ვეტერინარულ უბანში გარს მხოლოდ ქალები ერტყა — ვალტა, მელანია... და ყოველ გაზაფხულსა თუ შემოდგომაზე ტექნიკუმი უგზავნიდა ქალთა სქესის თითო წარმომადგენელს, ხან კი ორ-ორსაც, თითქოს ჯიშისანი ცხვარი აჯილდოებდა ერთბაშად ორი ბატკნით...

და უცებ მიხვდა, რომ დეპეშა პრაქტიკანტი გოგოს გამოგზავნილი იყო. ნაკლებ სარწმუნოა? ვითომ რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ასეთი რამ არ სჩვეოდათ და, როგორც წესი, არ აწუხებდნენ იმის შეტყობინებით, თუ როდის ჩამოვიდოდნენ, და არცთუ იშვიათად ოფიციალური ვადის დადგომის მეორე ან მესამე დღეს გამოჩნდებოდნენ ხოლმე?

ყოველ შემთხვევაში ამისთანა დეპეშა რალაცას მაინც იძლეოდა საიმისოდ, რომ პრაქტიკანტის პიროვნებაზე წინასწარ ემსჯელა. ჯერ ერთი, როგორც თვითონ შიშობდა, პრაქტიკანტი ქალთა სქესის წარმომადგენელი იყო, მეორე, ქალიშვილს ასე თუ ისე განვითარებული ჰქონდა მოვალეობის გრძნობა, რაკი დღეს ჩამოდის და, მესამეც, ეტიკეტზე ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნია, რადგან დეპეშაზე ფამილარულად მხოლოდ სახელი მოუწერია. იმედი ვიქონიოთ, ეს ფაქტი არ მიუთითებს, რომ გოგონა უჭკუოა. როგორც ყოველთვის, უკეთესის იმედი ვიქონიოთ. ჰო, მეოთხეც, ევა... კეთილი, იყოს ევა. მელანიასათვის ეს განძი იქნება. მელანია მაშინვე ჩასჭიდებს ხელს და თავისი მეურვეობის ქვეშ მოაქცევს. მე-

ლანია ბუნებით კრუხია: მუდამ წინილას დაეძებს — უნდა ვინმეს დაპ-
კაკანებდეს თავს, უარეს შემთხვევაში, მზად არის, შეფობა გაუწიოს ისეთ
მამალსაც კი, როგორც თვითონ ვოიცეხოვსკია, თუმცა ამ როლისთვის
მას უზარმაზარი თავი და დიდი ბიბილო აქვს.

აცნობა თუ არა მელანიას, პრაქტიკანტს ველიო? მგონი — კი. ლო-
გინის თეთრეულიც, ალბათ, მომზადებული იქნება. შორის, კარ-
გია ცეცხლს დაანთებდეს: ისეთი აპრილი, ახლა ჩვენს დღესასწაულად კა-
ლენდრის ფურცელზეა გაზაფხული, თუმცა წველების მოძრაობის თვედ
კი ითვლება. მგონი შეშა კიდევა აქვთ და შენობაში სითბოს შენარჩუნე-
ბა სანიტრის საქმეა. ნეტა მელანია ამალამაც არ იყურყუტებდეს სადმე
გვიანობამდე...

ჰოდა, აი, ახლა იფიქრე და იმარჩიელე, პან ვოიცეხოვსკი! გიწყალო-
ბებს თუ არა ბედისწერა ისეთ საჩუქარს, როგორც არის წყნარი და მშვი-
დი კვირადღე?

იქნებ დასაწყისისთვის პატარა კოლექტიური ვახშამი მოვანყო? —
გაიფიქრა კაცმა. ვთქვათ, ერთად ივახშმონ მან, მელანიამ და პრაქტი-
კანტმა — გაცნობის აღსანიშნავად. ერთ თვეს ხომ ერთად უნდა იმუშა-
ონ... არა, ეს ზედმეტია!

მრავალწლიანი გამოცდილება კარნახობდა, რა დიდი მნიშვნელობა
აქვს პირველივე დღიდან გარკვეული, მკაცრი დისტანციის დაცვას უფ-
როსსა და ხელქვეითთა შორის — განსაკუთრებით მშვენიერ სქესთან —
და ყველასათვის უმალ თავისი ადგილის მიჩენას, თორემ ძნელია შემდ-
გომში უნიათობისა და ლიბერალიზმის შედეგების გამოსწორება. ვაჰ,
თვითონ კი ვახშამზე ფიქრობდა — იქნებ ბოთლი ღვინოც დაგეხვედრე-
ბინა, პან ვოიცეხოვსკი? აი, მომხიბვლელი არათანამიმდევრობა!..

O, сгарна, каша, gum!

ოთახის მდუმარებაში ხმადაბლა ამღერდა და თვითონვე გაეცინა.

ჰმ, კი მაგრამ, მეორე მხრივ, საკუთარ თავზე ზრუნვა მასვე რომ მიან-
დოს, რით უნდა დანაყრდეს ის მოფრენილი ჩიტი აქ, მურგალეში, როცა
მალაზიაც დაკეტილია და კიოსკიც? უნდა ვივარაუდოთ, რომ თან არ წა-
მოიღებდა ცხელი, ვთქვათ, ფრიკადელიანი წვნიანით სავსე თერმოსს.
მადლობა ღმერთს, რომ ყოველივე ეს დამშვიდებული გულით შეუძლია
დააკისროს მელანიას და არ არის საჭირო თვითონ ჩაერიოს, რაც მთლად
სწორი არ იქნებოდა. იქნებ მაინც ჩაერიოს?.. ცხოვრებაში ხომ — ვოიცე-
ხოვსკიმ ეს მშვენივრად იცოდა — ყოველთვის ვერ იტყვი, რა არის სწორი
და რა არ არის, ხშირად აქსიომად რომ გეჩვენება, ისიც კი საწინააღმ-
დეგო ხასიათს იღებს... ბოლოს და ბოლოს მისი მაღალი პრესტიჟი არ და-
ზარალდება იმით, სავეტერინარო უბნამდე რომ გაისეირნოს.

პალტო აიღო. მაშინვე შეინძრა ნერონიც — წამოდგა, გაიზმორა და
ჩინდაკლებული თვალებით ახედა პატრონს.

— წავიყვანო თუ არა? — ხმამაღლა ფიქრობდა ვოიცეხოვსკი და
ძალღს მალღიდან დასცქეროდა... — ეგრე იყოს, წამო, წამო!
და მათ ავდარსა და წუნწახს მისცეს თავი.

(გავრძელება იქნება)



ეროვნული
წიგლიწითეა

ენციკლოპედია

თარგმნა ნანა ახობაძემ

იგვირგვინის დასასრული

1947 წლის 14 აგვისტო. შუალაშა. ინგლისელები ტოვებენ ინდოეთს. უკანასკნელმა მეფისნაცვალმა ლუის მაუნტბეტენმა დღისით თვითმფრინავით შემოუფრინა ლტოლვილთა კოლონებს. სოფლები ხანძრის კვამლშია გახვეული. ქუჩებში ბრძოლები მძვინვარებს. ერთმანეთს ხოცავენ ინდუსები და მუსულმანები. განდი კალკუტის მუშათა უბანს შეფარებია. თავზარდაცემული და შეწუხებული ლოცულობს და შიმშილის საფრთხეზე საუბრობს. გეორგ VI ამიერიდან აღარ არის იმპერატორი. ქვისმთლები კედლებიდან ხსნიან, მღებავები კი საღებავებით ფარავენ სადარბაზოებზე დახატულ სამეფო გვირგვინებს და წარწერებს: „მისი უდიდებულესობა მეფე“.

სამოცდაათი წელი არც გასულა, რაც ვიქტორიამ, „ზღვის მეორე ნაპირზე მცხოვრებმა დიდმა დედამა სპილომ“, — ასე ეძახდნენ მას აღმოსავლეთ სამფლობელოთა მკვიდრნი, — თავისი გვირგვინის მარგალიტებს მიუერთა ინდოეთი. მაშინ მოჰანდას განდი ჯერ კიდევ ბავშვი იყო და მასწავლებელი ეუბნებოდა: „პატივი ეცი ინგლისელთა ძალაუფლებას, ინგლისელი მართაეს ტანმორჩილ ინდოელებს, რადგან ჭამს ხორცს და ხუთი წურთა სიმალდისაა. ინგლისურ ოჯახებში ამაყად წარმოთქვამდნენ კიპლინგის ბალადის სტრიქონებს:

„თავს ლაღად ვრძნობს ჩვენი ქვრივი
უინძორიდან,
რადგან მსოფლიოს ნახევარი უკვე
მისია“.

ბევრი რამ ხდება ამ დღეებში. ლორდი მაუნტბეტენი და ლედი ედვინა ეშაადებიან მთავრობის სახლის დასატოვებლად. თანდათან თავისუფლდება „Government House“-ის სამასი ოთახი. ჯავარპარლალ ნერუ, ვინც ოხუთმეტი წელი გაატარა მისი უდიდებულესობის საპრობილეებში, მზადაა შეუდგეს ქვეყნის მართვას. იგი სოციალიზმის მომხრეა, მისი საყვარელი ისტორიული გმირია ჯუზეპე გარიბალდი. თეოფიზიკური საზოგადოების წევრია. სწამს ცოტა ინდუიზმისა, ცოტაც ქრისტიანობისა და თავიანთს სცემს ოკულტურ მეცნიერებას. სხვა ენებზე მეტად ინგლისური ემარჯვება. ახლა ზღვა საქმე აქვს: დასასაფლავებელია ასი ათასი მიცვალებული, დასაპურებელი — სამასი მილიონი დამშეული ადამიანი. ერთმა „პატარა ინდოელმა“, ორმოცდაათ კილოზე ცოტა მეტს რომ იწონის და თვის რძითა და ფორთოხლის წვენიტ იკვებება, კუთხეში მიიმწყვდია როსტბიფით ნაზარდნი. ამ ინდოელს მოჰანდას განდი ჰქვია. პატარა ბიჭობაში უცხოელთა მიბაძვით სცადა დაერღვია თავისი რელიგიის ვეგეტარიანული წესები. „იმ დამეს თვალი არ მომიხუჭავს, — ჰყვებოდა შემდგომ, — მეგონა, ცოცხალი ცხვარი გადავყლაპე“. მერე

და მერე მიეჩვია თავისი თავით ეახროვნა და, რაც მთავარია, საკუთარ ჭკუასა და გულის კარნახს მინდობოდა. მიმდევრები მას ახლა მაპატმას ეძახიან, რაც „დიდ ჭკუას“ და „დიდ სულს“ ნიშნავს.

„ამ ნახევრად შიშველმა მემბოხე ფაკირმა“, — როგორც ჩერჩილი ეძახდა, — შეარყია ინგლისის უძლიერესი იმპერიის საფუძვლები „აპიმსის“ (არაძალადობის) და „სატიაგრაჰის“ (მტერზე ჭეშმარიტების ძალის სიყვარულით გამარჯვების) პრინციპთა ქადაგებით. მაგრამ ახლა, შუალამის ღარიბულ საუბანში განდი თავს უბედურად გრძნობს. მის მედიტაციებს არღვევს გამაყრუებელი სროლები და აჯახყებულთა ხმები“. ვგრძნობ, გააფთრება შემთხვევითი არ არის — ამბობს იგი. სანამ უცხოური უღლის გადაგდებით ეიყავით გართულნი, ზედაპირზე ამოტვივტივდა ყველა ჩვენი სისაძაგლე და უბადრუკობა. ასეა, განგის ადიდებისას კალაპოტიც ივსება და წყალიც იმღვრევა“.

ერთი ინგლისელი ალბათ სხვებზე მეტად ელოდა ამ დღის დადგომას, მისი სახელია კლემენტ ეტლი. მან იკისრა არცთუ სასიამოვნო როლი — ბოლო მოელო იმპერიისთვის. „ჩვენ არ დავთმობთ იმას, რასაც ვფლობთ“, — ყვიროდა ჩერჩილი, რახედაც ეტლი მშვიდად პასუხობდა: „თუ ინდოელებს გადაუწვევით დამოუკიდებლობა, არ მესმის, რატომ უნდა ვუთხრათ ამაზე უარი“. ეტლი მტკიცედ იღვა თავის სიტყვაზე და არად ავდებდა უამრავ შეურაცხყოფას, ყოველის მხრიდან რომ ისმოდა მისი მისამართით. ვინი (ჩერჩილსა და ეტლის ერთი აღმზრდელი ქალი ჰყავდათ) ეტლის „ცხვრის ტყავში გახვეულ ცხვარს“ უწოდებდა. ეტლიზე შეთხზულ ანეკდოტებზე მთელი ლონდონი იცინოდა. „დაუნინგ-სტრიტის ათ ნომერთან ცარიელი ლიმუზინი გაჩერდა და იქიდან ეტლი გადმოვიდა“. ან „ეს ყველაფერი არ მოხდებოდა, ბებერი ეტლი რომ ცოცხალი იყოს“.

როდესაც დადგა ქამი ინდოეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელმოწერისა, მოწმეთა თქმით, ეტლიმ ეს

ისევე აუღელვებლად გააკეთა, როგორც სკანდინავიის რომელიმე მინისტრი თევზჭერის რეგულირების ხელშეკრულებაზე მოაწერდა ხელს. მერე დარცხვენით გაუღიმა მეუღლეს, იღუნს კი შესჩივლა: „წინასაარჩევნო კომპანია მეტიმეტად დამქანცველია, ვაჩრჩვლი სწრაფობით მინდარჩენას და თავსატეხების ამოხსნას“.

ვერ ვიტყვით, რომ ეტლი „ხორცის დიდი მოყვარული“ იყო. ვარეგნულად არაფრით გამოჩრჩეულს, საშუალო ტანის გამხდარ კაცს სახის დახვეწილი ნაკვთებით, ბუნებით მორცხვსა და მორიდებულს, უყვარდა ვანმარტოება. იგი წმინდა წყლის ფლეგმატური ინგლისელი გახლდათ. როცა პარლამენტში ვნებები დუღდა, თვითონ მშვიდად ხატავდა ხოლმე რალაცას ქაღალდზე. გამოსული იყო საშუალო ბურჟუაზიის წრიდან. 1970 წელს გახდა ლეიბორისტისტი. თავის არჩევანს ხსნიდა ამგვარად: „კარგად რომ დავაკვირდი, როგორცხოვრობდა ხალხი, მომინდა ვამეგო, რატომცხოვრობდნენ ისინი ასე და რას წარმოადგენს ის სოციალური კლასი, რომელსაც მე მივეკუთვნები“. ერთი წლის მანძილზე ეტლი ასზე მეტ მიტინგზე გამოვიდა. „ხოვჯერ ჩემი ხელით მიმითრევიან ორატორის ტრიბუნა, — ივონებს ეტლი, — ხოვჯერ კიდევ ავსულეარ ზედ, ხოვჯერ კი სხვებს ჩამოვუთრევივარ იქიდან“.

ომი რომ დაიწყო, მოხალისედ წავიდა ფრონტზე, დაიჭრა, დაიმსახურა მედალი და შეიძინა კოლიტი, რომლისგანაც ვერ განიკურნა. 1922 წელს აირჩიეს დეპუტატად, 1931 წელს კი, შეუხვდავი გარეგნობის გამო თუ სულაც ამის წყალობით, ლეიბორისტთა პარტიის მდივნად. მას სხვებისგან გამოარჩევს გულწრფელობა და უდრეკობა. ინდოეთში ეტლიმ ორჯერ იმოგზაურა, რათა კარგად შეესწავლა ვითარება, და მიხვდა, ინგლისისათვის უმჯობესი იყო ახლებურად წარემართა თავისი ურთიერთობანი აფრიკისა და აზიის ქვეყნებთან. უკვე ამკარად ჩანდა, რომ კოლონიალიზმმა თავისი დრო მოკამა და აღსასრულის ქამი დადგომოდა. მამ

ასე — ახალი ურთიერთობანი: სამეფო ოჯახი უნდა სწვეოდა ქვეყნის დასალიერს, ზედინედ მოეწყო აღლუმები და მეჯლისები, დასწრებოდა გამოფენებს, ხელი ჩამოერთმია ასობით ადამიანისათვის, ეცხოვრა კარვებში, ეცქირა ზულუსების ცეკვებისა თუ ტუტსების რიტუალებისათვის. დამქანცველ მოგზაურობაში თავის დასთან, მარგარეტთან ერთად მიემგზავრება თვით პრინცესა ელისაბედიც, რომლის ქორწილიც რამდენიმე თვეში უნდა გაიმართოს. პრინცესა ეშაადება დედოფლის უმძიმესი მისიის აღსასრულებლად. ფიჯის კუნძულებზე, კავში სვამს რაღაც სითხეს, საპნის გემო რომ დაჰკრავს, სინჯავს ტონგიდან ჩამოტანილ პურის ხის ნაყოფს, ესწრება კონცერტს ჩასაბერი ინსტრუმენტებისას, მუსიკოსები ცხვირში რომ ირჭობენ და, როცა ახალ უელსში იგრძნო, ძალა უკვე ეცლება, ფილიპი მყის შეახსენებს მის მოვალეობას: „ბა, გაზაგრდი, შე ფაშფაშავ!“

ელისაბედის მმართველობის დროს იმპერიას ცვლის ეროვნებათა თანამეგობრობა: ქრება დედოფლის სახე სამარკო ნიშნებსა და მონეტებზე და მის ადგილს, მაგალითად, განაში ბელად ნკრუმას გამოსახულება იჭერს. სამეფო გვარდიელთა რიგებში გაერევა ზანგი. დედოფალ ელისაბედის მამა მეფედ კურთხევისას იწოდა „დიდი ბრიტანეთის, ირლანდიისა და ზღვის გაღმა დომინიონთა ხელმწიფედ, რწმენის დამცველ ხელმწიფედ და ინდოეთის იმპერატორად“. ელისაბედის ფიცი ფრიად მოკლეა, მის სამფლობელოებში არ იხსენიება ირლანდია, დომინიონები და ინდოეთი.

იყო კიდევ ერთი კაციც, ვინც თავგამოდებით ცდილობდა მდგარიყო თავის ხალხთან ახლოს. ეს ვანდი გახლდათ, უდრევი ასკეტი, მშვიდი ღიმილით, დპოტიით შემოსილი რომ დადიოდა სოფლებში და საკუთარი ცხოვრების ნირითა და სიტყვით იპყრობდა მილიონთა გულებს. მოჰანდას ვანდი, ახალგაზრდა, ნიჭიერი ადვოკატი სამხრეთ აფრიკაში წარმატებით ეწეოდა თავის საქმიანობას და ერთ მშვე-

ნიერ დღეს აღმოაჩენს ჭეშმარიტებას. თანამემამულე ვანდიზე წერს:

ტოლჩა წყლის ფასად გაგიმართავს. დიდებულ ტრაპეზს, მეკობრულ სალამს შემეჩვენებო, მწიწამდე თაყვანს
 ზიზ ზიზი ზიზი
 და საცოდავი გრომის ნაცვლად ვიბრუნებს ოქროს.

„ახალ აღთქმაში“ ვანდიმ ამოიკითხა: „გუებნებით თქვენ, მორწმუნენო, გიყვარდეთ თქვენი მტრები“. ნაცნობმა ინგლისელმა კი ურჩია წაეკითხა ლევ ტოლსტოის „სასუფეველი ღვთისა ჩვენს სულსა შინა“. ამ წიგნში ჩამოყალიბებულია რუსული ქრისტიანული მოძღვრება — ნუ დაუპირისპირებ სიბოროტეს ძალადობას. ვანდიმ კარგად გაითავისა ეს მოძღვრება და სხვებსაც უქადაგა: „ნუ მიაგებთ ბოროტს ნურც ერთ სულიერს, იცხოვრეთ უბრალოდ, სიმშვიდესა და სისუფთავეში“. ასე დაიწყო რევოლუცია, რომელსაც, ბევრის აზრით, ვერ შეედრებიან დანტონისა და ლენინის რევოლუციები. გლეხები, მწყემსები, ღარიბ-ღატაკნი მის „ფერხთით ეკემოდნენ და ფეხებს უკოცნიდნენ. ახლა ვანდის უკვე ბრძოლა უხდებოდა უგუნურებასთან, რომელსაც შეეძლო ხალხი მის გაღმერთებამდე მიეყვანა. მაჰატმა თავს უპირველესად რელიგიურ მოციქულად მიიჩნევდა და ამბობდა: „თუ მე პოლიტიკური მოღვაწის შთაბეჭდილებას ვახდენ, მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს პოლიტიკა შემოგვეხვია გველივით და ძალა არ შეგწევს მის მოსაცილებლად. მე შევეცდები დავამარცხო ეს გველი. მე მინდა შევცვალო პოლიტიკა რელიგიით“.

ვანდი ცოლიანი იყო. იგი ცამეტი წლისა დააკორწინეს ვაჭრის ასულ კასტურბაიზე. „სხვა ქალი მასავით არასოდეს არ მიზიდავდა“. კასტურბაიმ ვანდის ოთხი შვილი გაუჩინა. ვანდიმ შეჰფიცა მას ერთგულემა და არც დაურღვევია ეს ფიცი. მხოლოდ ერთხელ, ორმოცისა რომ შესრულდა, სთხოვა კასტურბაის გაეთავისუფლებინა ცოლქმრული უღლისაგან, რა-

დგან გადაწყვეტილება აღიქმა დაედო და თავი შეეწირა მიზნისათვის. განდი ხშირად გატანჯულა ამ გადაწყვეტილების გამო, ხშირად სიზმრად განუცდია ნეტარება, რომელზეც საკუთარი ნებით თქვა უარი. როგორც ამბობდა ლევ ტოლსტოი, ვისაც მხოლოდ ოთხმოცი წლის ასაკში დაუცხრა ვნებები, ადამიანი ურიგდება ყველაფერს, მიწისპვრებს, ეპიდემიებს, სნეულებათ, ნებისმიერ სატანჯველს, მაგრამ ყველაზე უძძიმეს ტრაგედიად მისთვის ყოველთვის რჩება სარეცლის ტრაგედია. განდის ეწადა სრულყოფილი სიწმინდისათვის მიეღწია, ხშირად მარხულობდა და სწამდა, რომ ეს აუცილებელი იყო მისთვის, როგორც თავისი ხალხის სულიერი ბელადისათვის, სწამდა, ეს დაეხმარებოდა მედიტაციებისას. განდი ხელით შრომასაც ეწეოდა. მისი ფიქრით, ამის გარეშე ადამიანი სრულყოფილებას ვერ მიაღწევდა, მეტიც, — ინდოელები უკეთ შეინარჩუნებენ სულის სიმშვიდეს, თუ საქსოვ დაზგებს არასოდეს გაეცნობიანო.

როგორც კი ომი დამთავრდა, განდომ მოაწყობ დაუმორჩილებლობის პირველი კომპანია. ქალები რკინიგზის ლიანდაგებზე წებობდნენ, კანონის საწინააღმდეგოდ ზღვის წყლიდან იღებდნენ მარილს, ინგლისურ მაღაზიებში აღარ ყიდულობდნენ ბამბასა და სანელებლებს, იფიცებოდნენ მუშეებიც, უძრავად იდგნენ დატვირთული გემები, მინდვრებში არ იკრიფებოდა ჩაი, ფაბრიკები და სართავები დაიხურა. ქუჩები გაჭედა დროშებიანი დემონსტრანტების გრძელმა რიგებმა. განდი მარხულობდა: არცთუ იშვიათად პასიური წინააღმდეგობა არეულობაში გადაიზრდებოდა. შეამბოხენი ძარცვავდნენ მაღაზიებს, ისმობდა სროლის ხმები, გამძაფრდა ძალადობა და სისასტიკე. განდის სინდისის ქენჯნა ტანჯავდა: 1922 წელს მან საპროტესტო აქციის შეწყვეტა გამოაცხადა და პასუხისმგებლობაც თავად იკისრა. „ჰიმალაისაგან უზარმაზარი შეცდომა დავუშვიო“, — ამბობდა იგი. ბომბების ინგლისელმა კუბერნატორმა ამ დაუმორჩილებლობის თაობაზე თქვა: „მსოფლიო ის-

ტორიის მანძილზე ეს იყო ყველაზე თავხედური ექსპერიმენტი, რომელიც კინაღამ გამარჯვებით დასრულდა“.

მაგრამ განდის უარი არ უთქვამს თავის მიზნებზე. მან განაგრძო ბრძოლა სოციალური ბორბლები წინააღმდეგ. „ძველია თავგანწირვა, [დღეს] წესსკრივს მიაჩვიო ოთხასი მილიონი ადამიანი“. იდგა ეპიორი ნაციონალიზმის დაბადებისა: ინდურისა და მუსულმანურის. შვიდასი მილიონი მუსულმანი შეკრა ამ ნაციონალურმა გრძნობამ ამაყი და კეთილშობილი მუჰამედ ალი ჯინის წინამძღოლობით, რომელსაც ერთმორწმუნენი „მეფეთა მეფეს“ ეძახდნენ. შაჰატმა მოითხოვდა კასტების გაუქმებას, „ხელშეუხებელთა“ პატივისცემასა და თანასწორობას, ებრძოდა ალკოჰოლიზმს, მიწისმფლობელთა სიძუნწეს, ეწადა გაუუქმებინა ძველი კანონები, ყოველგვარ უფლებას რომ ართმეოდა ქალს. ჯერ კიდევ ხომ ადამიანთა შორეულმა წინაპარმა მანუმ გამოაცხადა: „ქალს არ შეიძლება ჰქონდესო თავისუფლება“. განდი იბრძოდა ბავშვების დაქორწინების უსასტიკესი ჩვეულების გასაუქმებლადაც. მაგალითად თავისი ცხოვრება მოჰყავდა: „მორჩილების გაკვეთილი საკუთარმა ცოლმა მასწავლა, როცა მის დამორჩილებას შევეცადე“. წინ კიდევ დიდი და მძიმე გზა იყო გასავლელი.

„მე არასოდეს ვუხელმძღვანელებ იმპერიის დამხობას“ — ამბობდა უინსტონ ჩერჩილი. მაგრამ ათი წლის შემდეგ, 1945 წელს არჩევნებში ჩერჩილი დამარცხდა, გაიმარჯვეს მათ, ვინც „სოციალური სახელმწიფოს“, ლოზუნგით გამოდიოდა, — ასეთ სახელმწიფოს უნდა ეკისრა ზრუნვა საცხოვრებელზე, მოხუცებზე, სამედიცინო მომსახურებაზე; გაიმარჯვეს მათ, ვისაც ბანკების, ელექტროსადგურების, მალარობისა და ტრანსპორტის ნაციონალიზაცია სურდა, ვინაც ქვეყანაში დიდი ხნით უზრუნველყოფდა მკაცრ ეკონომიკურ რეჟიმს.

„რა მოგვიტანა ომში გამარჯვებამ?“ — კითხულობდა ბევრი. ამასვე ეკითხება თავის თავს არჩევნებში დამარცხებუ-

ლი დიდი ჩერჩილიც: „ყველა ჩვენმა მტერმა უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა, ან აპირებდა კაპიტულაციის გამოცხადებას, მე კი უმიხეზოდ ზურგი მაქცია ბრიტანელმა ამომრჩეველმა. ბებერ ლომა ამომრჩეველმა ცხვარი არჩია, რაკი მას წეუძლია მიცემული სიტყვის შესრულება: 1946 წელს ჯარები გამოიყვანეს ეგვიპტიდან, 1947 წლის 15 აგვისტოს გამოცხადდა ინდოეთისა და პაკისტანის რესპუბლიკები, 1949 წლის 15 მაისს დასრულდა ბრიტანეთის მანდატი პალესტინაში და გაჩნდა დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფო ისრაელი“. ღრმა მწუხარებით ვადევნებ თვალს ბრიტანეთის იმპერიის აღსასრულს, რამდენი დიდებული საქმეა მის სათვალავში, რამდენი სიკეთე მოუტანა მან კაცობრიობას“, — იტყვის მოგვიანებით ჩერჩილი. ინგლისელებმა ბებერ ქვეყანაში ჩაუყარეს საფუძველი სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სისტემებს, ბებერ ხალხს შესძინა ენა, კულტურა, ხშირად კი საკუთარი ღირსების გრძნობაც. არც ერთ მათს ყოფილ კოლონიაში არ არის კომუნისტური პარტია, რომელსაც შესწევდეს ძალა იბრძოლოს ხელისუფლებისათვის. „ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა რუსეთმა თავის ბლოკს ისე მიუერთა სულ ცოტა ასი მილიონი ადამიანი, არც უკითხავს, სურდათ თუ არა ეს მათ; ომის დამთავრებისთანავე იმპერიალისტურმა დიდმა ბრიტანეთმა, თუკი მოგწონთ, უწოდეთ მას ასე, თავისუფლება და დამოუკიდებლობა მიანიჭა ხუთას მილიონ კაცს“, — თქვა მაკმილანმა.

ახლა ცეილონი, ბირმა, განა, ნიგერია, სიერა-ლეონე, კამერუნი, კამბოია, ტანგანიკა, უგანდა, ბრიტანული გვინა, კენია თავად განაგებენ საკუთარ ბედს.

ინგლისის კოლონიები გაერთიანდნენ ერთა თანამეგობრობაში; იგი მოიცავს პლანეტის მეოთხედ ნაწილს, მის ხელშია მსოფლიო ვაჭრობის მესამედი. თავისუფლებამ ინდოეთი ვერ იხსნა საუკუნეობრივი პრობლემებისაგან. ინდოელი ხალხი უფრო მწირად იკვებება, ვიდრე ჩინელი-

ბი, ასიდან ოთხმოცდაათი მცხოვრები წერა-კითხვის უცოდინარია. მთელს ქვეყანაში ლაპარაკობენ ორას ოცდახუთ ენაზე, ვანუწყვეტლივ იზრდება ემიგრანტ ინდოელთა და მუსულმანთა რაოდენობა, ინდოეთიდან რომ შეემაჯავრობებინ თავის გადასარჩენად. მიღწეულნი უდამიანი მიმშლით სიკვდილის ზღვარზეა მისული. მიწის მფლობელები და ვაჭრები კვების პროდუქტებით მდიდრდებიან. სპეკულაციას მათთვის მილიარდობით რუპიის შემოსავალი მოაქვს. პაკისტანელებმა და ინდოელებმა კალკუტა კვარტალებად დაჰყვეს. შემოსაზღვრეს ეკლიანი მავთულხლართებით, შემოაწყვეს ტყვიამფრქვევები. განდი სასოწარკვეთილია. 1948 წლის 18 იანვარს იგი დაადგა „ყველაზე მძიმე მარხვის გზას“. გადაწყვიტა ლუკმა არ ჩაიდოს პირში მანამ, სანამ ნიუ-დელიში წესრიგი არ დამყარდება. ორი დღის შემდეგ „ბირლა პოუზში“, ორ ნაბიჯზე მაქატმა განდთან ნაღმი აფეთქდა. ეს ფანატიკოსის ნახელავია. განდი დაჟინებით მოითხოვს, „გზასაცდენილი ყმაწვილი“ არ დასაჯონ, არამედ დაარწმუნონ თავის შეცდომაში. განდის სიტყვებია: „როცა ძმის ხელით იღუპები ბოლმისა და მრისხანების გარეშე, ეს გულს არა გტკენს“.

30 იანვრის საღამოს განდი თავისი ძმისძვილების აეუსა და მანუს დაყრდნობილი აუჩქარებლად მიეშურება ერთმორწმუნეთაკენ, რათა მათთან ერთად ილოცოს. ერთხელ მან რატომღაც თქვა — „თუკი სიკვდილი მიწერია, დე ეს ლოცვის დროს მოხდეს“. ყმაწვილმა გოდსემ სამჯერ ესროლა პისტოლეტიდან, „ო, ღმერთო, — წაიჩურჩულა განდიმ, — ო, ღმერთო“.

მეორე დღეს მზის ჩასვლისას მაქატმას გვამი მდინარე ჯამნას ნაპირთან მიიტანეს, შემაღლებულზე დაასვენეს, გულზე სურნელოვანი ხის ნაჭრები, ჟასმინისა და ჯუნგლების წითელ-წითელ ყვავილთა გვირგვინები დააწყვეს და ცეცხლი წაუკიდეს. ყვავების ჩხავილი აყრუებდა მოკრიალეებულ ზეცას. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა და ქარი, ქალების თავსაბუ-

რაგებს რომ არხევდა, ფანტავდა მოპან-
დას ვანდის, მებაყლის ვაჟის ფერფლს,
ვინაც თავისი სიტყვით დაამხო ამაყი იმ-
პერია და მის ნანგრევებზე ახალი სამყა-
რო ააშენა. იგი შეუწყნარებლობის მხსვე-
რპლი გახდა. ეს იყო კაცი, რომელიც, მი-
სი ბიოგრაფის — ნანდას რწმუნებით, ამ-
ტკიცებდა, რომ ყველა რელიგია სამარ-
თლიანია და არც ერთი მათგანი არ არის
სრულყოფილი, რამეთუ მათი სახელით
ხშირად ქადაგებენ არც ისე ჭკვიანი თა-
ვები და არც ისე კეთილშობილი გულები.

„იქნებ მომავალმა თაობებმა ვერც
დაიჯერონ, რომ ასეთი კაცი, სისხლით და
ხორციით შესხმული კაცი, ოდესმე დაიარე-
ბოდა ამ დედამიწაზე“, — ამბობდა აინშ-
ტაინი.

1950 წლის 26 იანვარს ლონდონში —
„ინდია კოუზში“ ხელი მოეწერა ინდოე-
თის დამოუკიდებლობის დეკლარაციას.
საომარი ტიპის ქაშანურის ფინჯნებით ჩა-
მოარიგეს ჩაი, ნამცხვრებში სუროგატუ-
ლი კრემი იღო. იმპორტზე მკაცრი კონ-
ტროლი იყო დაწესებული, მოქმედებდა
პროდუქტთა ნორმირებული სისტემა. ბევრ
ინდოელ ქალს ხარის ქვემოთ ყელიანი შა-
ლის სვიტერები ეცვათ — დარბაზში ცი-
ოდა, ნახშირსაც ზოგავდნენ. კლემენტ ეტ-
ლი ზუსტად იცავდა ყველა ბიუროკრატი-
ულ ფორმალობას.

ნიუ-დელიში 26 იანვარი რესპუბლიკის
დღედ გამოცხადდა. პრეზიდენტი რადე-
ნდრა პრასადი მთავრობის უზარმაზარ
სახლში შევიდა. თან ახლდნენ მეუღლე,
დები, ორი შვილი, დისწულები და ძმის-
წულები — ჩვიდმეტი ქალი და ორი
ვაჟი, სამი წმინდა ძროხა, „მეშინია ამ

ლაბირინთებში არ დავიკარგო“, — უთხ-
რა პრეზიდენტმა მაჟორდომს.

დღისით კი ეკიპაჟით, რომლის კარე-
ბსაც წინასწარ მოხსნეს გვირგვინები, ინ-
დოეთის მეფისნაცვალის გვარდიის თან-
ხლებით იგი პარლამენტისაკენ გაემართა.
გვარდიელებს აღისფერი რადეპუტის მუ-
ნდირები ეცვათ, თავთ ცისარტყელას
ფერების ჩაღმები ეხურათ. სტადიონზე
ჩატარებულ პარადში მონაწილეობა მი-
იღო სამი ათასექვსასმა ჯარისკაცმა, მეზ-
ღვაურმა და მფრინავმა. მისალმების ნიშ-
ნად პრეზიდენტმა თავისდაუნებურად აღ-
მართა ხელი — თავისდაუნებურად გაიმე-
ორა ბრიტანეთის მაღალჩინოსანი მხედ-
რთმთავრების მოძრაობა. ხალხმა და არ-
მიამ პატივი მიაგო ადამიანის ხსოვნას,
ვისაც უპირველესად სწამდა სიყვარული.
სამოცი წლის წინ ასე მიესალმა მაჰარა-
დჟა სინდია დედოფალ ვიქტორიას: „უდი-
დესო მეფე-დედოფალო, ინდოეთი გლო-
ცავთ და ღმერთს ევედრება, რომ თქვენს
სამფლობელოებში სუფევდეს მშვიდობა“.

ხუთი წლის შემდეგ კლემენტ ეტლიმ
მიატოვა საზოგადოებრივი ასპარეზი და
დასახლდა სოფლად. მის სახლს „ალუბ-
ლის სახლი“ ერქვა. ძალზე დაღლილი, გუ-
ლჩათსრობილი კაცი წერს მემუარებს —
წერს დღიურების სახით, წერს ბეჯითად.
გულმოდგინედ, მაგრამ შთაგონებისა და
ნიჭის გარეშე, ეწევა ჩიბუხს. ახლა უკვე
მეუძლია თავსატეხებით შეიქციოს თავი.
სახელმწიფოს მიერ დანიშნული პენსია —
თვეში ორას ორმოცდაათი ათასი ფუნტი
— სამუალებას აძლევს არ შეწყუხდეს ფუ-
ლზე ფიქრით.



მთარგმნელის უნდა შეეწიროს...

ლადო ასათიანმა ოცდასამი წლისამ შექმნა ქართული პოეზიის შედევი „სალალობო“ (1940), რომელიც მე პირველად და-ძმა ნელი და უშანგ მუხაშვილების ნაჩუქარ წიგნში (ლადო ასათიანი, „რჩეული ლექსები“, 1947) წავიკითხე და, მსგავსად ჩემი თანატოლებისა, მყისვე დავიზებირე. ოღონდ ეგ იყო, რომ ამ გამოცემაში ლექსს არ ახლდა, პირობითად რომ ეთქვათ, „პროლოგ-ეპილოგი“ (ხომ ლამაზია..., კაცის გული ისეთია..., ვაჟკაცსა გული რკინისა... და ისევ — ხომ ლამაზია...). არადა, ვიცოდით, რომ „სალალობოს“, „ძირითადი“ რვა სტროფის გარდა, გააჩნდა ორიგინალური „თავი“ და „ბოლო“, რომელიც განსაკუთრებულ ხიბლს ქმატებდა პოეტურ ქმნილებას და საოცრად უხდებოდა რიტმულ-მეტრული ცვალებადობითაც.

„სალალობო“ პირველად სრული სახით გამოქვეყნდა ლ. ასათიანის კრებულში — „ლექსები“ (1945). შემდგომ და შემდგომ იგი მუდამ ასე იბეჭდებოდა და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მკითხველებზე პოეტური სიტყვის სილალით, სახეთა ორიგინალობით, განუმეორებელი ქართული კოლორიტით, პატრიოტული მგზნებარებით... მოკლედ, ყველაფერი იმით, რაც უნდა ამშვენებდეს ჭეშმარიტ პოეტურ ქმნილებას. ამიტომ ყოველთვის მაკრთობდა შიში, რომ, შეუძლებელი თუ არა, უსაშველოდ ძნელი იქნებოდა დედნის ღირსებების პირველქმნილი სილალით ჯანა უცხოენოვან, კერძოდ, რუს მკითხველამდე.

1947 წელს, მგონი, ლადო ასათიანის არათუ „სალალობო“, საერთოდ არც ერთი ლექსი არ იყო თარგმნილი რუსულ ენაზე. მეტიც, 1953 წელს რუსულად გამოცემულ კრებულში „Стихи и поэмы“ არ ჩანს „სალალობოს“ თარგმანი. იგი პირველად ვიხილე 1961 წლის რუსულ გამოცემაში „Три песни“ (ლადო ასათიანის, მირზა გელოვანისა და ალექსანდრე საჯაიას ლექსთა თარგმანები) სათაურით „Раздольное“ (მთარგმნელი დ. სამოილოვი). იგივე თარგმანი შევიდა ლ. ასათიანის წიგნაკში „Стихи“ (1967). შემდეგ გამოქვეყნდა ახალი თარგმანი — „Салагобо“ („Крцаниссские маки“, 1989, მთარგმნელი ს. განდლევესკი, რედაქტორი მ. ქვლივიძე). და ბოლოს, ლადო ასათიანის დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით გამოვიდა მცირე მოცულობის წიგნი „Недопетая песня“ (1997, „ლიტერატურნაია გრუზია“, ტირაჟი 500, მთარგმნელი გივი ნიჟარაძე, რედაქტორი შაია ბირიუკოვა, შესავალი წერილის ავტორი ზაზა აბზიანიძე). ეს კრებული უთუოდ ღირსია ცალკე განხილვისა. ამჟამად კი საინტერესოდ მიმაჩნია იმის თქმა, რომ ლადო ასათიანის ოცდაათი ლექსი თარგმნა ქართველმა პოეტმა, რაც იმის იმედს იძლევა, რომ რუსი მკითხველი უპირველეს ყოვლისა შეიგრძნობს ქართულ კოლორიტს, ავტორის ეროვნულ სულსა და სულისკვეთებას. კრებულში „სალალობო“ წარმოდგენილია სათაურით „Веселая“.

ამრიგად, თავი მოიყარა „სალალობოს“ სამმა თარგმანმა რუსულ ენაზე (ისიც

სხვადასხვა სათაურით) და უკვე შეიძლება მსჯელობა მათს ღირსება-ნაკლოვანებებზე.

ცნობილია, რომ პოეტურ ქმნილებათა თარგმნა ურთულესი საქმეა და, მცირე გამონაკლისის გარდა, ჯერ არ დაბადებულა ორიგინალის ტოლფასი თარგმანი. სამწუხაროდ, ხშირად საუკეთესო ლექსი იჩაგრება თარგმანისას. ხოლო შედარებით დაბალხარისხოვანი იგებს კიდევ. ალბათ გაგახსენდებათ დიდი კალაკტიონის ხუმრობა, ერთი პოეტის საშუალო ლექსის თარგმანი რომ მოსწონებოდა და ცენტორისტვის უთქვამს: დიდებულია, ოღონდ ახლა ქართულად თარგმნეთ რუსულიდან!

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ცალკეული ადგილების მხატვრული ადეკვატურობისა, „სალალობოს“ სამივე რუსული თარგმანი ორიგინალზე გაცილებით დაბალ დონეზე დგას და იქმნება აუცილებლობა ახალი, უკეთესი თარგმანისა.

ყველაფერს, მათ შორის, ზემოთ თქმულსაც დამტკიცება სჭირდება. ამიტომ ვეცდები დედანს შევადარო სამივე თარგმანი და გავამყარო „ბრალდების“ საფუძვლიანობა.

ლადო ასათიანი ასე იწყებს „სალალობოს“.

„ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბაზივითა“.

ახლა ჩავიხედოთ რუსულ თარგმანებში:

1. დ. სამოილოვი:

**«Прекрасна жена моя — хочу, чтоб прекрасней была,
Свежее цветущего персикового деревца.
Прекрасна ты, Грузия, — хочу, чтоб прекрасней была,
Стройнее, чем башня, просторней большого дворца».**


თარგმანში გამოყენებული სვეჯე უფრო ნორჩი, ქორფა, ცოცხალი, სუფთაა და სულაც არ ეტოლება ატმის ხესავით აფეთქებულის მშვენიერებას, ხოლო გავაზივით მოქნეული შეუბრალებლად ამოგდებულია ლალი სტრიქონიდან. მთარგმნელს, ეტყობა, დიდ დანაკლისად არ მიუჩნევია ამ მხატვრული სახის შეღწევა და ზედ მიუყოლებია თამარ დედოფლის (და არა საერთოდ უსახელო, ზოგადი სასახლის) უმშვენიერესი დარბაზის მოხატულობაც. ასევე, ყურადღება არ არის გამახვილებული რიტმული გამეორებებისადმი: **ხომ ლამაზია — ხომ ლამაზია; ეს ჩემი ცოლი — ეს საქართველო.** ლადოს ოცმარცვლიანი სტრიქონები მოუმარჯვებია ტევადი სათქმელის გადმოსაცემად, მთარგმნელს კი თოთხმეტმარცვლიანი ლექსის არტახებში მოუქცევია იგი და წაუგია კიდევ.

2. ს. განდლეჰსკი:

**«Мало мне жены красивой, мне б жену что всех прекрасней,
Вроде персика в цветенье, вроде птицы на лету!
Мало мне страны красивой, мне б страну что всех прекрасней,
Чтоб хором самой Тамары затмевала красоту!».**

ეს თარგმანი უკეთესი ჩანს შინაარსობრივად, მაგრამ აქაც უარყოფილია გავაზის მოქნილობა და იგი დაყვანილია, უბრალოდ, მფრინავ ჩიტამდე (ალბათ, რითმისთვის!). ასევე დაქვეითებულია საქართველოს, როგორც პოეტის სამშობლოს,

მნიშვნელობა და შემოთავაზებულია უფრო მდარე ღირსების შესიტყვება — მშვენიერი ქვეყანა (ზოგადად) და არა მშობლიური ქვეყანა, სამშობლო. სამაგიეროდ, გადარჩა თამარ მეფის დარბაზის (хором) სინატიფე, ოცმარცვლიანი სტრიქონის მხარგამლილობა ვერც ს. განდლევსკიმ გამოიყენა და 16 და 15-მარცვლიანი სტრიქონებით გააწყო სტროფი.



3. პიპი ნიჟარაძე:

«Да, хороша моя подруга, но я хочу еще красивей.
 Чтоб гибкою была, как серна, цветущею, как в мае слива.
 Да, хороша моя Отчизна, но я хочу намного лучше —
 Бескрайнюю, как это небо, прекрасную, как сад цветущий!».

ჩვენდა გასაკვირად, აქ ლამაზი ცოლი სანდომიან (ემხიან) მეგობარ ქალად იქცა. სამაგიეროდ, „გაცოცხლდა“ გავაზი, მაგრამ არა ფრინველის, არამედ რატომღაც არჩვის (ფსიქის) სახით. მთარგმნელმა საქართველოს ნაცვლად სტრიქონში ჩასვა სამშობლო და არ გაიმეორა პირველი სტრიქონის უფრო ლამაზი, იგი შეიცვალა შესიტყვებით ბევრად უკეთესი. ფართოდ გაშლილს მიუსადაგა უსაზღვრო ცა და უადგილოდ გაიმეორა ატმის ხესავით აფეთქებულის სინონიმად, როგორც აუვავებული ბალი. თუმცა ატმის ხესავით აფეთქებული ბოლო სტრიქონში წარმოგვიდგინა, როგორც მისში აუვავებული ქლიაფი (!). და კიდევ, ბოლო სტრიქონიდან უბოდიშოდ ამოგდო თამარ მეფე თავის დარბაზიანად.

პირველი სტროფის სიტყვიერ-აზრობრივი სიჭრელე აშკარაა თარგმანებში, მაგრამ ყველაფერი ეს ეხება ძირითადად შინაარსობრივ მხარეს. ჩემი აზრით, ს. განდლევსკი უფრო მიუახლოვდა დედანს და მისი თარგმანი უკეთ არის გამართული მხატვრული თვალსაზრისითაც.

როგორც ითქვა, ლადო ასათიანს პირველი სტროფი გაწყობილი აქვს ოცმარცვლიანი, მეტად კეთილხმოვანი ლექსით და, მარტივად, მაგრამ ერთმანეთს ერთმება ყველა სტრიქონი (ლამაზი მინდა — გავაზიერთა — ლამაზი მინდა — დარბაზიერთა). დ. სამოილოვთან და ს. განდლევსკისთან ეს სტრიქონები 14-15-16-მარცვლიანია და გაწყობილია ჯვარედინა რითმებით (ამასთან, დაცულია დედნისეული ლამაზი მინდა — ლამაზი მინდა). გ. ნიჟარაძეს 18-მარცვლიანი ლექსი გამოუყენებია და რაღაც ყრუ (შორეული) რითმების მსგავსი რამ თუ შეიმჩნევა კარგად შეიარაღებული თვალით.

არ ვიცი, ავტორს როგორ ჰქონდა თავდაპირველ ხელნაწერში, მაგრამ მიმაჩნია, რომ „სალალობოს“ ე. წ. „პროლოგი“ და „ეპილოგი“ (ორიგინალშიც და თარგმანშიც) უნდა დაიბეჭდოს განსხვავებული შრიფტით და გამოიყოს ლექსის „ძირითადი“ სტრიქონებისაგან ვარსკვლავით ან დაცილებული სტრიქონით. თუმცა ასე არ არის თვით ხელნაწერის სახით გამოცემულ კრებულშიც „მთვარიანი ლამეები“ (1991).

მივყევთ დედანს:

„კაცის გული ისეთია,
 ვით შორევი შავი ზღვისა;
 რავინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
 მაინც ენატრება სხვისა!“

1. დ. სამოილოვს ეს ტაეპი ალბათ ლადოსეული თუ ჰგონია, რადგან ბრჭყალებში არ ჩაუსვამს. თარგმნით კი ასე უთარგმნია:

«Но зря говорят,
Что сердца пучина черна
И зря говорят:
Милее чужая жена».

რასაც, მიუხედავად მორევის ხსენებისა და სხარტი ბოლო სტრიქონისა, არაფერი აქვს საერთო ბრწყინვალე ხალხური ლექსის უაღრესად მხატვრულ შინაარსთან, რომელიც მშვენივრად გადმოსცემს ქართველი მამაკაცის გულს.

2. ს. პანდლევსკისთან შინაარსი აშკარად უკეთესია:

«Мужское сердце ненасытно,
Как черноморская пучина,
На мужнюю жену чужую
Женатый зарится мужчина!».

თარგმანი საგრძნობლად ახლოს დგას დედანთან.

3. ვფიქრობ, მცირე დანაკარგის მიუხედავად, ყველაზე შინაარსიანია და პოეტური ბ. ნიჟარაძის თარგმანი:

«Да, сердце каждого мужчины,
Похоже на пучину злую:
Как ни мила его супруга,
Он жаждет, все-таки, чужую!».

ეს თარგმანი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ორიგინალის ადეკვატურად. ბარემ აქვე განვიხილოთ „სალალობოში“ გამოყენებული მეორე ხალხური ლექსიც:

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხლნი შავარდნისანი“.

1. ღ. სამოილოვი:

«Муж доблестный должен
Железное сердце иметь,
Глаза — ястребиные,
Гибкие руки — как медь!».

ქართული ლექსის პირველი სტრიქონი ძლივს ჩატეულა რუსული თარგმანის ორ სტრიქონში. ამასთან, სრულიად გამქრალა აბჯართან დაკავშირებული სახე და შავარდნის მუხლნი.

2. ს. პანდლევსკი:

«Молодец, как сокол, цепок,
Сердцем крепок, как булат.
Даже в лыковой кольчуге,
Молодцу сам черт не брат!».

კი, პოეტური თარგმანია, მაგრამ მაინც რჩება გარკვეული უკმარისობის გრძნობა.

3. ბ. ნიჟარაძე:

«Воин грозен не кольчугой,
А бесстрашным сердцем львиным,

**Волчьей силою в коленях,
Зорким взором соколиным».**

მშვენიერი თარგმანია. გააზრებულად არის გამოყენებული ლომეულობა და მგლის მუხლი (ეროვნული ატრიბუტები). თანაც თარგმანი გაწყობილია ხალხური შაირის ზომით. უეჭველია, მთარგმნელს ძალიან გამოადგა ქართული ხალხური პოეზიის ცოდნა.

ეროვნული

ახლა განვიხილოთ „სალალობის“ ეგრეთ წოდებული „ძირითადი“ ტექსტი

„დაუკარიო, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში გაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!“

1. დ. სამილოვი:

«Сыграйте мне так, чтобы старый кинжал трепетал,
Чтоб в танце взлетал, чтобы в битве себя испытал!
Да здравствует солнца грузинского желтый металл!
Да здравствует молодость, сила, и страсть, и накал!».

მне ზედმეტია. პოეტი ამბობს — დაუკარიოთო და არა დამიკარიოთ (ჩემთვის დაუკარიოთ). Чтобы старынный кинжал трепетал, რაც ძრწოლას, კრთომას, თრთოლას, ყრყოლას ნიშნავს ხანჯლისა, საკმაოდ ჩამოუვარდება ელდის ცემას პოეტური სახიერებით, მაგრამ მაინც შეიძლება მივიღოთ მოსალოდნელ შესატყვისად. ასევე დასაშვებია ხანჯლის ბრძოლაში გარჯა გადმოიცეს, როგორც в битве себя испытал, მაგრამ ამ ფრაზის წინ მოქცეული что в танце взлетал, როგორც იტყვიან, ყურით მოთრეულია და მოკლებულია ხანჯლის გარჯის ადეკვატურობას. რაც შეეხება ბოლო ორ სტრიქონს, არაფრით მიესადაგება საქართველოში აღიარებულ ორ პატრიოტულ ლოზუნგსა თუ მოწოდებას, რომელშიც ხოტბაა შესხმული საქართველოს მზისა და ზეცისათვის, სამშობლოს ძლიერებისათვის, ცხადია, საქმეს ვერ შველის საქართველოს მზის ყვითელ მეტალთან შედარება და უადგილოდ ხსენება молодость-ისა და накал-ისა.

2. ს. განდლევსკი:

«Заиграйте, чтоб кинжалы в жаркий бой просились сами,
Чтоб зазубрина зияла на зазубрине кровавой!
Слава Грузии прекрасной с голубыми небесами,
Грузии непобедимой и могущественной — слава!».

სტროფი დედანთან მიახლოებული ჩანს. განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი. მიმზიდველია პირველი სტრიქონი. ხოლო მეორე სტრიქონით გადმოცემულია არა მოწოდება იმისა, რომ ხანჯალი გაისარჯოს ბრძოლაში, არამედ მისი (ხანჯლის) უკვე გარჯის შედეგი — პირლია სისხლიანი ჭრილობა. პოეტური გარდასახვა აქ დადებითად შეჩვენება და ამიტომ მთლიანობაში ბუნებრივად იკითხება კიდევ სტროფი.

3. ბ. ნოჰარაძე:

«Так сыграйте, чтоб кинжал мой встрепетнулся,
Чтоб в бою за справедливость износился,
Вспомним тех, кто с поля боя не вернулся,
Чтобы Родина была свободной, сильной!».

პირველ ორ სტრიქონში მიღწეულია დედანთან სიახლოვე, მაგრამ მხატვრული სიტყვის ძალა დაქვეითებული ჩანს. მართალია, *ИЗНОСИЛСЯ* ბრძოლაში გახარჯვას, გაღვევას ნიშნავს იარაღისა, მაგრამ სულ სხვა ეშხი და დატვირთვა აქვს ქართულში ორ თითქმის ომონიმურ სიტყვას — **ვაისარჯოს** და **ვაინარჯოს**, რუსული ტექსტი მოკლებულია ამ ძლიერებას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფერიაკლულია.

ჩემთვის სრულიად მიუღებელია ბოლო ორი სტრიქონის *ქართულთქმობა*. ჯერ ერთი, უადგილოდაა ჩაკვეხებული შინამოუსვლელთა ხსოვნის *ქართულთქმობა* და გამოცემულია სურვილი, რომ სამშობლო იყოს თავისუფალი და ძლიერი, როცა დედნის მიხედვით პოეტი უმღერის უკვე ძლიერი საქართველოს მზესა და ცას. როგორც ჩანს, თარგმანში ეს ძლიერება სამომავლოდაა მისაღწევი. მეორე და მეოთხე სტრიქონების რითმები სუსტია. სამაგიეროდ დაცულია ლექსის დედნისეული ზომა.

შემდეგი სტროფია:

„დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში,
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია!“

1. ლ. სამოილოვი:

«Сыграйте! Покуда с дерев не осыпался цвет,
Покуда бушует веселая, вешняя кровь!
Сыграйте мне так, чтоб услышали горы и Мцхет,
Жемчужина Грузии, первая наша любовь!».

თარგმანში გადაადგილებულა პირველი და მეორე სტრიქონები, რაც, ცხადია, დასაშვებია. პირდაპირი მნიშვნელობით სარო კვიპაროსია, რომელსაც ფოთლების ნაცვლად წიწვები აქვს, მაგრამ ლექსში ამოღტილი ხე იგულისხმება. ეს შეუნიშნავს მთარგმნელს, მაგრამ ფოთლების ნაცვლად ყვავილები დაუყრევინებია საროსთვის და ლადოსეული სისხლი გვიდგას ძარღვში გაუძლიერებია *бушует веселая вешняя кровь*-ით; მიუხედავად ამისა, დედნის ეშხი მაინც მინავლებულია. უარესი კი ის არის, რომ სტროფის მეორე ნახევარში სრულიად გაუცნობიერებელია მთარგმნელისათვის საქართველოს ცხელი გულის განსვენება *სვეტიცხოველში* და სტროფი შევსებულია არაფრისმთქმელი ზოგადი მსჯელობით.

ავტორი ხაზგასასმელად სამგზის იყენებს შემდეგ სიტყვებს: **ჯერ ხომ**. ეს პოეტური გამეორება საოცრად უხდება ქართული ლექსის რიტმს. მართალია, იგი ორჯერ მეორდება რუსულ თარგმანში, მაგრამ მესამედ გაუმეორებლობის ნაკლი უსიამო ლაქად აცხია. მთარგმნელს რითმის გამო არ უნდა ეკადრებინა მცხეთის სრული ფორმის შეკვეცა, რომელიც არც რუსულს უხდება და არც — ქართულს.

2. ს. ბანდლევსკი:

«Так играйте же, покуда, кровь еще играет в теле,
Ведь еще не облетели наземь листья с тополей.
Сердце Грузии сохранным в алтаре Светицховели —
Мощное сердцебиенье гордой родины моей!».

ლადოსეული სამგზისი **ჯერ ხომ** აქ, სამწუხაროდ, ერთამდეა დაყვანილი; სარო სამართლიანადაა ქცეული ალვის ხედ; ტექსტთან მიახლოებულია მესამე სტრიქონი, მაგრამ ბოლო ხაზი გაწელილია და მოკლებულია ავტორისეული ჯადოთქმის ფრთიანობას.

3. ბ. ნიჟარაძე:

«Вы играйте. Кровь еще бушует в жилах,
С тополей листья еще не облетели.
Хоть молебен по царю мы отслужили,
Сердце царское горит в Свечицховели!».



ლადოსეული სამგზისი ჯერ ხომ აქ, სამწუხაროდ, ერთამდეა დაყვანილი; სამაგეროდ, მთელ სტროფში ტექსტი საკმაოდ დაცულია და შიახლუბით გამოყვანილია ისიც, ვინ იგულისხმება სვეტიცხოველში ცხელი გულის სახით. სასიამოვნოა მთარგმნელის ცდა — შეინარჩუნოს დედნის მეტრი. მეჩვენება, რომ გ. ნიჟარაძეს გამოუყენებია ს. განდლევესკის სიტყვიერი მასალა (იხ. I და II სტრიქონები).

გავავრძელოთ ტექსტი:

„დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად,
რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს!
დაუკარით, რომ ჭაბუკნი უიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!“

1. დ. სამოილოვი:

«Сыграйте! Чтоб легкие
Вздулись, как мех кузнеца!
Чтоб были мы молоды,
Чтоб не старели сердца!».

მთარგმნელს სწორად გადმოუღია შინაარსი, ფილტვების დაბერვა მჭედლის საბერველითაც გაუძლიერებია, მაგრამ ამოუღია სიტყვები: იმღერეთ და გვეტკინოს. ეს კი ნაკლია, რადგან ფილტვების ტკივილი და ბერვა სიმღერამ უნდა გამოიწვიოს და არა დაკვრამ. სტროფში გამოყენებული გამეორებანი თარგმანში შეკვეცილია რიტმისა და მუსიკალობის საზარალოდ. ამასთან, ვფიქრობ, შვიდმარცვლიანი ლექსით ძნელია თორმეტმარცვლიანი დედნის სრულად გადმოცემა.

2. ს. განდლევესკი:

«Так играйте, пойте громко, чтобы воздух рвался в легких —
Где многоголосья радость и многоголосья ярость!
Так играйте, чтоб навеки от серых времен далеких
И до будущих ни разу к нам не приближалась старость!».

მთარგმნელს უცდია დედანთან შიახლოება, პირველი სტრიქონი ადეკვატური გამოსვლია, მესამე და მეოთხე სტრიქონები, მართალია, გაწელილია, მაგრამ სათქმელს შიახლოებით მაინც გადმოსცემს. ეს შინაარსის მიხედვით. მხატვრული თვალსაზრისით კი ნაკლებად ღირებულა. რაც შეეხება მეორე სტრიქონს, იგი თითქოს ადგილის შესავსებადაა მოხმობილი და, ალბათ, გასარიტმადაც. ს. განდლევესკი ცდილობს დედნის რიტმის შენარჩუნებას, მაგრამ ამას მაინც ვერ ახერხებს, მიუხედავად იმისა, რომ სტროფი თექვსმეტმარცვლიანი ლექსითაა გაწყობილი.

3. ბ. ნიჟარაძე:

«Вы играйте, вы играйте на свирели!
В барабаны и литавры бейте силой!
Вы играйте, чтобы мы не постарели,
И чтоб нас невзгоды не сломили!».

თარგმანში სალამურის მოხმობა და ბარაბან-ლიტაერების ძლიერი ბრაგუნის ვფიქრობ, არც სიმღერას გულისხმობს და არც მისგან გამოწვეულ ფილტვების ტკივილსა თუ დაბერვას. ბოლო ორი სტრიქონი შედარებით ცოცხლად გამოიყურება, მაგრამ, როგორც ბევრგან, აქაც კოჭლია რითმები: **бейте силой не сломили.** ხოლო სალამურის ხსენება მხოლოდ რითმისთვის **გახდა** აუცილებელი (свирели — постарели).

ქართული
პიპიპოეზია

ისევ მივდივით დედანს:

„დაუკარით! და იმღერეთ შადიანი,
ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი.
დაუკარით ძველებური დარდიანი,
დაუკარით არწივების ასაფრენი!“

1. დ. სამოილოვი:

«Сыграйте ту самую,
Что в схватке певал Мачабели.
Сыграйте старинную,
Чтоб даже орлы заскорбели!».

პირველი და მეორე სტრიქონების თარგმანში დაიკარგა შადიანი ნამღერიცა და ფიცხელი ომიც. დარჩა კი: სწორედ ის დაუკარით, რომელსაც მაჩაბელი მღეროდა შეტაკებისასო. ცხადია, რუსული თარგმანის წამკითხველმა არ იცის, რომ შადიანი ერთგვარი მხიარული სუფრული საღებავი სიმღერაა; არც ის — ვინ იყო მაჩაბელი, რატომ მღეროდა საღებავი სიმღერას ცხარე ბრძოლის დროს და მისი სიმღერით აღფრთოვანებული ქართველი რაინდები როგორ ეკვეთებოდნენ მომხდურს თავდაუზოგავად. მოკლედ, სტრიქონები დაუტვირთავია აზრითა და სიტყვიერი სამკაულებით. ბოლო ორი სტრიქონიდან კი რუსულენოვანი მკითხველი იმასლა გაიგებს: იმღერეთ ძველებური (სიმღერა), რომელიც თვით არწივებს დააფრთხობს (შეაწუხებს), ჭმუნვას მოჰგვრისო. არადა, არწივების ასაფრენი სიმღერა სწორედ ის აღმაფრთოვანებელი პანგია, რომლითაც ბრძოლისკენ მოუწოდებდა თავად გმირი მაჩაბელი.

არც ის არის გასაკვირი, რომ დ. სამოილოვი თორმეტმარცვლიანი ლექსის სტრიქონებს სიტყვიერ მასალას ვერ ჩაატევდა 7-9-მარცვლიან ლექსში, რომელიც თავისთავად არ ეხამება ორიგინალს.

2. ს. განდლევესკი:

«Так играйте же, играйте праздничную Шаднани,
С этой песней Мачабели уходил в горячий бой,
Или грустную сыграйте — плач старинный, поминанье —
Пойте, чтоб орлы взмывали в свод полдневный голубой!».

მთარგმნელმა ერთხელაც დაგვაჯერა, რომ იგი სხვებზე უკეთ იცნობს და მისდევს დედანს, თუმცა ბოლო სტრიქონი მაინც სიტყვაშრავალი და გატყლარჭული გამოუვიდა. აქაც უცნობია მკითხველისთვის შადიანის მნიშვნელობა, თუმცა, დართული აქვს ეპითეტი — საზეიმო (ეტყობა ს. განდლევესკის შადიანი სიმღერის სახელწოდება ჰკონია და დიდი ასოთი უწერია). არც მაჩაბელია ახსნილი (თუნდაც სქოლიოში), მაგრამ ფიცხელი ომი კარგადაა წარმოდგენილი ზუსტი შესატყვისით — горячий бой, ასევეა არწივების ასაფრენი — чтоб орлы взмывали. მაგრამ ამ სტრიქონებს შორის ხანჯალივითაა გაჩრილი плач старинный поминанье და в свод полдневный голубой. ისინი მხოლოდ ამძიმებენ ლადოსეულ ზუსტ, მოქნეულ და კამკამა სტრიქონებს.

3. ბ. ნიჟარაძე:

**«Так играйте ж, про Отчизну песню пойте,
Ту, что в битвах, запевал наш Мачабели,
Так играйте ж, с злой судьбою вы поспорьте,
Так, чтоб в небеса орлы взлетели!»**

სამწუხაროდ, ამ სტროფში მთარგმნელს მხოლოდ რითმები (პესნუ პოითე — ვუ პოსპორტე; მაჩაბელი — ვზლეთელი) არის სწორად გადმოცემული, მაგრამ ზედმეტი სიტყვების მოშველიების ხარჯზე (Отчизну, с злой судьбою вы поспорьте). და კიდევ: ფიცხელი ომი უბრალო ბიტვა-დ არის წარმოდგენილი. ბოლო სტრიქონი ათმარცვლიანობითაა დაკოჭლებული.

ახლა განვიხილოთ ჭეშმარიტად გენიალური სტროფი:

**„ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ,
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!“**

დიახ, მწელია, ძალიან ძნელია, ამ ზედმიწევნით პატრიოტული სტრიქონების სრულყოფილად წარმოდგენა უცხო ენაზე, ვნახოთ, როგორ დაძლიეს ეს ბარიერი მთარგმნელებმა.

1. დ. სამოილოვი:

**«Пусть девять кинжалов пронзят мою юную грудь,
Назло моим недругам я девять раз засмеюсь,
Хочу только к Грузии я головою прильнуть —
Прильну головою, но ни перед кем не склонюсь».**

პირველი და მეორე სტრიქონები შეიძლება ჩაითვალოს ვარგის თარგმანად, გულის სინორჩე (юную грудь) რომ არ არბილებდეს პოეტის თავგანწირვას. დანარჩენი სტრიქონები კი დედნის შორეულ ადეკვატურობასა და ამჟღავნებენ. სამშობლოსთვის ჩახუტება (ჩაკონება), ისიც ორგზის გამეორებული და ქედის არმოდრეკა არავისადმი ნაკლებად აგვაგზნებს ლადოსეული სტრიქონების წაკითხვის შემდეგ.

2. ს. განდლევსკი:

**«Так играйте, как играют в лучшую минуту жизни!
Я назло врагу раз девять рассмеюсь, мне горя мало.
Выбьюсь ли из сил, устану от любви к моей отчизне,
Все равно в постель не лягу, нет. И сна как не бывало».**

მხოლოდ კარგი ჩაკვირვების შემდეგ თუ აღმოაჩენს აქ მკითხველი ასათიანური ფიქრის განხორციელებულ სინამდვილეს. პირველი სტრიქონის თარგმანი არაფრით ესადაგება ორიგინალს და ყალბია. მეორე სტრიქონში გაუგებარია — რატომ რასმეიუს ვრაგამ რაზ დევიათ. რამდენადმე უკეთესია მომდევნო სტრიქონები, მაგრამ მოკლებულია დედნისეულ ლაკონიურობასა და აფორიზმულობას.

3. ბ. ნიჟარაძე:

იქნებ ქართველმა მთარგმნელმა მოახერხა თავისი თანამოძმე დიდი პოეტის ნააზრევის ჭეშმარიტად ღირებული სახით წარმოდგენა? სამწუხაროდ, არც აქ ასრულდა ნანატრი. თავად განსაჯეთ:

«Если сердце мне пронзят кинжалом трижды
Я в лицо врагам смеяться буду.
Не устану от любви к моей Отчизне,
Про покой и сон навеки позабуду!»

ჯერ ერთი, ლადო ასათიანისეული საკრალური ტიფრის — ცხრის/სამგზის გამეორება გამქრალა და ერთგზის ნახმარ სამამდე ჩამოქვეითებული მჭირე, В ЛИЦО ВРАГАМ СМЕЯТЬСЯ БУДУ განა „მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ შესიტყვებ“-ის ბადალია?

მთარგმნელმა თითქოს ერთგვარი რეაბილიტაცია დაიმსახურა სტროფის მეორე ნახევარში, მაგრამ მთლიანად სტროფი სულაც არ გამოიყურება მოსაწონად მხატვრული სისადავის თვალსაზრისით.

გავაგრძელოთ ტექსტი:

„დაუკარით! მოასწარით, თორემ ჰერი...
და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება.
დაუკარით ძველებური მოსალხენი:
— შევევრებანებს შავი ჩოხა მოგვიხდება!“

1. დ. სამოილოვი:

«Сыграйте! Не медлите!
Ведь старость подобна свинцу!
Сыграйте веселую:
Нам, смуглым, черкески к лицу!»

მოასწარით, თორემ ჰერი... არდაუთვნებამდე (не медлите) დავიდა. შესანიშნავი სახე — და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება დახურდავდა იმად, რომ მოხუცებულობა დაგვამძიმებს, გულზე ტყვიასავით დაგვაწვება (старость подобна свинцу); ხაზგასმული სილაღით წარმოთქმული ძველებური მოსალხენი უბრალოდ, მხიარული მელოდიის დაკვრად დაქვეითდა და მხოლოდ ბოლო სტრიქონმა გაიმეორა ორიგინალი, თუმცა ალიტერაცია დაიკარგა, რა გამოვიდა? გამოვიდა ის, რომ სტროფის მხატვრული ელვარება, საგანგებოდ შერჩეული სიტყვები გაუფერულდა და, ამ თარგმანის მიხედვით, ცხადია, რუსულენოვან მკითხველს არ მიეცემა საშუალება ობიექტურად შეიგრძნოს ლ. ასათიანის პოეტური ხელოვნება და უშუალოდ, დ. სამოილოვი 7-8-მარცვლიანად აქცია „სალალობოს“ სტრიქონები და გასაკვირი არ არის, რომ აზრი სრულად ვერ ჩაატია ლექსის ხელოვნურად დავაწროებულ სხეულში.

2. ს. განდლევესკი:

«Так играйте же, спешите, мига даром не теряйте,
Старость налетит волчицей, дело, стало быть к концу.
Ту старинную сыграйте! Бесшабашную сыграйте!
— Смуглым черная черкеска удивительно к лицу!»

როგორც ხშირად, ს. განდლევესკი აქაც ცდილობს ერთგულად მისდიოს დედნის ტექსტს, იგი მეტრითაც უახლოვდება „სალალობოს“ ზომას, ავტორივით მიმართავს პოეტურ გამეორებებს, რაც დადებით შტრიხებს ჰმატებს მთარგმნელის ნაღვაწს.

ვფიქრობ, თარგმანს უხდება კიდევ, რომ თორემ ჰერის შესაბამისი სიტყვიერი მასალა ორგზისაა წარმოდგენილი (мига даром не теряйте და дело, стало быть, к концу) და, ამდენად, საგანგებოდ ხაზგასმული. Бесшабашную, ალბათ,

დარდიმანდულად უნდა წარმოვიდგინოთ, და, ჩემი აზრით, ბოლო სტრიქონი ზუსტადაა გადმოღებული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი თარგმნა სულაც არ წარმოადგენდა სირთულეს გამოცდილი მთარგმნელისათვის. მიუხედავად ამისა, ქების ღირსია ამ სტრიქონის ავტორი: „Смуглым черная черкеска удивительно к лицу!“

3. ახლა ქართველი პოეტის თარგმანში ჩავიხედოთ. ვაგლან, ეს სტროფი საერთოდ არ ჩანს გ. ნიჟარაძის თარგმანში. დიდად საწყენია! ნუთუ გამორჩეულ მთარგმნელს? იქნებ პოლიგრაფისტების ხელი ურევია და, როგორც იტყვიან, ტექნიკური მიზეზებით „გავამართლოთ“ ეს ლაფსუსი?

გავაგრძელოთ ორიგინალი:

„დაუკარით ძველებური ლოთიანი,
საათნოვა რომ მღეროდა შაითანთან,
დაუკარით! განა ყველა ლოთი არი?
განა ყველა სიყვარულით დაიშანთა?!“

1. დ. სამოილოვი:

«Сыграйте торжественную,
Что дед мне в детстве певал.
Не все же влюбленные!
Не все же пьяны наповал!».

ლაზათიანი სიტყვა ლოთიანი საზეიმოდ მიუღია მთარგმნელს (торжественную), საიათნოვა ამოუძირკვავს ტექსტიდან და მის მაგივრად პაპის სული მოუხშია. მესამე სტრიქონში გამოტოვებულმა სიტყვამ დაუკარით სრულიად გააუბრალოვა და აუხსნელი დატოვა განა ყველა ლოთი არი და განა ყველა სიყვარულით დაიშანთა. არა მგონია, სიყვარულით დაიშანთას ტოლფასი იყოს влюбленные!

2. ს. განდლევესკი:

«Так играйте эту песню удалую, а за нею
Песнь Саят-Нова, что пел он, было время, у Шайтана.
Вас, никак, любовь сгубила! — Полно, ну-ка, веселее!
Или все вы здесь пропойцы? — Есть здесь кто-нибудь не пьяный?»

მოკლედ რომ მოვჭრათ, ძალზე სუსტი თარგმანია. აქ სრულიად დაკარგულია ლადოსეული ტექსტის აზრი, სტრიქონები გატყლარჭულ-გაბუნდოვანებულია და, ამდენად, ძნელად აღსაქმელი. მხატვრულობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

3. გ. ნიჟარაძე:

«Спойте песню, что Саят пропел для милой.
Чсоб тоска бы с наших глаз долюю скрылась.
Вы сыграйте! Ведь вино не всех сгубило?!
Ведь любовь еще не всех сразила?!».

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანიდან ამოვარდნილია ძველებური ლოთიანი სიმღერის მოხმობა და მხოლოდ საიათნოვა (ისიც შემოკლებულად) ფიგურირებს, აგრეთვე ხელოვნურადაა ჩაკვეხებული მეორე სტრიქონი მთლიანად, მაინც გ. ნიჟარაძის თარგმანი ჯობს დ. სამოილოვისა და ს. განდლევესკის ნაწევალს სტრიქონებს. ეს განსაკუთრებით ითქმის სტროფის დაბოლოებაზე.

დასასრულ, განვიხილოთ ბოლო სტროფის თარგმანი, გავიხსენოთ ლადოსეული ორიგინალი:

„დაუკარიო ძველებური ლოთიანი,
თორემ დარდი ღრუბელივით გასივდება,
გაფრინდება სიყმაწვილე შფოთიანი,
წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება!“



ქართული
წიგლისათვის

1. დ. სამოილოვი:

«Сыграйте застольную,
Чтоб скорбь не нависла, как туча.
Покуда мы молоды
И светлое сердце могуче!».

დაუკვირვებლად ცხადია, რომ ლადო სიტყვასიტყვით იმეორებს წინა სტროფის პირველ სტრიქონს, ვინაიდან სათქმელი გრძელდება და ავტორის პოეტური ხერხი საჭირო სიტყვების გამეორებისა ამძაფრებს ლექსის რიტმს.

დ. სამოილოვს არ მოუნდომებია სტრიქონის გამეორება და ძალიანაც შემცდარა. შესანიშნავი მხატვრული სახე — დარდი ღრუბელივით გასივდება — წარმოდგენილია ღრუბლის უბრალო ჩამოკიდებად. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სტროფის მეორე ნახევრის თარგმანი. შფოთიანი სიყმაწვილე, წრფელი და ცხელი გული მართლაც რომ გაცივებულია რუსული თარგმანით.

2. ს. განდლევსკი:

«Так играйте же родную, песнь былую, хоровую,
А не то распухнет тучей и накроет на печаль.
Пылкие сердца остынут. — Разве жизнь прошла впустую!
Юность улетит куда-то. — Разве юности не жаль!».

არც ს. განდლევსკის გაუმეორებია პირველი სტრიქონი. ლოთიანი სამხავად უთარგმნია საპი სიტყვით (родную, былую, хоровую), თუმცა სასურველი შედეგისთვის მაინც ვერ მიუღწევია. შფოთიანი სიყმაწვილის გაფრენა ვაიგივებულია სტრიქონთან — юность улетит куда-то, ხოლო წრფელი და ცხელი გულის გაცივება გაუტოლებია არაადეკვატური სტრიქონისათვის — пылкие сердца остынут. არაფერს ჰმატებს თარგმანს დედნით გაუთვალისწინებელი დანამატი: разве жизнь прошла впустую და разве юности не жаль!!

3. გ. ნიჟარაძე:

«Так играйте, чтоб навеки с песней слиться,
Иль сердцами горе овладеет.
Как туман, шальная юность испарится,
Юный дух потухнет, охладает!».

არც ნიჟარაძემ მოინდომა დედნისეული გამეორების ხელმეორედ გამოყენება. სამაგიეროდ, „შეაშველა“ გამოგონილი პირველი სტრიქონი და ღრუბელივით გასივებული დარდის სანაცვლოდ ღრუბელივით ააორთქლა სიყმაწვილე. სტროფის ბოლო სტრიქონი კი, მიუხედავად იმისა, რომ გული შეცვლილია სულითა და სულისკვეთებით, მაინც დამაკმაყოფილებლად გამოიყურება.

ლადო ასათიანის „სალაღობოს“ მთარგმნელები დ. სამოილოვი და ს. განდლევსკი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ვერ ფლობდნენ ქართულ ენას და რუსული პწკარედით სარგებლობდნენ. პწკარედში კი ყოველთვის საკმარისად არ ჩანს ავტორის პოეტური სრულყოფილება, რაც შეეხება გ. ნიჟარაძეს, მან ქართულიც იცის და რუსულიც, მაგრამ მთლიანობაში თარგმანი მაინც არ გამოუვიდა დ. სა-

მოილოცა და ს. განდღევსკიზე უკეთესი. ისე კი, თავისუფლება არც ერთ მათგანს დაუკლია. მეტიც, ჩემი აზრით, მათ ზედმეტი თავისუფლებითაც კი ისარგებლეს, მაგრამ ამით არამც და არამც არ გაუკეთესებულა თარგმანი.

ზემოთაც ითქვა მეტრის შესახებ, მაგრამ აქაც უნდა შევნიშნო, რომ ლადო ასათიანს „სალალობოში“ გამოყენებული აქვს ლექსის სამი ზომა. დასაწყისი და ბოლო სტროფები 20-20-მარცვლიანია, თავიდან და ბოლოდან ~~სტროფები~~ სტროფები (ხალხური ლექსები) — 8-8, ხოლო „ძირითადი“ ტექსტი (მსსტროფები) 12-12-მარცვლიანი. ბოლომდე ვერც ერთმა მთარგმნელმა ვერ დაიცვა ეს ზომები, რითაც საგრძნობლად შესუსტდა ლექსის რიტმი და მგზნებარება. მეტიც, ლექსის ზომა თარგმანებში ხშირად ირღვევა თვით სტროფის ფარგლებშიც კი. დ. სამოილოვი მხოლოდ სამ სტროფში იყენებს 14-14-მარცვლიან ლექსს, დანარჩენი კი 5-8; 6-8-7-7; 7, 7-9, 8-7-მარცვლიანია. ს. განდღევსკი ძირითადად ირჩევს 16-15-მარცვლიან სტრიქონს, ზოგჯერ კი (სულ სამ შემთხვევაში) — 9 და 8-7-მარცვლიანს. გ. ნიჟარაძე საშუალო ზომას ირჩევს წინამორბედებთან შედარებით. ლადოსეული 20-მარცვლიანი მასთან 18-იანია; 8-მარცვლიანი — 9 და 8; ხოლო მათ შორის მოქცეული 7 სტროფი (ერთი რატომღაც დაუკლია მთარგმნელს) ძირითადად 12, ზოგჯერ კი 12-10-მარცვლიანია. როგორც ვხედავთ, გ. ნიჟარაძე ძალიან მიუახლოვდა ლადოსეულ ზომას, მაგრამ ვერც მან გაუძლო ცდუნებას და დაარღვია დედნის რიტმი.

ერთი სიტყვით, ლადო ასათიანის გენიალური „სალალობო“ რუს მკითხველამდე ვერ მივიდა დედნის საკადრისი თარგმანით. ამრიგად, რუსულენოვანი მკითხველებისათვის დაიჩრდილა „სალალობოს“ ჭეშმარიტი სილალე და პოეტური სრულქმნილება. ე. ი. მთარგმნელთა მიზეზით, „სალალობო“ მოექცა რიგითი ლექსის საძრახის ჩარჩოებში.

იმედი მაინც არ გადავიწუროთ: უნდა გვწამდეს, რომ „სალალობო“ მისი შექმნიდან თითქმის ექვსი ათეული წლის შემდეგაც მოიპოვებს ღირსეულ მესიტყვეს, რომელიც დედანთან მიახლოებული ძალით ააყდერებს მას რუსულ და სხვა ენებზეც.

ლადო ასათიანი თავის ერთ-ერთ ლექსში მოწამებრივი სიმკაცრით აცხადებს: და შევეწირო პოეზიას როგორც წმინდანიო. ვფიქრობ, მთარგმნელიც ასევე უნდა შევეწიროს პოეზიას, რათა მისი ნაღვაწი ტოლს არ უდებდეს ორიგინალს, ხოლო თვითონ ღირსი იყოს ავტორის გვერდით ამაყად მოხსენიებისა.



მ. დობრონრაჰოვი

ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი



ქართული
ენციკლოპედია

თარგმანი ვასილ ზურაბიძემ

საღმრთო წერილის, ეკლესიის წმიდა მამებისა და მოძღვრების მიხედვით გავშვითა აღზრდა-განათლება

1. აღზრდა-განათლების აუცილებლობა

„ძემან ბრძენმან ახარის მამასა, ხოლო ძე უგუნური — მწუხარებაი დედისა“, — გვმოდვრავს სულიწმიდა ბრძენი სოლომონ მეფის პირით (ივანე 10, 1). ამ ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ ისინიც კი ვერ იტყვიან რაიმეს, ვისთვისაც მშობლის გრძობა — მამობა თუ დედობა მხოლოდ ყურმოკვრითაა ცნობილი. მართლაც, ვინ არ იცის, რომ კეთილგონიერი შვილი მშობელსაც უყვარს და ყველა სხვა ადამიანსაც სიამოვნებს?! ყველა სიხარულით ჩაიკრავს გულში და ჩაჰკოცნის თავმდაბალ, მორჩილ ბავშვს და იმ ჭაბუკისადმიც პატივისცემით განიმსჯვალება, ვისაც დაუურვებია საკუთარ თავში მდაბალი ვნებები და აღვირი აღუესსამს უჯერო მიდრეკილებებისა თუ მისწრაფებებისთვის. დარა ბედნიერი არიან ასეთი შვილების მშობლები! რა სიხარული და კმაყოფილება გამოკრთის მუდამუამს მათი თვალებიდან! მათ ხომ აღარაფერი აღელვებთ თავიანთ შვილთა გამო, რომელთა მომავალი უკვე ხათელი შექნილა მათთვის, როგორც უღრუბლო ცა: ამგვარ კეთილ და მოყვარულ შვილთა მიზეზით მხნეობითაა აღსავსე მშობელთა სიბერე...

და პირიქით, რომელ მშობელს არ შეუძრწოდება გული ოდენ გაფიქრებაზეც კი იძისა, რომ მათი შვილები უზნეონი შეიძლება იყვნენ?! და თუკი ეს შემამფოთებელი ფიქრი სინამდვილედ იქცევა, მამის უსაზამო მწუხარებისა და ტანჯვის გადატანა უწევს მშობელთა ტკივილიან გულებს. რა უბედურნი და საწყალობელ-

ნი არიან ასეთი მშობლები! შესაძლოა მათი გულები ყოველთვის მხოლოდ იმ გრძობითა და სურვილით იყო გამსჭვალული, რომ ბედნიერი ეხილათ საკუთარი შვილები, რისთვისაც მზად იყვნენ ყველაფერი გაეღოთ; მაგრამ, აი, გავიდა წლები, და მათ, უბედურთ, თითქოს თავიანთი შვილების ცოცხლად დამარხვა უხდებოთ! კაცთაგან ვინ ანუგეშებს მათ ამ დროს?! ვინ განუქარვებს უზომო მწუხარებას და ვინ დაუბრუნებს უწინდელ სიხარულს, როცა ეგონათ კეთილწესიერი შვილები გვეყავსო?! — ვერაფერ ვერ შესძლებს ამას, რამეთუ „არა იხარებნ მამაი ძესა ზედა უსწავლელსა“ და არაკეთილგონიერსა (ივანე 17, 21). ან კი როგორ განიხარებს უზრდელი და უჯერო ყოფა-ქცევის შვილის გამო, როცა სხვისი უბედურების დანახვაზეც კი კეთილი ადამიანის გული ტკივილით იკუმშება, აქ კი საკუთარი სისხლი და ხორცია — მისთვის უძვირფასესი არსებაა უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში, რადგან უჯერო აღზრდა-განათლების გამო ტანჯვისთვისაა განწირული ამქვეყნად?!

მაგრამ მოხარდი თაობის ცუდი აღზრდა-განათლება მხოლოდ მშობლებს როდი უწამლავს სიცოცხლეს, — ეს მთელ საზოგადოებაზეც უარყოფითად მოქმედებს. ადამიანთა საზოგადოების, მთელი ერისა და სახელმწიფოს მომავალი, როგორც ცნობილია, მთლიანად ბავშვთა აღზრდა-განათლებაზეა დამოკიდებული. წმიდა იოანე ოქროპირი ამასთან დაკავშირე-

ბით შემდეგს ამბობს: „თუკი კარგად აღზრდი შენს ძეს, ის, თავის მხრივ, თავისას და მისი ძეც — თავისას, და თუ ასე მოიქცევა ყველა, მაშინ მშვენიერი ცხოვრების რივი სამარადეთამოდ გაგრძელდება და ასეთ ცხოვრებას დასაბამი შენში ექნება ვადგმული ფესვებით და შთამომავლობაზე ზრუნვის კეთილ ნაყოფებსაც შენთვის გამოიღებს. მაშეპი რომ გულმოდგინედ აღზრდიდნენ თავიანთი შვილებს, მაშინ აღარ იქნებოდა საჭირო არც კანონები, არც სასამართლოები, არც დამნაშავეთა დასჯა და წამება, რადგან მოციქულის სიტყვით, „მართალსა სჯულ არა უც, არამედ უსჯულოთა და ურჩთა, უმსახურებელთა და ცოდვილთა, უღირსთა და ბილწთა, მამის მაგინებელთა და დედის მაგინებელთა“... (1 ტიმ. 1, 9).

წმიდა ფილარეტ მოსკოველი წერს: „ოჯახი სახელმწიფოზე უფრო ძველი აღმონაცენია. მეუღლეები, მამა და ძე, დედა და ასული და ამ სიტყვების შესაბამისი მოვალეობანი ჯერ კიდევ მანამდე არსებობდა, სანამ ოჯახები ერად იქცეოდნენ და სანამ სახელმწიფო წარმოიქმნებოდა. ამიტომ ოჯახის ცხოვრება სახელმწიფოს ცხოვრების მიმართ ერთგვარ ფესვებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელთა სიძლიერეზე, სიმტკიცესა და სიწმიდეზე არის დამოკიდებული ის, რომ ხემ — სახელმწიფომ იარსებოს და ჯეროვანი ნაყოფები გამოიღოს. ამდენად იმისთვის, რომ სახელმწიფოს ცხოვრება სწორი ვზით მიემართებოდეს, ანუ ჰყვაოდეს განათლებულობით და საზოგადოებრივი კეთილდღეობით, აუცილებელია მტკიცე ოჯახური ცხოვრება, კურთხეული მეუღლეთა ურთიერთსიყვარულით, განწმენდილი მშობელთა ხელმწიფებით და შვილთა მხრივ მათი პატივისცემითა და მორჩილებით, რათა ამის შედეგად ოჯახის ცხოვრების შეურყვნელ სტიქიათაგან ბუნებრივად აღმოცენდებოდეს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ასევე შეურყვნელი დასაბამი და ბავშვთამიერი პატივისცემისაგან და სიყვარულისაგან მშობლებისა ბუნებრივად იშვებოდეს მოწიწება და მორჩილება ხე-

ლმწიფისადმი, ხოლო ბავშვის წრფელი სიყვარული დედისადმი წინარესაზე იყოს ყოველი ადამიანის გულწრფელი სიყვარულისა დედა-სამშობლოსადმი...“

ამრიგად, დე, ყოველმა მამამ და უფროსმა ოჯახისა იფიქროს: „ნუღუკი იგი, მოციქულის სიტყვების მიხედვით, სახლისა კეთილად განმგებელ“ იქნება და თავისი „შვილნიმცა უსხენ დამორჩილებულნი ყოვლითა ღირსებითა“ (1 ტიმ. 3, 4), ანუ თუკი იგი ღმერთის მოშიშებასა და მოყვასისადმი სიყვარულს ჩაუნერგავს თავისი ოჯახის წევრებს, თუკი ხელმწიფისადმი და სამშობლოსადმი ერთგულებით განმსჯვალავს მათ და მათ ზნეობრივ სახესაც ფხიშლად ადევნებს თვალ-ყურს, მაშინ იგი პირნათლად შეასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც შემოქმედ ღმერთს დაუკისრებია მისთვის. ასეთი მამა ოჯახისა მშვიდი ცხოვრების, ნუგეშის კეთილ ნაყოფთ განიმზადებს თავისთვის, მაგრამ ამას გარდა სახელმწიფოსთვისაც დიდ სამსახურს სწევს, რისი კეთილისმოყოფელი შედეგები შორეულ შთამომავლებსაც კი გასწვდება“.

ამდენად, ბავშვების სწორი აღზრდა-განათლება ყველაზე მტკიცე, უტყუარი საწინდარია ერთა და სახელმწიფოთა აყვავება-დიდებისათვის. და პირუკუ, ცუდად აღზრდილი ადამიანი სახელმწიფოს, ერის უსარგებლო წევრია, რომელსაც მხოლოდ ზიანის მოტანა თუ შეუძლია, რამეთუ საღმრთო წერილის სიტყვით, „კურთხევითა წრფელთაითა აღემართოს ქალაქი, ხოლო პირითა უღმრთოთა — დაიქცეს“ (იგავნი 11, 11). ხოლო ვისაც არ შეუძლია ამქვეყნიურ სახელმწიფოში იყოს კარგი მოქალაქე, ის ვერც ზეციურში — ღმერთის სასუფეველში იქნება ღირსეული მკვიდრი. ამიტომ ყველა განვითარებულ ერში ბავშვთა აღზრდა-განათლების საკითხს ყოველთვის უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო საკითხად მიიჩნევენ; მასზე ყოველდღიურად მსჯელობენ ბეჭდვით სიტყვასა თუ კერძო საუბრებში. და არამხოლოდ თვით მშობლებს, არამედ იმ ადამიანებსაც, ვისაც თავი ბავშვთა აღზრდა-

ვდა მათ მიდრეკილებებს. ამ წმიდა მამათათვის ცხადი იყო მშობელთა უდიდესი მოვალეობა ბავშვთა აღზრდაში; ისინი ბევრჯერ მიუთითებენ აღზრდა-განათლების სხვადასხვა მეთოდებზე და იმ ზომებზე, რომლებიც აუცილებელია აღზრდისათვის ჭეშმარიტი მიმართულების მისაცემად, თუკი საცნაური გახდება განდრეკა სწორი გზიდან. ეს ყველაფერი, როგორც ვთქვით, ეკლესიის წმიდა მამათა და მოძღვართა პირადი გამოცდილებით, ადამიანის სულის ღრმა შესწავლითაა შეძენილი.

მართლაც რა მდიდარი მემკვიდრეობა გვატყვს მიღებული ჩვენს წინაპართაგან! და თუ უყურადღებოდ დავტოვებთ ამ მემკვიდრეობას, ჩვენ არა მხოლოდ უმადურნი ვიქნებით ჩვენი სულიერი წინამძღვრებას მიმართ, არამედ საკუთარ თავსაც დიდ, ძნელად გამოსასწორებელ ზიანს მივაყენებთ, რადგან უარვეყოფთ იმ ადამიანთა ხელმძღვანელობას, ვინც საკუთარი სულის ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა, მის ყველაზე დაფარულ სიღრმეებს სწვდებოდა და მარადის გულისთქმათა სადარაჯოზე იდგა — შეისწავლიდა ამა თუ იმ ჩვეათა ჩასახვა-განვითარებას და სხვადასხვა ზომებსაც იღებდა უჯერო ჩვევების აღმოსაფხვრელად და ჯეროვანთა განსამტკიცებლად, ხოლო ამით გამოცდილებისმიერად რწმუნდებოდა ამ ზომების ავკარგიანობაში. და განა შეგვგავს ჩვენ, ვისაც გვრცხვენია უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ საკუთარ თავს იმის შიშით, რაიმე ცუდი არ აღმოვაჩინოთ მასში, და ამიტომ მეტად ღარიბნიც ვართ ადამიანის სულის ცოდნით, — განა შეგვგავს, ესევეითარს უარი ვთქვათ ყოველივე იმაზე, რისი შესწავლაც სხვათა გამოცდილებისაგან შეგვიძლია იმ წმიდა ადამიანთა

ცხოვრებისაგან და აზრებისაგან, რომელთაც სულიერი სრულყოფილებისათვის მიუღწევიათ და სხვისთვისაც შეუწყვიათ ხელი ამაში, და ეს მოღუპოვებულებით საკუთარ თავზე ღრმა დაკვირვებით და სხვათა ცხოვრების განხილვით. ესე რომ, საკუთარი ინტერესების და სარგებლობა გვაიძულებს ცოდნის ამ ძველ საგანძურსაც მიუმართოთ, საიდანაც უხვად შეგვიძლია აღმზრდელობითი რჩევა-დარიგებებისა და დამოძღვრის მიღება, თანაც ისე, რომ თინაუადაც არ გვეშინოდეს რაიმე ზიანის მიყენებისა ჩვენი აღზრდელებისათვის.

ვინმეს შესაძლოა ასეთი აზრი გაუჩნდეს: რა საჭიროა ვიღაცის პირად გამოცდილებას მივმართოთ, როცა ესა თუ ის აღმზრდელობით-საგანმანათლებლო საკითხი თვით საღმრთო წერილშია განმარტებულიო. ჭეშმარიტად, ჩვენთვის ღვთის სიტყვა ყოველგვარ გამოცდილებაზე უფრო სარწმუნოა, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ადამიანისათვის ნებისმიერი აზრი უფრო გასაგები ხდება მაშინ, როცა მკაფიო სახოვნებით შეიმოსება, და ნებისმიერი რჩევა-დარიგებაც, თუნდაც ღვთაებრივი, მით უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, მით უფრო დამარწმუნებელია და აღქმისთვისაც ადვილი, თუკი განმარტებულია ცხოვრებიდან აღებული თვალსაჩინო მაგალითებით.

აი, ეს გვინდოდა გვეთქვა წინდაწინ ჩვენი შრომის გასამართლებლად. აწ კი შევუდგებით კერძო საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც აღზრდა-განათლების სფეროს განეკუთვნებიან, პირველ ყოვლისა კი შევეხებით იმ პიროვნებების საკითხს, რომელთაც ბავშვთა აღზრდა-განათლება აკისრიათ.

II. მშობლების როლი ბავშვების აღზრდაში

ძნელი არ არის იმის გამოცნობა, თუ საღმრთო წერილის, ეკლესიის წმიდა მამებისა და მოძღვრების შეხედულებით ვის უნდა ეკისრებოდეს ბავშვთა აღზრდის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა — რაღა თქმა უნდა, იმით, ვისგანაც სიცოცხლე

ენიჭებათ ბავშვებს, ანუ მათ ხორციელ მშობლებს. ამას მათ ავალებს ბუნებრივი მშობლიური გრძნობა შვილთა სიყვარულისა. წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ღმერთმა იმისთვის შთაუნერგა მშობლებს შვილთა სიყვარული, რომ მათი სა-

ხით ბავშვებს სათნოებათა მასწავლებლები ჰყოლოდათ. ოდენ ხორციელი შობა როდი ხდის ადამიანს მამად, არამედ — კარგი განათლებაც; და ოდენ ბავშვის მუცლად ტარებაც არ შექნის ადამიანს დედად, არამედ — კეთილი აღზრდაც“. მამ, რა შეგვიძლია ვიფიქროთ იმ მშობლებზე, რომელნიც ან ნაკლებად ზრუნავენ თავიანთ შვილებზე, ანდა სულაც ბედის ანაბარად მიაგდებენ ხოლმე მათ? — ასეთი მშობლები თვით ბუნებას ეწინააღმდეგებიან, რომელიც, ამავე მღვდელმთავრის სიტყვით, „გარეულ მხეცებზეც კი მეუფებს, ისე რომ, ბევრს მათგან, რომელთა დატერაც სხვა დროს ძალზე ძნელია, ადვილად მოიხვლთებენ ხოლმე იმ დღეებში, როცა მათ ახლადგაჩენილი შვილები ჰყავთ და შვილების გამო ავიწყდებათ საკუთარ უსაფრთხოებაზე ფიქრი და არ ასებობს ისეთი პირუტყვი, დაე, თუნდაც ყველაზე სუსტი, რომელიც თავგანწირვით არ დაიცავდა თავის ნაშიერთ, ანდა სასტიკად არ განძვინდებოდა თავისი შვილის მოკვლის გამო“.

როცა შვილებს მშობელთა ზრუნვა მოაკლდებათ, ეს ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა, მაგრამ ქვეყნიურ ცხოვრებაში ხშირად სწორედ ასე ხდება, და ვერაინ იქნება თავდები, რომ როდისმე ადამიანები უაპისოდ შესძლებენ ცხოვრებას. ამიტომაც საღმრთო წერილიცა და ეკლესიის წმიდა მამებიც დაჟინებით შეასვენებენ მშობლებს ამ წმიდა მოვალეობას — ჯეროვნად აღზარდონ შვილები. წმიდა ბავლე მოციქული გვასწავლის: „მამანი ხუ განარისხებთ შვილთა თქვენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა“ (ეფეს. 6, 4). კვალად, როცა ეპისკოპოსის თვისებებს განსაზღვრავს, იგი ამბობს, რომ ამ წოდების ღირსი მხოლოდ ის ადამიანია, ვინც სხვა ღირსებებთან ერთად არის „თვისისა სახლისა კეთილად განმგებელ“ და ვისაც „შვილნიმცა უსხენ დამორჩილებულნი ყოვლითა ღირსებითა“ (1 ტიმოთ. 3, 4). ასეთივე მზრუნველობით თვისიანებზე და უნარით — ჯეროვნად განა-

გებდნენ თავიანთი ოჯახებისა და შვილების ცხოვრებას, უნდა გამოირჩეოდნენ სხვა მღვდელმსახურნიც — მღვდლები და დიაკვნები, რათა შესაბამისნი იყვნენ თავიანთი მოწოდებისა (იქვე 3, 12), ხოლო ვინც თავს არიდებს ამ მოვალეობის შესრულებას, ის თავისუფლად უკირსებას აკნინებს (იქვე 5, 8) და ამიტომ, მოციქულის სიტყვით, უნდა მოაკლდეს სამღვდლო წოდებას. მოციქულის ასეთი მზრუნველობა ბავშვების აღზრდაზე, მისი გულმოდგინება მშობელთა შეგონებაში ეკლესიის დიდმა მღვდელმთავრებმა და მოძღვრებმაც გაიზიარეს.

ყოფილან ქვეყნად ისეთი მამები, რომელნიც ყოველგვარ, ზოგჯერ კეთილსახიერ მიზეზთაც იშველიებდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ ბავშვთა აღზრდის მოვალეობა; ზოგჯერ, თითქოსდა საკუთარი სულის ხსნისათვის, სინამდვილეში კი სწორედ მშობლის მოვალეობის თავიდან ასაცილებლად, ისინი მზად იყვნენ ბერადაც აღკვეცილიყვნენ. მაგრამ ტყუილად როდია ნათქვამი საღმრთო წერილში: „უკუეთუ ვინმე თვისთა და უფროისდა სახლეულთა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაი უარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოისა უძვირეს“ (1 ტიმ. 5, 8). ასე რომ, ვისაც საკუთარ თავში ჩაუხშვია ბუნებრივი, ძნელად უკუსაკდები გრძნობა შვილებისადმი სიყვარულისა, ვისაც უფულებელ-უყვია პირდაპირი საღმრთო შეგონებანი მასზედ, რომ აუცილებელია ზრუნვა ბავშვების აღზრდა-განათლებაზე, იგი, ცხადია, სულიერი ღვაწლისათვის კი არ მიდის ბერის სენაკში, არამედ — სრული უქმობა-მცონარებისათვის! და ესე-ვითარი იმთავითვე თითქოს იმის აღთქმას იძლევა, რომ უღირსი ბერი იქნება, და არა ღმერთის მონა და მსახური. სწორედ ამგვარ მშობლებს არათუ ბერად აღკვეცას უკრძალავდნენ ეპისკოპოსთა კრებები, არამედ ანათემასაც გადასცემდნენ. ღანგრის ადვილობრივი საეკლესიო კრების მე-15 კანონი გვიდალაღებს: „თუ ვინმე მიატოვებს თავის შვილებს და არც გამოჰკვებავს მათ და არც შეძლებისდაგ-

ვარად ჯეროვან კეთილმსახურებამდე მიიყვანს, არაბედ ვანდევილობის საბაბით არ ზრუნავს მათზე, ესევეთარი, დაე, შეჩვენებულ იყოს“.

მაგრამ მხოლოდ მშობელი მამები როდი უხდა ზრუნავდნენ შვილების აღზრდაზე. საღმრთო წერილისა და ეკლესიის წმიდა მამათა და მოძღვართა სწავლებით, დედებს გაცილებით უფრო მეტად ეკუთვნით ეს მოვალეობა და ხელეწიფებათ კიდევ მისი შესრულება. და ეს სავსებით გასაგებია. რამეთუ მშობელთაგან ვის ენიჭება ბედნიერება იმისა, რომ პირველი ისმენდეს ჩვილთა ტიტინს? პირველს ვის მიემართება უნაზესი ბავშვური აღერსი? — სწორედ დედას და თითქმის მხოლოდ მას ერის. „დედა“-ა პირველი სიტყვა, რომელსაც ბავშვი წარმოთქვამს; დედას აჯილდოებს ჩვილი საოცარი, არაამქვეყნიური ღიმილით; დედის ღაწვნი აღიბეჭდება ბავშვური უმანკო ამბორით; დედასვე ეკუთვნის ჩუმი, გამოუთქმელი სიხარულიც საყვარელი ბავშვური პირისახის ცქერისა. ამიტომაც დედის მხრიდან სავსებით ბუნებრივია, რომ ამ, თითქმის, არაამქვეყნიური ბედნიერებისათვის იგი ზრუნველობით პასუხობს პაწია უსუსურ არსებას. თუმცა თვით ცხოვრების გარემოებანიც ხელს უწყობენ დედას უპირატესად სწორედ შვილების აღზრდაზე ზრუნავდეს. წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ქმრები იძულებულნი არიან გავიდნენ სახლიდან მოგზაურობების, სამსჯავროების და სხვა სამოქალაქო საქმეების გამო, ცოლებიანათვის კი, რომელნიც თავისუფალნი არიან ყველა ამ საზრუნავთაგან, უფრო მოსახერხებელია ბავშვების მოვლა, რადგან ისინი მოცალენი არიან“. გარდა ამისა, ქალის — დედის კიდევ ერთი უპირატესობა მამაკაცის წინაშე ის არის, რომ მისი გული უფრო ნაზი და მგრძობიარეა და ბავშვის ფაქიზ გულსაც იგი უფრო მეტს აძლევს და უფრო გასაგებად ესიტყვება, კიდრე მამის გული; დედას უფრო შესწევს ძალი მიხედეს, თუ რა ხდება ამ პატარა არსებაში და, ამდენად, უფრო კეთილისშეოფელი გავლენა

ნა ქმონდეს მის აღზრდაზე. დედას ძალუძს სიტყვიითაც და უსიტყვო მხერითაც მოახდინოს გავლენა ბავშვზე, აღერსითა თუ დასჯით, თვით იუნანიითაც კი შემოქმედებდეს მასზე. გამოცდილებაც ცხადად გვიჩვენებს. თუ რაე დედებზე წერებთ მისთვის მიუღწევიათ ბავშვებისთვის საქმეში მშობლებს, განსაკუთრებით კი — დედებს.

ქრისტეს ეკლესიის მანათობელნი კანდელნი — ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი და მრავალი სხვა, რომელთაც მსოფლიო განსაკვირვეს თავიანთი ქველი საქმეებითა და სიბრძნით, დიდად იყვნენ დავალებულნი თავიანთი მშობელი დედებისაგან. წმიდა ბასილი თავად გვიმონუმებს: „ერთი რამით განედულად ხალხის ვიქადო უფლისა მიერ, რომ არასდროს არ მქონია არაწმიდა აზრები ღმერთის შესახებ, ანდა თუკი თავიდან სხვაგვარად ვიანრებდი მას, შემდგომში შევიცვალე. ყოველთვის ვიძარხავდი გულში გაგებას ღვთისა, რომელიც ყრმობაში მიმიღია ჩემი ნეტარი აღმზრდელისაგან — დედაჩემისა და ბებიაჩემისაგან, და არასდროს არ გამიცვლია ეს გაგება სხვაგვარზე; როცა სრული გულისხმა და გონიერება შევიძინე, ოდენ სრულფასევი ის დასაბამნი, რაც მათ შთამისაერგეს“.

ასევე წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველიც ღრმა მადლიერებით იგონებს თავის ღვთისწიერ დედას: „დედაჩემმა (ნონამ) თავის მამა-პაპათაგან მიიღო შემკვიდრებად ღმერთისათვის სათნო რწმენა და ჩვენც, თავის მკილებსაც დაგვადვა ეს ოქროს ბიარკილები... კეთილმსახურება მიიღო მან შემკვიდრებად და შვილებსაც გადმოგვცა ივი“. დედის კეთილისშეოფელი ზეგავლენა შვილებზე წმიდა გრიგოლის დას — გორგონიას მაგალითზეც ცხადად ჩანს, რომელიც, მღვდელმთავრის სიტყვით, ყველა სათნოებით იყო შემკული და ისეთ სრულყოფილებამდე ქმონდა ისინი აყვანილი, რომ სხვა ადამიანს ერთიც სავსებით ეყოფოდა ამ სათნოებათაგან: „იგი იყო უსინათლოთა თვალი, მკელობელთა

ფენი და ჯედა ყოველთა ობოლთა“. რა თქმა უნდა, ასეთი სულიერი სრულყოფილება წმიდა გორგონიას ღმერთის შეწევნით პქონდა შეძენილი, ურომლისოდაც ადამიანს არანაირი კეთილი საქმის მოქმედება არ შეუძლია (იოანე 15, 4-5; ფილიპ, 2, 12-13). მაგრამ ისიც უეჭველია, რომ სწორედ ღვთისმოშიშმა მშობლებმა დათესეს მის სულში რწმენისა და ზნეობრიობის პირველი თესლი, რომელმაც, კეთილ ნიადაგში მოხვედრილმა, ღრმად გაიღვა ფესვები, ამოიზარდა და კეთილი ნაყოფებიც უხვად გამოიღო. ამას თვით წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: „ჩვენი მშობლებისაგან მიიღო გორგონიამ არსებობაცა და დიდებაც: მათგან პქონდა მიღებული კეთილმსახურების მარცვლები... მხოლოდ ისინი პყავდა მაგალითად და არც ჩამოუვარდებოდა მათ სათნოებებში. იგი ყველას წინაშეც აღიარებდა მათ თავისი განათლების დასაბამად... ჩემმა ნაზმა გულმაც სწორედ მშობელთაგან მიიღო განათლება“.

ასევე უდიდესი იყო მშობულთა გავლენა წმიდა ბასილი დიდზე და მის მრავალრიცხოვან დაძმებზე, რომელთაგან რამდენიმე წმიდანადაა შერაცხული. წმიდა იოანე ოქროპირის დედამაც — ანთუსამ — მკზნებარე საღმრთო მოშურნეობით აღზარდა მომავალი მღვდელმთავარი, როცა ერთხელ იოანემ სახელგანთქმულ წარმართ ნეცნიერს ლიბანიოსს მოუთხრო თავის ღვთისმოშიშ დედაზე, ამ კაცმა გოცებულმა წამოიძახა: „პოი, ღმერთებო! რა საკვირველი დედაკაცნი პყოლიათ ქრისტეანებს!“.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც უნებლიეთ იჩენს ხოლმე თავს, როცა ძველი კეთილი დროის აღზრდა-განათლების გამოცდილებას ვეცნობით. ცნობილია, რომ ეკლესიის სახელგანთქმული წმიდა მამები და მოძღვრები მაშინ წარმართულ სკოლებში ამთავრებდნენ თავიანთ განათლებას — ასეთი იყო იმჟამინდელი ჩვეულება. თუკი რომელიმე განსაზღვრული თანამდებობისათ-

ვის ემზადებოდნენ, ანდა, საერთოდ, განათლებული ადამიანები სურდათ ყოფილიყვნენ, მაშინდელი მსოფლიოს განათლების უმთავრეს კერებში მიემგზავრებოდნენ — კონსტანტინოპოლში თუ ალექსანდრიაში, რომსა, ქუეფუნში და სწორედ იქ სწავლობდნენ სხვადასხვა ცნობილ წარმართ მასწავლებლებთან. ასე იყო წმიდა მამათა — ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ნეტარი იერონიმეს და სხვათა ცხოვრებაში. მაგრამ წარმართ მეცნიერთა წიგნების შესწავლით, წარმართ ამხანაგებთან ურთიერთობით ისინი, ქრისტეანთა შვილები, არასდროს ბლაღაღდნენ თავიანთი ქრისტიანული შეხედულებების სიწმიდეს და არც უწინდელი რელიგიური განწყობა უნელდებოდათ სულში. პირიქით, ცხოვრების ასეთ პირობებში მათ მეტად ღირებული და სასარგებლო გამოცდილება შეიძინეს: სრულყოფილად შეისწავლეს წარმართული მეცნიერებანი და შემდგომში ქმედითად იცავდნენ ეკლესიას წარმართთა თავდასხმებისაგან.

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს, რომ ათენში, სადაც უფრო მეტი წარმართული კერბი იყო აღმართული, ვიდრე მთელ დანარჩენ ელადაში, მათთვის, ქრისტეან მოსწავლეთათვის, ეს არანაირი ზიანის მომტანი არ იყო, რადგან გულები მტკიცედ გვექონდა შემოზღუდული ქეშმარიტი სარწმუნოებითო: „პირიქით, — იგონებს იგი, — ათენში ცხოვრებისას ჩვენ კიდევ უფრო განვმტკიცდებოდით ქეშმარიტ სარწმუნოებაში, იმიტომ რომ იქ ჩვენთვის ცხადი ხდებოდა კერპების მთელი მომეტყუებლობა და სიცრუე; ჩვენ დემონების ზიზღს ვსწავლობდით, სადაც სხვანი დიდად პკვირობდნენ მათს გამო... და თუ მართლაც არსებობს ისეთი ცხოველი, როგორც ამას ხალხური თქმულება გვეუბნება, რომელიც, თითქოს, ისე გაივლის ცეცხლში, რომ არაფერი არ ევნება, ჩვენ სწორედ მისი მსგავსნი ვიყავით ჩვენს წარმართ თანატოლებთა წრეში“...

სად უნდა ვეძიოთ ამ წმიდა მამათა ასეთი მტკიცე რწმენისა და შეურყეველი

რელიგიური შეხედულებების საფუძველი, აგრეთვე ეკლესიის სხვა მამებისა და მოძღვრებისა, რომელნიც მსგავს მდგომარეობაში აღიზრდებოდნენ? — მათი საყრდენი ბურჯი, მათი შეუვალი საფარველი, რომელშიც ვერ აღწევდა ვერანაირი წარმართული ცრუსწავლება და ცრუ რწმენა, რა თქმა უნდა, იყო ქრისტიანული სარწმუნოების — ჭეშმარიტების აღმატებულობა ყოველივეზე. მაგრამ, უეჭველია ისიც, რომ უდიდესი სამსახური აქ სწორედ მშობლიურ სახლში მიღებულმა ქრისტიანულმა აღზრდა-განათლებამ გაუწია მათ. ამიტომაც ყველა ეს წმიდა მამა ღრმა მადლიერების გრძნობით იგონებდა ყოველთვის თავიანთი ოჯახის, მშობლების ქრისტიანული კეთილმსახურების ზეგავლენას, რითაც გამსჭვალული იყო და სუნთქავდა ძველ ქრისტიანთა ოჯახური

ცხოვრება. ჭეშმარიტად ბედნიერი იყო ის მადლმოსილი ძველი დრო! რამდენი სამოდვრებო და სასარგებლო რამ შეგვიძლია მოვიძიოთ ჩვენ ამ კბლარა წარსულში!

თუმცა მხოლოდ დიდი ხნის წინათ გარდასულ ცხოვრებაში მალევიდს დამოდვრებელი შავალრთების მოძიება აღზრდა-განათლების საქმისათვის. ასეთი მაგალითებით მდიდარია შედარებით ახლო წარსულიც და ჩვენი აწინდელი დროც. აქედანაც გვიხმს მრავალი მაგალითი, მოხმობა, რომლებიც მჭევრმეტყველურად მოწმობენ ქრისტიანული ოჯახური ცხოვრების უდიდეს კეთილისმყოფელ გავლენას ადამიანის აღზრდაზე, და განსაკუთრებით, ღვთისმოსიშ მშობელთა მნიშვნელოვან როლს, კერძოდ კი — დედის ზეგავლენას.

III. მშობელთა და აღმზრდელთა შინაგანი სულიერი თვისებები, რომლებიც აუცილებელია მათს აღსაზრდელთა კეთილისმყოფელი ზეგავლენის მოსახდენად

ჩვენ ვნახეთ, თუ რა დიდი გავლენა ჰქონდათ მომავალ წმიდა მღვდელმთავრებზე მათს ღვთისმოსიშ მშობლებს. ეს გავლენა, რა თქმა უნდა, განპირობებული იყო იმით, რომ ეს ადამიანები განსაკუთრებული თვისებების მქონე ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ. აი, რას წერს თვით გრიგოლ ღვთისმეტყველი თავის დედაზე: „ქალის ხატში იგი მამაკაცის გულს ატარებდა. იგი მხოლოდ იმისთვის ეხებოდა მიწას და ქვეყნიურისათვისაც ოდენ იმად ზრუნავდა, რომ ყოველივე, თვით ამქვეყნიური ცხოვრებაც, ზეციურ ცხოვრებად გადაექცია და მსუბუქი ფრთებით ზეაღფრენილიყო. უფალი ჩვენი იესო ქრისტე დასაბამიც იყო მისთვის და დასასრულიც“. წმიდა ბასილი დიდის მაღალი სათნოებით გამორჩეულ მშობლებზეც იგივე გრიგოლ ღვთისმეტყველი შემდეგს წერს: „მათი ოჯახიდან გამოვიდნენ მღვდელმთავრებიც, ბერმონაზონნიც და ქორწინების უღელში შებმულნიც, ოღონდ ისინიც ისე ცხოვრობდნენ, რომ ქორწინება სულაც არ უშლიდათ ხელს სხვათა მსგავსად წარმა-

ტებულებიყვნენ სათნოებებში“ (როგორც ცნობილია, წმიდა ბასილი დიდს ცხრა დამა მყავდა). და ეს სწორედ იმის გამო იყო, რომ მათი მშობლები გამორჩეული ღირსების ქრისტიანები იყვნენ, სამაგალითონი თავიანთი შეილებისათვის და სხვებისთვისაც. „ბასილის მშობელთა ქორწინება, — განაგრძობს მისი ცხოვრების აღმწერელი და მეგობარი წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი. — მხოლოდ ხორციელ კავშირში კი არ მდგომარეობდა, არამედ, უმეტესადრე, თანაბარ მისწრაფებაში სათნოებისაკენ. ისინი აპურებდნენ ღარიბ-გლახაკთ, შეიწყნარებდნენ მწირთ, სულს განიწყმენდნენ მოთმინებითა და თავშეკავებით, ღმერთს მიუძღვანებდნენ თავიანთი ქონების გარკვეულ ნაწილს... ამიტომაც ჯერ-იყო ყოველადქმული ბასილი დიდი სწორედ ამგვარ სათნო მშობელთაგან წარმომოხილიყო“.

შეიძლებოდა კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა წმიდა მამათა ცხოვრებიდან და ყველა ისინი მხოლოდ ერთს რასმე გვილაღადებდნენ, — კერძოდ კი

იმას, რომ ოდეს ღრმად მორწმუნე, კეთილ-
მსახურ და მაღალხეობრივ მშობლებსა და
აღმზრდელებს ძალუძთ კეთილისმყოფელი
გავლენა იქონიონ თავიანთ აღსაზრდე-
ლებზე. „აუცი კეთილგონიერ და მზრუნ-
ველ მშობლებს ასევე კეთილგონიერი
შვილები აღზრდებათ, — წერს წმიდა
ფილარეტ მოსკოველი, — ეს იმდენადვე
ბუნებრივია, რამდენადაც ის, როცა ჩვენ
მინდორში, სადაც ხორბალი დათესეს, პუ-
რის ხანას ვხედავთ, და არა სარეველა ბა-
ლახს“.

ამის საწინააღმდეგოდ, ბუნებისათვის
უცხოა ცუდ აღმზრდელთაგან გამოსული
კეთილი მოწაფეები. აი, როგორ მიმარ-
თავს წმიდა იოანე ოქროპირი იმ მშო-
ბელთ, რომელნიც ივიწყებენ სიღარიბეს,
მოუცლელობასა თუ სწეულებას და გასა-
რთობად მიეშურებიან სხვადასხვა თეატ-
რებში, ცირკებსა და სანახაობებზე. „აბა,
ვით შეგეძლება შენ გონებაში ჩაავლო მო-
უწესრიგებელი კაბუკი, როცა თვითონაც
ამ სიბერეში ასე თავქარიანად იქცევი?!
როცა ესოდენ ხანგრძლივი დროის შემდე-
გაც ვერ გამძღარბარ უჯერო სანახაობე-
ბით?! როგორ შესძლებ წესიერებისაკენ
მიაქციო შვილი, გამოასწორო დამნაშავე
მონა, შეაგონო სხვას შენს გვერდით, ვი-
საც უგულუბელუყვია თავისი მოვალეო-
ბანი, როცა თვითონ შენ სულაც არ იქ-
ცევი კეთილწესიერად?!“ მღვდელმთავ-
რის სიტყვები სავსებით მართებულია. იმ-
ვიათადაა, რომ ცუდი მშობელი თავისი
შვილების აღზრდაზე ფიქრობდეს, და კი-
დეც უფრო იშვიათია, შეიძლება ითქვას,
არც გვხვდება ასეთი რამ, რომ ასეთ
მშობელს წარმატებით აღზარდოს შვილი
სათნოებაში. ყველასთვის ხომ ცხადია,
რომ რჩევა-დარიგებანი და დამოძღვრანი
მხოლოდ მაშინ იმოქმედებენ ადამიანის
სულზე, როცა თვით დამრიგებელი იძლე-
ვა მაგალითს სათნო ცხოვრებისა, როცა
თვით იგია გამსჭვალული ყოველივე იმის
რწმენით, რასაც სხვას ასწავლის. უამი-
სოდ მის სიტყვებს არავითარი ძალა არა
აქვთ. როცა მშობლები და აღმზრდელე-
ბი ისეთს რასზე ასწავლიან აღსაზრდელებს,

რასაც თვითონვე არ ასრულებენ, მათი ძა-
ლისხმევა ყოველად უქმი და ამაოა. თავი-
სი მკრძნობიარე გულით ბავშვი უტყუა-
რად იკებს, რომ რჩევა-დარიგებას მას
სიყვარულითა და ქეშმარიტი სიკეთისად-
მი მისწრაფებით უნდა მოელოდნენ, არამედ
მხოლოდ მოვალეობის შესრულებად, რათა
ვინმემ არ დაადანაშაულოს აღმზრდელნი,
რატომ არ გულმოდკინებთ ბავშვების აღ-
ზრდა-განათლებლაშიო. ამიტომ სულაც არ
არის გასაკვირი, რომ ასეთ რჩევა-დარი-
გებებს ბავშვები ცივად ხვდებიან. და არ
ასრულებენ. ასეთი მშობლისა თუ აღმზრ-
დელის მიმართ ბავშვს ქვეცნობიერად ება-
დება ეს ფიქრი — მკურნალო, ჯერ საკუ-
თარი თავი განიკურნე და მხოლოდ ამის
შემდეგ შეუდექი სხვათა განკურნვასო. ეს
კი სრულიად საკმარისია, რომ ბავშვების
ნდობა დაიკარგოს მშობელთადმი თუ აღ-
მზრდელთადმი, რასაც მათი ზეგავლენის
მნიშვნელოვანი შესუსტება მოჰყვება.

მაგრამ გვეყოფა განყენებული მსჯელო-
ბანი — აწ ჯობს თვის ცხოვრებას მივ-
მართოთ, კამოცდილებას, რომელშიც ყვე-
ლაზე თვალსაჩინოდ დასტურდება ზემოთ
მოყვანილი შეხედულებანი. საღმრთო წე-
რილის პირველსავე გვერდებზე მოთხრო-
ბილია უმაგალითო მოვლენის შესახებ კა-
ცობრიობის ისტორიაში, მსოფლიო წარ-
ღვხის შესახებ, რომლითაც ღმერთმა ცო-
დელი კაცობრიობა მოსპო ერთი მართა-
ლი კაცის — ნოეს ოჯახობის გარდა (და-
ბად. 7, 21-23). თავისთავად ცხადია, რომ
ასეთი უმაგალითო სასჯელი გამოიწვია
შესატყვისმა მიზეზმა. ღვთის სიტყვა ამ
მიზეზზეც გვეუბნება — ეს იყო იშვამინ-
დელ ადამიანთა უკიდურესი რელიგიურ-
ხეობრივი გახრწნა: „განმრავლდეს უსჯუ-
ლოებანი კაცთანი ქვეყანასა ზედა, და ყო-
ველი კინ გონებს გულსა შინა თვისსა მო-
სწრაფებით ბოროტთა ყოველთა დღეთა“
(დაბად. 6, 5). მაგრამ საღმრთო წერილი
იმასაც განგვიცხადებს, თუ როგორ წარ-
მოიშვა და როგორ განვითარდა ასეთი
უკეთუერება, რომელმაც თავდაპირველი
კაცობრიობის წარწყმედა გამოიწვია. ბი-
ბლიაში წერია: „ხოლო იხილნეს რაი ძეთა

ღმრთისათა ასულნი კაცთანი, რამეთუ შევნიერ არიან, მიიყვანნეს თავთა თვისთა ცოლებად ყოველთაგან, რომელნი გამოირჩინეს“ (იქვე, მუხლი 2), ანუ სეითის შთამომავლებმა კაენის შთამომავალთაგან დაიწყეს ცოლების მოყვანა, რომელთაც კაენისძიერი უკეთურება შეჰქონდათ ოჯახებში და თავიანთ ქმრებზეც და შვილებზეც განმხრწნელად შემოქმედებდნენ, რამეთუ, როგორც შემოთ ვთქვით, ცუდ მშობელთაგან, ჩვეულებრივ, ცუდი შვილები აღიზრდებიან. და მართლაც, უფლის სიტყვით, „ქვეყანა განიხრწნა წინაშე ღმრთისა და აღივსო ყოვლითა უსამართლობითა“ (დაბად. 6, 11), რამაც საღმრთო სასჯელი გამოიწვია.

რამდენიმე გვერდის შემდეგ ბიბლიაში ასევე მნიშვნელოვანი ამბავია მოთხრობილი: სოდომისა და გომორას მოქალაქენი იმდენად განირყვნენ და გაბოროტდნენ, რომ ღმერთმა გადაწყვიტა მათი მოსპობა, მაგრამ რადგანაც მათ შორის ერთი მართალი მორწმუნის — აბრაჰამის ძმისწულის ლოტის ოჯახობა ცხოვრობდა, უფალმა ორი ანგელოზი მიუვლინა მას, რათა გამოეყვანა სოდომიდან მისი მოსპობის წინ. როცა ანგელოზები, პირმშვენიერი ჭაბუკების სახით, ქალაქში შევიდნენ და ლოტის სახლთან მივიდნენ, ისინი დაინახეს უკეთურმა მოქალაქეებმა, გარს შემოერტყნენ ლოტის სახლს და სტუმართა მოცემა მოსთხოვეს, რათა ძალა ეხმარათ მათზე და თავიანთი ბილწი ნდომა დაეკმაყოფილებინათ. მაგრამ, რაკი ლოტმა უარი უთხრა მათ სტუმართა გაცემაზე, მოქალაქენი მიადგნენ სახლს და შეეცადნენ ძალით შეჭრილიყვნენ მასში, რის შემდეგაც ზეციურმა სტუმრებმა თავიანთი საღმრთო ძალა გამოაჩინეს და დააბრმავეს სოდომელნი. აღსანიშნავია, რომ უკეთურთა შორის იყვნენ ჭაბუკნიც და მოხუცნიც, შვილებიც და მამებიც, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა ერთსულოვნებას ამჟღავნებენ ბოროტებაში უკეთური ადამიანები, აღმზრდელებიცა და აღსაზრდელებიც, მამებიცა და შვილებიც. ეს მაგალითიც დიდად საგულისხმოა ჩვენთვის.

აი, კიდევ ერთი მსგავსი შემთხვევა საღმრთო წერილიდან: იუდეის მეფე მანასე 12 წლისა ავიდა სამეფო ტახტზე და თავიდანვე უღმერთო ადამიანთა ზეგავლენის ქვეშ მოექცა, რომელნიც უარყოფდნენ საღმრთო სჯულს. მეფე ქეთანხვრებს მისი მიდრეკა კერპთაყვანისმცემლობისკენ — მანასემ საკურთხეველები აღუმართა წარმართულ „ღმერთებს“ — ეშმაკებს, მათ შორის მზის „ღვთაება“ ბაალს, ხოლო „ცის ღვთაება“ ასტარტეს ქანდაკი თვით იერუსალიმის ტაძარში დაადგმევინა. კიდევ ბევრი ღვთის საწინააღმდეგო საქმე მოიმოქმედა მეფე მანასემ: ცეცხლში გაატარა თავისი ძე საგრძნეულოდ, მკითხაობდა, მოკვობდა, მოიწვია ჯადოქრები და მიცვალებულთა სულების გამომძახებლები, ხოლო როცა ჭეშმარიტი სარწმუნოების დამცველნი ამხელდნენ მის უკეთურებას, მანასე სიკვდილით სჯიდა მათ. ისე რომ „სისხლიცა უბრალოი დასთხია მანასე დიდად ფრიად, ვიდრე აღივსო იერუსალიმი კიდით კიდემდე“ (IV მეფ. 21, 16). მისი განძინების მსხვერპლი შეიქნა წმინდა წინასწარმეტყველი ესაიაც, რომელიც ხის ხერხით შუაზე გადახერხეს (ებრ. 11, 37). აი, ასეთი მძიმე შედეგი მოჰყვა ცუდ აღზრდას.

ვისთვისაც ეს მაგალითები საკმარისი არ არის, იგი, დაე, თვითონ ჩაუჯდეს საღმრთო წერილის კითხვას და უამრავ სხვა მსგავს მაგალითს იბოვნის მასში, ნახავს, რომ იუდეის მეფე ოქოზია, კეთილმსახური იოსადატის ძე, უკეთურ გზას დაადგა სწორედ იმის გამო, რომ ღვთაების გოთოლია უსჯულოებას ასწავლიდა (II ნეშტთა, 22, 2-4); ნახავს რომ წინასწარმეტყველ იერემიას თანამედროვე ისრაელიანნიც თავიანთი გულისძიერი სისასტიკით ბაალის კერპის თაყვანისმცემელნი გახდნენ და სხვა კერპებისაც, „რომელნი ასწავნეს მათ მათა მათთა“ (იერემია 9, 14). ასევე პეროდეს ასულმა სწორედ თავისი დედის ბოროტი ჩაგონებით მოსთხოვა მამას იოანე ნათლისმცემლის თავი მოერთმია ლანგარზე (მათე 14, 8). აი, ასეთი დამღუპველია ბოროტ მშობელთა ზეგავლენა შეი-

ლებზე, ხოლო აღმზრდელებისა — აღსაზრდელებზე (I პეტრე 1, 18). ერთი და იგივე პიროვნებაც კი ხან კეთილმსახურია, ხანაც — უკეთური, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ადამიანების გავლენის ქვეშ მოექცევა. ასე, მაგალითად, როცა იოასი იუდეის სამეფო ტახტზე ავიდა, იგი ღვთის სათნო გზას ადგა, როგორც ამას კეთილმსახური მღვდელი იუდავი ასწავლიდა (IV მეფეთა 12, 1-2), ხოლო იუდავ მღვდლის გარდაცვალების შემდეგ იოსავ მეფესთან იუდეის უსჯულო მთავარნი მივიდნენ და თავის გავლენას დაუმორჩილეს იგი, რის შემდეგაც „დაუტევეს უფალი ღმერთი მამათა მათთაი და მსახურებდეს კერბთა და ასტარტეთა, და იყო რისხვა უფლისა იუდას ზედა და იერუსალიმსა მათ ღღეთა შინა“ (II ნეშტთა 24, 17-18).

ზოგმა შესაძლოა თქვას, რწმენითა და მაღალზნეობით გამორჩეულ მშობლებსაც ხომ ჰყავთ ხოლმე ზოგჯერ უზნეო შვილები, ხოლო საძრახის მშობლებს კი — წესიერნიო. მართლაც, ცხოვრებაში ზოგჯერ ასეც ხდება, რამეთუ დამბალ ფესვთაგანაც ზოგჯერ ტკბილი ნაყოფი აღმოცენდება, ხოლო დამყნილი ხე — გარეულ ნაყოფთ გამოიღებს. ცნობილია, რომ აბრაამის მშობელი თარრა მსახურებდა „ღმერთთა უცხოთა“ (ისუ ნავე 24, 2), მაგრამ მიუხედავად სხვა, კეთილმსახურ აღმზრდელთა არყოლისა, აბრაამმა ჯერ კიდევ მესობოტამიაში მიიღო საღმრთო გამოცხადება და კურთხევა (დაბად. 12, 1-4; 15, 7; საქმე მოციქ. 7, 2). ცნობილია აგრეთვე, რომ კერბთაყვანისმცემელ მეფეს იუდეისა აკახს (IV მეფ. 16, 1-4) კეთილმსახური ძე ეზეკია ჰყავდა (იქვე 18, 1-7), ხოლო ეზეკიას ძე — ზემოხსენებული უკეთური მანასე იყო. მაგრამ ეს კიდევ არაფერია, საღმრთო წერილი კიდევ უფრო საკვირველ მაგალითს წარმოგვიდგენს, როცა ეროსა და იმავე მშობლებს — ადამსა და პეევას ორი სრულიად სხვადასხვა ძენი ჰყავდათ — კაენი და აბელი, შემდგომ კი სეითი. ეს გარემოება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მშობლების საქციელი გა-

ნურჩვეული იყოს შვილებისათვის და მშობლებსაც შეეძლოთ ნებისამებრ იქცეოდნენ იმ იმედით, რომ არაფრით არ ავნებენ შვილების აღზრდას. არ, რას გვასწავლის ამასთან დაკავშირებით წმიდა ფილარეტ მოსკოველი: „ახლანდელნი ცოდვის შესაძით დამოურდულნი იქცევიან უმწიფარ კადნიერ იმედებს მიეცა, შობს კაენს — კადნიერ ცოდვილს. ხოლო კაენის უბედური შობით შეჩვენების განმცდელი იმედებით მოტყუებული, ამაოებით დამცირებული ადამი შობს აბელს — მშვიდს, მორჩილსა და უმანკოს. დაბოლოს მწუხარებათა გაგრძელებით თვითდამდაბლებასა და მორჩილებაში დამკვიდრებული ადამი, მოთმინების გზით განმტკიცებული ღმერთის სასოებაში, შობს სეითს — საიმედო საფუძველს თავისი მთამომავლობისა“.

მამასადამე. ადამისა და პეევას სულიერ-ზნეობრივი მდგომარეობა სხვადასხვა დროს მათი ცხოვრებისა განსხვავებული იყო, და შვილებიც, შესაბამისად, სხვადასხვაგვარნიც შვეს და აღზარდეს. ჩვენი, ცოდვით დაცემული, პირველმშობლების სულიერ ბუნებაში, ალბათ, იგივე ხდებოდა, რაც, ჩვეულებრივ, სწეული ადამიანის სხეულში ხდება, რომელშიც მიღებული შხამი ყველაზე დამანგრეველად მოქმედებს პირველ ხანებში და მანამდე, სანამ სწეულს საკურნებელ საშუალებას არ მისცემენ. ცოდვის შხამმა, რომელიც მთელს მათს ადამიანურ ბუნებაში ჩაიდვარა, ბუნებრივად მოსწყლა მათი პირმშოც — ძმისმკვლელი კაენი. მაგრამ დროთა განმავლობაში პირველყოფილი ცოდვის გადამდები სენი თანდათან სულ უფრო უნდა შესუსტებულიყო: კაენზე, როგორც თავიანთ მომავალ მხსნელზე დამყარებული იმედის გაცრუების განცდამ, სულ უფრო მზარდმა მწუხარებამ დაკარგული უმანკოებისა და ღმერთთან სიახლოვის მოკლების გამო, ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, თანდათან განწმიდა და აღადგინა მათი ზნეობრივი ბუნება, როგორცაც ცეცხლი განსწმედს კეთილმობილ ლითონს კუქყიან მინარევთაგან.

და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ კაენის შემდეგ ადამსა და ჰევას აბელი უჩნდებათ, რომელმაც მაცხოვრის რწმენით შესწირა მსხვერპლი ღმერთს (ებრ. 11, 4), ბოლოს კი — სეთიც, კეთილმსახურ ადამიანთა მამათავარი. ასე რომ, მშობელთა ცუდი საქციელი სულაც არ უნდა იყოს გამართლებული ადამის და ჰევას ძეთა მაგალითის მოშველიებით. ხოლო როცა ამტკიცებენ, უზნეო მშობელთაც შეიძლება ჰყავდეთ კეთილი ზნეობით გამორჩეული შვილებიო და ამით თითქოს მშობელთა უჯერო ცხოვრების გამართლება სურთ, მაშინ ესევეთარნი ივიწყებენ, რომ უფალ ღმერთს ძალუძს „აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაჰამისა“ (მათე 3, 9). თავისი ყოველად ძლიერი საღმრთო მადლის ზემოქმედებით, რომლითაც უფალი განკურნავს ყოველთა უძღურთ და აღავსებს ყოველთა გლახაკთ, იგი ზოგჯერ მანკიერ ადამიანებსაც კი სათნოების სიმალლეებზე აღიყვანს; ხოლო ბავშვების დაცვა ცუდი ზეგავლენისაგან მით უფრო ახასიათებს უფლის სიყვარულს. გარდა ამისა, ბევრ შემთხვევაში მშობელთა ცუდი ზეგავლენა შვილებზე მნიშვნელოვანწილად სუსტდებოდა სხვა, კეთილმსახურ ადამიანთა გავლენით, ცნობილია მრავალი ისეთი შემთხვევა, როცა ბავშვები უფრო მეტად ბებების ან ძიძების კეთილისმყოფელი ზეგავლენით ვითარდებოდნენ, ვიდრე მშობლებისა. შეიმჩნევა ასეთი მოვლენაც: თუკი ბავშვები არახელსაყრელ ვითარებაში აღიზრდებიან და, მიუხედავად ცუდი ზეგავლენისა, მაინც კეთილწესიერ ადამიანებად შეეძინებიან საზოგადოებას, ეს უმეტესწილად ძალზე ნიჭიერ ადამიანებს ძალუძთ. რომელნიც სიცოცხლესთან ერთად ღმერთისაგან ორ ან ხუთ ტალანტს იღებენ. ღვთისაგან ბოძებული გამორჩეული ნიჭის ძალით ასეთი ბავშვები მართლაც პოულობენ საკუთარ თავში იმის ძალას, რომ შეეწინააღმდეგონ ცუდ ზეგავლენას და კეთილად აღიზარდონ. ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ბავშვები კი, რო-

მელთაც არა აქვთ თავის თავში მონაცემები დიდი, სახელოვანი მომავლისა, თითქმის ყველა შემთხვევაში ითვისებენ იმ უჯერო ზნე-ჩვეულებებს, რომელთა მორისაც აღიზრდებიან — ისევე, როგორც არაჯანსაღი ჰაერის ზეგავლენით ავადდებიან ადამიანები... **ბიბლიისათვის**

ამრიგად, „აუცილებელია, რომ ასაკით უფროსნი ყველა სათნოებაში აძლევდნენ მაგალითს უმცროსებს და არანაირად არ უწყობდნენ ხელს მათს ცთუნებას, — ამბობს წმიდა ეფრემ ასური. — რამეთუ თუკი ჩვენ, მოზრდილნი არა ვართ მორჩილნი, როგორ შევძლებთ მოზარდები განვაწყობთ მორჩილებისათვის?! თუკი ჩვენ მივეცემით ნაყროვანებას, ღვინის სმასა თუ სიძუნწეს, როგორღა შევძლებთ ბავშვებს მთავაგონოთ თავშეკავება, უბრალოება და გულუხვობა მოწყალებაში?! თუკი თვითიანვე ვართ გაფანტულნი, მრავალმესიტყვენი და დაუდეგარნი, მერყეენი, ჰაბუკებს როგორღა ვასწავლით სიღინჯეს, მდუმარებასა და შეურყევლობას რწმენაში?!“

წმიდა ანტონი დიდი ამბობს: „როგორადაც ცუდი წყალი წაახდენს კარგ ღვინოს, ასევე უჯერო საუბრები წაახდენენ ცხოვრებითა და გულით კეთილ ადამიანებს“, ხოლო საღმრთო წერილი ბრძენი სოლომონის პირით ასე დაგვმოძღვრავს: „გამომე-ვის-ეკრისა ცეცხლი წიაღთა და სამოსელი მისი არა დაიწვის? ანუ ვალნმე ვინ ნაკვერცხალსა ზედა ცეცხლისასა და ფერხი მისი არა დაიწვას?“ (იგავნი 6, 28-29), ამიტომ ყოველმხრივ უნდა ვერიდოთ ცოდვიანი ცხოვრებისა და უკეთური ადამიანების ზეგავლენას, რამეთუ, როგორც ნეტარი იერონიმე ამბობს, „უფრო უხიფათოა სულაც არ გვექონდეს შესაძლებლობა რაიმე ვაგნოთ საკუთარ თავს, ვიდრე, თვით ამ ხიფათის მოსვლის დროს ავიცილოთ თავიდან ზიანი“. და ყოველივე ეს, პირველ ყოვლისა, სწორედ ბავშვთა აღზრდა-განათლების უმნიშვნელოვანეს საქმეს ეხება.

IV. აღზრდის ხასიათი

„მამანი ნუ განარისებთ შვილთა თქვენთა, არამედ განზარდენით ივინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა“ (ეფეს. 6, 4), — განკვიწესებს წმიდა პავლე მოციქული. რა ზეჯრს ეუბნება ეს სიტყვაძუსწი გამოხატებაში იმ ადამიანის გულსა და გონებას, რომელსაც ბავშვების აღზრდა-განათლება აკისრია. საღმრთო წერილის ამ შეგონებით წყდება ადამიანის აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი — იმ ხელშეუვალ თვისებათა შესახებ, რომლებითაც უნდა გამოირჩეოდეს სწორი, ღმრთივსულიერი აღზრდა-განათლება. ბავშვების აღზრდა „მოძღვრებითა უფლისაითა“, — აი, ის მტკიცე და შეურყეველი საძირკველი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ჭეშმარიტი აღზრდა-განათლების მთელი შენობა. აღზრდის თავი და ბოლო, დასაბამი და დასასრული საღმრთო სიტყვებია, რომელნიც „სულ არიან და ცხოვრება“ (იოანე 6, 63). რაც საზრდოა სხეულისათვის, იგივეა სულისათვის ღმრთის სიტყვები, რამეთუ თვით უფალმა თქვა: „არა პურითა ხოლო ცხოვრების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“ (მათე 4, 4). ხოლო ღმრთივსულიერი ბრძენი სოლომონი ასე დაგემოძღვრავს: „...სანთელი — მცნებაი ღმრთისაი, ხოლო სჯული — ნათელი, და გზაი ცხოვრებისა — მხილებაი და სწავლაი“ (იგავნი 6, 23).

მართლაც უჯერო საქმეა, როცა ადამიანი საღმრთო სწავლების გარეშე აღიზრდება. განა ჩვენ ვისურვებდით ღამით სახლში უსინათლოდ, ბნელში ყოფნას?! — ამიტომ სანთლებსა და ღამისკანას ვანთებთ. „სწორედ იმიტომ შეგვემთხვევა ხოლმე მრავალი უჯერო საქმე, — ამბობს წმიდა იოანე ოქროპირი, — რომ ჩვენ გვიან ვინთებთ სულში კანდელს“. როგორადაც და უმუშავებელი და მოურწყავი მიწა იფარება ოდენ სარეველა ბალახით, ხოლო მიწათმოქმედის ხელით დამუშავებული და მორწყული ჰევავის და მრავალ ნაყოფს გამოიღებს, ასევე კეთილი ზრუნვის გარეშე დარჩენილი ადამიანის სულიც, იშვია-

თად დარწყულებულ-ნასაზრდოები საღმრთო სიტყვითა და სწავლებით, ცარიელდება, პარტახდება და მრავალ ღვარძლს — ცოდვას აღმოცენებს. მაშინ, როცა ღვთაებრივი სწავლებებისაზრდოები, იგი ჰევავის და სულიერი მრავალს გამოიღებს — სულ უფრო ძლიერდება და ბრძენდება, ისე, რომ არასდროს არ მისცემს თავს უფლებას გატაცებულ იქნას რომელიმე არაგონიერი, ბილწი ვნებით.

აი, ვთქვათ, სულს მძიმე ვითარებანი შეაურვენენ, მაგრამ მას მკაფიოდ ესმის მეფე წინასწარმეტყველის სიტყვები: „რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემაძრწუნებ მე? ესევედ ღმერთსა!“ (ფსალმ. 41, 6), და ამით საკმარისად არის ნუგეშცემული. კვლავაც ადამიანს ახალი უბედურება ეწვევა — მას ცილს სწამებენ, შეურაცხყოფენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მორწმუნე კაცს ღრმად აღბეჭდვია სულში წმიდა მეფსალმუნის სიტყვები — „სიყვარულისა ჩემისა წილ მასმენდეს, ხოლო მე ვილოცევედ“-ო (ფსალმ. 108, 4) და ამ წმიდა მონახულ ტანჯულთან ერთად, თითქოს ასე განსჯის საკუთარ გულში: დაე, სხვები მზაკვრობდნენ ჩემს წინააღმდეგ, დაე, ცილი დამწამონ და შეურაცხმეონ, მე კი შეუვალ ზღუდეს შევაფარებ თავს, კეთილსაიმედო ღუზას ჩავეჭიდები და მშვიდზე მშვიდ ნაფთსაყუდელს მივაპურებ — წრფელ ღოცვას უფლის წინაშე, რომლის ძლითაც ყოველი სიმძიმე მსუბუქდება ჩემთვის და განსაცდელსაც ადვილად ვიტან... მაგრამ აი, ადამიანს კვლავ ბოროტი შეემთხვევა — მას უგულბებელყოფენ და ზიზღს აკებებენ ისინი, ვინც მანამდე მისი გულის მოგებას ცდილობდა; უწინდელი მეგობრებიც ზურგს აქცევენ, ისე, რომ ღამის სული აღუმღვრიონ და მწუხარებით მოსწყლან. და ამ ყოფამიც შემწედ ღმრთის სიტყვა ევლინება და აუწყებს — შენ პირველი არა ხარ, ვინც ამ დღეში ჩავარდაო: ჩემი მოყვარულნი და მეგობარნი განერიდნენ ჩემს წყლულებს, „და მახლობელნი ჩემნი შორს დადგეს ჩემგან“ (ფსალმ. 37, 12), — შეკ-

ღალადებს დავით მეფე უფალს, მაგრამ რაკი თავმდაბალი და მორჩილია, უფლის მცნებისაებრ, ამიტომ ამასაც ეუბნება: „ხოლო მე ვითარცა ყრუსა, არა მესმოდა, ვითარცა უტყუმან არა აღადის პირი თვისი და ვიქმენ ვითარცა კაცი უსმი, რომლისა თანა არა არს პირსა მისსა სიტყვაი“ (იქვე, მუხლები 14-15). უფლის მოძღვრების სულისკვეთებით აღზრდილი ადამიანისათვის ეს სიტყვები მისაბაძია. და ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე ასეც იქცევა. რადგან მთლიანად საღმრთო განგებულებას ეძლევა — ღმერთო, იყავნ ნება შენიო, — „შენ, უფალო, გესავ, და შენ შეგესემინ ჩემი, უფალო ღმერთო ჩემო“ (მუხლი 16), რამეთუ უფალს ძალუძს ჩვენი მტრების განფანტვა და მათი ყველა მზაკვრობის გაქარწყლება. აი, ასეთია ღვთის სიტყვის ძალა, თუკი ჯეროვანი აღზრდის გზით იგი აღსაზრდელის მთელს არსებას განმსჭვალავს და მის შეხედულებებსაც განსახლვრავს, რითაც უტყუარი წინამძღვარი შეიქნება მისთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში. და ვის გულშიც საღმრთო სჯულია აღბეჭდილი, ანუ ვისი სულიც სჯულის ფიცრებად ქცეულა, რომელზეც „სულითა ღმრთისა ცხოველისაითა“ დაწერილია საღმრთო ჭეშმარიტებანი (11 კორინთ. 3, 3), იმას ვერ გასტეხს უსიამოვნება და ვერც საამო რამ მზვაობრად ვერ შექმნის; ცხოვრებისეულ ქარიშხალთა და მღელვარებათა შორის, საღ კლდეთა და მეჩერთა გვერდის ავლით იგი კეთილსაიმედო ნავსაყუდელის სიმშვიდით დასტკბება. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ეკლესიის ყველა წმიდა მამა და მოძღვარი, უფლის წმიდა მოციქულთა კვალად, ბავშვების აღზრდა-განათლებას დაეინებით მოითხოვს ჭეშმარიტი სარწმუნოების სულისკვეთებით, ანუ „სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა“.

ამასთან დაკავშირებით წმიდა იერონიმე ამბობს: „სული, რომელიც ღმერთის ტაძარი უნდა შეიქნას, დაე, ისე აღიზრდებოდეს, რომ მხოლოდ იმის მოსმენასა და ლაპარაკს სწავლობდეს, რაც ღმერთის მოშიშებას განეკუთვნება. სამარცხვინო

სიტყვები, დაე, ნუ ესმოდეს მას, საერო სიმღერებიც ნუმც სცოდნია. და დაე, ყრობის ასაკიდანვე ენამ მისმა ტკბილი ფსალმუნების გალობა ისწავდეს! აი, კიდევ ქრისტეს ეკლესიის ხვა დიდი შბმის, წმიდა იოანე ოქროპირის შეგონება: „განა უგნურება არ არის სწავლისა სხელოვნებათ და ხელობათ ვასწავლიდეთ ბავშვებს და არაფერს არ ვიშურებდეთ ამისთვის, ხოლო მისი აღზრდისათვის სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა სულ არ ზრუნავდეთ?! ამიტომაც პირველნი სწორედ ჩვენ თვითონვე მოვიძვირებთ ხოლმე ამგვარი აღზრდის მწარე ნაყოფთ, როცა შვილებს კადნიერთ, უტიფართ, თავშეუკავებელთ, ურწთა და გარყვნილთ ვხედავთ. მაშ, ნუ მოვიქცევით ასე და წმიდა ბავლე მოციქულის შეგონებისაებრ „სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა“ აღვზარდოთ ისინი, მივცეთ კეთილმსახურების მაგალითი და ადრეული ასაკიდანვე ვაიძულოთ იმეცადინონ საღმრთო წერილის შესწავლისათვის“.

ამის შემდეგ ძნელი არ არის იმის გაგება, თუ ასე რატომ აქებენ წმიდა მამები იმ მშობლებს, რომელნიც სწორედ ამგვარად აღზრდიან თავიანთ შვილებს. როცა წმიდა სამოელის, ისრაელი ერის მსაჯულისა და წინასწარმეტყველის დედაზე — ანნაზე ლაპარაკობს, წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: „შეხედე ამ ღვთისმოსიში დედის მოწიწებას! — ღმერთო ყოვლადძლიერო, გვედრებოდა იგი უფალს, თუკი შენ წყალობით მოხედავ შენი მხეველის მწუხარებას და მომმადლი ძეს, მე მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ძღვნად შემოვწირავ მას შენდა, ღვინოსა და თაფლუკს არ შესვამს იგი და არც თმას შეიკვეცავს... ხედავ, ჯერ არ ღირსებია შეილს, და უკვე მის აღზრდაზე ლაპარაკობს. მას არ უფიქრია, ვაითუ ხორციელი აგებულებით სუსტი იყოს ჩემი მომავალი ძე და ოდენ წყალის მიღებით არ მომაგრდესო! არ უფიქრია, ვაითუ, მკაცრი აღზრდით მძიმედ დასწულდეს და მოკვდესო! რამეთუ, იცოდა: ის ვინც შეილს მომადლიდა, იმაზეც იზრუნებდა, რომ იგი ჯა-

ნსალი გაზრდილიყო. ამიტომ, მართლაც, ძის შობიდანვე სიწმიდისაკენ წარჰმართა მისი ცხოვრება და ყოველივე ღმერთს მიანდო“. წმიდა ანნამ ღმერთისაგან მონიჭებული ძე ტაძარში წაიყვანა და იქ დაასახლა, სადაც გამუდმებით სულიერი წყაროთი საზრდობდა, ამის გამო სამოელმა აკვნიდანვე აღიჩინა თავისთვის სათნოება — არ მონაწილეობდა უსჯულო საუბრებში და არ ეზიარებოდა უკეთურთა კრებულს, და დედის ძუძუთა შემდგომ იგი პირდაპირ სულიერ ძუძუთ დაეწაფა. ამიტომ როგორადაც ხშირად მორწყული ხე იზრდება მძლავრი და ძალზე მაღალი, ასევე სამოელმაც სათნოებათა მწვერვალს მიაღწია, რადგან გამუდმებით დაირწყულებოდა საღმრთო სიტყვის მოსმენითა და მორჩილებით“... სულის ასეთი უზაკველობისა და ძველი აღთქმის იუდეველთა უდიდესი სიწმიდისადმი — სჯულის კარავისადმი უდიდესი სიყვარულის გამო ჭაბუკი სამოელი, წარმოშობით ლევიტელი, იმის ღირსი შეიქნა, რომ მღვდელმსახურთა მოვალეობას ასრულებდა — ღმერთის შვიდსასანთლეს ადევნებდა თვალყურს და ეძინა კიდევ სჯულის კარავში! (1 მეფეთა 3, 3). ამის გამო წმიდა იოანე ოქროპირი სწორედ ამ წმიდა ადამიანის აღზრდელი დედის — ანნას მაგალითს მიიჩნევს მისაბაძად ქრისტიანი დედებისათვის: „მოდით, მას მივბაძოთ ყველამ, მამებმაც და დედებმაც, რამეთუ იგი ორივე სქესისთვის არის მასწავლებელი. დედები ამ მაგალითიდან დაინახავენ, თუ როგორია ბავშვთა აღზრდის უმჯობესი წესი, მამები კი დარწმუნდებიან, რომ ყველა მშობელი თავის შვილს ღმერთისათვის უნდა აღზრდიდეს“.

სოლო თუკი ვინმე იტყვის — წმიდა ანნას მაგალითი ერთეულია და მასზე დაყრდნობით გადაჭრით არაფრის მტკიცება არ შეიძლებაო, ჩვენ ვუპასუხებთ: ანნას მაგალითს მრავალნი მიჰბაძავდნენ და თითქმის ყველა მსგავს შემთხვევაში აღზრდის ნაყოფი ამგვარადვე კეთილი და სასურველი იყო. გავიხსენოთ თუნდაც წმიდა ნონა, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის დედა, რომელმაც მსოფლიო ეკლესიის მო-

მაგალი მოძღვარი მუცლად ტარებისასვე მიუძღვანა უფალს. აი, რას წერს თვით წმიდა გრიგოლი: „ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მხოლოდ სურვილით ვნთო — კალთაში ჩაეგორებინა ძე, იგი მართალი ანნას მიბაძვით ასე შექცა და უფალს: მეუფეთ ჩემო, ქრისტე-ღმერთო! კომბადლე მე სიხარული ჩემი ძის ხილვისა, და ჩემი სხეულის ჩვილ ნაყოფს შენს ზღუდეთა წიაღში მიიღებ!... ასე შექცა და უფალს, და მანაც შეისმინა მისი ვედრება: ზეგარდმო მოვლენილ სიზმრისეულ ხილვაში მას სახელიც კი ეუწყა მომავალი ძისა, ბოლოს კი თვით ძეც მოემადლა და თავისი აღთქმაც უფლისადმი პირნათლად შეასრულა; ხელნი ჩემნი მან სიყრმიდანვე განწმიდა საღმრთო წიგნებით და როცა გულში ჩამიკრავდა, ასე მეუბნებოდა: როგორც კეთილმსახურ დედას (ანნას) მიუყვანია ოდესღაც თავისი ძე ღმერთის საკურთხეველთან, და როგორც ყველანაე უმჯობესი მამა აპირებდა თავისი ერთადერთი ძის შეწირვას ღმერთისადმი, რამეთუ აბრაამი შემწირველი მღვდელი იყო, ზოლო ისააკი — კრავი, ასევე მეც ჩემი აღთქმისაებრ, ღმერთს უნდა მიუძღვანო შენი თავი — ცოცხალი ძღვენი მივართვა მას, ამიტომ შენც შეასრულე დედის სურვილიო. შენ ჩემს ლოცვა-ვედრებათა შედეგად გაშიჩნდი და ახლაც იმას ვვედრები უფალს, რომ შენ სრულყოფილი იყო. აი, ამ კეთილ სიმდიდრეს გაძღვე, შვილო ჩემო, რათა წარემატო ამ და მომავალ ცხოვრებაშიო... ასეთი იყო დედაჩემის სურვილი, და მეც დავემორჩილე მას აღრეული ყრმობიდანვე“...

რა შედეგი მოჰყვა ღვთისმოსიში დედის ამგვარ მზრუნველობას შვილის აღზრდაში? ამაზე თვით წმიდა გრიგოლი პასუხობს: „ჩემი ჭაბუკი სული კეთილმსახურების ახალ სახეობას მიიღებდა (ივულისხმება ბერ-მონაზვნური ცხოვრება)... თვით უფალი განცხადებულად ესაუბრებოდა თავის მონას და შემკრავდა მე სიყვარულით კეთილკრძალულებისა და უმანკოებისადმი, აღვირს ადასხამდა ჩემს სხეულს და შთამბერავდა მგზნებარე სიყვარულს ღვთაებ-

ნივი სიბრძნისადმი... ამიტომ მე უკვე ნაკლებად მიზიდავდა ლხინი და დროსტარება, არ მსიამოვნებდა ყოველივე ის, რაც ესოდენ უხარის სიჭაბუკეს — არც მშვენიერი მაცთუნებელი მომხიბვლელობა, არც თავშეუკავებელი სიცილი და არც ხორციელ სიამეთადმი ლტოლვა. სხვებს დავუთმე უფსკრულნი და მთები, მოჭიხინე ტაიჭები და მეძებარ ძაღლთა ჯგრო. ქვეყნიური შვება-სიამენი უარვყავი და ქედი მკაცრ კეთილკრძალულებას მივუბყარ. სწორედ ეს მასაზრდობდა, მიაღერებდა და დიდებისათვის განმამზადებდა, როცა მზრუნველად მივეცი ქრისტეს ხელთ“.

აი, ასე დიდნი და კეთილისმყოფელნია უფლის სწავლებითა და მოძღვრებით აღზრდის შედეგები. ამ სიტყვების შემდეგ ძნელია კიდევ რაიმე თქვა ქრისტიანული აღზრდის სასარგებლოდ. აქ ყოველივე გულწრფელი და მართალია, რადგან უშუალო, პირადი გამოცდილებიდანაა აღებული. ამიტომ ეს მაგალითი ერთნაირად დამარწმუნებელი უნდა იყოს ყველასათვის. ყოველი მშობელი ისე უნდა უყურებდეს თავის შვილს, როგორც ყველაზე ძვირფას საუჩუქეს საკუთარ სახლში, ყოველდღე გუდასმით ათვალთვრებდეს, უვლიდეს, ყოველი ზომით ზრუნავდეს მისი სულისათვის. მისაბამ მაგალითად კი ამ ნეტარხსენებულ დედათა — ანნასა და ნონას გამოცდილება უნდა ავიღოთ, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა იმ მიზნით, რომ უსათუოდ საბერძონაზვნო ცხოვრებისათვის მოვამზადოთ ჩვენი შვილები, რამეთუ ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, არამედ იმისთვის, რომ სიყრმის ასაკიდანვე აღზრდიდეთ ბავშვებს ქეშმარიტ სარწმუნოებასა და კეთილმსახურებაში, რათა მათ მარადის უფალი იესო ქრისტე ჰყავდეთ ფიქრებშიც, გულშიც და ბავშვებზეც და სულ ახსოვდეთ ღმერთი — მართალი მსაჯული და საზღაურის მიმგები, რაც კეთილად წარმართავს მათს გრძნობებს, სურვილებსა და მისწრაფებებს, და რათა ასეთი ხსოვნა ღმერთისა ისეთივე აუცილებელ პირობად შეიქნას მათი სულიერი ცხოვრებისათვის, როგორც ჰაერის შე-

სუნთქვაა ხორციელი სიცოცხლისათვის. ამით ჩვენ დავამტკიცებთ, რომ მეორმოცე დღეს ბავშვის ღმერთისადმი მიძღვანების ჩვეულებას, როცა ქრისტიანი ყრბები წმიდა ნათელს იღებენ ეკლესიაში, ჩვენთვის მართლაც ღრმა აზრით და მნიშვნელობა აქვს და არ ქვეყნული კარეჯან, ლამაზ ჩვეულებად...

კვალად, ვეცადოთ მართალ, მრავალენებულ იობს მივბაძოთ, რომელიც თავის შვილთა შესაძლო აზრისმიერ ცოდვათა გამომარადის ილოცვიდა უფლის წინაშე, მსხვერპლსაც შესწირავდა მას, და საერთოდაც, შვილებზე დიდად მზრუნველი მამა იყო (იობი 1, 5). ასევე ჩვენს მამათავარ აბრაამს მივბაძოთ, რომელიც სიმდიდრის მოხვეჭაზე კი არ ფიქრობდა, არამედ იმაზე, რომ „ამცნოს ძეთა მისთა და სახლსა მისსა მის თანა და იცნან გზანი უფლისანი.. ქმნად სიმართლისა და მსჯავრისა, რაითა მოაწივნეს უფალმან აბრაამის ზედა ყოველი, რაოდენი თქუნა მისა მიმართ“ (დაბად. 18, 19). კვალად, მივბაძოთ წმიდა დავით მეფეს, წინასწარმეტყველსა და მეფსალმუნეს, რომელმაც სიკვდილის წინ მოუწოდა თავის ძეს სოლომონს და ეს უანდერძა: „მე შივალ გზასა ყოველთა კაცთასა, ხოლო შენ განძლიერდი და იყავ მამაკაც ძლიერ. და დაიცვენ გზანი უფლისა ღმერთისა ისრაელისანი, რათა ხვიდოდი ყოველთა ბრძანებათა მისთა და ყოველთა მცნებათა მისთა და სამართალთა მისთა და წამებათა მისთა, რომელ-იგი წერილ არიან სჯულსა მას მოსესასა, რათა წარგემართოს ყოველი, რასაცა იქმოდო და რასაცა მიძხედო“ (III მეფეთა 2, 2-3), ანუ ის კი არ დაუბარა, ცხენოსანი ჯარი განამრავლე, საბრძოლო ეტლები მოიმარაგე ანდა გარეჯანი ბრწყინვალეობა და სიმდიდრე შემოივლე გარსო, არამედ უფლის მცნებათა მიხედვით ცხოვრებას უანდერძებდა და ოდენ ამას სავსებით საკმარისად მიიჩნევდა იმისათვის, რომ სოლომონის სამეფო მშვიდობითა და ყოველგვარი კეთილდღეობით გიებულიყო, უნიფათოდ როგორც შიდა, ისე უცხო მტერთაგან.

ამიტომ, წმიდა დავით მეფის მსგავსად,

დაე, ყოველმა მშობელმა სიცოცხლეშიც და სიკვდილის წინაც ის შეაგონოს თავის შვილებს, რომ ერთადერთი ქვეშარიტი სიმდიდრე და დიდება არის ღმერთის მოშიშება, და ეცადოს მათ ოდენ ამო, მაღიჯად წარმავალი სიმდიდრე კი არ დაუტოვოს, რომელსაც მღილი შეჭამს და ქურდები მოიპარავენ (მათე 6, 19), არამედ ის მარადიული საუნჯე — ღმერთის მსახურება, კეთილმსახურება, რომელიც წმიდა პავლე მოციქულის სიტყვით მარადის და „ყოველითავე სარგებელ არს, რამეთუ აღთქმადი აქუს ცხორებისაი აწინდელისა და მერმისაი“ (1 ტიმ. 4, 8). რა დიდი და ძვირფასიც არ უნდა იყოს ჩვეულებრივი ქვეყნიური ქონება, იგი მაინც, შეიძლება თავის მფლობელზე ადრე მოიხპოს, ანდა მხოლოდ ზიანი მოუტანოს მას, თუკი ადამიანმა არ იცის მისი სწორი გამოყენება. და პირუკუ, ღმერთისმოშიშებით მდიდარი კეთილმსახური ადამიანი არასდროს არ იქნება ამქვეყნად გაჭირვებული, დაე, თუნდაც მცირე ოქრო-ვერცხლი ჰქონდეს მოგროვილი, რადგან ძალუძს მცირედით დაკმაყოფილდეს და არ იქნას გატაცებული უჯერო გულისთქმებით (იგავნი 10, 2). ათასგზის ნეტარია ის მშობელი, ვისაც წმიდა დავით წინასწარმეტყველთან ერთად შეუძლია ასე მიმართოს თავის შვილებს: „მოვედით, შეილნო, ისმინეთ ჩემი, მიში უფლისაი გასწაოთ თქვენ“ (ფსალმ. 33, 12). რა ბედნიერნი არიან ბავშვები, რომელთაც ამგვარი მშობლები ჰყავთ და ასეთ აღზრდა-განათლებას იღებენ „სწავლებითა და მოძღურებითა უფლისაითა“, როცა უმაღლეს მიზნად და ყველაფრის გვირგვინად მიიჩნევა იესო ქრისტეს ქვეშარიტი ქეთა აღზრდა. „ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყვაი ღმერთისაი და დაიმარხონ იგი“ (ლუკა 11, 28). რადგანაც „ყოველი წიგნი ღმრთივ სულიერი და სარგებელი სამოძღურებლად არს და სამხილებლად და განსამართლებლად და სასწავლელად სიმართლისა, რაითა აწვე იყოს ღმრთისა იგი კაცი სრული, ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმტკიცებულ“ (11 ტიმ. 3, 16-17).

თუმცა ყოველთვის არსებობდნენ და ამჟამადაც არიან ქვეყნად ისეთი მშობლები, რომლებიც ბავშვების აღზრდა-განათლების საფუძვლად ღმერთის მოშიშებას კი არ მიიჩნევენ, ანუ არა მოწიწებასა და თაყვანისცემას შეეძენენ, ღმერთისადმი ვითარცა უზენაესი სულიერი მოფილესი არსისადმი, არამედ, როგორც წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს, „ქვეყნიურ გამორჩენასა და უპირატესობებს, და მისაბაძ მაგალითადაც თავიანთ შვილებს ამა ქვეყნად განდიდებულებს უსახავენ“, და არა — ცათა შინა გვირგვინოსანყოფილებს, რომელთაც ერთხელაც არ უხსენებენ მათ; და თუკი ვინმე მათს გვერდით გაიხსენებს მათს შესახებ, ესევეთარს სდევნიან ვითარცა ზიანის მომტანს“ (მე-3 სიტყვა მორწმუნე მამისადმი, § 9). როცა ამას ადრეული წლებიდან ჩააგონებენ შვილებს, ასეთი მშობლები სხვას არაფერს ასწავლიან მათ, თუ არ დასაბამს ყოველი მანკიერებისა, რითაც ყველაზე სახიფათო ვნებებს ამკვიდრებენ მათს სულებში — ვერცხლისმოყვარებასა და მშვაობრობას, ცუდმედიდობას. ამ ბოროტ ვნებათაგან თითოეულს ცალკე ძალუძს ყოველივე გარდააქციოს და განრყვნას ადამიანის სულში, ხოლო როცა ორთავე შეიჭრება ჭაბუკ სულში, მაშინ შეერთებულ ბობოქარ ნაკადებსავით შეუძლიათ ყოველივე კეთილი წარხოცონ მასში და იმდენი ქვიშა, ტალახი და ეკალ-ბარდი დაუტოვონ სულში, რომ სრულიად უნაყოფოდ შექმნიან და უუნაროდაც რაიმე ამალღებულისა და წმიდისაკენ სწრაფვისა“ (იქვე). და ცუდი აქ, მსოფლიო მოძღვრის აზრით, მხოლოდ ის კი არ არის, რომ მშობლები უფლის მცნებების საწინააღმდეგოს ჩააგონებენ შვილებს, არამედ ისიც, რომ ამ უკეთურებას კეთილმშოვანი სახელწოდებებით ჰფარავენ, როცა თეატრებში, საცხენოსნო ასპარეზობებსა თუ სხვა ამაო სანახაობებზე გამუდმებულ ყოფნას მაღალ საზოგადოებაში გამოსვლად „ნათლავენ“, კადნიერ უტიფრობას — გულახდილობად, მფლანგველობას — კაცთმოყვარებად, უსამართლობას — ვაჟკაცობად და ა. შ. ამასთან,

თითქოს ეს სიცრუეც არა კმაროდეს, ისინი სათნოებებსა და ქველის საქმეებსაც საწინააღმდეგო სახელწოდებებით მოიხსენიებენ, მაგალითად, თავმდაბლობას — გაუნათლებლობად, სიმშვიდეს — ლაჩრობად, სამართლიანობას — სისუსტედ, სიმდაბლესა და მორჩილებას — მონურ ქედმონხრად თავისა, ურისხველობას — უძღურებად, თითქოსდა ეშინიათ, ბავშვებმა სხვათაგან არ გაიგონ სათნოებათა და მანკიერებათა ნამდვილი სახელები და ამით თავიდან არ აიცილონ ჭირიო. ასეთი აღზრდით მშობლები თავადვე მიაქანებენ თავიანთ შვილებს უცილობელი დაღუპვისაკენ.

ამასთან დაკავშირებით, აი, რას მოგვითხრობს წმიდა გრიგოლ დიოლოგოსი თავისი საუბრის შესახებ დიაკვან პეტრესთან: „მრავალი ბავშვისათვის იხშვება ცათა სასუფეველის კარნი, თუკი ისინი ცუდად არიან აღზრდილებიო, — ამბობდა იგი. ანუ, მაგალითად, ქალაქ რომში, ერთს, ყველასათვის ცნობილ მოქალაქეს ვაჟიშვილი ჰყავდა, ხუთიოდე წლისა. მამას მეტად უყვარდა თავისი პაწია ძე და ისე აღზრდიდა, რომ არასოდეს არაფრისათვის არ სჯიდა. და რაკი განუწყვეტლივ მხოლოდ ეალერსებოდნენ და ანებივრებდნენ, ცუდი საქციელისათვის კი არაფერს ეუბნებოდნენ, ეს ბავშვი თანდათან ბილწსიტყვაობას მიეჩვია — აგინებდა ადამიანებს და მკრეხელობებს გაიძახოდა წმიდა საგნების მიმართაც, ხოლო უკანასკნელ, სათქმელადაც კი საშინელია, ღმერთის დიდებულებასაც მასხრად იგდებდა და შეურაცხყოფდა სიტყვით, მშობელი მამა კი ყოველივე ამას მშვიდად უყურებდა და სულ არ ცდილობდა ვაჟიშვილის შეკავებას. მაგრამ აი, ეს განებივრებული ბავშვი ძალზედ მძიმედ დაავადდა, მამას იგი გულში ჰყავდა ჩაკრული. სულის უკანასკნელი ამოხდომისას კი, როგორც იქ დამსწრე ადამიანები მოწმობენ, ბოროტი სულები მოჯარდნენ მისი სულის წარსატაცებლად. მათს დანახვაზე ბავშვს კანკალი დაუწყია — მამის უბეში მალავდა სახეს და საშინლად შეძრწუნებული გაჰკი-

ოდა — მამი, ნუ გაატან მათ ჩემს თავს, გამომიტაცე მათგანო. უბედური მამა გაოცნებული უყურებდა მომხდევ ძეს და ეკითხებოდა, ვის ხედავო, რაზეც ბავშვმა უბასუხა: შავი კაცები მოვიდნენ და ჩემი წაყვანა სურათო. *შეძრწუნებული ბავშვმა კვლავ დაიწყო უბასუხი საგმობი სიტყვების წარმოთქმა, რომელთა წარმოთქმასაც მიჩვეულიყო და ამ სიტყვებით ბავშვებზე ამოხდა კიდევ სული*“...

დაე, ამ საშინელმა ამბავმა მაინც შეაძრწუნოს ის მშობლები, რომელნიც ცუდად აღზრდიან თავიანთ შვილებს, არა „სწავლითა და მოძღურებითა უფლისაითა“, როცა ანებივრებენ მათ, არ სჯიან ცუდი საქციელისათვის და პატარაობიდანვე აჩვევენ ღმერთის საწინააღმდეგო საქმეებსა და სიტყვებს. ასეთი მშობლები, წმიდა დიმიტრი როსტოველის სიტყვით, საუკუნო სატანჯველთ მიეცემიან ღმერთის სამართლიანი მსჯავრით თავიანთ უზრდელ შვილებთან ერთად. როგორადაც ქამი დასწყევლა ნოემ მის ჭამუკ ძესთან — ქანაანთან ერთად (დაბად. 9, 25), ასევე უკეთური მშობლებიც მოისმენენ უფლისაგან საშინელ სიტყვებს: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთა“ (მათე 25, 41).

და მართლაც, თუკი ასეთი საშინელი განაჩენი წარმოითქმება იმ ადამიანებზე, ვინც აცთუნებს თუნდაც „ერთს ამას მცირეთაგანს“, ანუ მორწმუნე ადამიანს — უფლის ძმას, ისე, რომ ასეთი ადამიანებისათვის უმჯობესი იქნებოდა, წისქვილის დიდი ქვა შეეხათ ყელზე და ზღვაში გადავარდნილიყვნენ (მათე 18, 6), მაშინ რაოდენ ზის უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას დაექვემდებარებიან ის მშობლები თუ აღმზრდელები, რომელნიც ცუდი აღზრდა-განათლებით დიდ ზიანს აყენებენ თავიანთ შვილებსა და აღსაზრდელებს?!

და რა მტანჯველ ქენჯნას განიცდიან ისინი სინდისისა, რა სულის გამყინავ შეძრწუნებას ეწევიან, როცა სამართლიანი მსაჯულის წინაშე წარსდგებიან განკითხვის

დღეს და იძულებულნი იქნებიან უთხრან მას: „აჰა, მე და ყრმანი, რომელნი შენ მომეცე მე, ღმერთო!“ (ესაია 8, 18), რად-

გან პირველ ყოვლისა სწორედ მათ ჰქონდათ მინდობილი ზრუნვა მათს აღზრდაზე და უჯეროდ აღასრულეს ეს საქმე...

V. როდიდან უნდა იწყებოდეს ბავშვების აღზრდა?

მშობელთა შორის დღეს ხშირად გვხვდებიან ისეთნი, რომელნიც თავიანთი შვილების ცელქობასა თუ ცუდ საქციელს მათი მცირე ასაკით ამართლებენ — ბავშვი ჯერეთ პატარაა და არაფერი ესმისო. და ამ მიზეზით სრულ თავისუფლებას აძლევენ შვილებს და ისინიც, რაც მოეპრიანებათ, იმას იქმან. „არა უშავს, — გაიძახიან ასეთი მშობლები. — წამოიზრდებიან, დაჰკვიანდებიან და მაშინ მოვასწრებთ კიდევ მათს შეგონებას, თუ რა არის კარგი და რა ცუდი, რა შეიძლება და რა — არაო. და უმრავლეს შემთხვევებში ასე მხოლოდ ისინი კი არ გაიძახიან, ვისაც სურს თუნდაც რამოდენიმე ხნით კიდევ აირიდოს ზრუნვა შვილების აღზრდაზე, არამედ, სამწუხაროდ, ის მშობლებიც, რომელთაც გულწრფელად სურთ სიკეთე თავიანთი შვილებისათვის და მზად არიან სერიოზულად მოჰკიდონ ხელი მათს აღზრდა-განათლებას. თუმცა ძნელი არ არის იმაში დარწმუნება, თუ რა მწარედ სცდებიან ის მშობლები, ვინც ასე ფიქრობს. ამას თვითონვე შეამჩნევდნენ სულ ადვილად, თუკი უფრო ყურადღებით ჩაუკვირდებოდნენ ყოველივე იმას, რაც ძალზე ხშირად ხდება თვით მათს ოჯახებში, ყოველდღიურ ცხოვრებაში. აი, მაგალითად, ვინ არ აღმოჩენილა შემდეგ უხერხულ მდგომარეობაში? — თქვენთან სტუმრად ნაცნობი მოდის და რამოდენიმე ხნის შემდეგ გემშვიდობებათ; მარტოდ დარჩენილნი, თქვენ, უფროსი მასპინძლები, მეუღლენი, თავს ნებას აძლევთ ბავშვების თანდასწრებით გაუზიაროთ ერთმანეთს შთაბეჭდილება, რაც სტუმრის მოსვლით მიგიღიათ, ამასთან დარწმუნებულნიც ხართ, რომ თქვენს შორის საიდუმლოდ თქმული ასევე მხოლოდ თქვენს შორის დარჩება და ამის შესახებ ვერაუინ გაიგებს. მაგრამ როგორი იქნება თქვენი გაოცება და შეწუხება, როცა ასე საიდუმლოდ წა-

რმოთქმული გულწრფელი სიტყვები სწორედ იმ ადამიანისათვის შეიქნება ცნობილი, ვის შესახებაც ისინი წარმოვითქვამთ! ეს კი ძალზე უბრალოდ მოხდება: მცირე ხნის შემდეგ იგივე ადამიანი კვლავ გეწვევით და პატარა ბავშვი, ვისი თანდასწრებითაც ასე გაუფრთხილებლად გისაუბრიათ სტუმრის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე, პირდაპირ ეუბნება მას თქვენს სიტყვებს. თავისი წრფელი უბრალოების გამო ბავშვი ხომ სულ არ ფიქრობს იმას, რომ მშობლების მიერ ერთმანეთისათვის ნათქვამი სიტყვები არ შეიძლება სხვების თანდასწრებითაც წარმოითქვას. და ეს შემთხვევა გაიძულებთ გაწითლდეთ და უხერხული მდგომარეობიდან გამოსასვლელად უკბილოდ იმართლოთ თავი.

მსგავსი შემთხვევები ძალზე ხშირია ჩვენს ყოფაში და ისინი საკმარისად ჭკუისასწავლია ჩვენთვის, რათა უყურადღებოდ არ დავტოვოთ. ისინი ცხადად გვიჩვენებენ, რომ ბავშვები გაცილებით უფრო ადრე იწყებენ ბევრი რამის მიხვედრას და გულშიც ღრმად აღიბეჭდავენ მოსმენილსა თუ ნახულს, ვიდრე ეს ბევრ მათს მშობელსა და აღმზრდელს წარმოუდგენია. ვის არ შეუმჩნევია, რომ ალერსზე ჩვილი ბავშვიც კი ღიმილით პასუხობს, ანდა თავის პაწია ხელთა ნდომიანი გამოწვდით, მაშინ, როცა უფროსთა სიმკაცრეს შეუძლია ჩვილის სულიერი მღელვარება და ცრემლებიც გამოიწვიოს? აქედან ცხადია, რომ ჩვილებს ზუსტად ისე ესმით უფროსთა დამოკიდებულება მათდამი, როგორც ეს სინამდვილეშია. ამიტომაც ბავშვების აღზრდა იმთავითვე უნდა დაეიწყოს, ანუ მათი სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე. სწორედ ესა აქვს ნათქვამი ძველი დროის ბრძენკაცს, ისუ ზირაქის ძეს: „გყავს შვილები? — ასწავლე მათ და ყრმობიდანვე მოახრევიან ქელი... რომ არასოდეს გაჯიუტდეს და შენს მორ-

ჩილებანი ხელი არ აიღოს“ (ზირაქ. 7, 23; 30, 12). ასევე ბრძენი სოლომონ მეფეც ასე დაგვმოდღვრავს: „ყრმა მისი გზის დასაწყისშივე დამოდღვრე, და სიბერემდე არ გადაუხვევს მისგან“ (იგავნი 22, 6). ხოლო წმიდა იოანე ოქროპირი ოდესღაც შემდეგი სიტყვებით მიმართავდა თავის სამწყსოს: „ქრისტიანებო, სულ მცირე ასაკიდანვე შევიყვანოთ ბავშვები სულიერ, ზეციურ ცხოვრებაში, რადგან ეს, ქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ ხარკს მოითხოვს ჩვენგან, სარგებლობა კი არანაირი არ მოაქვს... ყველა ბავშვებს ვევედრები, სულ ადრეული ასაკიდანვე დაიწყეთ მათთვის იმ სიმდიდრის დაუნჯება, ზეციური ცხოვრებისათვის რომ არის საჭირო, ისე, რომ არც მიწაში დაფლათ ოქრო და არც ვერცხლის გროვება არ დაიწყოს, არამედ ბავშვის სული გაამდიდრეთ სიმშვიდით, ურისხველობით, კეთილკრძალულებით, სიღინჯით და ყველა სხვა სათნოებით“...

კვალად იგივე მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი სახარების კომენტარებში ამბობს: „ადრეული, ნაზი ასაკი მალე ითვისებს ყოველივე იმას, რასაც მას ეუბნებიან, და ბავშვის სულში ისე აღიბეჭდება მისთვის ნათქვამი სიტყვები, როგორც ადრეული — ცვილზე. ამასთან, მათი ცხოვრება მაშინვე მიიღრეკება ხოლმე ან მანკიერებისაკენ, ანდა სათნოებისაკენ. ამიტომაც თუკი სულ დასაწყისშივე, ასე ვთქვათ, ცხოვრების წინკარიდანვე განვაშორებთ მათ მანკიერებისაგან და უმჯობეს გზაზე დავაყენებთ, ეს მათ მომავლისათვის ჩვეულებად ექცევათ და თითქოს ბუნებითვე იქნებიან წესიერნი, და უკვე ძნელად თუ მიიღრეკებიან საკუთარი ნებით ბოროტისაკენ, რადგან ადრეული ყრმობიდანვე შეთვისებული ჩვევა კეთილი საქმეების გაკეთებას აიძულებს მათ. მაშინ ჩვენთვისაც, მშობლებისა და აღმზრდელებისათვის, ისინი მოხუც ადამიანებზე უფრო პატივცემულნი იქნებიან და სამოქალაქო საქმეთათვისაც — დიდად სასარგებლონი, ისე, რომ სიკბაბუკიდანვე მოხუცებულთა ჩვეულ სიბრძნეს გამოამეღვანებენ“. ასევე ამერიკის ალიასკისა და კამჩატკის განმა-

ნათლებელი, შემდგომში მოსკოვის მიტროპოლიტი ინოკენტი წერდა: „უკლებლივ ყველა ბავშვი, დაწყებული 4 ან 5 წლის ასაკიდან, აუცილებლად უნდა დასწრებოდეს ყრმათათვის განკუთვნილ საუბრებს (ანუ მღვდელმსახურთა შარქანტის — ბავშვებთან ტაძარში, საღმრთო სიტყვების წინ). ადრე ხომ არ არის ვაიძულებდეთ ესოდენ პატარა ბავშვებს სამოდღვრებო საუბრებზე დასწრებას?... არა, არ არის ადრეამის მაგალითად ღვთისმომშიში კეთილგონიერი დედა გამოგვადგება, რომლის სამი თუ უფრო ნაკლები წლის ბავშვმა პირჯვრის გადასახვაც იცის, წმიდა ხატსაც განარჩევს უბრალო ნახატისაგან, მოკლე ლოცვებსაც წარმოთქვამს და სხვა. რაც უფრო ადრე ჩავავიწყებთ ბავშვებს ცნებას ღვთაებრივისა, მით უფრო მტკიცედ ვაიძვამს ფესვებს მათს არსებაში ეს ცნებები და, მამასადაძე, მით უფრო მეტი დაჯერებით შეგვიძლია მოველოდეთ მათგან კეთილ ნაყოფთა გამოღებას მომავალში, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ეს რწმენით აღესრულება, რწმენით საღმრთო მადლის შემოქმედებისა, რომელიც შეავიწყებს ბავშვს“.

როცა რაც შეიძლება ადრეული აღზრდის აუცილებლობას ამტკიცებდნენ, ეკლესიის წმიდა მამები და მოძღვრები ეყრდნობოდნენ იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ პირველი შთაბეჭდილებანი თითქმის წარუშლელ კვალს სტოვებენ ბავშვის სულში მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში. ნეტარი იერონიმე შემდეგს მოწმობს საკუთარი თავის შესახებ: „ჯერ კიდევ ბიჭუნა ვიყავი, როცა სკოლაში წამიკითხავს: ძნელადღა შეებრძოლები იმას, რისთვისაც ჩვეულებად გადაქცევის საშუალება მიგიცია შენს ცხოვრებაში“. მართლაც, ეს მთელი კაცობრიობის შეხედულებაა, გამომუშავებული მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით. წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველიც ამბობს, რომ „უფრო ადვილია დასაწყისშივე არ მივეცეთ მანკიერებას და თავიდანვე ავიცილოთ იგი, როცა ჯერ მხოლოდ ჩვენს ახლოს იმყოფება, ვიდრე ის, რომ აღმოვიკვეთოთ იგი და აღვმალ-

ლდეთ მასზე მაშინ, როცა მანკიერება უკვე ღრმად არის დამკვიდრებული ჩვენში; ასევე ლოდის შეჩერებაც დასაწყისშივე უფრო ადვილია, სანამ დაგორდებოდეს, ვიდრე იმ დროს, როცა იგი ქვევით მიექანება“. ცეცხლის ჩაქრობაც ხომ მანამდეა უფრო ადვილი, სანამ ის მთელს სახლს მოედებოდეს. ბერძნული ისტორია მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე მაკედონელს მაშინაც კი, როცა ის ძლევამოსილი მეფე-დამპყრობელი შეიქნა მთელი იმუამინდელი მსოფლიოსი, არ შეეძლო თავისი ხასიათისა და საქციელის ზოგიერთი ნაკლოვანებისაგან გათავისუფლებულიყო, რომლებითაც ჯერ კიდევ ბავშვობაში დასწებობვდა მოძღვარ ლეონიდეზაგან.

სხვა, კიდევ უფრო სამოძღვრებო მაგალითი ნეტარი იერონიმეს პიროვნების შესწავლით შეგვაგონებს: როგორც ევლესიის ამ ცნობილი მასწავლებლის გულწრფელი აღსარებიდან ჩანს, სიჭაბუკის წლებში მან დაუთმო სხვადასხვაგვარი საცთურის შემოტევას — დროისმტარებელ, სულით ხორცამდე წახდენილ რომაელ ახალგაზრდობასთან ერთად იგიც დიდხანს ადგა მანკიერებათა გზას, გატაცებული იყო ამაო, მაგრამ ჭაბუკთათვის დამატყვევებელი სიამებით ამა ქვეყნისა. და აი, იერონიმეს ცხოვრებაში მკვეთრი შემობრუნება ხდება უმჯობესისაკენ; მან საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ცოდვიან წარსულთან, წმიდა ნათლობა მიიღო და მთლიანად მიეცა მარხვისა და ღოცვის გამთანგავ ღვაწლს. მიუხედავად ამისა, მის წმიდა ზრახვათა შორის უწინდელი მაცთუნებელი ჩვეულებანი და ვნებანი კვლავ და კვლავ იჩენდნენ თავს და ბოროტ აჩრდილებად აღმოცენდებოდნენ მის წარმოსახვაში და უტიფარ მპარავთა მსგავსად ეუფლებოდნენ მის აზრებს. ნეტარ იერონიმეს ამის გამო მრავალი წლის დაყინებული ძალისხმევა დასჭირდა, რათა გათავისუფლებულიყო მათგან. აი, რას ამბობს თვით ეს წმიდა მამა: „პოი, რამდენჯინს წარმომიდგენია თავი რომის შეება-სიამეთა შუაგულში მაშინაც კი, როცა მზით დამწვარ ვრცელ უდაბნოში ვიმყოფებოდი, რომელიც უსა-

ხურ სამყოფლად ემსახურება ბერ-მონაზვნებს... ჩემი გამოფიტული სხეულის ნაწილები ფლასებით იყო მოსილი და კანიც ისე გამშავებოდა ჭუჭყისაგან, რომ ეთიოპელსა ვგავდი. ყოველდღე ცრემლთა ღვრა, ყოველდღე სულთქმ და ღებევა წარსულ ცოდვათა გამო, დაუტოვებლად მომემძლავრებოდა ამ ჩემს ბრძოლაში, რომ არ წარვეტაცე მას, შიშველ მიწაზე ვაწყობდი ამ ჩემს უსუსურ ძვლებს... და მაინც მე ფიქრით ხშირად ვიმყოფებოდი რომაელ მშვენიერ ქალიშვილთა შორის, — მე, ვინაც გეპენიის ცეცხლის შიშით ასეთი ტყვეობისათვის გავწირე თავი გარეულ მხეცთა და მორიელთა საზოგადოებაში. ჩემი სახე ფერმკრთალდებოდა მძიმე მარხვისაგან, აზრი კი ვნებიანი სურვილებით მიდუნდა განგრძობულ სხეულში და ავხორციობის ცეცხლი მგზნებარებდა ჩემში, იმ ადამიანში, ვინც წინდაწინვე მომკვდარიყო თავის სხეულში. ყოველგვარ შეწევნას მოკლებული, მე უფალ იესოს ფერხთ შევუვარდებოდი, ცრემლით დავულტობდი, თმებით მევუმპრალეზბდი და ჩემს მოწინააღმდეგე ხორცს კვირათა განმავლობაში უჭმელობით ვაურვებდი. მე არ მრცხვენია ჩემი მაშინდელი სავალალო მდგომარეობის გადმოცემა, რამეთუ ხშირად დღე და ღამე განუწყვეტლივ შევლაღებდი ღმერთს და მანამდე ვიცემდი მჯიღს გულში, სანამ უფლის წყალობით სიმშვიდე არ დაისადგურებდა. მე ჩემი სემაკისაც კი მეშინოდა, როგორც ჩემი უჯერო ფიქრების თანამზრახველისა. რისხვითა და წყენით აღსავსე საკუთარი თავის მიმართ, მე მართოდმართო დავხეტიალობდი უდაბნოში, და სადაც კი მთის მღვიმეს, მიუდგომელ კლდესა თუ უფსკრულს ვნახავდი, იქ იყო ადგილი ჩემი ღოცვისა. და უფალია მოწმე, მრავალ ცრემლთა და ზეცად აღპყრობილ მზერათა შემდეგ მე — უფლის ანგელოზთა გუნდში მიხილავს საკუთარი თავი და აღტაცებული სიხარულით მიგალობია — „შემდგომად შენსა სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდით“ (ქებათა ქება 1, 3).

აი, ასეთ მძიმე ბრძოლას ეწეოდა ეს

ქეშმარიტად დიდი მამა იმ უჯერო მიდრეკილებებთან და ცუდ ჩვეულებებთან, რომლებიც ადრეული სიჭაბუკიდანვე ჰქონდა შეძენილი და რომელთა დაძლევაც ასე გაუჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ უჩვეულო ნებისყოფის ძალა ჰქონდა და, ამასთან, როგორც თვითონვე მოწმობს, ღვთაებრივი შეწევნითაც განმტკიცდებოდა.

აი, კიდევ ერთი მსგავსი მაგალითი, დაკავშირებული ნეტარი ავგუსტინეს პიროვნებასთან, რომელიც ღირსშესანიშნავი გულახდილობითა და სიწრფელით მოგვითხრობს საკუთარი თავის შესახებ: „მახსოვს, თუ როგორ ვლოცულობდი ჩემი სიჭაბუკის პირველ წლებში მასზედ, რომ ღმერთს ჩემთვის შეურყვნელობა და კეთილკრძალებულება მოემადლებინა, — ვლოცულობდი, თან კი თითქოს შემინოდა კიდევც, რომ ჩემი ვედრება მალე არ ყოფილიყო შესმენილი, რადგან მსურდა ჯერ დამეკმაყოფილებინა ჩემი გულისთქმანი და მხოლოდ ამის შემდეგ დამეცხრო ისინი... სიკვდილსავით ეშინოდა ჩემს სულს იმ ჩვეულებათა უარყოფა, რომელთაც სწორედ უჩვეელი სიკვდილისაკენ მიპყავდათ იგი“. ამგვარია ცოდვის მეუფება ადამიანზე, ადრეული ასაკიდან რომ ექცევა მის მონობაში და დიდხანს გულმოდგინედაც უხდის ხარკს. როგორც ეცხბლი — შეშას, აი, სწორედ ამგვარადვე მოიცავს ხოლმე ცოდვა ადამიანს და შემდეგ მტკიცედ უბყრია თავის ბორკილებში, და კიდევ კარგი, თუკი, როგორც იტყვიან, მის მეორე ბუნებად ქცევას ვერ ასწრებს.

ღიახ, ძალზე ძნელია თავიდანვე შეთვისებული ბოროტი ვნებების ძლევა, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია მათს ნაცვლად კეთილი ჩვეულებების შეძენა და დამკვიდრება. ამიტომ, დაე, იცოდნენ მშობლებმა, თუ რა მნიშვნელოვანია შეიღების ჯეროვანი აღზრდა ადრეული ასაკიდანვე. ამიტომაც გვირჩევს ბრძენი ისოზირაქი სიყრმიდანვე აღმოვფხვრიდეთ ჩვენს შვილებში სულიერ სწეულებებს, როცა ისინი ყველაზე ადვილად ექვემდებ-

ბარებიან გამოსწორებას (7, 25). ხის გასწორება მაშინაა ადვილი, როცა ის ახალი დანერგულია, ხოლო როცა მრუდედ გაიზრდება, მას ვეღარაფერა მოუხერხებ. ასევე ადამიანთა გამოსწორებაც მაშინაა ადვილი, როცა მისი მიდრეკილებანი და მისწრაფებანი უცვლელად ბოროტ ჩვეულებად, ვნებად არ გადაქცევიან მას, ანუ როცა მისი ფაქიზი ადრეული ასაკის გამო ადვილად შეიძლება მათი აღმოფხვრა, ვითარცა სარეველა ბალახისა, ჯერეთ ღრმად რომ არ გაუშვია ფესვები მიწაში.

მაგრამ თუკი აღზრდის საქმეში ასე მნიშვნელოვანია დროზე მივხედოთ ბავშვების ბოროტ მიდრეკილებებს, სანამ ისინი ჩვეულებად და ვნებად არ ქცევიან მას, წარმატებული აღზრდისათვის უფრო სარწმუნო და ნაყოფიერი იქნება, თუკი მშობლები მანამდე შეუდგებიან შვილების სწორ აღზრდას, სანამ მათში არათუ ჯერ არ განვითარებულან ბოროტი ვნებები, არამედ ცუდი მიდრეკილებებიც ჯერ არ აღმოცენებულან და ბავშვებს ჯერ არაფერი ცუდი არ ჩაუდენიათ. მაშინ ნაკლები ძალისხმევით იქნება შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღწევა. წმიდა ბასილი დიდი ამბობს: „ვისაც ცვილის დაფაზე რაიმეს დაწერა სურს, ჯერ კარგად მოასწორებს დაფის შედაპირს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოსახავს მასზე იმას, რაც სურს. ასევე ის გულიც, რომელზეც მკაფიოდ უნდა აღიბეჭდოს საღმრთო სიტყვები, აუცილებელია განიწმიდოს საძაგელ გულისწრახვათაგან“. კვალად წმიდა იოანე ოქროპირიც წერს, რომ „მაშინ უფრო ადვილად რწმუნდები ჭეშმარიტების სიტყვით, როცა გული და გონება კეთილად გაქვს განწყობილი“. და ეს არანაირ ეჭვს არ იწვევს, რადგან სუფთა, დაუნაგვიანებელ ნიადაგში უფრო მალე და ადვილად წამოიზრდება ხოლმე ახალი, ჯანსაღი მცენარე, ვიდრე ბებერი და კელური ბალახით დაფარულ მიწაზე. ხოლო ბავშვების უმანკო სულები სწორედ ასეთი სუფთა, დაუნაგვიანებელი ნიადაგია. თუმცა ნეტარი ავგუსტინე იმასაც

შენიშნავს, რომ უმანკოა მხოლოდ ბავშვთა სუსტი სხეული, და არამც და არამც —მათი ზნეც. უკვე მხოლოდ ის გარემოება, რომ ყრმა ხშირად ტირილით მოითხოვს იმას, რისი მიღებითაც მას ოდენ ზიანი მიაღებოდა, ასევე ისიც, რომ იგი დიდად მრისხანებს ხოლმე თავის მშობლებზე მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არ ემორჩილებიან მის პირველსავე ნიშანსა და მოთხოვნას, საკმარისად მოწმობს ბავშვის ცოდვიანობას. მაგრამ, ამასთანავე წაუხდენელი ზნის ბავშვები იმდენად უზაკველნი და უბოროტონი არიან, რომ თვით უფალი მისაბამ მაგალითად დაგვიდგენს მათ ჩვენ, მოზრდილებს (მათე 18, 1-4); 19, 13-15 მარკოზი 9, 33-37; 10, 13-16. ლუკა 18, 15-17). არსებობასთან ერთად ბავშვი პირველმშობელთა ცოდვასაც იღებს შემკვიდრებლად (რომ. 5, 12), მაგრამ თავისი სიცოცხლის პირველ ხანებში ის მაინც უმანკოების ხატია. ჩვილისათვის ჯერეთ უცნობია ცოდვის უმართლობანი და სინანულის ცრემლები, უცნობა მისთვის გონებრივი შეცთომილებანიცა და ექვის მტანჯველი ქენჯნაც. ნდობით იღებს იგი მშობელთა რჩევადარიკებას, მათზე ამყარებს იმედს და მათში აქვს თავისი უმწეობისთვის საყრდენი. ამიტომ მშობლები და აღმზრდელები უნდა უფრთხილდებოდნენ ამ ყველაზე ხელსაყრელ დროს ბავშვზე შემოქმედებისა, როცა ასე ადვილად და სწრაფად შეეძლებათ მრავალი სასარგებლო რამ ასწავლონ ყრმას.

მაგრამ როგორ აღვზარდოთ ჩვილი, როცა ის ჯერ კიდევ ცხადად ვერ არჩევს ბოროტს კარგისაგან? როგორ ჩავაგონოთ მას სარწმუნოების კეშმარიტებანი და მაღალზნეობრივი განწყობანი, როცა საკუთარი თავის შეშეცნებასაც კი ის, აი, მხოლოდ ახლა იწყებს? შეისმენს კი ბავშვი მოციქულთა ღრმააზროვან შეგონებებს, როცა ჯერ ბებიას მონაყოლი ზღაპრები უფრო იზიდავს? გულისხმავოფს კი სახარების დიდებულებას, რომლის ბრწყინვალეებისაგან მოკვდავთა ნებისმიერი გონება იბინდება? როგორ ჩა-

ვუნერგოთ მას მორჩილება მშობლებისადმი, როცა თავისი პაწია, უღონო და ნაზი ხელით მოცინარ დედას „სცემს“? ამიტომაც ოდენ წაკითხვა მისთვის საღმრთო კეშმარიტებებსა საკმარისი სულაც არ არის, თუკი ამასთან თავისი ბავშვური გონებითაც არ ჩასწვდება მოსმენილს. როგორაც ის აღმზრდის ვეცხლებს, ვინც კამს, მაგრამ ვერ ინელებს საკმელს, ასევე ისიც ვერ ჩასწვდება კეშმარიტებას, ვინც კითხულობს, მაგრამ ვერ იგებს წაკითხულის არსს.

და აქაც, ისევე, როგორც ყველა სხვა საქმეში, საღმრთო წერილი, ეკლესიის წმიდა მამები და მოძღვრები არ გვტოვებენ თავიანთი წინამძღვრობის გარეშე. ისინი დაგვმოძღვრებენ, რომ ბავშვთა აღზრდის წმიდა საქმეს ბრძნული თანდათანობით უნდა აღვასრულებდეთ. პაულე მოციქულიც ზოგთ რძით ასაზრდოებდა, ხოლო სხვებს „მტკიცითა საზრდელთა“ დამოძღვრებდა (ებრ. 5, 12), ანუ უბრალო ადამიანებს, მცირედ გათვითცნობიერებულთ — ყრმებს სარწმუნოებაში — სწავლების საწყისთ აძლევდა, სარწმუნოებრივ ცოდნაში წარმატებულთ კი ქრისტიანობის უღრმეს საიდუმლოთ აზიარებდა. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც, მშობლები და აღმზრდელები: რაკი ყრმა ჯერ ძალზე პატარაა, პირველ ჯერზე სულ მცირედით დაგვამაყოფილდეთ, ყველაზე აუცილებელით; კარგი იქნება, თუკი ბავშვის თვალსა და სასმენელს უპირველესად მოვაცილებთ ყველაფერ იმას, რამაც შეიძლება შესამჩნევი ლაქა დააჩნიოს მის უმანკოებას, და ვეცადოთ, ასე ვთქვათ, ზნეობრივი ატმოსფერო შევქმნათ მის გარშემო. ამის გაკეთება კი ძნელი არ არის. აი, როცა სახლში ვლოცულობთ, დაე, ბავშვიც დადგეს ჩვენს გვერდით; როცა ეკლესიაში მივდივართ საღმრთო ლიტურგიაზე დასასწრებად, დაე, ისიც თან წავიყვანოთ: ბავშვისათვის ლოცვის სწავლა არასდროს არ არის ნაადრევი. დიდი ცოდვა არ არის, თუკი ბავშვი ყველაფერს ვერ გაიგებს ამ დროს. რასაც ვერ გაიგებს, იმას იგრძნობს და მიხვდება, რად-

გან პირველ ხანებში ყოველი ყრმა უპირატესად სწორედ სასწაულთა სამყაროში ცხოვრობს და ყოველივე საიდუმლოც, ზეციურიც, ყველაზე მახლობელია მისთვის. თუნდაც ისიც კი მეტად მნიშვნელოვანი იქნება, თუკი ბავშვი მშობლების ჩაღრმავებულ ლოცვით მდგომარეობას შეამჩნევს და გულში აღიბეჭდავს. ასეთ მშობელთა ხატი დიდხანს დარჩება მის აღვილად აღმქმელ სულში და შემდგომში ყოველთვის წარმოსდგება ბავშვის თვალთა წინაშე, რათა შეაგონოს, თუ როგორი ყურადღებითა და სერიოზულობით უნდა ესაუბრებოდეს ზეციურ მამას. „ცოლის თავი — ქმარია, ქმრის შემწე — ცოლი, — ამბობს წმიდა იოანე ოქრობირი. — მაშ, დაე, ნურც თავი გაბედავს სხეულის გარეშე გადააბიჯოს ეკლესიის ზღურბლს, და ნურც სხეული ნუ შევალს იქ თავის გარეშე, არამედ, დაე, სრული ოჯახი შემოვიდეს აქ და თან ბავშვებიც მოიყვანონ. როგორადაც ვეება ხის ძირას აღმოცენებული ახალნერგია საამო სანახავი, ასევე, და ბევრად კიდევ უფრო მეტადაც, საამოა იმ ადამიანის ხილვა, რომელსაც გვერდით ბავშვი უდგას, ვითარცა ახალნერგი, ამოსული მის ფესვთაგან, — და არათუ საამოა, არამედ დიდად სასარგებლოც“.

მაგრამ, აი, ჩვენ წამჩნევთ, რომ ბავშვი თანდათანობით, როგორც იტყვიან, ფრთების გაშლას იწყებს: მისი სული სულ უფრო და უფრო იღვიძებს სიცოცხლის პირველი წლების ერთგვარი ხანგრძლივი ძილისაგან; მისი გული და გონებაც ახალ საზრდოს ითხოვს. და ჩვენი ვალაია მათს შეწევნად ვისწრაფოთ, რათა დაუყოვნებლივ მივაწოდოთ აუცილებელი. ოღონდ აქაც საჭიროა ზომიერება: უნდა ვიფრთხილოთ, რომ ჩვენი გულმოდგინებით სათანადო საზღვრებს არ გარდავხდეთ და ამით, სარგებლობის ნაცვლად, ზიანი არ მოვუტანოთ ბავშვს. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი ჯერეთ მაინც პატარაა და ამის გამო უნდა ვკმაყოფილდებოდეთ რაც შეიძლება მარტივი და უფრო თვალსაჩინო საღმრთო მოთხრობებით. ამასთან,

ისე მოვეუბნოთ ხოლმე მას ყოველივე ეს, რომ ჩვენი მსმენელი „ისმენდეს და ირწმუნებდეს, ირწმუნებდეს და სასობდეს, სასობდეს და უყვარდეს“ (ნეტარი ავგუსტინე). დაე, ყოველი ჩვენი სიტყვა ამ დროს ღრმა რწმუნებულებად იქცეოდეს, და მაშინ ჩვენი შრომა „სასარგებლო“ წარმატებით დაგვირგვინდება. სამყაროს შექმნის ამბავი, არაბეთის უდაბნოში ისრაელი ერის ეგვიპტიდან გამოსვლის უამს აღსრულებული სასწაულების შესახებ მონათხრობი ადვილად მიახვედრებს ბავშვს საღმრთო დიდებულებასა და ყოვლის შემძლეობას. თავდაპირველი კაცობრიობის დასჯა მსოფლიო წარღვრით, კერძო სასჯელთა აღსრულება, რომელთა შესახებაც ბიბლია მოგვითხრობს შემდგომ თავებში, — სოდომ-გომორას ცეცხლით დაწვა იქნება ეს თუ ეგვიპტური სასჯელნი, გველთაგან დაგესლილი ისრაელიანების სიკვდილი თუ ასურეთისა და ბაბილონის ტყვეობა ისრაელი ერისა, — ეს ყოველივე თვალსაჩინოდ დაანახვებს ბავშვს ღმერთის მართლმსაჯულობას. ამ დროს არ არის საჭირო რაღაც განყენებული, მშრალი მსჯელობა, რადგან ბავშვის სულში თავისთავად, გარედან საგანგებო ჩარევის გარეშეც გაიღვიძებს კეთილკრძალული შიში ღმერთის, როგორც ყოვლადძლიერი და სამართლიანი არსის წინაშე.

ამის შემდეგ კვლავაც განვაგრძოთ ჩვენი თხრობა, ამით ბავშვის გულის სხვა სიმუხსაც შევეხებით, მის სხვაგვარ გრძობებსაც აღვძრავთ და განვაფითარებთ. მრავალფეროვანი მოვლენები ისრაელი ერის ცხოვრებიდან, ვისაც უფალი მფარველობდა მარადის და „უნაკლულო-ყვნა იგინი უდაბნოსა მას ზედა წყურიელსა მას სიცხისასა და ურწყულსა გარემოადგა მათ და... დაიცვა იგინი ვითარცა გუგაი თვალისაი. ვითარცა ორბმან რაი დაფარნა ბუდენი თვისნი და მართვეთა თვისთა სუროდა, განყვნა ფრთენი თვისნი და შეიკრიბნა იგინი და აღიმატნა ბეჭთა თვისთა ზედა“ (11 სჯული 32, 10-11). — ეს მოვლენები მზურვალე სიყვარულს განაღვიძებენ ბავშვში ყოვლადსახიერი და მრავ-

ვალმოწყალე ღმერთისადმი. ხოლო იმ შთაბეჭდილებაზე რაღა უნდა ითქვას, რომელსაც უფალ იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრების ამბების თხრობა მოახდენს ბავშვის მგრძობიარე სულზე, როცა მშობლები უბრალოდ, მაგრამ დიდი სულიერი სითბოთი აუწყებენ მას უფლის მოწყალე მიმართებაზე ტანჯული კაცობრიობისადმი, მის უსაზღვრო სიყვარულზე თვით ბავშვებისადმი (მათე 19, 14. მარკოზი 10, 14), და ბოლოს მისი ტანჯვისა და ჯვარზე სიკვდილის შესახებ მთელი ცოდვილი კაცობრიობის სახსნელად? ეს შთაბეჭდილება ნაცნობია ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც ბავშვობაში ჰქონდა ბედნიერება და ზღაპრების ნაცვლად ამ საღმრთო, სულისშემძვრელ ამბებს ისმენდა. ამის ძალით ბავშვი შეიგრძნობს, თუ რა უსაზღვრო უნდა იყოს ადამიანთა მადლიერება უფალი ღმერთისადმი, რომელიც, წმიდა მოციქულისა და მახარებლის იოანეს სიტყვით, თვით არის სიყვარული (1 იოანე 4, 8), რომელმაც „ესრეთ შეიყვარა... სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას, რაითა ყოველსა რომელსა პრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნოი“ (იოანე 3, 16).

კვალად ამის შემდეგ ჩვენ უნდა შთავაგონოთ ბავშვს, რომ როცა მთელის გულითა და სულით შეიყვარებს უფალ ღმერთს, იგი უფროსებსაც უნდა პატივს სცემდეს, უსიტყვოდ ემორჩილებოდეს მათ და ზრუნავდეს თავის მშობლებზე. ამ მიზნით მოფუთხროთ, თუ რა სიყვარულითა და ყურადღებით მოეპყრო უფალი იესო თავის დედას, როცა ჯვარს იყო მიმსჭვალული და სამინლად იტანჯებოდა (იოანე 19, 26-27); ანდა როგორი დამლუპველი გამოდგა შფოთისთავების კორეს, დათანისა და ავირონისათვის აჯანყება ისრაელი ერის წინამძღოლების — მოსესა და აარონის წინააღმდეგ (რიცხვთა, თ. 16) და სხვა. ერთის სიტყვით, რა სათნოების შთანერგვა და განვითარებაც არ უნდა გვინდოდეს ჩვენს ბავშვში, ჩვენ ყოველთვის ვიპოვიოთ საღმრთო წერილში

მის შესატყვის სახოვან და თვალსაჩინო დადასტურებას. ამგვარი თანმიმდევრობით უნდა გავუთავისოთ აღსაზრდელს საღმრთო ისტორიული და ზნეობრივ-სამოძღვრებო ამბები, რითაც დედაებრივისადმი მისწრაფებასაც განვითარებთ მასში. და როცა შევხვდებით, რომ ბავშვს მომატებია უკვე საზრისობა და გულისხმისყოფა, მაშინ თვით ეს წიგნთა წიგნი — ბიბლია მივცეთ წასაკითხად, რათა დამოუკიდებლადაც შეუდგეს მის შესწავლას. ამასთანავე აუცილებელია განუწყვეტლივ ყურადღებით ვაკვირდებოდეთ, რომ ბავშვის მიერ წაკითხულის აღქმა და გაგება სავსებით ეთანახმიერებოდეს ერთი წმიდა კათოლიკე-საყოველთაო და სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას, ეკლესიისა, რომელშიც, წმიდა ირინეოს, ლიონელის სიტყვით, „მოციქულებმა მთელის სავსებით შთადვეს ყველაფერი, რაც ჭეშმარიტებას ეკუთვნის“ და რომელიც არის „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაი“ (1 ტიმ. 3, 15). მხოლოდ კათოლიკე — საყოველთაო ეკლესიაა უცთომელი, იგი შეუძლებელია ჭეშმარიტებას ღალატობდეს და მის ნაცვლად სიცრუეს ქადაგებდეს, რამეთუ სულიწმიდა, მარადის მოქმედი ეკლესიაში მის ერთგულ მსახურ მამათა და მოსლყართა მიერ, იფარავს მას ყოველგვარი შეცთომილებისაგან. სწორედ მასზე იტყობდნენ ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები — ესაია და მიქეა, როგორც ყველასათვის საერთოზე, ყოველთვის მართალ და უცთომელ წინამძღვარზე, ხატავდნენ რა მას მაღალი მთის სახით, ყველა სხვა მთაზე (ანუ კაცობრივ სწავლებაზე) რომ ამაღლებულა: „იყოს უკანაისკნელთა დღეთა საჩინო მთაი უფლისაი და სახლი ღმრთისაი მწვერვალთა ზედა მთათასა და ამაღლდეს ზეშთა ზედაით ბორცუთასა და მოვიდოდინ მისდამი ყოველნი წარმართნი და მიუხდენ ნათესავნი მრავალნი და იტყობდნენ: „მოვედით, აღვიდეთ მთად უფლისა და სახიდ ღმრთისა იაკობისა და მომიოხრას ჩვენ გზაი თვისი და ვიდოდით მას შინა, რამეთუ სიონით გამოვიდეს სჯული და სიტყ-

ვაი უფლისაი — იერუსალიმით“ (ესაია 2,2-3; მიქეა 4,1-2).

ჩვენ შეიძლება შეგვეპასუხო — ბავშვი ვერ გაიგებს რა წერია საღმრთო წერილშიო. ამაზე წმიდა იოანე ოქროპირთან ერთად შეგვიძლია ასე ვუპასუხოთ: „ხშირად ამ წიგნის ოდენ დანახვაც კი გვიკარგავს სურვილს ცოდვის ჩადენისა, ხოლო მისი წაკითხვით დიდ კურთხევას ვიღებთ ზევარდმო. საღმრთო წერილის გულმოდგინე წაკითხვით ადამიანის სული თითქოსდა წმიდათა წმიდა საკურთხევლის წიაღში შედის, განიწმინდება და უმჯობესი ხდება, რადგან ამ წიგნებით თვით უფალი ღმერთი გვესიტყვება ჩვენ“. მეორეს მხრივ, სულიწმიდის მადლმა იმგვარად განაგო, რომ ეს საღმრთო წიგნები უბრალო და საერთო მეცნიერებებში გაუთვითცნობიერებელმა ადამიანებმა დაწერეს — მეზვერებმა და მეთევზურებმა, მეკარვეებმა თუ ცხვართხის მწყემსებმა და ეს, უეჭველია, იმისთვის იქმნა ასე, რომ ყველასათვის ადვილი გასაგები ყოფილიყო ყოველივე, რაც კი მათში წერია, — რათა შეგირდმაც, მსახურმაც და ყველაზე გაუნათლებელმა ადამიანმაც სულიერი სარგებლობა და დამოძღვრა მიიღონ მათი წაკითხვისა თუ მოსმენისაგან...

საერო ბრძენნი, მკვერმეტყველნი და, საერთოდ, მწერლები უმრავლეს შემთხვევაში ქვეყნიურ დიდებას ეძებენ და სურთ განაკვირონ ადამიანები თავიანთი ნიჭით. ამიტომ როცა ზოგჯერ რაღაცას სასარგებლოსაც იტყვიან, ისინი თითქოსდა წყვდიადით პფარავენ მას, მათთვის ესოდენ ჩვეული გაურკვევლობითა და ბუნდოვანებით მოსავენ. ხოლო წმიდა წინასწარმეტყველნი, მოციქულნი და თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე ასე როდი იქცეოდნენ: მათი მისწრაფება საყოველთაო სარგებლობის მოტანა იყო, მათ სურდათ ეხსნათ ადამიანები და ამისთვის ცდილობდნენ თავიანთი სწავლება ყველასათვის ცხადად და გასაგებად გადმოეცათ ვითარცა მსოფლიო მოძღვრება. და მართლაც როცა ვკითხულობთ სახარების

ცხადზე უცხადეს სიტყვებს — ნეტარ იყვენენ მოწყალენი, ნეტარ იყვენენ წმიდანი გულითა და სხვას მრავალს ესევეითარს, განა რომელიმე ჩვენგანს დასკირდება მოძღვარი იმის განსამართლად, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვებე? ბართალეა, საღმრთო წერილშიც, თვით-მისწვევად იკლიარებით, არის ადგილები „ძნადად საცნაურ რაიმე“ (II პეტრე 3, 16), მაგრამ განა მართებული იქნება, რომ მხოლოდ ამის გამო არ მივცეთ ჩვენს ბავშვებს წასაკითხად საღმრთო წერილი და დაველოდოთ, ვიდრე წამოიზრდებოდნენ?! ასეთი ძნელი ადგილები ხომ თვით პეტრე მოციქულისთვისაც კი არ იყო ადვილად მისაწვდომი?! ამიტომ ამან არ უნდა დაგვაბრკოლოს და ბავშვებს მაინც უნდა მივცეთ წასაკითხად საღმრთო წერილი, რადგან მათთვის გაუგებარი შეიძლება იყოს მხოლოდ განყენებული ქვემარტებანი სარწმუნოებრივი მოძღვრებისა, ხოლო ზნეობრივი სწავლებანი, როგორც ზემოთ ვნახეთ, სავსებით მისაწვდომია ბავშვებისათვის. მაშ, დაე, გამოცდილი მართლმადიდებელი ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ყველაფერი ის აითვისონ მათ, რაც მათს ძალ-ღონესა და საშუალებებს არ აღემატება.

მეორეს მხრივ, უნდა გვახსოვდეს ძველი ღმრთივსულიერი ბრძენის — სოლომონ მეფის გამონათქვამი მასზედ, რომ ჭაღარა (ანუ სიბერე) კი არ შეიქმს ადამიანს ბრძენად, არამედ თვით სიბრძნე უნდა მივიზნოთ ჭაღარად, სიბერედ (სიბრძნე 4, 9). წლოვანებით მცირესაც შეიძლება ღრმად ესმოდეს ღვთის სიტყვა, რისი მაგალითიც ჩვენ თვით საღმრთო წერილში გვაქვს: ასეთი, პავლე მოციქულის მოწმობით, იყო მისი მოწაფე ტიმოთე, ეფესოს ეპისკოპოსი, რომელმაც სიყრმიდანვე იცოდა საღმრთო წიგნები (II ტიმ. 3, 15); და პირიქით, შეიძლება ღრმა მხცოვანებას მიაღწიოს ადამიანმა და მაინც ბიბლიის მიმართ ბავშვურ უცოდინარობასა და უგულისხმობას ამჟღავნებდეს. გავიხსენოთ ისევე ერთი მაგალითი საღმრთო წერილიდან, რომელშიც მოთხ-

რობილია ფილიპე მოციქულის მიერ ეთიოპიელი დედოფლის საჭურისის მოქცევის ამბავი: ეს, სავსებით წლოვანი კაცი ესაიას წინასწარმეტყველებას კითხულობდა და არაფერი ესმოდა წაკითხულისაგან. და როცა გზად შემხვედრმა ფილიპე მოციქულმა კითხა — „უწყი-მეა, რასა-ეგე იკითხავ?“ მან გულახდილად მიუგო: „და ვითარ-მე შეძლოს უწყებად, არა თუ ვინმე იყოს წინამძღვარ ჩემდა?“ (საქმე მოციქ. 8, 30-31). იგივე ეთიოპელი საჭურისი სხვა სახის სამოძღვრო მავალითადაც წარმოსდგება ჩვენ წინაშე: ბიბლიური მონათხრობიდან ჩვენთვის ცნადი ხდება, რომ ის, ვინც გულმოდგინედ კითხულობს საღმრთო წერილს, არ დარჩება ღმერთის შეწევნის გარეშე. მართლაც ხსენებული უცხოტომელი ეტლით მგზავრობისასაც კი საღმრთო წერილს კითხულობდა — მას ხელთ ესაია წინასწარმეტყველის წიგნი ეპყრა, და გულმოდგინედ კითხულობდა მას, თუმცა კი არ ესმოდა წაკითხულის შინაარსი, ანუ თავის მხრივ, მან ყოველივე იღონა, რაც კი შეეძლო, და ამიტომ წინამძღვარიც მოემადლა ღმერთისაგან, წმიდა მოციქული ფილიპე, რომელმაც განანათლა მისი გონება, აუხსნა წინასწარმეტყველის სიტყვების მნიშვნელობა და ჰქმშარიტ სარწმუნოებაშიც დამოძღვრა, რის შემდეგაც მონათლა კიდევ იგი (საქმე მოციქ. 8, 27-40).

მაგრამ შეიძლება გვითხრან — ამჟამად ფილიპე მოციქული არ არისო, რა-ზეც წმიდა იოანე ოქროპირისავე სიტყვით მივუგებთ: სამაგიეროდ არის სული ღმრთისა, რომელიც უბრძანებდა და წინამძღვრობდა თვით ფილიპეს; არის უფალი ღმერთი, რომელიც ერთიანად განმსჯევალავს ადამიანის გულს, განანათლებს მის გონებას, განუცისკროვნებს აზრებს და ყოველივე დაფარულსა და საიდუმლოსაც განუცხადებს, ანუ თვითვე შეიქნება ხოლმე მისთვის მოძღვრად და წინამძღვრად, თუკი ადამიანს არა ჰყავს ასეთი წინამძღვარი.

ამრიგად, დაე, ბავშვებიც ნუ უგულვებლყოფენ ამ დიდად სასარგებლო საქმეს ადამიანის სულისათვის — საღმრთო წერილის კითხვას. სულ ერთია, ბევრს გაიგებენ თუ ცოტას მისგან, მაინც აუცილებელია რაც შეეძლება ჰმარად აიღონ ხელში წმიდა წიგნები. განსაკუთრებული მეცადინეობა საღმრთო წერილის წაკითხვაში წარუშლელად აღბეჭდავს ბავშვის გონებაში წაკითხულს, და რისი ვაგებაც მან დღეს ვერ მოახერხა კითხვისას, ის, შესაძლოა, ხვალ გაიგოს, როცა კვლავ შეუდგება მის კითხვას, რამეთუ კაცთმოყვარე ღმერთი უხილავად განანათლებს ყოველი მორწმუნე ადამიანის გონებას. წმიდა მოციქული იაკობი გვასწავლის: „უკუეთუ ვინმე თქვენგანი ნაკლულევიან არს სულიერითა სიბრძნითა, ითხოვენ ღმერთისაგან, რომელმან-იგი მოსცეს ყოველთა უხვად და არავის აყვედრის, და მოსცეს მას“ (1,5); ხოლო ბრძენი სოლომონი საკუთარი გამოცდილებით დაკვმოძღვრავს: „უფალმან მოსცეს სიბრძნე და პირისა მისისაგან მეცნიერებაი და გულისხმისყოფაი“ (იგავნი 2,6), რამეთუ როცა თავისი ღვთაებრივი მამისაგან მიიღო სამეფო, სოლომონმა სიბრძნის მომადლება სთხოვა ღმერთს, რათა ჯეროვნად ეწინაღობდვრა ერისათვის. იგი ასე ევედრებოდა ღმერთს: „უფალო ღმერთო ჩემო, ეს შენ დაადგინე მონა თვისი დავითის, მამიჩემის ნაცვლად; მაგრამ მე მცირე ჭაბუკი ვარ, არ ვიცი არც გამოსვლა ჩემი და არც შესვლა. თანაც მონა შენი იმდენად მრავალრიცხოვანი ერის წინამძღოლადაა დადგინებული, რომ მისი არც აღრიცხვა და არც თვალთ მოხილვა არ შეუძლია. მამ, მოკმადლე მონასა შენსა „გული გულისხმისყოფისა სმენად და სჯად ერისა შენისა სიძარტლით, გულისხმისყოფად კეთილისა და ბოროტისა“ (III მეფეთა 3, 9). ასეთი წრფელი ვედრების გამო, „სათნო-უჩნდეს სიტყუანი ესე წინაშე უფლისა, რამეთუ ითხოვა სოლომონ სიტყუაი ესე“ და უთხრა მას უფალმა ღმერთმა: რაკილა დღევრძელი ცხოვრება კი

არ მთხოვე ამქვეყნად, არც სიმდიდრე, არც მტერთა შენთა მოკვდინება, არამედ მხოლოდ გულისხმის-ყოფა, ანუ გონიერება და სიბრძნე, რათა სამართლიანად განსაჯო ერი და ჯეროვნად უწინამძღვრო მას, ამიტომ ვიქმ მე სიტყვისაებრ შენისა, „და მიგცე შენი გული გონიერი და ბრძენი და შენებრ არავინ იყო უწინარეს შენსა და შემდგომად შენსა არა აღდგეს შენი მსგავსი“ (III მეფეთა. 3, 12). და მართლაც უფალმა დიდი სიბრძნე მოჰმადლა სოლომონ მეფეს, უჩვეულო გონიერება და ზღვის ქვიშაზე უვრცესი ჭკუა. სოლომონის სიბრძნე ბევრად აღემატებოდა აღმოსავლეთის ყველა ძეთა და თვით ეგვიპტელთა მთელს სიბრძნეს. სოლომონი ამქვეყნად ყველა ადამიანზე ბრძენი იყო და მისი სახელი სადიდებლად ჰქონდა ყველა ხალხს. (III მეფეთა 4, 29-31).

ამრიგად, მშობლებმა კი არ უნდა განაშორონ შვილებისაგან ღვთის სიტყვა, არამედ ევედრონ უფალ ღმერთს, რომ მან, „რომელი განანათლებს ყოველსა კაცს, მომავალსა სოფლად“ (იოანე 1, 9), შეწევნით მოხედოს მათს შვილებსაც. ოღონდ კი ღოცვა მორწმუნე სულის სიღრმიდან გადმოიღვრებოდეს და, დარწმუნებულნი იყავით, რომ იგი უსათუოდ შესმენილ იქნება უფლის მიერ სოლომონ მეფის ვედრების მსგავსად (მათე 7, 7-8), რამეთუ „ახს (ანუ უახლოვდება) უფალი ყოველთა, რომელნი ხადიან მას ჰეშმარიტებით“, ამბობს წმიდა დავითი, მეფე და წინასწარმეტყველი (ფსალმ. 144, 18) და უფალიც თვითონვე გვიდასტურებს ამას ესაია წინასწარმეტყველის პირით: „ნუ დაივიწყოს დედაკაცმან ყრმისა თვისისა, ანუ არა შეიწყალნეს ნაშობნი მუცლისა მისისანი, დაღათუ ესენიცა დაივიწყნეს დედაკაცმან, გარნა მე არ დაივიწყო შენ, — იტყვის უფალი“ (ესაია 49, 15).

ღიახ, უფალი ღმერთი ყოველთვის მზად არის კეთილი უყოს ადამიანებს, განსაკუთრებით კი უმწეო ბავშვებს, რომელთა უმანკოებაც თავის თავში ესოდენ სიმშვენიერეს შეიცავს და ყოველთვის ნაზ

დამოკიდებულებას მოითხოვს ჩვენგან: და მართლაც, ვინ არ იცის უფლის ამ ჰეშმარიტად მშობლიური სიყვარულის შესახებ ყრმებისადმი? განა ისინი არ აღავსო მან სულიწმიდის ღვთაებრივი მადლით ჯერ კიდევ დედის მუცელშივე (იერემ. 1, 15; ლუკა 1, 15) და განა სწორედ ყრმათა ბავთაგან არ ინება უფალმა თავისი „ქების დამტკიცება“ (ფსალმ. 8, 3; მათე 21, 16) ?! და განა უფალმა იესო ქრისტემვე არ შეჰლალადა ოდესღაც თავის ზეციურ მამას: „აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქვეყნისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩვილთა“ (მათე 11, 25)?!...

ასე რომ, ჩვენ, ყველა მშობელმა და აღმზრდელმა ყრმებისა, უნდა თავისაგან განვიმორთო მოწვევებითი შიში, განვიმტკიცოთ თავი ღმერთის შეწევნის სასოებით და მხნედ მოვკიდოთ ხელი ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს — ბავშვების აღზრდა-განათლებას, და რაც უფრო ადრე ვიქმთ ამას, ანუ რაც უფრო ადრეული ასაკიდან შევუდგებით მათს აღზრდაზე ზრუნვას, მით უმჯობესია საქმისთვის. დაე, სამოძღვრებო და გამამხნევებელი მაგალითი იყოს ჩვენთვის წარსულის გამოცდილება — ის, რომ მართლამა ანნამ და იოაკიმემ ჯერ კიდევ სამი წლის ასაკში მიიყვანეს ტაძრად მარიამი და ღმერთს მიუძღვნეს იგი აღსაზრდელად; აგრეთვე ისიც, რომ სხვა წმიდა ანნამაც, წინასწარმეტყველისა და მსაჯულის სამოელის დედამ, ასევე სრულიად ყრმა მისცა თავისი ძე სამსახურებლად და აღსაზრდელად სჯულის კარავში (I მეფეთა 1, 24)...

მოიხილე, უფალო, ჩვენ ზედა და შეისმინე ჩვენი ვედრება! შენ დიდი ხნის წინათ გვამცნე ჩვენ შენი დიდი წინასწარმეტყველის პირით: „იცან უფალი, რამეთუ ყოველთა მიცოდინან მე, მცირითგან მათით ვიდრე დიდადმდე მათდა, რამეთუ მლხინებელ ვეყო მე უსჯულოებათა მათთა და ცოდვათა მათთანი არა მოვიხსენო

მერმე“ (იერემია 31, 34). მაშ, განახვენ და განანათლენ ყრმათა თვალები, ოღონდ იმისთვის კი არა, რომ მათ ამაო, ქვეყნიური ცოდნა შეიძინონ მხოლოდ, რომელიც „განალალებს“ და მზვობარად შექნის ადამიანს (1 კორინთ, 8, 1), არამედ იმისთვის, რომ „განიცადონ საკვირვე-

ლებანი სჯულისა შენისანი“ და რათა „ცხოვნდენ და დაიმარხონ სიტყვანი შენი“ (ფსალმ. 119, 18; 17), რამეთუ „ნეტარ არს კაცი, რომელსა განსწავლი, უფალო, და სჯულისაგან შენისა ასწაო მას დამშვიდებად მისა დღესა“ (ფსალმ. 93, 12-13). *სიზღიერება*

(დასასრული იქნება)

გიორგი გურჯიანი

გერმანულიდან

თარგმნა ლაშა დარიაშვილი

„ადამიანთა ცხოვრების მიუკერძოებელი, ობიექტური კრიტიკა“.

გურჯიანის ეს ნაწარმოები, მისი ცხოვრების ეს მაგნუმ ოპუსი, წარმოადგენს უმწვავეს ცხოვრებისეულ პრობლემათა ენციკლოპედიურ კომენტარს, რომელიც ყოველი ადამიანის წინაშეა დასმული. არაფერია ამ წიგნში ისეთი, ტრადიციულ, საყოველთაოდ ცნობილ წარმოდგენებს, რომ შეესატყვისებოდეს, — არც სტილი, არც აზროვნება და არც თვალსაზრისი, რომლის საფუძველზეც უზიარებს „ბელზებელი“ თავის შეილიშვილს, პასინს დაკვირვებებს და მრავალ საგულისხმო და საყურადღებო ამბავს ჩვენი პლანეტისა და მის მკვიდრთა შესახებ.

თხზულების ცენტრშია კაცობრიობა და მისი განვითარება. მაგრამ ეს დანახული და გაანალიზებულია ისეთ დონეზე, სიბრტყეზე და მასშტაბებით, რომ ყოველივე სრულიად სხვა პერსპექტიკაში წარმოჩნდება. ბელზებელი, შორეული და ბევრად უფრო პარმონიული პლანეტის მცხოვრები, მოუთხრობს შეილიშვილს გრძელ ისტორიას თავისი თავგადასავლების, გამოცდილებისა და შეხვედრების შესახებ, მას რომ ქჷონდა ჩვენს პლანეტა დედამიწაზე, რომელსაც იგი რამდენიმეჯერ ესტუმრა.

ეურნალ „საუნჯის“ შარშანდელ მე-5-6 ნომერში დაიბეჭდა გურჯიანის ამ უდიდესი თხზულების დასაწყისი, იგი უმთავრესწილად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და მრავალ სასწავლო, პრაქტიკულად სასარგებლო, ასევე ალეგორიულ მსჯელობას და ამბავს შეიცავს. მის მომდევნო ნაწილში კი, რომელსაც ახლა ვთავაზობთ

მკითხველს, აღწერილია მთავარი მოქმედი პირის — ბელზებელის დაკვირვებები იმ პლანეტებზე, სადაც მას უხდებოდა ხოლმე გამგზავრება და გარკვეული დროით შეჩერება. უაღრესად საინტერესო პლანეტური მოვლენებისა და ამბების პარალელურად ბელზებელი მოგვითხრობს კოსმოსური ხომალდების აგებულების თავისებურებასა და საფრენოსნო ხარისხზე, ასევე იმაზე, თუ როგორ შეცვალა ისინი თანდათანობით ახალმა ხომალდებმა და რითი სჯობს თანამედროვე ხომალდები ძველებს. შემდეგ ბელზებელი გვიამბობს, პლანეტების ურთიერთმოქმედების და სხვადასხვა გამოვლენათა საფუძველზე როგორ მოხდა დედამიწის შექმნა და მისი განვითარება. ეს საინტერესო პროცესები მიმდინარეობს „სამყაროს უმაღლესი კომისიის“ ხელმძღვანელთა, მაგალითად, მთავარანგელოზ ხარიტონის, წმინდა ვენომასა და სხვათა ბრძანებით და კარნახით. ამ პროცესების პარალელურად აღწერილია ადამიანთა ფსიქიკის თანდათანობითი ჩამოყალიბება, ამ ფსიქიკის თავისებურებები და ნაკლოვანებები, რის გამოც ხდება ყოველგვარი უბედურება ჩვენს პლანეტაზე. ბელზებელი ამტკიცებს, რომ ადამიანი ამ სამყაროში ძალზე მძიმე და არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება, და რომ ის, რაც სამყაროში ხდება, მისი ბრალი არ არის. ბელზებელი გვიხსნის, რა გაკეთდა კოსმოსურ ძალთა მიერ ადამიანთა დასახმარებლად და მაინც როგორ გაუარესდა მათი მდგომარეობა; აღწერს გზებს, საშუალებებსა და მეთოდებს, როგორ შეიძლება ამ ძნელი მდგომარეობის გამოსწორება და არსებული პრობლემების მოგვარება. ბელზებელი თანდათანობით გვამზადებს თავისი პლანეტიდან დედამიწაზე გადასასვლელად. მოთხრობილი რომ არის წიგნის ერთ-ერთ უახლოეს თავში, რომლის სათაურია „ბელზებელის პირველი ჩასვლა პლანეტა დედამიწაზე“.

მთარგმნელი

თავი II

რატომ მოვიდა ბელზებელი ჩვენი მზის სისტემაში

ეს იყო ობიექტური წელთაღრიცხვით 223 წელს სამყაროს შექმნიდან, ანუ, როგორც დედამიწაზე იტყოდნენ, ქრისტეშობიდან 1921 წელს.

სამყაროში მოფრინავდა „საპლანეტათაშორისო კავშირის“ ხომალდი „კარნაკი“.

იგი მოფრინავდა სივრცე „ასუპარაცადან“, ე. ი. „ირმის ნახტომის“ სივრციდან, პლანეტა „კარატასიდან“ მზის სისტემის „პანდენოხისკენ“, რომლის მზეს „პოლარულ ვარსკვლავსაც“ უწოდებენ.

ზემოაღნიშნულ საპლანეტათაშორისო ხომალდზე იმყოფებოდა ბელზებელი თავის ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად. — იგი მიემართებოდა პლანეტა „რევოსგრადენდრ“-ისკენ, სადაც მას თავისი ძველი მეგობრების თხოვნით მონაწილეობა უნდა მიეღო ერთ საგანგებო კონფერენციაში.

მხოლოდ ძველი მეგობრობის გახსენებამ მიაღებინა მას გადაწყვეტილება, თორემ უკვე მოხუცი ვახლდათ და ხანგრძლივი მგზავრობა „თავისი ატრიბუტებით“ ამ ასაკში იოლი საქმე არ იყო.

ამ მოგზაურობამდე ცოტა ხნით ადრე დაბრუნდა ბელზებელი პლანეტა კარატასზე, სადაც დაიბადა და მერე მოშორებითაც გაატარა მრავალი წელი დამოუკიდებელ გარემოთა გამო ისეთ პირობებში, მის ბუნებას რომ არ შეესაბამებოდა.

ხანგრძლივ, შეუფერებელ ყოფას, მისი ბუნებისათვის უჩვეულო შეგრძნებებს და განცდებს, სრულიადაც რომ არ შეესაბამებოდა მის შინაგან სამყაროს, არ შეიძლებოდა საგრძნობი კვალი არ დაემჩნია ბელზებელის ბუნებაზე და საერთო მდგომარეობაზე.

გარდა ამისა, ამასობაში თვითონ დრო-

მაც დააბერა. სწორედ ამ უჩვეულო არსებობის პირობებმა მიიყვანა ბელზებელი, — თვითონ ის ბელზებელი, განსაკუთრებულად ძლიერი, შთამბეჭდავი, მხურვალე და მშვენიერი ახალგაზრდობა რომ ჰქონდა, — ესოდენ ღრმა მოხუცებულობის ასაკამდე.

დიდი ხნის წინათ, როდესაც ბელზებელი ჯერ კიდევ მშობლიურ პლანეტა „კარატას“-ზე იმყოფებოდა, განსაკუთრებული საზრიანობის გამო აიყვანეს „მზე აბსოლუტის“ ჩვენი მეუფისა და მბრძანებლის — მისი უსასრულობის მთავარ სამყოფელში; თავის მსგავს არსებებთან ერთად ბელზებელი მისი უსასრულობის სამსახურში ჩააყენეს.

იმჟამად, როდესაც ბელზებელის გონება ახალგაზრდობის გამო ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იყო, ხოლო მისი აზროვნება — მოუმწიფებელი, ამდენად „გიუმაჟი“ გახლდათ და არათანაბარი ასოციაციებით ვითარდებოდა, — სახელდობრ, როგორც ეს ჯერ კიდევ „დაუღვინებელ“ არსებებს ახასიათებთ, მისი აზროვნება ვიწრო და შეზღუდულ ცნებებს ემყარებოდა, — მან სამყაროს გამგებლობაში შენიშნა რაღაც, რაც „არალოგიკურად“ მოეჩვენა და თავის ამხანაგებთან თუ თანამზრახველებთან ერთად, მასავით მოუმწიფებელი გონებისანი რომ იყვნენ, ისეთ რამეში ჩაერია, რაც სრულიადაც არ შეეფერებოდა.

ბელზებელის დაუოკებელი და ძლიერი ბუნების წყალობით ამ ჩარევამ მალე ყველას გონება დაიპყრო და მეგალოკოსმოსის ცენტრალური მმართველობა ლამის რევოლუციის ალში გაეხვია.

როდესაც მისმა უსასრულოებამ შეიტყო ეს, საყოველთაო სიყვარულისა და ყოველისმიმტვევებლობის მიუხედავად, იძულებული შეიქნა გაეძევივინა ბელზებელი და მისი ამხანაგები სამყაროს (კოსმოსის) ერთ-ერთ ყველაზე შორეულ კუთხეში, „მზის სისტემას“ რომ უწოდებენ. სისტემის ერთ-ერთი პლანეტა, სახელდობრ „მარსი“ გამოეყო მათ საცხოვრებლად და ნება დართო, ეარსებათ სხვა პლანეტებ-

ზეც, ოღონდ მხოლოდ მზის სისტემის ფარგლებში.

განდევნილთა შორის, ვარდა ბელზებელის ამხანაგებისა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მას თანაუგრძობდნენ აქვე ნახევდით მასთან დაატყობებულ დაქვემდებარებულ პირებსაც.

ისინი მოვიდნენ შორეულ პლანეტაზე თავიანთი ბავშვებითა და ოჯახის წევრებით და ცოტა ხანში პლანეტა მარსზე შეიქმნა სამცენტრიანი არსებების მთელი კოლონია ჩვენი დიდი სამყაროს ცენტრალური ნაწილის სხვადასხვა პლანეტიდან.

ზემოაღნიშნული პლანეტის უჩვეულო მოსახლეობა ნელ-ნელა შეეგუა ახალ საცხოვრებელ ადგილს, ზოგიერთმა რაღაც საქმეც გამოიჩინა, რათა ამით შეემოკლებინა განდევნილობის გრძელი წლები.

ასე ეკიდებოდნენ ისინი საქმეს ან პლანეტა მარსზე, ანდა მეზობელ პლანეტებზე, რომელთაც ადრე თითქმის სრულიად უგულვებელყოფდნენ ცენტრიდან დიდი დამორებისა ან არსებული ინფორმაციების ნაკლებობის გამო.

მომდევნო წლებში მრავალი მათგანი საკუთარი ინიციატივით, ანდა საერთო გასაჭირის გამო, პლანეტა მარსიდან ნელ-ნელა გადასახლდა სხვა პლანეტებზე; თვითონ ბელზებელი კი თავის ახლობლებთან ერთად დარჩა პლანეტა მარსზე და იქ შეძლებისდაგვარად მოიწყო საარსებო პირობები.

პლანეტა მარსზე ბელზებელის უმთავრესი საქმიანობა იყო ობსერვატორიის მოწყობა — სამყაროს შორეულ პუნქტებზე და მეზობელ პლანეტებზე მცხოვრები არსებების გარემომცველ პირობებზე დასაკვირვებლად. აქვე უნდა ითქვას, რომ მისი ობსერვატორია მოგვიანებით მთელ სამყაროში გახდა ცნობილი და დიდი სახელიც მოიხვეჭა.

მართალია, მზის სისტემა „ორსს“ არად მიიჩნევდნენ ცენტრიდან მისი დაცილები-სა და კიდევ სხვა მრავალი მიზეზის გამო, მაგრამ ჩვენი მეუფე და მბრძანებელი დროდადრო ავზავნიდა ხოლმე დესპანებს ამ სისტემის პლანეტებზე, რათა მეტნაკ-

ლებად დაერეგულირებინა იქაურ სამტვი-
ნიან არსებათა ყოფა სამყაროს საყოველ-
თაო ჰარმონიასთან საარსებო პროცესის
შესათანხმებლად.

ამგვარად, ერთხელ ამ მზის სისტემის
პლანეტაზე, სახელდობრ კი პლანეტა —
„დედამიწაზე“ მისი უსასრულობის მიერ
ასეთ დესპანად წარმოვხავენილ იქნა ვინმე
აშიატა შიემაში. რადგან იმხანად ბელზე-
ბელი საქმეებს ასრულებდა, მის მისიას-
თან რომ იყო დაკავშირებული, ზემოთ-
ნახსენებმა დესპანმა, როცა კვლავ დაბ-
რუნდა „აბსოლუტის მზეზე“, გულმხურვა-
ლედ შესთხოვა მის უსასრულობას, ეპა-
ტიებინა ერთდროს ახალგაზრდა და მკვნიე-
ბარე, ამგვამად კი უკვე დაბერებული ბე-
ლზებელისათვის წარსული ქმედებანი.

აშიატა შიემაშის ამ თხოვნისა და ბელ-
ზებელის წესიერი, თავმდაბალი და გააზ-
რებული არსებობის გათვალისწინებით
ჩვენმა შემქმნელმა და შემოქმედმა აპატია
მას და ნება დართო, დაბრუნებულიყო
მშობლიურ ადგილზე.

სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ბელზებელი
დიდი ხნის არყოფნის შემდეგ კვლავ სამ-
ყაროს ცენტრში.

მისი გავლენა და ავტორიტეტი გაძვე-
ბის პერიოდში არათუ შესუსტდა, არამედ
ძალზეც განმტკიცდა, რადგან მის გარშე-
მო მყოფებმა ნათლად შეიცნეს, რომ ბელ-
ზებელის ხანგრძლივი ყოფნის შედეგად იმ
უჩვეულო პირობებში მისი ცოდნა და გა-
მოცდილება უდავოდ უნდა გაფართოებუ-
ლიყო და გაღრმავებულიყო.

ამიტომ, როდესაც მზის სისტემის ერთ-
ერთ პლანეტაზე — „ჰანდეცნოს“-ზე
დიდმნიშვნელოვანი ამბები მოხდა, ბელზე-
ბელის ძველმა მეგობრებმა გადაწყვიტეს
შეეწუხებინათ იგი და მიეწვიათ კონფე-
რენციას, სადაც ეს ამბები უნდა განხი-
ლულიყო.

ზემოაღნიშნულის გამო ბელზებელი ახ-
ლა ხანგრძლივ ფრენას ახორციელებდა
ხომალდ „კარნაკით“ პლანეტა კარატასი-
დან პლანეტა რევლსვრადენდრზე. ამ დი-
დი კოსმოსური ხომალდის „კარნაკის“

მკვავრები იყვნენ ბელზებელის ნათესავე-
ბი და ახლობლები, და მათთან ერთად
ხომალდის მომსახურე პერსონალი.

იმ დროს, როდესაც ჩვენს მოთხრობა
იწყება, ყველა მკვავრი გართული იყო
თავის მოვალეობათა შესრულებით, ანდა
იმაში დახელოვნებული იყვნენ პრაქტიკური
საარსებო აზროვნება“ ქქვია.

ხომალდის მკვავრთა შორის გამოირ-
ჩეოდა ერთი ძალიან ლამაზი ბიჭი, რომე-
ლიც მუდამ ბელზებელის გვერდით იმყო-
ფებოდა. ეს იყო პასინი, ბელზებელის
საყვარელი ვაჟის ტულუფის ძე.

განდევნილობიდან დაბრუნების შემდეგ
ბელზებელმა პირველად ნახა შვილიშვილი
და, რადგან მაშინვე შენიშნა მისი გულკე-
თილობა, „ოჯახის წევრისადმი სიყვარუ-
ლის“ წყალობით იმწამსვე შეიყვარა იგი.

ყოველივე ეს იმ დროს დაემთხვა, როცა
პატარა პასინის გონება განვითარებას იწყ-
ებდა, ხოლო ბელზებელს ბევრი თავი-
სუფალი დრო ჰქონდა, და მან თვითონ
იტვირთა შვილიშვილის აღზრდა. იმ დღი-
დან მოყოლებული ყველგან თან დაჰყავ-
და, თან ახლდა პასინი ბელზებელს ამ ხან-
გრძლივ მოგზაურობაშიც და იმათ შორის
იმყოფებოდა, ვინც ბაბუაშისს მუდამ გარს
ეხვია.

პასინსაც ისე შეუყვარდა თავისი ბა-
ბუა, რომ უმისოდ ერთი ნაბიჯის გადად-
გმაც არ სურდა, და ხარბად ითვისებდა
ყველაფერს, რასაც იგი ეუბნებოდა ან ას-
წავლიდა.

იმ დროს, რომლის შესახებაც ჩვენ ვლა-
პარაკობთ, ბელზებელი პასინთან და თა-
ვის ერთგულ, ძველ მსახურთან — ახუნ-
თან ერთად, ყოველთვის და ყველგან თან
რომ დაჰყავებოდა ზემო „კასნიკზე“ (ე. ი.
ხომალდ კარნაკის ზედა გემბანზე) იჯდა
„კალნოკრანონისის“ — ეს დაახლოებით
ისაა, რასაც ჩვენ დიდ „მინის ზარს“ ვუ-
წოდებთ — ქვეშ — საუბრობდნენ და თან
უსაზღვრო სივრცეს გაჰყურებდნენ. ბელ-
ზებელი მათ უამბობდა მზის სისტემის
შესახებ, სადაც მრავალი წელი გაეტარე-
ბინა. ამჯერად ბელზებელი სწორედ იმ

პლანეტის ბუნების თავისებურებებს აღწერდა, რომელიც „ტენერას“ სახელით მოიხსენიებოდა.

საუბრისას ბელზებელს მოახსენეს, შენთან ლაპარაკი ხომალდის კაპიტანს სურსო, — რაზეც მან თანხმობა განაცხადა.

თავი III



რატომ დააბვიანა დაშვება ხომალდმა „კარნაჟი“
ბიზლიჩისა

ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა კაპიტანი და, ბელზებელის წინაშე ყველა ცერემონია რომ შეასრულა, როგორც მის რანგს შეესაბამებოდა, წარმოთქვა:

— თქვენო მაღალღირსებავ, ნება მიბოძეთ შევიტყო თქვენი ექვშეუტანელი აზრი ჩვენი საფრენოსნო კურსის გავლისას მოსალოდნელი ერთი გარდაუვალი მოვლენის შესახებ, რომელიც დააბრკოლებს ჩვენს ნარნარ დაშვებას უმოკლესი გზით.

— საქმე ის გახლავთ, რომ, თუ დასახულ კურსს გავყვებით, ჩვენი ხომალდი ორი „კილპრენოს“ შემდეგ მზის სისტემა „ვუანიკს“ გაივლის. — ხოლო ზუსტად იქ, სადაც ჩვენმა ხომალდმა უნდა გაიაროს, დაახლოებით ერთი კილპრენოთი ადრე უნდა ჩაიქროლოს დიდმა კომეტამ, სახელდობრ „საკურმა“, რომელიც ამ მზის სისტემას მიეკუთვნება, ზოგჯერ აგრეთვე „ახირებულს“ რომ უწოდებენ.

მამასადამე, თუ დასახულ კურსს გავყვებით, აუცილებლად უნდა გადავკვეთოთ სივრცე, რომელშიც ამ კომეტამ უნდა გაიაროს.

— მაგრამ, თქვენო მაღალღირსებავ, ცნობილია, რომ ეს კომეტა თავის გზაზე მუდამ ბევრ „ცილინოტრაგოს“² ტოვებს, რომელიც როგორც კი მოხვდება რომელიმე არსების პლანეტურ სხეულში, მანამდე აზიარებს მის თითქმის ყველა ფუნქციას, ვიდრე კვლავ არ გამოიყოფა მისგან.

— ცილინოტრაგო რომ თავიდან ავიცილოთ, — განაგრძო კაპიტანმა, — ეს ადგილები უნდა შემოვიაროთ ჩვენი ხომალ-

დით. მაგრამ ამისათვის საჭირო იქნება დიდი გზის გავლა რაც ძალიან გაახანგრძლივებს ჩვენს მოგზაურობას. ხოლო, რომ დაეიცადო, ვიდრე ცილინოტრაგო გაქრება, ესეც დიდ დროს წაგვართმევს.

— ამ ორ შესაძლებლობას შორის არსებული მკვეთრი წინააღმდეგობის გამო მე ვერ ვახერხებ გადაწყვეტილების მიღებას, ამიტომ ვბედავ და გაწუხებთ, თქვენო მაღალღირსებავ, რათა თქვენი კომპუტენტური რჩევა მოვისმინო.

როდესაც კაპიტანმა ლაპარაკი დაამთავრა, ბელზებელმა ცოტა ხანს იფიქრა და მერე თქვა:

— არ ვიცი, მართლაც, რა ვირჩიოთ, ჩემო ძვირფასო კაპიტანო... თუმცა... მზის სისტემაში, სადაც მე დიდი ხანი დაეყავი, არსებობს პლანეტა, რომელსაც „დედამიწა“ ჰქვია. ამ პლანეტაზე წარმოიშობოდნენ და კვლავაც წარმოიშვებიან უაღრესად თავისებური და უცნაური სამცენტროვანი არსებანი; ამ პლანეტის ერთი კონტიგენტის, — „აზია“ რომ ჰქვია, — არსებათა შორის დაიბადა და ცხოვრობდა ერთი ძალიან ბრძენი სამცენინიანი არსება, რომელსაც იქ მოლა ნასრედინს უწოდებენ.

— ამ ბრძენ მიწიერ მოლა ნასრედინს — განაგრძო ბელზებელმა, იქ მცხოვრებ არსებათა ყველა თავისებურად დიდი თუ პატარა სიტუაციისათვის გამოძებნილი ჰქონდა შესაბამისი და მახვილგონივრული ანდაზური გამონათქვამები. და რადგან ეს გამონათქვამები აღსავსეა ჭეშმარიტი აზრით და სიმართლით იქაურ მკვიდრთა შესახებ, მე ყოველთვის სიამოვნებით

1. სიტყვა „კილპრენო“ ბელზებელის ენაზე ნიშნავს დროის გარკვეულ მონაკვეთს, დაახლოებით რომ შეესატყვისება ჩვენს „საათს“.
2. აღნიშნავს თავისებურ გაზს, რასაც „ცილინდრმეაზას“ ვუწოდებთ.

მოეუხმობდი მათ, რათა ამ პლანეტის მცხოვრებთა გვერდით სასიამოვნო არსებობა უზრუნველმყო.

— ახლაც მინდა, ჩემო ძვირფასო კაპიტანო, ერთი მისი ბრძნული გამონათქვამი გამოვიყენო.

— ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით, ეს, ალბათ, იტყოდა:

— შენ ვერ გადაახტები შენს მუხლებს, არ სისულელეა ცდილობდე საკუთარი იდაყვის კოცნას.

— მე დავსძენ: ადამიანს არაფერი ძალუძს გარდა ერთისა, — დაემორჩილოს მოვლენას, იმ ძალებისაგან რომ მომდინარეობს, რომლებიც ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებიან.

— საკითხი შეიძლება ასე დავაყენოთ — რომელი ავირჩიოთ თქვენს მიერ დასახელებული ორი გამოსავალიდან: შევჩერდეთ, თუ გავაკეთოთ შემოვლითი გზა.

— თქვენ ამბობთ, რომ შემოვლა ძალიან გააჭიანურებს ჩვენს მგზავრობას, ხოლო მოცდა მეტ დროს წაგვართმევს.

— ჩემო ძვირფასო კაპიტანო, ვთქვათ, ავირჩიეთ შემოვლითი გზა და ცოტა დროც დავხოგეთ. რას ფიქრობთ? ღირს ჩვენი ხომალდის მანქანის ნაწილების მუშაობა და გაცვეთა იმად, რომ ცოტათი უფრო ადრე დავასრულოთ ჩვენი მოგზაურობა?

— თუ შემოვლა ჩვენს ხომალდს თუნდაც სულ უმცირეს ზიანს მიაყენებს, მაშინ, ჩემი აზრით, აჯობებს მივიღოთ თქვენი მეორე წინადადება, სახელდობრ ის, რომ შევჩერდეთ, ვიდრე გზა კვლავ არ გათავისუფლდება ამ მავნე ცილნოტრაგოსაგან, რათა ჩვენს ხომალდს ზედმეტი ზიანი ავაცილოთ.

— ჩვენ შევეცდებით ამ გაუთვალისწინებელი დაყოვნებით დაკარგული დრო ისეთი რაზმით შევაკლოთ, რაც ყველა ჩვენთაგანს სარგებლობას მოუტანს.

— მე პირადად, მაგალითად, დიდა სომოდნებით ვიპაუბრებდი თქვენთან დღევანდელ ხომალდებზე საერთოდ და უმუშაოდ ჩვენს ხომალდზეც.

— ამ თვალსაზრისით ჩემი აქ არყოფ-

ნის დროს ბევრი ისეთი რამ მოხდა, რის შესახებაც ჯერ კიდევ არაფერი ვიცი.

— მაგალითად, ჩემს დროში დიდი კოსმოსური ხომალდები იმდენად რთული და „ზორზოხნი“ იყვნენ, რომ მათი სიმძლავრის თითქმის ნახევარქვეყნის გადატანას ხმარდებოდნენ, ხოლო მათსა და რამოებლად იყო საჭირო, მათ გადაადგილებას რომ უზრუნველყოფდა.

— და პირიქით, დღევანდელი ხომალდები უბრალოებით, სიმარტივით და თავისუფალი ფრენის უნარით ჭეშმარიტად „ნეტარება-სტოკირნოს“ განსახიერებას წარმოადგენენ.

— ამ ხომალდებზე მყოფი არსებანი ისე ტკბებიან ამ უბრალოება-სისადავით, ზოგჯერ ავიწყდებათ კიდევ, რომ პლანეტაზე არ იმყოფებიან.

— ამიტომ, ჩემო ძვირფასო კაპიტანო, ძალიან მინდა ვიცოდე, როგორ მიაღწიეს ასეთ სიკეთეს და როგორ მუშაობენ დღევანდელი ხომალდები.

— მაგრამ ახლა წადით და დაიჭირეთ თადარიგი მოსალოდნელი შეჩერებისათვის, როდესაც მთლიანად გათავისუფლდებით, კვლავ ჩემთან მოდით და ჩვენი გარდუეული შეყოვნების დროს შევაფასებთ საუბრებით რომლებიც ყველა ჩვენთაგანისათვის სასარგებლო იქნება.

— როდესაც კაპიტანი წავიდა, პასინი უეცრად წამოხტა და მოჰყვა ხტუნვას, ტაშისცემას და ყვირილს: როგორ მიხარია, როგორ მიხარია, როგორ მახარებს ეს!

ბელზებელი თანაგრძნობით შეხვდა საყვარელი შეილიშვილის მხიარულ გამოვლინებებს, მოხუცმა ახუნმა კი საყვედურით გააქნია თავი და ჩაილაპარაკა: „ოჰ, შე მოზარდო ეგოისტო!“

როდესაც პასინმა გაიგო, რა უწოდა ახუნმა, მის წინ შედგა, ანცი მზერა გაუსწორა და უთხრა:

— ნუ გამიბრაზდები, ჩემო კარგო ახუნ, ჩემი სიხარულის საფუძველი ეგონიში კი არ არის, არამედ ეს ბედნიერი შეხვედრა. გესმის? ჩემმა საყვარელმა ბაბუამ გადაწყვიტა არა მხოლოდ დაიცა-

დოს, არამედ ესაუბროს კაპიტანს. შენ ხომ იცი, რომ ჩემი საყვარელი ბაბუა ასეთი საუბრების დროს მუდამ მოგვითხრობს ხოლმე იმ ადგილების შესახებ, სადაც თავად იმყოფებოდა; შთამბეჭდავად გადმოსცემს ამბებს, რომელთა წყალობითაც ჩვენს ცნობიერებაში მრავალი ახალი და საინტერესო ცნობა გამოკრისტალდება ხოლმე.

— სად არის აქ ეგოიზმი? მან ხომ ნებაყოფლობით გადაწყვიტა შეჩერება მას შემდეგ, რაც ბრძნული გონებით აწონ-დაწონა მოულოდნელი შემთხვევის ყველა გარემოება, რაც, ეტყობა, არც თუ ძალიან უშლის ხელს დასახული გეგმების შესრულებაში.

— ვფიქრობ, ჩემს საყვარელ ბაბუას არ აქვს საფუძველი აჩქარდეს, მით უფრო, კარნაკზე არის ყოველივე, რაც დასვენებასა და კომფორტს უზრუნველყოფს; ხომალდზეა აგრეთვე ბევრი ისეთი ვინმე, ბაბუა რომ უყვარს და ბაბუასაც უყვარს ისინი.

— ხომ გახსოვს, რა თქვა ამასწინათ: „ჩვენ არ უნდა დავუპირისპირდეთ ძალებს, რომლებიც ჩვენზე მაღლა დგანან, წინააღმდეგობა კი არ უნდა გავუწიოთ მათ, არამედ დავემორჩილოთ, კრძალვით მივიღოთ და ხოტბა შევასხათ ჩვენი მეუფისა და შემოქმედის სასწაულებრივ და მშვენიერ ქმნილებათ“.

— ჩვენი უიღბლობა კი არ მახარებს, არამედ მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი შემთხვევა, რომელიც ზემოდან მოდის და კიდევ ერთხელ გვაძლევს შესაძლებლობას, მოვესმინოთ ძვირფასი ბაბუას ნაამბობს.

— განა დამნაშავე ვარ, რომ გარემოებები შემთხვევის წყალობით ესოდენ სასურველი და საბედნიეროა ჩემთვის?

ამ ხნის მანძილზე ბელზებელი ყურადღებით უსმენდა საყვარელი შვილიშვილის „ლაქლაქს“ და, როცა მან დაამთავრა, თქვა:

— მართალი ხარ, საყვარელო ჰასი, და მინდა, ვიდრე კაპიტანი დაბრუნდება, ერთი საინტერესო ამბავი გიამბო.

ბიჭმა წამსვე ბელზებელთან მოიბრინა, მის ფეხებთან მოიკალათა და მცირე ფიქრის შემდეგ თქვა:

— საყვარელო ბაბუა, უკვე იმდენჯერ მიაშბე იმ მზის სისტემის შესახებ, სადაც მრავალი წელი გაატარე, მხოლოდ მხოლოდ შეიძლება ლოგიკურად შევძლოთ ჩვენი სამყაროს ამ განსაკუთრებული კუთხის ბუნების დეტალების აღწერა.

— მსურს გავიგო, ცხოვრობენ თუ არა ამ მზის სისტემის პლანეტებზე სამტვინიანი არსებები და წარმოიქმნება თუ არა მათში „მაღალი ყოფიერების სხეულები“?

— დაასრულა ჰასინმა და სიყვარულით შეხედა ბელზებელს.

— დიახ, — უპასუხა ბელზებელმა, — ამ მზის სისტემის თითქმის ყველა პლანეტაზე ცხოვრობენ სამტვინიანი არსებები, და თითქმის ყველა მათგანმა შეიძლება წარმოქმნას „მაღალი ყოფიერების სხეულები“.

— რასაკვირველია, ჩემო ბიჭო, ამ მზის სისტემის ყოველ პლანეტაზე წარმოიქმნებიან სამტვინიანი არსებების პლანეტური სხეულები და იღებენ ისეთ ფორმას, რომელიც ამავე პლანეტის ბუნებას შეესაბამება თავისი ყოველი წვრილმანით.

— მაგალითად, პლანეტა მარსზე, რომელზეც მიგვიჩინეს ადგილი ჩვენ, ყველა დევნილს, სამცენტრიან არსებებს აქვთ „პლანეტური სხეული“, ე. ი. ერთგვარი „კარუნი“-ს ფორმა, — გრძელი, ფართო ტანი ქონის დიდი მარაგით და თავი — ვეებერთელა, გადმოკარკლული, მოელვარე თვალებით. ამ უზარმაზარი „პლანეტური სხეულის“ ზურგზე ვხედავთ ორ დიდ ფრთას, ხოლო ქვედა მხარეზე მათ აქვთ ორი შედარებით პატარა ფეხი ძალიან მაგარი ბრჭყალებით.

— ამ უშველებელი „პლანეტური სხეულის“ თითქმის მთელი ძალა ბუნებამ გამოიყენა სამტვინიან არსებათა თვალებისა და ფრთების ენერჯის წარმოსაქმნელად.

— ამიტომ ამ პლანეტაზე მცხოვრებ სამტვინიან არსებებს შეუძლიათ კარგად დაინახონ ყველაფერი, „კლდაცანტი“-ც

(სიბნელე) რომ იყოს, ადვილად იმოძრაონ მის ატმოსფეროშიც და ატმოსფეროს ფარგლებს გარეთ.

სხვა პლანეტაზე მობინადრე სამტვინიანი არსებები დიდი სივრცის გამო „აღჭურვილი“ არიან სქელი, რბილი ბალნით.

სამცენტრიანი არსებების გარეგნული ფორმა ჰგავს „ტუსუკ“-ს, ე. ი. გამოსახავს „ორმაგ ფორმას“. ზედა ნაწილზე განლაგებულია „პლანეტური სხეულის“ ძირითადი ორგანოები, ხოლო ქვედა ნაწილი განკუთვნილია ორგანოებისათვის, რომლებიც ახდენენ პირველი და მეორე „არსებობის საზრდოს“ გადამუშავებას.

ზედა ნაწილს აქვს გარეთკენ მიმართული სამი ხვრელი, რომელთაგან ორი განკუთვნილია მხედველობისათვის, მესამე კი სმენისათვის. ქვედა ნაწილს მხოლოდ ორი ხვრელი აქვს, ერთი წინ, პირველი და მეორე საარსებო საზრდოს მიღებისათვის, მეორე კი უკან — იმ ნარჩენების გამოსაყოფად, რომელიც ორგანიზმს აღარ სჭირდება, ქვედა ნაწილზე მიმაგრებულია ორი ძალიან ძლიერი, კუნთოვანი ფეხი და ყოველ მათგანზე არის წანაზარდი, რომელიც მათთვის იგივეა, რაც ჩვენთვის თითები.

— ჩემო ძვირფასო ბიჭო, ამ მზის სისტემაში არის აგრეთვე ერთი ძალიან პატარა პლანეტა, რომელსაც „მთვარეს“ უწოდებენ.

— მოძრაობის დროს ეს პატარა, თავისებური პლანეტა ხშირად ძალიან უახლოვდება ჩვენს მარსს და მე ზოგჯერ მრავალი კილპრენოს განმავლობაში ვაკვირდები „ტესკუანო“-თი მას. ამ პლანეტის მკვიდრთ ძალიან სუსტი „პლანეტური“ სხეული აქვთ. სამაგიეროდ ახასიათებთ ძლიერი „გონება“, განსაკუთრებული ამტანობა და შრომისუნარიანობა.

გარეგნული ფორმით ისინი ჰგვანან „დიდ ჭიანჭველებს“, მათსავით ფუსფუსებენ და მუშაობენ როგორც თავიანთ პლანეტაზე, ისე მის სიღრმეშიც.

მათი განუწყვეტელი საქმიანობის შედეგები ახლა უკვე სრულიად ნათელია.

— ერთხელ, სხვათა შორის, შევნიშნე,

რომ ჩვენი ორი წლის განმავლობაში მათ მთელი თავიანთი პლანეტა, ასე ვთქვათ, გათხარეს.

— ისინი იძულებულნი იყვნენ შეესრულებინათ ეს სამუშაო ადგილობრივი არანორმალური პირობების გამო, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ პლანეტა წარმოიქმნა მოულოდნელად და ამიტომ კლიმატური პარმონიის რეგულირება უმადლეს ძალთა მერ გათვალისწინებული არ იყო.

— „კლიმატი“ ამ პლანეტაზე მართლაც „გადარეულია“ და ცვალებადობით ბევრად აღემატება „სულელურად გაწიფმატებულ, ისტერიულ ქალებს“, ამავე მზის სისტემის პლანეტაზე რომ არსებობენ, რომელთა შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

— ამ პლანეტაზე ზოგჯერ ისეთი ყინვებია, რომ იქაურ არსებებს საერთოდ აღარ შეუძლიათ ღია ატმოსფეროში სუნთქვა; შემდეგ უეცრად ისეთ სიცხეებს იჭერს, რომ მის ატმოსფეროში წამის განმავლობაში შეიძლება კვერცხი მოიხარმოს.

— მხოლოდ ორი მოკლე პერიოდის განმავლობაში, მას შემდეგ — რაც სრულად შემოუვლის თავის მეზობელ პლანეტას, ამ თავისებურ პატარა პლანეტაზე ისეთი საუცხოო ამინდებია, რომ რამდენიმე ბრუნვის დროს მთელი პლანეტა ჰყვავის და საკმარის პროდუქტს წარმოქმნის იქ მობინადრე არსებების „საარსებო საზრდოს“ სახით იმ თავისებურ „შიდა-პლანეტურ-სამეფოში“, სადაც ისინი დაცული არიან „გადარეული“ კლიმატის ყოველგვარი კაპრიზისაგან.

— ამ პატარა პლანეტასთან ყველაზე ახლოსაა ერთი მოზრდილი პლანეტა, ზოგჯერ ძალზე რომ უახლოვდება პლანეტა მარსს, რომელსაც „დედამიწას“ უწოდებენ.

— პლანეტა დედამიწაზეც წარმოიქმნებიან სამტვინიანი არსებები, და აქვთ ყველა მონაცემი, რომ მათ არსებობაშიც წარმოიქმნას „მაღალი ყოფიერების სხეულები“.

— რაც შეეხება მათი „გონების ძალას“, ისინი ვერ შეედრებიან არსებებს, ზემოაღნიშნულ პატარა პლანეტაზე რომ ბინადრობენ.

— პლანეტა დედამიწის მცხოვრებთა გარეგნული „საფარველი“ ჩვენსას ჰგავს. მხოლოდ მათი კანი ცოტათი უფრო თხელია, არ გააჩნიათ კუდი, ხოლო თავზე არა აქვთ რქები. ყველაზე ცუდი მათი ფეხებია, — არა აქვთ ჩლიქები. მართალია, გარეშე მოვლენებისაგან თავდასაცავად „ფეხსაცმელები“ გამოიგონეს, მაგრამ ეს გამოგონება ბევრს ვერაფერს შველით.

— გარეგნულ არასრულყოფილებასთან ერთად მათი გონებაც ერთადერთი და უცნაურია.

— მრავალი მიზეზის გამო, რომელთა შესახებ როდისმე ვისაუბრებთ, მათი გონება თანდათანობით გადაგვარდა და ამჟამად სრულიად თავისებური და უცნაურია.

ბელზებელს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ხომალდის კაპიტანი შემოვიდა და მას დაუწყო ლაპარაკი. ბიჭს კი დაჰპირდა, რომ კიდევ მოუთხრობდა პლანეტა დედამიწის მკვიდრთა შესახებ.

ბელზებელმა კაპიტანს სთხოვა, თავდაპირველად მიაბნეთ, ვინა ხარ, რამდენი ხანია კაპიტნად მსახურობ, მოგწონს თუ არა შენი სამუშაო და დაწვრილებით გამაცანი თანამედროვე კოსმოსური ხომალდებიო.

კაპიტანმა მიუგო:

— თქვენო მაღალღირსებავ, როდესაც საპასუხისმგებლო ასაკს მივუახლოვდი, მამაჩემმა წარმადგინა ჩვენი უსასრულო შემოქმედისათვის განკუთვნილი სამსახურის შესასრულებლად პოსტზე.

— თავდაპირველად დაბალი რანგის მოსამსახურე გახლდით და ბოლოს კოსმოსურ ხომალდებზე კაპიტნის მოვალეობის შესრულება დავიწყე. უკვე რვა წელიწადია კაპიტნად ვმსახურობ შორეული მიმოსვლის ხომალდზე.

— ახლანდელი პოსტი, სახელდობრ კარნაკის კაპიტნობა, ზუსტად რომ ვთქვათ,

მამაჩემისგან მივიღე მემკვიდრეობით. მისი უსასრულობისადმი მრავალწლიანი უზადო სამსახურის შემდეგ, იგი თითქმის სამყაროს შექმნის დასაწყისისთანავე მსახურობდა კაპიტნად და შიშველ უფლება დაეკავებინა მზის სისტემა „კალმან“-ის გამგებლის პოსტზე.

— მოკლედ რომ ვთქვა, — ვანაგრძო კაპიტანმა, — მე სწორედ მაშინ შევუდექი სამსახურს, როდესაც თქვენი მაღალღირსება გაძევების ადგილისკენ მიემხრებოდა. იმხანად გემბანის მწმენდავი გახლდით ერთ-ერთ შორეული მიმოსვლის ხომალდზე.

— დიახ... მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა.

— იმ დროიდან ყველაფერი შეიცვალა — უცვლელი დარჩა მხოლოდ ჩვენი მეუფე და მზრახველი. კურთხეული „ამენცანო“ ყოფილიყოს მის ყოვლადდაუცვლელობასთან მარადისობაში!

— თქვენმა მაღალღირსებამ ამასწინათ სავსებით სწორად შენიშნა, რომ წინანდელი ხომალდები ძალზე მოუხერხებელი და მძიმენი იყვნენ.

— დიახ, ისინი მაშინ მართლაც ძალზე რთული და მოუხერხებელი იყვნენ. ეს მე ძალიან კარგად მახსოვს; უზარმაზარი გახსხვაებაა მაშინდელსა და ახლანდელ ხომალდებს შორის.

— ჩვენს ახალგაზრდობაში ეს ხომალდები ემსახურებოდა „სისტემათშორის“ და „საკონტინენტთაშორისო კავშირების“ და ჯერ კიდევ კოსმოსური ნივთიერების „ელექტილპომაგტიტონ“-ის მეშვეობით დაფრინავდა; ე. ი. მთლიანად ყველგანყოფი „ოკიდანობ“-ის ორი ცალკეული ნაწილისაგან შედგება.

ამ ნივთიერების მოსაპოვებლად უამრავი მასალა იყო საჭირო, რომელიც თან უნდა ეტარებინათ წინანდელ ხომალდებს.

— მაგრამ თქვენი ამ სივრცეებიდან გაფრენის შემდეგ ამ ხომალდებით ცოტა ხანსლა თუ სარგებლობდნენ, მერე ისინი შეცვალეს წმინდა ვენომას სისტემის ხომალდებმა.

თავი IV

ვარდნის კანონი

კაპიტანმა განაგრძო:

— ეს მოხდა ობიექტური წელთაღრიცხვით 185 წელს.

— წმინდა ვენომა თავისი დამსახურებების გამო პლანეტა „სურტს“-იდან გადაიყვანეს წმინდა პლანეტა „სალხინებელზე“ — და მას შემდეგ, რაც ახალ გარემოსა და ახალ მოვალეობებს შეეჩვია, თავისუფალ დროს თავის საყვარელ საქმიანობას უთმობდა. მისი საყვარელი საქმიანობა იმის გამორკვევა იყო, რა ახალი ფენომენების პოვნა შეიძლებოდა უკვე კანონიერად არსებული მოვლენების სხვადასხვა კომბინაციებში.

— ამ საქმიანობის დროს, გარკვეული ხანი რომ გავიდა, წმინდა ვენომამ პირველად მიაკვლია კოსმოსურ კანონებში დიდ აღმოჩენას, რასაც მან თვითონ პირველად „ვარდნის კანონი“ უწოდა. ეს ახალი კანონი წმინდა ვენომამ შემდეგნაირად დააფორმულა:

— ამქვეყნად ყოველივე არსებული ქვევით ვარდება. „ქვევით“-ად სამყაროს ყოველი ნაწილისათვის ითვლება უახლოესი „სტაბილურობა“ და ეს სტაბილურობა არის ის ადგილი, საითკენაც ყველა მხრიდან მიისწრაფვიან ძალთა მიმართულებები.

— ამგვარი „სტაბილურობის პუნქტები“ არიან ჩვენი სამყაროს ყველა პლანეტისა და მზეების ცენტრები. სწორედ ისინი ქმნიან „ქვევით“-ს სივრცეს იმ რეგიონებისათვის, რომლებისკენაც მიისწრაფვიან სამყაროს შესაბამისი ნაწილის ძალები ყველა მიმართულებით და იქ ახდენენ კონცენტრირებას. ამ პუნქტებში ხდება წონასწორობის კონცენტრირება, რომლის მეშვეობითაც მზეები და პლანეტები თავიანთ მდგომარეობას ინარჩუნებენ.

— თავის ფორმულირებას წმინდა ვენომამ ასე განაგრძობს: „სივრცეში თავისუფლად მყოფი ყოველი საგანი იქითკენ მიისწრაფვის, რომ დაეშვას ამა თუ იმ

მზეზე, ან ამა თუ იმ პლანეტაზე იმის მიხედვით, რომელ მზეს ან პლანეტას მიუკუთვნება სივრცის უსასრულო ნაწილი, სადაც ეს საგანი იმყოფება — რადგან ყოველი მზე და ყოველი პლანეტა შესაბამისი სფეროსათვის შეიძლება იყოს „სტაბილურობა“, ანუ „ქვევით“.

— აქედან გამომდინარე, წმინდა ვენომამ შემდგომ გამოკვლევებში ასეთნაირად მსჯელობს:

— თუ ეს ასეა, ხომ არ შეიძლება გამოვიყენოთ ეს კოსმოსური თავისებურება ჩვენთვის საჭირო მოძრაობისათვის სამყაროს სივრცეებს შორის?

და ამის შემდეგ იგი ამ მიმართულებით მუშაობდა.

— მისმა შემდგომმა წმინდა ნაშრომებმა ცხადჰყო, რომ, თუმცა შესაძლებელი იყო, მისგან პირველად აღმოჩენილი „ვარდნის კანონის“ ამ მიზნით სრულად გამოყენება არ მოხერხდებოდა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ატმოსფეროები, რომლებიც გარემოიცავენ თითქმის ყველა კოსმოსურ სიმჭიდროვეს, აბრკოლებენ სივრცეში თავისუფლად მყოფი საგნის სწორსაზოვან ვარდნას.

— როდესაც წმინდა ვენომამ ამ დასკვნამდე მივიდა, ამჯერად თავისი ყურადღება უკვე გაამახვილა იმაზე, რომ გამოეძებნა საშუალება, დაეძლია ატმოსფეროების ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა ვარდნის პრინციპით აგებული ხომალდებისათვის.

— სამი „ლუნისა“-ის შემდეგ წმინდა ვენომამ გამოძებნა კიდევ ასეთი შესაძლებლობა და მას შემდეგ, რაც მისი ხელმძღვანელობით სპეციალური კონსტრუქციის აგება დასრულდა, იგი პრაქტიკული ცდების განხორციელებას შეუდგა.

— ამ სპეციალურ კონსტრუქციას ჰქონდა დიდი ოთახის გამოსახულება, რომლის ყველა კედელი სპეციალური მინისებური მასალისაგან იყო დამზადებული.

— ამ დიდი „ოთახის“ ყველა მხარეს დაყენებული იყო ერთგვარი „დარაბები“, იმ მასალისაგან რომ შედგებოდა, რომელიც არ ატარებდა კოსმოსური ნივთიერების „ელექტილპომაგტისცონის“ სხივებს, ეს დარაბები, მიუხედავად იმისა, რომ მჭიდროდ ეხებოდა აღნიშნული „ოთახის“... კედლებს, მაინც თავისუფლად მოძრაობდა ყველა მიმართულებით.

— „ოთახში“ დაყენებული იყო სპეციალური „ბატარეა“, რომელიც სწორედ „ელექტილპომაგტისცონ“-ის ნივთიერებას აწარმოებდა.

— თქვენო მალაღლირსებავ, მე ვესწრებოდი პირველ ცდებს, რომელთაც წმინდა ვენომა მის მიერვე აღმოჩენილი პრინციპებით ატარებდა.

— მთელი საიდუმლო ის გახლავთ, რომ, როცა „ელექტილპომაგტისცონ“-ის სხივები ამ სპეციალურ მინაში გაივლიდა, მაშინ მთელ სივრცეში, რომელშიც ეს სხივები შეაღწევდნენ, ყოველივე, — რისგანაც, ჩვეულებრივ, პლანეტების ატმოსფერო შედგება, — მაგალითად, „ჰაერი“, ყოველგვარი „გაზი“, თუ „ნისლი“, მთლიანად ისპობოდა. სივრცის ეს ნაწილი მართლაც აბსოლუტურად ცარიელდებოდა, აღარ სწევდა წინააღმდეგობას, აღარ ჰქონდა ატმოსფერული წნევა, ისე რომ, სრულიად სუსტ, ახალწარმოშობილ არსებასაც რომ შეეხო ხელი ამ უზარმაზარი კონსტრუქციისათვის, ამოძრავდებოდა ისევე მსუბუქად, როგორც ბუმბული.

ამ განსაკუთრებული კონსტრუქციის გარეთა მხარეებზე გაკეთებული იყო ფრთისებური მოწყობილობები, რომლებიც მოძრაობაში მოდიოდნენ იმავე „ელექტილპომაგტისცონ“-ის ნივთიერებით და ის დანიშნულება ჰქონდათ, რომ მიეცათ ბიძგი ამ უზარმაზარი კონსტრუქციისათვის სასურველი მიმართულებით სამოძრაოდ.

ამ ექსპერიმენტების შედეგები მოიწონა და აკურთხა მთავარანგელოზმა ადოსიუსმა, რომელიც თავმჯდომარეობდა საინსპექციო კომისიას; ამის შემდეგ დაიწყო

დიდი ხომალდის აგება აღნიშნული პრინციპების საფუძველზე.

ხომალდი მალე ააგეს და სამოქმედოდ გაამზადეს. ცოტა ხნის შემდეგ სისტემათშორისი კავშირის ყველა საზღვრად ამგვარი ტიპის ხომალდები გამოიყენებოდა. მოგვიანებით ცხდებოდა ამ სისტემის ნაკლოვანებები და მოუხერხებლობა, მაგრამ მან თანდათანობით მაინც განდევნა ყველა სისტემა, რომელიც კი მანამდე არსებობდა.

— ამ სისტემის მიხედვით აგებული ხომალდები შესანიშნავად ფუნქციონირებდნენ უატმოსფერო სივრცეებში და იქ თითქმის პლანეტებიდან გამომავალი „ეტიკოლნიონაკლიის“ სხივების სისწრაფით მოძრაობდნენ, ეს კი ნამდვილ ტანჯვად იქცეოდა იმათთვის, ვინც ხომალდს მართავდა, რადგან საჭირო ხდებოდა ბევრად უფრო რთული მანევრირება, სწორედ ის მანევრირება, რომელიც არ ესადაგებოდა ზემოაღნიშნულ „ვარდის კანონს“.

— როგორც კი, მაგალითად, ხომალდი რომელიმე მზის ან პლანეტის ატმოსფერულ გარემოში ხედებოდა, წამსვე იწყებდა ამ მზეზე თუ პლანეტაზე ვარდნას, და საჭირო იყო, როგორც უკვე ვთქვი, დიდი უურადლება და ღრმა ცოდნა, რათა ხომალდი თავის კურსს არ ამცდარიყო.

— როდესაც ხომალდები რომელიმე მზეს ან პლანეტას ჩაუფრენდნენ ხოლმე, საჭირო ხდებოდა მათი ჩვეულებრივი საფრენოსნო სისწრაფის ასჯერ და ბევრად უფრო მეტად შენელება.

— განსაკუთრებით უფრო ძნელი იყო ხომალდების მართვა იმ ატმოსფეროებში, სადაც „კომეტების“ დიდი დაჯგუფება ხდებოდა ხოლმე.

— სწორედ ამიტომ უყენებდნენ დიდ მოთხოვნებს იმ არსებებს, რომელთაც ეს ხომალდები უნდა ემართათ და მათ თავიანთი მოვალეობების შემსრულებლებად ძალიან მაღალი გონების არსებები ამზადებდნენ.

— ზემოდასახელებული ნაკლოვანებების მიუხედავად, როგორც უკვე აღვნიშნე, წმინდა ვენომას სისტემამ თანდა-

თანობით განდევნა ყველა წინანდელი სისტემა.

— წმინდა ვენომას სისტემის ხომალდები უკვე ოცდასამი წელია არსებობდა,

როცა პირველად გაერცელდა ხმა, ანგელოზმა ხარიტონმა სისტემათმორისო და საპლაწეტთაშორისო კავშირის ახალი ტიპის ხომალდი აღმოაჩინაო.



საქრებულო
საბჭოთაო

თავი V

მთავარანგელოზ ხარიტონის სისტემა

კაპიტანმა განაგრძო:

— ამ ხმის გავრცელებიდან ცოტა ხნის შემდეგ, — კვლავ დიდი მთავარანგელოზის ადოსიუსის ხელმძღვანელობით, — ღია პრაქტიკული ექსპერიმენტები ჩატარდა ამ ახალ და მოგვიანებით უგზომ ცნობილ აღმოჩენასთან დაკავშირებით.

— ახალი სისტემა ერთხმად აღიარეს საუკეთესოდ და შალე მას უკვე იყენებდნენ საყოველთაო სამყაროული სამსახურისათვის, რის შემდეგაც თანდათან განდევნილ იქნა ყველა ძველი სისტემა.

ამჟამად დიდი, ახლა კი უკვე მთავარანგელოზ ხარიტონის ეს სისტემა საყოველთაო გამოყენებას პოულობს.

— ხომალდი, რომელზეც ვიმყოფებით, ამავ სისტემას მიეკუთვნება და მისი კონსტრუქცია, ისევე როგორც ყველა სხვა ხომალდის კონსტრუქცია, ანგელოზ ხარიტონის სისტემის მიხედვითაა შექმნილი.

— ეს სისტემა არც ისე რთულია.

— დიდი აღმოჩენა შედგება ერთადერთი „ცილინდრისაგან“, რომელსაც ჩვეულებრივი კასრის ფორმა აქვს. ცილინდრის საიდუმლოება მასალების შეერთებასა და შეხამებაში იმალება, რომელთაგანაც გაკეთებულია მისი შიდა კედლები.

— მასალები განლაგებულია გარკვეული თანმიმდევრობით და ერთმანეთისაგან „ქარვითა“ იზოლირებული; როცა რომელიმე გაზისებური ნივთიერება მის მიერვე გარშემორტყმულ სივრცეში მოხვდება, იქნება ეს „ატმოსფერო“, „ჰაერი“, „ეთერი“ თუ რომელიმე სხვა ერთობლიობა მსგავსი კოსმოსური ელემენტებისა, იგი წამსვე ფართოვდება მასალების შემოაღნიშნულ

ნული განლაგების შედეგად ცილინდრის შიგნით.

— ამ ცილინდრ-კასრის ძირი პერმენტულაოა დახურული, ხოლო სარქველი თუმცა შესაძლოა მჭიდროდ ჩაიკეტოს, ისეთი რადაა დაყენებული ანჯამებზე, რომ შიდა ბიძგით ადვილად იღება და იკეტება.

— თქვენო მაღალღირსებავ, როდესაც „ცილინდრი-კასრი“ ატმოსფეროთი, ჰაერით ან სხვა ნივთიერებით ივსება, „ცილინდრი-კასრის“ კედლების მოქმედებით ეს ნივთიერებანი ისე ფართოვდება, რომ მთელი შიდა ნაწილი მეტისმეტად ვიწრო ხდება. და როდესაც ეს ნივთიერებები ცდილობენ, იპოვონ გასასვლელი დავიწროებული თავშესაფრიდან, ცხადია, აწვენიან „ცილინდრ-კასრის“ სარქველს, ანჯამებით რომ იღება, რომელიც მას შემდეგ, რაც ცილინდრიდან გააღწევს გაფართოებული ნივთიერებანი, კვლავ იკეტება. რადგან ბუნება ვაკუუმს ვერ ეგუება, „ცილინდრი-კასრი“ როცა გაფართოებული გაზისებური ნივთიერებათა გადენისთანავე ატმოსფეროდან მომავალი ახალი ნივთიერებებით ივსება, რომლებიც იგივე პროცესს გაივლიან, რასაც წინამაგალი და ასე შემდეგ და ასე უსასრულოდ.

— ამგვარად, ნივთიერებანი მუდამ იცვლებიან, ხოლო „ცილინდრი-კასრის“ სარქველი მონაცვლეობით იღება და იკეტება.

— სარქველზე გაკეთებულია სრულიად მარტივი ბერკეტი, რომელიც სარქველთან ერთად მოძრაობს და თვითონაც რამდენიმე, ასევე სრულიად მარტივი „კბილანა თვალი“ მოჰყავს მოძრაობაში, თა-

ვის მხრივ ხომალდის გვერდებზე და კი-
ჩოზე დაყენებულ პროპელერს რომ ატრი-
ალებს.

— ამგვარად, თქვენო მაღალღირსებავ,
თანამედროვე ხომალდები, ჩვენი ხომალ-
დების მსგავსად, რაკი წინააღმდეგობას არ
აწყდებიან სივრცეში, ქვევით ვარდებიან
უახლოეს „სტაბილურობაში“. ხოლო იმ
სივრცეებში, სადაც რაიმე წინააღმდეგო-
ბის გამწევი კოსმოსური ნივთიერებანი
არსებობს — რა... სიმკვრივე-სიმჭიდრო-
ვეც არ უნდა გააჩნდეთ მათ — ისინი შე-
საძლებლობას უქმნიან ხომალდს, ცილინ-
დრის დახმარებით იმოდრავს სასურველი
მიმართულებით.

— საინტერესოა აღინიშნოს, რომ, რაც
უფრო მკვრივია ნივთიერებანი სამყაროს
ნაწილში, მით უფრო უკეთესად ხდება
„ცილინდრი-კასრის“ დატვირთვა და დაც-
ლა, რის შემდეგაც, ცხადია, იცვლება ბე-
რკეტთა მოძრაობის ძალაც.

— მაგრამ კვლავ ვიმეორებ, რომ უატ-
მოსფერო სფეროები, ე. ი. სივრცეები, სა-

დაც მხოლოდ სამყაროს „ეთეროკრილო“
არსებობს, საუკეთესოა დღევანდელი ხო-
მალდებისათვის, რადგან ასეთ სფეროებ-
ში საერთოდ არ არის წინააღმდეგობა,
რის წყალობითაც მათში თავისუფლად
შეიძლება „ვარდნის კანსონის“ გამოყენება
ცილინდრის დახმარებით გარეშე.

— გარდა ამისა, თანამედროვე ხომალ-
დები იმ მხრივაც არიან უკეთესნი, რომ
როგორც კი უნივთიერებო სივრცეებში
ვუბიძგებთ, ისინი სწორედ იქ ვარდებიან,
სადაც ეს სასურველია, რაც წმინდა ვე-
ნომას სისტემის ხომალდებში — თუნდაც
რთული მანიპულაციებითაც — შეუძლე-
ბელი იყო.

ერთი სიტყვით, თქვენო მაღალღირსე-
ბავ, ახლანდელი ხომალდების მოხერხებუ-
ლობა და უბრალოება ამგვარად ნათელია
წინანდელ რთულსა და მძიმე ხომალდე-
ბთან შედარებით, რომელთაც, არც ის შე-
საძლებლობანი გააჩნიათ, თანამედ-
როვე ხომალდებს რომ აქვთ.

თავი VI

კერკატუუმ მობილე

— შეჩერდით... შეჩერდით... — შეაწყ-
ვეტინა კაპიტანს ბულზებელმა.

— რასაც ახლა მოგიტხრობთ, ალბათ,
ის „ბოდვითი იდეა“, პლანეტა დედამი-
წაზე მცხოვრები უცნაური სამტვინიანი
არსებები „პერპეტუუმ მობილე“-ს რომ
უწოდებენ, და ძალიან ბევრი მათგანი,
როგორც თვითონ ამბობენ, „ჭკუაზე შე-
შალა“, ბევრი კი დაღუპა კიდევ.

— საქმე ისაა, რომ ერთ მშვენიერ
დღეს ამ უბედურ პლანეტაზე ვიღაცას,
როგორც თვითონ ამბობენ „აბეზარი აზ-
რი“ მოუვიდა, თითქოს შეუძლია გამოი-
გონოს ისეთი მექანიზმი, რომელიც განუ-
წყვეტლივ იმუშავებს ისე, გარედან რაი-
მე ძალის დახმარება არ დასჭირდება.

— ეს იდეა ყველას მოეწონა და თავი-
სებური პლანეტის უცნაური არსებანი ამ

საკვირველების სინამდვილედ ქცევასაც კი
შეეცადნენ.

— მერედა, რამდენმა მათგანმა შესწი-
რა ამ შმაგ იდეას მანამდე რის ვაივაგლა-
ხით მოპოვებული მატერიალური და სუ-
ლიერი კეთილდღეობა! ყველას სურდა
აუცილებლად აღმოეჩინა ეს, — როგორც
თვითონ ეგონათ, — უბრალო საქმე.

ბევრი მათგანი, რომელთაც პირობები
ხელს უწყობდათ, გართული იყო „პერპე-
ტუუმ მობილეს“-ს გამოგონებით მაშინაც
კი, როცა საამისო შინაგანი მონაცემები
არ გააჩნდათ. ზოგს იმედი ჰქონდა თავი-
სი „ცოდნისა“, სხვებს „იღბლისა“, ხოლო
უმეტესობა ასე იმტომ იქცეოდა, რომ
უკვე ამყარა „ფსიქოპათები“ იყვნენ.

— მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო,
როგორც თავად ამბობენ, მოდა — გა-

მოეგონებინათ „პერპეტუუმ მობილეს“ და ყოველი იქაური ახირებული ადამიანი თავის მოვალეობად თვლიდა, აუკრიდუნლად დაინტერესებულიყო ამ საკითხით.

— მე ვიყავი ერთხელ ქალაქში, სადაც შეკრებილი ჰქონდათ „პერპეტუუმ მობილეს“ ათვის დაგეგმილი მექანიზმის ყველა შესაძლებელი მოდელი და აღწერილობა. რას არ ნახავდით იქ, მახვილგონივრული და რთული მანქანების ყოველ მექანიზმში, — იქ რომ ვიხილე, — უფრო მეტი იდგა და გრძობა შეინიშნებოდა, ვიდრე სამყაროს არსებობის ყველა კანონში, შევნიშნე ისიც, რომ ურიცხვი მოდელისა და მექანიზმთა დახასიათებისას უპირატესობა ენიჭებოდა ეგრეთწოდებული სიმძიმის ძალის აღწერას, რომლის გამოყენების იდეამ მათთან ასეთი გამოხატულება ჰქოფა: ძალიან რთულ მექანიზმს უნდა აეწია გარკვეული წონა, რომელიც უნდა დავარდნილიყო და ვარდნით მოძრაობაში მოეყვანა მთელი მექანიზმი; ეს მოძრაობა შემდეგ კვლავ ასწევდა ამ წონას და ა. შ. და ა. შ.

— ყოველივე ამის შედეგად ათასობით უბედური საგიჟეში მოხვდა, ათასობით სხვამ კი, რომლისთვისაც ეს იდგა სანუკვარი ოცნება იყო, „არსებითი მოვალეობანიც“, მრავალი წლის განმავლობაში როგორღაც მაინც რომ ასრულებდა, თადათანობით სრულიად უგულებელყო, ანდა ძალზე უხეიროდ ახორციელებდა.

— არ ვიცი, რით დასრულდებოდა ყოველივე ეს, ერთ ჭკუაზე სრულიად მწყურალად მყოფ არსებას (რომელსაც ცალი ფეხი სამარეში ედგა, და „ბებერ ჭკლა-მეშლილს“ უწოდებდნენ, თუმცა აღრე როგორღაც მოპოვებული ჰქონდა ავტორიტეტი) მხოლოდ თავისთვის ცნობილი გამოთვლებით არ დაემტკიცებინა, ასეთი „პერპეტუუმ მობილეს“ გამოგონება სავრთოდ შეუძლებელიაო.

— ახლა ძალიან კარგად მესმის, როგორ მუშაობს მთავარანგელოზ ხარიტონის სისტემის ცილინდრი — ეს სწორედ ისაა, რაზედაც ეს უბედურები ოცნებობენ იქ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას,

რომ მხოლოდ ატმოსფეროს არსებობის შემთხვევაშიც კი იგი მუდმივად იმუშავებს ისე, რომ არც დასჭირდება რომელიმე სხვა მასალის გამოყენება.

— და რადგან სამყაროს პლანეტებისა და, მაშასადამე, ატმოსფეროს გარეშე არსებობა არ შეუძლებელია, მაშასადამე, ვიდრე სამყარო და, მაშასადამე, ატმოსფერო იარსებებენ.

— ერთადერთი შეკითხვა, ახლა რომ თავში მიტრიალებს, იმ მასალას ეხება, რომლისგანაც ეს „ცილინდრი-კასრია“ გაკეთებული.

— ჩემო ძვირფასო კაპიტანო, ამიხსენით, გეთაყვა, რა მასალისგანაა ის გაკეთებული და რამდენ ხანს შეიძლება გაძლოს, — თქვა ბელზებელმა.

— თუმცა „ცილინდრი-კასრია“ მუდმივი არ არის, მაგრამ იგი ძალიან დიდხანს ძლებს.

მისი მთავარი ნაწილი გაკეთებულია „ქარვისაგან“, პლატინის გვირგვინისაგან“, კედლის შინაგანი პანელები კი ქვანახშირის, ..., სპილენძის, სპილოს ძვლისა და ძალიან გამძლე „მასტიქსი“-საგან, რომელზეც შემოქმედებას ვერ მოახდენს ვერც „პაიშაკირი“ (სიცოვე), ვერც „ტაინოლერი“ (სითბო), ვერც „სალიაკურიპი“ (წყალი) და ვერც კოსმოსურ სიმკვრივეთა გამოსხივებანი“.

— მაგრამ სხვა ნაწილები, — განაგრძობდა კაპიტანი, — როგორებიცაა გარე ბერკეტები და „კბილანა თვლები“, ცხადია, დროდადრო უნდა გაახლდეს, რადგან, თუმცა უმკვრივესი მეტალისგან არიან დამზადებული, მაინც ცვდებიან ხანგრძლივი ხმარებისაგან.

— რაც შეეხება თვითონ სომალდის კორპუსს იგი ხანგრძლივი გამოყენების გარანტიას არ იძლევა.

კაპიტანს კიდევ რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ამ დროს მთელ სომალდზე გაისმა ხმები, შორეული სასულე ორკესტრის გრძელი მინორული აკორდის რხევებს რომ მოგაგონებდათ.

კაპიტანმა ბოდიში მოიხადა, წამოდგა

და, როცა მიდიოდა, თქვა, ალბათ, რაღაც სასწრაფო: საქმისათვის დასჭირდათ, თორემ ყველამ იცის, რომ მის მაღალ ღირ-

სებასთან იმყოფება და ვერავინ გაბედავდა რაღაცა წერილბანის გამო შეეწუხებინათ.

ჭეშმარიტი არსებობის მოვალეობის შეგნება



კაპიტნის წასვლის შემდეგ ბელზებელმა მზერა თავის შვილიშვილზე შეაჩერა და როცა მისი უჩვეულო გამოხეტყველება შენიშნა, მზრუნველი კილოთი ჰკითხა:

— რა დაგეშართა, ჩემო ძვირფასო ბიჭიკო? ასე ძალიან რამ ჩაგაფიქრა? ჰასინმა ნაღვლიანი თვალებით ახედა ბაბუას და უთხრა:

— არ ვიცი, რა შემართება, ჩემო ძვირფასო ბაბუა, მაგრამ შენმა საუბარმა ხომალდის კაპიტანთან ძალიან სევდიან ხასიათზე დამაყენა და ისეთი ფიქრები აღმეძრა, ადრე რომ არასოდეს მქონია.

— თქვენი საუბრის მეშვეობით ძალიან ნათლად შევიცანი, რომ ჩვენი უსასრულობის სამყაროში ყოველივე მუდამ ისე არ იყო, როგორც ამას ახლა ვხედავ და მესმის. ადრე, მაგალითად, არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ხომალდი, რომლითაც ახლა მივფრინავთ, მუდამ ისეთი არ იყო, როგორც ამ მომენტში. ახლა ვხვდები ცხადად, რომ ყოველივე, რაც დღესდღეობით გვაქვს და ვიყენებთ, მოკლედ — ყველა თანამედროვე სიამოვნებანი და კეთილდღეობანი ყოველთვის არ არსებობდა და არც თუ მთლად მარტივად წარმოქმნილა.

— როგორც ჩანს, წარსულში ზოგიერთი არსება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძალიან ბევრს მუშაობდა, იტანჯებოდა და ითმენდა. ისინი შრომობდნენ და იტანჯებოდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენ ყოველივე ეს გვექონოდა ჩვენი კეთილდღეობისთვის გამოგვეყენებინა.

— ამას აკეთებდნენ შეგნებულად, თუ, შეუგნებლად, ჩვენთვის. ე. ი. მათთვის, ვინც სრულიად უცნობნი და სავსებით გულგრილნი იყვნენ.

— ახლა კი არა მხოლოდ მაღლობას არ

ეუხდით, არამედ არაფერი ვეცით მათ შესახებ და ეს საერთოდ გვაწუხებს.

— აი, მაგალითად, ამდენი წელია სამყაროში ვარსებობ და ჯერაც არ მიფიქრია, რომ შეიძლება იყო დრო, როცა ყოველივე, რასაც ვხედავ და მაქვს, — არ არსებობდა, და ჩემი ცხვირის მსგავსად, ჩემთან ერთად არ დაბადებულა.

— მაგრამ ახლა, ჩემო ძვირფასო და საყვარელო ბაბუა, როდესაც თქვენი და კაპიტნის საუბრის მეშვეობით ყოველივე ეს მთელი არსებით შევიცანი, ჩემში იმავე დროულად წარმოიქმნა მოთხოვნილებაც გავარკვიო, რისთვისაც მაქვს მონიჭებული ხელსაყრელი პირობები, რომლებითაც ახლა ვსარგებლობ, და რა მოვალეობანი მაკისრია ამის სანაცვლოდ.

— სწორედ ამიტომ მიმდინარეობს ჩემში „სინანულის“ პროცესი.

ეს რომ თქვა, ჰასინმა თავი ჩაქინდრა და დადუმდა. ბელზებელმა მას ალერსიანი მზერა შეავლო და უთხრა:

— გირჩევ, ჩემო ძვირფასო ჰასინ, ნუ დაუსვამ თავს ჯერჯერობით ასეთ შეკითხვებს. ნუ იქნები მოუთმენელი. დადგება დრო, როდესაც ამგვარ მნიშვნელოვან საკითხთა გააზრებას შეძლებ და მაშინ მიხვდები, რისი გაკეთებაა საჭირო.

— ახლანდელი ასაკი სხვა რამეს გავალდებულებს: უნდა მოემზადო სამომავლოდ იმის შესასრულებლად, რაც აკისრიათ სამტფინიან არსებებს საპასუხისმგებლო ასაკში.

— ჯერჯერობით კი იარსებე ისე, როგორც არსებობ.

— მხოლოდ არ დაივიწყო ერთი რამ; შენს ასაკში აუცილებელია, ყოველდღე, მზის ამოსვლისას, მისი მშვენიერების ანარეკლს რომ უყურებ — კონტაქტი დაამყარო შენს ცნობიერებასა და საერთო მდგომარეობის სხვადასხვა გაუცნობიერე-

ბელ, ინსტიტუტურ ნაწილთან. შეეცადო ამ მდგომარეობის გახანგრძლივებას და საერთო „მეს“ არაცნობიერი ნაწილების დარწმუნებას — თითქოს ისინი ცნობიერი იყვნენ — რომ თუკი ხელს შეუშლიან შენს საერთო ფუნქციონირებას, შენი საპასუხისმგებლო ასაკის პერიოდში ისინი არა მხოლოდ ვერ შეძლებენ სიკეთის ქმნას, როგორც მათ შეეფერება, არამედ საერთო „მეს“, რომლის ნაწილსაც შეადგენენ, აღარ შეეძლება კარგად ემსახუროს ჩვენს საერთო უსასრულო შემოქმედს, და ამდენად იმის ღირსიც არ იქნება,

გადაიხადოს შენი გაჩენისა და არსებობისათვის.

— მე კიდევ ვიმეორებ, ჩემო ძვირფასო ბიჭიკო: შეეცადე ჯერჯერობით არც იფიქრო ისეთ რამეებზე, რაზე ფიქრით შენთვის ჯერ კიდევ დაიწყებულია

— ყვლაფერს თავისი დრო აქვს.

— ახლა, შემეკითხე, რაც გსურს და გიპასუხებ. კაპიტანი ჯერაც არ დაბრუნებულა, ეტყობა, თავისი მოვალეობების შესრულებითაა გართული და არც ისე მალე მოვა.

თავი VIII

თავხედი ბიჭი პასინი, ბელზებელის შვილიშვილი, გადავს ადამიანებს „ლოკოკინები“ უწოდოს

პასინმა იმწამსვე ბელზებელის ფეხებთან მოიკალათა და თქვა:

— მიაშბე, ჩემო ძვირფასო ბაბუა, რაიმე ისეთი, რაც შენ მოგწონს. ის, რასაც მიაშბობ, უდიდეს სიხარულს მომგვრის, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ამას შუა მიაშბობ.

— არა, — შეეპასუხა ბელზებელი, — თვითონ შენ თქვი, რა გაინტერესებს ყველაზე უფრო. მე დიდ სიამოვნებას მომანიჭებს, გიამბო სწორედ ის, რისი გაგებაც გსურს.

— ჩემო ძვირფასო და საყვარელო ბაბუა, — რაკი ასეა, მომიყევი რამე იმ... რა პქვია იმათ?... დამავიწყდა... ჰო, იმ „ლოკოკინების“ შესახებ.

— რაო? რომელი ლოკოკინების შესახებ? — შეეკითხა ბელზებელი, რომელმაც ბიჭის ნათქვამი ვერ გაიგო.

— განა არ გახსოვს, ბაბუა, ამ ცოტა ხნის წინ სამტვინიან არსებებზე რომ მიაშბობდი, რომლებიც იმ მზის სისტემის სხვადასხვა პლანეტაზე გვხვდებიან, სადაც შენ ამდენი ხანი დაჰყავი? შენ თქვი, რომ ერთ პლანეტაზე — დამავიწყდა რა უწოდეს მას — არსებობენ სამცენტრიანი არსებანი, რომლებიც საერთოდ ჩვენ გვგვანან,

მხოლოდ კანი ცოტათი უფრო თხელი აქვთ.

— აააჰ, — გაეცინა ბელზებელს, — შენ, ალბათ, იმ არსებებზე მეკითხები, პლანეტა „დედამიწაზე“ რომ გვხვდებიან და თავიანთ თავს „ადამიანებს“ უწოდებენ.

— ჰო, ბაბუა... ჰო... მიაშბე რამე ამ „ადამიან-არსებებზე“ უფრო დაწვრილებით; მინდა უფრო მეტი ვიცოდე მათ შესახებ, — შეევედრა პასინი.

— ამაზე ბელზებელმა უპასუხა: მე შემიძლია ძალიან ბევრი გესაუბრო მათ შესახებ, რადგან ხშირად კოლონილვარ იმ პლანეტაზე, დიდხანს ვრჩებოდი იქ და ვმეგობრობდი კიდევ მრავალ დედამიწელ სამტვინიან არსებასთან. მართლაც, საინტერესოა, უფრო მეტი შეიტყო ამ არსებათა შესახებ, რადგან ისინი ძალზე თავისებურნი არიან.

— მათ ბევრი ისეთი-რამ ახასიათებთ, რასაც ჩვენი სამყაროს ვერც ერთ პლანეტაზე ნახავ. მათ ძალიან კარგად ვიცნობ, რადგან წარმოშობა, შემდგომი განვითარება და საერთოდ არსებობა მათი წელთაღრიცხვით მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩემს თვალწინ მიმდინარეობდა.

მე მარტო მათი წარმოშობა როდი ვნახე ჩემი თვალებით, იმ პლანეტის საბოლოო ჩამოყალიბებაც ვიხილე, რომელზეც ისინი წარმოიშვნენ და არსებობენ.

— როდესაც პირველად ჩავედით ამ მზის სისტემაში და პლანეტა მარსზე დაემკვიდრდით, პლანეტა დედამიწაზე ჯერ კიდევ არაფერი არ არსებობდა; შესქელება-შემკვირვების შემდეგ ჯერ კიდევ არ გაველო საკმარის დროს, რომ იგი მთლიანად გავრილებულიყო.

ეს პლანეტა ჩვენი უსასრულობისათვის თავიდანვე მრავალი სერიოზული პრობლემის მიზეზი შეიქნა.

— თუ გინდა, ჯერ გესაუბრები ამ პლანეტის საერთო კოსმოსური ხასიათის მოვლენებზე, რომელთაგანაც ჩვენნი უსასრულობის შემოადგენილი შემთხვევა გამოიწვიეს.

— დიას, ძვირფასო ბაბუა, სწორედ ეს მიაჩნებოდა; ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება, როგორც ყოველივე, რაზედაც შენ საუბრობ ხოლმე.

თავი IX

მთვარის წარმოქმნის მიზეზი

ბელზებელმა თხრობა ასე დაიწყო:

— მას შემდეგ, რაც პლანეტა მარსზე გაგვგზავნეს, სადაც გარკვეული ხანი უნდა დაგვეყო, თანდარივი დავიჭირეთ, რათა ნელ-ნელა მოვწყობილიყავით.

— ჩვენ ჯერ კიდევ გართული ვიყავით გარეგნული საზრუნავების მოგვარებით, რომლებიც ავად თუ კარგად შესაძლებელს გახდიდა არსებობას ამ სრულიად უცნობ გარემოში, ერთ-ერთ ძალზე დატვირთულ დღეს, უეცრად სუნი დადგა, გეგონებოდათ, სამყაროში ყველაფერს რაღაც „ენით აუწერელი“ შეერიოთ. კარგახნის შემდეგ, როდესაც შემონახსენები სიმყრალე გაიფანტა, კვლავ მოვეგეთ გონს და გავარკვიეთ, რა მოხდა. სახელდობრ, ეს საშინელი მოვლენა გამოწვეული იყო სწორედ იმ პლანეტით, რომელსაც დედამიწას უწოდებენ. იგი დროდადრო ისე ძალიან უახლოვდებოდა ხოლმე ჩვენს პლანეტა მარსს, რომ ზოგჯერ ჩვენი „ტესკუანოს“ გარეშეც კი ვამჩნევდით.

— როგორც გამოირკვა, ეს პლანეტა ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი მიზეზების გამო „აფეთქდა“ და მისგან მოცილებული ორი ნატეხი სივრცეში გაფრინდა.

— უკვე გითხარი, რომ ეს მზის სის-

ტემა მაშინ ახალი შექმნილი იყო და ჯერაც არ „შეხამებოდა“ „ეგრეთწოდებულ კოსმოსურ შემკვირვებათა ურთიერთშემანარჩუნებელ ქარმონიას“.

— მოგვიანებით გამოირკვა, რომ „ყველა კოსმოსური შემკვირვების ურთიერთშემანარჩუნებელი საყოველთაო კოსმოსური ქარმონიის“ მიხედვით უნდა ემოქმედა სწორედ ამ სისტემაში ეგრეთწოდებულ „დიდი წრებრუნვის“ კომეტას, რომელიც დღემდე „კომეტა-კონდურის“ სახელითაა ცნობილი.

— და თუმცა ეს კომეტა მაშინაც უკვე „შემკვირვებული“ იყო, თავის სრულ მარშრუტს პირველად ასრულებდა.

— როგორც მოგვიანებით რამდენიმე კომპეტენტურმა წმინდა ინდივიდუუმმა გულწრფელად აგვიხსნა, აღნიშნულ კომეტას თავის გზაზე უნდა გადაეკვეთა ხაზი, რომლისკენაც ეჭირა გეზი პლანეტა დედამიწას. მაგრამ ერთი წმინდა ინდივიდუუმის მცდარი გამოთვლების გამო (ეს ინდივიდუუმში იკვლევდა სამყაროს აღმშენებლობისა და შენარჩუნების საკითხებს) ამ ორივე შემკვირვების მიერ გასავლელი გზების გადაკვეთის წერტილზე მოახლოების დრო ერთმანეთს დაემთხვა, რის შედეგად პლანეტა დედამიწა და კომეტა კო-

ნდური ერთმანეთს შეეჯახა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ, როგორც უკვე გითხარი, პლანეტა დედამიწას მოტყდა ორი დიდი ნაწილი და სივრცეში გაუჩინარდა.

— ამ შეჯახებას ასეთი მძიმე შედეგები იმიტომ მოჰყვა, რომ ატმოსფეროს, რომელიც ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ „ბუფერის“ როლს ასრულებს — ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმარისი დრო, რადგან ის მხოლოდ მცირე ხნის წინ იყო შექმნილი, სრულად გავრცელებულიყო პლანეტა დედამიწაზე.

— პოდა, ჩემო ბიჭო, ამ საყოველთაო კოსმოსური უბედურების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს ჩვენს უსასრულობას.

— ამის შემდეგ ყოვლად უწმინდესმა „მზე-აბსოლუტმა“ დაუყოვნებლივ გააგზავნა მზის სისტემა ორსზე მთელი კომისია, რომელიც შედგებოდა ანგელოზებისა და მთავარანგელოზებისაგან, სამყარო შექმნისა და შენარჩუნების სპეციალისტები რომ იყვნენ; ამ კომისიას ხელმძღვანელობდა დიდი მთავარანგელოზი საკაკი. მაღალი კომისია ეწვია ჩვენს პლანეტა მარსს, რადგან იგი ყველაზე ახლო მდებარეობდა პლანეტა დედამიწასთან, და აქედან შეუდგა თავის გამოკვლევებს. ძალიან მაღალი კომისიის წმინდა წევრებმა იმწამსვე დაგვამშვიდეს და აგვიხსნეს, რომ მოსალოდნელი დიდი კოსმოსური მასშტაბის კატასტროფის საშიშროებამ უკვე ჩაიარა.

— და არქიინჟინერმა, მთავარანგელოზმა ალგემატანტმა პატივი დაგვდო და პირადად განგვიმარტა, გვაქვს საფუძველი განვაცხადოთ, რომ ასე და ასე მოხდაო:

— პლანეტა დედამიწისაგან მომწყდარმა ნატეხებმა მანამ დაკარგეს ბიძგისაგან მიღებული მამოძრავებელი ძალები, ვიდრე იმ სივრცის ნაწილის ზღვარს მიაღწევდნენ, ამ პლანეტის სფეროთი რომ იქმნება, ამიტომ, „ვარდნის კანონის“ თანახმად, კვლავ თავიანთ მთავარ ნაწილზე უკუვარდნა იწყეს.

— მაგრამ უკვე აღარ შეეძლოთ ვარდნა მთავარ ნაწილზე, რადგან ამასობაში

მოსვდნენ კოსმოსური კანონის, სახელდობრ, „დაწვევის კანონის“, შემოქმედების ქვეშ, და მთლიანად მას დაემორჩილნენ. ამიტომ ახლა მათ რვეულაოდ უნდა აღწერონ ელიფსური წრეები თავიანთი მთავარი ნაწილის გარშემო, ისევე როგორც მათი მთავარი ნაწილი, სახელდობრ კი პლანეტა დედამიწა, აღწერდა და ახლაც აღწერს ამ წრეებს თავისი მზის „ორსის“ გარშემო.

— ასე ვაგრძელებდა ეს, ვიდრე დიდი მასშტაბის რომელიმე ახალი, გაუთვალისწინებელი კატასტროფა ასე თუ ისე, არ შეცვლის ყოველივეს.

— როდესაც ერთხელ ერთ-ერთი თავისი წიგნი დაწერა, დაფიქრდა, თუ კიდევ რის შესახებ შეეძლო გაეგრძელებინა წერა და გადაწყვიტა, გამოეძებნა რომელიმე ახალი „იდეა“ თავისი ეგრეთწოდებული ბიბლიოთეკის წიგნებიდან, — ბიბლიოთეკისა, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ყოველ იქაურ მწერალს.

— ძებნისას ყურადღება შეაჩერა წიგნზე, „სახარებას“ რომ უწოდებენ.

— „სახარება“ იმ პლანეტაზე ჰქვია წიგნს, რომელიც ერთ დროს დაწერეს იესო ქრისტეს შესახებ მათემ, მარკოზმა, ლუკამ და იოანემ; იესო ქრისტე გახლავს წარგზავნილი ჩვენი უსასრულობის მიერ პლანეტა დედამიწაზე.

— ეს წიგნი ძალიან გავრცელებულია იქ სამცენტრიან არსებებს შორის, რომლებიც ამ წარგზავნილის მიხედვით წესებით „ცხოვრობენ“.

როდესაც ამ მწერალს შემთხვევით ეს წიგნი ჩაუვარდა, უეცრად ასეთი აზრი დაებადა — რატომ არ დავწერო მეც ასეთივე სახარებაო?

— გამოკვლევებიდან, რომლებიც უნდა განმეხორციელებინა სრულიად სხვა მიზნით, ცხადი შეიქნა, რომ იგი ასე მსჯელობდა:

— რით ვარ ნაკლები იმ ძველ ველურებზე — იოანეზე, ლუკაზე, მარკოზზე და მათეზე; და სხვა რომ არაფერი, მათზე ცივილიზებული მაინცა ვარ და შემძი-

ლია ჩემი თანამედროვეებისათვის ბევრად უფრო უკეთესი „სახარება“ დავწერო.

— „სახარება“ აუცილებლად უნდა დაიწეროს, რადგან ის ამჟამინდელი ხალხი, „ინგლისელებს“ და „ამერიკელებს“ რომ უწოდებენ, გატაცებული არიან ამ წიგნით და მათი ვირვანქებისა და დოლარების სავალუტო კურსი სწორედ ახლა არც თუ „მთლად ცუდია“. ითქვა — გაკეთდა.

— ამ დღიდან მოყოლებული იგი მუყაითად მუშაობდა თავის ახალ „სახარებაზე“.

— მაგრამ, როცა მუშაობა დაამთავრა და წიგნი დასაბეჭდად გადასცა, სწორედ მაშინ დატრიალდა ამ ახალ „სახარებასთან“ დაკავშირებული ამბები.

სხვა დროს, შესაძლოა, სრულიად არაფერი მომხდარიყო და მის ახალ „სახარებასაც“ უბრალოდ თავისი ადგილი მიჩენოდა იქაურ ბიბლიოფილთა ბიბლიოთეკებში სხვა მრავალ წიგნს შორის, მსგავს ჭეშმარიტებებს რომ ასახავენ.

— მაგრამ — ამ მწერლის საბედნიეროდ თუ საუბედუროდ — მოხდა ისე, რომ დიდი „საზოგადოების“ რამდენიმე „ძალაუფლების“ მქონე არსებებს არ გაუმართლდა იმაში, რასაც იქ „რულეტს“ და „ბაქარას“ (ბანქოს ერთგვარი თამაში) უწოდებენ და თავიანთი „თანამეგობრობის“ ჩვეულებრივ „წევრთაგან“ უფრო და უფრო მეტს იმას მოითხოვდნენ, იქაურები „ფულს“ რომ ეძახიან. ფულის ამ უზომო, წრეგადასულმა მოთხოვნამ იქაური არსებანი აღნიშნული „საზოგადოებისა“ თავიანთი ჩვეულებრივი „გონებაჩლუნგობის“ მდგომარეობიდან გამოაღვიძა და „ყურები დააცქვეტინა“.

— როდესაც სახლში დარჩენილმა „ძალაუფლების“ მქონე არსებებმა ეს შენიშნეს, შეშფოთდნენ და შესაბამისი „ზომების“ მიღება დაიწყეს.

— ამ ზომებში შედიოდა სასწრაფოდ განადგურება ყოველივე იმისა, რაც მათ მშობლიურ ქვეყანაში იმჟამად წარმოიქმნებოდა და ახლად იბადებოდა, რათა ამას ხელი არ შეეშალა მათი „თანაამხანაგო-

ბის“ ჩვეულებრივ წევრთათვის, კვლავ თავიანთი „მთვლემარე“ მდგომარეობას დაბრუნებოდნენ.

— სწორედ ამ დროს გამოვიდა იმ მწერლის შემომოსხენიებული „სახარება“.

— „ძალაუფლების“ მქონე არსებებმა ამ ახალი „სახარების“ მინარსშიც მიაკვლიეს რაღაცას, რასაც, მათი აზრით, იმ საზოგადოების ჩვეულებრივი წევრებისათვის შეიძლებოდა ხელი შეეშალა, რომ კვლავ „ძილს მისცემოდნენ“ და ამიტომ გადაწყვიტეს უბრალოდ მაშინვე თავიდან მოეცილებინათ როგორც მწერალი, ასევე მისი „სახარებაც“, მით უმეტეს, რომ იმჟამად უკვე საკმარისად გაწაფულნი იყვნენ ბუნებით „მეტეზარა“ და „არამკითხე“ არსებების თავიდან მოცილებაში, რომლებიც სხვის საქმეში ჰყოფენ ცხვირს.

— მაღლი შემთხვევას! — დაასრულა მთავარანგელოზმა ალგემატანტმა. — ყოველივე ამით არ დარღვეულა „პარმონიული საყოველთაო სისტემა-მოდრაობა“, და სისტემა „ორსის“ მშვიდობიანი არსებობა კვლავ მალე აღდგა.

— მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემო ბიჭო, უმაღლესმა კომისიამ იმ დროისათვის არსებული ყველა ფაქტი, და მომავალში შესაძლო მომენტებიც აწონ-დაწონა და გააკეთა დასკვნა, რომ თუმცა პლანეტა დედამიწის მოწყვეტილი ნატეხები ჯერჯერობით ინარჩუნებენ თავიანთ-დროებით მდგომარეობას, მაგრამ მომავალში ეგრეთწოდებული „ტასტარტუნარული გადაადგილების“ გამო, ამ კომისიამ რომ ცნო შესაძლებლად, შეიძლება გასცდნენ ამ ადგილებს და მრავალი გამოუსწორებელი გაჭირვება და უბედურება მოუტანონ სისტემა „ორსს“ და მეზობელ მზის სისტემებს.

ეს რომ არ მომხდარიყო, უმაღლესმა კომისიამ გადაწყვიტა გამაფრთხილებელი ზომები მიეღო. ამიტომ საუკეთესოდ მიიჩნიეს, მთავარ ნაწილს, ე. ი. დედამიწას, რეგულირულად გაეგზავნა მოწყვეტილი ნატეხებისათვის „ასკოკინის“ წმინდა ვიბრაციები.

ეს წმინდა ნივთიერება შეიძლება პლა-

ნეტაზე მხოლოდ მაშინ შეიქმნას, როდესაც მათზე მოქმედი ძირითადი კოსმოსური კანონები — „ჰეპტაპარაპარაშინოკი“ და წმინდა „ტრიამასიკამნო“, — როგორც იტყვიან — „ილნოსაპარნულად“ ფუნქციონირებენ, ე. ი. როდესაც ეს ორი წმინდა კანონი მოცემულ შესაბამის კოსმოსურ შემკვრივებაში ტრანსფორმირდება და დამოუკიდებლად გამოვლინდება მათ ზედაპირზე — დამოუკიდებლად, ცხადია, გარკვეულ ფარგლებში.

— ჰოდა, ჩემო ბიჭო...

— რადგან ასეთი კოსმოსური მოქმედება მხოლოდ „მისი უსასრულობის“ ნებართვითაა შესაძლებელი, დიდი მთავარანგელოზი საკაკი უმაღლესი კომისიის რამდენიმე წევრის თანხლებით დაუყოვნებლივ გაემართა „მისი უსასრულობის“ სანახავად, რათა ეს ნებართვა მიეღო.

— როდესაც წმინდა ინდივიდუუმებმა „ილნოსაპარნული პროცესის“ შესასრულებლად მისი „უსასრულობის“ ნებართვა მიიღეს, და დიდი მთავარანგელოზის საკაკის ხელმძღვანელობით ეს პროცესი ჩაატარეს ამ და სხვა პლანეტებზეც, დაიწყო იმ „შესაბამისის“ ჩამოყალიბება, რომლის წყალობითაც მოწყვეტილი ნაწილები კვლავ არსებობენ, მაგრამ დიდი მასშტაბის კატასტროფით აღარ იმუქრებიან.

— ამ ნაწილებიდან უფრო დიდს იმხანად „ლუნდერპერცო“-ს უწოდებენ, მომცროს კი „ანულიოს“-ს; ჩვეულებრივ, სამტვინიანი არსებები, რომლებიც მოგვიანებით ამ პლანეტაზე წარმოიქმნენ და ჩამოყალიბდნენ, აღნიშნულ ნაწილებს ამავე სახელწოდებებით იხსენიებდნენ. სხვადასხვა პერიოდში სხვა სახელები უწოდეს, ბოლო პერიოდის სამტვინიანმა არსებებმა კი მოზრდილ ნაწილს „მთვარე“ უწოდეს, ხოლო მომცროს ნაწილის სახელი თანდათანობით დაივიწყეს. ახლანდელმა არსებებმა არა მხოლოდ არ იციან აღნიშნული მომცროს ნაწილის სახელი, არამედ წარმოდგენაც არა აქვთ მის არსებობაზე.

საინტერესოა ითქვას, რომ ამ პლანეტის ერთ-ერთი კონტინენტის (მას „ატლანტიდა“ ერქვა და მოგვიანებით გაქრა)

არსებები იცნობდნენ თავიანთი პლანეტის მეორე ნაწილს და „ანულიოს“-ს უწოდებდნენ; მაგრამ ამ კონტინენტის ბოლო პერიოდის არსებები, მას „ვიმესპაი“-საც უწოდებდნენ, რაც ნიშნავს „ეს, ისაა, რომელიც ვინმეს მშვენიერი ძილის საშუალებას ჰქვამს“.

ამ თავისებური პლანეტის ახლანდელმა სამტვინიანმა არსებებმა არაფერი იციან თავიანთი პლანეტის ამ წინანდელი ნაწილის შესახებ, რადგან შედარებით მცირე მოცულობისა და სამოძრაო ადგილის სიმშორის გამო იგი უჩინარია მათი თვალისათვის; ვარდა ამისა, მათთვის არც ერთ რეზიან არასოდეს უთქვამს, რომ ოდესღაც ძველ დროშიც ცნობილი იყო მათი პლანეტის ასეთი პატარა თანამგზავრი.

— და თუ რომელიმე მათგანი შემთხვევით დაინახავდა მას თავისი კარგი, მაგრამ მაინც „ბავშვური სათამაშოთი“, ტელესკოპი რომ ჰქვია, ყურადღებას არ გაამახვილებდა ამაზე, რადგან მას უბრალოდ დიდ მეტეორიტად ჩათვლიდა.

— ახლანდელი არსებანი კი, მას, ალბათ, ველარასოდეს დაინახავენ, რადგან უკვე კარგა ხანია მათ შეუძლიათ დაინახონ მხოლოდ არანამდვილი და ყალბი.

„მივუზღაო მათ ჯეროვანი“: ბოლო ასწლეულების განმავლობაში ისინი ისეთი მექანიზებულნი გახდნენ მრავალი ხელოვნური რაღაცით, რომ ვერაფერ ჰემარიტს ველარ ხედავენ.

— ჰოდა, ჩემო ბიჭო, ზემოთქმულის საფუძველზე ამ პლანეტა დედამიწაზეც თავიდან წარმოიშვნენ — როგორც მოსალოდნელი იყო — ისინი, რასაც „ინტერალური მთლიანობის ანალოგიები“, ანდა, როგორც ამბობენ, „მიკროკოსმები“ ჰქვია. შემდეგ ამ „მიკროკოსმებიდანაც“ წარმოიშვნენ ევრეთწოდებული „ოდიურისტოლნური“ და „პოლორმედესტური“ ვეგეტაციები.

— მოგვიანებით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება კიდევ, ამ „მიკროკოსმებიდან“ წარმოიქმნენ ყველა სამივე ტვინის სისტემის ევრეთწოდებული „ტეტარკოსმების“ სხვადასხვა ფორმები.

— ამ უკანასკნელთაგან კი შემდეგ წარმოიშენენ ის ორფეხიანი „ტეტარკოსმები“, რომელთაც მათ „ლოკოკინები“ უწოდეს.

— მაგრამ, თუ როგორ და რატომ წარმოიქმნებიან პლანეტებზე „ინტეგრალური მთლიანობის ანალოგიები“ მაშინ, როდესაც მთავარი წმიდათაწმიდა კანონები „ილნოსაპარნული“ ხდებიან, რომელი ფაქტორები განაპირობებენ სხვადასხვა, ევრეთწოდებული „ყოფიერების ტვინის სისტემის“ შექმნას ანდა სამყაროს შექმნასა და შენარჩუნებას საერთოდ, — ყოველივე ამის შესახებ სხვა დროს საგანგებოდ გე-საუბრები.

— მანამდე კი გაითვალისწინე, რომ პლანეტა დედამიწაზე წარმოქმნილ სამტვინიან არსებებს, რომლებიც შენ გაინტერესებს, თავიდან იკიფე შესაძლებლობები პქონდათ ფუნქციების გასაუმჯობესებლად და ამდენად „ყოფიერების ტვინის“ მოსაპოვებლად, როგორც სხვა „ტეტარკოსმებს“ მთელს სამყაროში.

— მოგვიანებით კი, იმ პერიოდში, როცა მათაც, — როგორც ეს ჩვენი დიდი სამყაროს სხვა მსგავს პლანეტებზე ხდება — თანდათანობით გასულიერება დაიწყეს იმის მეშვეობით, რასაც „ყოფიერების ინსტინქტს“ უწოდებენ, მოხდა ზემოდან გაუთვალისწინებელი და მათთვის ესოდენ სამწუხარო უბედურება.

თავი V

რატომ არ არიან „ადამიანები“ ადამიანები

ბელზებელმა ღრმად ამოიხრა და თხრობა განაგრძო:

— „ილნოსაპარნული პროცესის“ განხორციელების შემდეგ ამ პლანეტაზე ობიექტური წელთაღრიცხვით ერთი წელი გავიდა.

ამ პერიოდში პლანეტა დედამიწაზე ურთიერთშეთანხმებულად ხორციელდებოდა ინვოლუციისა და ევოლუციის შესაბამისი პროცესები.

— და რასაკვირველია, იქაურ სამტვინიან არსებებშიც დაიწყო შესაბამისი მონაცემების გამოკრისტალება ობიექტური გონების შესაძენად.

— მოკლედ რომ ვთქვა, პლანეტა დედამიწაზე ამ დროისათვის ყოველივე ჩვეული ნორმალური წესრიგით მიმდინარეობდა.

— პოდა, ჩემო ბიჭიკო, ის უმაღლესი კომისია იმავე მთავარანგელოზ საკაკის ხელმძღვანელობით ერთი წლის შემდეგ კვლავ იქ რომ არ ჩასულიყო, ყველა შემდგომი გაუგებრობა, რომლებიც ამ უბედური პლანეტის სამტვინიან არსებებს უკავშირდებოდა, ალბათ, არ მოხდებოდა.

— უმაღლესი კომისია იქ ხელმეორედ იმიტომ ჩავიდა, რომ უმეტეს წმინდა წე-

ვრთა გონებაში — მიუხედავად მიღებული ზომებისა, რომელთა შესახებაც მე შენ გაამბობდი — ჯერ კიდევ არ იყო გამოკრისტალებული სრული რწმენა იმისა, რომ მომავალში აღარ ექნებოდა ადგილი არასასურველ მოულოდნელ შემთხვევებს; ამიტომ მათ სურდათ მიღებული ზომების შედეგები ადგილზე შეემოწმებინათ.

— მეორედ მისვლისას უმაღლესმა კომისიამ გადაწყვიტა ყოველი შემთხვევისათვის, თუნდაც მხოლოდ საკუთარი სიმშვიდისათვის, რამდენიმე საგანგებო ღონისძიება განეხორციელებინა, მათ შორის ისეთებიც, რომელთა შედეგები თანდათანობით საშინელ უბედურებად და ვაჭირვებად ექცა ამ პლანეტის სამტვინიან არსებებს, ამასთან მათ დიდი სატანჯველიც მოუტანეს მთელს ამ ვეებერთელა სამყაროს.

— შენ უნდა იცოდე, რომ უმაღლესი კომისიის ჩასვლისას სამტვინიან არსებებში, ნელ-ნელა დაიწყო ამოძრავება მათთვის ჩვეულმა „მექანიკურმა ინსტინქტმა“.

— უმაღლესი კომისიის წმინდა წევრებმა დაასკვნეს, რომ თუ ორკეხა და სამტვინიან არსებებში — ჩვეულებრივ ეს

ინსტიტუტი ობიექტური გონების შექმნის მიმართულებით განვითარდებოდა, შეიქმნებოდა საშიშროება, რომ ისინი ნაადრევად შეიტყობდნენ თავიანთი წარმოშობისა და არსებობის ნამდვილ მიზეზებს და მრავალ სიძნელესაც შექმნიდნენ; დიახ, საქმე შეიძლება იქამდეც მისულიყო, რომ, როდესაც თავიანთი წარმოქმნის მიზეზებს გაიგებდნენ, — სახელდობრ კი იმას, რომ თავიანთი არსებობით პლანეტის მოცილებული ნაწილები უნდა შეენარჩუნებინათ, — ამასთან დარწმუნდებოდნენ, რომ სრულიად უცხო გარემოებათა გამო მონებად ქცეულიყვნენ, შეიძლება აღარ მოენდომებინათ არსებობის შემდგომი გაგრძელება და თავიც გაენადგურებინათ.

— აქედან გამომდინარე, ჩემო ბიჭიკო, უმაღლესმა კომისიამ სხვა საკითხებთან ერთად ისიც გადაწყვიტა, რომ სამტვინიანი არსებების ორგანიზმში დროებით ჩაენერგათ განსაკუთრებული ორგანო, რომლის თვისების ძალითაც ჯერ ერთი, მათ სინამდვილე უკულმა აღაქმევინოს და, მეორეც, გარედან მიღებულმა შთაბეჭდილებამ მათ არსებაში გამოაკრისტალოს „სიამოვნებისა“ და „ტკბობის“ შეგრძნებები.

— მართლაც, უნივერსალური უპირველესი „მთავარ-ქიმიკოს-ფიზიკოს-ანგელოზის“ — ლუიზოსის დახმარებით, რომელიც ასევე უმაღლესი კომისიის წევრი გახლდათ, სამტვინიან არსებებს ხერხემლის ბოლოში, კუდის ძირში ჩაუნერგეს „რალაც“, ზემოხსენებულ თვისებებს რომ წარმოქმნიდა; — თავდაპირველად ეს კუდი საერთო ორგანიზმის ჩვეულებრივი გარეგნული შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც გამოსატავდა ეგრეთწოდებულ „თავისი შინაგანი მნიშვნელობის სისრულეს“.

— ამ „რალაცას“ ისინი თავდაპირველად ორგანო „კუნდაბუფერს“ უწოდებდნენ.

— მას შემდეგ, რაც უმაღლესმა კომისიამ, — წმინდა ინდივიდუუმებისაგან რომ შედგებოდა დიდი მთავარანგელოზის საკაცის მეთაურობით, — ეს ორგანო სა-

მტვინიანი არსებების ორგანიზმს ჩაუნერგა და მისი შემოქმედების ძალაც ირწმუნა, იგი დამშვიდდა და სუფთა სინდისით ცენტრში დაბრუნდა, მაგრამ პლანეტა დედამიწაზე, რომელიც მენ/ასე გიზიდავს, პირველი დღეებიდანვე გასაოცარი და ძალიან მსახიროვნებურულად მოფიქრებული აღმოჩენის შემოქმედების ძალამ. ამაზე იტყოდა მოლა-ნასრ-ედინი: „როგორც იერიქონის საყვირი თავისი სრული მჭექარებით“.

— მიახლოებით მაინც რომ წარმოიდგინო შეუდარებელი ანგელოზის ლუიზის — მარადიული კურთხევა მის სახელს! — მიერ აღმოჩენილი და განხორციელებული ორგანოს თვისებათა შედეგები, აუცილებლად უნდა იცოდე იმ პლანეტის სამტვინიან არსებათა სხვადასხვა გამოვლინებანი იმ პერიოდში, როცა ეს ორგანო ჯერ კიდევ მათ ორგანიზმში იყო, და ასევე გვიანდელ პერიოდებშიც, როცა საკვირველი ორგანო და მისი თვისებები მათში მოისპო; მიუხედავად ამისა, თვისებების შედეგები, მრავალი მიზეზთა გამო მაინც გამოკრისტალდა მათს საერთო ორგანიზმში.

— მაგრამ ამას მოგვიანებით აგისხნი. ჯერჯერობით კი ის იცოდე, რომ უმაღლესი კომისია მესამეჯერაც ჩავიდა იქ, ობიექტური წელთაღრიცხვით სამი წლის შემდეგ, მაგრამ ამჯერად დიდი სერაფიმ სევოტაფტრას მაღალი ხელმძღვანელობით, რადგან დიდი მთავარანგელოზი საკაცი ამასობაში ღირსჰყევს გამხდარიყო ის ღვთაებრივი ინდივიდუუმში, ახლაც რომ არის, სახელდობრ კი იგი ოთხთაგან „სამყაროს მეოთხედის ერთ-ერთი მფარველია“.

— უმაღლესი კომისიის წმინდა წევრების მესამედ ჩასვლისას საფუძვლიანი გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ მოცილებული ნაწილების არსებობის შესანარჩუნებლად საჭირო აღარ იყო მაშამდე განზრახ გამოყენებული გამაფრთხილებელი ზომების კვლავ მიღება და „არქი-ქიმიკოს-ფიზიკოს ანგელოზმა“ ლუიზოსმა გააუქმა აღნიშნული კუნდაბუფერი.

— მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს მიერ დაწყებულ აზიას.

— მაშასადამე... როცა აღნიშნული კატასტროფით გამოწვეული გაოგნება, — მთელ ამ მზის სისტემას რომ ემუქრებოდა, — დაცხრა, ჩვენ კვლავ განვაგრძეთ არსებობა ახალ ადგილსამყოფელში, პლანეტა მარსზე რომ მოგვიჩინეს; თანდათან გავეცანით იქაურ ბუნებას და ნელ-ნელა შევეგუეთ არსებულ პირობებს.

— როგორც უკვე გითხარით, ბევრი ჩვენგანი საბოლოოდ დამკვიდრდა პლანეტა მარსზე — სხვები კი ან გაფრინდნენ, ანდა ემზადებოდნენ იმავე მზის სისტემის სხვა პლანეტებზე გადასასვლელად ხომალდ „ოკაზიონის“ მეშვეობით, რაც „ხელსაყრელ შემთხვევას“ ნიშნავს, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო საპლანეტთაშორისო კავშირების დასამყარებლად.

— პირადად მე ჩემს რამდენიმე ნათესავთან და ერთგულ მეგობართან ერთად საცხოვრებლად პლანეტა მარსზე დავრჩი.

— პოდა, აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ იმ დროს, რომელსაც ეს ნაამბობი ეხება, ჩემი პირველი „ტესკუანო“ უკვე დაყენებული იყო ობსერვატორიაში, პლანეტა მარსზე რომ ავაშენე; მაშინ მთელ ჩემს დროს სწორედ ამ ობსერვატორიის შემდგომ მოწყობასა და გაუმჯობესებას ვუთმობდი, რათა უფრო საფუძვლიანად დავკვირვებოდი, ჩვენი მზის სისტემის პლანეტებს და ჩვენი დიდი სამყაროს შორეულ სიმკვრივეებს, სახელდობრ, იმხანად ჩემი დაკვირვების ობიექტს შეადგენდა პლანეტა დედამიწაც.

— გადიოდა ხანი.

— არსებობის პროცესი ამ პლანეტაზეც თანდათანობით საჭიროებისამებრ მყარდებოდა და გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ყოველივე ზუსტად ისევე მიმდინარეობდა, როგორც სხვა პლანეტებზე.

— მაგრამ, თუ უფრო საფუძვლიანად დავაკვირდებოდით, ცხადად შევამჩნევდით, პირველ ყოვლისა, იმას, რომ სამტვინიანი არსებების რიცხვი თანდათანობით

მატულობდა და ზოგჯერ ძალიან უცნაური გამოვლინებებიც ჰქონდათ; მაგალითად, დროდადრო ისინი ისეთ რამეებს სჩადიოდნენ, რასაც არასდროს კეთებდნენ სამტვინიანი არსებანი სხვა პლანეტებზე; სახელდობრ, უეცრად მან მკვლელად უმიზეზოდ ერთმანეთს უღებდა დაწყეს.

— ეს ურთიერთჟლეტა იქ მრავალ მხარეში გრძელდებოდა თანაც არა ერთი, არამედ მრავალი „დიანოსკი“ (დღე), ზოგჯერ კი მთელი „ორნაკრებიც“ (თვე).

— ზოგჯერ შესამჩნევი იყო, რომ ამ საშინელი პროცესის შედეგად მათი რიცხვი სწრაფად მცირდებოდა, სხვა პერიოდებში კი, როდესაც ასეთი პროცესები წყდებოდა, საგრძნობლად მატულობდა.

— ჩვენ ნელ-ნელა მივეჩვიეთ მათთვის დამახასიათებელ თვისებას, ვხსნიდით ყოველივეს იმით, რომ უმალლესმა კომისიამ, გარკვეულ მაღალ მოსაზრებათა გამო, ალბათ, ეს თვისებებიც მიანიჭა ორგანო კუნდაბუფერს; ე. ი. ვხედავდით ამ ორფეხიან არსებათა გამრავლების უნარს და მივიჩნევდით, რომ ეს წინასწარ იყო განზრახული, რადგან „საყოველთაო-კოსმოსურ-პარმონიული განვითარების“ დაცვა მათგან ამ რიცხვმრავლობას მოითხოვდა.

— ეს უცნაური თავისებურება რომ არა, არავის მოუვიდოდა აზრად, რომ ამ პლანეტაზე რაღაც მთლად „წესრიგში არ არის“.

— იმ დროისათვის, რომელსაც ჩემი ნათქვამი შეეხება, მე უკვე მონახულებული მქონდა ამ მზის სისტემის თითქმის ყველა დასახლებული თუ ჯერ კიდევ დაუსახლებელი პლანეტა.

— პირადად მე ყველაზე უფრო მომეწონა სამცენტრიანი არსებანი, რომლებიც პლანეტა „სატურნზე“ გვხვდებიან; გარეგნობის მიხედვით მათ არაფერი აქვთ ჩვენთან საერთო; ისინი ჰგვანან მოზრდილ ფრინველ-არსებებს, „ყვავს“ რომ უწოდებენ.

— საინტერესოა ამასთანავე ითქვას, რომ ფრინველ-არსება „ყვავის“ ფორმა რომელიღაც მიზეზით არათუ ამ მზის სი-

სტემის თითქმის ყველა პლანეტაზე გვხვდება, არამედ მთელი დიდი სამყაროს უმეტეს პლანეტებზეც, რომლებზეც სხვადასხვა ტვინის არსებები წარმოიშვებიან და სხვადასხვა ფორმის პლანეტურ სხეულებს იძენენ.

— სამეტყველო ურთიერთობა კი ამ „ყვავ-არსებებს“ პლანეტა სატურნზე თითქმის ისეთივე აქვთ, როგორც ჩვენ.

— რაც შეეხება თვითონ სამეტყველო ედერადობას, ის ჩემი აზრით, უმშვენიერესია იმათ შორის, მე რომ მსმენია.

— იგი შეიძლება შევადაროთ ჩვენი საუკეთესო მომღერლების სიმღერას მინორულ ტონში.

— რაც შეეხება მათ ურთიერთდამოკიდებულებას... პო, არც კი ვიცი, როგორ აღვწერო ეს... ამის გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მათ შორის ვცხოვ-

რობთ, ან ამ ურთიერთობას პირადად ვაკვირდებით.

— შეიძლება, ალბათ, ასე ვთქვათ, რომ ამ ფრინველ-არსებებს ისეთივე გულები აქვთ, როგორც იმ ანგელოზებს, რომლებიც ყველაზე ახლეს, ყველაზე უსასრულო შემქმნელთან და უმხმამღმამთან.

— ისინი არსებობენ ჩვენი შემოქმედის ზუსტად მეცხრე მცნების შესაბამისად: „განეწყვე ყოველივეს მიმართ ისე, თითქოს ეს შენი საკუთარი იყოს“.

— მოგვიანებით უფრო დაწვრილებით გიამბობ სამტვინიანი არსებების შესახებ, რომლებიც წარმოიშვებიან და არსებობენ პლანეტა სატურნზე, რადგან ჩემი ერთ-ერთი ნამდვილი მეგობარი სწორედ ამ პლანეტის მკვიდრი იყო, ყვავის გარეგნული სამოსელი პქონდა და სახელად „პარპარხი“ ერქვა.

თავი XI

აღამიანის თავისებური ფსიქიკის პიკანტური თვისება

— დავუბრუნდეთ სამტვინიან არსებებს, პლანეტა დედამიწაზე რომ წარმოიქმნენ, რომელთაც შენ „ლოკოკინები“ უწოდე.

— უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრა, რომ შენ შორს იმყოფები სამცენტრიანი არსებებისაგან, რომლებიც ისეთი სიტყვით მოიხსენიე, „ღრმად რომ შეურაცხყოფს მათ ღირსებას“; და მიხარია, რომ ისინი ამას ვერასოდეს შეიტყობენ.

— იცი, თუ არა, შე საბრალო ბიჭუნავ, — ჯერ კიდევ რომ არ შეგიცვნიას საკუთარი თავი, — რას გიზამდნენ ისინი, და განსაკუთრებით კი ახლანდელი იქაური არსებები, რომ გაეგოთ, თუ რა უწოდე მათ?

— რას გიზამდნენ ისინი, იქ რომ ყოფილიყავი და მათ ხელში ჩაეარდნოდი, — მართო ამის გაფიქრებაც კი შიშის ურუნტელს მგვრის!

— უკეთეს შემთხვევაში ისინი ისე გაგლახავდნენ, რომ, — როგორც ჩვენი

მოლა ნასრედინი ამბობს, — „მეორე გაწკებლვამდე გონს ვერ მოხვიდოდი“.

— ყოველ შემთხვევაში, მე გირჩევ, ახალი საქმის დაწყებისას მუდამ დალოცო შენი ბედი და შეევედრო, იყოს მოწყალე შენდამი და იფხიზლოს, რათა პლანეტა დედამიწის მკვიდრთ არასდროს შეატყობინოს, რომ სწორედ შენ, ჩემო საყვარელო და ერთადერთო შვილიშვილო, გაბედე და მათ „ლოკოკინები“ უწოდე.

— უნდა იცოდე, რომ პლანეტა მარსიდან დაკვირვებების წარმოებისას და მათ შორის ყოფნის დროს ძალიან საფუძვლიანად შევისწავლე ამ უცნაურ სამტვინიან არსებათა ფსიქიკა და კარგად ვიცი, რასაც უზამდნენ იმას, ვინც გაბედავდა მათთვის ასეთი მეტსახელის შერქმევას.

— მართალია, შენ ბავშვური გულუბრყვილობით მოგივიდა ეს, მაგრამ ამ თავისებური პლანეტის სამტვინიანი მკვიდრნი, განსაკუთრებით კი ახლანდელნი, ასეთი დეტალების გარჩევით დიდად თავს არ იწუხებენ.

— ვინ უწოდა ეს, რატომ და რომელ გარემოებაში, ეს სულერთია, შენ მათ სახელი უწოდე, რომელიც შეურაცხყოფლად მიაჩნიათ და ეს სავსებით საკმარისია.

— ამგვარი გარჩევა-განსხვავებანი მათი უმეტესობის მოსაზრებით არის „წყლის ნაყვა“.

— როგორც არ უნდა იყოს, შენ ძალზე გაუფრთხილებლად მოიქეცი, ასეთი შეურაცხყოფელი სიტყვით რომ მოიხსენიე პლანეტა დედამიწის მცხოვრებნი; ჯერ ერთი, ამით საზრუნავი მე გამიჩინე და მეორეც, საფრთხე შეუქმენი საკუთარ თავს მომავალში.

— საქმე შემდეგშია: თუნდაც ვერ მოაღწიონ შენამდე (რადგან ძალიან შორს ხარ), რათა პირადად დაგსაჯონ, მაინც დარწმუნებული ბრძანდებოდე რეალურ „ანათემაში“, რომელსაც „მოვიძღვნიან“, როცა გაიგებენ რა შეურაცხყოფა მიაყენე მათ, და იმ მასშტაბებში, ეს ანათემა რომ მიიღებს მათი ინტერესის მიხედვით მოცემულ მომენტში.

— შეიძლება ღირდეს აღვწერო, როგორ მოიქცეოდნენ დედამიწის მკვიდრნი, თუკი გაიგებდნენ, რომ შენ ისინი შეურაცხყავი. ეს შეიძლება გამოდგეს იმის კარგ მაგალითად, რომ ვაგარკვიო იმ სამტვინიან არსებათა ფსიქიკაში, რომლებიც შენ ასე ძალიან გაინტერესებს.

— აღვზნებულნი ამ შემთხვევით, სახელდობრ კი იმ შეურაცხყოფით, შენ რომ მიაყენე, ისინი სადმე წინასწარ დათქმულ ადგილას მოაწყობდნენ ევრეთოდებულ „საზეიმო შეკრებას“ მხოლოდ და მხოლოდ წინასწარ მოწვეული ხალხი რომ დაესწრებოდა, და ყველა უკლებლივ, ცხადია, ასეთი შემთხვევებისთვის გათვალისწინებული შესაბამისი ტანსაცმელით იქნებოდნენ მოსილნი.

— უპირველეს ყოვლისა, ისინი ამ შეკრებაზე თავიანთი რიგებიდან აირჩევენ „თავმჯდომარეს“ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებიან „საქმის გამოძიებას“. იმით დაიწყებენ, რომ, როგორც თავად ამბობენ, „შეგისწავლიან ტერფიდან თხე-

მამდე“ და არა მხოლოდ შენ, არამედ შენს მამას და ბაბუას და შეიძლება იმას იქითაც, შენს ადამის დროინდელ წინაპრებამდე.

— თუკი ისინი შემდეგ რასაკვირველია, „ხმათა უმრავლესობის“ გადაწყვეტენ, რომ შენ უმრავლესობის წევრად, მოგიხსიან სასჯელს „კანონთა კოდექსში“ აღწერილი პარაგრაფების მიხედვით.

— მაგრამ, თუკი „ხმათა უმრავლესობით“ გადაწყდება, რომ დანაშაული არ მიგიძღვის, — თუმცა ეს მათთან ძალიან იშვიათად ხდება, — ხომ არ ფიქრობ, ეს დაწვრილებით ქალაქზე ახსნილ-განმარტებული და ყველასგან ხელმოწერილი „საგამოძიებო მასალა“... გაუქმდება დანაგავს შეუერთდება?... არა, სრულიადაც არა; იგი გადაეცემა „პროფესიონალ სპეციალისტებს“. ამ შემთხვევაში კი „იერარქიას“ და „წმინდა სინოდს“,... იქ კი მთელი ეს პროცედურა განმეორდება — მხოლოდ შენ ამჯერად „სოლიდური არსებანი დაგკითხავენ“.

— მხოლოდ მთელი ამ ნამდვილი „წყლის ნაყვის“ შემდეგ გადავლენ მთავარ საკითხზე, სახელდობრ კი იტყვიან, რომ მათ არ შეუძლიათ ბრალდებულის დატუსაღება.

— აი აქ კი უკვე ხიფათი მოგელის... როდესაც ბოლოს და ბოლოს სრულიად დარწმუნდებიან, რომ არ შეუძლიათ შენი შეპყრობა, ისინი, ამჯერად ერთხმად გადაწყვეტენ, რომ „შეგარვენონ“, როგორც ეს ადრე უკვე ვითხარი.

— იცე კი, რას ნიშნავს ეს და როგორ ხდება საერთოდ? არ იცი.

— ჰოდა მომისმინე და თრთოდე!

— „უმნიშვნელოვანესი“, ყველაზე ავტორიტეტული არსებანი გასცემენ განკარგულებას, რომ ყოველმა სხვა არსებამ ყოველ თავის შესაბამის დაწესებულებაში, როგორებიცაა „ეკლესია“, „სამლოცველო“, „სინაგოგა“, „რატუშა“ და სხვა, შესაბამისი ცერემონიების დაცვით აზრობრივად დაახლოებით შემდეგი რამ გისურვონ:

— რომ რქები გაგვივდეს, თმები ნა-
ადრევედ გაგიჭალარავდეს, საჭმელი მუ-
ცელში ლურსმნებად გექცეს, შენს მომა-
ვალ ცოლს სამჯერ უფრო გრძელი ენა
ჰქონდეს, ანდა ბოლოს, ყოველთვის, რო-
დესაც შენი საყვარელი ნამცხვრის ნაჭერს
პირში ჩაიდებ, ის საპნად იქცეს და ა. შ.
და ა. შ.

— გესმის ახლა, რა ხიფათში ჩაიგდე
თაყი, როდესაც ამ ჩვენგან ძალზე დაცი-
ლებულ, შორს მყოფ სამტვინიან არსე-
ბებს „ლოკოკინები“ უწოდებ?

— აქ ბელზებელმა ლაბარაკი დაასრუ-
ლა და ღიმილით შეხედა ფაფის საყვარელ
შვილიშვილს.

თავი XII

პირველი „ბრდღვინვა“ („ღრინა“)

ცოტა ხნის შემდეგ ბელზებელმა განა-
გრძო:

— ჩემი აზრით, იმ პლანეტის მკვიდრ
სამტვინიან არსებათა — შენ რომ ასე
ძალიან მოგწონს, — ფსიქიკის უცნაუ-
რობის ასახსნელად თავიდან შეიძლება ის
ამბავიც გამოდგეს, რომელიც ახლახან
აღნიშნულ „ანათემასთან“ დაკავშირებით
გავიხსენე; გარდა ამისა, ეს ისტორია შენ
ცოტათი დაგამშვიდებს და იმის იმედს
მოგცემს, რომ, თუ ის უცნაური მიწიერი
არსებანი შემთხვევით გაიგებენ, როგორ
შეურაცხყავი ისინი, და ამის გამო „შე-
გაჩვენებენ“, შეიძლება ბოლოს და ბო-
ლოს „არც თუ ისე ცუდ დღეში“ ჩაეარდე.

— ამბავი, რომელსაც ახლავე მოგიყ-
ვები, სულ ცოტა ხნის წინ მოხდა თანა-
მედროვე სამტვინიან არსებებში და იგი
შემდეგმა გარემოებებმა გამოიწვია:

— ერთ-ერთ იმათ დიდ „საზოგადოება-
ში“ მშვიდობიანად ბინადრობდა ჩვეულებ-
ბრივი არსება, რომელიც პროფესიით იყო,
როგორც იქ უწოდებენ, — „მწერალი“.

— სხვათა შორის, უნდა იცოდეთ, ძველ
დროში ამ პროფესიის არსებათა შორის
შეხვედებოდი ისეთებსაც, რომლებიც და-
მოუკიდებლად აზროვნებდნენ და შემდეგ
თავიანთ ნააზრევს წერილობით გადმო-
სცემდნენ; უკანასკნელ ეპოქებში იქაურ
არსებებში, განსაკუთრებით კი თანამედ-
როვეებში, ისეთები ითვლებიან „მწერ-
ლად“, რომლებიც ყველა შესაძლო იდეას
მრავალი, უკვე დაწერილი წიგნიდან იწე-
რენ, გადაამუშავენ და აქედან „ახალ

წიგნს“ „აცნობენ“. ამასთან უპირატესო-
ბას ანიჭებენ წიგნებს, ძალიან შორეული
წინაპრებიდან რომ მოაღწია,

— აუცილებლად უნდა ითქვას ის, რომ
წიგნები, რომლებსაც თანამედროვე
„მწერლები“ წერენ, იმისი უმთავრესი
მიზეზი არიან, რომ ყველა სხვა სამტვი-
ნიან არსებათა გონება უფრო და უფრო
ხდება ის, რასაც ღირსპატივისცემა მო-
ლა-ნასრ-ედინი „სისულელეს“ და „ტაკი-
მასხრობას“ უწოდებს.

— პოდა, ჩემო ბიჭო, ეს თანამედრო-
ვე „მწერალი“, რომელზეც მინდა გიამ-
ბო, იყო ისეთი „მწერალი“, როგორიც
ყველა სხვა და ბევრი არაფრით გამოირ-
ჩეოდა მათგან.

— მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ვერ
მოახერხეს ასე მოქცეოდნენ იმ მწერალს,
რამაც ისინი მეტად ააღელვა და შემდეგ
დიდხანს ბჭობდნენ, რა გაეკეთებინათ.

— ზოგიერთები ამბობდნენ, მწერალი
უბრალოდ იქ გაგამწესოთ, სადაც ბევრი
ვირთაგვა და ტილიათ. ზოგის აზრით,
უმჯობესი იქნებოდა მისი იქ გაგზავნა,
საიდანაც ველარ ბრუნდებიან და ა. შ. და
ა. შ.; ბოლოს გადაწყვიტეს, საჯაროდ და
ყველა წესის დაცვით შეეჩვენებინათ თა-
ვისი „სახარებითურთ“, ცხადია, ისინი,
შენც ასევე მოგექცეოდნენ, რომ გაეგოთ,
თუ როგორ შეურაცხყავი ისინი.

— პოდა, ჩემო ბიჭო: ამ თავისებური
პლანეტის დღევანდელ სამტვინიან არსე-
ბათა ფსიქიკის უცნაურობა მოცემულ შე-
მთხვევაში იმით გამოიხატა, რომ მას შემ-

დევ: რაც ეს მწერალი თავისი „სახარები-
თურთ“ საჯაროდ შერისხეს, იგი, როგორც
ჩვენი ღრმად პატივცემული მოლა-ნასრ-
ედინი იტყოდა, „ტკბილ ცხოვრებას“
ენია.

— ეს კი შემდეგნაირად მოხდა:

— როდესაც შემოსხენებული საზოგა-
დობის ჩვეულებრივმა წევრებმა დაინა-
ხეს, როგორი „აურზაური ატეხეს“ „ძა-
ლაუფლების მქონე“ არსებებმა ამ მწერ-
ლის გემო, ძალიან დაინტერესდნენ მისი
ინდივიდუუმით და ხარბად დაეწაფნენ
არა მხოლოდ ახალ „სახარებას“, არამედ
წაიკითხეს მისი წინანდელი წიგნებიც.

— იმ დროიდან აღნიშნული „თანამე-
გობრობის“ „წევრებს“ — როგორც ეს
ჩვეულებრივ ხდება ამ თავისებური პლა-
ნეტის სამტვინიან არსებებში — ყველა
სხვა ინტერესი გაუქრათ, მხოლოდ ამ
მწერალზე ლაპარაკობდნენ და მარტო-
დენ მასზე ფიქრობდნენ.

— და როგორც ეს ჩვეულებრივ იქ
ხდება, — როცა ზოგიერთი მათგანი ხოტ-
ბას ასხამდა ამ მწერალს, სხვები კი აძა-
გებდნენ, ამ საუბრისა და დისკუსიების
შედეგად მათი რიცხვი, ვინც ამ მწერლით
იყვნენ დაინტერესებული, საგრძნობლად
გაიზარდა. და ეს იმიტომ მოხდა, რომ იმ
„თანამეგობრობის“ ძალაუფლების მქო-
ნე წევრების ნაწილი, — ჩვეულებრივ
ფულით სავსე ჯიბით — მიდიოდა სხვა
საზოგადოებებთან, სადაც „რულეტს“

და „ბაქარას“ თამაშობდნენ, და აგრძე-
ლებდნენ დისკუსიებს ამ მწერალზე, რი-
თაც თანდათანობით იყოლებდნენ სხვა
საზოგადოებათა წევრებსაც.

— მოკლედ რომ ვთქვათ, მათი ფსიქი-
კის უცნაურობის ეგვიპტე ხაქმუქიამდე მი-
ვიდა, რომ ახლაც კვლავ იმ მწერ-
ლის „სახარება“ უკვე დიდი ხნის დავიწ-
ყებულია, მისი სახელი, როგორც ერთ-
ერთი საუკეთესო მწერლისა, თითქმის
ყველგანაა ცნობილი.

— რაც არ უნდა დაწეროს, იმწამსვე
მიესევიან და ყველაფერს ეჭვმიუტანელ
სიმართლედ თვლიან. თან ყველანი ისეთი
მოწიწებით და რიდიტ უყურებენ მის ნა-
წერებს, როგორც ძველი ქალდეველები
თავიანთი ღირსქმნილი პითიას წინასწარ-
მეტყველებას უსმენდნენ.

— ამასთან საინტერესოა ითქვას ისიც,
რომ თუ იქ ვინმეს ამ მწერლის შესახებ
რამეს ჰკითხავენ, აღმოჩნდება, რომ იც-
ნობს მას და არაჩვეულებრივ არსებადაც
თულის. თუ ჰკითხავენ, რა დაწერა მან,
გამორკვა, რომ უმრავლესობას — თუ-
კი, ცხადია, სიმართლეს აღიარებენ — არც
ერთი მისი წიგნი არ წაუკითხავს.

— მიუხედავად ამისა, მაინც ილაპარა-
კებენ მასზე, იკამათებენ და პირზე დორ-
ბლმორევით მოჰყვებიან მტკიცებას, რომ
იგი იშვიათი „ჭკუა-გონების“ მქონე არ-
სებაა და პლანეტა დედამიწის მკვიდრთა
ფსიქიკის ფენომენალური მცოდნე.

(გაგრძელება იქნება)

